

ისტორიისა და  
ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

5

შრომისი



**დაიბეჭდა გამომცემლობა „უნევერსალში“  
თბილისი 2024**



IVANE JAVAKHISHVILI  
TBILISI STATE UNIVERSITY

# CHRONOS

Journal of the  
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

5

Tbilisi  
2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ქრონოსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი

5



თბილისი  
2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოველწლიური, მრავალპროფილიანი, რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ქრონოსი“ აქვეყნებს ისტორიის, ეთნოლოგიის, ფიზიკური ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის დარგებში შესრულებულ ორიგინალურ ნაშრომებს, რომლებიც ეხება საქართველოსა და მასთან დაკავშირებულ სამყაროს, რაც ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის პრობლემატიკის და რეგიონის ისტორიის უკეთ გააზრებას.

The Chronos is a peer-reviewed annual interdisciplinary scientific journal of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The journal publishes original works on history, ethnology, physical anthropology, archaeology and art history related to Georgia and the surrounding world; this will contribute to a better understanding of the problems of Kartvelology and the history of the region.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი ფოტო-მასალის საავტორო უფლებებზე. ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მათი გამოქვეყნების უფლება.

The editors of the journal are not responsible for copyright of the presented photographic materials. The authors are obliged to obtain permission for reproducing them.

ISSN 2667-9477  
977-2667-9-4700-4

© თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2024.

© Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of TSU, 2024.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

---

თბილისი, 0186, ა. შოლთკოვსკაის 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

## სარედაქციო კოლეგია

ლიანა ბითაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), დავით გაგოშიძე (საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი), შალვა გლოველი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ვახტანგ გოილაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), მარიამ დიდებულაძე (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი), ვალერიან ვაშაკიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), მთ. რედაქტორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ალექსანდრე თვარაძე, მთ. რედაქტორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ქევინ თუითი (მონრეალის უნივერსიტეტი, კანადა), ერიკ თუნო (რატგერსი, ნიუ-ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ), ჰუბერტუს ფ. იანი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო, დიდი ბრიტანეთი), ხათუნა იოსელიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ჰიროტაკე მაედა (ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, იაპონია), როინ მალაყმაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი), სალომე მელაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნინო მინდაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), დავით მინდორაშვილი (ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), გოდერძი ნარიმანიშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგი (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, გერმანია), სტივენ რაპი (სემ ჰიუსტონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ), † გიორგი ქავთარაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), ხათუნა ქოქრაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი), დავით ყოლბაია (ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ნათია ჯალაბაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი).

## Editorial Board

Liana Bitadze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Davit Gagoshidze (The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies), Shalva Gloveli (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts), Vakhtang Goiladze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Mariam Didebulidze (The George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation), Valerian Vashakidze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Aleksandre Tvaradze, Editor-in-Chief (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Kevin Tuite (Université de Montréal, Canada), Erik Thunø (Rutgers, The State University of New Jersey, USA), Hubertus F. Jahn (University of Cambridge, United Kingdom), Khatuna Ioseliani (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Hirotake Maeda (Tokyo Metropolitan University, Japan), Roin Malakmadze (Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili Institute), Salome Meladze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Nino Mindadze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Davit Mindorashvili (Otar Lordkipanidze Institute of Archaeological Research, Georgian National Museum), Goderdzi Narimanishvili (Georgian National Museum), Annegret Plontke-Lüning (Friedrich-Schiller-Universität Jena, Germany), Stephen Rapp (Sam Houston State University, USA), † Giorgi Kavtaradze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Khatuna Kokrashvili (The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies), David Kolbaia (University of Warsaw, Poland), Natia Jalabadze (Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University).

# ისტორია

## გიორგი გაგოშიძე

სიახლეები ქართულ ეპიგრაფიკაში ..... 12

## ვალერიან ვაშაკიძე

კავკასიის ერთიან გეოკულტურულ სივრცედ  
გააზრება ანტიკურ მწერლობაში ..... 29

## ალექსანდრე თვარაძე

დასავლეთ საქართველოს მმართველთა  
იტიწერარები IX-X საუკუნეებში (ქართლში,  
კახეთსა და ჰერეთში ყოფნის ნიმუშების მიხედვით)..... 48

## როინ მალაყმაძე

ნიგალის ხეობა დედასამშობლოსთან  
დაბრუნების შემდეგ (1878-1921 წწ.)..... 77

## ირინე ტატიშვილი

ხეთური „გილგამეშიანი“ ..... 90

## ირაკლი ფაღავა

მაჩხანის ბილინგვა და მონოლინგვა ..... 116

## თეა ქარჩავა

ქართველ ებრაელთა თემისა და ქართულ-ებრაული  
ურთიერთობების უცნობი დეტალები  
მიკელე მემბრეს (XVI ს.) ცნობების მიხედვით ..... 151

## ხათუნა ქოქრაშვილი

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში  
და ქართულ-ოსური ურთიერთობების  
ეთნოპოლიტიკური კონტექსტი XIX საუკუნეში  
(შიდა ქართლის მთიანეთის მაგალითი)..... 170

## მამუკა ნურნუშია

კრესონი, ტაშისკარი და დმანისი:  
ცხენოსანთა შოკური შეტევა ქმედებაში..... 197

## ეთნოლოგია

### გიორგი ვახტანგაშვილი

„ცხენის დაკურთხების“ რიტუალი ხევსურეთში  
(ეთნოგრაფიული ლიტერატურისა და საარქივო  
ვიზუალური მასალის ანალიზის მიხედვით) ..... 208

### ირმა კვაშილავა

„კერძი“ – ნათესავის საკრალური  
მნიშვნელობისათვის ..... 227

### ლავრენტი ჯანიაშვილი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის  
ეთნო-კულტურული და ისტორიული კონტექსტი ..... 238

## ფიზიკური ანთროპოლოგია

### ლიანა ბითაძე, შორენა ლალიაშვილი,

### გიორგი მწყერაძე, გიორგი ლალიაშვილი

### რობერტო კამერიერე, ლეონარდო კატალინი,

### დანიელა პიანო, პიერა ალევრა რასია, ელენა როვა,

### ფრანჩესკა ბერტოლდი, პიერ ფრანჩესკო ფაბრი

ასაკის განსაზღვრის ანთროპოლოგიური

(კბილების ცვეთა და თავის ქალას ნაკერების შეზრდა)

და სასამართლო (რენტგენოლოგიური) მეთოდების

შედარებითი ანალიზი შუა საუკუნეების

ადამიანის ნიმუშებზე „ბერის საყდრებიდან“

(ბორჯომი, საქართველო)..... 259

### ნინო თავართქილაძე

გვიან ანტიკური – ადრე შუა საუკუნეების

საქართველოს მოსახლეობის

პალეოდემოგრაფიული ანალიზი ..... 278

## არქეოლოგია

### **იულონ გაგოშიძე, დავით გაგოშიძე**

სპარსულ-აქემენიდური ხუროთმოძღვრების

ახლადაღმოჩენილი ძეგლი სამხრეთ კავკასიაში..... 293

### **ქეთევან დიღმელაშვილი**

ანტიფიქსები უკანტოლოშის ეკლესიიდან..... 306

### **ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია,**

### **ნიკოლოზ დიასამიძე, ნინო ხუციშვილი**

ეგრისის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის

ისტორიიდან VI-VIII საუკუნეებში ნოქალაქევეში

გამოვლენილი ტანსაცმლის აქსესუარების

(ქამრის ბალთები, აბზინდები, საკიდები

და შესაკრავები) მიხედვით ..... 330

### **ბიძინა მურვანიძე, დავით მინდორაშვილი,**

### **გიორგი გოგოჭური, მარიამ ელოშვილი**

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ქვემო ქართლში..... 347

## ბასსენება

### **ნანა ბასსოლიანი**

გიორგი ქავთარაძის გახსენება ..... 371

### **გოდერძი ნარიმანიშვილი**

ზურაბ ბრაგვაძის ხსოვნას..... 375

# CONTENTS

## HISTORY

### **Giorgi Gagoshidze**

New Findings in Georgian Epigraphy ..... 12

### **Valerian Vashakidze**

Understanding the Caucasus as a  
Unified Geographical Space in Ancient Writings ..... 29

### **Aleksandre Tvaradze**

Itineraries of the Rulers of Western Georgia  
in the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> Centuries (Based on Examples  
of the Visits in Kartli, Kakheti, and Hereti) ..... 48

### **Roin Malakmadze**

The Nigali Gorge after Returning to  
Motherland (1878-1921) ..... 77

### **Irine Tatishvili**

The Hittite Version of the Gilgamesh Epic ..... 90

### **Irakli Paghava**

The Machkhani Bilingue and Monolingue ..... 116

### **Tea Karchava**

Unknown Details of the “Georgian Jewish”  
Community and Georgian-Jewish Relationship  
according to the Notifications of Michele Membre ..... 151

### **Khatuna Kokrashvili**

Russian Ecclesiastical Policy in Georgia and the  
Ethnopolitical Context of Georgian-Ossetian Relations  
in the 19<sup>th</sup> Century (A Case Study of Shida Kartli Highlands) ..... 170



**Mamuka Tsurtsunia**

Cresson, Tashisk'ari and Dmanisi:

the Effectiveness of Mounted Shock Combat ..... 197

**ETHNOLOGY**

**Giorgi Vakhtangashvili**

Horse Consecration Ritual in Khevsureti

(According to the Analysis of Ethnographic

Literature and Archival Visual Material) ..... 208

**Irma Kvashilava**

„K'erdzi“ – On the Sacral

Meaning of Kinship ..... 227

**Lavrenti Janiashvili**

Ethnocultural and Historical Context of the

Formation of the South Ossetian Autonomous Region..... 238

**PHYSICAL ANTHROPOLOGY**

**Liana Bitadze, Shorena Laliashvili,**

**Giorgi Mtskeradze, Giorgi Laghiashvili,**

**Roberto Cameriere, Leonardo Catalini,**

**Denise Piano, Piera Allegra Rasia, Elena Rova,**

**Francesca Bertoldi, Pier Francesco Fabbri**

A Comparison between Anthropological (Dental Wear and

Cranial Suture Closure Analysis) and Forensic

(Dental Radiographic Approach) Methods of

Age Estimation on a Middle Ages Human Sample

from Beris Saqdrebi (Borjomi, Georgia) ..... 259

**Nino Tavartkiladze**

Paleodemographic Analysis of Late Antiquity and

Early Medieval Georgian Populations ..... 278

## ARCHAEOLOGY

**Iulon Gagoshidze, David Gagoshidze**

A Newly Discovered Monument of Persian-Achaemenid

Architecture in South Caucasus ..... 293

**Ketevan Digmelashvili**

Antefixes from the Ukantoloshi Church ..... 306

**Besik Lortkipanidze, Nikoloz Murgulia,**

**Nikoloz Diasamidze, Khutsishvili Nino**

From the History of the Political and Trade Interrelation

of Egrisi in the 6<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cc. AD, according to the Clothing

Accessories (Belt Buckles, Clasps and Pins),

discovered in Nokalakevi..... 330

**Bidzina Murvanidze, David Mindorashvili,**

**Giorgi Gogochuri, Mariam Eloshvili**

New Archaeological Discoveries in Kvemo Kartli..... 347

## MEMORY

**Nana Bakhsoliani**

Remembering Giorgi Kavtaradze ..... 371

**Goderdzi Narimanishvili**

In Memory of Zurab Bragvadze ..... 375

### სიახლეები ქართულ ეპიგრაფიკაში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში დაცულია ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშების მდიდარი კოლექცია.<sup>1</sup> წარწერათა ნაწილი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში და საქართველოს და კავკასიის ისტორიის ძვირფას წყაროს წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთი მათგანის კორექტირებული გახსნა-წაკითხვა და იქ მოხსენიებულ პირთა ახლებური იდენტიფიკაცია ვფიქრობ დაინტერესებს სპეციალისტებს. სტატიაში ქვეყნდება მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ოთხი მეტ-ნაკლებად ცნობილი წარწერა, რომლებსაც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განვიხილავ.

1. სსმ-732, სტელის ბაზა დამბლუტის ხევიდან (VI-VII სს-ის მიჯნა).

სტელის კუბური ფორმის ბაზა (75X75X67 სმ.), რომელსაც ზედა მხარეს ამოკვეთილი აქვს სტელის ჩასამაგრებელი ბუდე (ილ. 1), აღმოჩნდა, 1968 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში, მდ. დამბლუტის ხეობაში არსებული ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვანელი: ვ. ჯაფარიძე).<sup>2</sup> ბაზა იდგა მცირე დარბაზული ეკლესიის საკურთხევლის არდაბაგის პირას, აღსავლის სამხრეთით. ბაზის მთავარ, დასავლეთ ნახნაგზე გამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი, პატივის აღმნიშვნელი სასანური ბაფთებით, ბაზის ჩრდილოეთ ნახნაგზე გამოკვეთილია სიცოცხლის ხე, რომლის ორსავ მხარეს გამოსახულია წყვილი ვერძი. კომპოზიციის ზევით ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ილ. 2) (წარწერის ფართობი: 42X8 სმ.; უდიდესი გრაფემა – 2,9 სმ.; უმცირესი გრაფემა – 1,8 სმ.; განკვეთილობისა

<sup>1</sup> სტატიაში წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებიდან“ (#FR-21-5320) ფარგლებში.

<sup>2</sup> ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, გვ. 55; ჯაფარიძე, ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში, გვ. 68, 69; ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, გვ. 71-81.

და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს), წარწერა ძლიერაა დაზიანებული, გრაფე-  
მათა ნაწილი წარხოცილია, წარწერა შესწავლილი აქვს ნ. შოშიაშვილს, ნაშ-  
რომში გამოქვეყნებულია წარწერის ასლი. ნ. შოშიაშვილი წარწერას VII ს-ით  
ათარილებს. წარწერის ნ. შოშიაშვილისეული მხედრული ტრანსლიტერაცია  
ასეთია:

[ი(ეს)უ ქ(რისტი)ე], ს(უ)ლნ[ი] დ[ა] ხ(ორ)ცნი [შე]ი[ინყ]ალნე ამ[ა]თნი,  
რ(ომე)ლთა | ა(ლხუ)მ(ა)რთეს ესე ჯუარი ამჴნ<sup>1</sup>

დამბლუტის ეს წარწერა ასევე დაიბეჭდა კრებულში, რომელიც დმანის-  
ის რაიონის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს ეხება, ამ ნაშრომში ავტორე-  
ბი იზიარებენ ნ. შოშიაშვილისეულ წაკითხვას, დათარილებას და წარწერის  
მისსავე ასლს აქვეყნებენ.<sup>2</sup>

დამბლუტის ხეობის ნასოფლარის წარწერა ძლიერაა დაზიანებული,  
დაღუპულია სამივე სტრიქონის დასაწყისის მონაკვეთები, ამომტვრეულია  
პირველი და მეორე სტრიქონის შუა ნაწილი. სიტყვები ერთმანეთისგან არ  
არის დაცილებული, პალეოგრაფიული ნიშნებით შესაძლებელია წარწერა VI  
საუკუნის მეორე ნახევრით ან VII საუკუნის პირველი ნახევრით დათარილ-  
დეს. ამ ძეგლზე მუშაობისა და ასლის გადმოღების შემდგომ წარწერის შინა-  
არსი რამდენადმე განსხვავებული სახით წარმოჩინდა (ილ. 3)

...სსსს.ჲ. ԳԼԸ Ծ Կ

...ԴԵԿ Ը..ԳԿԿ ԿԶԳԸ

...ԿԳԿ ԿԶԿ ԶԳԿԿ ԿԶԿ...

[იესუ ქრისტიე, შეინყალენ ვილაცა დ]ა სან(ი?)დუხტ და ში[ვ]ილნი ა[მა]  
თნი რ(ომე)ლთა | [აღმა]რთეს ესე ჯუარი ამ[ენ]

პირველი სტრიქონის შემორჩენილი მეორე გრაფემა „ს“-„ს“-ს და შემ-  
დეგი ასონიშნის „შ“- „დ“-ს შორის მოჩანს მკრთალი ნაკანრი, პირობითად აქ  
„ი“ გრაფემას აღვადგენ. სახელი სანდუხტ, სან(ი?)დუხტ ქართული ონომას-  
ტიკონისთვის უცნობია, სანდუხტი სომხეთში პოპულარული სახელი იყო,  
წმ. სანდუხტ დედოფალი, პირველი სომეხი მონამე ქალი, სომხეთის მეფე  
სანატრუკის ასული და წმ. თადეოზ მოციქულის მონაფეა.<sup>3</sup> VI-VII სს-ის მიჯ-  
ნა, როდესაც სავარაუდოდ დამბლუტის ბაზა შეიქმნა, პერიოდია როდესაც  
ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილება დამასრულებელ ფაზაშია;  
აღსანიშნავია, რომ სანდუხტი ქალკედონიტური ეკლესიის წინდანად არ  
ითვლება. ხომ არ არის ეს ირიბი დასტური იმისა, რომ სტელის ბაზა ქარ-

<sup>1</sup> შოშიაშვილი, *ლაპიდარული წარწერები*, გვ. 94, 95.

<sup>2</sup> ოთხმეზური (და სხვა), *დმანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს.*, გვ. 81, 82.

<sup>3</sup> მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, გვ. 130.



СҖСҖԻԸ: ՇՇ ...

ԿԴԴԴ: ՉԿԴԴ: ԺԿՆ ՆՇ:

ԸՄՆԼ: ՇՆԿՇԻ

[ქრისტე შეინყალე] თინათინ: ვინც: ნ(ა)რიკითხებდ(ე)თ | შ(ე)ნდობას: ბრძ(ა)ნებდ(ე)თ გივე|დრებ: შემდგომად | [ჩ]ემსა: ს(ა)ყდრისა: ამ|პყრობელთ: რათა: | [ა]რა: შეარყიოთ: ს|ამარხო: და... | ჩემი: უ(კუ-ნისამდ)ე ქ(ორონი)კ(ონ)სა: | ტპგ: (1163 წ.) აკ(ურთხევ)დ(ე)ნ (?)...

წარწერა იწყება სახელით – თინათინ,<sup>1</sup> სხვა ქვათლილზე, უშუალოდ სახელის წინ სავარაუდოდ ეწერა „ქრისტე შეინყალე“. როგორც ჩანს, ეს წარწერა ვინმე – თინათინის, სიცოცხლეშივე იქნა ამოკვეთილი, ამ ქალს სიცოცხლეში უზრუნია თავისი სამარხის გამართვაზე და მისი გარდაცვალების შემდგომ საყდრის მომავალ პატრონს შესთხოვს თავისი სამარეს ხელშეუხებლობას. სავარაუდოდ თინათინი ამ საყდრის პატრონი იყო, ე. ი. მაღალი რანგის საერო პირი, ალბათ ქვრივი და უშვილო, რადგანაც წარწერის შემორჩენილ ნაწილზე, არსად იხსენიება არც ქმრის და არც შვილის სახელი. წარწერას ზუსტი თარიღი აქვს – 1163 წელი, ეს მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) ზეობის ხანაა და ჯერჯერობით სახელი – თინათინის უძველესი დადასტურებაა. XIII საუკუნით თარიღდება ლისის ცხრაკარას (ქარელის მუნიციპალიტეტი, მდ. ოჟორას ხეობა) ეკლესიის სამხრეთი კარის ტიმპანის წარწერა, რომელშიც იხსენიებიან სიაოში, ფალდონი, თინათინი.<sup>2</sup> უდაოა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟის, არაბეთის მეფის როსტევეანის ქალიშვილის სახელი – თინათინი, პოემის დაწერის დროისთვის (XII ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო.

3. სსმ – 680, 681; ვანის ქვაბები, წარწერა კარის ტიმპანის ქვაზე (XIII ს-ის ბოლო მეხუთედი).

ტიმპანის ცენტრში გამოსახული იყო წაგრძელებული ჯვარი, რომლის მხოლოდ ქვედა მკლავიღაა შემორჩენილი (ილ. 6). ჯვრის ორსავე მხარეს გეომეტრიული ორნამენტული მოტივებით შემკული ორი მედალიონია. ტიმპანის ქვედა მხარე – ფუძე უკავია გადაჯაჭვული წრეებისა და რომბების ორნამენტს, ეს მოჩუქურთმებული ზოლი კარის ღიობის მოჩარჩოების ზედა ნაწილი იყო. ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ჯვრის მკლავებს შორის, წარწერის დასაწყისი – დაკარგულია. ეს ტიმპანი ვანის ქვაბის მონასტრის (ასპინძის მუნიციპალიტეტი, ისტორიული პროვინცია – ჯავახეთი), გუმბა-

<sup>1</sup> სულხან-საბას განმარტებით – „თინათინი – სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი, *სიტყვის კონა*, გვ. 242).

<sup>2</sup> Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии-Шиди Картли*, გვ. 126, 127.

თიანი, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე დარბაზული ეკლესიის დასავლეთ კარს ედგა.<sup>1</sup>

ეკლესია და წარწერიანი ტიმპანი 1954 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, მასზე პირველი ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში – „სოციალისტური სოფელი“ (26. VIII. 1954),<sup>2</sup> 1965-66 წწ-ში ხელახლა გაიწმინდა ვანის ქვაბის აღნიშნული ნაგებობა, და საბოლოოდ დადგინდა, რომ წარწერიანი ტიმპანი მცირე ეკლესიის კუთვნილი იყო.<sup>3</sup> ეკლესიის ტიმპანის პირველივე პუბლიკაციისას გ. გაფრინდაშვილმა გამოაქვეყნა წარწერის ნაწილის ტექსტი, აქ მოგვაქვს წარწერის მხედრული ტრანსლიტერაცია:

„მეოხ და მფარველ  
მექმენ მოსავსა  
შენსა ერისთავთერისთავსა  
თმოგუელსა: სმჩმს“

გ. გაფრინდაშვილი წარწერას ათარიღებს XIII საუკუნის ბოლო წლებით – 1283 წლამდე. 1283 წელს დიდი მიწისძვრა იყო, რომელმაც დაანგრია ვანის ქვაბის მონასტერი და ეკლესია ამის შემდგომ ვერ აშენებოდაო, ასკვნის მკვლევარი; რ. კიკნაძის ვარაუდით სამცხის ეს გამანადგურებელი მიწისძვრა 1275 წელს მოხდა.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ დიდი ნგრევის მიუხედავად მონასტერს ცხოვრება გაუგრძელებია – XIV-XV სს-ით თარიღდება მცირე გუმბათიანი ეკლესია,<sup>5</sup> რომელიც მონასტრის ზედა იარუსზე, კლდის ეხშია აგებული.

წარწერა ხუთსტრიქონიანია (ილ. 7) წარწერის ფართობია – 65X52,5 სმ., დაღუპულია წარწერის დასაწყისი, გრაფემები შენიაღებულ-გადაბმულია, ბუნშეზრდილია (უდიდესი გრაფემა – 8,5 სმ.; უმცირესი გრაფემა – 2,5 სმ.), ქარაგმა ბოლონერტილოვანი განივი, ან ირიბი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი სამი ნერტილია, ტექსტს ასრულებს ისრის წვერის მსგავსი ნიშანი. წარწერის პირველი სტრიქონის ბოლო ნაწილის გრაფემები ისეა ერთმანეთში ჩანასკვულ, ჩახლართული და ამავე დროს დაზიანებული, რომ სრული უეჭველობით ვერ ვკითხულობ, სავარაუდოდ მიმართვაა ღმრთისმშობლისადმი; წარწერის შემდგომი ტექსტის ჩემეული ნაკითხვა ემთხვევა გ. გაფრინდაშვილის ამოკითხულ ვარიანტს:

<sup>1</sup> Гаприндашвили, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 45, 46.

<sup>2</sup> გაფრინდაშვილი, *ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში*.

<sup>3</sup> გაფრინდაშვილი, *არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ.*, გვ. 109.

<sup>4</sup> კიკნაძე, *XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან*, გვ. 147; სამცხის მიწისძვრის ამავე თარიღს იზიარებს დ. კლდიაშვილიც (კლდიაშვილი, *მიწისძვრები ძველ საქართველოში*, გვ. 131-142).

<sup>5</sup> Гаприндашвили, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 47.



...იქს ზყუზო (?)

ჰიოჲ ზ ჰჰიჲზ

ჰქიჲნი ჰს~ჲს

ყუნტ ონი

ღჰოღზს: სჰჰს >

[ყოვლადწმინდაო] ღ(მრთი)ს მშ(ო)ბ(ე)ლო (?) | მეოხ დ[ა] მფ(ა)რვ(ე)ლ  
| მ(ე)ქემ(ე)ნ მ(ო)ს(ა)ვსა | შენ(ს)ა ე(რისთავთ)ე(რისთავსა) | თმოგ(ვე)  
ლსა სმჩმს

წარწერაში იხსენიება სავარაუდოდ ღმრთისმშობლის მცირე ეკლესიის ქტიტორი, თმოგვის ერისთავთერისთავი „სმჩმ“. თმოგველი ერისთავთერისთავი „სმჩმ“ წერილობითი წყაროებით უცნობია. გ. გაფრინდაშვილი დაქარაგმებულ სახელს „სმჩმ“-ს პირობითად ხსნის როგორც – „ს(ა)მ(უ)ჩ(ა)მ“<sup>1</sup>, ამგვარი სახელი არც თმოგველთა სავგარეულოში და არც ქართულ ონომასტიკონში არ იძებნება. როგორც ჩანს ამ გაურკვეველობის გამო სმჩმ-ის წარწერა ვერ მოხვდა ჯავახეთის ეპიგრაფიკულ კორპუსში.<sup>2</sup> ამკარაა, რომ ერისთავთერისთავი სმჩმ თმოგველთა ფეოდალური სახლის წევრია. თმოგველები მხარგრძელთა მეორე შტოს – ვარამ ზაქარიას ძის შთამომავლები არიან. პირველი თმოგველი, სარგის ვარამის ძეა; თამარ მეფის დროს – „შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი“.<sup>3</sup> შემდგომ, ისტორიაში ჩანს სარგისის ძე თაყაიღინი, მხარგრძელი, სარგის II.<sup>4</sup> თმოგვის ციხის პატრონებს – თმოგველებს ვანის ქვაბის მონასტერი XIII საუკუნის დასაწყისიდან გადაეცათ და, როგორც ჩანს, ამ მონასტერს და ციხე-ქალაქსაც XIII საუკუნის ბოლომდე ან, შესაძლებელია, XIV საუკუნის პირველ წლებამდე ფლობდნენ. XIV საუკუნის ნახევრიდან თმოგველები ჯავახეთიდან ქართლში გადასახლდნენ.<sup>5</sup> ერისთავთერისთავი სმჩმ, სავარაუდოდ, სარგის II-ის მომდევნო თმოგველი უნდა იყოს და ალბათ XIII საუკუნის მეორე ნახევარის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. ეკლესიის ტიმპანი, რომელზეც სმჩმ-ის წარწერაა, დეკორის – (მედალიონებში ჩართული გეომეტრიული ორნამენტები, კარის საპირეს მორთულობა) კვეთის „მშრალი“ მანერით XIII საუ-

<sup>1</sup> Гаприндашвили, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 45.

<sup>2</sup> სილოგავა, ახალაძე, ბერიძე, სულავა, ყავრელიშვილი, *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი*.

<sup>3</sup> ქ. ცხ., II, გვ. 55.

<sup>4</sup> ბერძენიშვილი, *ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი*, გვ. 104; შ. მესხიას გარკვეული ეჭვით მიაჩნდა, რომ თაყაიღინის მეორე სახელი მხარგრძელი იყო (მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, გვ. 242, 318).

<sup>5</sup> კაკაბაძე, *თმოგველთა გვარის ისტორიისათვის*, გვ. 11; ბერძენიშვილი, *ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი*, გვ. 107.



კუნის მიწურულზე მიგვანიშნებს და ძლიერ ჰგავს საფარის მონასტრის, წმ. საბას ტაძრის ჩრდილოეთი კარის ტიმპანის გაფორმებას, რომელიც ამავე ხანისაა (XIII ს-ის 80-იანი წწ.).<sup>1</sup> ჩვენი ტიმპანის წარწერის გრაფემათა პალეოგრაფიული ნიშნებიც სწორედ XIII საუკუნის მიწურულისაა. სმჩმ-ის ეკლესიის ტიმპანის დეკორის, ვანის ქვაბების წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარიბჭის და სამრეკლოს ჩუქურთმებთან შედარებისას, გ. გაფრინდაშვილი შენიშნავს განსხვავებულ სტილსა და ოსტატობას და ასკვნის, რომ დარბაზული ეკლესია აგებულია წმ. გიორგის ეკლესიის კარიბჭისა და სამრეკლოს შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 1283 წლისა.<sup>2</sup> სათანადოდ უნდა ვიფიქროთ, რომ თმოგველ ერისთავთერისთავ სმჩმ-საც ამ ხანებში უნდა ეცხოვრა. გ. გაფრინდაშვილი ერისთავთერისთავი სმჩმ-ის აგებულ ეკლესიას გულისხმობს, როდესაც საუბრობს წმ. გიორგის გუმბათიანი ტაძრის გვერდით არსებული XIII საუკუნის ეკლესიის ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების შესახებ, რომელთა დამახინჯებული გვამები გამოვლინდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად.<sup>3</sup> ვანის ქვაბების მსგავსი ვითარება დასტურდება ციხე-ქალაქ თმოგვეშიც, რომელიც ამ მონასტრის სიახლოვეს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას მიუვალ კლდეზეა აღმართული. თმოგვეშიც, როგორც ჩანს, მიწისძვრას ძლიერი ნგრევა გამოუწვევია; ციხე-ქალაქში სიცოცხლე მალევე აღდგა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ დამრეც ფერდზე, შუა ნაწილში, 1303 წელს აშენდა წმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი მცირე გამოქვაბულ კრიპტაზე დგას (სურ. 8).<sup>4</sup> ეკლესია, ციტადელისკენ სამხრეთიდან აღმავალი ერთ-ერთი გზის პირასაა აგებული,<sup>5</sup> იგი ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია გუმბათის ფრაგმენტი, თალ-კამარები ჩანგრეულია. 1988 წელს წარმოებულ განმეორებითი სამუშაოს დროს, ეკლესიის დასავლეთ ნაწილში, ქვის გროვაში აღმოჩნდა მოზრდილი არქიტრავი (ზომები: 85X66 სმ.), რომელიც ეკლესიის დასავლეთი კარის ლიობს ფარავდა. არქიტრავზე ვრცელი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი, შემორჩენილია თორმეტი სტრიქონი (ილ. 9, 10).<sup>6</sup> (წარწერის ფართობია: 77,5X58,5 სმ., დიდი

<sup>1</sup> ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება*, გვ. 55, 56, ტაბ. 8.

<sup>2</sup> Гаприндашвили, *Пустынь, как монастырский ансамбль*, გვ. 47.

<sup>3</sup> გაფრინდაშვილი, *ვანის ქვაბის განძი*, გვ. 7.

<sup>4</sup> გაფრინდაშვილი, *ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის*, გვ. 315-317; გაგოშიძე, *თმოგვის ციხის წმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია*, გვ. 610-615.

<sup>5</sup> Мелитаური, *Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии*, გვ. 54, ილ. 82, 83.

<sup>6</sup> წარწერა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ქვის ფონდში (წარწერა გამოქვეყნებულია: გაფრინდაშვილი, *თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა*, გვ. 25-28; სილოგავა [და სხვა], *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი*, გვ. 61, 62.)



მას შეცდომით წერენ, ანდაც მკვეთრად არ არის ხოლმე გამოვლენილი ამა თუ იმ ასონიშნის მახასიათებელი ნაკვთები, რაც ასონიშანთა აღრევას იწვევს; ზოგჯერ გვხვდება ასომთავრული ან უფრო ნუსხური – „ნ“-ს და „ჩ“-ს ერთმანეთის მსგავსად გამოსახვა, მაგალითად პატარა ონის წარწერში (XI ს.) გრაფემა „ნ“ მარჯვნივ წარზიდული ზედა ჰორიზონტალის გარეშე ამოკვეთილი რაც მას „ჩ“ გრაფემას ამსგავსებს, ანალოგიური ვითარებაა სიმონეთის იხნას წარწერაშიც (XI ს.).<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ სახელი სამინამის მსგავსი ჟღერადობის სახელები დასტურდება ქართველურ საკუთარ სახელთა სიაში – სამნა, სამნაჲ,<sup>2</sup> სამნია,<sup>3</sup> სამინი, სამინაი;<sup>4</sup> სმჩმ-ის (სამუჩამი, სამიჩამი) მსგავსი სახელი კი ქართულ სინმადვილეში ჩემთვის უცნობია.

ვანის ქვაბის „სმჩმ“-ის და თმოგვის „სამინამი“-ს სავარაუდო იგივეობის შესახებ შემდეგი არგუმენტებია:

ა. ორივე წარწერა დაახლოებით ერთ დროსაა ამოკვეთილი (XIII ს-ის მიწურული, XIV ს-ის დასაწყისი);

ბ. ორივე წარწერა ერთმანეთის ახლოს მდებარე ძეგლებზეა;

გ. ორივე წარწერა ციხე თმოგვის მეპატრონეს ეკუთვნის;

პირველ შემთხვევაში იხსენიება ერისთავთერისთავი თმოგველი, მეორეში, მართალია, სამინამის ტიტული არ ჩანს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ციხე-ქალაქ თმოგვის ტერიტორიაზე, ციტადელის სიახლოვეს, თმოგვის პატრონის გარდა სხვას აეგო გუმბათიანი ეკლესია. ვფიქრობ, სამინამი მხარგრძელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი ბოლო თმოგველია, იგი ეკლესიის წარწერაში აღნიშნავს, რომ წმ. მარინეს გარდა მისი შემწე („ველისამპყრობელი“) არავინაა,<sup>5</sup> ეს პასაჟი გარკვეულად გვახსენებს თმოგველთა შეჭირვებულ მდგომარეობას XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც მათ იძულებით მოუხდათ თავისი სამფლობელოს მიტოვება და ქართლში გადასახლება. 1350 წლის წარწერით, ვიგებთ, რომ თმოგვს ახალი მეპატრონე ჰყავს – მეფე დავით IX-ის (1346-1360 წწ.) ვარძიელი საწოლის მწიგნობარი მურვან კითხაჲს ( ან კვთხას) ძე, თმოგვის ერთ-ერთი ზღუდის მაშენებელი.<sup>6</sup>

<sup>1</sup> სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები, გვ. 105,115.

<sup>2</sup> ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, გვ. 184.

<sup>3</sup> სურგულაძე, აბაშიძე, ქართული ისტორიული საბუთები, გვ. 109.

<sup>4</sup> ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, გვ. 59.

<sup>5</sup> ჯელისაღპყრობა – შენევენა, დახმარება (აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 567).

<sup>6</sup> ბერძენიშვილი, ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი, გვ. 121, 122; სილოგავა (და სხვა), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, გვ. 62.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი** – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**ბაქრაძე, ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი** – ბაქრაძე ა., ბოლქვაძე ს., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბილისი, 1953.

**ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება** – ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1955.

**ბერძენიშვილი, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი** – ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი, 1985.

**გაბიძაშვილი, მამაცაშვილი, ღამბაშიძე, ვანის (ვაჰანის) ქვაბები** – გაბიძაშვილი ე., მამაცაშვილი მ., ღამბაშიძე ა., ვანის (ვაჰანის) ქვაბები, სმქეპლ, თბილისი, 2007.

**გაგოშიძე, თმოგვის ციხის ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია** – გაგოშიძე გ., თმოგვის ციხის ნმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია, „ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპარქია“, სარედაქციო კოლეგია: ასათიანი ვ., ბერიძე მ., მარსაგიშვილი გ., გენაძე ნ., აბესაძე ქ., თბილისი, 2013, გვ. 610-615.

**გაფრინდაშვილი, ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში** – გაფრინდაშვილი გ., ახალი აღმოჩენა ვანის ქვაბებში, გაზეთი „სოციალისტური სოფელი“, ასპინდა, 1954, 26 აგვისტო.

**გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი** – გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის განძი, ძმ, 6, 1966, გვ. 3-9.

**გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ.** – გაფრინდაშვილი გ., არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ., სსმაპ, II, 1971, გვ. 108-117.

**გაფრინდაშვილი, თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა** – გაფრინდაშვილი გ., თმოგვის გუმბათიანი ეკლესიის 1303 წლის სამშენებლო წარწერა, „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000, გვ. 25-28.

**გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის** – გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის, თმოგვის ეკლესიისა და შორეთის მონასტრის არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლის 1988 წლის ანგარიში, „ასპინდა. სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე“, ახალციხე, 2000, გვ. 311-324.

**კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის** – კაკაბაძე ს., თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, თბილისი, 1913.

**კიკნაძე, XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან** – კიკნაძე რ., XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან, მაცნე, იაპხს, 1973, N4, გვ. 141-150.

**კლდიაშვილი, მინისძვრები ძველ საქართველოში** – კლდიაშვილი დ., მინისძვრები ძველ საქართველოში. ქართული საისტორიო წყაროები IV-XVIII სს., თბილისი, 2023.

**მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში** – მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979.

**მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია** – მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბილისი, 1984.

**ოთხმეზური (და სხვა), დმანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს.** – ოთხმეზური გ., ბოშიშვილი ა., მათითაშვილი შ., მირიჯანაშვილი ი., ჟღენტი ნ., ცუცქერიძე დ., ხაინდრავა ე., დმანისის რაიონის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები V-XVIII სს. (მიმოხილვა), თბილისი, 2017.

**სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები** – სილოგავა ვ., დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I, (IX-XIII სს.), ძღჴკ, II, თბილისი, 1980.

**სილოგავა (და სხვა), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი** – სილოგავა ვ., ახალაძე ლ., ბერიძე მ., სულავა ნ., ყავრელიშვილი რ., ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, თბილისი, 2012.

**სულხან-საბა, სიტყვის კონა** – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი, 1949.

**სურგულაძე, აბაშიძე, ქართული ისტორიული საბუთები** – სურგულაძე მ., აბაშიძე თ., ქართული ისტორიული საბუთები, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ძმისკ, IV, თბილისი, 2016.

**ქ. ცხ., II – ქ. ცხ., II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ**, თბილისი, 1959.

**ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები** – ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986.

**ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები** – ჭანტურია ა., მეგრული სახელები და გვარები, თბილისი, 2006.

**ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან** – ჯაფარიძე ვ., ქართული ხე-

ლოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვე-  
მო ქართლიდან, ძმ, 20, 1970.

**ჯაფარიძე, ართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში** – ჯაფა-  
რიძე ვ., ართილაყვა ვ., გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშა-  
ობის წინასწარი შედეგები), სსმამ, II, 1971.

**Гаприндашвили, Пустынь, как монастырский ансамбль** – Гаприндашвили Г.,  
*Пустынь, как монастырский ансамбль. Ванис-кваби – пустынь-монастырь*, სმბ,  
12, Тბილისი, 1988, გვ. 36-52.

**Мелитаури, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии** – Мелитаури  
К., *Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии*, II, Тბილისი, 1971.

**Мепишавили, Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической  
провинции Грузии-Шиди Картли** – Мепишавილი Р., Цინცაძე В., *Архитектура  
нагорной части исторической провинции Грузии-Шиди Картли*, Тბილისი, 1975.



## New Findings in Georgian Epigraphy

### Summary

Examples of Georgian epigraphy preserved at the Simon Janashia State Museum of Georgia have been investigated in the frame of the project ‘Samples of Georgian Epigraphy from the Depositories of the Georgian National Museum’ (#FR-21-5320) funded by LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The article looks at four more or less known inscriptions kept in the museum and I think the scholarly community will find my interpretation of reading of the inscriptions interesting. The inscriptions are discussed in chronological order.

1. GSM-732, base of a stela (75x75x67 cm), Damblutis Khevi (turn of the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> cc).

In 1968, a stone base of a stela was discovered in the interior of an early medieval church excavated in the village-site located at Damblutis Khevi, Dmanisi Municipality (archaeologist V. Japaridze). On the top it has a hole for accommodating a stela, and its side – northern facet features a badly damaged three-line *asomtavruli* inscription. The inscription was studied by historian N. Shoshiashvili. According to his reading, the text of the inscription says about having mercy on those who erected the cross. The beginning of the first line of the inscription is damaged; the second line provides a female name ‘Sandukht’, and the inscription reads as follows: [Jesus Christ, have mercy on *someone*] and Sandukht and their children who erected this cross, amen’. The name ‘Sandukht’ is unknown to Georgian onomasticon, while it was popular in Armenia. St. Queen Sandukht, the first Armenian female martyr, was the daughter of King Sanatruk of Armenia and a disciple of St. Thaddeus the Apostle (see: Movses Khorenatsi, ‘History of Armenia’). St. Sandukht is not recognized as a saint of the Chalcedonic church. The turn of the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries, which is a presumable date of making the base of Dambluti, is the time when the schism between Georgian and Armenian churches was in its final phase. In my opinion, around this period it was still possible to give a Georgian noble woman the name of an Armenian saint, or it can be presumed that the inscription on the base mentions ethnically Armenian Sandukht married to a Georgian nobleman.

2. GSM-292, a hewn stone of the church masonry (96x52x14 cm) with a nine-line inscription; origin unknown (1163).

The beginning of the accurately dated *asomtavruli* inscription is lost. The first surviving word is a female name ‘Tinatin’, which is clearly visible in the copy made by

me. The following part of the inscription is read in the same way as it is in the catalog published in 1953 by A. Bakradze and S. Bolkvadze. In the inscription the donor implores the future owner of the church not to disturb his grave. Presumably, Tinatin was the owner of the church, i.e., a high-ranking secular figure, probably widowed and childless, as there is no mention of a husband or a child in the extant part of the inscription. The inscription is accompanied by an accurate date – the year 1163, which is the period of the reign of King Giorgi III (1156-1185) and as yet the earliest evidence of the name ‘Tinatin’. The inscription on the tympanum of the door of Lisi Tskhrakara (Kareli Municipality, The Ozhora Gorge, presently an occupied territory), dating to the 13<sup>th</sup> century, mentions a Tinatin along with other names. There is no doubt that ‘Tinatin’, the name of the daughter of King Rostevan of Arabia and the main character of Rustaveli’s ‘The Knight in the Panther’s Skin’, was pretty popular at the time the poem was written (second half of the 12<sup>th</sup> century).

3. GSM – 680, 681; Vanis Kvabebi, inscription on the tympanum of the door.


The inscription was discovered as a result of the archaeological excavations carried out at Vanis Kvabebi in 1954. It was first published by art historian G. Gaprindashvili. The inscription mentions the grand duke of Tmogvi, whose cryptic name is *Smchm*. The inscription dates to the final years of the thirteenth century – prior to 1283. The huge earthquake which occurred in 1283 destroyed the monastery of Vanis Kvabebi, which means that the church could not have been built following this calamity. From the beginning of the 13<sup>th</sup> century, successors of Varam, son of Zakaria, the second branch of the Mkhargrdzelis owned the city-fortress of Tmogvi, situated near Vanis Kvabebi and the monastery was also under their ownership. They probably possessed Tmogvi Fortress and the monastery till the end of the 13<sup>th</sup>, or the beginning of the 14<sup>th</sup> century, while from the second half of the century rulers of Tmogvi left Javakheti to settle down in Kartli.

Ruins of a domed church were excavated on the territory of Tmogvi Fortress in 1988, which yielded a twelve-line inscription (the inscription is kept at Simon Janashia State Museum of Georgia). The inscription says that the church is dedicated to St. Marine and was built in 1303 by a Saminam. Sources provide no information about a historical person of this name, but he was definitely an owner of Tmogvi Fortress. In my opinion, the ‘Smchm’, documented in the inscription of Vanis Kvabebi and the ‘Saminam’ of the church of St. Marine are the same person. Georgian epigraphic monuments reveal cases when *asomtavruli* and *nuskhuri* graphemes ‘n’ and ‘ch’ are mistakenly written due to their similar outline. I consider that there should be ‘Smmn’ instead of ‘Smchm’ in the inscription of Vanis Kvabebi. Apparently, Saminam is one of the last rulers of the feudal house of Mkhargrdzelis who owned Tmogvi Fortress.







სურ. 1 (Photo 1)




სურ. 2 (Photo 2)



სურ. 3 (Fig. 3)




სურ. 4 (Photo 4)



სურ. 5 (Fig. 5)



სურ. 6 (Photo 6)




სურ. 7 (Fig. 7)



სურ. 8 (Photo 8)



სურ. 9 (Photo 9)



სურ. 10 (Fig. 10)

## ილუსტრაციები:

1. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა.
2. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა, წარწერა.
3. დამბლუტის ხევი, სტელის ბაზა, წარწერის მონახაზი.
4. თინათინის წარწერა.
5. თინათინის წარწერის მონახაზი.
6. ვანის ქვაბები, ეკლესიის კარის ტიმპანი წარწერით.
7. ვანის ქვაბები, წარწერის მონახაზი.
8. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
9. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, კარის არქიტრავის წარწერა.
10. თმოგვი, წმ. მარინეს ეკლესია, კარის არქიტრავის წარწერის მონახაზი.

## Illustrations:

1. Damblutis Khevi, base of the stela.
2. Damblutis Khevi, base of the stela; inscription.
3. Damblutis Khevi, the base of the stela; outline of the inscription.
4. Inscription with Tinatin.
5. Outline of the inscription of Tinatin.
6. Vanis Kvabebi, tympanum of the church door with the inscription.
7. Vanis Kvabebi, an outline of the inscription.
8. Tmogvi, St. Marine Church, view from north-west.
9. Tmogvi, St. Marine Church, inscription of the door architrave.
10. Tmogvi, St. Marine Church, an outline of the door architrave.

სურ. 1, 2, 9 გადაიღო მ. კილაძემ; სურ. 4, 6 – ჯ. ჩხვიმიანი; სურ. 8 – გ. გაგოშიძემ.  
წარწერათა ასლები გ. გაგოშიძის მიერაა შესრულებული.

Photographs: 1, 2, and 9 by M. Kiladze; 4 and 6 by J. Chkhvimiani; 8 by G. Gagoshidze.  
The Copies of the inscriptions were made by G. Gagoshidze.

## კავკასიის ერთიან გეოკულტურულ სივრცედ გააზრება ანტიკურ მწერლობაში

ტერმინი კავკასია, როგორც თანამედროვე შინაარსის მომცველი გეოპოლიტიკური ცნება, XIX ს-დან დამკვიდრდა, თუმცა აღნიშნული სახელწოდება უკვე შორეულ ანტიკურ პერიოდში დასტურდება. თუ სტეფანოს ბიზანტიელის (V ს.) „ეთნიკას“ დავეყრდნობით, „კავკასოსს“ ჯერ კიდევ ჰეკატეოს მილეტოსელის (დაახლ. ძვ. წ. 550-475 წწ.) „დედამინის აღწერა“ იცნობს. ამ არასრულად მოღწეული თხზულების ფრაგმენტებში, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა სწორედ „ეთნიკაშია“ დაცული, ნათქვამია: „დანდარები. ხალხი კავკასოსთან“;<sup>1</sup> „ტიპანისები. ხალხი კავკასოსთან“;<sup>2</sup> „კოლები. ხალხი კავკასოსთან... კავკასიის მთისწინეთი კოლიკურ მთებად იწოდება“.<sup>3</sup> თითოეულ ცნობას ახლავს განმარტება, რომ ამას „[ამბობს] ჰეკატეოსი“.<sup>4</sup> სამწუხაროდ, ბიზანტიური ეპოქის ავტორის (რომელიც თითქმის თორმეტი საუკუნითაა პირველწყაროს დაცილებული) მოტანილი გამონათქვამის გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია სრულიად სამართლიანი მოსაზრება, რომ ჰეკატეოს მილეტოსელის ხსენებული ნაშრომის შემორჩენილი ფრაგმენტების წყაროთმცოდნეობითი კვლევისას „გასარკვევია, რას ამბობს ჰეკატეოსი და რაა სტეფანე ბიზანტიელისა“.<sup>5</sup>

ყველაზე ადრინდელი წყარო, რომელშიც კავკასია/კავკასოსი პირველად და უეჭველად იხსენიება არის ჰეკატეოსის უმცროსი თანამედროვის, ესქილეს (ძვ. წ. 525/4-456/5 წწ.) „მიჯაჭვული პრომეთეისი“. ერთგან (707-735) „ტრაგედიის მამად“ წოდებული ავტორი აღწერს გზას, რომლის გავლის შემდეგ მიადგები კავკასოსს, „მთის [ქედთა] შორის ყველაზე მაღალს“.<sup>6</sup> მეორეგან (411-424) ჩამოთვლის აზიის მცხოვრებთ და მათ შორის ასახელებს მათ, „ვინც სახლობს მახლობლად კავკასოსისა, მაღალ კლდეებზე [ნაშენ] ქალაქში“.<sup>7</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „კავკასია/კავკასოსის“ წარმომავლობა და ეტიმოლოგია ან იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა, რომელსაც ეს ცნება

<sup>1</sup> ჰეკატეოს მილეტოსელი, *დედამინის აღწერა*, გვ. 61.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 62.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 61-62.

<sup>5</sup> ყაუხჩიშვილი, *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*, გვ. 43. შდრ. ლომოური, *ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები*, გვ. 3-35.

<sup>6</sup> ესქილე, *მიჯაჭვული პრომეთეისი*, გვ. 77.

<sup>7</sup> იქვე.



მოიცავს, უძველესი დროიდან მოკიდებული დღემდე ცხოველ ინტერესს ინვესს. ამიტომაცაა, რომ ხსენებულ საკითხებზე არაერთი საგულისხმო მოსაზრება არსებობს.<sup>1</sup> წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის გარკვევა, თუ როდიდან შეიძინა ამ ტერმინმა ერთი გარკვეული გეოკულტურული სივრცის გაგება და, რამდენადაც შესაძლებელია, მეტნაკლები სიზუსტით მისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენა.

ვიდრე ჩვენთვის საინტერესო პრობლემას განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ანტიკური ცივილიზაციის ხანგრძლივ მონაკვეთში ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და კავკასიის ურთიერთობებში რამდენიმე ეტაპი იკვეთება. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ანტიკურ ავტორთა ცოდნა კავკასიის რეგიონის შესახებ თანდათანობით ღრმავდებოდა. მკვლევართა მართებული დაკვირვებით, თუ კლასიკურამდელი პერიოდის (ბერძნულენოვანი წერილობითი ძეგლების გამოჩენიდან ძვ. წ. VI ს-ის ბოლომდე) წყაროებისათვის დამახასიათებელია რეალობის მითოლოგიური აზროვნებით აღქმა და მათში კავკასია, ძირითადად, პრომეთესა და არგონავტების თქმულებების კონტექსტშია გააზრებული, კლასიკურ ეპოქაში (ძვ. წ. V-IV სს.) წინა პლანზე გამოდის ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული ხედვა. „ამ პერიოდში კავკასია თანდათანობით ლეგენდარულის სფეროდან რეალურში გადადის როგორც ტერმინოლოგიური, ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით და იღებს უფრო კონკრეტულად გამოკვეთილ ხასიათს“.<sup>2</sup> ზემოთქმული განაპირობა არაერთმა ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიულმა მოვლენამ (დიდი ბერძნული კოლონიზაცია, ბერძენ-სპარსელთა ომები); ხოლო ალექსანდრე მაკედონელის აზიაში ლაშქრობამ, რომის იმპერიის აღმოსავლეთით გაფართოებამ და მითრიდატე VI ევპატორის ომებმა თუ რომაულ-პართიულმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში კავკასიისა და აქ მცხოვრები ხალხების შესახებ მრავალმხრივი და ძალზე საინტერესო ინფორმაციის თავმოყრას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული პერიოდის ანტიკურ მწერლობაში დაცული ცნობები კავკასიის ძველი ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად ხშირად წერილობით წყაროთა ერთადერთ ბაზას წარმოადგენს.

მიუზღრუნდეთ ტერმინს „კავკასია/კავკასოს“, ვნახოთ რას აღნიშნავს ის დროის სხვადასხვა მონაკვეთში, როდის შეიძინა ამ სახელწოდებამ რაღაც ერთი გარკვეული გეოკულტურული სივრცის მნიშვნელობა

<sup>1</sup> დაწვრ. იხ.: ვაშაკიძე, ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა, გვ. 77-90; ვაშაკიძე, კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე, გვ. 41-64 (ლიტ. იხ. იქვე).

<sup>2</sup> გორდუზიანი, უგულავა, კავკასია/კავკასოსი, გვ. 28.

და, შესაძლებლობის ფარგლებში, შევეცადოთ ამ არეალის გეოგრაფიული საზღვრების მონიშვნას.

ესქილესა და ჰეკატეოს მილეტოსელის ზემოთ მოტანილი ცნობების თანახმად, სრულიად აშკარაა, რომ „კავკასოსი“ აღნიშნავს მთას ან ქედს.

ჰეროდოტოსი (ძვ. წ. V ს.) თავის „ისტორიაში“ არაერთხელ ახსენებს „კავკასია/კავკასოსს“. ერთგან, სადაც ისტორიკოსი სკვითთა ლაშქრობის მარშრუტს აღწერს, ნათქვამია, რომ მათ „ზემოთა გზაზე გადაუხვიეს, რომელიც ბევრად უფრო გრძელია. მარჯვნივ კავკასიონის მთებია აღმართული“ (I, 104).<sup>1</sup> იგივეს იმეორებს ჰეროდოტოსი სხვაგანაც (IV, 12): კიმერიელებს დადევნებული „სკვითებისათვის კავკასოსი მარჯვენა მხარეს იყო“.<sup>2</sup> ბერძენი ავტორი თავის თხზულებაში (I, 204) აღნიშნავს: „ამ ზღვას, კასპიის ზღვად წოდებულს, დასავლეთის მხრიდან კავკასოსი ესაზღვრება“;<sup>3</sup> მანამდე (I, 203) ჰეროდოტოსი გვაუწყებს, რომ „ამ ზღვის (კასპიის – ვ. ვ.) დასავლეთით კავკასოსია გადაჭიმული, რომელიც მთებს შორის ყველაზე უფრო ვრცელია და მაღალი. კავკასიის მთებში ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს“.<sup>4</sup> იქ, სადაც კოლხების აქემენიანთა იმპერიასთან ურთიერთობებზეა საუბარი (III, 97), ვკითხულობთ: „საჩუქრები კოლხებმაც მოითხოვეს და მათმა მეზობლებმაც კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი სურთ იცოდნენ სპარსელების შესახებ). მათ საჩუქრები დაიწესეს. ყოველ მეხუთე წელს ასი ყრმა და ასი ქალწული უნდა გადაიხადონ“.<sup>5</sup>

ჰეროდოტოსის თხზულებიდან მოტანილი ამონარიდები ნათლად აჩვენებს, რომ ბერძენი ავტორი „კავკასია/კავკასოსს“ ბევრად უფრო მასშტაბური მნიშვნელობით წარმოაჩენს. ჰეკატეოს მილეტოსელისა და ესქილესაგან განსხვავებით, ჰეროდოტოსთან „კავკასოსი“ არ არის ერთი მთა ან ერთი ქედი; ის მთათა მთელი სისტემაა, რომელიც სხვა ამგვარივე მთების ჯაჭვისაგან იმით გამოირჩევა, რომ „ყველაზე უფრო ვრცელია და მაღალი“; რაც მთავარია, კავკასოსის დატოტვილი ქედები გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს, რადგან, ისტორიკოსის თქმით, „კავკასოსის მთებში ადამიანთა მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს“.

„კავკასოსი“ იცის არისტოტელემაც (დაახლ. ძვ. წ. 383-322 წწ.). „მეტეოროლოგიაში“ (350 a 18-37) ნათქვამია: „... კავკასიონიდან ბევრი სხვა [მდინარე] მოედინება, გამორჩეული [წყლის] სიმრავლითა და სიდიდით, [მათ შო-

<sup>1</sup> ჰეროდოტოსი, *ისტორია*, გვ. 90.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 100.

რის] ფასისიც. კავკასოსი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ყველაზე დიდი მთაა სიდიდით და სიმაღლითაც. სიმაღლის დასტურია ის, რომ კარგად ჩანს ეგრეთ წოდებული სიღრმეებიდანაც ტბაში შემავალთათვისაც. აგრეთვე მისი მწვერვალები მზითაა განათებული ღამის მესამე ნაწილამდე, განთიადამდეც და კვლავ, საღამოს მერეც. სიდიდის [ნიშანია] ის, რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ხალხი სახლობს და სადაც, ამბობენ, რომ დიდი ტბებია, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ყველა ეს ადგილსამყოფელი ჩანს ვიდრე უკანასკნელ მწვერვალამდე“. <sup>1</sup> არისტოტელე ამავე თხზულებაში (351 a 8-14) ერთხელ კიდევ ახსენებს „კავკასოსს“. მისი თქმით, „... კავკასიონის ქვემოთ არის ტბა, რომელსაც იქაურები ზღვას უწოდებენ“.<sup>2</sup>

თუ არისტოტელეს ზემოთ მოხმობილი პირველი ცნობით ვიმსჯელებთ, „კავკასია/კავკასოსი“, ისე როგორც ჰეროდოტოსთან, მათაა სისტემაა, ვრცელი და ძალიან მაღალი. მისი სიდიდის დასტურია ისიც, რომ „მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ხალხი (ბევრი ეთნოსი – ვ. ვ.) სახლობს“. მეორე ცნობა კი გვაუწყებს, რომ „კავკასოსის“ მთების ქვემოთ არის ტბა. ამ უკანასკნელში იგულისხმება მეოტისის ტბა. ასე კი ძველი ბერძნები აზოვის ზღვას მოიხსენიებდნენ. ე. ი. არისტოტელეს მიხედვით, „კავკასოსის“ მთები მეოტისის ტბას წარსწვდებოდა. თუ გავიხსენებთ ჰეროდოტოსის მინიშნებას, რომ კავკასოსი კასპიის ზღვიდან დასავლეთით იყო გადაჭიმული და მას არისტოტელეს განხილულ ცნობასთან შევაჯერებთ, ვფიქრობ, უყოყმანოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხსენებულ ავტორთა დროისათვის (ე. ი. ძვ. წ. V-IV სს-ში) „კავკასია/კავკასოსი“ აღნიშნავდა მთიან მასივს კასპიის ზღვიდან შავ და აზოვის ზღვებამდე; ეს იყო ვრცელი მთიანეთი, დატოტვილი ქედებითა და მათი განშტოებებით, სადაც არაერთი ეთნოსი ბინადრობდა.

„კავკასოსი“ იცის თეოკრიტოსმაც (ძვ. წ. IV-III სს.). იგი თავის „იდილიებში“ (VII, თალისია, 77) ახსენებს „უშორეს კავკასოსს“.<sup>3</sup> რა თქმა უნდა, ავტორი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს მთას ან ქედს.

გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნულ ტერმინს ხშირად ვხვდებით აპოლონიოს როდოსელთან (დაახლ. ძვ. წ. 295-215 წწ.). „არგონავტიკაში“ მოხსენიებულია „კავკასიონის ტყიანი მთის კალთები“ (II, 1198-1215); „კავკასიის მთების მაღალი მწვერვალები“ ან „მაღალი კავკასიონი“ (II, 1231.1242-1285); „კავკასიის ფერდობები“ (III, 843-872); „თოვლიანი კავკასიონი“ (III, 1214-1224); „კავკასიონის ზღვა“ (IV, 131-135),<sup>4</sup> რომელშიც შავი ზღვა იგულისხმე-

<sup>1</sup> არისტოტელე, *არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია*, გვ. 151.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>3</sup> თეოკრიტოსი, *იდილიები*, გვ. 165.

<sup>4</sup> აპოლონიოს როდოსელი, *არგონავტიკა*, გვ. 177-180.

ბა. ჩვენი აზრით, „არგონავტიკაში“ დამონმებული „კავკასოსი“ მათა სისტემას აღნიშნავს, რომელიც გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს. ამიტომაცაა, რომ მის მიმდებარედ არსებულ ზღვას ავტორი „კავკასიის ზღვას“ უწოდებს. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს თხზულებაში (III, 196-248) დაცული ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც კოლხთა მეფის, აიეტის ვაჟი აფსირტოსი „შვა კავკასიელმა ნიმფამ ასტეროდეიამ“.<sup>1</sup> გამოთქმა „კავკასიელი“ უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ აპოლონიოს როდოსელისათვის „კავკასია/კავკასოსი“ კარგად განსაზღვრული კონკრეტული გეოგრაფიული არეალია, საიდანაც წარმოშობით იყო ასტეროდეია.

საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშვნა იმისა, რომ ძველბერძნულ სამყაროში ცნობილი იყო მეორე, ინდოეთის „კავკასოსი“, ინდოეთის ირანისაგან გამომიჯნავი მათა სისტემა (თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურით, ინდი-ქუშანის მთიანეთი). ამის მიზეზს დამაჯერებლად ხსნის სტრაბონი (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24 წწ.). „გეოგრაფიაში“ (XI, 5, 5) ნათქვამია: „შემთხვევები მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისკენ – ზღვასთან, კოლხიდის და ევქსინის ზემოთ მდებარე მთებიდან. ამ [მთებს] იყო, რომ ელინები კავკასიონს უწოდებდნენ და ისინი დაშორებულნი არიან ინდოეთს უფრო მეტით, ვიდრე 30000 სტადიონია... ხოლო უფრო სასახელო იყო ალექსანდრესთვის (იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი – ვ. ვ.) ინდოეთის მთებამდე დაპყრობა აზიისა, ვიდრე ევქსინისა და კავკასიონის კუთხემდე. მაგრამ დიდება მთისა, მისი სახელი და ის ამბავი, რომ იაზონის და მისი მახლობლების შესახებ ფიქრობენ, რომ მათ უშორესი ლაშქრობა შეასრულეს კავკასიის სანახებამდე, და ის, რომ პრომეთევსი გადაცემული იყო მისაჯაჭვად ქვეყნის კიდეზე, კავკასიონზე, [ამ ამბების გამო] უნდოდათ როგორმე ესიამოვნებინათ მეფისათვის და გადაიტანეს მთის სახელი ინდოეთში“.<sup>2</sup> ვფიქრობთ, ბერძნულ მწერლობაში ორი „კავკასოსის“ გაჩენა დამატებით განმარტებას არ საჭიროებს.

სწორედ ამ მეორე, ანუ ინდოეთის „კავკასოსს“ იცნობს პოლიბიოსი (ძვ. წ. III-II სს.). თავის „ისტორიაში“ (X, 48, 1, 4) იგი წერს: „ოქსოსს (დღევ. მდ. ამუ-დარია – ვ. ვ.) სათავე კავკასიონში აქვს, დიდად ნყალუხვი ხდება ბაქტრიანეში“.<sup>3</sup> ავტორი კავკასიისა და შავ ზღვებს შორის გადაჭიმულ მათა სისტემას არ ახსენებს. სამაგიეროდ ორივე „კავკასოსი“ იცის დიოდოროს სიცილიელმა (ძვ. წ. I ს.). „ბიბლიოთეკაში“ (II, 43, 2) ლაპარაკია სკვითებზე, რომლებიც

<sup>1</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>2</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 139-140. შდრ. სტრაბონი, *გეოგრაფია*, გვ. 261-262.

<sup>3</sup> პოლიბიოსი, *ისტორია*, გვ. 198.



თავდაპირველად მცირერიცხოვანნი იყვნენ და პატარა ქვეყანაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთი, ომისმოყვარე და მხედართმთავრობის ნიჭით გამორჩეული მეფის დროს „მთიანეთში მინა-წყალი შემოიმატეს კავკასოსამდე“.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, დიოდოროსის ეს „კავკასოსი“ კავკასიონის მთებს შეესატყვისება, ხოლო იქ (XVII, 83, 1), სადაც ავტორი გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი „მივიდა და კავკასოსის მახლობლად დაბანაკდა. ზოგიერთები ამ მთას პარაპანისონს უწოდებენ“,<sup>2</sup> სრულიად ერთმნიშვნელოვნად ინდოეთის „კავკასოსი“ იგულისხმება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ კავკასიის შესახებ ანტიკური ეპოქის ავტორთა ცოდნის ეტაპობრივად გაღრმავებას ფრიად შეუწყო ხელი ძველ მსოფლიოში მომხდარმა დიდმა ისტორიულმა მოვლენებმა. ამ მხრივ, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო რომის აღმოსავლეთით გაფართოება და იმპერიის დაპირისპირება პონტოსა და პართიის სამეფოებთან. ამან გაზარდა ბერძნულ-რომაული სამყაროს ინტერესი კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისა და აქ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. ინტენსიური და მრავალმხრივი ურთიერთობების შედეგად დაგროვილი ინფორმაცია სათანადოდ აისახა ბერძნულ და ლათინურენოვან ტექსტებში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლისათვის უნიკალურ მასალას იძლევა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოღვაწე ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სტრაბონი, რომელიც, სპეციალისტთა შეფასებით, სანდო და კეთილსინდისიერ ავტორად არის მიჩნეული.<sup>3</sup> „გეოგრაფიის“ XI-XVI წიგნები აზიის აღწერას ეთმობა. გეოგრაფოსი, ქვეყნების დაყოფისას ან რომელიმე კონტინენტის ნაწილების აღწერისას, უპირველეს ამოცანად საზღვრების დადგენას მიიჩნევს. სტრაბონი არ ღალატობს ანტიკურ სამყაროში არსებულ ტრადიციას და უპირატესობას ბუნებრივ საზღვრებს ანიჭებს.<sup>4</sup>

სტრაბონი ევროპისა და აზიის გამყოფად მდ. ტანაისს (დღევ. მდ. დონი – ვ. ვ.) თვლის. ავტორის აზრით, „ტავრი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიიმართება, ამ ხმელეთს (ე. ი. აზიას – ვ. ვ.) შუაზე გადასჭრის და ტოვებს [მის ერთ ნაწილს] ჩრდილოეთისაკენ, ხოლო მეორეს სამხრეთისაკენ. ელინები ამათგან [ერთს] უწოდებენ ტავრის შიგნითას, ხოლო [მეორეს] ტავრის გარეთას“ (XI, 1, 1).<sup>5</sup> თავდაპირველად ტავროსად იწოდებოდა მცირე

<sup>1</sup> დიოდოროს სიცილიელი, *ბიბლიოთეკა*, გვ. 209.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222.

<sup>3</sup> სტრაბონის „გეოგრაფიისა“ და მისი წყაროების შესახებ დაწვრ. იხ.: ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 1-14.

<sup>4</sup> ვაშაკიძე, *საზღვრის ცნება*, გვ. 36-49.

<sup>5</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 106.

აზიის მთიანი მასივის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ეგეოსის ზღვაზე გადაიოდა, მაგრამ ბერძენთა გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებასთან ერთად სახელწოდება ტავროსი გავრცელდა მთათა ვეებერთელა სისტემაზე, რომელიც გადაჭიმული იყო კავკასიიდან ჰიმალაებამდე და ორად ჰყოფდა მთელ აზიას.<sup>1</sup>

სტრაბონი აზიის ჩრდილოეთს ოთხ ნაწილად ჰყოფს. „აქედან პირველი არის ის, რომელიც ტანაისის მიდამოებში მდებარეობს. ეს მივიჩნიეთ ევროპისა და აზიის საზღვრად, ხოლო [ამ მხარეს] აქვს ნახევარკუნძულის სახე: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდ. ტანაისი და მათგან ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც მთავრდება კოლხიდასთან. ჩრდილოეთისკენ [შემოსაზღვრულია] ოკეანით ვიდრე კასპიის ზღვის შესართავამდე: აღმოსავლეთისაკენ [ისაზღვრება] სწორედ ამ ზღვით ალბანიისა და არმენიის საზღვრამდე, სადაც [ზღვას] უერთდებიან მდინარეები – მტკვარი და არაქსი, რომელთაგან ერთი მომდინარეობს არმენიაზე, ხოლო მტკვარი – იბერიასა და ალბანიაზე. სამხრეთისაკენ [შემოსაზღვრულია ხმელეთით], რომელიც არის მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე დაახლოებით 3000 სტადიონი ზღვიდან ზღვამდე, ალბანთა და იბერთა [ქვეყნებზე გადის] და ეწოდება ყელი“ (XI, 1, 5).<sup>2</sup>

„გეოგრაფიიდან“ მოტანილი ამონარიდის მიხედვით, სტრაბონი ჩრდილოეთ აზიის პირველ ნაწილს შემდეგნაირად შემოსაზღვრავს: დასავლეთით – მდ. დონი, აზოვის ზღვის აღმ. სანაპირო ბოსფორამდე და კოლხიდის კუთვნილი შავი ზღვის სანაპირო ზოლი; აღმოსავლეთით – კასპიის ზღვის დას. სანაპირო მდინარეების მტკვრისა და არაქსის შესართავამდე; ჩრდილოეთით – ოკეანე კასპიის ზღვის შესართავამდე, ანუ ისე, როგორც ეს მიღებული იყო გეოგრაფოსის წინამორბედ ანტიკურ ავტორებთან; სამხრეთით – მდ. მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე გამავალი სახმელეთო ხაზი, რომელიც ალბანთა და იბერთა ქვეყნებზე გადის.

აზიის ამ ნაწილის საზღვრების დადგენის შემდეგ, სტრაბონი იძლევა მის გეოგრაფიულ დახასიათებას, ჩამოთვლის აქ მცხოვრებ ხალხებს, გვიხურათებს მათ ყოფასა და საქმიანობას და ა. შ. მივყვით გეოგრაფოსის მიერ მოცემულ აღწერას.

მეოტისის ტბასთან (ე. ი. აზოვის ზღვასთან, კიდევ უფრო ზუსტად მის აღმოსავლეთ სანაპიროსთან – ვ. ვ.) ცხოვრობენ მეოტები. თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ მეოტები ზოგადი სახელწოდებაა ყველა იმ ტომისა, რომლებიც მეოტისის ტბასთან სახლობენ. სტრაბონის თქმით, „მეოტებში არი-

<sup>1</sup> Подосинов, Скржинская, *Римские географические источники*, კომ. 370, გვ. 296.

<sup>2</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 108.

ან თვით სინდები, დანდარიები, ტორეატები, აგრები და არექები. აგრეთვე ტარპეტები, ობიდიაკენები, სიტაკენები, დოსკები და სხვა მრავალი. ამათ შორის არიან აგრეთვე ასპურგიანები, რომლებიც ცხოვრობენ ფანაგორიასა და გორგიპიას შორის“ (XI, 2, 11).<sup>1</sup> ამდენად, მრავალრიცხოვანი მეოტური ტომები სახლობდნენ აზოვის ზღვის აღმოსავლეთით გორგიპიამდე. ამ უკანასკნელს სპეციალისტები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე თანამედროვე ქალაქ ანაპასთან აიგივებენ.<sup>2</sup>

ამის შემდეგ „ზღვასთან (იგულისხმება შავი ზღვა – ვ. ვ.) არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავთსადგურო და მთიანი, და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს“ (XI, 2, 12).<sup>3</sup> აქ დასახელებულ ტომთა შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს.<sup>4</sup> ბუნებრივია, მათი ეთნიკური ვინაობისა და განსახლების არეალის შესახებ მსჯელობას არ შეეუდგებით, რადგან ეს სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ეს საკითხები კარგად არის შესწავლილი და დამაჯერებელი დასკვნებიცაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ აქეელების, ზიგების და ჰენიოხების ტერიტორიას სტრაბონი, „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილად მიიჩნევს და მათ საცხოვრისს თანამედროვე ქალაქ ანაპისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე განათავსებს. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრაბონისათვის „კავკასია/კავკასოსის“ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ქ. ანაპასთან მდებარეობს.

მოტანილ ცნობას სტრაბონი სხვაგანაც იმეორებს და მას ფრიად საყურადღებო ინფორმაციით განავრცობს. მისი თქმით, „მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეფროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან“ (XI, 2, 14).<sup>5</sup> აქედან სრულიად არაორაზროვნად იკვეთება, რომ, გარდა აქეელებისა, ზიგებისა და ჰენიოხებისა, კერკეტების, მოსხების, კოლხების, ფთეფროფაგების და სვანების (ასევე სხვა პატარა ტომების) სა-მოსახლო ტერიტორიებიც „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილს წარმოადგენს.

<sup>1</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 117.

<sup>2</sup> ნადარეიშვილი, *გორგიპია*, გვ. 70-72.

<sup>3</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 118.

<sup>4</sup> ნადარეიშვილი, *ჯიქები/ზიგები/დიგები*, გვ. 195-196; გორდეზიანი, *აქეელები/აქეელები*, გვ. 180-181; გორდეზიანი, *ჰენიოხები*, გვ. 204; ყაუხჩიშვილი, *კავკასიის ტომების საკითხისათვის*, გვ. 57-77 და სხვ.

<sup>5</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 120.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღწერისას ნათქვამია, რომ ის „მიმართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან (მდებარეობდა დღევ. ქ. ნოვოროსიისკის მახლობლად – ვ. ვ.) ნელ-ნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან (დღევ. ბიჭვინთა – ვ. ვ.) და დიოსკურიასთან (დღევ. ქ. სოხუმი – ვ. ვ.): კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას“ (XI, 2, 14).<sup>1</sup> სტრაბონი იქვე განმარტავს, რომ „მთელი სანაპირო, აქეელთა და სხვა [ხალხებისა] ვიდრე დიოსკურიამდე და იმ ადგილებამდე, რომლებიც მდებარეობენ პირდაპირ სამხრეთისაკენ შუა ქვეყანაში, კავკასიონის ქვემოთ მდებარეობს“.

„გეოგრაფიის“ მოტანილი ცნობებიდან აშკარაა, რომ, სტრაბონის აზრით, პიტიუნტი და დიოსკურია კოლხიდის სანაპირო ზოლშია მოქცეული, რომელიც ტრაპეძუსთან მთავრდება და ეს ადგილები „კავკასიონის ქვემოთ (ე. ი. სამხრეთით – ვ. ვ.) მდებარეობს“. ხოლო კოლხებს, და ამდენად მათ სამოსახლო ქვეყანას, ბერძენი ავტორი რომ „კავკასია/კავკასოსის“ ნაწილად თვლის, ამაზე ზემოთ იყო საუბარი. საერთოდ, სტრაბონისათვის კოლხიდის შავიზღვისპირა სანაპიროს იმდენად ვრცელი მონაკვეთი ეკავა, რომ ბერძენი ავტორი ერთგან ევქსინის ზღვას კოლხიდის ზღვას უწოდებს (XI, 1, 6).

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, გამოდის, რომ „კავკასია/კავკასოსის“ ჩრდილო-დასავლეთი და დასავლეთი საზღვარი მიუყვებოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლს დღევ. ქ. ანაპიდან ტრაპეძუსამდე, ანუ დღევანდელ ტრაპზონამდე.

„გეოგრაფიაში“ ვრცელი ადგილი ეთმობა თავად კავკასიის მთის აღწერას. სტრაბონი წერს, რომ „ეს მთა მდებარეობს ორივე ზღვის ზემოთ, როგორც პონტოსი, ასევე კასპიისა, ამაგრებს იმ ყელს, რომელიც ჰყოფს [ზღვებს]. [ეს მთა] საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს... ზოგი ტოტი ამ [მთისა] მიემართება სამხრეთისაკენ, გარს ერტყმის შუა იბერიას და ერთვის არმენიის მთებს და მოსხებისად წოდებულთ, აგრეთვე სკიდისეს და პარიადრეს: ყველა ესენი არიან ტავრის ნაწილები, რომელიც ქმნის არმენიის სამხრეთ ნაწილს (XI, 2, 15).<sup>2</sup>

ყურადსაღებია, რომ კავკასიის მთებს ჩრდილოეთიდან სარმატთა დაბლობები ესაზღვრება. ე. ი. სტრაბონისათვის „კავკასოსი“ თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებებით, რომლებიც მიმართულია როგორც სამხრეთისაკენ ისე ჩრდილოეთისაკენ, მათაა ერთ მთლიან მასივს წარმოადგენს. ამ

<sup>1</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 120-121.

<sup>2</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 121-122.

აზრის სისწორეს „გეოგრაფიის“ სხვა ადგილიც ამტკიცებს. ბერძენი ავტორის თქმით, ფთეროფაგების მახლობლად არიან სვანები; „ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის... სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან, ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკავიათ უპირატესად მოხსენიებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად“ (XI, 2, 19).<sup>1</sup> გამოდის, რომ კავკასიის მაღალმთიანეთში (ფთეროფაგები, სვანები და სხვა ტომები) ასევე დაბლობში მცხოვრებნი (ალბანები და იბერები) „კავკასიურად“ იწოდებიან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „კავკასიურად“ უნდა ჩავთვალოთ ის ტომებიც, რომლებიც „კავკასოსის“ მთის ჩრდილოეთ ფერდობებზე ბინადრობენ. სტრაბონის ცნობით, „ალბანიის ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამადონები... ამადონებსა და ალბანებს შორის სკვითები – გელები და ლეგები – ცხოვრობენ... ამბობენ, რომ [ამადონები] გარგარეველების მეზობლად ცხოვრობენ კავკასიონის მთის ფერდობებზე ჩრდილოეთისაკენ, რომელიც იწოდება კერავნიად“ (XI, 5, 1).<sup>2</sup> როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აქ დასახელებულ ტომებზე მსჯელობა. საკვლევი პრობლემისათვის, ვფიქრობთ, ისიც საკმარისია აღინიშნოს, რომ წყაროში მოხსენიებული ამადონები, გელები, ლეგები და გარგარეველები კავკასიის მთების ჩრდილოეთ კალთებზე სახლობენ, რომელსაც სტრაბონი კერავნიად მოიხსენიებს. ამ სახელით ანტიკურ მწერლობაში არაერთი მთაა ცნობილი, თუმცა უდავოა, რომ ასე ბერძენი გეოგრაფოსი კავკასიონის მთების უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთს, კასპიის ზღვასთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაწილს უწოდებს.<sup>3</sup>

ანალოგიურად, „კავკასიურ“ ტომებად უნდა მივიჩნიოთ ტროგლოდიტები, რომელთა „შემდეგ არიან ეგრეთ წოდებული ქამაჰკოტები და პოლიფაგები და ესადიკების სოფლები, რომელთაც შეუძლიათ მიწათმოქმედება, რადგან მთლად არ ეკვრიან ჩრდილოეთს“ (XI, 5, 7).<sup>4</sup> მოცემული ცნობის კონტექსტი ისეთია, რომ დასახელებული ტომები განსახლებულნი არიან არამარტო კავკასიის მთების ჩრდილოეთ ფერდობებზე, არამედ მთისწინეთშიც, რადგან მათ „შეუძლიათ მიწათმოქმედება“. ამაზე წინ სტრაბონი აღნიშნავს, რომ კავკასიის მოსახლე ხალხებიდან „[ნაწილს] უპყრია მალლობები, ხოლო

<sup>1</sup> იქვე, გვ. 126-127.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>3</sup> ნადარეიშვილი, *კერავნიის მთები*, გვ. 257.

<sup>4</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 141.

[მეორე ნაწილი] ბინადრობს ხეობებში და ცხოვრობენ უპირატესად მხეცეების ხორციით, ველური ნაყოფითა და რძით“ (XI, 5, 6).<sup>1</sup> აქ მთიელთა ყოფის ტიპური სურათია მოცემული, ხოლო ეხსადიკების მიწათმოქმედებაზე მინიშნება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს უკანასკნელნი კავკასიის მთების ჩრდილო ნაწილის მთისწინეთში ცხოვრობდნენ.

ფრიად საინტერესოა სტრაბონის მონათხრობი, რომ ჩრდილოეთისაკენ ზემოდასახელებულ ტომებს „მოსდევენ მომთაბარეები, რომლებიც მეოტისსა და კასპიას შორის არიან – ნაბიანები, პანქსანები და სირაკთა და აორსთა მოდგმები“ (XI, 5, 8).<sup>2</sup> ნაბიანები და პანქსანები ნაკლებადცნობილი ტომები არიან; რაც შეეხებათ სარმატული წარმომავლობის სირაკებსა და აორსებს, ისინი კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის არსებულ სტეპის ზოლს იკავებდნენ და მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ცხოვრების წესს მისდევდნენ.<sup>3</sup> გამოდის, რომ „კავკასიური“ ტომების განსახლების არეალის ჩრდილოეთი საზღვარი ზემოხსენებულ სტეპის ხაზს გასდევდა.

„გეოგრაფიის“ მიხედვით, აზიის ალბანიის მცხოვრებნი უსათუოდ „კავკასიურ“ ხალხთა რიგს განეკუთვნებიან. ალბანებს, ისევე როგორც იბერებს, „გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე. წ. ტიბარანებამდე“ (XI, 14, 1).<sup>4</sup> ალბანები „ცხოვრობენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის; აღმოსავლეთით ისაზღვრებიან ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებიან იბერებს. რაც შეეხება დარჩენილ მხარეებს, ჩრდილოეთისა გამაგრებულია კავკასიონის მთებით (ეს მთები მდებარეობენ დაბლობებს ზემოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ზღვისკენ არის, იწოდება კერავნიად), სამხრეთისაკენ არის მეზობლად მდებარე არმენია“ (XI, 4, 1).<sup>5</sup> ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის სფეროა დავადგინოთ ალბანთა საცხოვრისის აღმოსავლეთი საზღვარი, უფრო სწორად, განვსაზღვროთ, კავკასიონის მთებიდან მოყოლებული სად მთავრდებოდა ალბანიის კუთვნილი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო.

არმენიის აღწერისას სტრაბონი ამბობს: „მდინარე არაქსი მომდინარეობს ალბანიის განაპირა [მხარეებისაკენ] და ერთვის კასპიის ზღვას; ამის შემდეგ საკასენე, ეს ემეზობლება ალბანიას და მდინარე მტკვარს“ (XI, 14, 4).<sup>6</sup> თუ გავიხსენებთ, რომ მტკვარი მიედინება იბერიასა და ალბანიაზე (XI,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 140-141.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 142.

<sup>3</sup> დარჩია, *სირაკები*, გვ. 52-53; ასათიანი, *აორსები*, გვ. 112.

<sup>4</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 185-186.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 187-188.



1, 5),<sup>1</sup> გამოდის, გეოგრაფოსის აზრით, არმენიის კუთვნილ საკასენეს მხარესა (რომელიც მდინარეებს მტკვარსა და არაქსს შორის მდებარეობდა<sup>2</sup>) და ალბანიას შორის საზღვარი მდ. მტკვარზე გადიოდა. ე. ი. უნდა დავასკვნათ, რომ აზიის ალბანიის აღმოსავლეთი საზღვარი იყო კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო ზოლი კავკასიონის მთებიდან დაწყებული მდ. მტკვრის შესართავამდე. ბუნებრივია, რომ იგივე იყო სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ უკიდურესი აღმოსავლეთი მიჯნაც.

რაც შეეხება კავკასიის სამხრეთ საზღვარს, ბერძენი გეოგრაფოსის ცნობების შეჯერების შედეგად, ის შემდეგნაირად გამოიყურება. ზემოთ განხილული მონაცემების თანახმად, კავკასიონის მთები გარს აკრავს ალბანიასა და იბერიას, აღწევს არმენიელებამდე და უერთდება მოსხებისა და კოლხების მთებს ტიბარენებამდე (XI, 14, 1). აქ კონტექსტი ისეთია, რომ თითქოს ავტორისათვის მოსხებისა და კოლხების მთები ტიბარენებამდე კავკასიის მთების განშტოებას წარმოადგენენ. ხოლო ის ხალხები, ვინც კავკასიის მთებში ბინადრობდნენ, ეჭვმიუტანლად ვიცით, რომ სტრაბონისათვის „კავკასიურად“ იწოდებიან. რაც შეეხებათ ტიბარენებს, ცნობილია, რომ ისინი სახლობდნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. მათ მოიხსენიებენ ჰეკატეოს მილეტოსელი, ჰეროდოტოსი, ქსენოფონი და სხვა ბერძენი ავტორები. ტიბარენების მიწაზე იყო ელინური ქალაქი კოტიორა, რომელსაც დღევ. თურქეთში მდებარე ქ. ორდუსთან აიგივებენ.<sup>3</sup> გამოდის, რომ სტრაბონის „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთი საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იმ წარმოსახვით ხაზს მიუყვებოდა, რომელიც მდ. მტკვრის შესართავიდან იწყებოდა და ევქსინის პონტოსთან მთავრდებოდა. ის მიდიოდა ტიბარენების საცხოვრისამდე, გასდევდა მოსხებისა და კოლხების მთებს და კოლხიდის სანაპირო ზოლზე (სავარაუდოდ ტრაბზონთან) შავ ზღვას ებჯინებოდა. აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ „გეოგრაფიაში“ (XI, 1, 5) მოცემული აზიის აღწერა, რომლის მიხედვითაც აზიის ჩრდილოეთი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი. ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. გეოგრაფოსის თქმით, ამ ოთხიდან პირველი „სამხრეთისაკენ [შემოსაზღვრულია ხმელეთით], რომელიც არის მტკვრის შესართავიდან კოლხიდამდე დაახლოებით 3000 სტადიონი ზღვიდან ზღვამდე, ალბანთა და იბერთა [ქვეყნებზე გადის] და ეწოდებოდა ყელი“. ჩვენი აზრით, სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთი საზღვარი, ემთხვევა აზიის ჩრდილოეთის პირველი ნაწილის სამხრეთ მიჯნას.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 108.

<sup>2</sup> დარჩია, *საკასენე*, გვ. 28.

<sup>3</sup> ერქომაიშვილი, *ტიბარენები*, გვ. 94-95.



ვფიქრობთ, ის, რომ „კავკასია/კავკასოსი“ სტრაბონისათვის ერთ მთლიან გეოკულტურულ სივრცეს წარმოადგენს, ეჭვს არ იწვევს. ამას თვალნათლივ ადასტურებს „გეოგრაფიაში“ დაცული კიდევ ერთი ცნობა. დიოსკურიის აღწერისას ავტორი წერს: „[ერთთა აზრით, ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-ით (ესენი არაფრად ზრუნავენ სიმართლისათვის), ყველა [ტომი] განსხვავებულ ენაზე [ლაპარაკობს], რადგან დაფანტულობის გამო შეურევლად ცხოვრობენ თავისი სიამაყისა და ველურობის მიზეზით. უმეტესობა არიან სარმატები, ხოლო ყველანი კავკასიელები არიან (XI, 2, 16).<sup>1</sup> გეოგრაფოსის ეს სიტყვები სრულიად ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ, სტრაბონის აზრით, დიოსკურიაში სავაჭროდ თავმოყრილ სამოცდაათი ტომის წარმომადგენლებიდან თითოეულს საკუთარი ენა და საკუთარი საცხოვრისი ტერიტორია აქვს; ისინი კავკასიელები არიან, ე. ი. იმ გეოგრაფიული არეალის მკვიდრები, რომელსაც ცნება „კავკასია/კავკასოსი“ ფარავს. რაც შეეხება იმას, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა სტრაბონისეული კავკასია, ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

მოტანილ ცნობაში არ უნდა გაგვაკვიროვოს სარმატების ხსენებამ. აქ ზუსტად ისეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც მაგ., კავკასიის იბერიის აღწერისას. სტრაბონმა შესანიშნავად იცის იბერია და იბერები, თუმცა განასხვავებს ბარში და მთაში მცხოვრებ იბერებს. გეოგრაფოსის თქმით, „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად იმოსებიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მეზობლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან“ (XI, 3, 3).<sup>2</sup> სრულიად აშკარაა, რომ ბარში და მთაში მცხოვრები ერთი და იგივე ხალხი, ამ მოცემულობით იბერები, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ხასიათით, ჩაცმულობით, ცხოვრების წესით, მეურნეობით და ა. შ. სწორედ ამ მახასიათებლებით ერთნი ემსგავსებიან არმენიელებსა და მიდიელებს, ხოლო მეორენი – სკვითებსა და სარმატებს. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი კავკასიელთა უმეტესობის სარმატებად მოხსენიებისას. სხვაგვარად რომ იყოს და აქ ეთნიკური ნათესაობა იგულისხმებოდეს, მაშინ სტრაბონი სარმატებსაც კავკასიელ ხალხებს მიათვლიდა. ეს კი „გეოგრაფიის“ მონაცემებით სრულიად გამორიცხულია.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ კავკასიის შესახებ არსებული მასალის შესწავლამ, ვფიქრობთ, სრულიად უეჭველად აჩვენა, რომ ბერძენი ავტორი-

<sup>1</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 122-123.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 128.

სათვის „კავკასია/კავკასოსი“ ერთიანი გეოკულტურული სივრცეა, რომელსაც კარგად გამოკვეთილი საზღვრები აქვს; აქ ბინადრობს არაერთი ხალხი, რომლებიც კავკასიელები არიან.

საინტერესოა, ფარავდა თუ არა ცნება „კავკასია/კავკასოსი“ სტრაბონისეულ არმენიას. „გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ „არმენია სამხრეთით ეკვრის ტავრს, რომელიც გამოჰყოფს მას მთელი იმ ტერიტორიისაგან, რომელიც ევფრატსა და ტიგროსს შორის მდებარეობს და რომელსაც მესოპოტამიას უწოდებენ... ჩრდილოეთით არის კასპიის ზღვის ზემოთ მდებარე მთები, პარახოათრა, ალბანები და იბერები: ამ ტომებს გარს არტყია კავკასიონი და აღწევს არმენიელებამდე, უერთდება აგრეთვე მოსხებისა და კოლხების მთებს ე. წ. ტიბარენებამდე“ (XI, 14, 1). მოტანილი ცნობა უკვე იყო განხილული. აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ალბანები და იბერები, რომლებსაც გარს აკრავს კავკასიის მთები, გეოგრაფოსის შეხედულებით, „კავკასიური“ ხალხები არიან. სწორედ ისინი ესაზღვრებიან ჩრდილოეთიდან არმენიას. ალბანიასა და არმენიას შორის საზღვარი მდ. მტკვარზე (ბუნებრივია, იგულისხმება მდ. მტკვრის ქვემო დინება) გადიოდა. რაც შეეხება იბერიას, მისი ტერიტორიების ნაწილი არმენიას ჰქონდა მიტაცებული. სტრაბონის თქმით, არმენიამ არტაქსიას, ანუ არტაშეს I-ის (ძვ. წ. 189-161 წწ.) დროს იბერიას ჩამოაჭრა „პარიადრეს კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა (იგულისხმება ჩრდილოეთით – ვ. ვ.) არის“ (XI, 14, 5).<sup>1</sup> იბერიის, იგივე ქართლის სამეფოს ზემოდასახელებული ტერიტორიები კარგად არის იდენტიფიცირებული.<sup>2</sup> თუ სტრაბონისეული „კავკასია/კავკასოსის“ სამხრეთ საზღვარს გავითვალისწინებთ, რომელიც მდ. მტკვრის შესართავიდან ტრაპეძუსამდე გავლებულ წარმოსახვით ხაზს მიუყვებოდა, გოგარენე, პარიადრეს კალთები და ხორზენეც კავკასიაში უნდა მოვიაზროთ.

ანალოგიურად კავკასიაში შედიოდა კამბისენეც, რომელიც, გეოგრაფოსის მიხედვით, არმენიის „უკიდურესი ჩრდილოეთის“ მხარეს წარმოადგენდა (XI, 14, 4).<sup>3</sup> კამბისენე/კამბეჩოვანიც მდ. მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა.

ამდენად, გამოდის, რომ სტრაბონისეული არმენიის ზემოხსენებული ნაწილები, გეოგრაფოსის თვალსაზრისით, კავკასიის შემადგენლობაში განიხილება, დანარჩენი ქვეყანა კი – „კავკასია/კავკასოსის“ გარეთ.

კავკასია გარკვეული გეოგრაფიული სივრცეა პლუტარქოსისთვისაც (ახ. წ. I-II სს.). ერთგან ავტორი ლუკულუსს ათქმევინებს: „იქვეა კავკასოსი

<sup>1</sup> იქვე, გვ. 189.

<sup>2</sup> დანვრ. იხ.: ვაშაკიძე, *კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე*, გვ. 172-173 (ლიტ. იხ. იქვე).

<sup>3</sup> ყაუხჩიშვილი, *სტრაბონის გეოგრაფია*, გვ. 188.

მრავალი მითითა და ხეობით, რომელთაც [შეუძლიათ] უამრავი მეფე, ბრძოლას თავს რომ არიდებს, დაიცვას და შეიფაროს“ (ლუკულუსი, XIV).<sup>1</sup> პლუტარქოსმა იცის, რომ აქ არაერთი ხალხი ბინადრობს. მაგ., პომპეუსი „იძულებული იყო მითრიდატესისკენ დაძრულიყო იმ ხალხების გავლით, კავკასოსზე რომ ცხოვრობდნენ. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ალბანები და იბერები არიან. იბერები მოსხოსის მთებამდე და პონტოსამდე არიან დასახლებულნი, ხოლო ალბანები აღმოსავლეთით – კასპიის ზღვამდე“ (პომპეუსი, XXXIV).<sup>2</sup> კავკასოსის მცხოვრებთაგან ბერძენი ავტორი აგრეთვე ასახელებს ამადონებს და მათსა და ალბანებს შორის მყოფ გელებსა და ლეგებს.<sup>3</sup>

უაღრესად საყურადღებოა, რომ პლუტარქოსი თავის თხზულებაში „ალექსანდრიული ანდაზების შესახებ“ (I, 1, 10) კავკასიის მკვიდრთ ერთი საერთო სახელითაც მოიხსენიებს. მისი თქმით, „კავკასიანები შვილების გაჩენისას ტირიან, ხოლო გარდაცვალებისას მხიარულობენ“.<sup>4</sup> ე. ი. ცნობის ავტორისათვის კავკასიაში „კავკასიანები“, ანუ კავკასიელები ცხოვრობენ. გავიხსენოთ სტრაბონის გამოთქმა, რომ დიოსკურიაში სავაჭროდ თავს იყრიან 70 ტომის წარმომადგენლები, რომლებიც „ყველანი კავკასიელები არიან“.

„კავკასია/კავკასოსი“ უამრავ ბერძენ და ლათინურენოვან ავტორთან იხსენიება. ის არის „სამყაროს ერთ-ერთი ძალიან ცნობილი მხარე“,<sup>5</sup> რომლის ერთიან სივრცედ გააზრება, როგორც კვლევამ აჩვენა, პირველად სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დასტურდება. ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ სტრაბონია ის ავტორი, რომელმაც თავისი დროისთვის ცნება „კავკასია/კავკასოსი“ ერთ გეოკულტურულ არეალს დაუკავშირა და მისი საზღვრებიც მოხაზა.

<sup>1</sup> პლუტარქოსი, *პარალელური ბიოგრაფიები*, გვ. 314.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 318.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 319.

<sup>4</sup> პლუტარქოსი, *ალექსანდრიული ანდაზების შესახებ*, გვ. 325.

<sup>5</sup> გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), *ბუნების ისტორია*, გვ. 587.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა** – აპოლონიოს როდოსელი, *არგონავტიკა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 175-194.

**არისტოტელე, არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია** – არისტოტელე, *არისტოტელეს კორპუსი, მეტეოროლოგია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 151-160.

**გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), ბუნების ისტორია** – გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი), *ბუნების ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 581-594.

**დიოდოროს სიცილიელი, ბიბლიოთეკა** – დიოდოროს სიცილიელი, *ბიბლიოთეკა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 208-223.

**ესქილე, მიჯაჭვული პრომეთეისი** – ესქილე, *მიჯაჭვული პრომეთეისი*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 77-83.

**თეოკრიტოსი, იდილიები** – თეოკრიტოსი, *იდილიები*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 165-167.

**პლუტარქოსი, ალექსანდრიული ანდაზების შესახებ** – პლუტარქოსი, *ალექსანდრიული ანდაზების შესახებ*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 325-326.

**პლუტარქოსი, პარალელური ბიოგრაფიები** – პლუტარქოსი, *პარალელური ბიოგრაფიები*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 312-323.

**პოლიბიოსი, ისტორია** – პოლიბიოსი, *ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 195-199.

**სტრაბონი, გეოგრაფია** – სტრაბონი, *გეოგრაფია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 224-305.

**ჰეკატეოს მილეტოსელი, დედამიწის აღწერა** – ჰეკატეოს მილეტოსელი, *დედამიწის აღწერა*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 61-64.

**ჰეროდოტოსი, ისტორია** – ჰეროდოტოსი, *ისტორია*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, I, წყაროები, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2022, გვ. 89-111.

**ასათიანი, აორსები** – ასათიანი ვ., *აორსები*, „ანტიკური კავკასია“, II, 1, თბილისი, 2014, გვ. 112.

**გორდეზიანი, ჰენიოხები** – გორდეზიანი რ., *ჰენიოხები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 204.

**გორდეზიანი, აქეელები/აქეველები** – გორდეზიანი რ., *აქეელები/აქეველები*, „ანტიკური კავკასია“, II, 1, თბილისი, 2014, გვ. 180-181.

**გორდეზიანი, უგულავა, კავკასია/კავკასოსი** – გორდეზიანი რ., *უგულავა გ., კავკასია/კავკასოსი*, „ანტიკური კავკასია“, ენციკლოპედია, III, თბილისი, 2018, გვ. 26-32.

**დარჩია, საკასენე** – დარჩია ი., *საკასენე*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 28.

**დარჩია, სირაკები** – დარჩია ი., *სირაკები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 52-53.

**ერქომაიშვილი, ტიბარენები** – ერქომაიშვილი მ., *ტიბარენები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 94-95.

**ვაშაკიძე, კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე** – ვაშაკიძე ვ., *კავკასია უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე*, ნიგნში: „კავკასიის ისტორია“, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, ტ. I, თბილისი, 2023, გვ. 41-196.

**ვაშაკიძე, საზღვრის ცნება** – ვაშაკიძე ვ., *საზღვრის ცნება კლასიკური და მომდევნო ხანის ბერძნულენოვან ტექსტებში*, „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“, 3, 2022, გვ. 36-49.

**ვაშაკიძე, ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა** – ვაშაკიძე ვ., *ტერმინ „კავკასიის“ წარმომავლობა და ეტიმოლოგია*, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, XX, 2020, გვ. 77-90.

**ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები** – ლომოური ნ., *ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ*, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 35, თბილისი, 1963, გვ. 3-35.

**ნადარეიშვილი, ჯიქები/ზიგები/ძიგები** – ნადარეიშვილი ქ., *ჯიქები/ზიგები/ძიგები*, „ანტიკური კავკასია“, IV, 2, თბილისი, 2021, გვ. 195-196.

**ნადარეიშვილი, გორგიპია** – ნადარეიშვილი ქ., *გორგიპია*, „ანტიკური კავკასია“, II, 2, თბილისი, 2016, გვ. 70-72.

**ნადარეიშვილი, კერავნიის მთები** – ნადარეიშვილი ქ., *კერავნიის მთები*, „ანტიკური კავკასია“, III, თბილისი, 2018, გვ. 257.

**ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის** – ყაუხჩიშვილი თ., *კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, ჰენიოხები*, „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1980, №4, გვ. 57-77.

**ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები** – ყაუხჩიშვილი თ., *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები*, თბილისი, 1976.

**ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია** – ყაუხჩიშვილი თ., *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი, 1957.

**Подосинов, Скржинская, Римские географические источники** – Подосинов А. В., Скржинская М. В., *Римские географические источники: Помпоний Мела и Плиний старший*, Тексты, перевод, комментарии, Москва, 2011.

## Understanding the Caucasus as a Unified Geographical Space in Ancient Writings

### Summary

The term “Caucasus” (or “Caucasos”) as a geopolitical concept in its modern sense began to take shape in the 19<sup>th</sup> century, although the name itself appears in ancient sources. Since the relations between the Greco-Roman world and the Caucasus occurred in several stages and the knowledge of ancient authors about the region gradually deepened over time, the content of the term itself also changed. For example, if in the works of Hecataeus of Miletus and Aeschylus, “Caucasus” referred to a specific mountain or ridge, by the time of Herodotus, however, the term described a mountain system, “the most extensive and the highest”, with branches covering a broad area inhabited by several tribes. Later, the campaign of Alexander the Great in Asia, the expansion of the Roman Empire to the east, the wars of Mithridates VI Eupator, or the Roman-Parthian conflict, further contributed to the collection of diverse information about the Caucasus and the peoples inhabiting it in Greek and Latin writings.

This work aims to determine when the term “Caucasus” came to represent a specific geocultural space and, to the extent possible, to define its geographical boundaries. A study of Greek and Latin texts reveals that Strabo was the first among ancient authors to recognize “Caucasus” (or “Caucasos”) as a unified geocultural region. According to his “Geography”, Strabo defined the north-western and western border of the Caucasus as stretching along the Black Sea coast from Gorgippia (modern-day Anapa) to Trapezus (modern-day Trabzon). The eastern border extended along the Caspian Sea coast from the easternmost part of the Caucasus Range to the confluence of the Mtkvari River. To the north, the Caucasus was bounded by a strip of steppe stretching between the Caspian and Black Seas. The southern border followed an imaginary line from the mouth of the Mtkvari River to the Black Sea, proceeded along the mountains of Moskhs and Colchs to the residence of the Tibarenians, and abutted the Black Sea along the coast of Colchis, likely near Trabzon. The same author clearly notes that many ethnic groups (specifically seventy according to his “Geography”) inhabited the Caucasus, encompassing “all Caucasians”. For Strabo, the “Caucasus” (or “Caucasos”) was a unified geocultural space with clearly defined boundaries, inhabited by a diverse array of Caucasian peoples.



**დასავლეთ საქართველოს მმართველთა იტინერარები  
IX-X საუკუნეებში (ქართლში, კახეთსა და  
ჰერეთში ყოფნის ნიმუშების მიხედვით)**

სტატიაში განხილულია დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის მეფეთა იტინერარების ნიმუშები, უმთავრესად საისტორიო თხზულების „მატიანე ქართლისაჲ“-ს მონაცემების საფუძველზე (კონსტანტინე III-ის ჰერეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია აგრეთვე ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის მონაცემები).<sup>1</sup> წარმოდგენილ მასალას შესაბამისი პერიოდის მმართველთა იტინერარების შესახებ გარკვეულწილად წინასწარი ხასიათი აქვს. კონკრეტული მმართველების იტინერარებთან დაკავშირებული მონაცემები უნდა შეივსოს სხვა, სათანადო წყაროების საფუძველზე. ამდენად, მოტანილი მასალა თავისთავად სრულად არ ასახავს აღნიშნული პერიოდის მმართველების იტინერარების სურათს შესაბამის რეგიონებში ყოფნის შესახებ და ცალკეულ შემთხვევებში დასკვნებსაც თუ მოსაზრებებსაც ერთგვარი წინასწარი ხასიათი ექნება. ზოგადად, მმართველების იტინერარების შესწავლა დამხმარე უნდა იყოს აგრეთვე ისტორიული მოვლენების ანალიზთან დაკავშირებით.

ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უშუალოდ მეფის, მმართველის იტინერარი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, თუმცა სამეცნიერო ნაშრომებში შესაბამისი ყურადღება აქვს დათმობილი სახელმწიფოს მგზავრობის, მეფის გადაადგილების საშუალებით მართვის პრობლემას (რაც წარმოადგენს სამეფო იტინერარის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს).<sup>2</sup>

<sup>1</sup> სტატია მომზადდა მოხსენების საფუძველზე, რომელიც წაკითხული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ღონისძიებაზე – „საისტორიო საუბრები“ (23 თებერვალი, 2024).

<sup>2</sup> მეფის მიერ სახელმწიფოს გადაადგილების საშუალებით მართვის, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის (მეფის რეზიდენციებისა და სასახლეების, მეფის სტუმრობის და სამეფო კარის უზრუნველყოფის, სამეფო დომენის, სამეფო მამულების, სამეფო მეურნეობის, აგრეთვე ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის, რაც გარკვეულ ანალოგიას ქმნის სამეფო მფლობელობაში არსებული ვითარებისთვის, ბატონის გამასპინძლების ვალდებულების, „შედგომის“, „დგომის“ წესის) შესახებ იხ. მაგ.: ივ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია*, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 115-116; ბ. ლომინაძე, *ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში*, მსპი, ნაკვ. 30, 1954, გვ. 101-114; მ. ლორთქიფანიძე, *გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა (VI ს.*

შესაბამისი პერიოდის დასავლეთ საქართველოს მმართველების იტინერარებზე მუშაობის დროს უმთავრესად ვემყარები მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება შუა საუკუნეების გერმანიის სახელმწიფოს მეფეთა თუ იმპერატორების იტინერარებისადმი მიძღვნილ კვლევებში. აქვე მოკლედ შევეხები უშუალოდ შესაბამის სამუშაო ტერმინთან, „იტინერართან“ დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს.

**ტერმინი იტინერარი.** ტერმინი „იტინერარი“ (მისი საწყისი მნიშვნელობისგან – კონკრეტული მარშრუტის აღწერილობა, სამოგზაურო წიგნი, მოთხრობა პილიგრიმული მოგზაურობის შესახებ – დამოუკიდებლად) კვლევაში გამოიყენება როგორც სისტემატურ-მეთოდური სახით შექმნილი ინსტრუმენტი შესაბამისი მასალის ანალიზისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში იტინერარი არის უმთავრესად დოკუმენტური ან, ზოგადად, ნებისმიერი სახის წყაროდან მიღებული ან შექმნილი მონაცემთა გარკვეული ერთობლიობა (კონსტრუქტი), პერსონის/პერსონათა ჯგუფის (მოცემულ შემთხვევაში მმართველების) სამოგზაურო გზასთან მიმართებაში, რომელიც იქმნება სივრცესა და დროსთან დაკავშირებული ცნობების საფუძველზე, წარმოდგენილია ტაბელარული და/ან კარტოგრაფიული სახით. შუა საუკუნეების გერმანიის სახელმწიფოს მმართველთა იტინერარების შესწავლისთვის წყაროთა ბაზისს ქმნიან გერმანელი იმპერატორების და მეფეების საბუთები,

---

– XIII ს. დამდეგამდე), წიგნში: დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია, *ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან*, ნაწილი I, *გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა*, თბილისი, 1967, გვ. 59-60; მ. ბერძენიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიური ნარკვევი)*, თბილისი, 1970, გვ. 65-66, 70; ივ. სურგულაძე, *საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში IV-X საუკუნეებში*, ძსის, I, 1973, გვ. 195-204; ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი VII, თბილისი, 1974, გვ. 53, 97-100, 113-114, 116; ზ. ხიდურელი, *სამეფო დომენის საკითხისათვის XI-XV სს-ის საქართველოში*, სპ, VII, 1977, გვ. 268-287; ა. ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი, 1979, გვ. 109-123; ქ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა“ და მისი სოციალური არსი)*, თბილისი, 1979, გვ. 53-61; დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, II, თბილისი, 1980, გვ. 150-151, 208-209; ი. ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, თბილისი, 1983, გვ. 8, 11, 13-14, 45-48, 74-75, 143-144, 153, 184-185, 190-191, 205-206, 209-210, 213-214, 216, 228; ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, მეორე გამოცემა, თბილისი, 1990, გვ. 344-345; ი. ანთელავა, *დავითისა და თამარის სახელმწიფო*, თბილისი, 1991, გვ. 11-12, 14-18, 33, 45, 75, 87, 89-90, 92, 98-99, 101-102, 105-106, 210-211, 216; მ. ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, თბილისი, 2003, გვ. 314-317.

რომელთაც იკვლევენ საბუთის დასკვნით ნაწილში მოცემული გაცემის ადგილის და დროის მიხედვით.<sup>1</sup>

მმართველის „იტინერარში“ თავსდება მონაცემები მეფის გზაზე, მისი მეფედ კურთხევის ადგილიდან მისი გარდაცვალების ადგილამდე, შესაბამისი გაჩერების ადგილების, გეოგრაფიული პუნქტების თუ მეფის გადაადგილებების და შესაბამის ადგილებზე ყოფნის შესახებ.<sup>2</sup> მეფის ერთიანი იტინერარი იყოფა „ეტაპებად“ (რომელთა ხანგრძლივობა თუ რომელთა ფარგლებში დაფარული სივრცის მოცულობა ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს). მეფის დოკუმენტურად დადასტურებული, ნებისმიერი ადგილზე ყოფნა, რომელიც ერთ დღეზე მეტია, გააზრებულია როგორც იტინერარის ეტაპი. შესაბამის მხარეებში მეფის ყოფნის შესახებ მონაცემების დადგენა ხდება აგრეთვე ნარატიული წყაროების საშუალებით.<sup>3</sup>

სამეცნიერო კვლევაში ტერმინი „იტინერარი“ ხმარებაშია მრავლობითი ფორმითაც, ის აგრეთვე შესაძლებელია მოცემული იყოს კონკრეტული „ეტაპის“ აღსანიშნავად.<sup>4</sup> ქართულენოვანი მასალის დამუშავებისას, უპირატესობას ვანიჭებ ტერმინის ორივე სახით სარგებლობას, შესაბამისი კონტექსტის მიხედვით (ცალკეული მეფის იტინერარი/იტინერარები). გადაადგილების კონკრეტული მონაკვეთისთვის მართებულად მიმაჩნია როგორც ტერმინი „ეტაპის“, აგრეთვე ტერმინების „იტინერარი“, „გადაადგილების ნიმუში“, „გადაადგილების მონაკვეთი“, გამოყენება.

იტინერარების კვლევის ფარგლებში შეისწავლება იმგვარი საკითხები როგორც არის, მაგ., ადგილის მონახულების სიხშირე, ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა, სახელმწიფოს მართვა მეფის გადაადგილების საშუალებით, მეფის სტუმრობა, სამეფო საკუთრება, დედაქალაქის და დედაქალაქის გარეთ მდებარე სამეფო რეზიდენციების ურთიერთმიმართება, რეგიონების მნიშვნელობა და სხვა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Heit, *Itinerar*, სვ. 772-774.

<sup>2</sup> Müller-Mertens, *Die Reichsstruktur*, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>4</sup> მაგ. ჰაინრიხ II-ის იტინერარი 1017 წელს (Schieffer, *Von Ort zu Ort*, გვ. 14); მეფის იტინერარები (Kilian, *Itinerar Kaiser Heinrichs IV.*, გვ. VI); ფრიდრიხ I-ის გადაადგილებებთან დაკავშირებით აგრეთვე სავარაუდოდ საუბარი უნდა იყოს იტინერარებზე (Oppl, *Der Weg des Kaisers*, გვ. 178.); ჩ. მელვილი მის გამოკვლევაში უპირატესობას ანიჭებს შესაბამის მმართველთან მიმართებაში ტერმინის მრავლობით რიცხვში გამოყენებას (Melville, *The Itineraries of Sultan Öljaitü*, გვ. 55-70), თუმცა მკვლევარის ნაშრომში ტერმინს ვხვდებით მხოლოდ რიცხვშიც, როგორც მეფის სხვადასხვა გადაადგილების ერთობლიობას (იქვე, გვ. 61).

<sup>5</sup> მეფის იტინერარების, იტინერარებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ იხ. აგრეთვე, მაგ.: H. C. Peyer, *Das Reisekönigtum des Mittelalters*, „Vierteljahrschrift für Sozial- und Wirtschaftsgeschichte“ 51, 1964, გვ. 1-21; B. Heusinger,

**IX-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მმართველთა იტინერარი.** აღნიშნული პერიოდის მმართველთა იტინერარისთვის ძირითად წყაროს წარმოადგენს თხზულება „მატიანე ქართლისაჲ“. ცალკეულ მეფეებთან, ხშირად განმგებლობის მრავალი წლისათვის, მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ერთი, ორი ან რამდენიმე იტინერარის შესახებ. აფხაზეთის სამეფოსთვის იმგვარ მნიშვნელოვან მეფესთან დაკავშირებით, როგორც გახლდათ ლეონ II, ფაქტობრივად არ არის შემონახული პირდაპირი ხასიათის ცნობები მის იტინერართან დაკავშირებით.

იტინერარების ნიმუშებში უმთავრესად მოცემულია ერთი, ორი ან რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტის დასახელება. შემდეგ სასურველი უნდა იყოს იტინერარების ეტაპების გარკვეული შევსება სავარაუდოდ მონახულებული ადგილების შესახებ მონაცემების საშუალებით. სირთულეებს უკავშირდება მარშრუტების სათანადო დათარიღება, რაც იტინერარის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

იტინერარები გადაადგილების ნიმუშებად, ეტაპებად, დაყვავი ცალკეული მოვლენების აღწერის მიხედვით, რომლებიც კონკრეტულ, ერთი შინაარსით შეკრულ ერთეულებს ქმნიან მონათხრობში. ამგვარ დაყოფაში გარკვეული პირობითობა მოცემულია. რადგან ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გაჩნდეს კითხვა, სად სრულდება იტინერარის ერთი ეტაპი და სად იწყება მომდევნო. იტინერარების ცალკეული ეტაპები შესაბამისად არის დანომრილი, რაც დამხმარეა მასალის განხილვის დროს. ეტაპების დანომვრა აგრეთვე პირობითია. იტინერარების ცალკეული ეტაპებისთვის მიჯნების განსაზღვრის სირთულესთან ერთად, დამატებითი მასალების გათვალისწინებისას იტინერარების რაოდენობა რიგ შემთხვევებში შეიცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოცემული მმართველების იტინერარების ნიმუშები არ არის მრავალრიცხოვანი, სტატიაში განსახილველი მასალა გასცდა იმ ფარგლებს, რისი დამუშავებაც თავიდან იყო დაგეგმილი. გამომდინარე აღნიშნული გარემოებიდან, სტატიაში ანალიზი უკეთდება მხოლოდ იმ იტინერარებს, რომლებიც უკავშირდება მმართველი მეფეების ქართლში, კახეთსა თუ ჰერეთში სტუმრობას ან სათანადო ღონისძიებების წარმართვას (ზემოხსენებული მიზეზის გამო სტატიაში აგრეთვე არ არის მოტანილი განმარტებები თუ მოსაზრებები ცალკეული გეოგრა-

---

*Servitium regis in der deutschen Kaiserzeit, Untersuchungen über die wirtschaftlichen Verhältnisse des deutschen Königtums 900-1250, Berlin, Leipzig, 1922; C. Brühl, Fodrum, Gistum, Servitium Regis, Studien zu den wirtschaftlichen Grundlagen des Königtums im Frankenreich und in den fränkischen Nachfolgestaaten Deutschland, Frankreich und Italien vom 6. bis zur Mitte des 14. Jahrhunderts, I. Text, Köln, Graz, 1968; J. W. Bernhardt, Itinerant Kingship and Royal Monasteries in Early Medieval Germany, c. 936-1075, Cambridge, 2002.*

ფიული პუნქტების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით). შესაბამისად, წარმოდგენილ მასალაში არ არის გათვალისწინებული ბაგრატ I-ის მარშრუტები, გიორგი II-ის იტინერარის I ეტაპი, ლეონ III-ის იტინერარის I ეტაპი და თეოდოსი III-ის გადაადგილების ნიმუშები. სტატიაში არ შემიტანია აგრეთვე არაპირდაპირი ხასიათის ინფორმაცია მმართველთა იტინერარების შესახებ (მაგ., ცნობები ტახტზე ასვლის, ეკლესიის აგების შესახებ და სხვა). იტინერარების ნიმუშებისთვის ცალკეული განმარტებები მოქცეულია კუთხოვან ფრჩხილებში.

**იტინერარების ნიმუშები.** დემეტრე II („მატიანე ქართლისაჲ“ აღნიშნულ შემთხვევაში იხსენიებს თეოდოსი [III]-ს, თუმცა კვლევაში უმთავრესად უპირატესობა ენიჭება თვალსაზრისს, რომ აქ საუბარი უნდა იყოს დემეტრე II-ს შესახებ<sup>1</sup>): [I] [ქუთაისი?] – კუერცხობი – დვალეთის გზა [ან: „გზა დასავლისა“; ბულა თურქის მიერ გამოგზავნილ სპასალარ ზირაქთან და ბაგრატ აშოტის ძესთან დამარცხების შემდეგ]<sup>2</sup> [853 წ.];

გიორგი I: [ქუთაისი?] – ქართლი – ჩიხა – [ქართლის დაპყრობის შემდეგ ჩიხაში ერისთავის დატოვება] – [ქუთაისი?]<sup>3</sup> [აღნიშნული იტინერარი თავსდება გიორგი I-ის მმართველობის, 861-868 წწ., ფარგლებში];

კონსტანტინე III: [I] [ქუთაისი?] – ქართლი, უფლისციხე – უფლისციხე [კონსტანტინე აფხაზთა მეფე ქართლის დაკავების შემდეგ დამარცხდა სუმბატ სომეხთა მეფესთან ბრძოლაში და ჩავარდა ტყვედ, თუმცა საბოლოოდ სომხეთის მეფემ კონსტანტინეს ქართლი და უფლისციხე დაუბრუნა]<sup>4</sup> [904 წ.]; [II] [ქუთაისი?] – ჰერეთი, ვეჟინის ციხე [კვირიკე ქორეპისკოპოსის მიწვევით ვეჟინის ციხის ალყა] – ალავერდი [ალავერდის მოლოცვა] – [ქუთაისი?]<sup>5</sup> [914 წლიდან რამდენიმე წლის, გარკვეული დროის შემდეგ];<sup>6</sup>

გიორგი II: [I] [ქუთაისი?] – უფლისციხე [გიორგი II-ის მიერ უფლისციხეში თავისი შვილის, კონსტანტინეს, აჯანყების ჩახშობა] – [ქუთაისი?];<sup>7</sup> [სავარაუდოდ გიორგი II-ის მეფობის დასაწყის პერიოდში] [II] [ქუთაისი?] – კახეთი – [გარდაბანელი აზნაურების მიწვევით კახეთში ლაშქრობა] – [ქუთაისი?];<sup>8</sup> [სავარაუდოდ დაახ. 954/955 წწ.] [III] [ქუთაისი?] – ატენი – კახეთი [კვირი-

<sup>1</sup> ცაგარეიშვილი, *საქართველოში ბულა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის*, გვ. 110-111.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისაჲ*, გვ. 256.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 259.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 260-261.

<sup>6</sup> კონსტანტინე III-ის ჰერეთში ლაშქრობის დათარიღებისთვის იხ.: გლოველი, „*აფხაზთა სამეფო*“, გვ. 83-84.

<sup>7</sup> *მატიანე ქართლისაჲ*, გვ. 262-263.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 263.



კე მეფის ძმის, შურტას, მიერ გიორგი მეფისთვის უჯარმის ციხესიმაგრის გადაცემა. საბრძოლო ღონისძიებებთან დაკავშირებით მოხსენიებულია აგრეთვე ნახჭევანის, ბოჭორმის და ლონობანის ციხესიმაგრეები – მარანის ციხე – [მეფის შესახებ აღნიშნულია, რომ ის უშუალოდ იყო მარანის ციხესთან] – აფხაზეთი<sup>1</sup> [სავარაუდოდ დაახ. 955/956 წწ.];

ლეონ III: [ქუთაისი?] [ლეონ III-ის მეორე ლაშქრობა კახეთში] – არაგვის პირი, მუხნარი, ხერკი, ბაზალეთი – [ქუთაისი?]<sup>2</sup> [სავარაუდოდ დაახ. 966/967 წწ.];

აქვე წარმოვადგენ იტინერარების ნიმუშების განხილვას შესაბამისი სამუშაო საკითხების მიხედვით.<sup>3</sup> მოვიტან აგრეთვე ცალკეულ მოსაზრებებს იტინერარების გეოგრაფიული თუ ისტორიული კონტექსტების მიხედვით განმარტებასთან დაკავშირებით.

**იტინერარის სანყისი და ბოლო პუნქტი.** იტინერარების სანყისი და ბოლო პუნქტი თხზულებაში იშვიათ შემთხვევებშია მოცემული. საფიქრებელია, რომ ძირითადად ეს უნდა ყოფილიყო სამეფოს დედაქალაქი, ქუთაისი. თუმცა შესაძლებელი მარშრუტები დასაშვებია დაწყებულიყო დასავლეთ საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქიდან ან სამეფო რეზიდენციიდან და დასრულებულიყო აგრეთვე დედაქალაქის გარეთ. მარშრუტების შესახებ ინფორმაციაში უმთავრესად მონოდებულია ინფორმაცია მმართველის გადაადგილების შესახებ დანიშნულების პუნქტისკენ.

**იტინერარის მიზანდასახულობა.** მოცემული მარშრუტების უმრავლესობა დაკავშირებულია სამხედრო ღონისძიებებთან. საბრძოლო ქმედებებთან მიმართებაში ვხვდებით აგრეთვე იმგვარ საფუძველს გადაადგილებისთვის, როგორც არის მგზავრობის საშუალებით ქვეყნის მართვა.

**იტინერარის ინიციატორი.** იტინერარის ინიციატორი უმრავლეს შემთხვევებში არის შესაბამისი მმართველი, თუმცა ცალკეულ ნიმუშებში განსხვავდება გარე მოვლენების ზემოქმედების ხარისხი სათანადო გადანყვეტილების მიღებასთან მიმართებაში.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 263-264.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 265.

<sup>3</sup> სამუშაო საკითხებში „იტინერარის პროცენტულად შემონახული ნაწილი“, „ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა“, „მონახულების, ადგილზე ყოფნის სიხშირე“, „მმართველებისთვის მნიშვნელოვანი (ძირითადი, საბაზისო) მხარეები“ მასალა წარმოდგენილი მაქვს უშუალოდ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თეორიული ნაწინამძღვრების საფუძველზე. დანარჩენ შემთხვევებში ან ნაწილობრივ ამოვდივარ კვლევითი ლიტერატურის თეორიული ბაზისიდან, ან სამუშაო საკითხები ჩემს მიერ არის შეტანილი ჩამონათვალში.

**იტინერარი ერთი პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში თუ მის გარეთ.** „მატიანე ქართლისაჲ“-ში შემონახული იტინერარების ნიმუშების დამახასიათებელი ნიშანია, რომ ისინი მოცემულია უმთავრესად მაშინ, როდესაც ეტაპები ცდებიან ერთი პოლიტიკური ერთეულის ფარგლებს. ამგვარი სურათი ალბათ უკავშირდება იმ გარემოებასაც, რომ აფხაზეთის მეფეთა მოქმედებები იქცა საქართველოს სამეფოს გაერთიანების საფუძვლად (მაგ., კახეთის მმართველთა იტინერარები თხზულებაში პრაქტიკულად არ ჩნდება). მმართველების გადაადგილება საკუთარი პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში თავისთავად იქნებოდა ინტენსიური, მაგრამ აღნიშნული მარშრუტების აღწერა, როგორც ჩანს, არ შედიოდა საისტორიო თხზულების ავტორის ამოცანებში.

**იტინერარის პროცენტულად შემონახული ნაწილი.** გამომდინარე ზემოთქმულიდან, თხზულებაში იტინერარების პროცენტულად შემონახული ნაწილი უაღრესად მცირეა.

**ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა.** იტინერარების კვლევისთვის მნიშვნელოვანია მმართველთა შესაბამის რეზიდენციებში, ქალაქებში თუ სასულიერო ცენტრებში გაჩერების ხანგრძლივობის განსაზღვრა. თხზულებაში ამ კუთხით მოცემულია არაპირდაპირი ინფორმაცია. მაგ., გიორგი II აფხაზეთა მეფის III იტინერართან დაკავშირებით აღნიშნულია: მეფემ ატენში გაჩერების შემდეგ (სადაც, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო სამეფო რეზიდენცია ან სადგომი) „ანჯა ყოველი ლაშქარი კუალად შთასლვად კახეთად“. აღნიშნული ღონისძიებისთვის და მეფის გაჩერებისთვის შესაბამის ადგილზე, რადგან მას არ ჰქონდა საგანგებო ხასიათი, ალბათ უნდა ვივარაუდოთ, სულ მცირე, დაახლოებით ორი კვირა. გიორგი II აფხაზეთა მეფის მიერ უფლისციხის ალყა (I ეტაპი) მიმდინარეობდა, წყაროს მიხედვით, მრავალი დღის განმავლობაში. ამის შემდეგ საფიქრებელია მეფის ასევე საკმაოდ ხანგრძლივად ყოფნა უფლისციხესა და ქართლში, რაც აუცილებელი იქნებოდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის.

ხანგრძლივობის კრიტერიუმის გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე სხვა მოვლენებთან, მაგ., საბრძოლო ღონისძიებებთან მიმართებაში. გიორგი II-ის იტინერარის III ეტაპთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ კახეთში საბრძოლო მოქმედებები სავარაუდოდ დაიწყო შემოდგომაზე (ალბათ შემოდგომის დასაწყისში). აღწერილი სურათის მიხედვით, ბრძოლები მიმდინარეობდა ზამთრის განმავლობაში, რადგან კვირიკე ქორესპიკოპოზმა ითხოვა, რომ იმ ზამთარს არ აეღოთ ბოჭორმის ციხე და აღდგომის შემდეგ ის დატოვებდა თავის ქვეყანას. საფიქრებელია, რომ გიორგი II კახეთიდან გაემგზავრა დაახლოებით თებერვალში, კვირიკე ქორესპიკოპოსის



ვაჟიშვილის განთავისუფლების შემდეგ. ამდენად, საბრძოლო მოქმედებები შესაძლოა წარმოებდა 4-5 თვის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში.

საბრძოლო ღონისძიებების ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ მეფე პრაქტიკულად მრავალი თვის განმავლობაში არ იმყოფებოდა დედაქალაქში. მმართველობის ამგვარი რეჟიმი უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მოვლენა და არა გამონაკლისი. სახელმწიფოს მართვასთან თუ სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მეფის ადგილზე ყოფნა მუდმივად აუცილებელი იყო.

**მონახულების, ადგილზე ყოფნის სიხშირე.** „მატიანე ქართლისაჲ“-ში სამეფო სამყოფელის მონახულების სიხშირის მიხედვით, ინფორმაცია მოცემულია ატენთან დაკავშირებით (გიორგი II, III გადაადგილების ნიმუში). აღნიშნულია, რომ მეფე „კუალად დადგა ატენს“. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს სავარაუდო სამეფო რეზიდენციაში/სადგომში ორჯერ მისვლის ცნობა. უფლისციხის შესახებ მონაცემებს ვხვდებით სულ მცირე სამჯერ. მონახულების სიხშირის კრიტერიუმი წარმოაჩენს მმართველისთვის შესაბამისი ადგილების მნიშვნელობას.

**მმართველებისთვის მნიშვნელოვანი (ძირითადი, საბაზისო) მხარეები.** მონახულების სიხშირის კრიტერიუმის გამოყენებით შესაძლებელია აგრეთვე გარკვეული წარმოდგენის შექმნა მმართველებისთვის მნიშვნელოვან (ან ძირითად, საბაზისო) რეგიონებზე. უშუალოდ ქართლში ყოფნის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით შესაბამის ნიმუშებში დაახლოებით ოთხჯერ. მონახულების სიხშირის კრიტერიუმის საფუძველზეც შეიძლება აღინიშნოს, რომ შესაბამის პერიოდში, ქართლი, უფლისციხე და მის გარშემო არეალი, დანამდვილებით ქმნიდნენ აფხაზეთის მეფეებისთვის ერთ-ერთ საბაზისო (ძირითად) მხარეს. კახეთში ყოფნის შესახებ ცნობა მოცემულია ოთხ შემთხვევაში. მმართველის ყოფნა ნიმუშებში ძირითადად უკავშირდება საბრძოლო ღონისძიებებს, მაგრამ ყოფნის ამგვარი სიხშირე უნდა ადასტურებდეს შესაბამისი რეგიონის მნიშვნელობას დასავლეთ საქართველოს მეფეებისთვის.

**გადაადგილების სისწრაფე / მანძილის დაფარვისთვის აუცილებელი დრო.** მეფის და მისი კორტეჟის რეგულარული გადაადგილების სისწრაფის გამოთვლისთვის დამხმარე უნდა იყოს იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობის აღწერილობა, სადაც წარმოდგენილია მონაცემები მეფე ერეკლეს იტინერარის შესახებ (მგზავრობის ფორმებთან დაკავშირებით ადრეული შუა საუკუნეების შემდეგ ცალკეულ ცვლილებებს თავისთავად შეიძლება ვხვდებოდეთ, მაგრამ მიმოსვლის სისწრაფესთან დაკავშირებით აღნიშნული გვიანდელი მაგალითის გამოყენება, ჩემი აზრით, მეთოდოლოგიურად დასაშვებია უნდა იყოს).

კახეთში მოგზაურობისას, ცხენების საშუალებით გადაადგილების დროს, მეფე ერეკლეს მრავალრიცხოვანმა კორტეჟმა, რომელთან ერთადაც მოგზაურობდა იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რეგულარული, არა შედარებით სწრაფი მგზავრობის ფარგლებში, ერთ შემთხვევაში, ერთი დღის განმავლობაში, დაფარა მანძილი სოფელ ნავთლულიდან საგარეჯომდე.<sup>1</sup> ცალკეული მონაცემების გიულდენშტედტს მოცემული აქვს გადაადგილების სისწრაფის კონკრეტული ნიმუში: ლოჭინიდან მდ. იორამდე მანძილი, 16 ვერსი (დაახ. 17 კმ.), დაიფარა 3 საათის ფარგლებში.<sup>2</sup> თბილისიდან (დაახ. ნავთლულის მიმდებარე ტერიტორიიდან) დღევანდელი საგარეჯოს ცენტრამდე მანძილი შეადგენს პირდაპირი ხაზით 41.14 კმ-ს, ხოლო სამანქანო გზით – 44.73 კმ-ს.<sup>3</sup> ამდენად, მეფის და მისი თანმხლებლების მგზავრობისთვის მოცემულია დღიური მანძილი, დაახლოებით 42/45 კმ.

მეორე დღეს მეფის კორტეჟმა დაფარა მანძილი საგარეჯოდან სოფელ ქოდალომდე.<sup>4</sup> აღნიშნული მანძილი პირდაპირი ხაზით შეადგენს 34.49, ხოლო სამანქანო გზით – 45.05 კმ-ს (თუმცა სოფელ მანავიდან შემოვლითი გზით, სოფლების ბადიაურის და კაჭრეთის გავლით).<sup>5</sup> შესაბამისად, ერთი დღის განმავლობაში დაფარული მანძილი შეადგენდა დაახლოებით 36/38 კმ-ს. მოცემული მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ შესაბამის შემთხვევებში მეფის კორტეჟის გადაადგილების სისწრაფისთვის ვივარაუდოთ პირობითად დაახ. 40/45 კმ. (სავარაუდო სისწრაფის მონაცემები მომავლეს მხოლოდ მიახლოებითი სახით, სხვა მაგალითების განხილვის საფუძველზე აუცილებელი იქნება მათი დაზუსტება). განხილულ ნიმუშებში გასათვალისწინებელია, რომ გადაადგილდებოდნენ ზამთარში (თებერვლის თვეში). მეორე დღეს მგზავრობა მიმდინარეობდა თოვის პირობებში. მეფე ერეკლეს თან ახლდა 1.000 მხედარი.<sup>6</sup> მოტანილი მონაცემების საფუძველზე, უფრო მეტად თბილ თვეებში მეფის კორტეჟის რეგულარული, საკმაოდ ინტენსიური სახის, გადაადგილებისთვის შესაძლებელია ალბათ ვივარაუდოთ დაახ. 45/50 კმ. დღეში (თუმცა, სათანადო კლიმატურ პირობებში გადაადგილება ალბათ შესაძლებელია ყოფილიყო არანაკლებ სწრაფი გვიანი შემოდგომის, ზამთრის ან ადრეული გაზაფხულის დროს). შესაბამის

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 16-19.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 16-17. ერთი ვერსი უდრის 1066,781 მეტრს (Прозоровский, *Верста*, გვ. 51-52).

<sup>3</sup> იხ. ვებგვერდი: <https://www.distance.to/> (გადამონმების თარიღი: 15 ივლისი, 2024).

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 18-21.

<sup>5</sup> ვებგვერდის <https://www.distance.to/> მონაცემების მიხედვით (გადამონმების თარიღი: 15 ივლისი, 2024).

<sup>6</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 14-15.

ვითარებაში, თანმხლებლების რაოდენობის, რელიეფის, მგზავრობის კონკრეტული მიზეზის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, თავისთავად მოცემული იქნებოდა უფრო სწრაფი ან უფრო ნაკლები სისწრაფის მარშრუტები. უკვე იმ ნიმუშებისთვის, სადაც არ არის მოცემული გადაადგილების პირდაპირი სისწრაფე, მაგრამ ვიცით იტინერარის ეტაპის საწყისი და ბოლო პუნქტი, შესაძლებელია განისაზღვროს გადაადგილების სავარაუდო სისწრაფე და ხანგრძლივობა მეფეთა მგზავრობის დროს.

**„იტინერარის არათანაბარი ეტაპი“.** ზოგადად, განხილული იტინერარების ეტაპები ხანგრძლივობის თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება. სავარაუდოდ აგრეთვე განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა შემთხვევაში ერთსა და იმავე ადგილზე გაჩერების დრო. კონსტანტინე III-ის II გადაადგილების ნიმუშში, მკვეთრად უნდა განირჩეოდეს ერთმანეთისგან სამიზნე ადგილზე მისვლის და უკან დაბრუნების დრო (უკან დაბრუნების დრო ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის მიხედვით). ამგვარ ვითარებაში ალბათ დასაშვებია უნდა იყოს პირობითი სამუშაო ტერმინის, „იტინერარის არათანაბარი ეტაპი“, ხმარება.

**გამოყენებული მარშრუტების საკითხი.** მარშრუტებთან მიმართებაში უმთავრესად მინდა გამოვყო ქართლის და იმერეთის დამაკავშირებელი გზის საკითხი. გამოყენების სიხშირის კრიტერიუმის მიხედვით, არსებული ცნობების საფუძველზე, აღნიშნულ პერიოდში მოცემული მარშრუტი ფლობს უპირატესობას.

სამეცნიერო კვლევაში მართებულად არის აღნიშნული: დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ძირითადი მარშრუტი მისდევდა მდინარეების რიონის და ყვირილას ხეობებს. ლიხის ქედის გადალახვა შესაძლებელი იყო ექვს ან შვიდ ადგილზე. გადასასვლელები თანაბრად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა სხვადასხვა დროს შესაძლოა უპირატესობა მიენიჭებინათ რომელიმე მათგანისთვის. ზოგადად, შუა საუკუნეების მარშრუტებისთვის დამახასიათებელი გახლდათ გარკვეული სტაბილურობა. თუმცა მარშრუტებს არ ჰქონდათ მუდმივი ხასიათი. შესაბამის ცვლილებებს განაპირობებდა ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.<sup>1</sup>

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობები ქართლი-იმერეთის დამაკავშირებელი გზის შესახებ უმთავრესად არის არაპირდაპირი. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია, მაგ., აფხაზთა მეფე გიორგი I-ის მიერ ქართლიდან დაბრუნებისას ჩიხაში ერისთავის დადგენის შესახებ, მოცემულია პირდაპირი ხასიათის ცნობა. აღნიშნულ ცნობას ნ. ბერძენიშვილი იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონთან დამონმებულ გზასთან მიმართებაში (შესაბამისი გეოგრაფიული პუნქტის, ჩი-

<sup>1</sup> *Historical Atlas of Georgia*, გვ. XXV-XXVI.

ხას, დაფიქსირებას მარშრუტში), რომელიც იწყება სოფელ ატოციდან და თილვას მონასტერის, პერანგას მთის, ჭალას გავლით ჩადის ჩიხაში.<sup>1</sup> თუმცა ნ. ბერძენიშვილი არ აღნიშნავს, რომ გიორგი I-ს აუცილებლად უნდა ესარგებლა დასახლებული მარშრუტით. ლიხის ქედის გავლით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზების შესახებ დეტალური ცნობები მოცემულია ნ. ბერძენიშვილის, ჯ. გვასალიას შესაბამის ნაშრომებში.<sup>2</sup> შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება, რომ მგზავრობის ზემოხსენებულ ნიმუშში მეფეს შეეძლო აგრეთვე ესარგებლა ჯვარ-კორტოხის ან ჯვარის გადასასვლელით.

მეორე პირდაპირი ცნობა მოცემული პერიოდის შესაბამისი მარშრუტის შესახებ წარმოდგენილია ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერაში, სადაც კონსტანტინე III-ის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით მოხსენიებულია სოფელი ბრეძა.<sup>3</sup> ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაშიც თითქოს უნდა იგულისხმებოდეს დღევანდელი რიკოთის უღელტეხილის ჩრდილოეთით მდებარე ერთ-ერთი მარშრუტი (სოფლების წნელისის, გვირგვინას, ადგილი ჯვარის გავლით).<sup>4</sup> სოფელ ბრეძადან შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ასევე ულუმბო-დედაბერას გადასასვლელითსარგებლობა დასავლეთ საქართველოში მოხვედრისთვის (ჯ. გვასალია ამ უკანასკნელ მარშრუტს მოიხსენიებს XI-XIV საუკუნეების გზებთან მიმართებაში, თუმცა, ჩემი აზრით, დასაშვები უნდა იყოს, რომ გზა მოქმედი ყოფილიყო უფრო ადრეულ პერიოდშიც, მაგ. IX-X საუკუნეებში). ამასთანავე, როგორც სოფელ ბრეძადან, ასევე უფრო სამხრეთიდან რეგულარულ გამოყენებაში უნდა ყოფილიყო დაახლოებით იმ მარშრუტის შესატყვისი გზა, რომელიც სოფელ გომიდან მიემართება ზემო იმერეთისკენ (სოფელ ბრეძადან მარშრუტის უფრო ჩრდილოეთი მონაკვეთიდან).

დემეტრე II-ს ქართლში დამარცხების შემდეგ უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება“ გვთავაზობს ორ შესაძლებლობას, დვალეთის ან დასავლეთის გზით უკან დაბრუნებას. ზოგადად, როგორც ცნობილია, უპირატესობა ენიჭება შესაბამისი ადგილის იმ ნაკითხვას, სადაც საუბარია მეფის დვალეთის გზით წასვლის შესახებ, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ და მაჩაბლისეულ რედაქციებში შესაბამის შემთხვევაში მოცემულია ფორმა „გზა დასავლისა“.<sup>5</sup> ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ

<sup>1</sup> ბერძენიშვილი, *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, გვ. 30-31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 30-36; გვასალია, *ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, გვ. 3-7, 13 (სქემა 2, IV-X სს.), 16 (სქემა 3, XI-XIV სს.).

<sup>3</sup> მეფისაშვილი, *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*, გვ. 112.

<sup>4</sup> [ნუცუბიძე], *ბრეძა*, გვ. 361.

<sup>5</sup> აღნიშნულ ნაკითხვას ენიჭება უპირატესობა ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ჯ. გვასალიას ნაშრომებში: ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, გვ. 72; ბერძენიშ-

დემეტრე II-ს ქართლში მოცემული გადმოსვლა გარკვეულ ნიშნულს უნდა ქმნიდეს. ნყაროებში წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე, ეს გახლდათ დამოუკიდებელი სახით აფხაზ მეფეთა პირველი გამოჩენა ქართლში (უფრო ადრე თეოდოსი II ქართლში ბრძოლების დროს დახმარებას უწევდა აშოტ კურაპალატს). საფიქრებელია, რომ მეფე უმთავრესად მოქმედებდა ქართლის დასავლეთ ან უკიდურეს დასავლეთ ნაწილში. ჩნდება ასევე კითხვა, რომ ამ დროისთვის აფხაზთა მეფეს უკვე ხომ არ ქონდა ქართლის უკიდურესი დასავლეთი ნაწილი თავის დაქვემდებარებაში მოქცეული ან ხომ არ ცდილობდა იქ თავისი ძალაუფლების გავრცელებას. ზოგადად, თეოდოსი II-დან კონსტანტინე III-მდე მოცემული უნდა იყოს ქართლში აფხაზ მეფეთა ძალაუფლების ერთგვარი თანდათანობითი გავრცელების სურათი.

განხილული პირდაპირი ხასიათის ცნობებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ IX-X საუკუნეებში აფხაზთა მეფეები აღმოსავლეთ საქართველოსთან კომუნიკაციისთვის უპირატესობას ანიჭებდნენ ლიხის ქედზე დღევანდელი რიკოთის უღელტეხილის უფრო ჩრდილოეთით მდებარე მარშრუტს (სავარაუდოდ მის ორ ან მეტ განშტოებას), რაც თავისთავად არ გამორიცხავს შესაბამის პერიოდში დღევანდელი რიკოთის გადასასვლელის შესატყვისი გზით სარგებლობას.

კახეთთან დამაკავშირებელი მარშრუტების შესახებ საუბარი უფრო დეტალურად იქნება სტატიის მომდევნო ნაწილში. აქ მინდა მოკლედ შევეხო გიორგი II აფხაზთა მეფის გადაადგილების III მონაკვეთს, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეფის მასშტაბური ლაშქრობის შესახებ კვირიკე ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ. მეფის ზუსტი იტინერარის შედგენა უკავშირდება სირთულეებს, რადგან არ არის შესაძლებელი ცალკეული მოხსენიებული ციხესიმაგრეების ლოკალიზება, აგრეთვე არ ვიცით, რომელ ციხესიმაგრეებთან იმყოფებოდა მეფე წარმოებულ ბრძოლების დროს. ერთადერთი, რადგან თავიდან საუბარია მეფისთვის უჯარმის ციხის გადაცემის შესახებ, შეიძლება გვეფიქრა, რომ მეფე უშუალოდ გახლდათ ციხესიმაგრესთან. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ ვითარებაში მეფის (ან მეფის გარეშე, მისი სამხედრო ძალის) მარშრუტი უჯარმისკენ შეიძლება ყოფილიყო სავარაუდოდ ან ერწოსა და გომბორის გზით ან, შესაძლოა, მცხეთიდან უშუალოდ თბილი-

---

ვილი, *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, გვ. 30; გვასალია, *ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, გვ. 4, სქ. 6. ნ. ბერძენიშვილი იქვე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი დადგენა, „გზა დასავლისა“ გულისხმობდა ერთ გარკვეულ გზას, თუ შესაბამისი ტერმინით აღინიშნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ყველა გზა. მკვლევარი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ტერმინით „გზა დასავლისა“ გარკვეულ პერიოდში აღენიშნათ იმ დროს სათანადო უპირატესობის მფლობელი გზა.



სის საამიროს ჩრდილოეთით გამავალი მარშრუტით უჯარმისკენ. როგორც ჩანს, ამ მარშრუტით ისარგებლა უფრო ადრე კონსტანტინე III-ის ლაშქარმა ჰერეთიდან დაბრუნებისას, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

**ცნობები კონსტანტინე III-ის ჰერეთის იტინერარის შესახებ.** გადაადგილების სისწრაფის მონაცემებთან მიმართებაში შესაბამის მნიშვნელობას ფლობს კონსტანტინე III-ის ჰერეთში პირველი ლაშქრობის ნიმუში. აღნიშნულ საკითხს განვიხილავ „მატიანე ქართლისაჲ“-ს მონაცემების და ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის საფუძველზე.<sup>1</sup>

აქვე მოვიტან „მატიანე ქართლისაჲ“-ს სათანადო ინფორმაციის შეჯამებას. კვირიკე ქორეპისკოპოსმა ჰერეთში ლაშქრობისთვის მიიწვია კონსტანტინე აფხაზთა მეფე. ჰერეთში ჩასვლის შემდეგ ალყა შემოარტყეს ვეჯინის ციხეს. აფხაზთა მეფე ციხეს მოადგა ზედა მხრიდან, ხოლო კვირიკე – ქვემოდან. როდესაც ციხე დაცემასთან ახლოს იყო, მოვიდა ადარნასე პატრიკი და მმართველებმა დადეს ზავი. ამის შემდეგ (სავარაუდოდ მეფე კონსტანტინე და კვირიკე ქორეპისკოპოსი) მივიდნენ ალავერდის მონასტერში, სადაც კონსტანტინე III-მ ილოცა წმინდა გიორგის წინაშე, შემოსა მისი ხატი ოქროთი. მეფემ თავისი ლაშქარის დიდი ნაწილი წარავლინა თავის ქვეყანაში გარე გზით („ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა“). კვირიკე ქორეპისკოპოსმა უაღრესად პატივი სცა მეფეს, რის შემდეგაც კონსტანტინე წავიდა თავის ქვეყანაში.<sup>2</sup>

ერედვის წარწერა სრული სახით პირველად გამოაქვეყნა ხელოვნებათმცოდნემ, ღვანლმოსილმა მკვლევარმა, რ. მეფისაშვილმა.<sup>3</sup> „მატიანე ქართლისაჲ“-ს მასალას ერედვის წარწერიდან უკავშირდება შემდეგი ცნობა მეფე კონსტანტინეს შესახებ: „[სახ]ელითა ღმრთისაჲთა, [მამისა და ძისა და] სო[ლისა წ]მიდის[აჲთ]ა, მეოხებითა წმიდისა ღმრთი[ს მშ]ობელისაჲთა, [შენ]ევნითა წმიდისა გიორგი[ს]ითა, ჴელმწიფობასა ღმრთივ დამყარ[ებ]ოლისა წმიდ[ი]სა [კონსტანტი]ნე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]ჲ გა[ქ]ცია და მონით მშოიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა; [მ]წობ[რ]ი ბრეძას გადაჰჴთა. მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალენა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ გიორგი ჭეიშვილს მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ინფორმაციის მოწოდებისთვის ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის მნიშვნელობის შესახებ შესაბამისი პერიოდის მმართველების იტინერარების საკითხთან დაკავშირებით, რის შემდეგაც აღნიშნულმა მასალამ სათანადო ადგილი ჰპოვა წინამდებარე გამოკვლევაში.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისაჲ*, გვ. 260-261.

<sup>3</sup> მეფისაშვილი, *ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა*; მეფისაშვილი, *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 112.

რ. მეფისაშვილმა მართებულად გაავლო პარალელი ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერასა და „მატიანე ქართლისაჲ“-ს შესაბამის ნაწილში მოცემულ ინფორმაციას შორის და მიუთითა, რომ ისინი მოგვითხრობენ ერთსა და იმავე მოვლენის შესახებ. წარწერა თხზულების ცნობებს ავსებს მნიშვნელოვანი მონაცემებითაც. რ. მეფისაშვილი ასევე მართებულად აღნიშნავს: საისტორიო თხზულების ინფორმაცია მიემართება წარწერაში წარმოდგენილ ცნობას კონსტანტინე მეფის ჰერეთში პირველი ლაშქრობის შესახებ. მაგრამ წარწერის მიხედვით ზავს საკითხი საბოლოოდ არ გადაუწყვეტია და საომარი მოქმედება ხელახლა დაწყებულა, კონსტანტინემ მეორედ ილაშქრა ვეჯინის წინააღმდეგ.<sup>1</sup>

წარწერის პირველად გამოცემისას რ. მეფისაშვილმა მიუთითა ასევე იმ სირთულის შესახებ, რაც უკავშირდება ერთი დღის განმავლობაში ალავერდიდან მისვლას ქართლში, სოფელ ბრეძაში (სოფელ გომიდან დაახლოებით 15 კმ-ის ჩრდილოეთით).<sup>2</sup> რ. მეფისაშვილის მომდევნო ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება (იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ალავერდში ლოცვის ცნობა მოცემულია აგრეთვე „მატიანე ქართლისაჲ“-ში), ხომ არ შეიძლება იგულისხმებოდეს აღნიშნულ შემთხვევაში ალავერდი ქსნის ხეობაში, საიდანაც ბრეძამდე არის დაახლოებით 60-70 კმ., რადგან ამ გზის გავლა ერთი დღის განმავლობაში უფრო შესაძლებელი უნდა იყოს. თუმცა მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ არ ვფლობთ სხვა მონაცემებს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კონსტანტინეს აღნიშნული გზით დაბრუნების ვარაუდი.<sup>3</sup>

„მატიანე ქართლისაჲ“-ს და ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის ცნობებს შესაბამისი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ა. ბაქრაძის, მ. ლორთქიფანიძის, თ. პაპუაშვილის, შ. გლოველის, გ. სოსიაშვილის ნაშრომებში. მასალის განმარტებისთვის, როგორც ცნობილია, სირთულეს ქმნის წყაროთა განსხვავებული მონაცემები ერედვის წარწერის, კონსტანტინე III-ის ლაშქრობების და კონსტანტინე III-ის გარდაცვალების დათარიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ა. ბაქრაძე ეხება ერედვის წარწერაში მოცემული ცნობების მნიშვნელობის საკითხს „მატიანე ქართლისაჲ“-ს შესაბამისი ინფორმაციისთვის.<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე საუბრობს ერედვის წარწერის და „მატიანე ქართლისაჲ“-ს მონაცემების შესაბამისობის, კონსტანტინე III-ის ლაშქრობის, მისი გარდაცვალების და ერედვის წარწერის დათარიღე-

<sup>1</sup> მეფისაშვილი, *ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა*, გვ. 1046-1047; მეფისაშვილი, *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*, გვ. 113-114.

<sup>2</sup> მეფისაშვილი, *ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა*, გვ. 1047, სქ. 1.

<sup>3</sup> მეფისაშვილი, *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*, გვ. 113-114, სქ. 6.

<sup>4</sup> ბაქრაძე, *ქართული ეპიგრაფიკა*, გვ. 15-19.



ბის საკითხების შესახებ.<sup>1</sup> თ. პაპუაშვილი განიხილავს ერედვის წარწერის და საისტორიო თხზულების მონაცემების ურთიერთმიმართების შესაძლებლობებს.<sup>2</sup> შ. გლოველი აგრეთვე ეხება კონსტანტინე მეფის ლაშქრობის, მეფის გარდაცვალების და ერედვის წარწერის დათარიღების საკითხებს.<sup>3</sup>

სამეცნიერო კვლევაში ასევე სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი კონსტანტინე III-ის მგზავრობის საკითხს ალავერდიდან ბრეძამდე. თ. პაპუაშვილი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სრულიად ახალია ერედვის წარწერის ინფორმაცია კონსტანტინე მეფის ცისკრად ალავერდში ლოცვის და მწუხრს ქართლში მოსვლის შესახებ.<sup>4</sup> გ. სოსიაშვილი ეხება გზის საკითხს, რომელიც დასავლეთ საქართველოდან ბრეძაზე გავლით პატარა ლიახვის ხეობიდან მიემართებოდა ქსნის ხეობაში და აქედან უკავშირდებოდა ჰერეთ-კახეთს.<sup>5</sup> გ. სოსიაშვილი აღნიშნავს აგრეთვე მეფე კონსტანტინეს ალავერდიდან ბრეძაში ერთი დღის ფარგლებში მოსვლის შესახებ, თუმცა მკვლევარი იმონებს ასევე მეფე კონსტანტინეს მარშრუტის განმარტებას რ. მეფისაშვილის მიერ, რომელშიც, როგორც ითქვა, გარკვეული კითხვებია მოცემული ალავერდის მონასტრიდან, კახეთიდან, სოფელ ბრეძამდე ერთი დღის განმავლობაში მგზავრობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.<sup>6</sup>

„მატიანე ქართლისაჲ“-ს და ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის ცნობების დამატებითა განხილვამ, მასალის შედარებითა ანალიზმა, სავარაუდოდ რამდენიმე დამატებითი მონაცემი უნდა მოგვცეს შესაბამისი მოვლენის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. მინდა წარმოვადგინო ასევე ცალკეული მოსაზრებები მეფე კონსტანტინეს ალავერდიდან ბრეძაში ერთი დღის განმავლობაში მგზავრობის სავარაუდო მიზეზების და შესაძლებლობის შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ალავერდის მონასტერი კახეთში, რადგან ერედვის წარწერის ცნობა პირდაპირ დასტურდება „მატიანე ქართლისაჲ“-ს ინფორმაციით. ამასთანავე, თუკი ერედვის წარწერაში არ იგულისხმება კახეთში მდებარე ალავერდის მონასტერი (რაც გარკვეულ განსაკუთრებულობას სძენს მარშრუტს), ალბათ არ იქნებოდა აუცილებლობა მარშრუტის ამგვარად მოხსენიებისა საეკლესიო წარწერაში.

<sup>1</sup> ლორთქიფანიძე, *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება*, გვ. 241-246.

<sup>2</sup> პაპუაშვილი, *რანთა და კახთა სამეფო*, გვ. 194-195; პაპუაშვილი, *IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან*, გვ. 75-76.

<sup>3</sup> გლოველი, *„აფხა ზთა სამეფო“*, გვ. 82-84.

<sup>4</sup> პაპუაშვილი, *IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან*, გვ. 75.

<sup>5</sup> სოსიაშვილი, *შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები*, გვ. 238.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 237-238.

კონსტანტინე III-ის ჰერეთში მისვლის მარშრუტთან დაკავშირებით, პირველი ლაშქრობისას, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ აფხაზთა მეფემ თავიდან ისარგებლა დაახლოებით დღევანდელი ჟინვალ-თიანეთი-ახმეტას შესაბამისი გზით. აღნიშნულ გარემოებას არაპირდაპირ შესაძლოა ადასტურებდეს ლაშქრობის შემდეგ მმართველთა ალავერდის მონასტერში წასვლის ცნობაც ვეჯინის ციხის ალყის შემდეგ, მმართველების უკან დაბრუნებისთვის გამოყენებულია ფორმულირება: „და შემოიქცეს“ (ციხესთან მისვლასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ჩავიდეს ჰერეთად“, მმართველები ერთობლივად მივიდნენ ვეჯინის ციხესთან). ციხის სხვადასხვა მხრიდან ალყასთან დაკავშირებით, საფიქრებელია, რომ ერთიანი ლაშქარი ორად გაიყო სავარაუდოდ უკვე ციხესიმაგრესთან მისვლის შემდეგ.<sup>1</sup> საფიქრებელია, რომ დღევანდელი ჟინვალ-თიანეთი-ახმეტას გზის შესატყვისი მარშრუტის მნიშვნელობა გაიზარდა თბილისის საამიროს არსებობის პირობებში.

კონსტანტინე III-ის მიერ ლაშქარის ძირითადი ნაწილის სხვა გზით გამოშვების ცნობა არაპირდაპირ უნდა ასაბუთებდეს ერედვის წარწერის ინფორმაციას მეფის სწრაფი მგზავრობის შესახებ, რაც თავისთავად სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის გადაადგილების პირობებში. გარე გზა ამ შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნავდეს შუა საუკუნეებში დაახლოებით იმ მაგისტრალის შესატყვის მარშრუტს, რომელიც დღეისათვის კახეთის შიდა მხარეებს გარე კახეთის საშუალებით აკავშირებს ქართლთან (საგარეჯოზე გავლით). გომბორის გადასასვლელის გამოყენება (უშუალოდ შიდა კახეთის მხრიდან), მისი შედარებითი სირთულის გამო, ასევე წარმოდგენილი კონტექსტის გათვალისწინებით, აღნიშნულ შემთხვევაში ალბათ ნაკლებად არის სავარაუდო, როგორც ლაშქარის დიდი ნაწილისთვის, ასევე მეფე კონსტანტინეს სწრაფი მგზავრობისთვის (მოცემული კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოდ აგრეთვე ნაკლებად საფიქრებელია, რომ გარე გზა აღნიშნავდეს ზემოხსენებულ, ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მარშრუტს).

თავიდან მინდა განვიხილო საკითხი, რამდენად შესაძლებელია ადრეული შუა საუკუნეების მგზავრობის პირობებში ერთი დღის განმავლობაში მანძილის დაფარვა ალავერდის მონასტრიდან სოფელ ბრეძამდე. მანძილი პირდაპირი ხაზით შეადგენს 134.98 კმ-ს, ხოლო სამანქანო გზით – 190.99

<sup>1</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლის და კახეთის დამაკავშირებელ ძირითად გზად X-XI საუკუნეებისთვის განიხილება დასახელებული, ჩრდილოეთით მდებარე მარშრუტი: ბერძენიშვილი, *გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, გვ. 24; ლორთქიფანიძე, *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება*, გვ. 148.

კმ-ს.<sup>1</sup> ინფორმაცია სამანქანო გზასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი მარშრუტის მიხედვით: ალავერდის მონასტერი – ახმეტა – თიანეთი – ჟინვალი – ნატახტარი – იგოეთი – აგარა – ბრეძა. შუა საუკუნეების მარშრუტისთვის ალავერდიდან ბრეძამდე ალბათ დასაშვებია ვივარაუდოთ დაახ. 145/150 (შესაძლოა 150/160) კმ. აღნიშნული მანძილის დაფარვა სწრაფი ან უაღრესად სწრაფი გადაადგილების პირობებში, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შესვენებების გარეშე, ცხენების გამოცვლის საშუალებით, ერთი დღის განმავლობაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო (მგზავრობისთვის განკუთვნილი დრო, ერედვის წარწერის მიხედვით, მოიცავდა დღის მონაკვეთს განთიადიდან შებინდებამდე). აღნიშნულ ვარაუდს უნდა ადასტურებდეს აგრეთვე ზემოთ განხილული ინფორმაცია მეფის კორტეჟის მგზავრობის სისწრაფის შესახებ, როდესაც რეგულარული გადაადგილების პირობებში შესაძლებელი გახლდათ დღის განმავლობაში დაახ. 50 კმ-ის დაფარვა. საფიქრებელია, რომ კახეთის სამთავროში, ასევე აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე, იარსებებდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა მსგავსი სწრაფი მგზავრობებისთვის. მაგრამ თავისთავად ჩნდება კითხვა, „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოცემული იმ სურათის მიხედვით, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, ლაშქრობის წარმატებით დასრულებას, შემდეგ ალავერდის მოლოცვას, რა მიზეზით უნდა წამოსულიყო მეფე, სავარაუდოდ თანმხლებლების შედარებით მცირე რაოდენობით, ამგვარი სისწრაფით თავისი სამეფოსკენ.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა, რომ ჰერეთში ლაშქრობიდან „შემდგომად მცირედთა დღეთა“ მეფე კონსტანტინე გარდაიცვალა, მართებული არ უნდა იყოს. ერედვის წარწერაში საუბარია ვეჯინის ციხეზე მეორე (აგრეთვე წარმატებული) ლაშქრობის შესახებ. მეორე ლაშქრობის ცნობა გვაფიქრებინებს, რომ მეფემ, წარმატების მიუხედავად, შესაძლოა ვერ მიიღო ბოლომდე სასურველი შედეგი პირველი ლაშქრობისას. დასაშვებია, რომ აუცილებელი გახლდათ ძალების დამატებითი მობილიზება, გარკვეული მიზეზით მეფის უშუალოდ ადგილზე ყოფნა, სავარაუდოდ შემდეგი ლაშქრობის მომზადებისთვის ან დასავლეთ საქართველოში გარკვეული დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად, რის შესახებაც ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას. როგორც ჩანს, აღნიშნულ გარემოებებთან იქნებოდა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებული მეფის სწრაფი მარშრუტი. თუმცა პირდაპირი ახსნა სწრაფი მგზავრობისთვის ამ შემთხვევაში მოცემული არ გვაქვს.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ აფხაზეთის სამეფოში ადგილი ჰქონდა გარკვეულ სირთულეებს (მაგ., გამოსვლა მეფის წინააღმდეგ, დაპირის-

<sup>1</sup> <https://www.distance.to/> (შესაბამისი მონაცემები ინფორმაციისთვის: ალავერდი, საქართველო – ბრეძა; გადამოწმების თარიღი: 15 ივლისი, 2024).

პირება მეფის შვილებს შორის, რასაც ადგილი ჰქონდა უკვე კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ), მაგრამ მსგავს ვითარებაში არ იქნებოდა მოსალოდნელი მეფის გამგზავრება ძირითადი ლაშქარის გარეშე. ასევე ნაკლებად საფიქრებელია ამგვარი მიზეზებით განხორციელებული მეფის მარშის უკვდავყოფა საეკლესიო წარწერაში. მეფეს უნდა ჰქონოდა კონკრეტული მიზეზები სწრაფი დაბრუნებისთვის. თუმცა, იმავდროულად, ამგვარი მარშისთვის სავარაუდოდ მოცემული იყო გარკვეული მნიშვნელობები, რომლებსაც შეიცავდა მეფის სწრაფი გადაადგილება, რისთვისაც მგზავრობა შესაძლოა განხორციელდა მსგავსი სახით და რა მიზეზითაც ის ალბათ აისახა ერედვის ეკლესიის წარწერაში.

სოფელი ბრედა შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო შესაბამისი მნიშვნელობის, რადგან ის ამგვარი სახით, ალავერდის მონასტერთან ერთად, არის მოხსენიებული წარწერაში.<sup>1</sup> სოფელ ბრედასთან დაკავშირებული გზის შესახებ ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას (რის შესახებაც ნაწილობრივ ზემოთ აღინიშნა): ბრედაში, კვირაცხოვლის ეკლესიასთან, იწყება მნიშვნელოვანი ისტორიული გზა (სიგრ. დაახლ. 20 კმ., რომელიც ამჟამად ნაწილობრივ გაუქმებულია). გზა გადადის მდ. აღმ. ფრონეზე, მიემართება სოფელ აბანოსაკენ, ადგილ ციხიანასთან შედის მდ. დასავლეთ ფრონის ხეობაში და მიემართება ჩრდილო-დასავლეთისკენ. გზა გაივლის სოფელ წნელისს (ზნაურის რ-ნი) და სოფელ გვირგვინასთან უხვევს სამხრ.-დასავლეთისკენ, გაივლის მდ. ქვაბთაღელეს, სადაც არის გვირგვინას ეკლესიის ნანგრევები. ქვაბთაღელის ნაპირზე, ფრიალო კლდეში გაჭრილი კლდეკარებით გზა ადგილ ჯვართან გადადის ლიხის ქედს და ჩადის მდ. ჭერათხევისა და მდ. ყვირილას ხეობაში სოფ. კორბოულთან.<sup>2</sup> ალბათ შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა, რომ ერედვის წარწერაში სოფელ ბრედას მოხსენიება განპირობებული უნდა იყოს იმ მნიშვნელობით, რაც მას ჰქონდა ქართლის და იმერეთის დამაკავშირებელ გზასთან მიმართებაში. სავარაუდოდ სათანადოდ ცნობილი იყო აგრეთვე ბრედაში მდებარე ეკლესია ან ეკლესიები. მეფე ალავერდის მონასტრიდან მოსული ჩანს იმერეთის გზის უშუალო დასაწყისთან. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რადგან განსაკუთრებით სწრაფ გადაადგილებასთან მიმართებაში მოხსენიებულია სოფელი ბრედა, საფიქრებელია, რომ შესაბამისი მარშრუტის საშუალებით შესაძლებელი იყო უფრო სწრაფად ჩამოსვლა იმერეთიდან ქართლში და პირიქით.

ერედვის ეკლესიის წარწერის ფორმულა „ცისკრად ალავერდს ილოცა; [მ]წონ[რი] ბრედას გადაჰვთა“, ტოვებს გარკვეულ კითხვას. გამონათქვამი შესაძლებელია გაგებული იქნეს იმგვარი სახით და ეს აზრი ნამდვილად

<sup>1</sup> სოფელ ბრედაში არსებული სიძველეების შესახებ იხ.: მეფისაშვილი, *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*, გვ. 114; სანიკიძე, *ბრედა*, გვ. 480-481.

<sup>2</sup> [ნუცუბიძე], *ბრედა*, გვ. 361.

მოცემული უნდა იყოს, რომ შებინდებისას, სალამოს, მეფე ჩავიდა ბრეცაში. ამგვარად არის ის გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რის შესახებაც ზემოთ აღინიშნა.<sup>1</sup> ვარაუდის სახით მინდა მოვიტანო მოსაზრება, ფორმულირებაში „[მ]წობ[რ]ი ბრეცას გადაჰყვით“, მწუხრთან დაკავშირებით, ხომ არ შეიძლება დამატებით მოცემული იყოს რელიგიური კონტექსტი (რასაც ცნობა თავისთავად ფლობს ალავერდში ცისკრის ლოცვასთან დაკავშირებით), აგრეთვე შესაბამის ლოცვაში მონაწილეობა.

სათანადო რელიგიური კონტექსტი, გარკვეული სარწმუნოებრივი ერთიანობის სახით, მოცემულია „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობაშიც, რომლის მიხედვითაც, ალავერდი, როგორც ჩანს, ერთად მოილოცეს კონსტანტინე III-მ და კვირიკე ქორეპისკოპოსმა. ადარნასე პატრიკი ალავერდის მოლოცვისას თითქოს არ იმყოფებოდა, მაგრამ გარკვეული სარწმუნოებრივი ერთიანობის სურათი, საისტორიო თხზულების თანახმად, შესაძლოა მოცემული იყოს ჰერეთის მმართველთან მიმართებაშიც (მიუხედავად კონსტანტინე III-ის მიერ შემდეგ განხორციელებული განმეორებითი ლაშქრობისა). ადარნასე პატრიკის მოსვლასა და ზავის დადებასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი“. თუკი აღნიშნულ შემთხვევაში იგულისხმება კონკრეტული დრო, მოხსენიებულია პარასკევი დღე, მაშინ ჩნდება კითხვა, ხომ არ მიმდინარეობს მოქმედება უშუალოდ აღდგომის წინა დღეებში და ზავის დადებაც აღდგომა დღეს ხომ არ დაუკავშირეს (თავისთავად ზავი შესაძლებელია დაედოთ წითელ პარასკევს ან მომდევნო დღეებში. წარმოდგენილი ინფორმაციით ალბათ უფრო საფიქრებელია ზავზე წითელ პარასკევს შეთანხმება. დაიდო სავარაუდოდ დროებითი ზავი, რადგან მალევე გაიმართა მეფე კონსტანტინეს მეორე ლაშქრობა. დროებითი ზავის დადებისთვის უნდა არსებულიყო შესაბამისი მიზეზები). აქედან გამომდინარე, ალბათ შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა, ხომ არ გაიმართა მეფე კონსტანტინეს მგზავრობა უშუალოდ აღდგომას ან აღდგომის მომდევნო ერთ-ერთ დღეს. „მატიანე ქართლისაჲ“-ში წარმოდგენილი ცნობა ვეჯინის ციხის ალყის დასრულების შემდეგ თითქოს გარკვეული დრო მეფის კახეთში გაჩერებას გულისხმობს, თუმცა შესაძლებელია კონსტანტინე III მალევე გამომგზავრებულიყო აფხაზეთის სამეფოსკენ. ნიშანდობლივია ასევე, რომ მოწოდებული ინფორმაციით კვირიკე ქორეპისკოპოსმა სტუმრად მიიღო მეფე სასულიერო ცენტრში, ალავერდის მონასტერში (ყოველ შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია თხზულებაში აღნიშნული საკითხის შესახებ არ არის მოწოდებული).

<sup>1</sup> იხ. ასევე შესაბამისი ადგილის თარგმანი რუსულად: Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части*, გვ. 52-53.



ვიდრე მეფე გაემგზავრა ალავერდის მონასტერიდან, ლაშქარის ძირითადი ნაწილი სავარაუდოდ ვეჯინის ციხის მახლობლად იცდიდა. ლაშქარის ამგვარი სახით გაგზავნას ალბათ ჰქონდა გარკვეული ძალის დემონსტრირების დანიშნულება, როგორც ჩანს, ასევე თბილისის საამიროსთვის. ლაშქარმა, როგორც ჩანს, მცხეთისკენ გზაზე გადაკვეთა თბილისის საამიროს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია (სავარაუდოდ ცენტრალური გზიდან უჯარმისკენ და შემდეგ ბოჭორმის მიმართულებით გადაადგილება, კვირიკე ქორეპისკოპოსის კუთვნილ ტერიტორიაზე, მოცემულ ვითარებაში ნაკლებად საფიქრებელია). თბილისის საამიროს აღნიშნულ პერიოდში ალბათ აღარ ჰქონდა შესაძლებლობა, ხელი შეეშალა აფხაზთა მეფის სამხედრო ნაწილების გადანაცვლებისთვის მის უშუალო სიახლოვეში.

კონსტანტინე მეფის სწრაფი მგზავრობის და ერედვის წარწერაში მისი ამგვარი ფორმით ასახვის მიზეზები, პირველ ყოვლისა, შესაბამის მიმართებაში უნდა იყოს ჰერეთში მეფის ლაშქრობასთან. ჰერეთში ლაშქრობა ნამდვილად წარმოადგენდა იმგვარ მოვლენას, რის საფუძველზეც შესაძლებელია ამგვარი სიმბოლური შინაარსები ვივარაუდოთ მეფის მგზავრობის ნიშნულში. უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართული პოლიტიკური ერთეულების განცალკევებით არსებობის პირობებში ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოს მეფე გამოჩნდა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ პოლიტიკურ ერთეულში (ამ კუთხით შესაძლებელია გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ თხზულებაში საუბარია კონსტანტინე III-ის მიერ ზავის შედეგად არიშის ციხის მიღების შესახებ,<sup>1</sup> რომელიც გარკვეულწილად მდებარეობდა ჰერეთის აღმოსავლეთი თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილებისკენ მიმავალ გზაზე). ზემოხსენებული სწრაფი მარშრუტით, მეფის იტინერარის ეტაპი, თითქოს ერთ მთლიანობად კრავდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილს, ჰერეთს, კახეთს, ქართლს და მიდიოდა უშუალოდ დასავლეთ საქართველოს გზის დასაწყისთან, აფხაზეთის სამეფოს მისადაგომებთან. ჰერეთის ლაშქრობით გამოჩნდა გარკვეული ნიშნები ერთიანი სამეფოსი. მეფემ თავისი სწრაფი მარშით ერთგვარი ნიშანსვეტი შექმნა არსებული ვითარების და სამომავლო განვითარების. მეფის მგზავრობა, იმავე დროს, ალბათ გახლდათ გარკვეული ძალაუფლების განცხადების აქტი ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე.

მმართველის გადაადგილების ნიშნულთან, როგორც ის არის წარმოდგენილი ერედვის წარწერაში, იქმნება გარკვეული სარწმუნოებრივი განზომილება, რასაც ადასტურებს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობები (ალავერდის მოლოცვა, როგორც ჩანს, კახეთის მმართველთან ერთად, ალავერდში –

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისაჲ*, გვ. 261.

ცისკრის ლოცვაში, შესაძლოა ასევე მწუხრის ლოცვაში ბრეძაში, მონანილეობა, სავარაუდო მგზავრობა აღდგომა დღეს ან უშუალოდ აღდგომა დღის შემდეგ, ჰერეთის მმართველთან ზავის დადება, დასაშვებია, ნითელ პარასკევს). თუ აღნიშნულ კონტექსტს დავუკავშირებთ მეფის მარშრუტის მეშვეობით ქვეყნის ნაწილების, ჰერეთის, კახეთის, ქართლის, დასავლეთ საქართველოს თითქოს სიმბოლურად, ერთი დღის განმავლობაში ერთ მთლიანობად შეკვრას, მაშინ გარკვეული თვალსაზრისით უკვე მოცემული ჩანს ცნობილი ფორმულის შინაარსი, რომელსაც ვხვდებით გიორგი მერჩულესთან: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. მეფის მარშრუტი ერთი დღის განმავლობაში თითქოს სიმბოლურად წარმოადგენდა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი კუთხით ერთიან ქვეყანას.

მეფე კონსტანტინეს პილიგრიმოზა გარკვეულ ანალოგიას ქმნის ასევე ვახტანგ გორგასალის მეფობასთან. ამ შემთხვევაშიც პირველად ვახტანგ გორგასალის შემდეგ წარმოდგენილია ქართველი მეფის პილიგრიმოზის აღწერილობა, თუმცა საქართველოს ფარგლებში. პილიგრიმოზა მეფე კონსტანტინესთან ასევე მიმართებაშია საბრძოლო ღონისძიებასთან (ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა სპარსეთის მეფესთან, კონსტანტინემ – კახეთის ქორეპისკოპოსთან ერთად). ვახტანგ გორგასალის მეფობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ეპიზოდში, ოსეთში ლაშქრობასა და შემდეგ დასავლეთ საქართველოში წარმოებული ბრძოლების კონტექსტში, მოცემული გახლდათ გარკვეული წრე, როდესაც მეფე გავიდა მცხეთიდან და დაბრუნდა შემდეგ ისევ მცხეთაში. კონსტანტინე III-მ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორი ხაზის მეშვეობით წარმოადგინა უშუალოდ საქართველოს ტერიტორიები შეკრული სახით. გარკვეულ წრეს ვიღებთ, როდესაც მეფემ ლაშქარი გაუშვა ცალკე, თვითონ გაემგზავრა ცალკე ალავერდიდან. ლაშქარი სავარაუდოდ მცხეთასთან გადაკვეთდა იმ ხაზს, რომლის სიახლოვესაც მანამდე სწრაფი მარშით გაიარეს კონსტანტინე III-მ და მისმა ამაღამ. აღნიშნულ წრეს შესაძლოა პირობითი მიმართება ჰქონდა ჰერეთის სამთავროსთან ან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილთან, როგორც ერთგვარი უფლებების განცხადებას მეფის მიერ. შესაძლოა ასევე ნიშანდობლივი იყოს, რომ კონსტანტინე სავარაუდოდ გაემართა თიანეთის გზით. ვახტანგ გორგასალი დარიალის გზით ლაშქრობამდე ჩერდება სწორედ თიანეთში. ამასთან, კონსტანტინე III-მ ლაშქარი გამოგზავნა თბილისის, ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული დედაქალაქის, მიმართულებით. გარე გზით გამოგზავნილი ლაშქარი გამოივლიდა ასევე უჯარმის სიახლოვეს და მცხეთასთან, რომელთაც ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ ვახტანგ გორგასალის მეფობის კონტექსტში.



გარკვეული მიმართება ჩნდება ამ კუთხით ასევე უშუალოდ ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიასა და ერედვის ეკლესიის წარწერასთან დაკავშირებით: ერედვის ეკლესია გახლდათ წმინდა გიორგის სახელობის. ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიაში მეფემ წმინდა გიორგის ხატი მოილოცა (ალავერდის მოლოცვის შესახებ შეიძლება აღინიშნოს, რომ ალავერდი ამ დროს, გამომდინარე აღწერილი მოვლენიდან, გარკვეულწილად უკვე საერთო ქართული მნიშვნელობის სინმინდეს წარმოადგენდა). ერედვის ეკლესიის აგების და სავარაუდოდ ერედვის წარწერის შექმნის ინიციატორად წარმოდგება ნიქოზის ეპისკოპოსი. ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში ცალკეა გამოყოფილი სწორედ ნიქოზში ეკლესიის აგება და იქ საეპისკოპოსოს დაარსება, საეპისკოპოსოთა ჩამონათვალის შემდეგ.<sup>1</sup> ერედვის ეკლესიის მშენებლობა იწყება კონსტანტინეს ლაშქრობაზე უფრო ადრე, მაგრამ ერედვის წარწერა შექმნილია, თავისთავად, კონსტანტინე III-ის ჰერეთში ლაშქრობათა შემდეგ.

დასაშვებია, რომ უშუალოდ მეფე კონსტანტინე თავს მოიაზრებდა ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეობის ფარგლებში, აღნიშნულ მოვლენასთან მიმართებაში მყოფი შინაარსებით, რაც უკავშირდებოდა ქვეყნის გაერთიანებას. შესაძლებელია აგრეთვე, კონსტანტინე III-ს გარკვეულწილად ათანაბრებდნენ კიდეც ვახტანგ გორგასალთან. ვახტანგ გორგასალი საქართველოს დასავლეთ ნაწილში აწარმოებდა საბრძოლო ღონისძიებებს, კონსტანტინე – აღმოსავლეთში. მნიშვნელოვანია ასევე მსგავსი შინაარსის, სავარაუდოდ ვახტანგ გორგასალის მემკვიდრეობაში საკუთარი თავის მოაზრება, დადასტურება აფხაზეთის მეფეებთან.

ამასთანავე, ეკლესიის წარწერის მემკვიდრეობით წარმოდგენილი მხედარი, რომელიც თავის გადაადგილებას იწყებს მზის ამოსვლისას და ასრულებს მზის ჩასვლისას, თითქოს სცდება „მხოლოდ“ თავისი სამეფოს ფარგლებს, იძენს გარკვეულ დამატებით რელიგიურ განზომილებას. ამასთანავე, გარკვეული ანალოგიები ჩნდება XII საუკუნის და XIII საუკუნის დასაწყისის ფორმულებთან, ასევე გიორგი მერჩულესთან აშოტ კურაპალატთან მიმართებაში მოცემულ ფორმულასთან, სადაც ქართველი მეფეები ქვეყნიერების მხარეთა მპყრობელებად არიან წარმოდგენილნი ან შესაბამის მიმართებაში არიან მოყვანილნი ქვეყნიერების მხარეებთან. ფიგურა თითქოს ერთმანეთთან კრავს არა მხოლოდ საქართველოს სამეფოს გარკვეულ ნაწილებს, არამედ – ქვეყნიერების უკიდურეს მხარეებს. წარმოდგენილი რელიგიური დატვირთვა თავისთავად მკვეთრად მაგთულობს, თუკი მგზავრობა ხორციელდება აღდგომა დღეს.

<sup>1</sup> ჯუანშერი, *ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა*, გვ. 215.

მოცემული მარშრუტი ალბათ, იმავე დროს, იყო მეფის შესაბამისი ძალის და მნიშვნელობის დემონსტრირება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ (შესაძლოა მეფე ამგვარად აგრეთვე აჩვენებდა, რომ სათანადოდ მხნედ გრძნობდა თავს; მეფის მგზავრობის განსაკუთრებული სისწრაფე შესაძლოა ქმნიდა გარკვეულ მიმართებას არაბებთან, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი სწრაფი ცხენებით თუ გადაადგილების სისწრაფით). მოცემულ შემთხვევაში, ამასთანავე, ადრეულ შუა საუკუნეებში მიმართველების გადაადგილების დაფიქსირებული მაგალითებიდან, მეფის მგზავრობის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ნიმუშთან უნდა გვქონდეს საქმე. ერედვის წარწერის ცნობიდან ასევე აშკარაა, როგორი სახის ფიზიკური მომზადება მოეთხოვებოდა მეფეს.

**მგზავრობით მართვა / დედაქალაქი / სამეფო რეზიდენციები დედაქალაქის გარეთ / სამეფო დომენი.** ბოლოს, მცირე შეჯამების სახით, წარმოვადგენ ცალკეულ დებულებებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შესაბამის მნიშვნელობას ფლობენ მიმართველის იტინერარისთვის და რომელთა უფრო დეტალური შესწავლა სასურველია დამატებითი წყაროების თუ შედარებითი მასალის გათვალისწინებით.

VIII საუკუნეში ერთიანი ქვეყნის დანაწევრების და საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის აღმოცენების შემდეგ, ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებთან ძირითად როლს ასრულებდა დედაქალაქი ან ცენტრალური ადგილი (მაგალითად, ქუთაისი, არტანუჯი, უფლისციხე). ამდენად, წარმოდგენილია პოლიტიკური ერთეულის მართვის მონოცენტრული მოდელი, რასაც ნაწილობრივ ადგილი უნდა ჰქონოდა ქვეყნის დანაწევრებამდეც. თუმცა საფიქრებელია, რომ, იმავე დროს, შესაბამის მნიშვნელობას ფლობდა პოლიტიკური ერთეულის მართვა მგზავრობის, მეფის ადგილზე ყოფნის საშუალებით, რაც შუა საუკუნეებში ქვეყნის განგების აუცილებელი ნაწილი გახლდათ. ამგვარი მართვის ცალკეული ნიმუშები მოცემულია „მატიანე ქართლისაჲ“-ში: გიორგი I-ის მიერ ჩიხაში ერისთავის დატოვება; გიორგი II აფხაზთა მეფის მიერ აჯანყების ჩახშობა უფლისციხეში. აღნიშნული ღონისძიება შეიძლება მივიჩნიოთ მეფის გადაადგილების, ადგილზე ყოფნის საშუალებით მართვის გარკვეულ უკიდურეს ფორმად. იმავე დროს, აჯანყების ჩახშობის შემდეგ მეფეს უნდა გაეტარებინა სათანადო ღონისძიებები, რაც აუცილებელი იქნებოდა შესაბამისი რეგიონის, ქართლის, მართვისთვის. პოლიტიკური ერთეულის მართვის თვალსაზრისით აღნიშნულ პერიოდში სავარაუდოდ მოქმედებდა შერეული მოდელი, რომელშიც წარმოდგენილი იყო მონოცენტრული და პოლიცენტრული მოდელებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

მმართველის გადაადგილების საშუალებით ქვეყნის მართვის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა დედაქალაქის გარეთ სამეფო რეზიდენციების არსებობა. ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებში, სამეფო საკუთრებასთან ერთად, უნდა ჩამოყალიბებულიყო დედაქალაქის გარეთ არსებული, მმართველის რეზიდენციების/სადგომების გარკვეული სისტემა. „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოცემული ცნობების მიხედვით, ამგვარი რეზიდენციების ან სამეფო სადგომების არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ უფლისციხეში, ატენში, შესაძლოა ჩიხაში. თუმცა, მსგავსი სამყოფელები, პირველ ყოვლისა, თავისთავად შეიქმნებოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ქვეყნის მართვისას არსებითი მნიშვნელობა უნდა შეესრულებინა სამეფო დომენს. საფიქრებელია, რომ სამეფო საკუთრება ჩამოყალიბდებოდა მეფის რეგულარული მარშრუტების მიხედვითაც, სადაც ასევე განთავსებული იქნებოდა სამეფო რეზიდენციები თუ სადგომები. აღნიშნული სამეფო საკუთრების სახით ცენტრალური ხელისუფლების მიერ სავარაუდოდ მთელი პოლიტიკური ერთეულის ფარგლებში შეიქმნებოდა გარკვეული ნიშანსვეტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სამეფოს სათანადოდ მართვა.

**დასკვნა.** დასკვნის სახით მოკლედ შევაჯამებ სტატიაში წარმოდგენილ საკითხებს. მმართველის იტინერარის კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხების საფუძველზე, განხილული იქნა IX-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მეფეთა ცალკეული იტინერარები. გამოითქვა მოსაზრებები, რომელი მხარეები თუ მარშრუტები გახლდათ მმართველებისთვის საბაზისო თუ პრიორიტეტული. არსებული ცნობების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის მეფეებისთვის ქართლის და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზებიდან ლიხის ქედზე მნიშვნელოვანი იყო მარშრუტი (თავისი განშტოებებით), რომელიც მდებარეობდა რიკოთის უღელტეხილის ჩრდილოეთით. წარმოდგენილი იქნა შესაბამისი თვალსაზრისი ადრეულ შუა საუკუნეებში მეფის და მისი კორტეჟის გადაადგილების სისწრაფესთან დაკავშირებით. ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობის და მონახულების თუ ადგილზე ყოფნის სიხშირის კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდები, რომელი სამყოფელები იყო მეფისთვის მნიშვნელოვანი, ატარებდა მეფე დროის მეტ ნაწილს დედაქალაქში თუ მის გარეთ. სტატიაში მოცემულია კონსტანტინე III-ის ჰერეთში ლაშქრობის და უკან დაბრუნების ცნობების ანალიზი „მატიანე ქართლისაჲ“-ს და ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერის ინფორმაციის თანახმად. მეფე კონსტანტინეს ნამდვილად უნდა ემგზავრა ერთი დღის განმავლობაში კახეთიდან, ალავერდის მონასტრიდან, სოფელ ბრეძამდე, რომელიც მდებარეობდა უშუალოდ და-

სავლეთ საქართველოსკენ მიმავალი გზის დასაწყისში. აღნიშნულ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს ადრეულ შუა საუკუნეებში მმართველების დაფიქსირებული გადაადგილებებიდან ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ნიმუშთან. კახეთსა და ჰერეთში ჩასვლისთვის და უკან დაბრუნებისთვის მეფემ გამოიყენა დაახლოებით ჟინვალი-თიანეთი-ახმეტას გზის შესატყვისი მარშრუტი. ვეჯინის ციხის ალყის შემდეგ კონსტანტინემ თავისი ლაშქარის ძირითადი ნაწილი გამოუშვა განსხვავებული, გარე გზით, რაც არაპირდაპირ უნდა ადასტურებდეს ერედვის ეკლესიის წარწერის ინფორმაციას მეფის სწრაფი მგზავრობის შესახებ, სავარაუდოდ თანმხლებლების მცირე რაოდენობით. მეფის სწრაფ დაბრუნებას, როგორც ჩანს, ჰქონდა უშუალო მიზეზებიც. მაგრამ ამგვარი მგზავრობით მეფემ თითქოს გარკვეული ნიშანსვეტიც შექმნა. ჰერეთში ლაშქრობისას, ერთიანი ქვეყნის დანაწევრების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს მმართველი პირველად გამოჩნდა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. მეფემ თავისი მგზავრობით, რომელიც გაგრძელდა განთიადიდან შებინდებამდე, თითქოს ერთ მთლიანობად შეკრა საქართველოს მხარეები, გამოემართა ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილიდან და მივიდა დასავლეთ საქართველოს გზის დასაწყისამდე. მეფის მგზავრობასთან დაკავშირებით მოცემულია გარკვეული სარწმუნოებრივი ერთიანობის კონტექსტი: ჰერეთის მმართველთან ზავი შესაძლოა დადეს ნითელ პარასკევს, ალავერდი სავარაუდოდ ერთად მოილოცეს აფხაზეთის მეფემ და კახეთის ქორეპისკოპოსმა, მგზავრობა შესაძლოა შესრულდა აღდგომას ან აღდგომის მომდევნო დღეებში.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში** – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962.
- მატიანე ქართლისაჲ** – *მატიანე ქართლისაჲ*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. ლორთქიფანიძემ, „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი: რ. მეტრეველი, თბილისი, 2008, გვ. 253-300.
- ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა** – *ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ზ. სარჯველაძემ, ს. სარჯველაძემ, წიგნში: „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი: რ. მეტრეველი, თბილისი, 2008, გვ. 151-246.
- ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა** – ბაქრაძე ა., *ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო (V-XIII სს.)*, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ

მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (აკად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), თბილისი, 1954.

**ბერძენიშვილი, გ ზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში** – ბერძენიშვილი ნ., *გ ზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში*, თბილისი, 1966.

**გვასალია, ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები** – გვასალია ფ., *ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, სიბპ, VII, 1989, გვ. 3-36.

**გლოველი, „აფხაზთა სამეფო“** – გლოველი შ., „აფხაზთა სამეფო“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), 2004.

**ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება** – ლორთქიფანიძე მ., *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.)*, თბილისი, 1963.

**მეფისაშვილი, ერედვის ნმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა** – მეფისაშვილი რ., *ერედვის ნმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა*, სმპმ, ტომი V, 10, 1944, გვ. 1043-1050.

**მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი** – მეფისაშვილი რ., *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი*, ძხ, 4, 1955, გვ. 101-138.

**[ნუცუბიძე], ბრეძა** – [ნუცუბიძე ა.], *050. ბრეძა*, წიგნში: სიკძპ, ტ. 5, გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები, მეხუთე წიგნის რედკოლეგია: ვ. დოლიძე, ს. კინწურაშვილი, უ. სიდამონიძე, გ. ცქიტიშვილი, თბილისი, 1990, გვ. 361.

**პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო** – პაპუაშვილი თ., *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.)*, თბილისი, 1982.

**პაპუაშვილი, IX-XII სს. შერეთის პოლიტიკური ისტორიიდან** – პაპუაშვილი თ., *IX-XII სს. შერეთის პოლიტიკური ისტორიიდან*, მაცნე, სმასმპმ, 1967, №3 (36), გვ. 61-81.

**სანიკიძე, ბრეძა** – სანიკიძე თ., *ბრეძა*, „საქართველო“, ენციკლოპედია, ტ. 1, თბილისი, 1997, გვ. 480-481.

**სოსიაშვილი, შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები** – სოსიაშვილი გ., *შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო*, სიიშ, სპეციალური გამოშვება, შოთა მესხია – 100, 2016, გვ. 227-249.

**ცაგარეიშვილი, საქართველოში ბულა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის** – ცაგარეიშვილი ე., *საქართველოში ბულა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის*, მაცნე, სმასმპმ, 1968, №4 (43), გვ. 105-114.

**ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია** – ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეორე, თბილისი, 1965.

- Historical Atlas of Georgia** – *Historical Atlas of Georgia*, Editor-in-Chief: D. Muskhelishvili, Editors: D. Berdzenishvili, G. Tcheishvili, Translator: L. Mirianashvili, English Text Editors: St. Rapp, N. Aleksidze; Publishing Editor: B. Kudava, Tbilisi, 2023 (Roads of Georgia in the Middle Ages [After N. Berdzenishvili]), გვ. XXV-XXVI, (შუა საუკუნეების საქართველოს გზების რუკა): გვ. 60-61.
- Melville, *The Itineraries of Sultan Öljeitü*** – Melville Ch., *The Itineraries of Sultan Öljeitü, 1304-16*, “Iran”, 1990, Vol. 28, 1990, გვ. 55-70.
- Heit, *Itinerar*** – Heit A., *Itinerar*, “Lexikon des Mittelalters”, V, Stuttgart, Weimar, 1999, სვ. 772-775.
- Kilian, *Itinerar Kaiser Heinrichs IV.*** – Kilian E., *Itinerar Kaiser Heinrichs IV.*, Karlsruhe, 1886.
- Müller-Mertens, *Die Reichsstruktur*** – Müller-Mertens E., *Die Reichsstruktur im Spiegel der Herrschaftspraxis Ottos des Grossen: Mit historiographischen Prolegomena zur Frage Feudalstaat auf deutschem Boden, seit wann deutscher Feudalstaat?*, Berlin, 1980.
- Opll, *Der Weg des Kaisers*** – Opll F., *Der Weg des Kaisers: Überlegungen zur historischen Interpretation des Itinerars Kaiser Friedrich Barbarossas*, „Reisen und Wallfahrten im Hohen Mittelalter“, Herausgegeben von der Gesellschaft für staufische Geschichte e. V., Göppingen, 1999, გვ. 167-190.
- Меписашვილი, Цинцадзе, *Архитектура нагорной части*** – Меписашვილი Р., Цинцадзе В., *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шидა Картли*, Тбилиси, 1975.
- Прозоровский, *Верста*** – Прозоровский Д. И., *Верста*, ЭСБЕ, т. VI, С-Петербург, 1892, გვ. 51-52.



**Itineraries of the Rulers of Western Georgia in the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup>  
Centuries (Based on Examples of the Visits  
in Kartli, Kakheti, and Hereti)**

Summary

The article discusses individual examples of itineraries of the rulers of Western Georgia, the kings of Abkhazeti (Abkhazia), during the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries to Kartli, Kakheti, and Hereti, according to the accounts of the chronicle “Mat’iane Kartlisa”. In connection with K’onstantine III’s campaign in Hereti the inscription from the Church of St. George in Eredvi have also been considered. I examined the itineraries of the rulers, focusing on important aspects of their travel. For example, considerations regarding the speed of movement of the king and his cortege in the Early Middle Ages are presented. Based on the available information, it can be inferred that for the kings of Abkhazeti, among the roads connecting Kartli and Western Georgia, the route north of the Rikoti Pass (including its branches) was a priority. By evaluating the duration and frequency of stays, we can infer whether the ruler spent more time in the capital or other locations. This analysis also helps identify which royal residence or abode might have been more significant to the king.

The article analyzes data related to K’onstantine III’s campaign into Hereti (which took place some years after the 914 military expedition of Abul Kasim in Georgia), as well as his return. The inscription at the Church of St. George in Eredvi, made immediately after the campaign of K’onstantine III, reveals that King K’onstantine participated in a dawn prayer at Alaverdi and was in the village of Bredza by dusk. This inscription suggests that the king may have also taken part in an evening prayer. The evidence indicates that King K’onstantine traveled from Kakheti’s Alaverdi Monastery to Bredza – located at the start of the road to Western Georgia – in a single day. This journey is presumably one of the fastest recorded for early medieval rulers.

For his campaign into Kakheti and Hereti, and his return, the king likely used a route similar to the modern Jinali-Tianeti-Akhmeta road. After the siege of the fortress of Vejini, K’onstantine sent the bulk of his army by a different, outer road. This detail indirectly supports Eredvi’s inscription’s account of the king’s swift journey, presumably with a relatively small retinue. The king’s rapid return suggests immediate reasons, such as the need to organize a second campaign into Hereti or to undertake additional measures. However, this journey may also have had symbolic significance.



During the campaign against Hereti, after the division of the united country, the ruler of Western Georgia appeared for the first time in the extreme eastern part of Georgia; by traveling from the easternmost part up to the beginning of the road to Western Georgia in a single day, the king seemed to unify the country's diverse regions. In this respect, the ride might also be understood as a claim to power on the whole territory of the country. Additionally, the king's travel possibly highlights a religious unity: peace was reportedly established with the ruler of Hereti on Easter Friday, and the King of Abkhazeti and the Chorepiscopus of Kakheti likely made a pilgrimage to Alaverdi Monastery together. The king's swift journey may have occurred during Easter or shortly thereafter.

## ნიგალის ხეობა დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1878-1921 წწ.)

ნიგალის ხეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა. ამიტომაც, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ხეობის 1878-1921 წლების ისტორიული პერიოდის შესწავლა. კვლევის სიახლეა ის, რომ ისტორიული წყაროებისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი ნიგალის ხეობის მდგომარეობა 1878-1921 წლებში.

ნიგალის ხეობა აქტიურად მონაწილეობდა ოსმალთა ბატონობისგან ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ომისთვის მზადების წინა პერიოდში ამ მხარეში მოსახლეობის პოზიციების დასაზუსტებლად საგანგებოდ იმოგზაურეს ივ. კერესელიძემ, ა. მეფისაშვილმა, გ. ყაზბეგმა და სხვა პიროვნებებმა. ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ კუთხის შვილის, გავლენიანი პირის, ახმედ ხალვაშის პოზიციას. იგი აშკარად გამოსატყვევდა განმანთავისუფლებელი ომისადმი მხარდაჭერას. საომარი მოქმედებების პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა რუს-ქართველთა რაზმების მხარეს.

მართალია, 1877 წ. საბრძოლო ოპერაციების დროს რუს-ქართველთა ჯარის მიერ ვერ განთავისუფლდა აჭარა და ნიგალის ხეობა, მაგრამ ბალკანეთში მიმდინარე წარმატებული საომარი ოპერაციების შედეგად ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იქნა. 1878 წელს სან-სტეფანოსა და შემდგომ ბერლინის კონგრესის თანახმად ნიგალის ხეობა სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წარმატებით დამთავრებასა და მიტაცებული ტერიტორიების დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა. ერთიან ქართულ ოჯახს დაუბრუნდა აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი, რომელიც შემდეგ ბათუმის ოლქში გაერთიანდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სახით. ნიგალის ხეობა ართვინის ოკრუგში შედიოდა.

1883 წლის 27 ივნისს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იწოდებოდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. ოკრუგები – უბნებად, უბნები უმცირეს ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულებად – სასოფლო საზოგადოებებად დაიყო. ისტორიული ნიგალის ხეობა კი ადმინისტრაციულად ორ ნაწილად

გაიყო. ერთი ნაწილი ქლასკურის, მარადიდის, ბელღევანის, ბორჩხის, დევსქელის სასოფლო საზოგადოებების სახით ბათუმის ოკრუგში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი – ქართლას, ხატილას, სვეტიბარის, ხოდის, ძანსულის, სასოფლო საზოგადოებები – ართვინის ოკრუგში გაერთიანდა.<sup>1</sup>

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ დედასამშობლოსთან დაბრუნებულმა ნიგალის ხეობის მოსახლეობამ და სხვა შემოერთებულმა რაიონებმა დიდი უბედურება განიცადა მუჰაჯირობის შედეგად, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური, ეკონომიკური, რელიგიური ან სხვა მიზეზებით.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუტანელი იყო საგადასახადო სისტემა, სამხედრო ბეგარა და სხვა. ბათუმის ოლქის მოსახლეობას განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა რუსული საბაჟო სისტემა. დ. კლდიაშვილი წერდა: „ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა, ყოველ გატანილ საქონელზე რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. დაზვერვა, გასინჯვა ბარგისა ხშირად იწვევდა დიდ უსიამოვნებას და შევიწროებას“.<sup>2</sup>

ასეთი ხელოვნურად შექმნილი ბარიერები ქმნიდა მასობრივი არეულობისა და გამოსვლების საბაზს, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის მუჰაჯირად ლტოლვას ოსმალეთში. ამის საუკეთესო გამოხატულებაა 1879 წლის მღელვარება აჭარასა და ნიგალის ხეობაში. გ. წერეთელი ნიგალის ხეობაში არეულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ წერდა: „ართვინის მახრამში არეულობა პირველად იმისგან მოხდა, რომ მურღულის საზოგადოებაში გურჩის დრუჟინის კამანდას ნება არ მისცეს სოფელ ნაქალაქევს და ბაშქოში დაბინავებულიყო“.<sup>3</sup> ბუნებრივია, ასეთი რთული სიტუაცია ქმნიდა მუჰაჯირობის წინაპირობას, მოსახლეობა იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი და ოსმალეთში გახიზნულიყო.

ამ პერიოდში ოსმალთა აგენტები ყოველწლიურად ცდილობდნენ მუჰაჯირობის პროვოცირებას, რასაც ხელს უწყობდა რუსი მოხელეების მოქმედებაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები გადასახლებულთა რაოდენობაზე, მაგრამ არსებულითაც ნათელი ეფინება მუჰაჯირობის მასშტაბებსა და მიმდინარეობას.

<sup>1</sup> ცინცაძე, *ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა*, გვ. 95,99; ბარამიძე, *საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში*, გვ. 115-127.

<sup>2</sup> კლდიაშვილი, *ჩემი ცხოვრების გზაზე*, გვ. 34.

<sup>3</sup> წერეთელი, *არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში*, გვ. 2.

ნიგალში შემავალ მურლულის ხეობაში რუსთა ჯარის შესვლისა და მათი თვითნებობით გამოწვეული უკმაყოფილებების გამო 1879 წელს გასახლებულა მოსახლეობის დიდი ნაწილი.<sup>1</sup> მუჰაჯირთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. წამსვლელთა ნაწილი ვერ იტანდა მგზავრობას და გზაშივე იღუპებოდა. ადგილზე ჩასულებს რთულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ზოგი შიმშილსა და სიცივისაგან კვდებოდა. სურსათისათვის თავიანთ მამულში აგზავნიდნენ სანდო პირებს, საიდანაც მიჰქონდათ შეკრებილი დახმარება ფულისა და ნატურის სახით. ივ. ჯაიანი, რომელიც თავად იყო ამ პროცესის მნახველი, წერდა: „დღე არ იქნება, რომ იქედან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად“.<sup>2</sup>

გადასახლებულთა გარკვეული ნაწილი ოფიციალური ნებართვის გარეშე უკან ბრუნდებოდა. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ზოგი თავის სახლში შევიდა, ზოგი სხვაგან, მაგრამ მურლული მაინც ცარიელი იყო, რადგანაც რაც აქედან მუჰაჯირად წავიდა, იმის მეათედი არ გადმოსახლდა, უმეტესი ნაწილი განყდა თურმე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან“.<sup>3</sup> მუჰაჯირობის პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. იგი განსაკუთრებით მძაფრად განიცადა მურლულის ხეობის მოსახლეობამ. მმართველ წრეებს არაფრად მიაჩნდათ მოსახლეობის აყრა-გადასახლება. პირიქით, ისინი ამ პროცესს ხშირად ხელსაც უწყობდნენ. ასეთ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების ცდები მურლულის ხეობაში მალაკანების გადმოსახლებისა, რაც გახდა აქაური მოსახლეობის სხვაგან გახიზვნის საბაზი. არსებული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ გადასახლების დღიდან 1881 წლამდე მურლულის ხეობის 32 სოფლიდან მხოლოდ სამ სოფელში დარჩა მოსახლეობა. დანარჩენი 10.000 მცხოვრებიდან 4.000 სული წავიდა.<sup>4</sup>

დიდი გაჭირვება განიცადეს 1880 წელს გადასახლებულმა ნიგალელ-მარადიდლებმა. მუჰაჯირობამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო 90-იან წლებში. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, რომელიც დედე ალა ნიჟარაძისაგან ჩაუწერია, ირკვევა, რომ 1890 წელს ნიგალის ხეობის რეგიონებიდან (მურლულიდან, ჩხალიდან, ქ. ართვინიდან) ათასობით სული გადასახლდა. ამავე ცნობებით ჩანს, რომ 1892 წელს ნიგალის ხეობის 46 სოფლიდან 1.000 კომლზე მეტი წასულა, მაგრამ ბევრი უკანვე დაბრუნებულა. მუჰაჯირთა დანატოვარ მიწებზე მურლულის ხეობაში ხშირად აჭარიდან და იმერეთიდან ჩა-

<sup>1</sup> ჭიჭინაძე, *წერილი მურლულიდან* („ივერია“, № 171).

<sup>2</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 63.

<sup>3</sup> ჭიჭინაძე, *წერილი მურლულიდან* („ივერია“, № 172).

<sup>4</sup> Юрченко, *Заметки о поезде*.

სულები სახლდებოდნენ, რასაც კეთილგანწყობილებით ხვდებოდა ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა.

ივ. ჯაიანის ცნობებით, ოსმალეთის მმართველობის პერიოდში სოფელ ბორჩხაში 137 კომლი აღირიცხებოდა, რაც 1894 წლისათვის 22-მდე შემცირდა. სხვები ოსმალეთში გადასახლდნენ.<sup>1</sup>

გადასახლებულთა რაოდენობის დადგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებული ცნობები ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს არ ემყარება. ეს ცნობები მთხრობელთა გადმოცემებსა და ზეპირი ინფორმაციის საფუძველზეა შედგენილი. ამდენად, ისინი, შეიძლება ზუსტი არ იყოს.

მონინავე ქართველი საზოგადოების ნაწილს კარგად ესმოდა ის დიდი საფრთხე, რასაც მუჰაჯირობა უქადაა განთავისუფლებული მხარის მოსახლეობას. ამიტომ ისინი გასახლების წინააღმდეგი იყვნენ. ამ საქმეში ნიგალის ხეობაში დიდი როლი ითამაშა მარადიდის უფროსმა ახმედ ხალვაშმა. მასთან ერთად გასახლების წინააღმდეგ გამოდიოდა სოფ. დამპალის საზოგადოების მუხტარი გენჯალა ბოლქვაძე. მან დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობის ადგილზე დასარჩენად, რისთვისაც მას ბევრიც გადაემტერა. 1894 წ. 4 ივნისს იგი სოფ. ქართლადან მომავალი ვერაგულად მოკლეს.<sup>2</sup>

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ნიგალის ხეობის სოფლებიდან მუჰაჯირად წასულთა უმეტესობა შემდეგ დასახლებულა ბურსაში, ინეგოლში, ადაბაზარში, იზმითში და სხვა ქალაქებში. მათი შთამომავლობა დღეს თურქეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებშია გაფანტული, რომელთაც კარგად ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა და თავდაპირველ საცხოვრისზეც გატაცებით საუბრობენ.

1877-1878 წწ. ომის შემდეგ შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. რამდენადმე გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ფართოდ გაიშალა სამშენებლო საქმიანობა. გაჰყავდათ გზები, შენდებოდა ხიდები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივი რესურსების გამოვლენა-შესწავლას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მურღულის ხეობაში სოფ. ძანსულის სპილენძით მდიდარი საბადო. ა. წულაძის დახასიათებით იგი მთელ კავკასიაში იპყრობდა ყურადღებას.<sup>3</sup> ნიგალის ხეობაში სპილენძის სამთამადნო ცენტრებს წარმოადგენდა ართვინის ზემოთ ხოლდურსუს ხეობაში მდებარე ხოდის, აგრეთვე სოფელ კვარცხანის საბადოები. საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო

<sup>1</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 27.

<sup>2</sup> ჯაიანი, *წერილები შავშეთიდან*, გვ. 80.

<sup>3</sup> წულაძე, *ს. ძანსული*.

წარმოებას. თავდაპირველად ადგილზე მადნის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობდა. მოპოვებული მადანი ჭოროხის სამდინარო და სახმელეთო გზით ერგეში ჩაჰქონდათ, სადაც 1889-1890 წლებიდან მოქმედებდა სპილენძის სადნობი ქარხანა. მომდევნო წლებში სპილენძის სადნობი ქარხნები უშუალოდ მადნის მოპოვების ახლოს ხოდში, ძანსულსა და კვარცხანაში აიგო. 1910 წლისათვის ძანსულში ყოველთვიურად ადნობდნენ 1.200 ფუთ სპილენძის ზოდს, რომელსაც ბათუმ-ართვინის საავტომობილო გზის გაყვანამდე ბათუმში აგზავნიდნენ, აქედან კი რუსეთში.<sup>1</sup> ა. წულაძის ცნობით, სპილენძით ძანსული კვებავდა პუტილოვის ცნობილ ქარხანას რუსეთში.<sup>2</sup>

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სამთამადნო წარმოებაში იყო დასაქმებული. აქვე სამუშაოზე მიეშურებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ასევე იყვნენ კახეთიდან, კერძოდ ქიზიყიდან ჩამოსული მუშები, თუმცა ისინი მალევე უკან დაბრუნებულან.<sup>3</sup> 1.000 მუშა შრომობდა კვარცხანის, 3.000-მდე ძანსულის საბადოებზე. მათ შორის იყვნენ აჭარიდან, შავშეთიდან, ლაზეთიდან ჩასულები. აქ უცხოელი წარმოშობის მუშებიც საქმიანობდნენ.<sup>4</sup> დასაქმებულთა პირობები ცუდი იყო. ანაზღაურება კი სამუშაოს შესაბამისი არ ყოფილა. ინგლისური კომპანიები აუტანელ პირობებში ამუშავებდა მუშებს.

სამთამადნო წარმოების განვითარებით გამოწვეულმა მოსახლეობისა და სავაჭრო ურთიერთობის ზრდამ დააჩქარა ისეთი ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნა, როგორცაა ბორჩხა, ძანსული, მურღული. მარტო ძანსულში ა. წულაძის ცნობით, ომის წინა ხანებში არსებული 10-15 კომლის ნაცვლად 1916 წლისათვის 3.000 მცხოვრები იყო. პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში სამთამადნო წარმოება დაეცა.

ომის შემდგომ გამოცოცხლდა ართვინის საქალაქო ცხოვრებაც. თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ. მათი რიცხვი 500 კომლს ითვლიდა. 1879 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობა ართვინში 2.000 კაცს შეადგენდა.

საქალაქო ცხოვრების ზრდასთან ერთად გართულდა კრიმინოლოგიური სიტუაცია. გახშირდა ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა. მათი დიდი ნაწილი გამოუძიებელი რჩებოდა.<sup>5</sup>

ართვინი ნიგალის ხეობაში ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქში ადრიდანვე სავაჭროდ დადიოდა იმერხევის მო-

<sup>1</sup> კახიძე, *სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში*, გვ. 36.

<sup>2</sup> წულაძე, *ს. ძანსული*.

<sup>3</sup> ხოსიტაშვილი, *ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე*, გვ. 52.

<sup>4</sup> „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი.

<sup>5</sup> ხოსიტაშვილი, *ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე*, გვ. 43.



სახლეობა. აქ თავს იყრიდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან მოსული ვაჭრები. ართვინში უცხოელთა სავაჭრო კომპანიებიც მოქმედებდა. შესყიდვის ძირითადი საგანი იყო ყარსიდან და შავშეთიდან შემოტანილი ხორბალი, ადგილობრივი ლივანური წარმოების სელი, აბრეშუმი, ზეთისხილი და სხვა.

ქალაქის ზრდასა და კეთილმოწყობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ართვინი აქტიურად ჩაერთო შავი ზღვის სავაჭრო ქსელში და ბათუმი-ყარსის მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა.<sup>1</sup>

ართვინში XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის გაიხსნა სკოლა. იგი თავდაპირველად ორკლასიანი სასწავლებელი იყო.

სამწუხაროდ, ართვინის სკოლის დაარსება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდის ავლით, უშუალოდ კავკასიის განათლების უწყების ნებართვით მოხდა. როგორც ჩანს, სკოლაში ეროვნულ ენაზე სწავლება იზღუდებოდა. ართვინშივე არსებობდა რამდენიმე კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო-სამრევლო სკოლა.<sup>2</sup>

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ნიგალის ხეობაში გამოცოცხლებას იწყებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე წერა-კითხვის გავრცელება, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ახმედ ხალვაშს, ივ. ჯაიანს. ეს უკანასკნელი გარკვეული წლების განმავლობაში ბორჩხაში მსახურობდა და თავად ასწავლიდა აქაურ ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას. ამ მხრივ დიდია ზ. ჭიჭინაძის როლიც. მან ფეხით მოიარა ნიგალის ხეობის სოფლები და საფუძველი ჩაუყარა ქართული წერა-კითხვისა და ქართული წიგნის გავრცელების საქმეს. ზ. ჭიჭინაძე ნიგალის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „მთელს ამ ხეობაში წერა-კითხვის მცოდნე კაცი სრულად არ შეგხვდება. ამათში მოლებისა და ხოჯების გარდა წერა-კითხვა არავინ იცის, არც ოსმალური და არც ქართული. ამათი სამშობლო ენა ქართული არის. ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მალხაზნი არიან. ამათ რომ პატრონი ჰყავდეთ, მაშინ ერთი თვის განმავლობაში ესენი ქართულ ანბანს კარგად დაისწავლიან. სოფელში იხვეწებიან, რომ ეგებ მოხვიდეთ და გვასწავლოთ“.<sup>3</sup> იგი გამოთქვამდა იმედს, რომ ქართული სკოლის გახსნა და ქართულ ენაზე სწავლების შემოღება წინ წასწევდა მათ კულტურულ ცხოვრებას.

<sup>1</sup> სამუშია, *ართვინის (ლივანის ციხე)* – სამუშია ჯ., *ართვინის (ლივანის ციხე)*, „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, ტ 1, თბილისი, 2020, გვ. 24.

<sup>2</sup> ბასილაძე, *განათლების საკითხისათვის ართვინში (1878-1921 წლები)*, გვ. 104.

<sup>3</sup> ჭიჭინაძე, *მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*, გვ. 148.

აქაური ბავშვები ქართულ სიტყვებს თურქული ასოებით წერდნენ და ისე სწავლობდნენ. ს. ბავრელის შეკითხვაზე: „თუ იცით ქართული წერა-კითხვა“, მარადიდელმა მენავემ, ვინმე ოსმანმა, ასე უპასუხა: „კი ბატონო, მუსლიმანჯა ვიცი, გურჯიჯა არა. ჩვენ იმისთანა ქითაბები გვაქვს, რომ იმაში სწერია გურჯიჯა სიტყვები თურქული იაზებით“<sup>1</sup> ანუ ასოებით. ამისათვის აუცილებელი იყო ქართული სკოლის გახსნა, ასეთი სკოლა მართლაც გაიხსნა ახმედ ხალვაშის თაოსნობით.

ახმედ ხალვაშმა, მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, განცხადებით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს მარადიდში სკოლის გახსნის თაობაზე, რაც კიდევაც განხორციელდა 1884 წელს. ეს იყო პირველი ქართული დაწყებითი სკოლა, რომელშიც ქართულ ენასთან ერთად რუსულსაც ასწავლიდნენ.

1886 წელს გაზეთი „ივერია“ მკითხველს აუწყებდა: „მარადიდში უკვე დაარსდა სკოლა ქუთაისის საერო სასწავლებლის დირექციის მიერ. ამ სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა პეტროვი“.<sup>2</sup> სამწუხაროდ, ამ სკოლას დიდხანს არ უარსებია. ახმედ ხალვაშის გარდაცვალების შემდეგ მოსწავლეთა რიცხვმა თანდათანობით იკლო. რადგან მასწავლებელი რუსი იყო და არ იცოდა ქართული ენა, ბავშვებს კი მისი არაფერი გაეგებოდათ. ამასთან ერთად იგი ხშირად თვრებოდა და სასტიკად სცემდა მოწაფეებს. ასეთი ურიგო მასწავლებლის ყოფაქცევამ ხელი შეუწყო სკოლის დახურვას.<sup>3</sup>

მარადიდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების მიღებით დაინტრესებული ყოფილა აგრეთვე ახმედის ვაჟი ჰარუნ ეფენდ ხალვაში. მას მამის სიკვდილის შემდეგ საკუთარი სახსრებით ქართული ენის მასწავლებელი მოუწვევია, მაგრამ წინა რუსი მასწავლებლის არასახარბიელო ქცევით უკმაყოფილო მოსახლეობას ხალვაშების გვარის გარდა ბავშვები არ მოუყვანიათ.<sup>4</sup>

90-იან წლებში კვლავ დაისვა საკითხი მარადიდში სკოლის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ გაზეთი „კვალი“ იტყობინებოდა: „დღეს აქ ძლიერ საჭიროა სკოლის გახსნა. თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც შეიგნეს წერა-კითხვის აუცილებლობის საჭიროება, მაგრამ ვინ არის იმისთანა, რომ ეს ითავოს. შარშან აქაურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თხოვნის მიცემა გუბერნატორთან სკოლის გახსნაზე. თხოვნა კიდევ გაიგზავნა, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მოსულა“.<sup>5</sup>

როგორც ვნახეთ, ნიგალის ხეობის ქართველი მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა საგანმანათლებლო ცხოვრებისადმი. ეს იმით იყო გამოწვეუ-

<sup>1</sup> ბავრელი, *ნავით მოგ ზაურობა ქოროხზე*.

<sup>2</sup> „ივერია“, 1886, №52.

<sup>3</sup> მალაყმაძე, *ლიგანის ხეობა*, გვ. 47.

<sup>4</sup> ჭიჭინაძე, *მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*, გვ. 153, 155.

<sup>5</sup> „კვალი“, 1896, №44.

ლი, რომ ოსმალური რეჟიმის მიუხედავად ქართული სალაპარაკო ენა მაინც იჩინდა სიცოცხლისუნარიანობას, მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რაც მთავარია მშობლიური ქართული ენა. ამ საქმეში დიდი იყო აქაური ქალის როლი.

ნიგალის ხეობის ცხოვრებას მძიმე დალი დაასვა პირველმა მსოფლიო ომმა. ხეობა ომის ასპარეზად იქცა. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ნაქეზებით ომში ჩაება ოსმალეთი.

ომის საწყის ეტაპზე ოსმალეთის არმიის საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა ართვინის ოკრუგში ძირითადი კომუნიკაციების – სპილენძით მდიდარი რაიონების, აგრეთვე ბათუმთან, ართვინთან, არტაანთან და ყარსთან დამაკავშირებელი გზების ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით 1914 წ. 30 ოქტომბერს ოსმალეთის არმიამ არხავესა და ხოფას მხრიდან, ჩხალისა და მურღულის ხეობებით შეტევა დაიწყო ართვინის მიმართულებით. ბრძოლის ობიექტად იქცა მურღულის ხეობაში მდებარე ჭინკათხევე-დანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. უკვე 1 ნოემბრისათვის 500 ოსმალ მებრძოლი მოადგა ქარხნის ტერიტორიას. აქ განლაგებული რუსთა ჯარის ნაწილები საკმარისი არ იყო თავდასხმის მოსაგერიებლად, რის გამოც ართვინის ოკრუგის უფროსის პოლკოვნიკ ლავროვის ხელმძღვანელობით ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისაგან და ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი. ისინი 3 ნოემბრამდე, ბათუმიდან დამხმარე რაზმის მოსვლამდე, იგერიებდნენ იერიშებს.<sup>1</sup> ასევე წარუმატებლად დამთავრდა „ჩივთე ქოფრის“ მიდამოებში წარმოებულ ოსმალთა 1.000 კაციანი რაზმის შეტევა ბორჩხის მიმართულებით.

3 ნოემბერს ბათუმიდან ბორჩხაში საგანგებოდ ჩავიდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ელშინი. მისი ბრძანებით 4 ნოემბერს რუსთა არმიას უნდა წამოეწყო კონტრშეტევა ორი მხრიდან სპილენძის სადნობი ქარხნებიდან და სოფელ ქურადან. მაგრამ ოსმალებმა რუსთა არმიას შეტევის დაწყება დაასწრეს და შესძლეს ქარხნის ირგვლივ მდებარე სიმაღლეების ხელში ჩაგდება. ასეთ პირობებში რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა თავდაცვით ბრძოლებზე გადასულიყო. საღამოს დიდი ზარალის ფასად ქარხნის ტერიტორია რუსებმა დატოვეს.

ოსმალთა გაძლიერებული შენაერთების კონტრშეტევის საფრთხემ ართვინში, არტანუჯში და ორჯოხში გამაგრებული რუსთა არმია აიძულა ბორჩხისაკენ დაეხია. გენ. ელშინის დავალებით ამ ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ აეფეთქებინათ მდ. ჭოროხზე არსებული ხიდი ქალაქ ართვინთან.

ოსმალებმა ჭარბი ძალებით მოახერხეს ბორჩხის, ქ. ართვინის და არტანუჯის აღება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამპყრობლები მკაცრ ასიმი-

<sup>1</sup> “Закавказская речь”, 1914, №272.

ლატორულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. განსაკუთრებით ავიწროებდნენ სომეხ მოსახლეობას. გადმოცემით ოსმალები სომეხებს ართვინის ციხიდან მდინარე ჭოროხში ცოცხლად ყრიდნენ.

თუმცა ოსმალთა მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. სარიყამიშთან დამარცხების შემდეგ სწრაფად დაიწყეს უკან დახევა. უკან დახეული ნაწილები წვაგდნენ სოფლებს, იტაცებდნენ საქონელს, ქონებას, ძალად მიერეკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შესახებ გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა: „ყველაზე მეტად განადგურდა მდ. ჭოროხის პირას მდებარე სოფლები აჭარისწყლიდან ართვინამდე. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან. ვინც ცოცხალი დარჩა, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“.<sup>1</sup>

რუსეთის არმიის წარმატებული შეტევით 1915 წ. თებერვლის შუა რიცხვებში განთავისუფლებულ იქნა ბორჩხა. ხოლო მარტის დამდეგს ძანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. ოსმალები განდევნილ იქნენ მურღულის ხეობიდან. ამის შემდეგ ბორჩხისა და არტაანის რაზმების წინაშე დაისახა გეგმა, რომლის მიხედვითაც ორმხრივი დარტყმით უნდა გაეთავისუფლებინათ მტრის მიერ კარგად გამაგრებული ართვინი. 16 მარტის კონტრშეტევის შედეგად რუსთა არმიამ ქ. ართვინიც დაიკავა. მალე ოსმალებისაგან სრულიად გაიწმინდა ნიგალის ხეობა და მთელი ბათუმის ოლქი.

პირველმა მსოფლიო ომმა მძიმე შედეგები მოუტანა ნიგალის ხეობას, მთელ ჭოროხის მხარეს. მან დიდად შეაფერხა საზოგადოებრივი ცხოვრება.

მძიმე აღმოჩნდა პოლიტიკური შედეგიც. ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე არდაგანის ოლქთან და სხვა რაიონებთან ერთად თურქეთს გადაეცა ნიგალის ხეობის ზემო ნაწილი<sup>2</sup> (ბელლევანის, ჩხალის, მურღულის, ქლასკურის, დევსქელის და სხვა ხეობები). ხეობის ქვემო ნაწილი კი საქართველოს საზღვრებში დარჩა და სოფლებით – კირნათი, ქვემო მარადიდი, გვარა – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კირნათის თემში, ხოლო მასზე მიწერილი მირვეთი და მაჭახლისპირი აჭარისწყლის სასოფლო თემში შევიდა.

ამრიგად, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ რუსეთის მმართველობაში მყოფ დედასამშობლოს შემადგენლობაში დაბრუნებული ნიგალის ხეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუმცა, რთული იყო ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრება, რაც იწვევდა მოსახლეობის გადასახლებას ოსმალეთში. მძიმე აღმოჩნდა პოლიტიკური შედეგიც, რაც ხეობის ორ ნაწილად გაყოფით დასრულდა.

<sup>1</sup> „თანამედროვე აზრი“, 1915, №32.

<sup>2</sup> თაყაიშვილი, *სამუსლიმანო საქართველო*, ტ. II, გვ. 226; თოიძე, *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც*, გვ. 197.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

- „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი – გაზეთი „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი.
- ბავრელი, ნავით მოგ ზაურობა ჭოროხზე** – ბავრელი ს., ნავით მოგ ზაურობა ჭოროხზე, გაზეთი „ივერია“, 1879, №2.
- ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში** – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999.
- ბასილაძე, განათლების საკითხისათვის ართვინში (1878-1921 წლები)** – ბასილაძე ი., განათლების საკითხისათვის ართვინში (1878 -1921 წლები), „ართვინი და ართვინის რეგიონი – წარსული და თანამედროვეობა“, ქუთაისი, 2022.
- „თანამედროვე აზრი“, 1915, №32 – გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1915, №32.
- თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო** – თაყაიშვილი ე., სამუსლიმანო საქართველო, „დაბრუნება“, გ. შარადის საერთო რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1991.
- თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც** – თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბილისი, 1991.
- „ივერია“, 1886, №52 – გაზეთი „ივერია“, 1886, №52.
- კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში** – კახიძე ნ., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის სანარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი, სდსჟპ, XIV, 1987.
- „კვალი“, 1896, №44 – გაზეთი „კვალი“, 1896, №44.
- კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე** – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984.
- მალაყმაძე, ლივანის ხეობა** – მალაყმაძე რ., ლივანის ხეობა, თბილისი, 2008.
- სამუშია, ართვინის (ლივანის ციხე)** – სამუშია ჯ., ართვინის (ლივანის ციხე), „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“, ტ. I, თბილისი, 2020.
- ცინცაძე, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა** – ცინცაძე ზ., ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სდსჟპ, IX, 1980, გვ. 115-127.
- წერეთელი, არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში** – წერეთელი გ., არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში, გაზეთი „დროება“, 1879, №24.

**წულაძე, ს. ძანსული** – წულაძე ა., ს. ძანსული, გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1915, №7.

**ჭიჭინაძე, ნერილი მურღულიდან** („ივერია“, №171) – ჭიჭინაძე ზ., ნერილი მურღულიდან, გაზეთი „ივერია“, 1893, №171.

**ჭიჭინაძე, ნერილი მურღულიდან** („ივერია“, №172) – ჭიჭინაძე ზ., ნერილი მურღულიდან, გაზეთი „ივერია“, 1893, №172.

**ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში** – ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.

**ხოსიტაშვილი, ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე** – ხოსიტაშვილი მ., ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე, თბილისი, 2020.

**ჯაიანი, ნერილები შავშეთიდან** – ჯაიანი ივ., ნერილები შავშეთიდან, თბილისი, 1991.

“**Закавказская речь**”, 1914, №272 – “Закавказская речь”, 1914, №272.

**Юрченко, Заметки о поездке** – Юрченко, Заметки о поездке по ущельям рек Чорох-су до Артвина и Мургули-су до Нижней Куры в Батумской области, გაზეთი “Кавказ”, 1881, №206.



## **The Nigali Gorge after Returning to Motherland (1878-1921)**

### Summary

After the successful end of the Russo-Ottoman war of 1877-1878, along with other historical provinces, Nigali Gorge was returned to the united Georgian territory as part of Klarjeti. Administratively, it was incorporated into the Artvin Okrug. Later, the territory was divided into two parts. One part was included in Batumi Okrug, and the other remained within the Artvin Okrug.

The tax system, military obligations, etc. were unbearable for the local population. Each year, Ottoman agents attempted to provoke migration, which was facilitated by the actions of Russian officials.

In 1879, a large part of the population was evicted due to the entry of the Russian army into the Murghuli Gorge, part of the Nigali Gorge, and the dissatisfaction caused by their arbitrariness. The condition of the Muhajirs was quite difficult. Some migrants could not survive the journey and died on the way. Those who arrived to the destination had to live in difficult conditions. Some were dying of hunger and cold. To obtain food, they sent trusted individuals to their estates, where they gathered assistance in the form of money and supplies. Some of the exiles began to return.

The ruling circles did not care about the population's resettlement. On the contrary, they often facilitated this process. The people who came from Ajara and Imereti often settled on the lands abandoned by the Muhajirs in the Murghuli Gorge, and were welcomed by the residents who remained on the spot.

According to our field materials, most of those who migrated from the villages of the Nigali gorge later settled in Bursa, Inegol, Adabazar, Izmit and other cities. Today, their descendants are scattered in different cities and villages of Turkey, who remember their ethnic origin well and talk passionately about their original place of residence.

After the war of 1877-1878, relative tranquility ensued, and the effects soon became evident. To some extent, city life was revived, agriculture and trade were promoted, and construction activities became widespread. Attention was paid to the detection and study of natural resources. The copper-rich deposit of the village of Dzansuli in the Murghuli Gorge, as well as the deposits of Khodi in the Kholdursu gorge above Artvin, and the deposits of the village of Kvartskhani, were especially distinguished. The foundation was laid for ore mining industry. Initially, there was no

ore processing plant at the site. The mined ore was transported to the village of Erge via the Chorokhi River and overland, where a copper smelter operated from 1889-1890. In the following years, copper smelters were constructed closer to the ore mining sites in Khodi, Dzansuli and Kvartskhani.

The growth in population and trade caused by the development of mining, accelerated the formation of urban settlements such as Borchkha, Dzansuli, Murghuli. The city of Artvin was one of the main trade centers in the Nigali Gorge. Both local and foreign merchants regularly gathered there.

After returning to the motherland, cultural and educational life began to revive in Nigali Gorge. Promoting literacy in the Georgian language became a priority, with significant contributions from Akhmed Khalvashi and Iv. Jaiani. The latter spent several years in Borchkha and taught local children to read and write in Georgian. In this regard, the role of Z. Chichinadze is also important.

Under the leadership of Akhmed Khalvashi, the first Georgian primary school was established in 1884, where both Georgian and Russian were taught.

Akhmed's son Harun Effend Khalvashi was also interested in the education of the youth from Maradidi. After his father's death, he personally funded a Georgian language teacher, but the local residents, dissatisfied with the previous Russian teacher's unfavorable conduct, refused to send their children to the school, except for the Khalvashi family.

Despite living in the Ottoman Empire, the Georgian spoken language was still viable. The population mainly preserved Georgian traditions, customs, and most importantly, the native Georgian language. The role of the local women was significant in this regard.

The life of the gorge was severely affected by the First World War. The gorge became an arena of war. Military operations were also conducted in the Nigali Gorge.

The political result was also severe. Under the Treaty of Kars, the upper part of the Nigali Gorge (Beghlevani, Chkhali, Murghuli, Klaskuri, Devskeli and other gorges) was ceded to Turkey along with Ardagan Okrug and other districts. The lower part of the gorge remained within the borders of Georgia with its villages: Kirnati, Kvemo Maradidi, Gvara – incorporated into the Kirnati community by administrative-territorial division, while the villages of Mirveti and Machakhlipiri ascribed to it, were assigned to the Acharistskali rural community.

## ხეთური „გილგამეშიანი“

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-21-17153]

This work was supported by Shota Rustaveli  
National Science Foundation of Georgia  
(SRNSFG) [grant number FR-21-17153]



მსოფლიო ლიტერატურის უძველესი ძეგლი – გილგამეშის ეპოსი<sup>1</sup> ძველ სამყაროშივე სარგებლობდა პოპულარობით. ამას მოწმობს გილგამეშის თავგადასავლები ამსახველი ტექსტების გამოვლენა არა მხოლოდ ასურეთსა და ბაბილონში, არამედ ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში – ანატოლიაში, უგარიტში, ემარსა და მეგიდოში. ხეთების დედაქალაქ ხათუსაში (დღევანდელ ბოლაზექოიში) აქადურენოვანი ვერსიების გვერდით აღმოჩენილია გილგამეშის ეპოსის ფრაგმენტები ხეთურ და ხურიტულ ენებზე.<sup>2</sup> გ. ბეკმანის სამართლიანი შენიშვნით, ხეთების დედაქალაქში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად იმაზე მეტი ტექსტობრივი მასალა გამოვლინდა, რაც გვიან ბრინჯაოს ხანის ყველა ერთად აღებულ ძეგლზე, სადაც კი გილგამეშის ეპოსის ვერსიებია ნაპოვნი.<sup>3</sup>

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ინვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი ეჭირა გილგამეშის ეპოსს ხეთურ კულტურაში: ის მხოლოდ სასწავლო მიზნით გამოიყენებოდა სკოლებში ლურსმულ ტექსტთა გადამწერთა აღსაზრდელად, თუ ხეთურ „ელიტაში“ ლიტერატურული წარმოების ფუნქციასაც ასრულებდა? აგრეთვე საკამათოა ხეთურენოვა-

<sup>1</sup> მსოფლიო კულტურაში გილგამეშის ეპოსის მნიშვნელობაზე იხ. მაგალითად, Ziolkowski, *Gilgamesh Among Us*.

<sup>2</sup> ამ ტექსტების სრული ნუსხისთვის იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. XI-XII.

<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით, უფრო დანვრილებით იხ. იქვე, გვ. 4-6; ხეთურენოვანი ვერსიის სტანდარტულ ბაბილონურ ვერსიასთან მსგავსება-განსხვავებების შესახებ იხ. იქვე, გვ. 7-12; გილგამეშის ეპოსის ანატოლიური ტრადიციის შესახებ იხ. აგრეთვე, Archi, *Transmission of Recitative Literature*, გვ. 186-188; Klinger, *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur*, გვ. 114-123; Sasson, *Prologues and Poets*, გვ. 269-270, 272, 275, 277.

ნი ვერსიის წარმოშობის საკითხი – ზეპირსიტყვიერი ტრადიციის ამსახველ ტექსტთან გვაქვს საქმე თუ დამოუკიდებელ კომპოზიციასთან, რომელიც არ არის დაფუძნებული უფრო ადრეულ აქადურ (ან ხურიტულ) ტექსტებზე.<sup>1</sup> ერთი რამ კი უდავოა, ბოლაზქოიში აღმოჩენილ აქადურ, ხურიტულ, ხეთურ ენებზე ჩანერილ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს გილგამეშის ეპოსის განვითარების გზის რეკონსტრუქციისათვის, ვინაიდან ეს ტექსტები სწორედ იმ პერიოდის მასალას მოიცავს, რომელიც თავად შუამდინარეთში საკმაოდ ფრაგმენტულად და მწირად არის შემონახული. ამასთან, ხეთური ვერსია ერთადერთი წყაროა ე. წ. კანონიკური ვერსიის – თორმეტფირფიტისანი ეპოსის მეხუთე ფირფიტის შესავსებად. გილგამეშთან დაკავშირებული ბოლაზქოის ტექსტობრივი მასალის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ძველ ახლო აღმოსავლეთში ნარატიული ტრადიციების გავრცელების საკითხისა და ბერძნულ ეპიკურ ტრადიციასთან მათი კონტაქტების შესასწავლად.<sup>2</sup>

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს გილგამეშის და მისი მეგობრის – ენქიდუს თავგადასავლების ამსახველი სამი ხეთურენოვანი ფირფიტის – CTH 341.III.1, III.2, III.3<sup>3</sup> თარგმანს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ამ საკითხების მიმოხილვისთვის იხ. მაგალითად, Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 63–72; გ. ბეკმანის აზრით, ხეთურ ვერსიას საფუძვლად დაედო აქადურენოვანი ნიმუში, რომელიც სინ-ლეკი-უნიხის ავტორობით შექმნილი თხზულების მსგავსი უნდა ყოფილიყო (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

<sup>2</sup> Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 199–457.

<sup>3</sup> გამოცემებისთვის იხ. პირველ რიგში: Friedrich, *Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos*, გვ. 1–82; Otten, *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*, გვ. 93–125; Rieken (et al.), *CTH 341.III*; Beckman, *The Hittite Gilgamesh*.

<sup>4</sup> ტრანსლიტერაცია მისდევს ბეკმანის 2019 წლის გამოცემას (Beckman, *The Hittite Gilgamesh*), რომელიც დღეისათვის ყველაზე ახალი და სრული გამოცემაა (აღნიშნული ტექსტების ასლების ჩამონათვალისთვის და მათი განაწილებისთვის ხეთურ სამ ფირფიტის ვერსიაში იხ. იქვე, გვ. 4–5, 33, 43, 45). თარგმანი ძირითადად ეყრდნობა ტექსტის დაზიანებული ნაწილების ბეკმანის მიერ შემოთავაზებულ აღდგენებს. ამა თუ იმ პასაჟის განსხვავებული თარგმანი თუ ინტერპრეტაცია ასახულია შესაბამის სქოლიოებში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული წესისამებრ: მრგვალ ფრჩხილებში ლოგიკური ჩანართებია მოთავსებული, ხოლო კვადრატულში – ფირფიტის დაზიანებული და აღდგენილი ნაწილები.

# I ფირფიტა

A<sub>a</sub> i

§1

1. [გილგამეშის],
2. გმირის, სადიდებელს [ვიმღერებ].<sup>1</sup>

§2

3. (ის) გმირმა [ეამ (?) შექმნა],
4. (დიდმა ღმერთებმა) კი გილგამეშის სხეული<sup>2</sup> შექმნეს. [დიდმა ღმერთებმა]
5. (შექმნეს) გილგამეშის სხეული.<sup>3</sup> ცის მზის ღვთაებამ მას [მამაკაცობა]
6. მიანიჭა, ამინდის ღვთაებამ<sup>4</sup> კი მას გმირობა მიანიჭა.
7. დიდმა ღმერთებმა [შექმნეს] გილგამეში. მისი სხეული [სიმაღლეში]
8. 11 წერთა (იყო), მკერდი 9 [მტკაველი]<sup>5</sup> სიგანისა,
9. ხოლო (...)<sup>6</sup> 3 [წერთა(?)] სიგრძისა (ჰქონდა).

<sup>1</sup> შდრ. მესამე ფირფიტის (III.3) კოლოფონი: „მესამე (!) ფირფიტა „გილგამეშის სიმღერისა“.

<sup>2</sup> ტექსტში: ALAM (შუმეროგრამა) „გამოსახულება, ქანდაკება“.

<sup>3</sup> ჩემი აზრით, მე-4 და მე-5 სტრიქონებში ორი ფრაზა შეიძლება ამოვიკითხოთ, რომელთაგან პირველს სუბიექტი აკლია, ხოლო მეორეს – ზმნა („შექმნეს“). პირველის სუბიექტში ლოგიკურად „დიდი ღმერთები“ უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო მომდევნო ფრაზაში კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული აღდგენა ხაზს უსვამს დიდი ღმერთების როლს გილგამეშის შექმნაში. იხ. აგრეთვე მე-7 სტრიქონი, სადაც კვლავ ვხვდებით „დიდ ღმერთებს“. შდრ. 40; Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 3-6). აღსანიშნავია, რომ შუამდინარულ ტრადიციაში, ხეთური ვერსიისგან განსხვავებით, გილგამეში ურუქის მეფის – ლუგალბანდასა და ქალღმერთ ნინსუნის შვილია.

<sup>4</sup> ცის მზის ღვთაებას და ამინდის ღვთაებას, ხეთური პანთეონის უზენაეს ღვთაებებს, გილგამეშის ეპოსის მხოლოდ ხეთურ ვერსიაში ვხვდებით. ეს უნდა ასახავდეს ხეთურ ღვთაებათა პანთეონში მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თუმცა, მესამე ფირფიტის დასაწყისში, ენქიდუს სიზმარში ნახსენებ ღვთაებათა ჯგუფი ხეთურ პანთეონთან მისადაგებული აღარ არის. ამასთან დაკავშირებით, იხ. Beckman, *Hittite Gilgamesh*, გვ. 5; შდრ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 274.

<sup>5</sup> ტექსტში: *wakšur* – სიგრძის ერთეული, დაახლ. 14, 8 სმ. (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 8, გვ. 34).

<sup>6</sup> სხეულის რომელიღაც ნაწილი. ფ. ჰაასი აქ აღადგენს „თითის“ აღმნიშვნელ აქადურ სიტყვას ([<sup>u</sup>]ZUu-ba!<sup>1</sup>-ni, რომელსაც პენისის ევფემიზმად მიიჩნევს (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 274).

ფრიდრიხ-კამენჰუბერის ლექსიკონში (იხ. *HW*, ტ. III, გვ. 323) სიტყვა (*harnius*) თარგმნილი არ არის და განმარტებულია როგორც სხეულის ნაწილი, რომელიც, დაბოლოების მიხედვით, დგას მრავლობითი რიცხვის აკუზატივში.

გ. ბეკმანის წაკითხვით: [<sup>u</sup>]ZUHAR\*-ni-uš „წვერი“ (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42). თუმცა, ის იქვე აღნიშნავს, რომ გილგამეშის გარეგნობის მსგავს აღწერილობებში წვერს ვერსად ვხვდებით. ამის გარდა, პრობლემას ქმნის მოცემულ სიტყვასთან „ხორცის“ აღმნიშვნელი დეტერმინატივიც – UZU.

### §3

10. (გილგამეშმა) ყველა ქვეყანა შემოიარა,
11. ქალაქ ურუქს მიადგა და იქ [დასახლდა].<sup>1</sup>
12. ყოველდღიურად ჩაგრავდა ურუქელ [ყმანვილ]კაცებს.
13. დედა ქალღმერთი [...]<sup>2</sup>
14. და მან გილგამეშის ქარებში (?) [...].

#### D<sub>a</sub> i

- 5'. დედა ქალღმერთმა (ციდან) [ქვემოთ] ჩამოიხედა (?) [...]
- 6'. და [...] გულში ბრაზი [ჩაიდო].

### §4

- 7'. [დედა ქალღმერთს ყველა] ღმერთმა
- 8'. საკრებულოს [ადგილას მოუხმო]. ის მივიდა და [თქვა (?):]
- 9'. „ეს [გილგამეში], რომელიც თქვენ შექმენით
- 10'. და [რომელიც] მე შევექმენი,
- 11'. (მის შესაქმნელად) (ერთმანეთს) [...] შევეურიე“.

#### D<sub>c</sub> i

- 1'. მაშინ ყველა [ღმერთმა, (რომლებმაც)]
- 2'. [გმირი] გილგამეში [(შექმნეს), თქვეს:]
- 3'. „[გილგამეში] [ურუქელ ყმანვილკაცებს (გამუდმებით ჩაგრავს)]“.
- 4'. [როდესაც] (დედა ქალღმერთმა) ეს მოისმინა, დედა [ქალღმერთმა]
- 5'. [მდინარისგან (?)] სიცოცხლის შემქმნელი ძალა<sup>3</sup> მოიპოვა
- 6'. და ველად გმირი ენქიდუ შექმნა. <sup>4</sup>

### §5

- 7'. გმირი ენქიდუ (ველადაა).
- 8'. [მას გარეული] ცხოველები ზრდიან,<sup>5</sup> მისთვის [...]

<sup>1</sup> ალსანიშნავია, რომ შუამდინარული ტრადიციისგან განსხვავებით, ხეთურ ვერსიაში ურუქი არ არის გილგამეშის მშობლიური ქალაქი.

<sup>2</sup> შუმეროგრამით – DINGIR.MAH ალნიშნული ქალღმერთი, როგორც წესი, გულისხმობს ქალღმერთ ხანახანას, რომელიც გვხვდება ხეთურ მითებში გამქრალი ღვთაების შესახებ.

<sup>3</sup> ტექსტში: *miyatar* „ზრდა, აყვავება“. ალბათ, იგულისხმება თიხა, რომელიც მდინარის ნაპირას მოიპოვებოდა. ბაბილონური ვერსიის თანახმად, ენქიდუს არურუ შექმნის თიხისგან, რომელსაც მოზელს და დანერწყავს.

<sup>4</sup> ხეთურ ვერსიაში თავად ურუქელთა ჩივილი არ არის აღწერილი. ამ სტრიქონებში ნაჩვენებია მისი ქცევით უკმაყოფილო ღმერთების რეაქცია, რის საფუძველზეც დედა ქალღმერთი შექმნის ენქიდუს.

<sup>5</sup> ანმყოში გადმოცემული ზმნები აქ ისტორიულ პრეზენსს გამოხატავს. გ. ბეკმანისგან განსხვავებით, რომელიც ხეთურ ისტორიულ პრეზენსს ინგლისურ თარგმანში ნარსული დროის ფორმებით გადმოსცემს, მე ვარჩიე, რომ თარგმანში (აქაც და შემდგომაც) ზმნებისთვის შემენარჩუნებინა დროის ის ფორმა, რომლითაც ის ხეთურ ტექსტშია მოცემული.



- 9'. აკეთებენ. საითაც [გარეული ცხოველები<sup>1</sup>] წავლენ [საბალახოდ],  
 10'. ენქიდუც მათთან ერთად [მიდის].  
 11'. [საითაც ისინი წავლენ] წყურვილის მოსაკლავად,  
 12'. ენქიდუც მათთან ერთად [მიდის].<sup>2</sup>

## §6

- 13'. [ახალგაზრდა] კაცი, (სახელად) შანგაშუ, [მონადირე, ველად]  
 14'. გარეულ ცხოველებს ორმო-ხაფანგებს [და მახეებს]  
 15'. უგებს. [ენქიდუ კი მას წინ]  
 16'. გაუსწრებს [და ორმო-ხაფანგებს მინით]  
 17'. მოასწორებს,<sup>3</sup> [მახეებს კი, რომლებსაც (მონადირე) აგებს ხოლმე],  
 18'. მდინარეში [ყრის. (შანგაშუ)]  
 19'. წავიდა და [გილგამეშს (ეუბნება:)]  
 20'. „ახალგაზრდა კაცი [ჩემზე] ადრე მიდის,  
 21'. მას [...] მათ. ის ველ-მინდორს [იციზობს]  
 22'. და [ორმო-ხაფანგებს], რომლებსაც მე ვაგებ,  
 23'. მინით [მოასწორებს ხოლმე],  
 24'. ხოლო მახეები, რომლებსაც [ვაგებ],  
 25'. [მიაქვს] და [მდინარეში]  
 26'. ყრის ხოლმე“.

## §7

- 27'. გილგამეშმა შანგაშუს, [მონადირეს],  
 28'. მიუგო: „[მას] მეძავი ქალი  
 29'. მიუყვანე! დაე, დაწვეს ის [მეძავ ქალთან]!  
 30'. დაე, [ენქიდუმ ... მის წინაშე (?)] მუხლი მოიდრიკოს“.<sup>4</sup>

## A<sub>d</sub>

- 6'. შანგაშუმ [... ენქიდუს] მეძავი ქალი [მიუყვანა]  
 7'. [და ის მეძავ ქალთან] დაწვა.

## §8

## A<sub>d</sub>

- 8'. [...] რალაც [...]

<sup>1</sup> ბაბილონურ ვერსიაში ამ კონტექსტში ქურციკების ჯოგია ნახსენები.

<sup>2</sup> იმის მიუხედავად, რომ ფრაზაში არ გვაქვს *-za* უკუქცევითი ნაწილაკი, შემოთავაზებული თარგმანი ლოგიკურად მიმართია. ის ახლოს დგას ბაბილონურ ვერსიასთანაც. განსხვავებული თარგმანისთვის შდრ. *CHD S*, გვ. 51: “Enkidu goes with the animals from the place from which he goes to pasture them and [from the place where] (Enkidu) [goes to w]ater (them), Enkidu also goes with them”.

<sup>3</sup> შდრ. *CHD S*, გვ. 1: “Šangašū, the young m[an, goes (?) and] sinks hunting pit[s] (to trap) wild animals. [But] En[kidu] goes [ahead of them (the animals (=šī))] and fills [the pits with earth]”.

<sup>4</sup> მეძავი ქალის ენქიდუსთან მიგზავნით გილგამეში მიზნად ისახავს, რომ ადამიანთა სამყაროს აზიაროს ველური ბუნების მქონე ენქიდუ.

**D<sub>d</sub>**

2'. [... მეძავი ქალი] ენქიდუს ეუბნება: [...]

3'. ჩვენ [ურუქში] წავალთ და [...“]

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

**§9****D<sub>f</sub> ii**

1'. [...]

2'. [...]

3'. [...] ენქიდუ

4'. [...] და ენქიდუ

5'. სადღესასწაულო [სამოსში] გამოენყო (?)

6'. [...] მას [...]

(გაურკვეველი მოცულობის ხარვეზი)

**§10****C<sub>a</sub> ii**

1'. [...]

2'. [...] ურუქში [...]

3'. მას შეტყობინება

**B<sub>a</sub>**

ნინა მხარე

1'. [ენქიდუ (შანხათუს)] ეუბნება:

2'. „შიშის მომგვრელი [...“]. შანხათუ

3'. [ენქიდუს] მიუგებს : „გილგამეშ(თან)

4'. [... ყმანვილი ქალები] მიჰყავთ ხოლმე. [როდესაც] ყმანვილ კაცს

5'. [ქალს] რთავენ ცოლად, სანამ მას

6'. [მისი ქმარი] მიეკარება,

7'. [ის ქალი] გილგამეშთან მალულად (?) [მიჰყავთ (?)“.<sup>1</sup>

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

**§11**

8'. [როდესაც] ენქიდუმ ეს ამბავი შეიტყო,

<sup>1</sup> ტექსტი: EGIR-*an ar-ḫa* x [...]. გ. ბეკმანის აზრით, თარგმანი „მალულად“ დამაჯერებელი არ უნდა იყოს (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ.42), თუმცა ის იქვე იმონებს რ. ბილის ნაშრომს (Beal, *Hittite Oracles*, გვ. 78, შენ. 130), სადაც *appan arḫa waštul* თარგმნილია როგორც „ფარული(?) დანაშაული“. ხეთური ტექსტის შემდგენელმა შესაძლოა არ იცოდა, რომ შუმერის მეფეები იყენებდნენ მათთვის სრულიად კანონიერ პირველი ღამის უფლებას და ამით აიხსნება, რომ წარმოგვიდგენს გილგამეშის ამ ქმედებებს როგორც დანაშაულს, რომელსაც ის ფარულად სჩადიოდა (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10). გილგამეშის ეპოსის ძველბაბილონური ვერსიის ანალოგიურ პასაჟზე ე. ჯორჯის დაკვირვებით, ეს პრაქტიკა ძველბაბილონური ტრადიციისთვისაც უცხო უნდა ყოფილიყო (George, *The Babylonian Gilgamesh Epic*, გვ. 170-171).

9'. [მას ბრაზი] მოერია და გილგამეში [...]

10'. [...] წინ (და) გაბრუნდა (?) [...]

11'. [...]¹

### C<sub>a</sub> ii

14'. [... გილგამეშმა (და) ენქიდუმ თქვეს:]

15'. [„...“ (შემდეგ ერთიმეორეს)] ხელი სტაცეს²

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

### D<sub>g</sub> ii

9'. და [...] დაუყოვნებლივ

(დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

### §12

10'. დაეჭიდნენ ერთმანეთს [... (გილგამეში) და] ენქიდუ.

11'. [(გილგამეში)] ენქიდუს

12'. [მოერია (?)]³ [შემდეგ კი] მათ (ერთმანეთი) გადააკოცნეს (?).⁴

14'. [და (როდესაც ჭამეს და სვეს), გილგამეშმა] ენქიდუს

15'. უთხრა: „[...]“, რადგან ხეები (?)

16'. გაიზარდნენ. მაშინ შენ [მინდორ-ველად (?)] დახეტილობდი,

17'. [...] მინდორში (?)“ ენქიდუმ

18'. [გილგამეშს მიუგო:]

19'. [„... (ხეები (?))

20'. [...]

21'. [... ხუვავა ...“].

22'. [... და გილგამეშმა,] მეფემ,

23'. [ენქიდუს ...] უთხრა:

<sup>1</sup> შემორჩენილი ცალკეული ნიშნების საფუძველზე მეტ-ნაკლებად გაბმული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. როგორც მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, რომ ენქიდუ გადანყვეტს გილგამეშთან წასვლას მასთან შესაბამისობადად. ხეთურ ვერსიას აკლია გილგამეშის სიზმარი, რომელშიც ენქიდუს მოსვლაა ნაუნწყები. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ანატოლიურ ტრადიციაში არ არის მოხსენიებული გილგამეშის დედა – ნინსუ, რომელიც ეპოსის შუამდინარულ ტრადიციაში გილგამეშის სიზმრების მთხრობელის როლში გამოდის (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 8).

<sup>2</sup> მომდევნო მე-16', მე-17', მე-18' დაზიანებულ სტრიქონებს მოსდევს დაახლოებით ორი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი.

<sup>3</sup> გ. ბეკმანის სამართლიანი შენიშვნით, სახელი „ენქიდუს“ აკუზატივის დაბოლოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ აღდგენილი ზმნის სუბიექტი და, შესაბამისად, გამარჯვებული ამ ორთაბრძოლაში გამოდის გილგამეში (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42). ამასთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე George, *The Babylonian Gilgamesh Epic*, გვ. 191-192.

<sup>4</sup> მომდევნო სტრიქონი დაზიანებულია.

24'. „ჩვენ [...] მომავალში

25'. [...] (წავალთ)“.<sup>1</sup>

### §13

#### E<sub>b</sub>

5'. [...] გილგამეშს მეზობლთა ლაშქარი

6'. [ურუქისა] შეუერთდა,<sup>2</sup>

7'. [მათ ...]. (გილგამეშმა) ნადიმი გამართა,

8'. [საკრებულოს ადგილას მთელ ჯარს მოუხმო.

9'. [...] გილგამეშმა] ჯარს განუცხადა:

10'. „ხუვა ვა უნდა ვიხილო!“

(დაახლოებით ათი სტრიქონის მოცულობის ხარვეზი)

### §14

#### E<sub>a</sub> iii

1'.<sup>3</sup>

### §15

2'. [...] გილგამეში [და ენქიდუ]

3'. [...] წავიდნენ და 20 DANNA<sup>4</sup>-ს (გავლის შემდეგ)

4'. [(საჭმელი) შეჭამეს, ხოლო 30] DANNA-ს (გავლის შემდეგ) დაწვინენ დასაძინებლად [...].

#### D<sub>g</sub> iii

2'. [...] და] როდესაც მდინარე მალას<sup>5</sup> ნაპირს

3'. [მიადგნენ, ღმერთებს] მსხვერპლი შესწირეს.<sup>6</sup> იქიდან კი [(წავიდნენ?)

<sup>1</sup> ამ ეპიზოდში ლაპარაკია კედრის ტყეში გილგამეშის და ენქიდუს ერთობლივი ლაშქრობის დაგეგმვაზე, მომდევნო სტრიქონებში კი მოკლედ ნახსენებია თათბირი ურუქელ მეზობლებთან და საკრებულოსთან.

<sup>2</sup> ე. რიკენის თარგმანის მიხედვით, „გილგამეშის ჯარი შეიკრიბა“ (“ [ ... ] (des?) Gilgamesch Heer [ver]sammelte sich [ ... ]”) (Rieken (et al.), *CTH 341.III.1* სტრიქ. 101), რაც, ჩემი აზრით, ნაკლებად დამაჯერებელია. არ მგონია, რომ „გილგამეში“ აქ მსაზღვრელი იყოს „ლაშქართან“ მიმართებით.

<sup>3</sup> მხოლოდ ცალკეული ნიშნებია შემორჩენილი. სავარაუდოდ, აქ მოთხრობილი უნდა იყოს გილგამეშისა და ენქიდუს კედრის ტყეში გამგზავრების შესახებ.

<sup>4</sup> DANNA (სიგრძის ერთეული, 2 საათის სავალი, დაახლ. 10 კმ.) (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 9, გვ. 30); შესაბამისად, 20 DANNA გამოდის დაახლ. 200 კმ., ხოლო მომდევნო სტრიქონში ნახსენები 30 DANNA – 300 კმ.; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “20 leagues, 30 leagues”; Rieken et al., *CTH 341.III.1* (სტრიქ. 110-111): “20 Meilen, 30 Meilen”.

<sup>5</sup> მდინარე ევფრატის ხეთური სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ ეს მდინარე, როგორც გეოგრაფიული ნიშნული, გილგამეშის ეპოსის მხოლოდ ხეთურ ვერსიაში გვხვდება და აიხსნება ევფრატის მნიშვნელობით ხეთებთან.

<sup>6</sup> შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 113).

4'. [და მეთ]ექესმეტე (?) დღეს მთების შუაგულს მიაღწიეს.<sup>1</sup>

## §16

5'. [და როდესაც ...] მთების შუაგულს მიაღწიეს, მთებს

6'. [გახედეს (?)] და კედარი დაინახეს.<sup>2</sup>

7'. ხუვაავამ მათ [... მთიდან] გადმოხედა<sup>3</sup>

8'. [(და ჩაილაპარაკა:)] „რადგან მათ ღმერთის ადგილებს [მიაღწიეს],

9'. [...] ღმერთის კედრის

10'. [მოჭრა(ც)] (ხომ არ) აქვთ დასრულებული, (ნეტავ)?“<sup>4</sup>

11'. [მაშინ ენქიდუმ] და გილგამეშმა თქვეს:

12'. „[ღმერთმა ...] ეს არაკეთილმოსურნე<sup>5</sup> მთები

13'. [კედრით] უხვად დაფარა.

14'. [ისინი] მცენარეულობითა<sup>6</sup> სავსე<sup>7</sup>

15'. [და ადამიანისთვის] იქ გავლა

16'. [არ არის შესაძლებელი]. კედრის ტოტები

17'. [...] უპყრიათ მათ და [ისინი ...] მთებს შორის

18'. [...]“. [...]–დან ძირს ეშვება

19'. [...] ხუვაავა.

<sup>1</sup> ეს ეპიზოდი ბევრად უფრო მოკლეა, ვიდრე ბაბილონურ ვერსიაში (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 275). ხეთურ ვერსიას აკლია აგრეთვე გილგამეშის სიზმრები, რომლებითაც მას წინასწარ ეცნობა ხუვაავასთან დაპირისპირებისა და მზის ღვთაების მხარდაჭერის შესახებ. თუმცა, ეს მონაკვეთი ბოლაზქოიში აღმოჩენილ ორსავე აქადურ ვერსიაშია დადასტურებული.

<sup>2</sup> ტექსტში: <sup>GI</sup>ERIN-*ma-aš-ma-aš ša-ku-uš-kán-z[i]*. პირის ნაცვალსახელის რეფლექსიური ხმარებისთვის შდრ. *CHD* ო, გვ. 56 და Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*, გვ. 358. გ. ბეკმანის აღნიშვნით, „გეოგრაფიული ფოკუსის გადანაცვლება სამხრეთ შუამდინარეთიდან ამანუსისკენ ან ტავროსის მთებისკენ უეჭველად იმ ფაქტით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელი ხეთების გავლენის სფეროში იყო მოქცეული“ (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 5).

<sup>3</sup> იხ. *CHD* ო, გვ. 56; იხ. იქვე მითითებები სხვა თარგმანებზე.

<sup>4</sup> შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “Seeing that [they have reached] the place of the god, have they finished [cutting down ...] the god’s cedars?”; Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 122): “Sie haben aber die Zedern der Gottheit [...] entfernt”.

<sup>5</sup> სიტყვასიტყვით: „არასასურველი, საძულველი“ (*Ú-UL a-aš-ši-ya-an-te-eš*).

<sup>6</sup> ხეთურ *lappina*-ს, ფ. ჰასის აზრით, აქადურად შეესაბამება *gisšu* „ეკალბარდი“ (იხ. Haas, *Die hethitische Literatur*, გვ. 275); შდრ. „ჭინჭარი (?)“ (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 4, გვ. 24).

<sup>7</sup> სიტყვასიტყვით: „წალექილი“ (?); შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 126): “[...] mit der *lappina*-Pflanze fließende [...]”; Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 1, გვ. 171: “[over]flowing’ (with vegetation)”. ზოგ თარგმანში კი ზმნა გაგებულია არა როგორც „დენა, დინება“ (*arš(iye)-*), არამედ როგორც „დარგვა“ (*aršai-/aršiya-*); *CHD L-N*, გვ. 45: “[the ...s] are planted with *lappina*-plants...”; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “They] are covered in brambles(?)”.

20'. [მუსიკოსივით] ურტყამენ<sup>1</sup> [...].

## §17

6'. როდესაც გილგამეშმა [ხუვაგას (ნაკვალევი)]

7'. დაინახა, მივიდა [...]

8'. და მას შიში მოჰგვარა.<sup>2</sup>

9'. და ენქიდუმ [გილგამეშს უთხრა:]

10'. „რატომ [...? და მის]

11'. წინააღმდეგ რატომ [...? განა შენ ხუვაგას]

12'. მხარეს არ იყავი?<sup>3</sup>

13'. ხუვაგა [რომ] ჩემ წინააღმდეგ [...],

14'. მაშინ ადამიანი ძლიერ [...].

15'. და თუ ის [...],

16'. მაშინ ის ჩვენ [...].

17'. ვაჟკაცობით [...].<sup>4</sup>

## §18

18'. [და მათ], ვინც [...]

19'. [...] ენქიდუ [...]

(*მცირე ზომის ხარვეზი*)

## C<sub>a</sub> iii

1'. [...] ციდან

2'. [...] მისი თავი

3'. [...]

## §19

4'. [ენქიდუმ ...] ცული ხელში დაიჭირა

5'. [და ...], ხოლო როდესაც გილგამეშმა

6'. [ეს] დაინახა, მანაც ცული

7'. [...] დაიჭირა [ხელში]

8'. [და მანაც (კედარი)] მოჭრა.

<sup>1</sup> ტექსტში: [ḫa-a]z-zi-ik-kán-zi (ḫazzik(k)- „დარტყმა; აგრეთვე დაკვრა (დასარტყამ მუსიკალურ საკრავზე)“ (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 2, გვ. 64).

<sup>2</sup> მომდევნო ფრაზის გათვალისწინებით, მასში, ვისაც გილგამეშმა შიში მოჰგვარა, უნდა იგულისხმებოდეს ენქიდუ, რომელიც ხუვაგასთან შებრძოლების გადანწყვეტილებამ დააფრთხო.

<sup>3</sup> შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41: “Won’t [you] stand with [Huwawa ...?]”. თუმცა, გ. ბეკმანისვე აღდგენის საფუძველზე, ხეთური ზმნა წარსული დროის ფორმითაა მოცემული.

<sup>4</sup> როგორც ჩანს, ენქიდუ გამოთქვამს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ხუვაგასთან შეხმა მათ გამარჯვებას არ მოუტანს და მას მხოლოდ ვაჟკაცობით ვერ მოერევიან.



- 9'. [ხოლო როდესაც ხუვაავას] ხმაური (?)<sup>1</sup> შემოესმა,  
 10'. ბრაზი მოერია (და თქვა :) „ვინ მოვიდა და  
 11'. კედრის ხეები, რომლებიც ჩემთვის გაიზარდნენ მთების  
 12'. [ნიაღში], (ვინ) მოჭრა?“<sup>2</sup>

## §20

- 13'. ციდან მათ  
 14'. ცის მზის ღვთაებამ გადმოსძახა: „ნადით!  
 15'. ნუ შეშინდებით!  
 16'. ნადით, სანამ ის  
 17'. სახლში შესულა, [... სანამ ...]  
 18'. თავისი მოსასხამი<sup>3</sup> (?) [მოუსხამს“. როდესაც]  
 19'. ენქიდუმ [ეს] გაიგო, [ბრაზი]  
 20'. მოერია. ენქიდუ  
 21'. და გილგამეში (ხუვაავასკენ) გაემართნენ  
 22'. და ხუვაავას შეებრძოლნენ<sup>4</sup>

## D<sub>c</sub> iv

16. მთებში. (სანამ შეებრძოლებოდნენ), [ხუვაავა] მათ  
 17. დაემუქრა: „[მე ...] თქვენ ზემოთ [...]  
 18. და ცაში აგიყვანთ.  
 19. თავის ქალებზე<sup>5</sup> დაგცხებთ და [ქვემოთ]  
 20. ბნელ [მინაში]<sup>6</sup> ჩაგიყვანთ“.  
 21. ზემოთ ისინი კი [...], მაგრამ ცაში ვერ [აიყვანა].<sup>7</sup>  
 22. თავის ქალებზე [დასცხო] მათ, მაგრამ ქვემოთ ბნელ [მინაში]  
 23. ვერ ჩაიყვანა. [ხუვაავა] შეიპყრეს  
 24. და თმით მთებში [...].  
 25. შემდეგ ერთმანეთს ოფლი მოწმინდეს.

<sup>1</sup> Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 156); შდრ. Görke, *Das Ritual der Aštu*, გვ. 52.

<sup>2</sup> *CHD Š*, გვ. 88; შდრ. Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*, გვ. 147: “Wer ist gekommen, ... die als meine großgezogen worden sind inmitten der Berge und hat die Zeder gefällt?”.

<sup>3</sup> ხეთ. *galpariwala-*. შდრ. Melchert, *Cuneiform Luvian Lexicon*, გვ. 98; Starke, *Untersuchung zur Stammbildung*, გვ. 271, შენ. 919. მზის ღვთაების გარდა, შეშინებულ ენქიდუს, როგორც ჩანს, გილგამეშიც ამხნევებს ხუვაავასთან შესარკინებლად (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 8). თუმცა, ფირფიტაზე არსებული ხარვეზის გამო მე-17' სტრიქონიდან ეს არ ჩანს.

<sup>4</sup> შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 4, გვ. 50; *HW<sup>2</sup>*, ტ. III, გვ. 87.

<sup>5</sup> იხ. Tischler, *Der Ortsname Tarsos*, გვ. 347-348; Tischler, *Hethitisches Etymologisches Glossar*, ტ. III, გვ. 221.

<sup>6</sup> „ბნელი მინა“ ქვესკნელს აღნიშნავდა ხეთურ კოსმოლოგიურ წარმოდგენებში.

<sup>7</sup> იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 41, შენ. 137.

26. დაბმული ცხენები<sup>1</sup> ფლოქვებს სცემენ.<sup>2</sup>
27. ბუღმა, რომელიც დადგა,<sup>3</sup>
28. ცა დაფარა. გილგამეშმა
29. ცის მზის ღვთაების ტახტს ზემოთ ახედა
30. და მოთქვამდა.<sup>4</sup> [(ცის მზის ღვთაების ტახტიდან (?)) ] კი
31. [...ში] ჩაიხედა. მისი ცრემლები სარწყავი არხებივით
32. [მიედინებია].

## §21

### C<sub>b</sub> iv

- 15'. გილგამეში ცის მზის ღვთაებას [ეუბნება:]
- 16'. „აი, ის დღეც [...] ქალაქში,
- 17'. რადგან მან ქალაქში [...] კვლავ დაასახლა.<sup>5</sup>

## §22

- 18'. მე კი ცის მზის ღვთაებას [ლოცვით მივმართე?],
- 19'. გზას გავუყევი და ის ბრძოლით [...]“.
- 20'. ცის [მზის] ღვთაებამ გილგამეშის ლოცვა
- 21'. შეისმინა და ხუვავას წინააღმდეგ
- 22'. მოიხმო დიდი ქარები: სამხრეთის ქარი, ჩრდილოეთის ქარი, [აღმოსავლეთის ქარი,<sup>6</sup> დასავლეთის ქარი],
- 23'. [ძლიერი ქარი], ცივი ქარი, [ქარიშხალი],
- 24'. (და) ხორშაკი.<sup>7</sup> რვა ქარი ამოვარდა და [ხუვავას]
- 25'. თვალეში დაარტყა.<sup>8</sup>
- 26'. მან ვერც გზის გაგრძელება,
- 27'. შეძლო, ვერც უკან გაბრუნება

<sup>1</sup> შდრ. იქვე, გვ. 41: “posted horses” (თარგმანთან დაკავშირებული კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 43).

<sup>2</sup> თარგმანი პირობითია და ემყარება გ. ბეკმანის მიერ შემოთავაზებულ აღდგენას (*ar-ri-ya-an<-ta>-ti*), რომელსაც შემდეგნაირად თარგმნის: „მოუსვენრად არიან” (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 39; 41; კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 43); შდრ. *HW<sup>2</sup>*, ტ. I, გვ. 295; შდრ. აგრეთვე Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 185), სადაც *arriyanti* გაგებულია როგორც ხეთური ზმნის *arr-*, *ar(r)a-*, *arriya-* „ბანა, რეცხვა“ ლუვიური ფორმა და ფრაზა ასეა თარგმნილი: “Die Pferde, den feststecken[den *Staub*,] waschen? sie”.

<sup>3</sup> შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 1, გვ. 125; Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 186).

<sup>4</sup> შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 189); იხ. აგრეთვე, Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*, გვ. 490.

<sup>5</sup> ფრაზა საკმაოდ ბუნდოვანია. გ. ბეკმანის ვარაუდით, ენქიდუს დასახლებაზეა ლაპარაკი (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42).

<sup>6</sup> ტექსტში: <sup>IM</sup>ŠADŪ „მთის ქარი“.

<sup>7</sup> ტექსტში: <sup>IM</sup>ANHULLU; შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “Destructive Wind”.

<sup>8</sup> შდრ. *CHD* Š, გვ. 73.

28'. შეძლო. ხუვავა დაეხსნა<sup>1</sup> (გილგამეშ).

## §23

29'. ხუვავამ გილგამეშს უთხრა:

30'. „დამეხსენ, გილგამეშ! ჩემი ბატონი იყავ!

31'. მე კი, დაე, შენი მსახური ვიყო! კედრის ხეები,

32'. რომლებიც გავზარდე, შენთვის [ნაილე (?)].<sup>2</sup>

33'. დიდ ძელებს [...]

34'. მოვჭრი<sup>3</sup> და ხალენთუ<sup>4</sup> [...]“.

35'. ენქიდუ [ეუბნება გილგამეშს:]

36'. „ხუვავა, რასაც [გეტყვის],

37'. ნუ [დაუგდებ ყურს ...],

38'. ხუვავას ნუ [გაათავისუფლებ! ...]“

39'. [...] მთებში [...]

(მცირე ხარვეზი)

## §24

### G

1'. ენქიდუმ [კი გილგამეშს]

2'. მიუგო: [„ ...]

3'. როგორც [...]

4'. შენი, [გილგამეშის ...],

5'. სანამ [ის სახლში (?)]

6'. ჯერ არ [შესულა, ...]

7'. ნახვალ“.<sup>5</sup>

### კოლოფონი (D)

პირველი ფირფიტა, „სიმღერა [გილგამეშისა]“, დაუსრულებელი. ხელი იბიცისა.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ასე თარგმნის მიხეილ წერეთელიც, რომლის 1924 წელს გამოცემულ „გილგამეშთან-ში“, ენქიდუს სიზმრის მცირე მონაკვეთის გარდა, ეპოსის იმ დროისთვის ცნობილი ეს ხეთურენოვანი ეპიზოდიც არის გათვალისწინებული (იხ. *გილგამეშისანი*, გვ. 36); შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “Then Huwawa gave up”. ჩემი აზრით, ხეთური ზმნის (*arḫa daliya-*) წერეთლისეული თარგმანი უფრო ზუსტია. თუმცა, უცნაურია, რომ მომდევნო ფრაზის თანახმად, ხუვავა თავად ითხოვს, რომ გილგამეშს დაეხსნას მას.

<sup>2</sup> შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42: “[Take (?)] the cedars that I have raised for you”.

<sup>3</sup> შდრ. *CHD P*, გვ. 375-376.

<sup>4</sup> „საკულტო ნაგებობა (სასახლის ტერიტორიაზე)“ (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 2, გვ. 23).

<sup>5</sup> ეს ზმნა გ. ბეკმანის თარგმანში რატომღაც გამოტოვებულია (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 42).

<sup>6</sup> ტექსტის ჩამწერის სახელი.

## II ფირფიტა

§1

A<sub>a</sub> i

- 1.[ მთები]
- 2.[...] ხუვაავას
- 3.[მთებიდან ...], ის მათ დაბლა უჭირავთ (?).<sup>1</sup>

(დიდი მოცულობის ხარვეზი)

§2'

A<sub>b</sub> ii

1. [ენქიდუ გილგამეშს] ეტყვის:
2. „[ზემოთ] ავიდეთ!<sup>2</sup> [...], ჩვენ თუ მთებში [(არ ნავალთ)?],
3. [...] ღვთაება ენლილს რას მიეუტანთ?
4. კედარი უნდა მოვჭრათ!<sup>4</sup> ვინც [...]
5. ენლილის ტაძრის ჭიშკარი ერთი მხრიდან [...],
6. მათ შენ გამოგამწყვდიეს.<sup>5</sup> დაე, ისინი ასევე (გამომწყვდეული?) იყვნენ!“
7. მათ კედარი მოჭრეს<sup>6</sup> და მდინარე მალას [შიადგნენ].
8. როდესაც ხალხმა (კედარი)<sup>7</sup> დაინახა,
9. გაუხარდათ [...].
10. გილგამეშმა [და] ენქიდუმ [დასვრილი]
11. სადღესასწაულო სამოსი გაიხადეს,
12. ჭუჭყი მოიშორეს [...]
13. და მათ [...],

<sup>1</sup> ტექსტში: *halluwa hark[anzi]*. თარგმანისთვის შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 44: “they hold him down low”; Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 3, გვ. 48: “they hold him deep’ (adverbial nom./acc.pl.)”. მ. ბაჩვაროვას აზრით, გილგამეში და ენქიდუ ხუვაავას მიწაზე ჩამოთრევას ცდილობენ, მის მოსაკლავად (იხ. Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 68). კონტექსტი საკმაოდ ბუნდოვანია. ჩემი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ *hal-lu-wa-<sup><?></sup>* უკავშირდებოდეს ზმნას - *halluwai-* „დავა, ჩხუბი, მტრობა“.

<sup>2</sup> გ. ბეკმანი ზმნის მოცემულ ფორმას - *ú-wa-u-en* აქ იმპერატივის ნაცვლად პრეტერიტად მიიჩნევს და შესაბამისად თარგმნის: “[When(?)] we came [forth... ] to the mountains, [we ... ]” (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45).

<sup>3</sup> აღვადგენ ლოგიკურად.

<sup>4</sup> შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45: “Should we really fell the cedars?”; პოტენციალისთვის იხ. *CHD L-N*, გვ. 142.

<sup>5</sup> ტექსტში: *parā istappnuir*; თარგმანისთვის შდრ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 2, გვ. 473-74: “they shut you out“.

<sup>6</sup> ალბათ, ენლილის ტაძრის ჭიშკრის ასაგებად.

<sup>7</sup> ზოგი თარგმანის მიხედვით, ზმნის პირდაპირ ობიექტში აქ „გილგამეში“ და „ენქიდუ“ იგულისხმებიან. იხ. მაგალითად, Rieken (et al.), *CTH 341.III.2* (სტრიქ. 11): “Als das La[n]d sie (kommen) sa[h]””; *CHD L-N*, გვ. 282-284. ჩემი აზრით, *-at* ნაცვალსახელი მე-8 და მე-9 სტრიქონებში კედარს გულისხმობს.

14. [ხოლო] როდესაც [...]  
(ხარვეზი)

### §3'

#### B

უკანა მხარე?

- 1'. [გილგამეში] იშთარს [ეუბნება:]
- 2'. „მე შენ ხალენთუს [... აგიშენებ]
- 3'. და [ზეძირკველებს ],<sup>1</sup>
- 4'. ხოლო ჭიშკრის ზღურბლს [ლილაქვით]
- 5'. და მენამული ქვით (?)<sup>2</sup> მოვრთავ“.
- 6'. [იშთარი] გილგამეშს მიუგებს:
- 7'. „განა არ იცი, გილგამეშ [...],
- 8'. [რომ ...] (აქ) არ არის?
- 9'. [და რომ] ვერცხლით [და ოქროთი (?) ... ვერ ... ?]“
- 10'. (გილგამეში კვლავ ეტყვის იშთარს: [„ჭიშკრის] ზღურბლს [...]
- 11'. ლილაქვით [და] მენამული ქვით (?) [მოვრთავ].

### §4'

- 12'. [იშთარი] გილგამეშს [მიუგებს:]
- 13'. „მოდო, გილგამეშ, ჩემი [ქმარი იყავი!]“
- 14'. [...] გილგამეში [იშთარს]
- 15'. ეტყვის: [„...]
- 16'. [... დაე, ის გახდეს (?) ... !]
- 17'. [... ა]რ [...]“.<sup>3</sup>

(ხარვეზი)

### §5'

#### C ii'<sup>4</sup>

<sup>1</sup> გ. ბეკმანი აქ აღადგენს: [GIS pal-z]a<sup>2</sup>-ah-hu-uš (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45), რაც ითარგმნება როგორც „ცოკოლი, ზეძირკველი, საყრდენი, პიედესტალი (ქანდაკების, სამსხვერპლოსი)“ (ტატიშვილი, *ხეთურ-ქართული ლექსიკონი*, ნაკვ. 5, გვ. 21).

<sup>2</sup> იხ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 4, გვ. 189; შდრ. Polvani, *La terminologia dei minerali*, გვ. 32, შენ. 4.

<sup>3</sup> ეს ხარვეზიანი ფრაგმენტი, ალბათ, მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ გილგამეში უარყოფს იშთარის სიყვარულს, ხოლო მომდევნო დაზიანებულ სტრიქონებში, სავარაუდოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ მეგობრებს მოუწევთ ამ უარის პასუხად ცის ხართან გამკლავება.

<sup>4</sup> ამ პარაგრაფში შემორჩენილი სავარაუდოდ ოთხი სტრიქონი ძლიერ დაზიანებულია. ცალკეული სიტყვების საფუძველზე, გ. ბეკმანი აღადგენს ტექსტს შემდეგნაირად: “[...] And they will die [in droves ...]” (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 45).

## §6'

- 5'. [ენქიდუ] რომ [...],<sup>1</sup>
- 6'. მაშინ მათ გილგამეში [...]
- 7'. გმირს [და ურუქელ] მებრძოლებს [...].
- 8'. შემდეგ ისინი [ურუქიდან (?) გაემგზავრნენ (?)].
- 9'. გმირმა [და ურუქელმა] მებრძოლებმა [... თქვეს:]
- 10'. „ცის ხარი [...]
- 11'. [...“<sup>2</sup>

## III ფირფიტა

### Aa i

#### §1

1. „[სანამ] ჩვენ გვეძინა, გათენდა“.<sup>3</sup>
2. ენქიდუმ გილგამეშს (ასე) [დაუნყო] ლაპარაკი:
3. „[ძმავ] ჩემო, (მოისმინე) სიზმარი, რომელიც ღამით [ვნახე:]
4. ღვთაება ანუ, ენლილი, ეა და ცის მზის ღვთაება [მოსულიყვნენ]
5. და ანუ ენლილს ეუბნებოდა:
6. 'რადგან მათ ცის ხარი მოკლეს, [ხუვავაც]
7. მოკლეს – (ხუვავა), რომელმაც მთები კედრით უხვად დაფარა',<sup>4</sup>
8. – (ასე) თქვა ანუმ, – 'მათგან [ერთი უნდა მოკვდეს!']
9. ენლილმა კი თქვა: 'დაე, ენქიდუ მოკვდეს!'
10. გილგამეში კი არ უნდა მოკვდეს.'

#### §2

11. ცის მზის ღვთაებამ ენლილს, გმირს, მიუგო:
12. 'განა მათ შენი<sup>5</sup> ბრძანებით არ მოკლეს

<sup>1</sup> ამ ფრაზაში იკითხება მოდალობის (ოპტატივის, ირეალისის ან პოტენციალისის) გამომხატველი ხეთური ნაწილაკი *man*. ზმნა, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის. შესაბამისად, ფრაზის თარგმნა ვერ ხერხდება.

<sup>2</sup> სამწუხაროდ, მხოლოდ ნიშნების კვალი ჩანს. გ. ბეკმანის აზრით, ხეთურ ტექსტში – მეორე ფირფიტის პირველ და მეორე პარაგრაფებს შორის ან მესამე ფირფიტის პირველი პარაგრაფის წინ – უნდა აღდგეს გილგამეშისა და ენქიდუს ურუქში დაბრუნების ეპიზოდი (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9).

<sup>3</sup> შდრ. იქვე, გვ. 50: “‘[...] we were sleeping’. It dawned, [and] Enkidu said to Gilgamesh...”; შდრ. აგრეთვე, Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*, გვ. 157; Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 1); Mouton, *Rêves hittites*, გვ. 111.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 112-113, შენ. 58; იხ. აგრეთვე, Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50; განსხვავებული თარგმანისთვის იხ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 8-10): “Warum haben die den Himmelsstier getötet? [Und warum] haben sie Huwa[wa] getötet, der die Berge von Zeder freige[macht hat]?”.

<sup>5</sup> იხ. Stefanini, *Enkidu's Dream*, გვ. 43-44; გ. ბეკმანის აზრით, ტექსტში შეცდომაა და უნდა ყოფილიყო „ჩემი“, რადგან სწორედ მზის ღვთაება დაეხმარა გილგამეშსა და ენქიდუს ხუვავას დამარცხებაში (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50, 52); იხ. აგრეთვე Schott, *Das Gilgamesch-Epos*, გვ. 57, შენ. 1.



13. ცის ხარი და ხუვავა? ახლა კი უდანაშაულო
  14. ენქიდუ (უნდა) მოკვდეს? ენლილი ცის მზის ღვთაებას
  15. განურისხდა (და უთხრა:) ‘რად დაჰყვები მათ
  16. მათი მეგობარით ყოველდღე?’<sup>1</sup> ენქიდუ
  17. გილგამეშის წინ დანვა დასაძინებლად
  18. და მისი ცრემლები სარწყავი არხებით [მიედინებოდნენ].
  19. (ენქიდუ ეუბნება გილგამეშს:) „ძმაო ჩემო, ჩემი ძვირფასი ძმა (ხარ).<sup>2</sup> ჩემს ძმასთან მე [არ]
  20. ამომიყვანენ (ქვესკნელიდან)<sup>3</sup> და მე მიცვალებულთა სულებს შორის
  21. დავიდებ ბინას, [მიცვალებულთა სულების] (სამყოფლის) ზღურბლს [გადავლახავ]
  22. და ჩემს ძვირფას ძმას თვალთ ვეღარ ვხედავ“.
- (ხარვეზი)

**A<sub>b</sub> ii**  
**§3’**

1. [...] გილგამეში [...]თვის
2. [...] რაიმეს მოათავსებს /დაადგენს და მას [(განაცხადებს) ...]
3. [...] და მას ვეზირად გახდის [...].
4. [...] ის შეშინდება.

**B ii**  
**§4’**

- 3’. ხოლო როდესაც გილგამეშმა ენქიდუს სიტყვა
- 4’. მოისმინა, [მისი ცრემლები სარწყავი არხების]
- 5’. მსგავსად მიედინებოდნენ [...],
- 6’. მისი თვალები კი [...],

**§5’**

- 7’. ხოლო როდესაც [...]
- 8’. [...]<sup>4</sup>

<sup>1</sup> ამ ეპიზოდის ანალიზისთვის იხ. Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 68-69. მისი აზრით, ენქიდუ შეიძლება განვიხილოთ როგორც გილგამეშის რიტუალური სუბსტიტუტი.

<sup>2</sup> შდრ. *CHD L-N*, გვ. 365.

<sup>3</sup> იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 50; ჩემი აზრითაც, ხეთური ზმნა *parkiyanu*-ქვესკნელიდან ამოყვანას უნდა გულისხმობდეს. განსხვავებული თარგმანისთვის იხ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 25): “werden sie mich [nicht] (vor) meinem Bruder aufstehen lassen?”; *CHD P*, გვ. 160.

<sup>4</sup> გაურკვეველია, ხეთური ვერსია თავდაპირველი სახით შეიცავდა თუ არა ენქიდუს მიერ მონადირისა და მეძავი ქალის, შანხათუს წყევლასა და დალოცვას. გ. ბეკმანის ვარაუდით, ეს ეპიზოდი შეიძლება აღვადგინოთ მესამე ფირფიტის დაზიანებულ ნაწილში, §5’-სა და §6’-ს შორის (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9).

(ხარვეზი)

C ii

§6'

1. სანამ მას/მისთვის ქალაქი ითიხა [...],
2. (...?) გადააგდო.<sup>1</sup> მაგრამ როდესაც [ლვთაება (?) ...]
3. დაინახა, მაშინ გილგამეშმა [...].
4. ის მთებში გაიქცა<sup>2</sup> და [...]
5. მოთქვამდა<sup>3</sup>: „როდესაც კაცს [...]
6. მოკლავენ, ქალი სახლიდან მიდის“.<sup>4</sup>
7. ასე მოექცა მას გილგამეში და ქვეყანა [მიატოვა (?)].
8. [ის] ქვეყნიდან გადაიხვენა და მთებში
9. დახეტიალობდა.<sup>5</sup> რომელი მთები გადაიარა
10. და რომელი [მდინარეები] გადალახა, კაციშვილმა [არ უწყის].

§7'

11. ის ხოცავდა ცხოველებს: გარეულ ხარს [...]
12. [...], ხოლო როდესაც მან მთების შუაგულს
13. [მიაღწია], ორი (...) <sup>6</sup>ლომი
14. [მოკლა.] გილგამეშმა მთების შუაგულს მიაღწია
15. [...] ჩიტი [...].<sup>7</sup>

(ხარვეზი)

E

§8'

- 1'. დახეტიალობდა გარშემო (?) [...],
- 2'. [არაფერს ] ამბობდა,
- 3'. [...] (...) (?) შორს [...].<sup>8</sup>

<sup>1</sup> არ ჩანს, რის გადაგდებაზეა ლაპარაკი.

<sup>2</sup> შდრ. *CHD P*, გვ. 355.

<sup>3</sup> იხ. Tischler, *Hethitisches Etymologisches Glossar*, ტ. III, გვ. 256-257.

<sup>4</sup> იხ. Stefanini, *Enkidu's Dream*, გვ. 46; გ. ბეკმანის აზრით, აქ ჩართულია მწუხარების გამომხატველი ანდაზა (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51, 52); ტექსტის ამ პასაჟის განსხვავებული წაკითხვისა და თარგმანისთვის იხ. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, ტ. 2, გვ. 322: “when they bring off the ‘chaff’, from a woman’s house forth [wailing comes?]”; Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 44-45): “Wo[hin?] sie das Stroh [bri]ngen, [ ... ] ihm eine Frau aber [ ... ] aus dem Haus hervor”.

<sup>5</sup> შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.1* (სტრიქ. 49).

<sup>6</sup> ტექსტში: *pit-ta-nu-um-m[i]-en[-za/i]*, ლუვიური სიტყვა, რომლის მნიშვნელობა არ არის დადგენილი, ლომების ეპითეტად არის ნახსენები.

<sup>7</sup> მომდევნო ორ სტრიქონში შემორჩენილია ცალკეული ნიშნების კვალი.

<sup>8</sup> ექიქედუს დაკრძალვის და მორიელ-კაცებთან გილგამეშის შეხვედრის ეპიზოდი ხე-თურ ვერსიაში არ გვხვდება.

## §9'

- 4'. ხოლო [როდესაც] გილგამეშმა ზღვას [მიაღწია]<sup>1</sup>  
5'. ზღვას ქედი მოუხარა და [ღვთაებრივ<sup>2</sup> ზღვას ეუბნება:]  
6'. „შორს იყავ<sup>3</sup> დიდო ზღვაო!  
7'. მეზრძოლები, რომლებიც [შენ გეკუთვნიან], დაე, ისინი (...?) [იყვნენ!]<sup>4</sup>  
8'. [ღვთაებრივმა] ზღვამ გილგამეში, [...]  
9'. [და] ბედისწერის ღვთაებები დანყველა.

## §10'

- 10'. [...] ზღვა [...]  
11'. [... ზღვის] გაღმა [...]  
12'. [...] შემდეგ [...]  
13'. [...] ხელით (?) [...]  
(ხარვეზი)

## B iii

### §11'

- 2'. '[...] მთვარის ღმერთმა, გმირმა, [გილგამეშს(?) უთხრა]:  
3'. „ის ორი [ლომი], რომლებიც შენ  
4'. დახოცე,<sup>5</sup> წადი და მათგან ორი გამოსახულება გამიკეთე!  
5'. ისინი ქალაქში წაიღე!  
6'. მთვარის ღვთაების ტაძარში წაიღე ისინი!“<sup>6</sup>

### §12'

- 7'. როდესაც გათენდა, გილგამეში [...-ის] მსგავსად  
8'. გაუდგა გზას.<sup>7</sup> როდესაც ის [ზღვას(?) ...]  
9'. მიადგა, (ხედავს, რომ) სიღური, მედუქნე ქალი [ოქროს ტახტზე]

<sup>1</sup> ზღვასთან სტუმრობის ეპიზოდი და მომდევნო სტრიქონებში აღწერილი შეხვედრა მთვარის ღმერთთან მხოლოდ ხეთურ ვერსიაშია დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით, იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 9-10.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ზღვას აქ ღმერთის აღმნიშვნელი დეტერმინატივი უძღვის წინ.

<sup>3</sup> ტექსტში: [t]u-wa-za e-eš; ბეკმანისეული აღდგენით: [T]I-wa-za e-eš „დღეგრძელი იყავ“ (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 47).

<sup>4</sup> 6'-7' სტრიქონების განსხვავებული თარგმანისთვის იხ. იქვე, გვ. 51: “Long may you live, O great [Sea, and long may] the minions who belong [to you] live!”.

<sup>5</sup> იხ. ზემოთ, III.3 §7'.

<sup>6</sup> გ. ბეკმანის აზრით, ეს ეპიზოდი შეიძლება გარკვეულწილად უკავშირდებოდეს სტანდარტული ბაბილონური ვერსიის ბუნდოვან კონტექსტს (X 34), რომელშიც ლომი არის ნახსენები (იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

<sup>7</sup> შდრ. CHD P, გვ. 199; Kloekhorst, *Etymological Dictionary*, გვ. 647; Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 52.

10'. ზის და [მის წინ] ოქროს ვარცლი [დგას].  
(მცირე ხარვეზი)

## F

### §13'

- 1'. ის [...] 'და სიკეთე/კარგი [...]
- 2'. [...] ის ახლოს არ [მივიდა (?) ...].
- 3'. ნახმიცულიმ<sup>2</sup> [...]
- 4'. [გილგამეში დაინახა] და თავისთვის
- 5'. [ჩაილაპარაკა].

### §14'

- 6'. [თავისთვის ჩაილაპარაკა] იმ ქალმა: „(მან), ვინც ყმანვილკაცებს [გამუდმებით ჩაგრავედა (?)],
- 7'. გაანადგურა [მცველი, გაანადგურა] ხუვავა,
- 8'. გაანადგურა [ცის ხარი ...], [მთების შუაგულში]
- 9'. [ლომები] გაანადგურა, ახლა ის [...],
- 10'. [...] ისინი მოვლენ (?). [...] -თან ერთად
- 11'. [...] <sup>3</sup>

(მცირე ხარვეზი)

## G

### §15'

- 1'. [...] ზღვა [...]
- 2'. [...] ის კი არ [...].”
- 3'. [...] მედუქნე ქალი ასე მიუგებს [მას:]
- 4'. „[...] გზა, რომელსაც [შენ გაივლი (?) ...],
- 5'. [...] ურ-შანაბი [...]
- 6'. [...] შორს / იქით [...]
- 7'. [...]

(ხარვეზი)

## H

<sup>1</sup> ჩანს ზმნის მხოლოდ დაბოლოება (მესამე პირი, მს. რ., პრეზენსი).

<sup>2</sup> მ. სალვინის საექვოდ მიაჩნია ნახმიცულის (= ხურიტული ტექსტის ნახმაცული) და სიღურის სახელით მოხსენიებული მედუქნე ქალის იგივეობა. მისი აზრით, ნახმაცული პირველად გილგამეშის ეპოსის ხურიტულ ტრადიციაში გვხვდება (იხ. Salvini, *Die hurritischen Überlieferungen des Gilgamesh-Epos*, გვ. 159). იხ. ამასთან დაკავშირებით, გ. ბეკმანის კომენტარი (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 13).

<sup>3</sup> ჩანს გაურკვეველი ზმნის დაბოლოება და ნიშნები, რომლებიც არ იკითხება. მომდევნო სტრიქონშიც (12') მხოლოდ ნიშნების კვალია შემორჩენილი.

## §16'

- 1'. [...] მხოლოდ ცის [მზის ღვთაება გადალახავს ზღვას, სხვა კი]
- 2'. [ზღვას ვერ] გადალახავს“. გილგამეში [ნახმიცულის]
- 3'. [ეტყვის:] „განა [ზღვა ...] ჩემ მხარეს არ არის?“<sup>1</sup>
- 4'. [ნახმიცული] უპასუხებს: „...“
- 5'. [... ურშანაბის, [ულუს<sup>2</sup> (?) ...] მენავეს
- 6'. [...] აქვს [...]
- 7'. (ზღვაზე) მოგზაურობიდან [...]
- 8'. [...] ნავი [შორს ნაყვანილი (?) ...“].

## I

### §17'

- 1'. [... გილგამეში] ქვემოთ [...]
- 2'. [...] გაიქცა და [...]-ს
- 3'. [ეუბნება: ] „ენქიდუ და მე [...]
- 4'. [...] სიცოცხლის წლებისთვის [...].
- 5'. [...] მისი დღე [დადგა (?)].<sup>3</sup>
- 6'. [...-ს ნუ ] გააღებ! მდინარე (?) [...]<sup>4</sup>

## C iii

### §18'

- 1'. ვილაც [...]
- 2'. „შენ [(გადალახავ) (ზღვას)]“.<sup>5</sup> ასე ეტყვის გილგამეში]
- 3'. ურშანაბის: [„ ... შენ ხომ (ის ხარ, ვინც მას)]
- 4'. ყოველდღე (და) ყოველღამე [(გადალახავ ხოლმე)]“. ასე მიუგებს ურშანაბი:]
- 5'. „მე [(ის ორი გამოსახულება გადამალახვინებდა ხოლმე)] (ზღვას)“.

<sup>1</sup> შდრ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51.

<sup>2</sup> იგივე უთნაფიშთიმი, წარღვნას გადარჩენილი და უკვდავებას ნაზიარები ერთადერთი ადამიანი, რომელთან შეხვედრასაც უნდა ისახავდეს მიზნად ამ დაზიანებულ მონაკვეთში აღწერილი გილგამეშის მოგზაურობა ზღვაზე. იმის მიუხედავად, რომ ბოლაზქოიში აღმოჩენილ გილგამეშთან დაკავშირებულ ტექსტებში თავად წარღვნის აღწერილობას ვერ ვხვდებით, ანატოლიური ტრადიციისთვის ეს ეპიზოდი უცხო არ უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ბოლაზქოიშივე გამოვლენილი პატარა ფრაგმენტი, რომლის გმირი, ძველბაბილონური ვერსიის მსგავსად, ათრამ-ხასისის / ვათარა-ხასისის სახელით არის მოხსენიებული (იხ. იქვე, გვ. 9).

<sup>3</sup> გამოთქმა – „მისი დღე დადგა“ ხეთურში სიკვდილის გამომხატველია.

<sup>4</sup> მომდევნო ორი სტრიქონი (7'-8') ასევე ძლიერ დაზიანებულია და ფრაზის აღდგენა ვერ ხერხდება.

<sup>5</sup> შდრ. Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*, გვ. 542.

- 6'. ასე (ეტყვის) [(გილგამეში: „რად მიბრაზდები?“)]  
 7'. გილგამეში [(...). ურშანაბი]  
 8'. (მას) მიუგებს: „[...]  
 9'. შენი [...]  
 10'. შენზე! [...]  
 11'. ადრე დავრგე“.<sup>2</sup> [...]  
 12'. ხით ქვემოთ (და) [...]  
 13'. (შე)ჭამენ. ურშანაბი გილგამეშს,  
 14'. მეფეს, მიუგებს:  
 15'. „რას (აპირებ), გილგამეშ? ზღვას  
 16'. გადალახავ შენ?<sup>3</sup> სიკვდილის წყლებს  
 17'. რომ მიადგები, როგორც კი (ამას) იზამ,<sup>4</sup>  
 18'. ცული მოიმარჯვე და  
 19'. ორმოცი წყრთის ან ორმოცდაათი წყრთის სიგრძის [ჯოხები მო-  
 ქერი!“<sup>5</sup>]

## §19'

- 20'. როდესაც გილგამეშმა ურშანაბის  
 21'. სიტყვები მოისმინა, ცული ხელში [დაიჭირა]  
 22'. და 50 წყრთის სიგრძის ჯოხები  
 23'. მოჭრა. გასხლა,<sup>6</sup> [გათალა (?)] ისინი  
 24'. და ნავზე დააწყო.  
 25'. გილგამეში და ურშანაბი, ორივენი<sup>7</sup> ნავში [ჩასხდნენ(?)].  
 26'. ურშანაბიმ  
 27'. საჭეს (?)<sup>8</sup> ხელი მოჰკიდა, გილგამეშმა [კი ჯოხები]

<sup>1</sup> ან: „შენს ზემოთ“, „ზემოთ შენ ...“.

<sup>2</sup> იხ. *CHD P*, გვ. 207.

<sup>3</sup> შდრ. *CHD P*, გვ. 151: “[When(?)] you go a[cross] the sea”.

<sup>4</sup> შდრ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 104-105); Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51: “What will you do when you come to the waters of death?”.

<sup>5</sup> როგორც ჩანს, ნიჩბების დასამზადებლად.

<sup>6</sup> იხ. *CHD Ⴓ*, გვ. 202.

<sup>7</sup> ან: „მხოლოდ ორნი“. იხ. Rieken (et al.), *CTH 341.III.3* (სტრიქ. 113); Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*, გვ. 170, შენ. 52.

<sup>8</sup> იხ. Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51 (კომენტარისთვის იხ. იქვე, გვ. 52); შდრ. *CHD P*, გვ. 268, სადაც სიტყვა *pintanza* თარგმნილია როგორც „ნიჩბები“. მე ვიზიარებ გ. ბეკმანის თარგმანს. ნიჩბების ფუნქცია, ალბათ, ამავე სტრიქონში აღდგენილ [*wi<sub>3</sub>-na-la*] „ჯოხებს“ უნდა შეესრულებინა.



28'. <დაიჭირა> ხელში. მათი მოგზაურობა ერთ თვისა და თხუთმეტი დღის (მანძილზე გრძელდებოდა).<sup>1</sup>

**კოლოფონი:** მესამე<sup>2</sup> ფირფიტა „გილგამეშის სიმღერისა“.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**გილგამეშანი** – გილგამეშანი. *ბაბილონური ეპოსი მესამე ათასეულისა ქრ. წ., ბაბილონურ ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ (კონსტანტინეპოლი 1924), თბილისი, 2018.*

**ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი** – ტატიშვილი ი., *ხეთურ-ქართული ლექსიკონი* (10 ნაკვეთი), თბილისი, 2006-2014.

**Archi, *Transmission of Recitative Literature*** – Archi A., *Transmission of Recitative Literature by the Hittites*, AOF, 34, 2007, გვ. 185-203.

**Bachvarova, *From Hittite to Homer*** – Bachvarova M., *From Hittite to Homer. The Anatolian Background to Ancient Greek Epic*, Cambridge, 2016.

**Beal, *Hittite Oracles*** – Beal R., *Hittite Oracles*, “Magic and Divination in the Ancient World”, ed. L. Ciruolo and J. Seidel, Leiden, 2002, გვ. 57-81.

**Beckman, *The Hittite Gilgamesh*** – Beckman G., *The Hittite Gilgamesh*, Atlanta, 2019.

**CHD – *The Hittite Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago***, Edited by Güterbock H.G, Hoffner H.A. (et al.), Chicago, 1980-.

**Friedrich, *Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos*** – Friedrich J., *Die hethitischen Bruchstücke des Gilgameš-Epos*, ZA, 39, 1930, გვ. 1-82.

**George, *The Babylonian Gilgamesh Epic*** – George A., *The Babylonian Gilgamesh Epic*, Oxford, 2003.

---

<sup>1</sup> მომდევნო ფრაგმენტი (C iv §§ 20'-22') ძლიერ დაზიანებულია და მეტ-ნაკლებად გამომული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. ტექსტს აშკარად აკლია ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილი იქნებოდა უთნაფიშთიმის და გილგამეშის შეხვედრა, ამ უკანასკნელის გამოცდა უძილობასთან გამკლავების უნარით, რაც სიკვდილზე გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა, მისი დაბრუნება ურუქში. დაზიანებულ სტრიქონებში შეიძლება ამოვიკითხოთ სახელი „ულუ“ (= უთნაფიშთიმ) (§21' / C iv 16'), ასევე *tuliy-* „საკრებულო“ (13', 17'), რის საფუძველზეც გ. ბეკმანი ხედავს მსგავსებას სტანდარტულ ბაბილონური ვერსიის შემდეგ კონტექსტთან (XI 207-208): „ახლა კი ვინ მოუხმობს შენთვის ღმერთებს საკრებულოზე იმისთვის, რომ იპოვო (მარადიული) სიცოცხლე, რომელსაც დაეძებ?“. როგორც ჩანს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო გილგამეშის ეპოსის ხეთური ვერსიის დამაგვირგვინებელი ფრაზა (Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 10).

<sup>2</sup> ტექსტში, ალბათ, შეცდომით წერია: DUB.1.KAM ტექსტში, ალბათ, შეცდომით წერია: Bachvarova, *From Hittite to Homer*, გვ. 70; Beckman, *The Hittite Gilgamesh*, გვ. 51, 52.

- Görke, *Das Ritual der Aštu*** – Görke S., *Das Ritual der Aštu (CTH 490): Rekonstruktion und Tradition eines hurritisch-hethitischen Rituals aus Boğazköy/Ḫattuša* (Culture and History of the Ancient Near East 40), Leiden, 2010.
- Haas, *Die hethitische Literatur*** – Haas V., *Die hethitische Literatur. Texte, Stilistik, Motive*, Berlin, New York, 2006.
- Hoffner, Melchert, *A Grammar of the Hittite Language*** – Hoffner H. A., Melchert H.C., *A Grammar of the Hittite Language*, Winona Lake, Indiana, 2008.
- HW<sup>2</sup> – Hethitisches Wörterbuch. Zweite völlig neubearbeitete Auflage auf der Grundlage der edierten hethitischen Texte**, Edited by Friedrich J., Kammenhuber A., (et al.), Heidelberg, 1975-.
- Klinger, *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur*** – Klinger J., *Die hethitische Rezeption mesopotamischer Literatur und die Überlieferung des Gilgameš-Epos in Ḫattuša*, “Motivation und Mechanismen des Kulturkontaktes in der späten Bronzezeit”, ed. D. Prechel, Florence, 2005, 83. 103-127.
- Kloekhorst, *Etymological Dictionary*** – Kloekhorst A., *Etymological Dictionary of the Hittite Inherited Lexicon* (Indo-European Etymological Dictionary Series 5), Leiden, 2008.
- Kronasser, *Etymologie der hethitischen Sprache*** – Kronasser H., *Etymologie der hethitischen Sprache*, Wiesbaden, 1963-1966, 1987.
- Melchert, *Cuneiform Luvian Lexicon*** – Melchert H. C., *Cuneiform Luvian Lexicon* (Lexica Anatolica 2), Chapel Hill, NC, 1993.
- Mouton, *Rêves hittites*** – Mouton A., *Rêves hittites. Contributions à une histoire et une anthropologie du rêve en Anatolie ancienne*, Leiden, Boston, 2007.
- Neu, *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen*** – Neu E., *Interpretation der hethitischen mediopassiven Verbalformen* (Studien zu den Boğazköy-Texten 5), Wiesbaden, 1968.
- Otten, *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*** – Otten H., *Die erste Tafel des hethitischen Gilgamesch-Epos*, IM, 8, 1958, 83. 93-125.
- Polvani, *La terminologia dei minerali*** – Polvani A.-M., *La terminologia dei minerali nei testi ittiti* (Eothen 3), Florence, 1988.
- Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*** – Puhvel J., *Hittite Etymological Dictionary*, Berlin, 1984-.
- Rieken (et al.), *CTH 341.III*** – Rieken E., Lorenz J., Bauer A., Görke S., *CTH 341. III.1*: <http://www.hethport.uni-wuerzburg.de/HPM/index.php> (INTR 2009-08-12).
- Salvini, *Die hurritischen Überlieferungen des Gilgameš-Epos*** – Salvini M., *Die hurritischen Überlieferungen des Gilgameš-Epos und der Kešši-Erzählung*, “Hurriter und Hurritisch”, ed. V. Haas, Konstanz, 1988, 83. 157-72.

**Sasson, *Prologues and Poets*** – Sasson J. M., *Prologues and Poets. On the Opening Lines of the Gilgamesh Epic*, “Beyond Hatti. A Tribute to Gary Beckman”, ed. by Collins B. J. and Michalowski P., Atlanta, 2014, 83. 265-277.

**Schott, *Das Gilgamesch-Epos*** – Schott A., *Das Gilgamesch-Epos*, Stuttgart, 1958.

**Starke, *Untersuchung zur Stammbildung*** – Starke F., *Untersuchung zur Stammbildung des keilschrift-luwischen Nomens* (Studien zu den Boğazköy-Texten 31), Wiesbaden, 1990.

**Stefanini, *Enkidu's Dream*** – Stefanini R., *Enkidu's Dream in the Hittite “Gilgamesh”*, JAOS, 28, 1969, 83. 40-47.

**Tischler, *Der Ortsname Tarsos*** – Tischler J., *Der Ortsname Tarsos und Verwandtes*, ZVS, 100, 1987, 83. 339-50.

**Tischler, *Hethitisches Etymologisches Glossar*** – Tischler J., *Hethitisches Etymologisches Glossar*, Innsbruck, 1977-2016.

**Ziolkowski, *Gilgamesh Among Us*** – Ziolkowski Th., *Gilgamesh Among Us: Modern Encounters with the Ancient Epic*, Ithaca, NY, 2011.

## The Hittite Version of the Gilgamesh Epic

### Summary

The Epic of Gilgamesh, an epic poem from ancient Mesopotamia, is often cited as the oldest known piece of literature with an indubitably long history stretching across 17 centuries (from about 1750 to 100 BC) and a wide area of distribution: the cuneiform texts, describing the exploits of Gilgamesh, the protagonist of the epic, have been revealed not only among the ruins of Assyria and Babylon, but also in different regions of the ancient Middle East – in Anatolia, Ugarit, Emar and Megiddo. Next to two Akkadian versions, the manuscripts in Hurrian and Hittite have been also discovered at the Hittite capital Hattusa (present-day Boğazköy). As G. Beckman has rightly noticed, the archaeological excavations at Hattusa have yielded more textual material for Gilgamesh than is known from all other Late Bronze Age sites combined. Opinions differ, however, regarding the place the Epic of Gilgamesh would have been held in the Hittite culture: was it solely used in scribal instruction, or did it also serve as a literary work among the Hittite “elite”? Also controversial is the question about the origins of the Hittite version of the Gilgamesh Epic, whether it is a text reflecting an oral tradition or an independent composition that is not based on earlier Akkadian (or Hurrian) texts. One thing is indisputable: the texts written in Akkadian, Hurrian, and Hittite languages found in Boğazköy are of great importance for the reconstruction of the development of the Gilgamesh epic, since these texts include the material of the period which is quite fragmented and sparsely preserved in the Mesopotamian tradition itself. Moreover, the Hittite version is the only source that can be used to fill a gap in Tablet V of the final, “canonical,” version of the epic. In addition to what has been said, studying the textual material from Boğazköy related to the Gilgamesh Epic could shed light on the spread of narrative traditions in the ancient Near East and their contacts with the Greek epic tradition.

The present article contains the first Georgian translation of the three tablets (CTH 341.III.1, III.2, III.3) representing the Hittite version of the Epic of Gilgamesh.

## მაჩხანის ბილინგვა და მონოლინგვა

საქართველოში არაბობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვან პირველწყაროდ წარმოგვიდგება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VIII-XI საუკუნეების როგორც ქართული, ასევე არაბული (ქუფური დამწერლობით შესრულებული) წარწერები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დამატებითი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ხელახლა განვიხილოთ შუა საუკუნეების ეპიგრაფიკის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი – მაჩხანის ეკლესიის ქართულ-არაბული ბილინგვა და ქართული მონოლინგვა, და შევაფასოთ ამ ორი პირველწყაროს ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა. ჩვენი ამოცანა სამგვარია: ა) წარწერების პალეოგრაფიული ანალიზი; 2) წარწერების ახლებური დათარიღების საფუძველზე მაჩხანის ეკლესიის მსგავსი ხუროთმოძღვრული ძეგლების ქრონოლოგიის დაზუსტება; და 3) წარწერების შინაარსის საფუძველზე საქართველოში არაბობის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

მაჩხანის ეკლესია საქართველოში არაბული სამფლობელოების ისტორიული ცენტრის, ქალაქ თბილისის (იმდროინდელ ფარგლებში) მახლობლად მდებარეობს, დიღმის ხეობაში, სოფლების ნოდორეთისა და ბევრეთის შემაკავშირებელი გზის სიახლოვეს. ამ დარბაზული ტიპის (ერთნავიანი) პატარა ნაგებობის კედლებზე რამდენიმე ლაპიდარული წარწერა იყო ამოღებული. კვლევა ეფუძნება მაჩხანის ეკლესიისა და მისი წარწერების ადგილზე შესწავლის შედეგებს (2023 წლის თებერვალში; ექსპედიციის წევრები: ირაკლი ფალავა, თამაზ გოგოლაძე, დავით სილაგავა).

ეკლესია „აღდგენილი“ და ახლებურად გადახურული დაგვიხვდა, ტერიტორია კი – ნაწილობრივ შემოღობილი; სამწუხაროდ, სამუშაოები, ჩანს, არაპროფესიულად ჩატარდა; კერძოდ, მნიშვნელოვანწილად განადგურდა ისეთი არსებითი ხუროთმოძღვრული დეტალი, როგორცაა სამხრეთი ფასადის ლავგარდანი (კარნიზი), რომელიც 1940-იან წლებში გ. ჩუბინაშვილს კარგად შენახული დახვდა და ხელოვნების ისტორიკოსისთვის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენდა.<sup>1</sup> ფასადის კვადრებს შორის სივრცეები ცემენტით (?) ამოავსეს. შიგნით ეკლესიაში საკურთხეველში ვეღარ ვნახეთ მო-

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441-442, 446, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441-442, 445, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173, 176.

ხატულობა, ის „ორი წმიდა მამის ფიგურა en face“, რომელთა არსებობაც გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა.<sup>1</sup> საბედნიეროდ, წარწერები თითქმის ხელუხლებელი დარჩა. მათ დღევანდელ მდგომარეობას ქვემოთ განვიხილავთ.

ეკლესიისა და მისი წარწერების ადგილზე de visu შესწავლის გარდა, კიბის გამოყენებით მოხერხდა ლაპიდარული წარწერების ცელოფანზე გადატანაც, რის საფუძველზე შემდგომში დამზადდა პალეოგრაფიული პირებიც.

ეკლესიის კედლის ნყობაში გამოყენებულ ქვებზე თავდაპირველად, ჩანს, სამი წარწერა იყო: ერთი პრაქტიკულად განადგურებულია; მეორე ქართულ-არაბულ (ნუსხურნარევ-ასომთავრულ და ქუფურ) ბილინგვას წარმოადგენს; მესამე კი ექსკლუზიურად ქართულენოვანია (ნუსხურნარევ-ასომთავრულია). წარწერებს ცალ-ცალკე განვიხილავთ.

სამხრეთ კედელში შესასვლელის ბალავრის ქვაზე ექსცენტრულად, უფრო მარჯვნივ, ფონის ჩაღრმავებით რელიეფურად ამოკვეთილია ჯვრის გამოსახულება, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ წარწერებიც ამოუჭრიათ (სურ. 1).




სურ. 1 (Fig. 1)

**წარწერა I (განადგურებული)** (სურ. 1). ჯვრის მარჯვნივ ქვის ზედაპირი დაზიანებულია; როგორც ჩანს, განგებ გადათლილია რაღაც გამოსახულება, ან, უფრო, წარწერა. თითქოს, განიჩევა რამდენიმე ასომთავრული (?) გრაფემაც (?). თუ რამ განაპირობა ეს *damnatio memoriae* – უცნობია; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქრისტიანული სიმბოლიკა ეკლესიის კედლებზე ხელუხლებლად არის შემონახული; ისევე როგორც არაბული სიტყვები (?); წარწერას (?)


<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 177.



მისი შინაარსის გამო თუ გადათლიდნენ; მისი ნაკითხვა დღეისთვის სრულიად წარმოუდგენელია (მაჩხანის ეკლესიის წარწერებისადმი მიძღვნილ წინარე შრომებში ალბათ სწორედ ამიტომ მოხსენიებულიც კი არ არის).



სურ. 2ა (Fig. 2a)



სურ. 2ბ (Fig. 2b)

**წარწერა II (ქართულ-არაბული ბილინგვა)** (სურ. 1, 2ა, 2ბ). ჯვრის მარცხნივ კი, ქვის ცენტრიდან ცოტა მარცხნივ, შესასვლელის თავზე (ცოტა მარცხნივ) ჩაღრმავებულ ფონზე ამოჭრილია რვასტრიქონიანი ქართულ-არაბული ბილინგვა, შესრულებული ნუსხურნარევი ასომთავრულითა და ქუფური დამწერლობით. არაბულად მხოლოდ სამი სიტყვაა, დანარჩენი ტექსტი კი ქართულია; მიუხედავად ამისა, არაბული და ქართული წარწერების შინაარსის ნაწილობრივ მაინც დამთხვევის გამო, წარწერას მაინც ბილინგვას ვუნოდებთ.

ბილინგვა ძალიან კარგად, პრაქტიკულად სრულად არის შენახული. ახალი დაზიანებებიდან შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ ქვედა მარცხენა კუთხის დამატებითი ატკეჩა, რის გამოც აღარ იკითხება Q (ო) გრაფემა წარწერის ქვედა სტრიქონში, მარცხნივ, და ჩამოტეხილია ქვემოდან მეორე სტრიქონის მარცხენა ორი გრაფემის I (ი) და P (ტ) ქვედა კიდეები – ისინი კარგად ჩანს გ. ჩუბინაშვილის სტატიაში მოყვანილ გრაფიკულ მონახაზზე<sup>1</sup> და თ. ბარნაველის სტატიაში მოყვანილ ფოტოსურათზე;<sup>2</sup> მეორე მხრივ, ნოდარ შოშიაშვილის 1980 წლის ნაშრომში მოყვანილ ფოტოზე<sup>3</sup> ეს ადგილები უკვე ატკეჩილია; მაშასადამე, წარწერა, საფიქრებელია, 1962-1980 წლების შუალედში დაზიანდა, მას შემდეგ კი არ შეცვლილა.

წარწერა პირველმა გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა,<sup>4</sup> არაბული ნაწილის გ. ნერეთლის, ხოლო ქართული ნაწილის კი, ჩანს, ა. შანიძის ნაკითხვით (ნაკითხვა, გრაფიკული მონახაზი, ნაკითხვა რუსულად სტატიის რუსულენოვან ვერსიაში, ორი ნვრილმასშტაბიანი ფოტო).<sup>5</sup> როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ძეგლის არსებობა მკვლევართ შეუტყვიათ იროდიონ სონღულაშვილისაგან; რაც შეეხება უშუალოდ ბილინგვის შესწავლის დაწყებას, „15-20 წლის წინათ, წარწერათა გასაცნობად ეკლესია ინახულა პროფ. ა. შანიძემ“; გ. ჩუბინაშვილი კი ძეგლს პირველად 1935 წლის 15 მაისს გაეცნო.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443, სურ. 4; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443, სურ. 4.

<sup>2</sup> ბარნაველი, მარხანის ეკლესიის წარწერები, გვ. 649; Барнавели, Надписи мачханской церкви, გვ. 649.

<sup>3</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაბიდარული წარწერები, ტ. 1, ტაბულა 87-1,2.

<sup>4</sup> 1970 წლის გადანაბეჭდის თანახმად, ტექსტი დაინერა 1947 წელს (Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173).

<sup>5</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441-447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441-447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173-177, ტაბ. 62-63.

<sup>6</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской

გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციის მიხედვით, ბილინგვის ქართული ნაწილი შემდეგნაირად იკითხება (ა. შანიძის ვერსიით):<sup>1</sup>

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა თევდორესითა – ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბედჲთა – აეშენა ესე საყდარი ჰომად კიტრისძისაობასა. უფალო, შეუნდვენ ცოდვანი“;

გ. ჩუბინაშვილისვე შრომების რუსულ ვერსიაში, რუსულ თარგმანში:<sup>2</sup>

“Во имя бога, вспомоществованием св. Федора по повелению грузинского эмира Хомада Китрисдзе (да возвеличит его бог!) построена эта церковь в его правление. Господи, прости ему прегрешения”.

1957 წელს ლ. მელიქსეთ-ბეგმა მოიყვანა წარწერის რამდენადმე განსხვავებული თარგმანი რუსულად:<sup>3</sup>

“Во имя бога, вспомоществованием св. Федора, по повелению эмира Картли Хамада Китрисдзе [да возвеличит его бог!], построена эта церковь в его правление. Господи, прости ему прегрешения”.

1960 წლის „არქიტექტურულ მეგზურში“ რ. შმერლინგს, ვ. დოლიძესა და თ. ბარნაველს მოყვანილი აქვთ წარწერის წაკითხვა რუსულად, გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციის მიხედვით.<sup>4</sup>

1962 წლის სტატიაში კი თ. ბარნაველი აქვეყნებს წარწერის ხარისხიან ფოტოს და წაკითხვას ა. შანიძის მიხედვით, ასევე წაკითხვას რუსულად სტატიის რუსულ ვერსიაში; წაკითხვაც და რუსული თარგმანიც ზუსტად იმეორებს გ. ჩუბინაშვილის პულიკაციებში მოყვანილ ტექსტებს.<sup>5</sup>

---

*архитектуры VIII-IX века*, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

ლ. მელიქსეთ-ბეგთან ვხვდებით აგრეთვე მითითებას, რომ, შესაბამისი ინფორმაცია და [წარწერის] ფოტოგრაფია ჩანახატთან ერთად მას მიაწოდა რ. შმერლინგმა, გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციამდე „დიდი ხნით“ ადრე (“задолго до публикации названной статьи”) [Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 116].

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, *VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 442.

<sup>2</sup> Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

<sup>3</sup> Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 115-116.

<sup>4</sup> Шмерлинг, Долидзе, Барнавели, *Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель*, გვ. 81.

<sup>5</sup> ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 649-650; Барнавели, *Надписи мачханской церкви*, გვ. 650.

1980 წელს „ლაპიდარული წარწერების“ I ტომში ნ. შოშიაშვილს მოყვანილი აქვს წარწერის გრაფიკული მონახაზი – გ. ჩუბინაშვილის ნაშრომიდან, ახალი ხარისხიანი ფოტო, გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით და ნაკითხვა გახსნილი ქარაგმების მითითებით.<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ტირეები ნ. შოშიაშვილს გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციისგან განსხვავებულად აქვს დასმული (ანუ, წარწერა სხვანაირად ჰქონდა გააზრებული?):

„† სახ(ე)ლი(თ)ა ღ(მრ)თ(ისაჲთ)ა,  
მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა თ(ევდორო)ე-  
ს(ით)ა, ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მ)ან – ქ(ართლის)ა  
ამ(ირაჲ)სა ბედჲთა – ა-  
ეშენა ესე საყ-  
დარი ჰომად კ-  
იტრისძისაობასა.  
უ(ფალ)ო შეუნდვ(ე)ნ ც(ო)დ(ვ)ა(ნ)ი“

1997 წლის პუბლიკაციაში კ. დანელია და ზ. სარჯველაძე პრაქტიკულად იმეორებენ ნ. შოშიაშვილის ნაკითხვას (მხოლოდ ერთგან დაქარაგმებულ სახელს ოდნავ განსხვავებულად ხსნიან – „თ(ეოდორ)ე- / ს(ით)ა“). სასვენი ნიშნებიც რამდენადმე განსხვავებულად აქვთ გადანაწილებული:<sup>2</sup>

„† სახელითა ღმრთისაჲთა,  
მეოხებითა წმიდისა თეოდორე-  
ჲსითა, – ადიდენ ღმერთმან, – ქართლისა  
ამირაჲსა ბედჲთა ა-  
ეშენა ესე საყ-  
დარი ჰომად ე [sic]  
კიტრისძისაობასა.  
[უფალ]ო შეუნდვენ ცოდვანი“

ვიზიარებთ და ქვემოთ ვიმეორებთ ნ. შოშიაშვილის ნაკითხვას. მეტიც, ვადასტურებთ, რომ ქვედა სტრიქონის ბოლო სამი (?) გრაფემის შემორჩენილი ფრაგმენტები ნამდვილად კარგად შეესაბამება კომპლექსს ႠႠႠ (-ანი), „ც(ო)დ(ვ)[ანი]“ (სურ. 2ა, 2ბ); ქვედა სტრიქონის მარცხენა ნაწილში ვტოვებთ სიწყვას „[უ(ფალ)]ო“ – Ⴀ ასოს ფრაგმენტი, ახლა თუ არ ჩანს, ნამდვილად

<sup>1</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 225, ტაბულა 87-1,2.

<sup>2</sup> დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.



იკითხება როგორც გ. ჩუბინაშვილის მონახაზში, ასევე თ. ბარნაველის ფოტოზედაც; სიტყვის აღდგენაც დამაჯერებელია. იხ. ცხრილი 1.

ბილინგვის არაბული ნაწილი ქართულის თანადროულია; გარდა იმისა რომ შინაარსობრივად ეხმიანება, ქართული წარწერის შუაში სივრცე არაბული გრაფემების ამოსალარად საგანგებოდ დატოვეს.

არაბული ტექსტის წაკითხვას რამდენადმე აძნელებს ის გარემოება, რომ ის ქუფური შრიფტითაა, დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე.<sup>1</sup>

(ფოტოსურათის მიხედვით) ბილინგვის არაბული ნაწილის წაკითხვის ავტორობა გ. წერეთელს ეკუთვნის (გ. ჩუბინაშვილისადმი 1942 წლის 5 ნოემბერს მიწერილ წერილში); სამ სტრიქონად განაწილებულ სამსიტყვიან წარწერას გ. წერეთელი შემდეგნაირად კითხულობდა: „ორი სიტყვა ადვილად იკითხება: **حمد بن** ‘ჰუმად იბნ’ (ჰუმად ძე .....ისა). საეჭვოა მესამე სიტყვა, რომელიც ჰუმადის ქუნაას წარმოადგენს: **كسر**. შესაძლოა იგი იყოს **بشير** ‘ბაშირ’, თუმცა მისი წაკითხვის სხვა მრავალი შესაძლებლობაც არსებობს“.<sup>2</sup>

თ. ბარნაველი არაბულ ფრაგმენტს არ შეეხო. რაც შეეხება შემდგომ მკვლევართ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაბული ტექსტის ჰუმად ბ. ბაშირისა და ქართული ტექსტის ჰომად კიტრისძის შესაბამისობაში მოყვანის სურვილმა არაბული ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციამდე მიიყვანა.

უკვე რ. შმერლინგმა (თანაავტორებთან ერთად, რომელთა შორის თ. ბარნაველიც იყო) აღნიშნა, რომ არაბული წარწერის მესამე სიტყვა შეიძლება ქართულ კიტრისძეს „შეესაბამებოდეს“ (“*Два первых слова читаются как ‘Хумад ибн’ (Хумад, сын такого-то), третье может соответствовать грузинскому ‘Китрисдзе’*”).<sup>3</sup>

ნოდარ შოშიაშვილი გადმოსცემდა<sup>4</sup> არაბულ სიტყვებს, როგორც

„ჰუმად იბნ ქითრი“ (?) (“*حمد بن كسر*”)<sup>5</sup>

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაშიც მითითებულია, რომ „ორივე ტექსტის მიხედვით ეკლ. აუგია ჰომად კიტრისძეს“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> გ. წერეთელს გამოთქმული აქვს მოსაზრებები წარწერების პალეოგრაფიასთან დაკავშირებით (ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 174).

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 443; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 175.

<sup>3</sup> Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, გვ. 81.

<sup>4</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 225.

<sup>5</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „ქითრი“ არაბულად სხვანაირად დაინერგებოდა.

<sup>6</sup> გვეტაძე, ზაქარაია, მაჩხანის ეკლესია, გვ. 277.

1997 წლის ქართული პალეოგრაფიისამი მიძღვნილ ნაშრომშიც აღნიშნულია, რომ „სამი სიტყვა ‘ჰუმად იბნ ქითრი’(?) არაბულად არის ჩანერილი“.<sup>1</sup>

ადგილზე შესწავლამ (იხ. ასევე ფოტოსურათი და პალეოგრაფიული პირი, სურ. 2ა, 2ბ) ცალსახად დაგვარწმუნა, რომ ქვედა არაბული სიტყვის პირველი გრაფემა ნამდვილად არ არის **კ**; ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას მაინცდამაინც არაბულ წარწერაზე (*damnatio*?) ჯვარედინად დატანილი ორი ნაჩეხი ჩანაჭდევის გამო, რომელთაგან ერთ-ერთის ქვედა კიდე აღნიშნული სიტყვის პირველ გრაფემაზე გადაივლის და, ერთი შეხედვით, მას, თითქოს, ზევითკენ აგრძელებს; თუმცა, ნ. შოშიაშვილის ნაშრომში მოყვანილ ფოტოსურათზედაც<sup>2</sup> მკაფიოდ ჩანს, რომ პირველი გრაფემა **კ** არ არის. მეტიც, *ქითრ* (ქართულ ტექსტში კი *კიტრისძე ტარითაა*) (ჰიპოთეტურად **كيتر**) რომ ყოფილიყო დანერილი, პირველ და ბოლო გრაფემას შორის მხოლოდ ორი კბილი იქნებოდა ამოღარული, და არა ოთხი, როგორც სინამდვილეშია. ცალსახად შეიძლება მტკიცება, რომ არაბულ წარწერაში ქვედა სიტყვა არ არის *ქითრ* / „ქითრი“. სავსებით ვეთანხმებით გ. წერეთელს, და ვთვლით, რომ ქუფური დამწერლობით შესრულებული გრაფემები უდიდესი ალბათობით აღნიშნავს სახელს ბაშნრ; მითითებული პირის სრული სახელი კი გამოდის, შესაბამისად, ჰუმად ბ. ბაშნრ. მაშასადამე,

حمد

س

سسر

არის

حمد

بن

بشير

ამრიგად, ქართულ ტექსტში მოხსენიებულია ვინმე „ჰომად კიტრისძე“ (ღ. ამ შემთხვევაშიც შეიძლება „უ“-ს გადმოსცემდეს, როგორც სიტყვაში „შეონდვ(ე)ნ“; ანუ, ქართულ ტექსტშიც იგულისხმებოდეს *ჰუმად*), არაბულში კი – „ჰუმად ბ. ბაშნრ“, ანუ, *ჰუმად ძე ბაშირნსა*. ერთსა და იმავე წარწერაში, მის ერთდროულად ამოღარულ არაბულ და ქართულ ნაწილში ერთი და იგივე საკუთარი სახელით (ანუ, *ისმით*) ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს მოხსენიებული. მაგრამ რატომ აქვს განსხვავებული მამის სახელი, *ნასაბი*, ანუ, რა-

<sup>1</sup> დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49, სქოლიო 2.

<sup>2</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, ტაბულა 87-2.



ტომ იწოდება არაბულ ტექსტში *ქედ ბაშირისა*, ქართულში კი *კიტრისძე*? გ. ნერეთელი წერდა: „რადგან ჰ უ მ ა დ ქართულ ტექსტშიაც გვხვდება („ჰომად“-ის სახით), საფიქრებელია, რომ არაბული ქუნაა ქართული კ ი ტ რ ი ს ძ ი ს შე-სატყვისი იყოს, მაგრამ ამჟამად მე არ შემიძლია როგორმე დავუკავშირო არაბული ტექსტის *سسر* ქართულ კიტრის ძეს“.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, შეუსაბამობა აიხსნება იმით, რომ ბილინგვის ქართულენოვან ნაწილში მითითებულია ჰუმადის თუ ჰომადის არა *მამის სახელი*, არამედ *საგვარეულო სახელი* – ხელოსანს განკვეთილობის ნიშნები (ორწერტილები, ორგან სამწერტილი) ძალიან სისტემურად აქვს ამოჭრილი – ყოველი სიტყვის შემდეგ; ეს პრინციპი საკმაოდ თანმიმდევრულად არის დაცული, – სამწერტილი ერთგან მაშინაც კია დასმული, როდესაც სიტყვა სტრიქონს აბოლოებს (მე-3 სტრიქონის ბოლოს). ამრიგად, ცალსახაა, რომ ქართული წარწერის ჰომადი არის „კიტრისძე“, და არა *კიტრის ძე*, ვინაიდან შუაში განკვეთის ნიშანი არ უზის. არაბულ ტექსტში აისახა ამ პირის *მამის სახელი*, *ნასაბი*, ქართულში კი – *საგვარეულო სახელი*; არაბული წარწერის „ჰუმად ბ. ბაშირ (?)“ და ქართული წარწერის „ჰომად კიტრისძის“ სრული სახელია *ჰუმად/ჰომად ძე ბაშირისა, კიტრისძე*.

ვინ იყო ეს პიროვნება და რა დროს მოღვაწეობდა? უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისთვისაც, ვინაიდან ჰუმადის/ჰომადის იდენტიფიკაცია მაჩხანის ეკლესიის დასათარიღებლად გამოიყენეს; მაჩხანის ეკლესიის აგების დედუცირებული თარიღით კი მსგავს არქიტექტურულ ძეგლებს ათარიღებდნენ (*vide infra*). კიტრისძე ჰუმად/ჰომად ძე ბაშირისა სხვა, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ გვხვდება. გ. ნერეთელი შესაძლებლად თვლიდა გაეიგივებინა ის გარდმანის პატრიკოსთან, რომელიც ატ-ტაბარნს ჰყავს მოხსენიებული ბულა თურქის შემოსევის კონტექსტში: „ქართულ ტექსტში მოხსენიებული სახელი კ ი ტ რ ი ს ძ ე (ჰ ო მ ა დ კ ი ტ რ ი ს ძ ი ს ა ო ბ ა ს ა) სხვა ქართულ ძეგლებში არ მახსოვს შემხვედროდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იგივე სიტყვაა, რაც ტაბარნს (გრდ. 310//923 წელს) თხზულებაში *الرسول و الملوك* მოხსენიებული გარდმანის პატრიკოსის სახელი *القطري*. ეს უკანასკნელი კანონზომიერი არაბული გადმოცემაა სიტყვისა – კ ი ტ რ ი ს ძ ე“.<sup>2</sup> გარდმანის პატრიკოსისა და წარწერაში მოხ-

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 443; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 175.

სენიებული ჰომადის იგივეობაში დარწმუნებულმა გ. წერეთელმა ამ იგივეობის საფუძველზე წარწერაც საკმაოდ თავდაჯერებულად IX საუკუნის შუახნით დაათარილა: „ტაბარნს, სახელდობრ, მოთხრობილი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც ბულა თურქმა თბილისი დასწვა, 'წარგზავნა ბულამ ზირაქი ციხესა გარდმანისასა, რომელი იგი არს შორის ბარდავისა და ტფილისისა [...] და დაიპყრა ზირაქი გარდმანი და წარტყვენა პატრიკიოსი მისი ალკიტრიჯი (= კიტრის ძე?) და წარიყვანა იგივე ბანაკსა' [...] ქრონოლოგიურად წარწერა ამ ამბების დროინდელი გამოდის, რომელთან დაკავშირებითაც ტაბარნ მოგვითხრობს القطر -ის შესახებ. ამგვარი დამთხვევა, ქრონოლოგიური და საკუთარი სახელის ფორმებისა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ხსენებული საკუთარი სახელი ძალიან იშვიათია, გვაფიქრებინებს, ხომ არ არის ტაბარის მიერ მოხსენიებული გარდმანის პატრიკიოსი კ ი ტ რ ი ჯ, რომელიც სომხურ წყაროებშიაც გვხვდება კტრიჭ-ის სახით, იგივე პირი, რაც ჩვენი წარწერის კ ი ტ რ ი ს - ძ ე?“. <sup>1</sup>

გ. ჩუბინაშვილმა სრულად გაიზიარა გ. წერეთლის მოსაზრება, და მასზე დაყრდნობით მაჩხანის ეკლესიის აგება „მტკიცედ“ IX საუკუნის შუახნით დაათარილა; უფრო მეტიც, იმავე ტიპის ხუროთმოძღვრული ძეგლებიც იმავე ეპოქას მიაკუთვნა: „მაჩხანის ნაგებობა, რომელიც მტკიცედ თარიღდება IX ს-ის შუა წლებით, ნებას გვაძლევს, რომ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები – ფასადთა ქვის წყობა, შენობის პროპორციები, სხვადასხვაგვარი საშენი მასალის კომბინაცია, თვით შემადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთშეფარდება, დასასრულ, ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ელემენტთა და სამკაულთა თავისებურება – მივიჩნიოთ VIII-IX ს.ს. მთელი ეპოქის რიგით ძეგლთა დამახასიათებელ თავისებურებად. ამიტომ, მაჩხანის ძეგლი მკვლევარს ხელთ აწვდის მასალას, რომელიც მას დაეხმარება ბევრი სხვა – დღემდე დაუთარილებელი – შენობის დათარიღების საქმეში“. <sup>2</sup> გ. ჩუბინაშვილის მოსაზრება გაზიარებულია თანამედროვე ქართველოლოგიურ საცნობარო ლიტერატურაში. <sup>3</sup>

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 444; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 444; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 175.

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 447; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 177.

<sup>3</sup> Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, გვ. 81; სალარაძე, მაჩხანი, გვ. 510; ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები, გვ. 66; შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, გვ. 49.

საენციკლოპედიო სტატია გადაჭრით ამტკიცებს, რომ ეკლესია მაინცდამაინც „853“ წელს არის აშენებული (sic). სტატიას თან ახლავს სხვა ნაგებობის ფოტოსურათი (სალარაძე, მაჩხანი, გვ. 510).

ვთვლით, რომ ჰომად კიტრისძის გაიგივება *الجفطري*-თან, და, შესაბამისად, ამის საფუძველზე მაჩხანის ბილინგვისა და მაჩხანის ეკლესიის აგების IX საუკუნის შუახნით დათარიღება მეტად სათუოა. ჩვენი არგუმენტაცია:

1) არაბული დამწერლობის თავისებურებებიდან გამომდინარე, თავს შევიკავებდით მტკიცებისგან, რომ არაბული *ალ-კიტრიჯ* (და არა *კიტრიჯ*) ყოველთვის მაინცდამაინც ქართულ *კიტრისძეს* გადმოსცემს, და არ შეიძლება *სხვა რაიმე სახელს* გადმოსცემდეს;

2) არაბული *ალ-კიტრიჯ* ამ შემთხვევაში მაინც რომც ნამდვილად ქართულ *კიტრისძეს* გადმოსცემდეს, რამდენად სავალდებულოა, პირველწყაროებში თითოჯერ გაჟღერებული ეს სახელები ერთი და იმავე პიროვნების აღმნიშვნელად მივიჩნიოთ;<sup>1</sup>

3) საზოგადოდ, გაუგებარია, რატომ უნდა აღნიშნულიყო გარდმანის პატრიკიოსის სახელი თბილისის საამიროს ცენტრის, ქალაქ თბილისის მიმდებარედ ახალაგებული ეკლესიის კედელზე; რამდენად რეალურია, გარდმანის პატრიკიოსი იმავდროულად თბილისის მიმდებარე ხეობის / ტერიტორიის გამგებელი ყოფილიყო? და, რაც მთავარია,

4) ბილინგვის ქართული ნაწილის პალეოგრაფიული ნიშნები დიდი ალბათობით გამორიცხავს მის მიკუთვნებას IX საუკუნის შუახანისადმი (გარდმანის პატრიკიოსის ხეობის დრო). ამ არგუმენტზე დანვრილებით გავჩერდებით.

საზოგადოდ, წარწერას ეტყობა სწრაფვა დეკორატიულობისადმი, რაც უფრო X-XI საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი.

თვალში საცემია ქარაგმის ნიშნის კლაკნილობა, რაც, ნ. შოშიაშვილის მიხედვით, X საუკუნეში გვხვდება.<sup>2</sup>

ზოგიერთ გრაფემას შეემჩნევა აშკარა კიდურნერტილოვნება და კიდურნაისრულობაც კი (განსაკუთრებით *Ⴀ* და *Ⴁ* გრაფემებს).<sup>3</sup> დათარიღებულთა შორის ჩვენთვის ცნობილი უადრესი კიდურნაისრული ეპიგრაფიკული ძეგლი ქორეთის ეკლესიის სამშენებლო წარწერაა (ქორონიკონის 220 / 1000 წ.).<sup>4</sup>

<sup>1</sup> საზოგადოდ, წყაროების სიმწირის პირობებში, რთული სათქმელია, სინამდვილეში რამდენად იშვიათი იყო *ამ ეპოქაში* და *რეგიონში* სახელი *კიტრისძე* / *ალ-კიტრიჯ*.

<sup>2</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 32.

<sup>3</sup> თ. ბარნაველი, რომელიც წარწერას გ. ჩუბინაშვილის მსგავსად IX საუკუნით ათარიღებდა, აღნიშნავდა, რომ „ასოთა კიდურები ერთგვარად თანდათანობით მსხვილდება, მაგრამ ეს გამსხვილება არავითარ სამკაულში არ გადადის, როგორც ამას ადგილი აქვს უფრო მოგვიანო ხანაში (X-XI სს), როდესაც ასოების კიდურები მთავრდება წერტილებით ან ტყუბნვეტოვანი შუბისპირისებრი სამკაულით“ (ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 652).

<sup>4</sup> სილოგავა (შემდგ.), *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, გვ. 37-38, წარწერა 11.

ნ. შოშიაშვილი ფიქრობდა, რომ „ოდნავ შესამჩნევი კიდურნაისრულობა“ უკვე X საუკუნის II ნახევრიდან შეინიშნება.<sup>1</sup> კიდურნაისრულია რამდენიმე გრაფემა ჭყონდიდის ტაძრის ერთ-ერთ ნარწერაში მაცხოვრის გამოსახულების გარშემო (996? X საუკუნის დასასრული?).<sup>2</sup> ხაზების შესქელება დაბოლოებებთან გვხვდება კუმურდოს 964 წლის ნარწერებშიც.<sup>3</sup> ლ. ახალაძის მიხედვით, „კიდურნაისრული დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X საუკუნის შუახანებში მაინც (თუ უფრო ადრე არა) უნდა ვიგულისხმოთ“.<sup>4</sup> უადრესი დათარიღებული კიდურწერტილოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი კი, ვ. სილოგავას მიხედვით, გურგენ მეფეთა მეფის 1006 წლის სამშენებლო ნარწერაა;<sup>5</sup> თუმცა, ამ ნარწერაშიც კი „კიდურწერტილოვნება ჯერ არ არის ისე მკაფიოდ წარმოდგენილი, როგორც ამას 1032 წ. (ბაგრატ IV-ის ნარწერა იშხანში – ი. ფ.), და საერთოდ, XI ს-ის შუახანებით დათარიღებულ ნარწერებში ვხვდებით“.<sup>6</sup> მაშასადამე, ვ. სილოგავა კიდურწერტილოვანი დამწერლობის გაჩენას XI ს-ის დასაწყისით ათარიღებს.<sup>7</sup> ნ. შოშიაშვილის მიხედვით, კიდურწერტილოვანი გრაფემები X საუკუნეშიც გვხვდება.<sup>8</sup>

ბილინგვა (მონოლინგვაც, *vide infra*) იწყება ტექსტის დაწყების ტექნიკური ნიშნით, ჯვრით; ამ ნიშნის გამოყენება განსაკუთრებით X საუკუნეში გახშირდა (თუმცა, უფრო ადრეულ ნარწერებშიც გვხვდება, მართალია, შედარებით იშვიათად).<sup>9</sup>

საყურადღებოა ცალკეული გრაფემების მოყვანილობაც. დონი (წ) პრაქტიკულად უყელოა, ზედა განივი ხაზი თითქმის წრეს ებჯინება, რაც ასევე X საუკუნისთვის დამახიათებელი პალეოგრაფიული ნიშანია;<sup>10</sup> საყურადღებოა ამ გრაფემის წრეგახსნილობაც მარცხენა მხარეს.<sup>11</sup> საყურადღებოა ასევე ენის (I) და ლასის (ხ) სპეციფიკური მოხაზულობა – ზედა შვეულთან დამატებითი ჰორიზონტალური ხაზებით; ნ. შოშიაშვილის აზრით, ასეთი ხაზები

<sup>1</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 33.

<sup>2</sup> სილოგავა (შემდგ.), *ქართული ლაპიდარული ნარწერების კორპუსი*, II, გვ. 35-36, ნარწერა 9; შეად. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, გვ. 53-54, ნარწერა 3.

<sup>3</sup> სილოგავა, *კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა*, გვ. 39-46, 48-49.

<sup>4</sup> ახალაძე, *ხუაფის ნარწერა*, გვ. 65.

<sup>5</sup> სილოგავა, *დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული ნარწერები*, გვ. 83.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 85.

<sup>8</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *ნარწერების კორპუსი, ლაპიდარული ნარწერები*, ტ. 1, გვ. 33.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 224.

მითითებულ გრაფემებს უკვე IX ს-დან უჩნდებათ;<sup>1</sup> თუმცა, ვ. სილოგავას მოსაზრებით, ამ კრიტერიუმით შესაძლებელია ლაპიდარული ძეგლის „ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X ს-ით“ განისაზღვროს.<sup>2</sup>

ამ ძირითადად ასომთავრულ წარწერაში ასომთავრულის გვერდით გვხვდება უკვე აშკარად ნუსხური თუ განუსხურებული, გაკუთხოვნებული, გარდამავალი მოხაზულობის გრაფემებიც: π (ღ), π (ჰ); შ (მ) ასონიშნებშიც მუცლის შემკვრელი ხაზი მარჯვნივ აღარ, ან თითქმის აღარ გადადის, რაც ასევე განუსხურებისკენ მიდრეკილების მაჩვენებელია. ამ ფენომენსაც ნ. შოშიაშვილი ასევე სწორედ X საუკუნით ათარილებს.<sup>3</sup>

ყველა ზემოთ განხილული პალეოგრაფიული თავისებურების გათვალისწინებით, ბილინგვის (ქართული ტექსტის) IX საუკუნის შუანლებით დათარილება მეტად საეჭვოდ გვეჩვენება. ეს ეპიგრაფიკული ძეგლი, თავისი პალეოგრაფიული მახასიათებლებით აშკარად უფრო X საუკუნის ფარგლებში უნდა მოთავსდეს, ისიც, უფრო, საფიქრებელია, ამ საუკუნის II ნახევარში, ან, სულაც, XI საუკუნის I ნახევარში.

აქვე მოვიყვანთ წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებებსაც ბილინგვის დათარილებასთან დაკავშირებით: ა. შანიძის აზრით (გ. ჩუბინაშვილის გადმოცემით) წარწერა „X ს-ზე გვიანდელი არაა“<sup>4</sup> (X საუკუნის ხომ არა?). ნ. შოშიაშვილი წარწერას X საუკუნით ათარილებდა, სხვათა შორის, „ტალღისებური ქარაგმის ნიშნის“ ხმარებისა და ასომთავრულ ტექსტში „ნუსხურის, ნუსხურზე და მხედრულზე გარდამავალი გრაფემების შერევის“ საფუძველზე.<sup>5</sup> ამასთანავე, თ. ბარნაველის აზრით, „მაჩხანის ეკლესიის წარწერების ასოთა მოხაზულობა არ ეთიშება ამ ძეგლის მხატვრულ-სტილისტიკური და ისტორიული ანალიზის საფუძველზე აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ დადგენილ თარიღს“.<sup>6</sup>

ვინაიდან წარწერა, როგორც ჩანს, საგანგებოდ შერჩეულ ბალავრის ქვაზეა ამოჭრილი, ის, გარკვეული ალბათობით, ეკლესიის აგების თანადროული უნდა იყოს. ამრიგად, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით დათარილების საფუძველზე, ეკლესიასაც X საუკუნით დავათარილებდით, რომ არ ვთქვათ X საუკუნის II ნახევრით, ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>2</sup> სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები, გვ. 57.

<sup>3</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 33.

<sup>4</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარილებისათვის, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 174.

<sup>5</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. 1, გვ. 224.

<sup>6</sup> ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები, გვ. 655.



5) მაჩხანის ეკლესიის აგების პერიოდზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუქცევთ ამ ნაგებობის არქიტექტურასაც, კერძოდ, ისეთი არქიტექტურული დეტალის, როგორცაა ლავგარდანი – დამათარილებელ მნიშვნელობას. გ. ჩუბინაშვილი მას საკმაოდ ვრცლად ეხება: „ეს მოტივი უშუალოდ მოგვაცონებს მცხეთის ჯვრის გუმბათისა, ან სამწვერისის ოსტატურად გაკეთებულ თაღოვან კარნიზებს. მხოლოდ ეს კია, რომ აქ სრულიად აღარაა ნახატის ოსტატობა და მკაფიობა, აღარაა ის გამოკვეთილი ფორმა, რითაც გამოირჩევა ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანის (VI-VII ს-თა მიჯნაზე) ხსენებული ძეგლები. მაჩხანის ეკლესიის კარნიზი გარკვევით გვიჩვენებს ამ ეპოქის მოთხოვნილებათაგან დაშორებას. ამავე დროს, მასში ჩანს მისწრაფება რაღაც თავისებურის, სხვაგვარის, ამ ეპოქის კლასიკისაგან განსხვავებულის შექმნისაკენ. [...] ფორმები აქ დუნეა, თითქოს ნებისმიერაა შეცვლილი ყოველ თაღში, თანაც თაღები თითქოს შეუმჩნეველად უკავშირდება ერთმანეთს ქვაში ამოღარული ორმაგი თაღების ნახატით, რომელიც ჩალრმავებული თაღების თავზეა გატარებული“.<sup>1</sup>

გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით, „თუ თვით მოტივი კარნიზისა ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ ხანას მიეკუთვნება, მისი დამუშავება, განსაკუთრებით კი ამოღარული თაღები, მაჩხანის კარნიზს იმ ძეგლთა ჯგუფში აყენებს, რომელშიაც შედის ლეხურისა და ქსნის ხეობათა სამი ძეგლი – არმაზი, წირქოლი და ყანჩავეთი – ჩემ მიერ VIII და IX საუკუნეებით დათარიღებული (პირველს შერჩენილი აქვს ზუსტი თარიღიც 864 წ.)“.<sup>2</sup>

არმაზის, წირქოლისა და ყანჩავეთის კაბენის ეკლესიების არქიტექტურულ-ისტორიულ ანალიზს გ. ჩუბინაშვილმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა, სადაც ისინი VIII-IX საუკუნეების ძეგლებად ჩათვალა კიდევაც.<sup>3</sup>

არმაზისა და წირქოლის ეკლესიებში ნამდვილად ვხვდებით ლავგარდანის ამოღარვას.<sup>4</sup> მხატვრული ეფექტის მისაღწევად ქვის ზედაპირის ამოღარვის

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 441, 446, სურ. 5. შეად. Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 441, 445, სურ. 5; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173, 176.

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 442. შეად. Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века, გვ. 442; Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв., გვ. 173.

<sup>3</sup> Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье, გვ. 1-30; Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье, გვ. 141-172, ტაბ. 44-61.

<sup>4</sup> არმაზი: “Карниз его [...] был весь украшен тремя бороздами, врезанными в отвесную плоскость его”; “[...] прочерчивание бороздок для оттенения форм применено в Армази, между прочим без достаточной надобности и законченности на прямоугольных плоскостях



ხერხის გამოყენებას ვხვდებით კაბენშიც.<sup>1</sup> გ. ჩუბინაშვილმა პირდაპირ მიუთითა არმაზისთვის დამახასიათებელი თაღების ღარებით მოხაზვის ელემენტის არსებობა სხვა თანადროულ (“этого времени”) ძეგლებში, კერძოდ, გურჯაანის ყველანაშინდასა და მანხანის ეკლესიაში.<sup>2</sup> მაგრამ, საკმარისია თუ არა ეს იმისთვის, რომ მსგავსი თუ იდენტური ხუროთმოძღვრული დეტალის მატარებელი მანხანის ეკლესიაც VIII თუ IX საუკუნეებით დავათარილოთ?

დავინყოთ დაზუსტებით, თუ როდის აიგო აღნიშნული ეკლესიები – არმაზი, წირქოლი, კაბენი.

არმაზის ეკლესია ნამდვილად თარიღდება IX საუკუნით, არმაზელი (?) მამასახლისი გიორგის სააღმშენებლო წარწერის მიხედვით (ქორონიკონის პდ / 84, ანუ, 864 წელი).<sup>3</sup>

კაბენიც, გარკვეული ალბათობით, IX საუკუნის (დასაწყისის) ძეგლი უნდა იყოს – ეკლესიის სამხრეთი კედლის გახსნისას აღმოჩნდა ფრესკული ასომთავრული წარწერა  $\text{H}^{\text{I}}\text{P}\text{E}\text{C}\text{H}\text{I}\text{C}\text{H}\text{B} / \dots\text{H}\text{C}\text{P}\text{C}\text{H} / \dots\text{C}\text{O}\dots / \dots\text{T}\text{H}$ ; ის შემდეგნაირად ნაკითხვს: „ნეტარი აღ[არნასეს ასულს] / ლატავ[რს] / ... თო.. / ეს ...“.<sup>4</sup> ამგვარი ნაკითხვის საფუძველზე, ეს პიროვნება გააიგივეს ადარნესეს ქალიშვილთან, ლატავრთან, აშოტ კურაპალატის დასთან და ეკლესიის აგებაც, შესაბამისად, IX საუკუნის დასაწყისით, IX საუკუნის I მეოთხედით დაათარილეს.<sup>5</sup>

---

стен над четырьмя столбами [...]” (იქვე, გვ. 148, 161); წირქოლი: “[...] весь карниз храма, уцелевший в обрывках только на восточном и западном фасадах; профиль его с бороздами или валиками в гладкой поверхности совпадает с карнизом в Армази” (იქვე, გვ. 160).

<sup>1</sup> კაბენი: “[...] общий с Цирколи, Армази и др. подход эпохи. То же самое нужно повторить и относительно таких примитивных декоративных приемов, как прочерчивание борозд в гладких поверхностях камня, примененное в Кабени и на гранях барабана купола и в арке над входом в комнатку так же, как мы его видели в разных местах в Цирколи, в Армази, в Гурджаани и т. д. [...]” (იქვე, გვ. 169-170).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152, 170.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 149; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 17, 19-20, სურ. 10; შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 167-168, სურ. 85, ტაბულა 61-62; ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 129, №13.

<sup>4</sup> ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 72; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 28, სურ. 19; შეად. ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 128-129, №2.

<sup>5</sup> ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 72, 78-79; Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 28; ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 129.

წირქოლის ეკლესიის დათარიღება ნაკლებად ცალსახაა. გვაქვს წირქოლის (ღმრთისმშობლის?) ეკლესიის ცნობილი რელიეფი<sup>1</sup> რომელზედაც გამოსახულია დანიელი ლომების ორმოში, ასევე, ქვედა-მარჯვენა ფილაზე, ანგელოზისა და საერო სამოსელში გამოწყობილი პირის გამოსახულებები. ამ უკანასკნელთა შორის ამოღარულია „ნუსხურნარევი ასომთავრული, კიდურნაისრული წარწერა. სიტყვები ერთმანეთისგან არაა დაცილებული; ქარაგმის ნიშანი – გრძელი, კიდურწერტილოვანი, სწორი, განივი ხაზი“.<sup>2</sup> ამ საერო ფიგურას გ. ჩუბინაშვილი ქტიტორად თვლიდა.<sup>3</sup> ფიგურის ამგვარი, – ქტიტორად, – ინტერპრეტაცია გაიზიარა ნ. შოშიაშვილმაც; ხოლო მის გვერდით წარწერის ფრაგმენტი ნაიკთხა შემდეგნაირად: „[...] ხ/ღ შჴ/ღ/ღ“, ანუ „ლ(ე)/ო[ნ] მ(ე)ფ/ე“.<sup>4</sup> ჩანს, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების გათვალისწინებით, ნ. შოშიაშვილმა ეს პიროვნება დასავლურ-ქართული სახელმწიფოს მონარქად ლეონ II-დ (ლეონ III-დ, სხვა კლასიფიკაციით – ი. ფ.) მიიჩნია, ანუ, X საუკუნის მეფედ; საერთო ჯამში, პალეოგრაფიული ნიშნებითა და შინაარსით მკვლევარმა წარწერა X საუკუნით, კერძოდ, 957-967 წლების პერიოდით (ლეონის ზეობა) დაათარიღა.<sup>5</sup> ნ. შოშიაშვილის მოსაზრება გაიზიარა გ. ოთხმეზურმაც.<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ ამ წარწერას ნ. შოშიაშვილი სააღმშენებლოდ თვლიდა;<sup>7</sup> აქედან კი გამომდინარეობდა თავად ტაძრის აგების დათარიღება უკვე X საუკუნის მესამე მეოთხედით. პირა-

<sup>1</sup> გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს 1925 წელს ამ რელიეფების ჩამოტანას გადმოცემით წირქოლის ციხიდან. იქვე, გვ. 152.

თ. ხუნდაძე საკმაოდ დანვრილებით იხილავს ამ საკითხს. ის სამართლიანად შენიშნავს, რომ „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს რელიეფი თავდაპირველად ციხის ეკლესიას ეკუთვნოდა“ (წირქოლის ციხე კი წირქოლის ღვთისმშობლის ეკლესიისგან დაახლოებით ნახევარ კილომეტრში მდებარეობს); თუმცა, ვინაიდან „ადგილზე დათვალიერებისას წირქოლის ციხეზე არ აღმოჩნდა ცალკე მდგარი ეკლესიის კვალი [...] სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ეს ფილა ციხესთან ახლო მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდა და მინისძვრის შედეგად მისი დანგრევის შემდგომ [...] იქნა მეორედ გამოყენებული ციხის წყობაში [...]“ (თ. ხუნდაძე ასაბუთებს, რომ რელიეფის ფილები კანკელის ნაწილს წარმოადგენდნენ – „კანკელი, ალბათ, ტაძრის დანგრევისას დაზიანდა, მისი გადარჩენილი ნაწილები კი თანაბრად ჩამოჭრეს და ციხის კედლის წყობაში გამოიყენეს, რასაც ადასტურებს ფილათა ნახნაგებზე შემორჩენილი კირის კვალი“ (ხუნდაძე, *ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 90).

<sup>2</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 221.

<sup>3</sup> და წარწერას კითხულობდა როგორც „ანგელოზი შეიწყალე ფეა“ (ჩუბინაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია*, გვ. 207-208).

<sup>4</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, ტაბულა 85.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 220-222, სურ. 143ა-143გ, ტაბულა 84-1,2, 85.

<sup>6</sup> ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 139, №15. შეად. ახალაძე, „აფხაზთა“ (ეგრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები, გვ. 100-109.

<sup>7</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კოორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 220.

დად ჩვენ სრულად ვიზიარებთ თ. ხუნდაძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ანგელოზისა და მეფის ფიგურებს შორის მხოლოდ ორი სიტყვა ‘ანგელოზი’ და ‘მეფე’ წერია“;<sup>1</sup> რელიეფის (სანახევროდ დაკარგულ) ქვედა ნაწილზე კი გამოსახული იყო (და ნაწილობრივ შემოგვრჩა) „სამი ყრმა ცეცხლის სახმელში მფარველ ანგელოზსა და მათ დამსჯელ მეფე – ნაბუქოდონოსორთან ერთად“.<sup>2</sup> ამრიგად, შინაარსის მიხედვით, წარწერის (და ეკლესიის) დათარიღება შეუძლებელი ხდება. ძეგლის დასათარიღებლად ეკლესიის ხუროთმოძღვრულის გარდა, გვრჩება რელიეფის ხელოვნებათმცოდნეობითი და წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი. არქიტექტურაზე დაკვირვება აფიქრებდა გ. ჩუბინაშვილს, რომ წირქოლის ეკლესია არმაზზე (ანუ, 864 წელზე) უფრო ადრე ააგეს.<sup>3</sup> ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე თ. ხუნდაძე წირქოლის რელიეფს IX საუკუნის დასაწყისით ათარიღებს.<sup>4</sup> მისი აზრით, „ამ დათარიღებას ეთანხმება წარწერის პალეოგრაფიაც“.<sup>5</sup> ნ. შოშიაშვილმა კი წარწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალეოგრაფიული ნიშნების, კერძოდ, „ასომთავრულში ნუსხურის შერევის“ საფუძველზე X საუკუნით დაათარიღა.<sup>6</sup> ამრიგად, წირქოლის ეკლესიის დათარიღებაზე აზრთა სხვადასხვაობაა, დიაპაზონით IX საუკუნის დასაწყისიდან X საუკუნის ჩათვლით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამი ზემოთ მოხსენიებული ეკლესია, როგორც ჩანს, მიღებულზე რამდენადმე გვიანდელი დროით თარიღდება, არა VIII-IX საუკუნეებით, არამედ: არმაზი 864 წლის მიმდებარე ხანით; კაბენი IX საუკუნის დასაწყისით; წირქოლი – საზოგადოდ, IX თუ X საუკუნით. სხვათა შორის, ვ. ცინცაძემაც სამივე ძეგლი 820-860-იან წლებში შესრულებულ (*ერთი და იმავე ხუროთმოძღვრის*) ქმნილებებად ჩათვალა.<sup>7</sup>

IX თუ IX-X საუკუნეების ძეგლების იდენტური ხუროთმოძღვრული დეტალით (თაღების მოღარვა) მაჩხანის ეკლესიის შემკობა, დავუშვათ, X საუკუნეში, – შეუძლებელ მოვლენად შეიძლება არც ჩაითვალოს; რამდენად სავალდებულოა, რომ ისეთი „პრიმიტიული დეკორატიული ხერხი“, როგორიც ქვის გლუვი ზედაპირის ამოღარვაა,<sup>8</sup> მაინცდამაინც *ექსკლუზიურად IX* (და არა VIII-IX) საუ-

<sup>1</sup> ხუნდაძე, *ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 82.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 82-87, სურ. 1ბ-3.

<sup>3</sup> Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 160-161.

<sup>4</sup> ხუნდაძე, *ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან*, გვ. 85, 89.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 89-90.

<sup>6</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 221.

<sup>7</sup> ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 79-82.

<sup>8</sup> “[...] относительно таких примитивных декоративных приемов, как прочерчивание борозд в гладких поверхностях камня [...]” (Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 170).

კუნეებისთვის დამახასიათებელ მოვლენად ჩავთვალოთ, და გამოვრიცხოთ მისი გამოყენება, დაფუძვით, X საუკუნეში? თუნდაც, – ნირქოლიც რომ IX საუკუნის ძეგლად მივიჩნიოთ, – მართლაც, წინა ეპოქის ძეგლების მიბაძვით?

მაჩხანის ეკლესია პატარა, ძალიან მარტივი, დარბაზული და ერთნავიანი ტიპის ნაგებობაა, რომელიც თავისი გეგმით დიდად განსხვავდება ბევრად უფრო რთული და დახვეწილი ეკლესიებისგან, როგორცაა ნირქოლი, არმაზი, და კაბენი, რომელთაგან პირველი ორი მხოლოდ გარეგნულად, გარედან ემსგავსება მაჩხანს, სინამდვილეში კი შინაგანი გეგმარებით შეუდარებლად უფრო კომპლექსურ შენობებს წარმოადგენენ (კაბენი გარეგნულადაც განსხვავებულია).<sup>1</sup> იბადება მეთოდოლოგიური ხასიათის კითხვა – შეიძლება თუ არა არსებითად განსხვავებული გეგმარების მქონე ნაგებობები ყველა შემთხვევაში მივაკუთვნოთ ერთსა და იმავე ეპოქას ერთი და იგივე ზემოთ აღნიშნული „პრიმიტიული დეკორატიული ხერხის“ გამოყენების საფუძველზე? თუ (დაფუძვით) ერთი და იმავე ეპოქის ძეგლების განსხვავებულ გეგმარებას რესურსების შეზღუდულობითა თუ ხუროთმოძღვრის / დამკვეთის ნებით ავხსნით, მაშინ, თუნდაც დაახლოებით ერთი საუკუნით დაშორებულ ძეგლებში ერთი და იმავე მხატვრული ხერხის გამოყენებაც შეიძლება, ჩვენი აზრით, მიმბაძველობით, ან, სულაც, დამოუკიდებლად მიგნებით ავხსნათ.

ვთვლით, რომ მაჩხანის ეკლესიის ამოღარული ლავგარდანი არ არის საკმარისი ამ ნაგებობის IX საუკუნით დასათარიღებლად; კარნიზის ამგვარი მხატვრული გაფორმება X საუკუნეშიც დასაშვებად მიგვაჩნია. ბევრად უფრო სანდოდ მიგვაჩნია პალეოგრაფიული ანალიზის შედეგები (იხ. ზემოთ), რომელთა საფუძველზედაც მაჩხანის ეკლესიას, ქართულ-არაბული ბილინგვის ქართული ნაწილის ანალიზის საფუძველზე, უფრო X საუკუნით ვათარიღებთ.<sup>2</sup>

\*

ვინ არის წარწერაში მითითებული ჰომად კიტრისძე (კიტრისძე ჰუმად ძე ბაშნისა)?

გ. ჩუბინაშვილი ჰომად კიტრისძეს „ქართლის“ ამირად თვლიდა – წარწერა გახსნილია როგორც „ადიდენ ღმერთმან ქართლისა ამირაჲსა ბედიათა – აეშენა ესე საყდარი ჰომად კიტრისძისაობასა“ (მკვლევარი წარწერის ში-

<sup>1</sup> Чубинашвили, *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, გვ. 141-172; ცინცაძე, *ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები*, გვ. 67-82; Мепишашვილი, Цинцадзе, *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 17-29.

<sup>2</sup> ღიად რჩება ნირქოლის რელიეფისა და, შესაბამისად, თავად ნირქოლის ეკლესიის აგების დათარიღების საკითხი – IX თუ X საუკუნეები?

ნაარსს არ განმარტავს).<sup>1</sup> რუსულენოვან (პირვანდელ, 1947 წლის?) ტექსტში წარწერა თარგმნილია როგორც “по повелению грузинского эмира Хомада Китрисдзе”;<sup>2</sup> (ამ შემთხვევაში “грузинского” ნიშნავს *ქართლის/საქართველოს*, და არა *ქართულს*). ლ. მელიქსეთ-ბეგიც ამ ისტორიულ პირს სწორედ ქართლის ამირად მიიჩნევდა: “по повелению эмира Картли Хамада Китрисдзе”.<sup>3</sup> ამ მოსაზრებას, როგორც ჩანს, იზიარებდა თ. ბარნაველიც, ვინაიდან გ. ჩუბინაშვილის პუბლიკაციებში მოყვანილი წაკითხვა და თარგმანი უკომენტაროდ აქვს გამეორებული.<sup>4</sup>

ნ. შოშიაშვილი კი, ისევე როგორც კ. დანელია და ზ. სარჯველაძე, – ჰომადის ვინაობას არ ეხებოან,<sup>5</sup> და მათ მიერ მოყვანილი წაკითხვებიდანაც შეუძლებელია დასკვნა გამოვიტანოთ, იზიარებდნენ ისინი ჩუბინაშვილის / მელიქსეთ-ბეგის / ბარნაველის მოსაზრებას, თუ არა.

ჩვენი აზრით, არ უნდა ვიფიქროთ ჰომად კიტრისძის *ამირობა* – ყოველ შემთხვევაში, ქალაქის (ქალაქ თბილისის) თუ ქართლის ამირობა, ანუ, თბილისის საამიროს სათავეში ყოფნა (ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის ნაკლები მასშტაბისა და მნიშვნელობის, ადგილობრივი მოხელე ამირა ყოფილიყო). მოვიყვანთ არგუმენტაციას: ბილინგვის ქართულ ნაწილში საუბარია ქართლის (თუ ქალაქის – „ქა“ შეიძლება ორნაირად გაიხსნას) ამირას „ბედით“ საყდრის (ეკლესიის) აშენებაზე, „ჰომად კიტრისძისაობასა“, ანუ, ჰომად კიტრისძის ზეობაში, მმართველობის პერიოდში. მაგრამ, არ ჩანს, რომ ჰომად კიტრისძე მაინცდამაინც *უზენაესი* მმართველი ამირა იყოს. მართალია, X საუკუნის თბილისის არაბი ამირების სია<sup>6</sup> შეიძლება არასრულიც იყოს, მაგრამ, მაინც, აღსანიშნავია, რომ მათ შორის არ ჩანს არც ვინმე ჰომადი/ჰუმადი და არც ვინმე ბაშური. რამდენად მყარიც არ უნდა ყოფილიყო თბილისის საამიროში თუ თბილისში ქართველი თუ ქართულენოვანი, თუნდაც გამუსლიმებული მმართველი ელიტის პოზიციები, მაინც, ძნელი დასაჯერებელია, რომ საამიროს სათავეში ყოფილიყო ადამიანი ქართული საგვარეულო სახელით.

<sup>1</sup> ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. *ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 442.

<sup>2</sup> Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, გვ. 442; Чубинашвили, *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, გვ. 174.

<sup>3</sup> Меликсет-Бек, *Рельефы руки*, გვ. 115-116.

<sup>4</sup> ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 649-650; Барнавели, *Надписи маханской церкви*, გვ. 650.

<sup>5</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 225; დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.

<sup>6</sup> ლორთქიფანიძე, *თბილისის საამიროს ისტორიიდან*, გვ. 196-197, 200.



იგივე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა წარწერის შინაარსიც. ჩვენი აზრით, წარწერის (ქართული ნაწილის) მნიშვნელობა შემდეგნაირია: ის იწყება პრემბულით – ჯვრის ნიშნით (sic), რომელსაც მიჰყვება სტანდარტული ფორმულა ღმრთისა და წმინდანის მოხსენიებით – „† სახ(ე)ლი(თ)ა ღ(მრ)თ(ისაჲთ)ა, მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა თ(ევდო)რ(ეს)ი(თ)ა“ (აქედან, ბუნებრივია, გამომდინარეობს, სხვათა შორის, რომ ეკლესია *თავდაპირველად მაინც* წმ. თევდორეს სახელზე იყო აგებული). შემდეგ მოდის, ასე ვთქვათ, რევერანსი უზენაესი მმართველის – *ქართლისა თუ ქალაქის* (ანუ, აშკარად, *თბილისის, უზენაესი*) ამირას მისამართით (რომელსაც გულისხმობს მომდევნო სიტყვები) – „ად(ი)დ(ე)ნ ღ(მერ)თ(მან)“; შემდეგ კი კონკრეტული ფაქტია აღნიშნული (ვიზიარებთ კ. დანელიასა და ზ. სარჯველაძის პუნქტუაციას და შესაბამის აზრობრივ ნიუანსირებას): „ქ(ართლის)ა ამ(ირაჲ)სა ბედჲთა აეშენა ესე საყდარი“; ამ კონტექსტში სიტყვის „ბედჲთ“ მნიშვნელობას წინარე მკვლევრები არ შეხებიან. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „ბედჲ“ / *ბედი* აშკარად გამოყენებულია არა *სვეს*, არამედ *განგების* მნიშვნელობით (შეად. *ღვთის განგებით*) – სახეზეა ერთგვარი სემანტიკური დრეიფი; ჩვენი აზრით, ეკლესია აეშენა ამირას *განგებით*, ანუ, *ბრძანებით* (დასტურით). წარწერის ბოლოსწინა ნაწილში აღნიშნულია, რომ საყდარი აეშენა ვინმე *ჰომად კიტრისძის მმართველობის პერიოდში* (იმ ტერიტორიასა და დროში, სადაც და როდესაც აეშენა ეკლესია). წარწერა ბოლოვდება სტანდარტული ვედრებით – ამ ადგილობრივ გამგებელს, ანუ, *ჰომად კიტრისძეს უფალმა შეუწდოს ცოდვანი*. აღსანიშნავია, რომ წარწერა უფალს ორჯერ მიმართავს – ვედრებით „ად(ი)დ(ე)ნ“ და „შეონდვ(ე)ნ ც(ო)დ[ვანი]“; გასაგებია, რომ ამ ორი ესოდენ განსხვავებული მიმართვის ობიექტიც ორი განსხვავებული პირია, იქვე ნახსენები, შესაბამისად, *ქართლის / ქალაქის ამირა*, და *ჰომად კიტრისძე*. გასაგებია, რომ უფლისგან განდიდებას ითხოვენ უზენაესი მონარქისთვის, არაბი ამირასთვის; ხოლო ადგილობრივი მმართველისთვის, ჰუმადისთვის, *მოკრძალებულად* ცოდვების შენდობას ევედრებიან.

დავასკვნით: ჰუმად/ჰომად ძე ბაშორისა კიტრისძე არის ისტორიული პირი, რომელიც მოღვაწეობდა X საუკუნეში, ან, იქნებ, XI საუკუნის I ნახევარში. მას საერთო არაფერი აქვს IX საუკუნის შუაწლებში მოღვაწე გარდმანის პატრიკოსს ალ-კიტრიჯთან. ჰუმადის საგამგებლო თუ საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაში შედიოდა თბილისის საამიროს ფარგლებში შემავალი დიღმის ხეობა. ეთნიკურად, თუ, წარმოშობით მაინც, ის ქართველი იყო, ქართული საგვარეულოს – *კიტრისძეების* წარმომადგენელი. (მმართველი ელიტის მხრივ მაინც) მუსლიმურ-არაბული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამოჭრილი ბილინგვის *უმეტესი* ნაწილის ქართულენოვნობიდან გამომდინარე, *ჰუმად*



ბაშირის ძე კიტრისძე, შესაძლოა, თავადაც ქართველენოვანი იყო, ანუ, ქართველურ კულტურულ წრეს/აც ეკუთვნოდა; თუმცა, ონომასტიკით, საკუთარი (*ისმი*) და მამის სახელით (*ნასაბი*) თუ ვიმსჯელებთ, (საფიქრებელია, თავის წრესთან ერთად) არაბული კულტურის ზეგავლენასაც განიცდიდა. შესაძლებელია, მუსლიმიც ყოფილიყო.<sup>1</sup> ასე თუ ისე, მისი მხარდაჭერით თუ არა, თანხმობით მაინც, ისევე როგორც თბილისის ამირას ბედიო, ჰუმადზე დამოკიდებულ და თბილისის საამიროს ფარგლებში შემავალ ტერიტორიაზე ჩნდება ქრისტიანული რელიგიური ნაგებობა.

მუსლიმური სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მუსლიმური თბილისის სიახლოვეს ქრისტიანული ეკლესიის აგება მმართველი მუსლიმური ელიტის ტოლერანტობაზე მიუთითებს, ან/და, ადგილობრივი ქრისტიანული თუ ქართული ლობის, ძალების სიძლიერეზე (?); შესაძლოა, იმ პოტენციური საფრთხის ანარეკლიც იყოს, რომელიც მეზობელი გაძლიერებული ქრისტიანული სახელმწიფოებისგან იგრძნობოდა.

სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის თქმა, ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძე თბილისის ამირას ხელდასხმული მოხელეა, თუ ადგილობრივი ფეოდალი, რომლის გვარიც დიღმის ხეობას მემკვიდრეობით ფლობს. სამწუხაროდ, თბილისის საამიროს ტერიტორიულ მონყობაზე არაფერი ვიცით. სავსებით დასაშვებია, რომ მინაზე მფლობელობასა და საგამგებლო უფლებებს ინარჩუნებდნენ ადგილობრივი წარჩინებულნი, ფაქტიურად, ფეოდალები (?). ასე თუ ისე, ჰუმად კიტრისძის ქართული საგვარეულო სახელიდან გამომდინარე, ის აშკარად ადგილობრივი სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელია.<sup>2</sup>

ბილინგვის ისტორიული ანალიზი ნაკლები იქნებოდა მაჩხანის მესამე წარწერის განხილვის გარეშე.

<sup>1</sup> თბილისში ქართველებისა და არაბების ეთნიკური სინთეზი მიმდინარეობდა; ვიცნობთ მუსლიმ მოღვაწეებს ნისბით *ალ-ქურჯე*, *ქართველი* (სიხარულიძე, *ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ*, გვ. 47-53).

<sup>2</sup> საფიქრებელია, იმავე, (ადგილობრივ) ხელისუფლებაში მყოფ პირთა წრეს მიეკუთვნებინან ალმაოტისძენიც, რომლებიც თეთრინყაროს რაიონში, ანუ თბილისის საამიროს ტერიტორიაზე (?) ეკლესიას აშენებენ (გელაშვილი, გოგოლაძე, *X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა*, გვ. 180-187). წარწერა, პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, *X-XI საუკუნეებით* (ანუ, ფაქტიურად, არაბობის ეპოქით) თარიღდება (იქვე, გვ. 184-185). გვარის ფორმა (*ალ-ფორმანტი* დაწყება?) არ გამოორიცხავს მის კავშირს არაბულ ენასთან (მოსაზრება პირად საუბარში თამაზ გოგოლაძემ გაგვიზიარა).



სურ. 3ა (Fig. 3a)

+ს̄რ̄ბ̄ი̄ტ̄პ̄ა̄ტ̄ა̄  
 რ̄ყ̄ა̄ტ̄რ̄ტ̄პ̄ა̄ტ̄ყ̄  
 ო̄ტ̄რ̄ლ̄ა̄ტ̄ჟ̄ა̄ტ̄  
 ტ̄ყ̄ა̄ტ̄ს̄ა̄ტ̄ს̄ა̄  
 ჟ̄ა̄ტ̄ს̄ა̄ტ̄ს̄ა̄  
 ს̄ა̄ტ̄ს̄ა̄ტ̄ს̄ა̄  
 ყ̄ა̄ტ̄ტ̄ა̄ტ̄ა̄  
 ო̄ტ̄ა̄ტ̄ა̄ტ̄ა̄

სურ. 3ბ (Fig. 3b)

**წარწერა III (ქართული მონოლინგვა)** (სურ. 3ა, 3ბ). ამოჭრილია აღმო-საველეთის კედელში სარკმლის მაგვირგვინებელი ქვის მარჯვენა ფრთაზე. ექ-სკლუზიურად ქართულენოვანია; შესრულებულია ნუსხურნარევი ასომთავ-რულით. ბილინგვის მსგავსად, მონოლინგვაც ამოღარულია, მაგრამ შედა-რებით ზედაპირული კვეთით. წარწერა, საზოგადოდ, საკმაოდ დაუდევრადაა შესრულებული, გრაფემები არათანაბარი ზომისაა და არათანაბარ სიმაღლე-ზეა, ორხაზოვანი სანერი ბადე დარღვეულია. აღსანიშნავია, რომ განკვეთის ნიშნები საერთოდ არ არის ნახმარი, თუმცა წარწერის ბოლოს მისი დასრულე-ბის ტექნიკური ნიშანია – ორწერტილი შუაში ჰორიზონტალური ხაზით. წარ-წერა საკმაოდ კარგად არის შენახული, თუმცა აღინიშნება ბიოდაზიანებაც.

მონოლინგვა პირველმა საფუძვლიანად თ. ბარნაველმა შეისწავლა, 1962 წელს (გადმონაწერი მეტ-ნაკლებად დედნის შრიფტით, წაკითხვა, ფოტო).<sup>1</sup> 1980 წელს წარწერას დაუბრუნდა ნ. შოშიაშვილი (გადმონაწერი დედნის შრიფტით, წაკითხვა გახსნილი ქარაგმების მითითებით, გრაფიკული მონა-ხაზი, ახალი ფოტოები); ამასთანავე, რამდენიმე სიტყვა წარწერის ბოლოში სხვანაირად წაკითხა.<sup>2</sup> ბოლოს, 1997 წელს, წარწერა განიხილეს კ. დანელი-ამ და ზ. სარჯველაძემ (გადმონაწერი მხედრული შრიფტით, წაკითხვა გახ-სნილი ქარაგმების მითითებით); მათ შენიშნეს, რომ „წარწერის წაკითხვის ნაწილი საეჭვოა“.<sup>3</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღ-წერილობაში გაზიარებულია თ. ბარნაველის წაკითხვა.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ სამივე ვერსიის ფარგლებში ამ რვასტრიქონიანი მონოლინგვის ქვედა 4-ნ სტრიქონი სხვადასხვანაირადაა წაკითხული (იხ. ცხრილი 2):

1. მე-5-6 სტრიქონებში ႠႡ / ႠႡႠႡ კომპლექსს თ. ბარნაველი კითხუ-ლობდა როგორც სახელს „გ(უ)ლ-საბ“ / („გ(ე)ლს(ა)ბ“?); ნ. შოშიაშვილი, რო-გორც „გ(უ)ლს(ურ)აბ“; კ. დანელიამ და ზ. სარჯველაძემ თავი შეიკავეს ქა-რაგმების გახსნისაგან;

2. მე-6 სტრიქონში თ. ბარნაველმა Ⴁ ამოიკითხა როგორც Ⴁ, ჯვრისმაგ-ვარი ნიშანი წაკითხა არა როგორც ჯვარი, არამედ როგორც გრაფემა Ⴁ, და ბოლოსწინა გრაფემა წაკითხა როგორც Ⴁ; ამის საფუძველზე მე-5 სტრიქო-ნის დასასრული, მე-6 სტრიქონი და მე-7-ს დასაწყისი გახსნა როგორც „გ(უ) ლ- / საბ(ი)საჲ; ქა(ლაქი)სა უ(ფლო)- / ბ(ას)ა“. ნ. შოშიაშვილმა ამოიკითხა Ⴁ (და არა Ⴁ), ჯვრისმაგვარი ნიშანი გრაფემად არ ჩათვალა, ხოლო ბოლოსწინ-ა გრაფემა კი ჩათვალა Ⴁ-ად; ამის საფუძველზე ტექსტის იგივე მონაკვეთი

<sup>1</sup> ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 650-652.

<sup>2</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 225-226, ტაბულა 87-3,4.

<sup>3</sup> დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 50.

<sup>4</sup> გვეტაძე, ზაქარაია, *მაჩხანის ეკლესია*, გვ. 277.

მან წაიკითხა როგორც „გ(უ)ლ- / ს(ურ)აბ(ი)სა(?) ლ. † ას(ა)ნო- / ბ(არს)ა(?)“; როგორც ჩანს, გულისხმობდა, რომ წარწერა დათარიღებულია მითითებული პირის ხელისუფლობის 30-ე წელიწადით; მკვლევარს სიტყვა *ასანობარი* განმარტებული არა აქვს. კ. დანელია და ზ. სარჯველაძე მიემხრნენ ნ. შოშიაშვილის წაკითხვას, ოღონდ, ამ შემთხვევაში ასომთავრული ტექსტის მხედრულ ტრანსკრიფციაში დამატებით მოათავსეს „სა“, ხოლო მხედრულ წაკითხვაში კი „აღ(?)“ (მცდარბეჭდილი?); ჯვრისმაგვარი ნიშანი კი მათ ჩათვალეს გრაფემად †, კერძოდ, „ქ(რისტე)“-ს მხოლოასოიან დაქარაგმებად; შესაბამისად, მიიღეს წაკითხვა „გულს- / სა აღ(?) ქ(რისტე), ასწო- / ბწა“;

3. მე-7 სტრიქონში თ. ბარნაველმა წაიკითხა ორი გრაფემა *ⲒⲬ*, და ვინაიდან წინამდებარე ტექსტი წაკითხული ჰქონდა როგორც „ქა(ლაქი)სა უ(ფლო)- / ბ(ას)ა ამ(ირაჲ)ს(ა)“ ეს ადგილი ამ ამირის სახელად ჩათვალა და მიიღო სხვა წყაროებით უცნობი *ამირა ლავარი*. ნ. შოშიაშვილმა კი ამ ადგილას წაიკითხა ერთადერთი გრაფემა (*Ⲛ*) და, წინარე წაკითხვიდან გამომდინარე ეს ადგილი გახსნა როგორც „ამ(ი)ს ლავრი- / [სა]“. კ. დანელია და ზ. სარჯველაძე დაეთანხმნენ ნ. შოშიაშვილს.

ადგილზევე თავად წარწერის, გადაღებული ფოტოებისა და გაკეთებული პალეოგრაფიული პირის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ შემდეგი:

მე-6 სტრიქონში მე-6 პოზიციაში ნამდვილად არის *Ⲛ* და არა *Ⲭ*; მომდევნო ჯვრისმაგვარი ნიშანი უფრო გრაფემა † გვგონია, რადგან მომდევნო ასონიშანი ქარაგმის ნიშნის ქვეშაა (ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ახალი სიტყვის პირველივე გრაფემა ქარაგმის ქვეშ ყოფილიყო; საფიქრებელია, რომ ქარაგმის ნიშანი სიტყვის შუაშია, ანუ წინა, † ნიშანიც ამ სიტყვის ნაწილია, ე. ი., გრაფემაა, და არა ჯვარი); იმავე სტრიქონში ბოლოსწინა გრაფემა არის არა *Ⲭ* (ა) და არა *Ⲓ* (ბ), არამედ *Ⲓ* (ც). ანუ, †-ის შემდეგ ასოთა კომპლექსი არის არა „-ასა ო-“ (თ. ბარნაველი), არა „ასნო-“ (ნ. შოშიაშვილი), არამედ „ასცო“ (რომლის მნიშვნელობაც გაურკვეველი რჩება).

მე-7 სტრიქონში მე-7 პოზიციაში ნამდვილად არის *Ⲛ*, და არა *ⲒⲬ* კომპლექსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განკვეთილობის ნიშნების არარსებობის მიზეზითაც, მე-6-7 სტრიქონების შინაარსის ამოკითხვას ვერ ვახერხებთ; არ ვართ სრულად დარწმუნებულნი მე-4 და მე-5 სტრიქონებში „დიდგორის ჴევისუფლობის“ ამოკითხვის სისწორეშიც (ის, რაც ჩვენ წაკითხეთ, წარმოდგენილია ცალკე ცხრილის სახით; იხ. ცხრილი 3).<sup>1</sup>

<sup>1</sup> ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის უკვე შეუძლებელია თ. ბარნაველის მოსაზრების გაზიარება: „ჩამოთვლილ პირთა თანამდებობათა მიხედვით, ეს წარწერა პირველი

საქართველოში არაბობის ისტორიის საკვლევად მაჩხანის წარწერების მნიშვნელობის კუთხით, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მონო-ლინგვაში „ქალაქის ამირა ღაჯარის“ მოხსენიება, და, საზოგადოდ, არსებობა გამოირიცხა.<sup>1</sup>

ჩვენი კვლევისთვის აქტუალურია ასევე მონოლინგვის დათარიღების, ბილინგვასთან მისი ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც.

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მონოლინგვა „დამწერლობის მხრივ“ ბილინგვას „ემთხვევა. თუმცა ნაკლებ მკაფიოდ და ნაკლებ ღრმადაა ამოკვეთილი და ასოებიც დაქანებულია“.<sup>2</sup>

თ. ბარნაველმა აღნიშნა, რომ „ასოთა დაწერილობის მიხედვით იმავე მანერითაა შესრულებული, როგორც პირველი წარწერა, ოღონდ შედარებით დაუდევრადაა ამოკვეთილი, ასოები არათანაბარია“.<sup>3</sup> მკვლევარმა დაწვრილებით განიხილა ორივე წარწერის გრაფემების მოყვანილობა და შესაბამისი პალეოგრაფიული ტაბულაც შედგინა.<sup>4</sup> მან დაასკვნა, რომ „ორივე წარწერა, თუმცა სხვადასხვა ხელითაა შესრულებული, მაინც ერთსა და იმავე ხანას და პალეოგრაფიულ წრეს ეკუთვნის“. ოღონდ, მონოლინგვა, „გარდა იმისა, რომ ერთგვარად დაუდევრად დაწერილის შთაბეჭდილებას ახდენს, შესრულებულია უფრო გაკრული ხელით, ასოთა მონახაზის მკვეთრი გადახრით ნუსხური დამწერლობისკენ“.<sup>5</sup>

ნ. შოშიაშვილი კი თვლიდა, რომ ორივე წარწერა, „როგორც ჩანს, ერთი-დაიმავე ხელოსნის მიერაა ამოკვეთილი“; მისი არგუმენტაცია შემდეგნაირი იყო: 1) „ზოგიერთი გრაფემის თავისებური, იდენტური მოხაზულობა ორივე წარწერაში (მაგ. **Ⲡ** **ⲛ**)“; 2) „მიდრეკილება გაკუთხოვნება-განუსხურებისაკენ“; 3) „ორივე წარწერაში გვხვდება მხედრულის მსგავსი მ“; 4) „ერთნაირი უნესო დაქარაგმება ცალკეული სიტყვებისა“.<sup>6</sup> ამასთანავე, ნ. შოშიაშვილი აღიარებს, რომ „ხელოსანს მაინც ერთმანეთისგან განსხვავებული წერის მანერით ამოუკვეთავს ეს ორი წარწერა“: 1) ზოგიერთი გრაფემა „განსხვა-

---

წარწერის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ამ ორ წარწერაში ნათლადაა ასახული საერო ხელისუფალთა იერარქიული საფეხურები: ქართლის ამირა, ჯევისუფალი, ქალაქის უფალი (ამირა)“ (ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 652).

<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, შესატანია ცვლილებები V-X საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მიღებული დაქარაგმების ცნობარშიც (ჭანკიევი, *დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში*, გვ. 118, 126-127).

<sup>2</sup> ჩუბინაშვილი, *VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის*, გვ. 444.

<sup>3</sup> ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 650.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 652-655.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 653.

<sup>6</sup> შოშიაშვილი (შემდგ.), *წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები*, ტ. 1, გვ. 224.



ვებული მოყვანილობისაა“; 2) განკვეთის ნიშნად ბილინგვაში ნახმარია ორნერტილი ან სამნერტილი, მონოლინგვაში კი ის „მხოლოდ ერთ ადგილზე ჩანს (პირვ. სტრ-ში)“;<sup>1</sup> სამაგიეროდ წარწერა ბოლოვდება ტექსტის დასრულების ტექნიკური ნიშნით – „ორნერტილით, შუაში გავლებული ხაზით“; 3) განსხვავებულია გამოყენებული ქარაგმის ნიშანი.<sup>2</sup>

კ. დანელიასა და ზ. სარჯველაძეს ბილინგვისა და მონოლინგვის სინქრონულობის თაობაზე მოსაზრება არ გამოუთქვამთ.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, წარწერები ერთი და იგივე ხელოსნის მიერ შესრულებული არ უნდა იყოს; თ. ბარნაველის შედგენილი ტაბულისა და თავად წარწერების *de visu*, ფოტოებითა თუ გრაფიკული პირებით შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ მსგავსებას მხოლოდ თითო-ოროლა გრაფემა თუ ამჟღავნებს, მათი უმრავლესობა კი პირიქით, – საკმაოდ განსხვავებულად არის ამოღარული. მართალია, რომ ორივე წარწერა ავლენს „მიდრეკილებას გაკუთხოვნება-განუსხურებისაკენ“, მაგრამ მხოლოდ ამის საფუძველზე მათი მაინცდამაინც ერთი და იმავე ხელოსნისადმი მიკუთვნება არალოგიკურია; მსგავსად ამისა, „მხედრულის მსგავსი მ“ ძალიან ბევრ, სხვადასხვა ხელოსნის მიერ ამოჭრილ წარწერაში შეიძლება შეგვხვდეს. რაც შეეხება „ცალკეული სიტყვების“ „ერთნაირ უწესო დაქარაგმებას“, უწესობის ხარისხს თუ მივამსგავსებთ ერთმანეთს, თორემ თავად სიტყვები განსხვავებულადაა დაქარაგმებული – შევადაროთ ერთმანეთს მაგალითად, როგორ არის გადმოცემული *თევდორე* და *საყდარი*. საზოგადოდ, გაუგებარია, ერთი და იგივე ხელოსანს განკვეთილობის ნიშნების გამოყენებისადმი ესეთი განსხვავებული მიდგომა რატომ უნდა ჰქონოდა; ან, ასეთ განსხვავებულ ქარაგმის ნიშნებს, ანდა განსხვავებული ზომისა და დახრილობის გრაფემებს რატომ ამოღარავდა? საზოგადოდ, რატომ არის ეს ორი წარწერა ესოდენ განსხვავებული *ხელით* და *წერის მანერით* შესრულებული? დარწმუნებულნი ვართ, რომ მაჩხანის ბილინგვა და მონოლინგვა სხვადასხვა ადამიანის ნახელავს წარმოადგენს; ორივე წარწერა, როგორც ამას თ. ბარნაველი ფიქრობდა, შესაძლოა მართლაც „ერთსა და იმავე ხანას და პალეოგრაფიულ წრეს“ ეკუთვნოდეს.<sup>4</sup> თუმცა, „ხანა“ ფართო ცნებაა; ვერ გამოვრიცხავთ, რომ წარწერები ერთმანეთს დროში რამდენიმე ათეული წლითაც კი (ან მეტი ხნით?) იყოს დაშორებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ბილინგვაში მოიხსენიება მხოლოდ *წმიდა თეოდორე*, მონოლინგვაში კი ასევე დამატებით *წმიდა ღმრთისმშობელიც*. ჩვენი აზრით, ეს ამ წარწერების სხვადასხვა დროს

<sup>1</sup> სინამდვილეში, იქაც არ არის.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> დანელია, სარჯველაძე, *ქართული პალეოგრაფია*, გვ. 49-50.

<sup>4</sup> ბარნაველი, *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, გვ. 653.



ამოღარვაზე მიუთითებს. თუმცა, ამ ეტაპზე, ვერ ვაზუსტებთ, ამ ორ წარწერას ერთმანეთისგან დროის თუ რამხელა შუალედი ამორებს.

მონოლინგვა, როგორც ნაკლებ თვალსაჩინო ადგილას ამოჭრილი, ბილინგვაზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

\*\*\*

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მაჩხანის ეკლესიის წარწერები (ქართულ-არაბული ბილინგვა და ქართული მონოლინგვა) არა მარტო საქართველოს ეპიგრაფიკული წარსულის თვალსაჩინო კომპონენტია, არამედ ეპოქის, კერძოდ, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისა და საქართველოში არაბობის ისტორიის საკვლევად უძვირფასეს ძეგლს, თავისებურ, მაგრამ მეტად ობიექტურ პირველწყაროს წარმოადგენს.

მაჩხანის ეკლესიის წარწერების კვლევის საფუძველზე დავასკვნით:

1. სამხრეთ კედელზე არსებული ერთ-ერთი წარწერა (გამოსახულება) დღეისთვის განადგურებულია (მიზეზი უცნობია); საყურადღებოა, რომ გადაარჩა იმავე კედელსა და ქვაზე მდებარე ვრცელი ქართულ-არაბული ბილინგვა; მხოლოდ არაბულ ნაწილზე ორი ჯვარედინა ნაჩეხია; ხელუხლებელია ჯვრის გამოსახულებაც;

2. ბილინგვის დათარიღება IX საუკუნის შუანლებით გაუმართლებელია; არ არსებობს *მყარი* არგუმენტი ამგვარი დათარიღების სასარგებლოდ; პალეოგრაფიული ანალიზით წარწერა თარიღდება X საუკუნით (X საუკუნის II ნახევრით?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით;

3. ბილინგვა, დიდი ალბათობით, მაჩხანის ეკლესიის აგების თანადროული ეპიგრაფიკული ძეგლია;

4. აქედან გამომდინარე, მაჩხანის ეკლესიის აგებაც აქამდე მიღებულზე უფრო გვიანდელი პერიოდით თარიღდება – X საუკუნით (X საუკუნის II ნახევრით?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისით თუ I ნახევრით;

5. ამრიგად, მაჩხანის ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებები არ წარმოადგენს საფუძველს მსგავსი ხუროთმოძღვრული ძეგლები მაინცდამაინც VIII-IX საუკუნეებით დათარიღდეს, როგორც ეს ადრე იყო მიღებული; ეს ხუროთმოძღვრული ნიშნები დამახასიათებელია უფრო გვიანდელი ნაგებობებისთვის/აც;

6. მაჩხანის ეკლესია თბილისის (ქართლის / ქალაქის) ამირას *ბედით* (*განგებით*) აშენდა;

7. თბილისის საამიროს ტერიტორიაზე X საუკუნესა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისში ეკლესიის აგება მიუთითებს თბილისის მმართველი მუსლიმური ელიტის რელიგიურ ტოლერანტობაზე;

ან/და, ადგილობრივი (ქართულ-) ქრისტიანული ლობის შესაძლებლობებზე; ან/და, მოახლოებულ-გაძლიერებული მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკურ საფრთხეზე;

8. ბილინგვა და მონოლინგვა სხვადასხვა ხელოსნის ამოჭრილია;

9. მაჩხანის ნარნერები, გარკვეული ალბათობით, ერთსა და იმავე ეპოქას ეკუთვნის, მაგრამ მათი ამოღარვა შეიძლება რამდენიმე ათწლეულის შუალედითაც კი განხორციელებულიყო;

10. ქართული მონოლინგვის შინაარსი სანახევროდ გაურკვეველი რჩება;

11. არ დასტურდება მონოლინგვაში „ქალაქის ამირა ღაფარის“ მოხსენიება, და, შესაბამისად, არსებობაც;

12. ბილინგვის არაბულ ნაწილში მოხსენიებული ჰუმად (ჰომად) ბ. ბაშრ და ქართულ ნაწილში მოხსენიებული ჰომად კიტრისძე ისტორიული პირია, რომელსაც ერქვა ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე;

13. ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე მოღვაწეობდა X საუკუნესა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისში, და მას საერთო არაფერი აქვს IX საუკუნის შუაწლებში მოღვაწე გარდმანის პატრიკოს ალ-კიტრიჯთან;

14. ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე არ იყო თბილისის (ქართლისა თუ ქალაქის) ამირა; საფიქრებელია, დიღმის ხეობის ადგილობრივი გამგებელი იყო;

15. უცნობია, ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე შესაბამის ტერიტორიას მემკვიდრეობით, მამულად ფლობდა, თუ თბილისის ამირას ხელდასხმული მოხელე იყო (საზოგადოდ, უცნობია, თუ როგორ იყო ორგანიზებული თბილისის საამიროში შემავალი ტერიტორიების მართვა, როგორი იყო მინათმფლობელობის წესი);

16. ქართული საგვარეულო სახელიდან გამომდინარე, ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე, წარმოშობით მაინც, ადგილობრივ, ქართულ არისტოკრატიას ეკუთვნოდა; გამოვლინდა კიდევ ერთი ქართული დიდგვაროვანი კლანი – კიტრისძეები; ჯერჯერობით ცნობილია ამ საგვარეულოს ორი წარმომადგენელი – თავად ჰომადი და მამამისი ბაშრი;

17. ბილინგვა უმეტესად ქართულენოვანია, რაც მიუთითებს ადგილობრივად კვლავაც ქართული ენის დომინირებაზე, თბილისში არაბების იმ დროისთვის უკვე რამდენიმესაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად; დიდია ალბათობა, რომ ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე ქართულენოვანობას პირადადაც ინარჩუნებს;

18. ფაქტია, რომ ჰომად/ჰუმად ბაშრის ძე კიტრისძე და მისი გვარი არაბულ კულტურულ ზეგავლენას განიცდიან, რასაც ადასტურებს ამ პირის

არაბული *ისმი* და *ნასაბი*; სავსებით შესაძლებელია, რომ ჰომად/ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძე მუსლიმი ყოფილიყოს;

19. ჰომად/ჰუმად ბაშირის ძე კიტრისძის სახით, როგორც ჩანს, გამოვლინდა ისტორიულ პირთა თავისებური და სახასიათო სოციალურ-კულტურული ჯგუფი: თბილისის საამიროს სამსახურში ჩამდგარი და არაბული კულტურის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, შესაძლოა, გამუსლიმებული ქართველი დიდგვაროვნები, რომლებიც X საუკუნისა (X საუკუნის II ნახევარში?), ან, სულაც, XI საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით, შესაძლოა, ჯერ კიდევ მაინც ინარჩუნებენ ქართულ ენას.

**მადლობას** მოვახსენებთ განეული დახმარებისთვის თამაზ გოგოლაძესა და დავით სილაგავას.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**ახალაძე, „აფხაზთა“ (ევრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები** – ახალაძე ლ., „აფხაზთა“ (ევრის-აფხაზეთის) მეფეთა წერილობითი ძეგლები, „რინა. საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი“, 3, 2021, გვ. 100-109.

**ახალაძე, ხუაფის წარწერა** – ახალაძე ლ., *ხუაფის წარწერა და აფხაზ მეფეთა ტიტულატურის საკითხი*, აბ, 2-3, 1999, გვ. 62-67.

**ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები** — ბარნაველი თ., *მაჩხანის ეკლესიის წარწერები*, სმამ, ტ. XXIX, 5, 1962, გვ. 649-655.

**გვეტაძე, ზაქარაია, მაჩხანის ეკლესია** – გვეტაძე ჯ., *ზაქარაია პ., მაჩხანის ეკლესია*, ნიგნში: სიკძა, 5, თბილისი, 1990, გვ. 277.

**გელაშვილი, გოგოლაძე, X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა** – გელაშვილი ი., გოგოლაძე თ., *X-XI საუკუნეების უცნობი წარწერა მოხისის სამების ეკლესიიდან*, „მრავალთავი“, 25, 2017, გვ. 180-187.

**დანელია, სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია** – დანელია კ., *სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია*, თბილისი, 1997.

**ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან** – ლორთქიფანიძე მ., *თბილისის საამიროს ისტორიიდან*, იპიპ, ტ. II, 1951, გვ. 185-201.

**ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა** – ოთხმეზური გ., *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, კრებულში: „ოსთა საკითხი“, გორი-თბილისი, 1996, გვ. 126-156.

**სალარაძე, მაჩხანი** – სალარაძე შ., *მაჩხანი*, ნიგნში: მსმ, 6, კოქტო-მინკუსი, თბილისი, 1983, გვ. 510.

**სილოგავა, დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული ლაპიდარული წარწერები** – სილოგავა ვ., *დასავლეთ საქართველოს X-XVIII სს. ქართული*

ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1972.

**სილოგავა, კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა** – სილოგავა ვ., კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბილისი, 1994.

**სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა** – სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისი, 2006.

**სილოგავა (შემდგ.), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II** – სილოგავა ვ. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), თბილისი, 1980.

**სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ** – სიხარულიძე ე., ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ, ნიგნში: სიამ, ნიგნი I, რედაქტორი ვ. გაბაშვილი, თბილისი, 1976, გვ. 45-53.

**შოშიაშვილი (შემდგ.), ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I** – შოშიაშვილი ნ. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა), ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), თბილისი, 1980.

**შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები** – შუბითიძე ვ., ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი, 2012.

**ჩუბინაშვილი, VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის** – ჩუბინაშვილი გ., VIII-IX სს. ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, სმამ, ტ. XIII, 7, 1952, გვ. 441-447.

**ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია** – ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტომი 1, ტფილისი, 1936.

**ცინცაძე, ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები** – ცინცაძე ვ., ქსნის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლის – კაბენის გახსნა-შესწავლის შედეგები, AG, 7, 1971, გვ. 67-90.

**ჭანკიევი, დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში** – ჭანკიევი ც., დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, პძ, II, 1969, გვ. 117-128.

**ხუნდაძე, ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიგიურ ფრაგმენტებზე ნირქოლიდან** – ხუნდაძე თ., ძველი ალთქმის სიუჟეტები რელიგიურ ფრაგმენტებზე ნირქოლიდან, "Academia", 2, 2001, გვ. 81-92.

**ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები** – ჯაბუა ნ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი, 2012.

**Барнавели, Надписи мачханской церкви** – Барнавели Т., *Надписи мачханской церкви*, САНГ ССР, Т. XXIX, №5, 1962, გვ. 649-655.

**Меликсет-Бек, Рельефы руки** – Меликсет-Бек Л., *Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии*, მსმ, IX, 1957, გვ. 109-130.

**Меписашвили, Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли** – Меписашвили Р., Цинцадзе В., *Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли*, Тбилиси, 1975.

**Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье** – Чубинашвили Г., *Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущелье*, АГ, I, 1942, გვ. 1-30.

**Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье** – Чубинашвили Г., *Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье*, В книге: Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства. Исследования и заметки*, Т. 1, Тбилиси, 1970, გვ. 141-172, ტაბ. 44-61.

**Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века** – Чубинашвили Г., *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX века*, САНГ ССР, Т. XIII, 1952, №7, გვ. 441-447.

**Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.** – Чубинашвили Г., *К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IX вв.*, В книге: Г. Чубинашвили, *Вопросы истории искусства. Исследования и заметки*, Т. 1, Тбилиси, 1970, გვ. 173-177, ტაბ. 62-63.

**Шмерлинг, Долидзе, Барнавели, Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель** – Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., *Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель*, Тбилиси, 1960.

## The Machkhani Bilingue and Monolingue

Epigraphic monuments constitute valuable primary sources of information on the history of Arab dominance in Georgia. Our goal was to revisit the Georgian-Arabic bilingue and Georgian monolingue incised on the walls of Machkhani church, in the vicinity of modern Tbilisi, i.e. Tiflīs, the center of Arab dominions in medieval Georgia. Both lapidary inscriptions have already been analyzed and published by Akaki Shanidze, Giorgi Tsereteli, Giorgi Chubinashvili, Teimuraz Barnaveli, Leon Melikset-Beg, Korneli Danelia and Zurab Sarjveladze, etc.; nevertheless, *de visu* study (producing the paleographic copies included) in February 2023 let us ascertain some significant details. Reconsidering the available data we inferred the following: 1) Paleographic analysis dates the bilingue to the 10<sup>th</sup> c., or even early 11<sup>th</sup> c., dismissing the previous dating to mid-9<sup>th</sup> c.; 2) Apparently being contemporary to constructing works, the bilingue dates the Machkhani church to the same time period, refuting its architectural features as dating tool for establishing the chronology of similar edifices; 3) The Machkhani church was constructed by permission of Emir of Tiflīs, illustrating the confessional policy of and in the Emirate of Tiflīs; 4) The bilingue and monolingue were carved by different artisans, perhaps in the same epoch, but possibly even decades apart; unfortunately, the third inscription (or a relief?) was destroyed; 5) The contents of the Georgian monolingue remain partially undeciphered; however, it became clear, that no “City Emir Ghyavar” was mentioned, and hence existed; 6) Humad b. Bashīr and Homad / Humad K’it’risdze mentioned correspondingly in the Arabic and Georgian parts of the bilingue were the same person, Humad son of Bashir K’it’risdze, fl. in the 10<sup>th</sup> c. or early 11<sup>th</sup> c., and being unrelated to Al-Qiṭrīj, the patrikos of Gardman, fl. in 853. This person was not the Emir of Tiflīs but rather local official or feudal ruling in the Dighomi valley. Having Arabic *ism* and *nasab*, Humad son of Bashir K’it’risdze was clearly and understandably affected by Arab culture; nevertheless, it is remarkable, that the bilingue carved on the wall of a church in several kilometers from Tiflīs is mostly *in Georgian*. The bilingue elucidates one more medieval Georgian (perhaps islamized) noble family, serving the Emirate of Tiflīs, the K’it’risdzes; presumably one of the many integrated into the hierarchy and administrative system of this Muslim-Georgian state.





ცხრილი 2. მაჩხანის მონოლინგვის ქართული ტექსტი და მისი წაკითხვა წინარე ავტორების მიერ (ხაზგასმულია და წილადის საზოთ გამოყოფილია წაკითხვის შესაბამისად ბარნაკელიესული და შოშიაშვილისეული კარიანტები)

ორიგინალური ტექსტი	წაკითხვა ქარაგმების გახსნით			დანული-სარჯველადე:
	ბარნაკელი:	შოშიაშვილი:		
1 ქს~ქუნ~კნი~ქცქ	ქ სახელთა ღმრთისათა, მეო-	ქ ს(ა)ხ(ე)ლი(თ)ა ღ(მრთისა)თა, მ(ეო)-	ქ სახელთა ღმრთისათა, მე-	
2 ქ~ქცქ~ქნი~ქცქ	ხებთა წმიდისა ღმრთის-მშობლისათა, შენენი-	ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთის-მშობლისა)თა, მ(ე)წ(ენი)-	ეოებთა წმიდისა ღმრთის-მშობლისათა, შენენი-	
3 ქ~ქცქ~ქნი~ქცქ	თა წმიდისა თევდორესითა	თა წ(მიდი)სა თ(ე)ვ(დო)რ(ესი)თა	თა წმიდისა თევდორესითა	
4 ქ~ქცქ~ქნი~ქცქ	აუმენა საყდარი ესე დიდგო-	ა(ე)შ(ე)ნა ს(აყდა)რ(ი) ესე დი(დგო)-	აუმენა საყდარი ესე დიდგო-	
5 ქ~ქცქ~ქნი~ქცქ	რის ჯევისუფლობასა გ(უ)ლ- [გ(ე)ლ-]	რის(?) ჯ(ევისუფ)ლ(ო)ბა(ს)ა გ(უ)ლ-	რის(?) ჯევისუფლობასა გულს-	
6 ს~ქცქ~ქნი~ქცქ	საბ(ი)საჲ ქა(ლაქი)სა უ(ფლო-)	ს(ურ)აბ(ი)სა(?) ლ. ქ ას(ა)ნო-	სა ალ(?) ქ(რისტე) ას~ნო	
7 [ქ]სქცქ~ქნი~ქცქ	ბ(ას)ა ამ(ირა)ს(ა) ღაგ(ა)რი-	ბ(არ)სა(?) ამ(ი)ს ღავრი-	ბ~სა ამის ღავრი-	
8 [სქ]თო.~ქნი~ქცქ	[სა] იოვ(ან)ეს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)გ(ენ), [ამინ]	[სა] იოვ(ან)ეს უ(ფალ)ო შ(ეუნდ)გ(ენ)	[სასა] იოვანეს, უფალო, შეუნდვენ	

## ილუსტრაციები:

სურ. 1. მაჩხანის ეკლესია; სამხრეთ კედელში შესასვლელის ბალავრის ქვა; ზოგადი ხედი.

სურ. 2ა. მაჩხანის ეკლესია; ქართულ-არაბული ბილინგვა, ფოტო.

სურ. 2ბ. მაჩხანის ეკლესია; ქართულ-არაბული ბილინგვა, პალეოგრაფიული პირი.

სურ. 3ა. მაჩხანის ეკლესია; ქართული მონოლინგვა, ფოტო.

სურ. 3ბ. მაჩხანის ეკლესია; ქართული მონოლინგვა, პალეოგრაფიული პირი.

## Illustrations:

Fig. 1. Machkhani church; the architrave; general view.

Fig. 2a. Machkhani church; Georgian-Arabic bilingue, photograph.

Fig. 2b. Machkhani church; Georgian-Arabic bilingue, paleographic copy.

Fig. 3a. Machkhani church; Georgian monolingue, photograph.

Fig. 3b. Machkhani church; Georgian monolingue, paleographic copy.

ფოტოები ირაკლი ფალავასი და თამაზ გოგოლაძის;

პალეოგრაფიული პირები თამაზ გოგოლაძის.

Photographs by Irakli Paghava and Tamaz Gogoladze;

Paleographic copies by Tamaz Gogoladze.

## ქართველ ებრაელთა თემისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობების უცნობი დეტალები მიკელე მემბრეს (XVI ს.) ცნობების მიხედვით

წინამდებარე სტატია ეძღვნება კვიპროსელი ვენეციელის, მიკელე მემბრეს, რელაციის ერთი კონკრეტული ცნობის ანალიზს. მისი თხზულების სოლიდური ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ნათარგმნი და ანტიოსმალური კოალიციის ჩრილში მეცნიერულად შესწავლილი, წარმოდგენილი გვაქვს მონოგრაფიაში – „საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“.<sup>1</sup> იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული რელაცია, ძირითადი სამიზნის გარდა,<sup>2</sup> ძალიან საინტერესო ეთნოლოგიურ მასალას შეიცავს და, ევროპა-აღმოსავლეთის ურთიერთობის კონტექსტში, საქართველოს შესახებ ზოგიერთი ფაქტის დაზუსტების ან ახალი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას იძლევა, მათ შორის, ქართულ-ებრაული თანაცხოვრების შესახებაც.

მემბრემ საქართველოში თავად იმოგზაურა<sup>3</sup> და ქვეყნის მდგომარეობა საკმაოდ დეტალურად აღწერა. მას, როგორც თვითმხილველს, საინტერესო ცნობები მოეპოვება საქართველოს ქალაქებზე, სხვადასხვა კუთხის ქართველებსა და აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსზე, სამიმოსვლო-საკომუნიკაციო საშუალებებზე, ეკონომიკურ გეოგრაფიასა და სავაჭრო ოპერაციებზე, ქვეყნის სამხედრო პოტენციალზე, მოსახლეობის სტრუქტურასა და ყოფით ტრადიციებზე; ამავდროულად, მკაფიო მინიშნებებს აკეთებს გვიან შუა საუკუნეებში შავიზღვისპირეთში გავრცელებულ მონებით ვაჭრობის მანიკერ პრაქტიკაზე, რომელმაც ოსმალების გაძლიერების პირობებში მეტი გაქანება შეიძინა.<sup>4</sup>

ავტორი მახვილი თვალის მქონე, ნეიტრალური დამკვირვებელია, რომელიც ნანახის სკრუპულოზურ აღწერას უფრო გვთავაზობს, ვიდრე მოვ-

<sup>1</sup> მონოგრაფიას თან დართული აქვს რელაციონის ორი თავი, ჩვენ მიერ თარგმნილი და კომენტირებული, რომლებიც ავტორის საქართველოში მოგზაურობას ეხება (იხ. პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*).

<sup>2</sup> სეფიანებზე დეტალური ინფორმაციის მოგროვება ვენეციური მმართველი წრეებისთვის, რათა როგორმე დაეთანხმებინათ ოსმალების წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე (ავტ.).

<sup>3</sup> ოსმალების წინააღმდეგ კავშირების დასამყარებლად საიდუმლო შიკრიკად გამოგზავნილ მემბრეს მარშრუტის ცვლილებით, შემოვლითი გზით მოუწია ირანში ჩაღწევა. საიდუმლო შიკრიკმა მოინახულა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორია (იხ.: *Membre, Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*).

<sup>4</sup> მემბრე, რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 423-442).

ლენების შეფასება-ანალიზს. თუმცა, ვინაიდან რისკიანი და გამჭრიახი აგენტის ინტერესთა სფეროში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტი მოხვდა, მის მიერ მოგროვილი ინფორმაცია საკმაოდ კომპლექსურია. ისევე, როგორც მანამდე, კაფადან<sup>1</sup> ზღვით შემოსული მემბრე საქართველოშიც შენიღბულად, თითქოსდა ბერძენი ვაჭარი იყო, ისე მოგზაურობდა. თავის ანგარიშში მემბრე წერს: „...იქიდან [კაფადან] ჩვენ სულ მოვცურავდით ისე, რომ მინა გვექონდა მხედველობის არეში და 18 თუ 16 დღეში მივალნიეთ ადგილს, სახელად ანაკლია,<sup>2</sup> რაც სამეგრელოს მეფის,<sup>3</sup> დადიანის ტერიტორიას წარმოადგენს. აქ არის დიდი მდინარე, რომელშიც შედიან გემები, როცა არ არიან დატვირთულები. გემი აღნიშნულ სანაპიროსთან ჩერდება და სხვა გემთან აწყობს ვაჭრობას, ოღონდ ყველაფერი ბარტერზეა (გაცვლა-გამოცვლითა) – ისინი იღებენ ქსოვილებს და ყიდნიან ასევე ქსოვილებს. მეგრელები გემთან თავიანთი ნავებით მოდიან და თითოეულს თავისი ქსოვილის ბოხჩა მოაქვს. ამგვარად წარმართავენ ისინი ვაჭრობას“.

რელაციის ნაწილი, რომელიც საქართველოს ეხება, ნათელს ჰფენს იმ გარემოებას, თუ როგორი იყო XVI საუკუნის ქართული საზოგადოების სტრუქტურა, იდენტობის რა მარკერები ჰქონდათ იმ დროს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის ადამიანებს; ასევე, ადგილობრივ მასალასთან შედარება-შეჯერებით, ქართული დასახლებული პუნქტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, მათ შორის, დასავლეთ საქართველოში აბრეშუმით ვაჭრობის პუნქტად მოხსენიებული ადგილისაც: „სამეგრელოში მარილი არ მოიპოვება. ტყავი, ცხვრის ბენვი და სხვა საქონელიც არის საკმაოდ ძვირადღირებული. სამეგრელოში მოიპოვება დიდი რაოდენობით ყვითელი ცვილი, სელის/(ტილოს) ძაფი და ზაგემიდან<sup>4</sup> მოტანილი აბრეშუმი, ასევე ისინი ყიდნიან ბევრ მონას. შემდეგ დღეს დაიწყო აღნიშნული გემიდან მარილის ჩამოტვირთვა და ნავებზე დატვირთვა, რომ გაეგზავნათ ბაზრობაზე, რომელიც ამ დღეებში უნდა გამართულიყო ფაზისთან მდებარე ადგილზე, სახელად კულაუროპა. მე ნავეყვი ამ ნავებს იმ ადგილამდე, სადაც ბაზრობა იმართებოდა. ჩვენ ამ ნავებით სულ მივუყვებოდით მდინარეს, რო-

<sup>1</sup> კაფა – სავაჭრო ფაქტორია, დღევ. ქ. თეოდოსია ყირიმში; გენუელთა ხელშია XIII საუკუნიდან და გვიან შუა საუკუნეებში მათ მთავარ სავაჭრო პუნქტად ყალიბდება შავიზღვისპირეთში. XV საუკუნის მიწურულიდან (1470-იანი წლები) მოექცა ოსმალთა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ.

<sup>2</sup> ტექსტის ორიგინალში ნახსენებია, როგორც არაკლია, თუმცა უეჭველია, რომ იგულისხმება ანაკლია, მდინარე ენგურის შესართავთან (იხ. წიგნში: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).

<sup>3</sup> რელაციის ავტორი ასე მოიხსენიებს სამეგრელოს მთავარს (იხ. იქვე).

<sup>4</sup> ძაგემი – ქალაქი/დასახლებული პუნქტი კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისტორიულ ჰერეთში, ამჟამად ბელაქნის რაიონში (იხ. იქვე).

მელსაც ფაზისი ჰქვია, დაახლოებით 8 დღე... ეს ადგილი მდინარე ფაზისის ნაპირასაა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით“<sup>1</sup> – წერს მემბრე.

ასეთი დაბა ან სოფელი, სახელწოდებით კულაუროპა, სხვა რომელიმე ქართულ ან უცხოურ წყაროში არ გვხვდება; შესაბამისად, მისი იდენტიფიცირება ჭირს. თუმცა შესაძლებელია, მემბრე მასაც ისეთივე დამახინჯებული ფორმით ასახელებდეს, როგორც იმ ადგილს, სადაც პირველად ფეხი დადგა საქართველოს ტერიტორიაზე – ანაკლიას ის არაკლიად მოიხსენიებს.<sup>2</sup> ჩნდება კითხვა, აქ სოფელი კულაში<sup>3</sup> ხომ არ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც XVI საუკუნიდან არის ცნობილი, ვაჭრობით განთქმულია და XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულამდე დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ებრაული თემითაა წარმოდგენილი?<sup>4</sup> კულაუროპას იდენტიფიკაციისთვის ვცადეთ: დაგვედგინა, თუ რომელი ბაზრობები არსებობდა გვიანი შუა საუკუნეების სამეგრელოს/დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე; შეგვედარებინა, ჰგავდა თუ არა ეს დასახლებული პუნქტები მემბრეს მიერ აღწერილს, გაგვერკვია, გეოგრაფიულად სად მდებარეობდა ეს ბაზრობები, რამდენად ახლოს იყო ისინი მის მიერ მოხსენიებულთან და ა. შ. სამეგრელოს არაზღვისპირა ეკონომიკური პუნქტები, ბაზრობების სახელწოდებით, რამდენიმე აქვს მოხსენიებული არქანჯელო ლამბერტის თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“.<sup>5</sup> ეს თხზულება, თავის მხრივ, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის უძვირფასესი წყაროა, რადგან „ჩვენ არ გავაჩნია სხვა თხზულება, რომელიც ესოდენი სისავსით ასახავდეს ამ ეპოქის საქართველოს, კერძოდ, მისი ერთ-ერთი კუთხის ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს“.<sup>6</sup> 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ ე. წ. „სამეგრელოს აღ-

<sup>1</sup> მემბრე, რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 429.

<sup>3</sup> დღევ. კულაში პატარა სოფელია კოლხეთის დაბლობზე, ქ. სამტრედიიდან 5 კმ-ის მანძილზე. ისტორიულ წყაროებში იგი პირველად მოხსენიებულია XVI საუკუნეში. სოფელში იყო მიქელაძეთა საგვარეულო ფეოდალური ციხე-დარბაზი. მრავალი წლის მანძილზე სოფელი კულაში იყო სახლი ქართველ ებრაელთა ყველაზე დიდი თემისა.

<sup>4</sup> ვახუშტი თავის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია), კონკრეტულად კი, ერთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“, ვრცლად აღწერს მდინარე რიონს, მის შენაკადებს, იმერეთსა (რაჭა-ლეჩხუმიანად) და სამეგრელოს, აფხაზეთსა და გურიას, თუმცა თუ იმერეთის ტერიტორიაზე ებრაელთა დასახლებებს არაერთგზის ასახელებს, არც სამეგრელოსა და არც დანარჩენი სამთავროების ტერიტორიაზე მათ საერთოდ არ ახსენებს. ამდენად, კულაუროპას იდენტიფიკაციაში ვერ დაგვეხმარა (ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*).

<sup>5</sup> ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 3.



წერას<sup>1</sup> თან ახლავს ოდიშის რუკა,<sup>2</sup> რომელზეც რაიმე ტიპის დასახლებული პუნქტი, სახელწოდებით კ უ ლ ა უ რ ო ჰ ა დატანილი არ არის.

თავის ცნობებში სამეგრელოს შესახებ არქანჯელო ლამბერტი, მემბრეს მსგავსად, საქონლის ყიდვა-გაყიდვის ბარტერულ (ე. წ. გაცვლა-გამოცვლითი ვაჭრობა) ფორმებზე საუბრობს, რასაც პრაქტიკულად იდენტურად აღწერენ შემდეგ სხვა თეატინელი მამებიც;<sup>3</sup> კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ყოველდღიური საჭიროების ნივთებს აქაურები საკუთარ სახლებში ამზადებდნენ, რომ ამ ტიპის საქონლის ყიდვა-გაყიდვისთვის სპეციალური დუქნები და მოედნები არ არსებობდა. თუმცა, გარკვეული პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის ადგილებზე საუბრისას ამჯერადაც, მემბრეს მსგავსად, ლამბერტი თურქთა გემებსა და ბაზრობებს ასახელებს: „რაც შეეხება სხვა საგნებს, რომლებიც ჩვეულებრივ საჭიროა ოჯახში, მათ შესაძენად ორი საშუალება აქვთ: ერთი – ბაზრობა, რომელიც იმართება სამეგრელოში და მეორე – თურქთა გემები, რომელნიც ყოველ წელს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. ბაზრობა იმართება სამეგრელოში სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში ნიფურის ეკლესიასთან, რომელიც ჩვენების ხელშია.“<sup>4</sup>

გარდა ნიფურისა ეკლესიისა, რომელსაც, როგორც ბაზრობის ადგილს, აღწერენ XVII საუკუნეში სამეგრელოში ხანგრძლივად მყოფი თეატინელები (ლამბერტი, ჯუდიჩე) და, აგრეთვე, ჟან შარდენიც, ა. ლამბერტი ასახელებს სამეგრელოს სამთავროს სხვა შიდა ბაზრობებსაც, კერძოდ, ილორს, ბედიასა და კორცხელს. საგულისხმოა შევნიშნოთ, რომ ილორი, ბედია და კორცხელი სა-

<sup>1</sup> სრული სახელი – „აღწერა კოლხიდისა, რომელიც ახლა იწოდება სამეგრელოდ“ (იხ. ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 148).

<sup>2</sup> ისტორიკოს თ. ბერაძის მოსაზრებით, ეს რუკა ქრ. კასტელის მიერაა გამოხაზული და ამაში არქანჯელო ლამბერტის დიდი წვლილი უნდა მიუძღოდეს, თუმცა მკვლევარი საუბრობს იმ ცდომილებებზეც, რაც მისი აზრით დაუშვა არქანჯელო ლამბერტიმ. თავისი სტატიისთვის თ. ბერაძეს დართული აქვს ლამბერტისეული ოდიშის რუკაც (იხ.: ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 148-155).

<sup>3</sup> წინათ კოლხიდაში ფული სრულიად არ იყო ხმარებაში და საქონელს ერთმანეთში ცვლიდნენ... (ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 143). დაახლოებით იგივე შეფასებას ვაწყდებით შარდენის აღწერილობაში: სამეგრელოს მთელ ვაჭრობას გაცვლითი ხასიათი აქვს და წარმოებს ბაზრობაზე, რომელიც მონაცვლეობით სხვადასხვა ადგილზე ტარდება; აქ მარაგდებიან ყოველივე აუცილებლობით, ისევე, როგორც სავაჭროებში. საქონელს საქონელში ცვლიან... (შარდენი, *მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში*, გვ. 124). ...აქ არც ფული აქვთ, ხოლო ყიდვა-გაყიდვა გაცვლითი გზით სწარმოებს... (ჯუდიჩე, *რელაცია საქართველოზე*, გვ. 18).

<sup>4</sup> ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 144. აქვე დავაზუსტებთ, რომ როცა ნიფურის ბაზრობაზე ლამბერტი წერს: „ჩვენების ხელშია“, გულისხმობს იმ ფაქტს, რომ 1634 წელს მთავარმა ლევან II დადიანმა პატრებს სოფ. ნიფურიაში ორი ეკლესია უბოძა, მისცა მიწები, საცხოვრებელი სახლი, მსახურები და ბავშვები გასაწვრთნელად (იხ. ჯუდიჩე, *რელაცია საქართველოზე*, გვ. 6).

ერთოდ დაშორებული არიან მდინარე რიონიდან, რომელსაც მემბრე ნავით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოუყვებოდა და, რომლის საშუალებითაც, მივიდა ე. წ. კულაუროპამდე. ჩნდება კითხვა – ხომ არ შეიძლება ამ ჩამოთვლილი ბაზრობებიდან კულაუროპა შემდეგი საუკუნის ნიფურიასთან დაგვეკავშირებინა, რომელიც, წინა სამისგან განსხვავებით, ამ სახელით არსად გვხვდება თანამედროვეობაში? ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლამბერტის მიერ მოხსენიებული ნიფურიას იდენტიფიცირება შემოგვთავაზა მკვლევარმა თ. ბერაძემ. ის მიიჩნევდა, რომ დასახლება, რომელიც მოყვანილი აქვს ლამბერტის, როგორც სამეგრელოს ტერიტორიაზე მყოფი მისიონერების მთავარი სადგომი და ბაზრობა, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელი ნიფურონი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღევანდელი სოფ. განარჯია მუხურის ერთი უბანია.<sup>1</sup> ცხადია, ეს გამორიცხავს კულაუროპას ნიფურიასთან გაიგივებას.

კიდევ ერთ მტკიცებულებას, თუ რატომ ვერ იქნება ნიფურია წინა საუკუნის კულაუროპა, რომელიც ზღვის სანაპიროდან სამდინარო გზით 8 დღის სავალზე ანუ დასავლეთ საქართველოს საკმაოდ სიღრმეში იყო, გვაძლევს ჟან შარდენი. თ. ბერაძე მის შესახებ წერს: „შარდენს აღწერილი აქვს თავისი მოგზაურობა ანაკლიიდან მისიონერთა სამყოფელამდე. მგზავრებმა ჯერ ნავით იარეს, შემდეგ კი ფეხით გაუდგნენ გზას და მზის ჩასვლამდე ნიფურიას მიაღწიეს. ანაკლიიდან ნიფურონამდე თხუთმეტ კილომეტრზე მეტი მანძილია, სწორედ იმდენი, რასაც ხანმოკლე დღის განმავლობაში (მგზავრობა ოქტომბრის ბოლოს ხდება) ბარგით გაივლიდა შარდენი“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ლამბერტისეულ რუკაზე დატანილი პუნქტი, რომელიც ზღვისპირა ზოლშია, ზღვიდან 15-20 კილომეტრით დაშორებულ პუნქტს სავსებით შეესაბამება, თუმცა არანაირად – იმ მანძილსა და დროს, რომელიც აღწერილი აქვს მემბრეს იქამდე მისაღწევად. სატრანსპორტო და სამიმოსვლო საშუალებები კი XVII საუკუნის საქართველოში პრაქტიკულად იგივე იყო, რაც XVI საუკუნეში, ის სრულიად არ შეცვლილა, მით უფრო, იმდენად, რომ წინა საუკუნეში რვა დღის გასავლელ მანძილს შემდეგ საუკუნეში ერთი დღე დასჭირვებოდა.

მემბრეს ტექსტიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ბაზრობა თუმც დადიანის სამფლობელოშია, ასევე ახლოს უნდა იყოს ქ. ქუთაისთან, ვინაიდან, როგორც

<sup>1</sup> „ნიფური მეგრულად ნიფელს ნიშნავს. სახელი ნიფურია [Cippurias] სოფლის სახელის დამახინჯებული ფორმაა. მეგრულში მცენარის სახელიდან გეოგრაფიული სახელი – ონ სუფიქსის დახმარებით იწარმოება, სოფლის სახელი ნიფურონი უნდა ყოფილიყო. დღეს ამ სახელწოდების სოფელი არ არსებობს. ენგურის მარჯვენა ნაპირას, ზღვისპირა ზოლში, სოფ. განარჯია მუხურის ერთ უბანს ნიფურონი ეწოდება, ამ სოფელში შემონახული იყო ზარები ლათინური წარწერით, რომელთაც იტალიელ მისიონერებს უკავშირებდნენ“ (იხ. ბერაძე, *ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით*, გვ. 150).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 148-155.

ზემოთ აღვნიშნეთ, მემბრე 8 დღე ნავით მოცურავდა, სანამ კულაუროპას მოაღწევდა; ამის შემდეგ, ასევე მდინარის გზით წამოსული, ქუთაისში დაახლოებით ორ დღეში მისულა: „როგორც კი აღნიშნული ბაზრობა დამთავრდა, მე წამოვედი ტრაპიზონელი ბერძენი ვაჭრის, კალოჯეროს თანხლებით. ჩვენ გადავკვეთეთ აღნიშნული მდინარე ფაზისი ნავით და მივედით იბერიელთა ქალაქ ქუთაისში... გზაზე, რასაც ორდღე-ნახევარი მოვანდომეთ, მივუყვებოდით დაბლობს...“.<sup>1</sup>

მართალია, დღევანდელი კულაში რიონის პირას არაა, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სარკინიგზო თუ საგზაო სამუშაოების გამო, დროთა განმავლობაში, მდ. რიონმა შედარებით იცვალა კალაპოტი და ის ჩრდილოეთიდან შედარებით სამხრეთით მიედინება. დღეს მდინარე კულაშიდან სამხრეთითაა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფ. ვარდციხესთან, საიდანაც დასავლეთის მიმართულებას იღებს, რიონი სოფ. ბაშამდე განიერია, დატოტვილი და მრავალ კუნძულს წარმოშობს; სოფ. ბაშიდან მოყოლებული, განსაკუთრებით, სოფ. საჯავახოს ქვემოთ გაყოლებაზე ბევრია ნამდინარევი ტბა, რომელსაც „წარიონალს“ ეძახიან; გასათვალისწინებელია ისიც, რომ გუმათჰესმა და რიონჰესმა მდინარის კალაპოტის ფორმირებაში ასევე სერიოზული ცვლილებები შეიტანა. ქვემო დინებაზე მდინარე ხელოვნურ ჯებირებშია მოქცეული, ვინაიდან დასავლეთის ქარების დროს რიონი არა თუ ვერ ერთვის ზღვას, არამედ მასზე სანინაალმდეგო დინებაც კი ვითარდება,<sup>2</sup> კულაში, როგორც წარსულში რიონის სამდინარო მაგისტრალთან ახლომდებარე პუნქტი, რჩება მემბრეს რელაციონში დასახელებული „კულაუროპას“ ყველაზე სავარაუდო ლოკაცია; ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამ ორი სახელწოდების პირველი ნაწილის „კულა“-ს ერთგვარობაც, მით უფრო, რომ მისი გამოჩენა, როგორც დაბისა და სავაჭრო პუნქტისა, უკავშირდება XVI საუკუნეს.<sup>3</sup> მეორე, თუმცა ნაკლებ დამაჯერებელ ვერსიად, თუ რომელ დასახლებულ პუნქტთან შეიძლება იქნეს იდენტიფიცირებული კულაუროპა, შეიძლება განვიხილოთ სუჯუნა, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა მამული იყო და საეკლესიო მამულადვე რჩებოდა XIX საუკუნის შუა ხანებამდე. კ. ბოროზდინის 1854-1861 წწ. მოგონებების ნიგნში სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ ვკითხულობთ: „საეკლესიო მამულში, დაბა სუჯუნაში ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ვაჭრები აქაური ებრელები იყვნენ, რომლებიც... წმ. გიორგის ეკლესიას ეკუთვნოდნენ. მათ შორის ყველაზე მდიდარი ცხაკუნია მიხალეიშვილი იყო“. კ. ბოროზდინის

<sup>1</sup> მემბრე, რელაციის ნაწილი (იხ. ნიგნში: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 431).

<sup>2</sup> აფხაზავა, რიონი.

<sup>3</sup> კულაში, ძსპ.

მიხედვით, ებრაელი სოვდაგარი აქ ყიდულობდა აბრეშუმსა და სტამბოლში გაჰქონდა გასაყიდად.<sup>1</sup> საქართველოში ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა პუნქტს ჰქონდა სინაგოგა, მათ შორის, სუჯუნასაც.<sup>2</sup>

მემბრეს თანახმად, XVI საუკუნის 30-იან წლებში დასახლებული ბაზრობის ადგილი, ე. წ. კულაუროპა, მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად მნიშვნელოვანი ებრაული თემით არის წარმოდგენილი: „ის არის დაბლობზე, ტყიანში, სადაც არის დაახლოებით 50-მდე ხის სახლიც. ამ ადგილზე სახლების მფლობელთა უმრავლესობა ებრაელები არიან... მოედნის შუაგულში, სადაც ბაზრობაა გამართული, დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სპილენძის თაღითა და ორი პატარა სამრეკლოთი. იბერები ატარებენ წირვას. ეკლესიის გარეთ დგას ხის ანძა, რომელშიც სამი თუ ოთხი ხანჯალი [...] და ორი ხმალი არის ჩარჭობილი... ამ ბაზარში ბევრი ღარიბი ადამიანი მოდის, ასევე სხვა იბერიელი ვაჭრები აბრეშუმით, რომელსაც ისინი ცვლიან, ქსოვილს ქსოვილზე, ყოველგვარი ფულის გამოყენების გარეშე. ეს ბაზრობა სამ დღეს გრძელდება და მერე ყველა მიემგზავრება. აქ მხოლოდ რჩებიან ის მოხსენიებული ებრაული ოჯახები და 10 თუ 12 მეგრული ოჯახი“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული სავაჭრო ადგილების ეკონომიკური პოტენციალის, საზოგადოებაზე მისგან გამომწვეული გავლენების ისეთ დეტალურ აღწერას, როგორც მიკელე მემბრემ შემოგვთავაზა, იმ პერიოდის არცერთი სხვა წყარო არ იცნობს. მისი წყალობით მკითხველის თვალწინ ჩვენი ქვეყნის XVI საუკუნის ძალიან მეტყველი სურათი იშლება – საქართველო ნედლი აბრეშუმის მომწოდებელ ქვეყნადაა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და მიმდებარე მხარე საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ამ ნედლეულის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანაში.

საგულისხმოა, რომ ევროპელი ავტორის პერსპექტივიდან XVI საუკუნის პირველი ნახევრის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი საქართველო მულტიეთნიკური და მულტიკულტურულია. მემბრეს თხზულები-

<sup>1</sup> ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები*, გვ. 234.

<sup>2</sup> ქართველ ებრაელთა სინაგოგების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის “Путеводитель посланников из Палестины на Кавказ”, რომლის მიხედვით XIX საუკუნის ბოლოსთვის ქუთაისში იყო სამი სინაგოგა, თითო – ლეჩხუმსა და სუჯუნაში. საქართველოში ებრაელთა კომპაქტური დასახლება, როგორც წესი, ხდებოდა სინაგოგის სიახლოვეს. სინაგოგა წარმოადგენდა იმ ცენტრს, ღერძს, რომლის გარშემო შენდებოდა ებრაული სახლები, მათთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურით. სამლოცველო წარმოადგენდა ებრაული ცხოვრების ეპიცენტრს, სადაც მიმდინარეობდა არა მხოლოდ კულტის მსახურება, არამედ აგრეთვე ბავშვებისთვის თორისა და ებრაული ტრადიციების სწავლება, ჯამათის ყველა საჭირობო საკითხის განხილვა-გადანყვეტა (წინუაშვილი, *ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან* [1915-1926 წწ.], გვ. 20-21).

დან ჩანს, რომ საქართველოს პრაქტიკულად ყველა ქალაქში, სადაც კი მას მოუწია ყოფნამ, ცხოვრობენ ებრაელები, სომხები და ტრაპიზონელები, მათ უძრავი ქონებაც გააჩნიათ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სოფლის ტიპის დასახლებაც, რომელსაც იქ არსებული ბაზრობის დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მის საზღვრებს გარედანაც სტუმრობენ ვაჭრები, სტუმრებისგან დაცლის მერეც კი საკმაოდ მულტიეთნიკურია (ცხოვრობენ მეგრელები, ქიოსელი ბერძენი, ვენეციელი, ებრაელთა სოლიდური თემი<sup>1</sup>): „ამ კულაუროპაში მე ვიპოვე კაცი სკიოდან<sup>2</sup> სახელად ზანე, რომელიც დაქორწინებული იყო აქ ასაკოვან მეგრელ ბანოვანზე. ამიტომაც<sup>3</sup> დამპატიჟა თავის სახლში. მე ასევე აღმოვაჩინე სხვა კაცი, ვენეციელი, რომელიც დაოჯახებული იყო მეგრელზე. მას ერქვა ბერნარდო მოლინერი,<sup>4</sup> ასე 45-ოდე წლისა, რომელმაც მომიყვა, რომ ვენეციაში მენისქვილე იყო და რომ სამეგრელოში ჰყავს სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთიც ქალი, რომელიც ასევე მეგრელზეა გათხოვილი“.<sup>5</sup> მემბრეს ეს წყარო უნიკალურია იმით, რომ ტრადიციულად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების გარდა, რომლებიც საკმაოდ ინტეგრირებული იყვნენ ქართული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ პალიტრაში, აქ დასახლებული არიან ვენეციელებიც, რომლებიც საკმაოდ კარგად ჩანერიდან სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებაში.

ზემოთ უკვე ნახსენები დასახლების – კულაუროპას – მაგალითზე გვამცნობს მემბრე ძალიან საინტერესო ფაქტს, რომელსაც ზუსტი ანალოგი (მით უფრო, XVI ს. გათვალისწინებით) არ ეძებნება სხვა ქართულ ან ევროპულ წყაროებში – კერძოდ, აქ მცხოვრები ებრაული თემის მიერ ებრაელებად აღზრდილი/გაებრაელებული მეგრელების შესახებ. ავტორი წერს: „ამ ადგილზე სახლების მფლობელთა უმრავლესობა ებრაელები არიან. ეს ებრაელები ყი-

<sup>1</sup> ქართული წყაროები ბიზანტიის იმპერიიდან ებრაელთა დასავლეთ საქართველოში ჩამოსვლას VI საუკუნეს მიაკუთვნებენ; დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვეობაშიც კი ქართველი ებრაელები უმეტესად ცხოვრობდნენ ქუთაისში, კულაშში, ონში, საჩხერეში, სენაკში, ზუგდიდში (იხ. მეტრეველი, *ებრაელები საქართველოში*, გვ. 26-31).

<sup>2</sup> იტალიური სახელწოდება ეგეოსის ზღვაში ზომით მეხუთე დიდი ბერძნული კუნძულ ქიოსი/ხიოსისა, რომელიც ახლოს მდებარეობს ანატოლიის დასავლეთ სანაპიროსთან.

<sup>3</sup> რელაციის პირველი ნაწილიდან ვიცით, რომ დღევანდელი თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავლისას მემბრე თავს ბერძნად ასალებდა; ვინაიდან ძალიან კარგად ფლობდა ბერძნულს, არ უჭირდა, რომ ბერძნებზე დაერწმუნებინა ამაში.

<sup>4</sup> ორიგინალური ტექსტის კომენტატორის განმარტებით, ეს ნიშნავს მენისქვილეს (იხ. Membre, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*, p. 14).

<sup>5</sup> მემბრე მ., რელაციის ნაწილი (პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*, გვ. 429-430).



დულობენ მეგრული წარმოშობის მონებს<sup>1</sup> და აქცევენ მათ ებრაელებად. ამ საქმეში მეგრელები მათ უარს არ ეუბნებიან“.<sup>2</sup> სამწუხაროდ, მემბრე მეტ კონკრეტიკას არ გვთავაზობს, იმ თვალსაზრისით, თუ რას გულისხმობს ფრაზაში – „აქცევენ ებრაელებად“. რისი თქმა სურს ამით მემბრეს? – აქ იგულისხმება რელიგიის ცვლა და წინადაცვეთის წესი, ებრაული ენის შესწავლა თუ რაიმე სხვა? ვინაიდან პირველწყარო მეტს არაფერს გვეუბნება, საკუთარი ვარაუდების იმედად ვრჩებით. „აქცევენ ებრაელებად“ – ეს ყველაზე მეტი ალბათობით იუდაიზმზე გადასვლაა, რაც ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ამის შემდეგ იქნებოდა რელიგიით ებრაელი. იუდაიზმის მიღება მეგრელისათვის არ იქნებოდა არანაირი უბედურება იმასთან შედარებით, რაც იყო თურქებზე გაყიდვა და სამუდამოდ გადაკარგვა; მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველი ხელისუფალნი საკმაოდ აქტიურად ავითარებდნენ მთელი შუა საუკუნეებისთვის ტიპურ მოსაზრებას იესო ქრისტეს ნათესაობასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, XVII საუკუნის შუახანებში, კერძოდ, 1646 წელს, იმერეთის მეფე ალექსანდრე III ქუთაისში მასთან მყოფ დონ კრისტოფორო კასტელის ეუბნება, რომ „...ისინი (ქართველები) ისრაელის მეფეების, დავითისა და სოლომონის ჩამომავლები არიან და ქრისტეს მშობელს ენათესავებიან“.<sup>3</sup> ამავე ავტორის ჩანახატების ალბომის, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ კასტელის ალბომის 75-ე სურათს აქვს წარწერა, სადაც იმერეთის მეფე ალექსანდრე III კასტელის ეუბნება: „თურქები, ასევე სპარსელები... ვერ დაანგრევენ [ვერ დაამარცხებენ მათ – ავტ.] ... რადგან წინასწარმეტყველი დავითისაგან მომდინარეობს ჩვენი შტო...“.<sup>4</sup> ვინაიდან აზროვნების ეს შუასაუკუნეობრივი ისტორიული მოდელი საქართველოში აქტიურად მოქმედებდა XVII საუკუნეშიც, სავარაუდებელია, რომ ის ცირკულირებდა არა მხოლოდ გვირგვინოსნებს, არამედ ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების მმართველებს შორისაც; მით უფრო, ეს მოდელი საკუთარი გამორჩეულობის ხაზგასასმელად კარგი საშუალება იქნებოდა ისეთი ამბიციური მმართველებისთვის, როგორიც ლევან I და ლევან II დადიანები იყვნენ (მემბრეს და ლამბერტის თანამედროვეები – ავტ.).

<sup>1</sup> ამ კატეგორიის ადამიანებთან მიმართებით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ტერმინები – „ტყვე“, „ტყვის სყიდვა“, თუმცა ევროპელები მათ მონებად განიხილავენ. წყარო (მემბრე, იხ. დასახ. ნაშრომში: პაპაშვილი [და სხვა], *საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში*) არაფერს ამბობს, ამ კონკრეტულ პერიოდში ვინ ჰყიდდა მეგრული წარმოშობის ტყვეებს სამეგრელოში.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ლიჩინი, *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში*, გვ. 122.

<sup>4</sup> კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, გვ. 96.



ამგვარი ისტორიული მახსოვრობის გამოძახილად ალბათ ის უნდა მივიჩნიოთ, რასაც წერს ლამბერტი თავის „წმინდა კოლხეთში“ (Colchide Sacra) – იგი დარწმუნებულია, რომ კოლხებმა უფლის ჭეშმარიტი სიტყვები ებრაელებისაგან მიიღეს, ანუ კოლხებმა ებრაელებისაგან შეიმეცნეს ჭეშმარიტი ღმერთი.<sup>1</sup>

ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით, საიდან მოაქვს ეს დასკვნა ლამბერტის, მასაც ჰქონდა თუ არა საუბარი ლევან მეორე დადიანთან, ისევე, როგორც კასტელის – იმერეთის მეფესთან. ეს სულაც არაა გამორიცხული, იმის გათვალისწინებით, რამდენი ხანიც ცხოვრობდა ლამბერტი სამეგრელოში და რამდენად იყო იქ არსებული მისიონი დადიანისგან დავალებული. თუმცა, ისტორიული მახსოვრობის ეს მოდელი,<sup>2</sup> როგორც ჩანს, მოსახლეობაზეც აქტიურად მოქმედებდა და, უცხო არ უნდა ყოფილიყო წინა, XVI საუკუნეშიც. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, შეიძლება მემბრეს ფრაზა ამგვარად გავიგოთ: ებრაელები ყიდულობენ გასაყიდად გამოყვანილ მეგრულ ტყვეებს, ისინი იღებენ იუდაიზმს და ამაში მეგრელები ებრაელებს წინააღმდეგობას არ უწევენ. ასეთ მეგრულს შვილი, ძმა ან ნებისმიერი თავისიანი აქვე ჰყავს და ამით ებრაელს უნათესავდება კიდევაც, რაც მართებულად მიაჩნია, მით უფრო, რომ მეფეები ან მთავრები ამ „ნათესაობას“ ხაზს უსვამენ. მეორე მხრივ, აქ უფრო მეტად ეკონომიკური ინტერესი უნდა დავინახოთ – ტყვედ ჩავარდნილ და გასაყიდად გამზადებულ ადამიანს ან მის ოჯახს არც თავდასახსნელი და/ან ოჯახის წევრის გამოსახსნელი ქონება არ გააჩნდა; ხოლო აქვე მცხოვრები, ისტორიული მეხსიერებით „ქრისტესმიერ ნათესავად“ მოაზრებული ებრაელი ვაჭარი, რომელიც შეძლებულიც იყო, მისთვის ბევრად მისაღებად მიიჩნეოდა. ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია, რომ ამას წინადაცვეთის პრაქტიკა მოჰყოლოდა საქართველოში. თუმცა, მონობისთვის განწირული ადამიანისთვის ეს ძნელად წარმოსადგენი შეიძლება სულაც არ ყოფილიყო. ოსმალთა იმპერიის სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილს, გამაჰმადიანებულს განა იგივე არ ელოდა? თუმცა,

<sup>1</sup> Lamberti, *Colchide Sacra*, გვ. 11-12 (მიუხედავად იმისა, რომ „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანი არსებობს ბეჭდური სახით, წიგნის გამოქვეყნებულ ვერსიაში [არქანჯელო ლამბერტი, *წმინდა კოლხეთი*, იტალიურიდან თარგმნა გ. ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებები და საძიებლები დაურთო დ. მერკვილაძემ, თბილისი, 2020, გვ. 42] აღნიშნული ფრაზა სხვა შინაარსითაა წარმოდგენილი, რაც თარგმანის პრობლემა არ გვგონია. ჩვენ ვსარგებლობთ „წმინდა კოლხეთის“ ამ ადგილის ბეჟან გიორგაძისეული ხელნაწერის თარგმანით, რომელიც მოგვანოდა მურმან პაპაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

<sup>2</sup> ელ. მამისთვალიშვილის თანახმად, ებრაელთა საქართველოში მოსვლასთან დაკავშირებით ქართული საისტორიო ტრადიცია წინააღმდეგობრივია, თუმცა პრო-ებრაული. დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად შეექმნება შთაბეჭდილება, რომ ძველი ავტორების მიზანი იყო ებრაელთა მოსვლა საქართველოში წარმოესახათ, როგორც დადებითი მოვლენა ქართველი ხალხის ისტორიაში (მამისთვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 24).

ამ „მონად გაყიდული მეგრელის“ შემთხვევაში, რადგან აქვე რჩებოდა, სავარაუდოდ, ებრაელები არც მიმართავდნენ წინადაცვეთის პრაქტიკას, რამდენადაც ეს მეგრელებისთვის უჩვეულო იყო. კიდევ უფრო საეჭვოდ მიგვაჩნია მემბრეს ფრაზა – „აქცევენ ებრაელებად“ – ისე გავიგოთ, თითქოს შესყიდულ მეგრელ ტყვეებს ებრაული ენის სწავლა უწევდათ. ამის საჭიროება არ იყო, რადგან აქ მცხოვრებმა ებრაელმა ისედაც იცოდა მეგრული. მათ შორის საკომუნიკაციო ენა მეგრული იყო.

„ტყვის სყიდვის“ ცნობილი პრაქტიკა, რომელიც მემბრესაც აქვს ნახსენები სამეგრელოს ზღვისპირეთზე საუბრისას („...ყიდიან ბევრ მონას..“), ადგილობრივი თუ უცხოური მასალის შესაბამისად, გულისხმობდა ამ ე. წ. ცოცხალი პროდუქციის იმ ქვეყნიდან გაყვანას, სადაც მათ ყიდულობდნენ. მართალია, არქანჯელო ლამბერტი წერს: „თურქები როგორც კი იყიდიან ამათ [საუბარია მეგრელ ტყვეებზე – ავტ.], მაშინვე თურქულად ჩააცმევენ, და ნიშნად მათის ცრუ რჯულის მიღებისა, აანევენებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევენებენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიან თურქთა რჯულის წესს და რიგს. ამას სჩადიან ქრისტიანთა წინაშე და ქრისტიანთა ქვეყანაში, ვიდრე კონსტანტინოპოლში წავიდოდნენ“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, მცდელობასა და პრაქტიკას, რომ საკუთარი იდენტობა დაავიწყონ და დაატოვებინონ, მონებად ნაყიდ ადამიანებთან მიმართებაში ოსმალების მხრიდან სამეგრელოს ტერიტორიაზევე ჰქონდა ადგილი. თუმცა, აქ მაინც საუბარია წასაყვანად გამზადებულ ტყვეებზე, რომლებსაც აღარასდროს ექნებათ შანსი მშობლიურ გარემოში დაბრუნებისა. მემბრეს მიერ მოყვანილი ცნობის შესაბამისად კი, „მონად ნაყიდ მეგრელებს“ საქართველოში, მეტიც, იმავე სამეგრელოს ტერიტორიაზე ტოვებენ და კულაუროპაში მცხოვრები ებრაული ოჯახები ებრაელებად აქცევენ.

თუკი ებრაელები ტყვეებს ყიდულობენ, ისმის შეკითხვა – რაში სჭირდებათ მათ „მონის“/შინამოსამსახურის<sup>2</sup> („მოინალეს“) გაებრაელება? ებრაელისთვის „მიყიდული მეგრელი“, რომელმაც იუდაიზმი მიიღო, რანაირად იქნება მონა? ეს ხომ ებრაელისათვის უკვე არის წარმოშობით არაებრაელი, მაგრამ მაინც ებრაელი. არანაკლებ საინტერესოა ამ ცნობის კიდევ ერთი ასპექტი, რომ მეგრელები „ამ საქმეში მათ ხელს არ უშლიან“. თავად ეს ფრაზა, ჩვენი მოსაზრებით, XVI-XIX სს. საქართველოში ფართოდ გავრცელებული „ტყვის სყიდვის“ იმ ფაქტორს გამოკვეთს, რომ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონები მონებით ვაჭრობის საერთაშორისო ქსელში აღმოჩნდა ჩართული,

<sup>1</sup> ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, გვ. 146.

<sup>2</sup> სავარაუდოდ, „მონა“ ამ შემთხვევაში „მოსამსახურედ“, „მოინალედ“ გაყიდულს ნიშნავს. ძირითადად ყიდდნენ ყმებს, სოციალური, იურიდიული თვალსაზრისით უუფლებოს (მეგრულად „მოინალე“ „შინამოსამსახურეს“, სხვის მოსამსახურეს ნიშნავს) [ავტ.].

რომელიც წინა, XV საუკუნეში გენუა-ვენეციის დომინაციით მიმდინარეობდა შავი ზღვის არეალში, ხოლო ტრაპიზონისა და ყირიმის ტერიტორიის აღებობით ოსმალებმა გადაიბარეს. რაც უფრო კნინდება საქართველოს (მეტადრე, დასავლეთ საქართველოს) ეკონომიკური<sup>1</sup> და, ცენტრალიზებული მონარქიის დაშლის შემდეგ, პოლიტიკური წონაც, მით უფრო მატულობს ქართველების რაოდენობა „მონებად“ გაყიდულთა შორის. ამასთანავე, იმ დროს, როცა ერთიანობადარღვეული საქართველოს დასავლეთ რეგიონებს, მაგალითად, ამ პერიოდის კახეთისგან განსხვავებით, არა აქვთ აბრეშუმის ან სხვა ისეთი საქონელი, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის სავაჭრო ქსელში ჩაებმება და მიმზიდველი პროდუქტი იქნება, სამწუხაროდ, ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ამ მიმართულებით ცოცხალი ადამიანები აღმოჩნდნენ.

აღნიშნული საკითხის მართებული გააზრებისთვის ეკონომიკური ფაქტორის ხაზგასმად, ისევე როგორც მემბრეს რელაციონიდან საკვლევად გამოტანილი მონაკვეთის ირიბ დადასტურებად მიგვაჩნია ავგუსტინელი ბერის, წარმოშობით პორტუგალიელი ამბროსიო დუშ ანჟუსის<sup>2</sup> ერთი ცნობა, რომელსაც თავის ნაშრომში ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ელ. მამისტვალიშვილმა.<sup>3</sup> 1640 წელს გორიდან რომში გაგზავნილ დუშ ანჟუსის წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი მონაზვნები ამ ქრისტიანებში (ე. ი. ქართველ მართლმადიდებლებში) დიდის სიკეთის ქმნას შეიძლება რამდენისამე სოფლის ყიდვით, როგორც შვრებიან სომხები. თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვსთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ, გარნა როდესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამაზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, გააურიავეს თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ქართველები უეჭველად დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინურ წესსა, თუ ჩვენი ყმები გახდებიან“.<sup>4</sup>

მემბრეს თხზულების მიხედვით, საქართველოს და, მათ შორის, სამეგრელოს ტერიტორია არა მხოლოდ მულტიკულტურულად, არამედ საკმაოდ

<sup>1</sup> „დასავლეთევროპული ხელოსნური ნაწარმის მოზღვავებამ დასავლეთ საქართველოში ხელოსნობის დონე დააკნინა. საქართველოს საზღვაო ექსპორტში უკვე აღარ გვხვდება ხელოსნური ნაწარმი. შემოტანილი საქონლის ღირებულება ბევრად მეტი იყო, ვიდრე ზღვით უცხო ქვეყნებში გატანილი ქართული ნაწარმისა. წარმოიშვა სავაჭრო დეფიციტი. ამის შედეგი იყო ის, რომ XV საუკუნიდან გვხვდება საქართველოდან ტყვეთა სყიდვის პირველი შემთხვევები“ (იხ. ბერაძე, *ზღვაოსნობა საქართველოში*, გვ. 215).

<sup>2</sup> ამბროსიო დუშ ანჟუსი გორში ცხოვრობდა 1620-1640 წლებში და ყურადღებით სწავლობდა რელიგიურ ცხოვრებას ქართლის სამეფოში (იხ. მამისტვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 170).

<sup>3</sup> მამისტვალიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 170.

<sup>4</sup> იქვე; ასევე იხ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, გვ. 236.

ტოლერანტულადაც გამოიყურება. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ავთენტური ქართული წყაროები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ღია ან ჩაკეტილი იყო საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში XVI საუკუნეში მცხოვრები ებრაული თემი, რამდენად ხდებოდა ქორწინებითი კავშირები ან რელიგიის შეცვლის ნებაყოფლობითი შემთხვევები ამ ორ ჯგუფს შორის. ეს საკითხები ჯერ კიდევ საკმაოდ სერიოზულად საკვლევია.<sup>1</sup> თითქოს ებრაელებსა და ებრაული იდენტობის შენარჩუნებაზე მსჯელობა საყოველთაოდ გაზიარებული მოცემულობიდან გამომდინარეობს ხოლმე – რომ ებრაელები თავიანთ რელიგიას მტკიცედ უფრთხილდებოდნენ და არც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ქორწინებას მიესალმებოდნენ, ამიტომ ყველა ქვეყანაში, ქრისტიანული იქნებოდა თუ მუსლიმური, შეინარჩუნეს თავიანთი თემები.<sup>2</sup> თუმცა, „დოკუმენტებმა შემოგვინახა საინტერესო პირდაპირი ან ირიბი ცნობები ებრაელთა გაქრისტიანების და პირუკუ პროცესისაც კი, რაც შორს იყო ყოველგვარი ძალადობისგან“.<sup>3</sup>

მეტი სიცხადისთვის, იმისთვის, რომ მკითხველს არ ეგონოს, თითქოს მემბრეს ინფორმაციაში აპრობირი რაიმე გაზვიადება ან გადაჭარბებაა, უნდა აღინიშნოს, რამდენად მიუკერძოებელია თავად ავტორის პიროვნება. მას აქვს მკაფიო მისია – ვენეციელი დოჟის წერილი ნებისმიერ ფასად სეფიანების კარზე ჩაიტანოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მთელი გზა – ეგეოსის ზღვის არქიპელაგიდან თავრიზამდე – ანატოლიაში იქნებოდა, ყირიმში თუ საქართველოს ტერიტორიაზე, იგი ყველასთან ბერძენ ვაჭრად ასალებდა თავს და იმდენად კარგად ართმევდა თავს საკუთარ როლს, რომ ეჭვი მის ვინაობაში არასდროს არავის შეუტანია. მისი საქმე არ იყო რაიმე მორალური დილემები ან პოლიტიკური შეფასებების გაკეთება და არც აკეთებს ამას; ის პირუთვნელად აღწერს ყველაფერს, რასაც ხედავს; მის რელაციონს ახასიათებს ე. წ. სნეპშოტის მეთოდი. გზა საქართველოზე გავლით იმიტომ აირჩია, რომ ანატოლიაზე გამავალი საქარავნო გზა XVI საუკუნის შუახანებში, ოსმალეთ-სეფიანების მორიგი დაპირისპირების რაუნდის დროს, ჩაიკეტა და სხვა გამოსავალი მას არ დარჩა. ამდენად, მემბრეს რელაციონის აღნიშნული პასაჟი რაიმე მიკერძოებულ აზრს, მით უფრო, გამიზნულად ნათქვამ ტყუილს პრაქტიკულად გამოორიცხავს. არც მოტივი და არც საჭიროება ავტორს საამისოდ არ ჰქონდა.

აქ ორი ვარიანტი რჩება: 1. ხომ არა აქვს ადგილი ავტორის მიერ მეგრელებში არსებული გაშვილება-გაძიძავების ტრადიციის არასწორად გაგებას? როგორც ცნობილია, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით სამეგრელოში ძველად გავრცელებული იყო გაძიძავება, რაც ხელს უწყობდა ღარიბსა და შეუძლო გლეხს დაახლოვებოდა შეძლებულ ოჯახს, რომელსაც შეეძლო მის-

<sup>1</sup> ბერიძე, *ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაშში*.

<sup>2</sup> ჭიჭინაძე, *ქართველთა ისრაელნი საქართველოში*.

<sup>3</sup> მამისტვალისვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 9.

თვის დახმარების განწევა და მფარველობა. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უყვარდათ გაძიძავებულებს აღმზრდელი ძიძა და მისი ოჯახი. ს. მაკალათია წერს, რომ ბავშვის აღმზრდელებს მებატონისგან თავის დახსნაც კი შეეძლოთ, თუ იკისრებდნენ მისი შვილის აღზრდას.<sup>1</sup> როგორც მკვლევარი შენიშნავს, საგულისხმოა, რომ „არა მარტო თავადს ან აზნაურს სთხოვდა გლეხი შვილს გასაზრდელად, არამედ შეძლებულ ვაჭარსა და მოხელესაც“.<sup>2</sup> თუმცა, ამ ალტერნატივას ნაკლებ სარწმუნოდ მივიჩნევთ – მემბრეს მიერ აღწერილი შემთხვევა მაინც ნაკლებად ტოვებს განცდას, გაძიძავების ამ სპეციფიკური ტრადიციის (როცა ბავშვი პრაქტიკულად წყდება მშობლებს – ავტ.) თუნდაც დამახინჯებულად აღქმასთან გვექონდეს საქმე. მით უფრო, რომ საკითხში გარკვევა მემბრეს სუსტი მხარე ნამდვილად არ იყო.<sup>3</sup>

ჩვენ უფრო მეორე ალტერნატივისკენ ვიხრებით, კერძოდ, მემბრეს მიერ აღწერილი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ, სავარაუდოდ, პრაქტიკა ებრაული თემის ქართული ელემენტით შევსებისა, არსებობდა; მით უფრო, რომ მკვლევარი ელ. მამისთვალისშვილი თავის ნაშრომში ებრაელების სამ კატეგორიაზე საუბრობს: „ებრაელებს, საერთოდ, სამ ჯგუფად ყოფენ: 1. დაბადებით და რელიგიით ებრაელი, 2. ებრაელი რელიგიით, მაგრამ არა წარმოშობით და 3. ებრაელი წარმოშობით და არა რელიგიით“.<sup>4</sup> მკვლევრის ცნობით, „საქართველოში მცხოვრებ შედარებით შეძლებულ ებ-

<sup>1</sup> მაკალათია, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*, გვ. 277.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 277.

<sup>3</sup> მემბრეს რელაციონის ინგლისურად მთარგმნელს ვრცელი წინასიტყვაობა აქვს დართული ავტორის შესახებ (pp. vii-xxvii), როგორ, რა პირობებით და წინამორბედთა თავს გადამხდარი რა შემთხვევების მიუხედავად აიღო მან თავზე ესოდენ სარისკო მისია. თავად რელაციონის სრული ვერსიის გაცნობაც ადასტურებს ამ მოსაზრებას (იხ. Membre, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42*).

<sup>4</sup> მამისთვალისშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 43 (ამასთან, ანთროპოლოგიურ მონაცემებზე საუბარის დროს, რომლებიც კავკასიელი ებრაელების ქართველებთან სიახლოვეზე მიუთითებენ, მკვლევარს სამუშაო ჰიპოთეზის სახით მოცემული აქვს შემდეგი მოსაზრება: „ა. ალბათ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ქართლში მოსული ებრაელები ნაწილობრივ მაინც შეერივნენ მკვიდრ მოსახლეობას, რაც მოხდებოდა შემდეგნაირად: ებრაელებმა ქართლში მოიტანეს იუდაიზმი. ეს რელიგია მონოთეისტურია და შეიძლება გავრცელებულიყო ადგილობრივ მოსახლეობაში. იუდაიზმზე გადასული ადამიანი, როგორც ამჟამად, ისე იმ შორეულ წარსულში, ებრაელად ცხადდებოდა. რელიგიურმა ერთობამ ნებადართული გახადა ებრაელებსა და გაებრაელებულ ქართველებს შორის ქორწინება, რამაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოაყალიბა ანთროპოლოგიურად განსხვავებული ნიშნების მქონე ქართველი ებრაელი, რომელიც თავის მხრივ კავკასიელი ებრაელების საფუძველი გახდა... ბ. პირველი საუკუნიდან ქართლში ვრცელდება ქრისტიანობა... ამჯერადაც პიონერები ებრაელები [იგულისხმებიან ის ქართველებიც, რომლებმაც იუდაიზმი მიიღეს] იყვნენ. ებრაელთა ერთი ნაწილი [როგორც წარმოშობით ებრაელები, ისე გაებრაელებულნი] იუდაიზმის ერთგული დარჩა, ხოლო მეორენი გაქრისტიანდნენ, რაც გაქართველების ტოლფასი იყო. ამიტომაც შეიძლება გვექონდეს სიახლოვე ქართველსა და ებრაელს შორის ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით“ [იქვე, გვ. 69]).



რაელებს ჰყავდათ ნაყიდი ქრისტიანი ბავშვები, რომელთა იუდაიზმზე გადაყვანა პრაქტიკულად შესაძლებელი იყო, ალბათ ასეთ შემთხვევებზე უნდა მიუთითებდეს ებრაელთა ეთნონიმური გვარები – ურიაშვილი, ბინიაურიშვილი, ისრაელაშვილი“.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში არაერთგან სახლობდა ებრაული თემი, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, მათაც ჰქონდათ საჭიროება ებრაული თემი რაოდენობრივად (არა მხოლოდ რეპროდუქციულად) გაზრდილიყო. ამის ზუსტი მიზეზის დადგენა ძნელია.<sup>2</sup> ხომ არ იყო ამ შემთხვევაში სულაც ეკონომიკური მოტივი პრიორიტეტული – ნედლი აბრეშუმით ვაჭრობასა და მის ექსპორტში კონკურენცია მრავალრიცხოვან სომეხ ვაჭრებთან?<sup>3</sup> ჩვენი მოსაზრებით, ეს საკითხი ჯერ კიდევ ელის მკვლევრებს. თუმცა, ერთი მხრივ, ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან მიმართებით შეიძლება საუბარი კონკრეტულ კატეგორიაზე – „ებრაელი რელიგიით, მაგრამ არა ნარმოშობით“, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველგვარი მოტივაციისგან დაცლილი მახვილი თვალის დამკვირვებლის ცნობა, რომ მეგრელები აგრძელებენ უმტკივნეულო თანაცხოვრებას თვისტომის, მეტიც, ოჯახის წევრის „მყიდველთან“, რომელიც მათ უცვლის საქართველოშივე სარწმუნოებას და, იმ ეპოქის გათვალისწინებით, ეროვნებასაც, მეორე ვერსიას (ებრაული თემის ქართული ელემენტით შევსების პრაქტიკას – ავტ.) უფრო სარწმუნოს ხდის ჩვენთვის.

<sup>1</sup> მამისთვალშიშვილი, *ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა*, გვ. 173.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი წერდა: „გვიანფეოდალურ საქართველოში ებრაელთა მოსახლეობის შემცირების საკითხში ჩვენი საბუთები ერთ განსაკუთრებულ გარემოებას აღნიშნავენ. საერთო მიზეზების გვერდით, რომლებიც ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის საერთო შემცირებას იწვევდნენ, ჩვენი საბუთები ებრაელთა ასიმილაციას გარკვევით უჩვენებენ. ჩვენ სხვა მოწმობებიც მოგვეპოვება, ხოლო ეს საბუთები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სხვა და სხვა პირობების გამო, ებრაელები საქართველოში ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ დაეტოვებინათ მამაპაპური წესი და გაქართველებულიყვნენ“, ე. ი. გაქრისტიანებულიყვნენ. მართალია, ჩვენ ზოგჯერ ისეთი ცნობებიც გავვაჩნია, როცა ებრაელი მებატონის ქრისტიანი ყმა 'გაურიავდა' ე. წ. მოსეს სარწმუნოება აღიარა, მაგრამ უეჭველია, პირუკუ შემთხვევები გაცილებით ხშირი იყო“ (*ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ* [პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით], გვ. 161).

<sup>3</sup> ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ სომხური მიწებისა და მოსახლეობის როგორც ოსმალეთის, ასევე სეფიანურ ირანის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისა და, აგრეთვე, საქართველოში მათი დიდი კომპაქტური დასახლებების გამო, ასევე, მათი ქრისტიანული აღმსარებლობის გათვალისწინებით და სომხურ მიწებთან ტერიტორიული სიახლოვის მიზეზით, სომხურ თემებს სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით საქართველოში უფრო მყარი პოზიციები ეკავათ ვიდრე ებრაელებს? ამ შემთხვევაში ქართული ელემენტით შევსება ხომ არ შეიძლება ჩათვლილიყო ებრაული თემისთვის ხელშემწყობ ფაქტორად საქმიანობაში ადგილზე (დასავლეთ საქართველოში) ან საერთაშორისო ასპარეზზე?



## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა** – ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

**თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის** – თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

**კასტელი, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ** – კასტელი დონ კრისტოფორო, ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1976.

**ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა** – ლამბერტი დონ არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ი. ანთელავამ, თბილისი, 1991.

**მემბრე, რელაცია სეფიანებთან მოგზაურობის შესახებ** – მემბრე მიკელე, რელაცია სეფიანებთან მოგზაურობის შესახებ, იხ. წიგნში: მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე, საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021 გვ. 423-442.

**პაპაშვილი (და სხვა), საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში** – მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე, საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, თბილისი, 2021.

**შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში** – შარდენი ჟან, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXXVIII), თბილისი, 1975 (<http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/5198>).

**ჯუდიჩე, რელაცია საქართველოზე** – ჯუდიჩე დონ ჯუზეპე მილანელი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2014.

**Lamberti, Colchide Sacra** – Lamberti Archangelo, *Colchide Sacra*, Napoli, 1657 (ხელნაწერი, ბ. გიორგაძის თარგმანი).

**Membre, Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42** – Membré Michele, *Mission to the Lord Sophy of Persia 1539-42* (trans. and ed. by A. H. Morton), London, 1993.

**Membre, Relazione di Persia (1542)** – Membré Michele, *Relazione di Persia (1542)*, Studi e Materiali Sulla Conoscenza Dell'Oriente in Italia, Presentazione di Gianroberto Scarcia, Istituto Universitario Orientale, Napoli, 1969.

**აფხაზავა, რიონი** – აფხაზავა ი., რიონი, ძსპ, ტ. 8, თბილისი, 1984, გვ. 394.

**ბერაძე, ზღვაოსნობა საქართველოში** – ბერაძე თ., ზღვაოსნობა საქართველოში (საქართველოს ისტორიის პალიტრა, ტ. 4), თბილისი, 2022.

**ბერაძე, ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით** – ბერაძე თ., ოდიშის რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაცნე, იაქსს, 1971, №3, გვ. 148-154.

**ბერიძე, ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაში** – ბერიძე ი., ქართველი ებრაელების ისტორია დაბა კულაში, საგაზეთო სტატია, <https://netgazeti.ge/news/231253/>, 6 ნოემბერი, 2017.

**ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები** – ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, მოგონებები, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბილისი, 1934.

**ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით)** – ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) სპიქსმ, ტ.1, 1940, გვ.157-246.

**კულაში, ძსპ** – კულაში, ძსპ, ტ. 6, თბილისი, 1983, გვ. 64.

**ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში** – ლიჩინი პ. ა., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მ. პაპაშვილმა, თბილისი, 2009.

**მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია** – მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, თბილისი, 1941.

**მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა** – მამისთვალიშვილი ელ., ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალური ხანა, თბილისი, 1995.

**მეტრეველი, ებრაელები საქართველოში** – მეტრეველი რ., ებრაელები საქართველოში, თბილისი, 2002.

**წინუაშვილი, ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.)** – წინუაშვილი შ., ქართველ ებრაელთა ეროვნული აზროვნების ისტორიიდან (1915-1926 წწ.), სპიქსმ, შრომები, IX, 2014, გვ. 9-167.

**ჭიჭინაძე, ქართველთა ისრაელნი საქართველოში** – ჭიჭინაძე ზ., ქართველთა ისრაელნი საქართველოში, თბილისი, 1904 (<http://openlibrary.ge/bitstream/123456789/6161/1/kartvelt%20israelni%20sakartveloshi.pdf>).

**Unknown Details of the “Georgian Jewish” Community and  
Georgian-Jewish Relationship according  
to the Notifications of Michele Membre**

Summary

The presented article refers to the understanding of specific passages from the 16<sup>th</sup> century Cypriot Venetian, Michele Membre’s “Relation”. Membre’s essay, besides its main goal (gathering detailed information about the Safavids for Venice governing circles), allows us to justify some statements about the Georgian states in a new way in the context of European-Eastern relations, it also clarifies some facts or makes new assumptions, including Georgian-Jewish co-existence.

Membre, sent as a secret convey to establish an alliance against the Ottomans, changed his route and had to enter Iran through a detour, so he ended up in Georgia. Membre, who came from Kafa by sea, disguised himself as a Greek merchant and visited the important territory of both western and eastern Georgia. The author is a sharp-eyed, neutral observer, who offers a scrupulous description of what he has seen rather than an evaluation-analysis of events. However, since all aspects of public life are in the field of interest of the risky and smart agent, the information he collected is quite complex.

The part of the report, which concerns Georgia, sheds light on the circumstances of the structure of Georgian society in the 16<sup>th</sup> century; and what markers of identity the people of different ethnic groups living in Georgia had at that time. Besides, by comparison with the local material, it allows us to identify Georgian settlements, referred to as places of silk trade in Western Georgia. According to the author, it is represented by a significant Jewish community together with a small Georgian population. No other source of that period (besides provided by Michele Membre) is aware of such a detailed description of the economic potential of the trading places in Georgia, and the effects caused by it on the society. Thanks to him, a very impressive picture of our country of the 16<sup>th</sup> century will unfold before the eyes of the reader – Georgia is identified as a country that supplies raw silk and, at the same time, there is a clear reference to the vicious practice of the slave trade in the Black Sea region in the late Middle Ages, which gained more influence under conditions of reinforcement of the Ottomans.

It is noteworthy that from the perspective of an European author, Georgia is depicted as a tolerant and multicultural country. From Membre’s writings, it can be

observed that Jews, Armenians and Trabzonites live practically in all cities of Georgia, and they also own real estates. It is particularly interesting that the village-type settlement, which is visited by merchants from different parts of Georgia and outside its borders during the market time, is quite multi-ethnic even after it is emptied of guests (Megrelians, Greeks from Chios, Venetians, and a substantial Jewish community live there).

On the example of the same settlement, Membre informs us of a very interesting fact, that is not found in other Georgian or European sources; namely, about Megrelians who were raised as Jews by the Jewish community living here. Therefore, the mentioned passage from Membre's *relazione* (based on comparison with Georgian material) allows us to make interesting assumptions about the author's misunderstanding of the tradition of adoption among the Megrelians, as well as the probability of infusing the Georgian elements in the Jewish community.

**რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და  
ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნოპოლიტიკური  
კონტექსტი XIX საუკუნეში  
(შიდა ქართლის მთიანეთის მაგალითი)**

**შესავალი**

XIX ს-ის დასაწყისისთვის რუსეთი, მეზობელი ქვეყნების დაპყრობისა და ტერიტორიების გაფართოების შედეგად, პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ იმპერიად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები ახალ ფაზაში გადავიდა. რუსეთის ეკლესია სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საშუალებად, შემოერთებული ტერიტორიების ათვისებისა და კოლონიური პოლიტიკის წარმართვის ინსტრუმენტად გადაიქცა.<sup>1</sup>

რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოების – ქართლ-კახეთისა (1801) და იმერეთის სამეფოების (1810) – დაპყრობის შემდეგ დამოუკიდებლობა დაკარგა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამაც. 1811 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღმოსავლეთ, ხოლო 1814 წლიდან კი – დასავლეთ საქართველოში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტი მოშალეს, შეიქმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც რუსეთის სინოდს დაექვემდებარა; ქვეყანაში საეკლესიო მმართველობის რუსული სისტემა დამკვიდრდა, რომელიც რუსეთის საეკლესიო და პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა.<sup>2</sup>

კავკასიაში რუსეთის აქტიური ექსპანსიის შედეგად იქმნება ახალი საზღვრები, ახალი პოლიტიკური და საეკლესიო დღის წესრიგი. ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელ რეგიონში საეკლესიო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა; მას, როგორც „რბილ ძალას“, იდეოლოგიური საფუძველი უნდა მოემზადებინა სახელმწიფოს სასურველი პოლიტიკური პროცესების წარმართვის, ახალი პოლიტიკური წესრიგისა და სტრატეგიების შემუშავებისთვის.

რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ეთნოისტორიული და ეთნოპოლიტიკური კონტექსტი განსაკუთრებულად გამოვლინდა განსხვავებული კულტურების სასაზღვრო სივრცეში.

<sup>1</sup> ქოქრაშვილი, *რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი)*, გვ. 41-42.

<sup>2</sup> ბუბულაშვილი, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს*, გვ. 64-117; პავლიაშვილი, *საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945)*, გვ. 21-79; Kokrashvili, *The Russian Empire's Religious Policy in Georgia (The First Half of the 19<sup>th</sup> Century)*, გვ. 63-83.

ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის – შიდა ქართლის მთიანეთის მაგალითი, რომელიც გეოგრაფიული, პოლიტიკური და მიგრაციული პროცესების შედეგად, სხვადასხვა კონფესიებისა და ეთნოსების შეხვედრის ადგილად, განსაკუთრებით კი, ქართულ-ოსური ურთიერთობების სივრცედ ჩამოყალიბდა. შეიქმნა პოლიკონფესიური და რელიგიურად ეკლექტური გარემო: აქ ერთმანეთის გვერდით და ამავე დროს ერთმანეთში შერწყმული აღმოჩნდა ქრისტიანობა, ისლამი და ხალხური რწმენა-წარმოდგენები.

შიდა ქართლის მთიანეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას ისტორიულად მისი გეოგრაფიული მდებარეობა და პოლიტიკური ფუნქცია განსაზღვრავდა. ის ესაზღვრებოდა ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების სამფლობელოებს; იყო ერთგვარი ფრონტიერი, სასაზღვრო ზონა, რომელსაც ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიისა და ქართული სახელმწიფოს თავდაცვითი, მეორე მხრივ კი, ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსებთან დამაკავშირებელი ფუნქცია. აქედან ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა ორი უმნიშვნელოვანესი გზა: დარიალის ხეობის გავლით – „დარიალის კარი“ და დვალეთის გავლით („გზა დვალეთისაი“) – კასრის კარი. გარდა ამისა, კავკასიელი მთიელები საქართველოს ბარს და მის სავაჭრო ცენტრებს სხვადასხვა გზა-ბილიკებითაც უკავშირდებოდნენ.

შევეცდებით, შიდა ქართლის მთიანეთის მაგალითის მიხედვით, ვუჩვენოთ XIX ს-ში საქართველოში რუსეთის იმპერიის საეკლესიო მმართველობის ეთნოპოლიტიკური კონტექსტი; რუსეთის საეკლესიო-რელიგიური პოლიტიკის, სამისიონერო ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული სისტემის გავლენა ქართულ-ოსური ურთიერთობების ფორმირებაზე; შევაფასოთ ახალი წარმოსახვითი და რეალური საზღვრების ფორმირების პროცესი და მისი შედეგები; ეთნიკური ტერმინოლოგიის პოლიტიკური ტრანსფორმირება და ამაში საეკლესიო პოლიტიკის როლი. პრობლემის ამ რაკურსით ჩვენება სიახლეს წარმოადგენს.

შიდა ქართლის მთიანი და მთისწინა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დღევანდელ ცხინვალის რეგიონს (ყოფილ საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს) შეადგენს. ამჟამად ის ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის ზონაა და საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენს.<sup>1</sup> XIX ს-ში რუსეთის იმპერიაში დანყებული ეთნოპოლიტიკური პროცესების შორეული შედეგები თანამედროვე საქართვე-

<sup>1</sup> გაეროსა და მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა არ ცნობს აღნიშნულ ტერიტორიაზე თვითგამოცხადებულ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – სახელმწიფო ალანიას“; მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, 2008 წელს რუსული ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარებს.



ლოში ეთნოტერიტორიული კონფლიქტების სახით გამოიხატა. წარმოდგენილი კვლევა ამ პროცესების საწყის ეტაპზე ფოკუსირდება და გვიჩვენებს დროში ერთმანეთთან დაშორებული მოვლენების მჭიდრო კავშირს. ეს ნაშრომის პრაქტიკულ დანიშნულებასა და აქტუალობაზე მიუთითებს.

## **წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა**

XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში მიმდინარე რელიგიური პროცესების შესახებ საყურადღებო წყაროები გვხვდება: კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, ოფიციალურ დოკუმენტებში, ანგარიშებში, მოსახლეობის აღწერის მასალებში და სხვა; წყაროს მნიშვნელობას იძენს: რუსეთის იმპერიის პერიოდის კვლევები საქართველოს ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო-ადმინისტრაციული და სამისიონერო პოლიტიკის შესახებ და სხვა.

XIX ს-ის შიდა ქართლში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას, ეთნოისტორიის სხვადასხვა პრობლემებს ასახავს თანამედროვე მეცნიერების: ა. თოთაძის, ვ. ითონიშვილის, ს. ლეკიშვილის, რ. თოფჩიშვილის, ლ. ჯანიაშვილის, ი. კვაშილავას და სხვა კვლევები. შიდა ქართლის მთიანეთის ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები, ქართულ-ოსური ურთიერთობების ეთნოპოლიტიკური ასპექტები გაანალიზებულია ჯ. გვასალიას, ა. სონლულაშვილის, მ. ტყავაშვილის, თ. ჯოჯუას, გ. ჭეიშვილის და სხვათა ნაშრომებში. რეგიონში მიმდინარე რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის პრობლემები გაანალიზებულია ქ. პავლიაშვილის, ე. ბუბულაშვილის, ვ. წვერავას, ხ. ქოქრაშვილის კვლევების მიხედვით. აღსანიშნავია, ოსი მეცნიერების ვ. აბაევის, გ. თოგოშვილის, ბ. ძიძოევის გამოკვლევები, მათ მიერ შემოტანილი საისტორიო და ეთნოლოგიური მასალა.

არსებული მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, შიდა ქართლის მთიანეთის მაგალითის მიხედვით, შევაფასოთ საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ეთნოპოლიტიკური კონტექსტი, მისი ზეგავლენა ქართულ-ოსური ურთიერთობების ფორმირებაზე.

## **მეთოდოლოგია**

XIX ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთმა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასთან სასაზღვრო სივრცემ, რუსეთისთვის განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა. დაპყრობილ ტერიტორიებზე ძალაუფლების განსამტკიცებლად რუსეთი წარმატებით იყენებდა რელიგიურ ფაქტორს, როგორც გავლენის მოპოვების „არაძალადობრივ“ ინსტრუმენტს. შესაბამისად, ნაშ-

რომში გამოვიყენეთ „რბილი ძალისა“ და „საზღვრების კვლევის“ (Border Studies) თეორიები. კვლევა შესრულდა ისტორიზმის პრინციპით, ანალიზისა და სინთეზის მეთოდის, ისტორიულ-შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდების გამოყენებით.

### დისკუსია /ძირითადი შედეგები

შიდა ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელიც საქართველოს ცენტრალური რეგიონის – ქართლის – ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენს. ქართლის ტერიტორია, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის მთისა და მთისწინეთის კალთებზე მდებარეობს, შიდა ქართლის მთიანეთს (შიდა ქართლის მთიან მხარეს) შეადგენს. ის ისტორიულად მუდამ ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი იყო.

არქეოლოგიური, არქიტექტურული, ეპიგრაფიკული, ტოპონიმური მასალების კვლევა ერთხმად ადასტურებს, რომ შიდა ქართლის მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობას უძველესი დროიდან ქართველები შეადგენდნენ.<sup>1</sup> ამ რეგიონის ტერიტორიაზე ძირძველ ქართულ მოსახლეობასთან ერთად სხვა ეთნოსები – ებრაელები, სომხები, ოსები დასახლდნენ. დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ XIX ს-ის დასაწყისში შიდა ქართლის ტერიტორიაზე ებრაელები ქართველებთან ერთად შერეულად ცხინვალში და ბრეთში ცხოვრობდნენ, ხოლო სომხები კი – ცხინვალში, თამარაშენში, დირბში, ბრეთში, არცევში და ახალგორში. ებრაელებისა და სომხების შიდა ქართლში განსახლება, უმეტესწილად, სავაჭრო ურთიერთობებს ემყარებოდა.<sup>2</sup> აქ მოსახლე ქართველები, ძირითადად, მართლმადიდებელი სარწმუნოების, ებრაელები – იუდაიზმის, ხოლო სომხები – გრიგორიანული და კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევარნი იყვნენ.

რაც შეეხება ოსების შიდა ქართლის ტერიტორიაზე განსახლებას, მათი მიგრაცია პირველ რიგში შეეხო საქართველოს ისტორიულ პროვინცია – დვალეთს.

აღსანიშნავია, რომ ოსების ეთნოგენეზი ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარეობდა. XIII ს-ში გარეშე მტრის თავდასხმების შედეგად მათ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს დასახლება. ეს პროცესი

<sup>1</sup> გაგოშიძე, *ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში*, გვ. 129-141; ზაქარაია, *შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის*, გვ. 125; ოთხმეზური, *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, გვ. 156; ხარაძე, *შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ*, გვ. 167.

<sup>2</sup> *Акты*, I, გვ. 465-469.

გაგრძელდა XV ს-მდე. ოსი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიან ხეობებში რამდენიმე თემის („თაგაურის“, „ქურთათის“, „ალაგირის“ და „დიგორის“) სახით ჩამოყალიბდა.

საქართველოს ისტორიულ პროვინცია – დვალეთში, რომელიც კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის, ე. წ. ნარ-მამისონის ქვაბულში მდებარეობდა, ოსების შემოსახლება XV-XVII ს-ებში მიმდინარეობდა და დასრულდა ოსების მიერ ადგილობრივი ქართველური ეთნიკური ჯგუფის „დვალეების“ ასიმილაციით. ეთნიკური და დემოგრაფიული ცვლილებების მიუხედავად, დვალეთი ქართველ მეფეთა სამფლობელოების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც, ეს პროვინცია 1859 წლამდე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში იყო და ტფილისის გუბერნიის ნაწილს წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებიდან გადმოსული ოსების პირველი დასახლებები კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარე საქართველოს ტერიტორიაზე, სპეციალისტების აზრით, XVII ს-ის პირველ ნახევარში ჩნდება თრუსოს ხეობასა (მდ. თერგის სათავე) და მალრან-დვალეთში (დიდი ლიახვის სათავე). დიდი და პატარა ლიახვის სათავეების მთიან ზოლში კი ოსების მიგრაცია XVII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება. ისტორიკოს რ. თოფჩიშვილის აზრით, XVIII ს-ის დასასრულს ოსები, ძირითადად, შიდა ქართლის მთაში იყვნენ დასახლებულნი. XVIII-XIX ს-ების მიჯნაზე კი მიმდინარეობს მათი შიდა ქართლის მთიდან მთისწინეთისა და ბარის სოფლებში ან ნასოფლარებში ჩასახლება. აქ ისინი ხშირ შემთხვევაში ქართულ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდნენ. დემოგრაფიული წყაროების მიხედვით, XIX ს-ის პირველ ნახევარში მთიდან მთისწინეთსა და ბარში ჩამოსახლება ინტენსიური არ იყო. ოსების ბარში აქტიური მიგრირება და მათი დასახლკარება XIX ს-ის შუა წლებიდან იწყება და საუკუნის ბოლომდე გრძელდება. მათი დიდი ნაწილი მთელ საქართველოში დისპერსიულად განსახლდა.<sup>2</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია, რომ შიდა ქართლის დაცლა და ადგილობრივი მოსახლეობის შემცირება მტრის შემოსევებისა და შიდა მიგრაციების შედეგი იყო. ამან გამოიწვია ქართლის მთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ბარისკენ გადანაცვლება და მისი ტერიტორიის შევსება, რაც კანონზომიერი პროცესი იყო. ქართლის მთიანეთის გაუკაცრიელებულ ტერიტორიებს კი ჩრდილოეთ კავკასიიდან მცირემინიანობის გამო მიგრირებული ეთნიკური

<sup>1</sup> თოფჩიშვილი, *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*, გვ. 218.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 218-220; გვასალია, *შიდა ქართლი და ოსური პრობლემა*, გვ. 56-58.

ჯგუფები, ძირითადად, ოსები იკავებდნენ. ადგილობრივ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ოსები ხიზნებად სახლდებოდნენ; მუშახელის სიმცირის გამო, ქართველთა ნასახლარებზე მათ დასახლებას ქართველი თავადაზნაურობაც ხელს უწყობდა.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ოსთა ჩამოსახლების პროცესი, ხშირ შემთხვევაში, მშვიდობიანი არ იყო. მათ მიერ ქართლის სოფლების დარბევის, ადამიანების გატაცებისა და ძარცვის ფაქტებს არაერთი წყარო მოწმობს. ქართლის დასახლებულ სოფლებს ისინი თავდასხმების გზითაც იკავებდნენ.

ოსი მეცნიერები, წყაროების თავისებური ინტერპრეტაციით, ცდილობენ დაამტკიცონ XVIII ს-ში ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ოსთა დიდი ჯგუფის ორგანიზებული გადმოსახლება. ისტორიკოსი გ. თოგოშვილი XVIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში ოსების 7.000-ზე მეტი კომლის (დაახლოებით 42.000 სული) არსებობას ვარაუდობდა.<sup>2</sup> ქართველი მეცნიერები ეწინააღმდეგებიან ამ თვალსაზრისს. რ. თოფჩიშვილი კამერალური აღწერების საფუძველზე ასაბუთებს, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართლში დასახლებული ოსების რაოდენობა 2.130 კომლს შეადგენდა. ერთ ოჯახში მეცნიერი საშუალოდ 7 სულს ანგარიშობს, რაც სულ 14.910 ადამიანს შეადგენს, ანუ დაახლოებით 15.000-მდე სულს.<sup>3</sup>

ქართლის მთიანეთის ხეობებში ოსი მოსახლეობის განსახლების, მათი სულადობრივი და კომლობრივი რაოდენობის შესახებ ღირებულ ცნობებს შეიცავს, 1817-1818 წლებში „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მისიონერის არქიმანდრიტ ნიკიფორეს მიერ შედგენილი აღწერილობა, რომელიც მას საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით შეუდგენია.<sup>4</sup> წყაროს მიზანი ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებულ ხეობებსა და სოფლებში მონათლული და მოსანათლი მოსახლეობის აღნუსხვა იყო. შიდა ქართლის ხეობების აღწერის მონაცემების დაჯამებით ვიგებთ, რომ არქიმანდრიტ ნიკიფორეს რეგიონში ოსების 1.668 კომლი დაუთვლია, რაც 9.678 სულს შეადგენდა. ეს მონაცემები არ ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ თვალსაზრისს, რომ XIX ს-ის დასაწყისში ოსების რაოდენობა საქართველოში 15.000-ს არ აჭარბებდა.

დემოგრაფი ა. თოთაძის დაანგარიშებით, ოსების რიცხვი საქართველოში 1833 წელს 14.000 სული უნდა ყოფილიყო. XIX ს-ის მეორე ნახევარში

<sup>1</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>2</sup> თოგოშვილი, *ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლებში*, გვ. 201-202.

<sup>3</sup> თოფჩიშვილი, *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*, გვ. 165, 169.

<sup>4</sup> ქოქრაშვილი, „*ოსეთის სასულიერო კომისიის*“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ.), გვ. 448-462.

საქართველოში ოსების რიცხვი მკვეთრად იზრდება. 1880 წლისთვის ის შეადგენდა 51.988, 1897 წელს კი – 71.500 სულს. ეს პროცესი, ქართველ მეცნიერთა აზრით, მოსახლეობის ბუნებრივი მატებით ვერ აიხსნება და მიუთითებს ჩრდილოეთიდან ოსების მასობრივ მიგრაციაზე. აღსანიშნავია, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქ. ცხინვალში ოსი მოსახლეობა არ ჩანს.<sup>1</sup>

**ოსების რელიგიური წარმოდგენები.** რელიგიური რწმენა-წარმოდგენები კარგად გამოხატავს საზოგადოების მდგომარეობას, ქცევის მოდელსა თუ მისწრაფებებს. ცნობილია, რომ ოსებს შორის ქრისტიანობა ჯერ ბიზანტიის, შემდეგ კი ქართველი მონარქების ხელშეწყობით ვრცელდებოდა. XVII-XVIII ს-ებში გაძლიერდა ისლამის ზეგავლენა, თუმცა ოსების წარმართული რელიგიური წარმოდგენები საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. ევროპელი მოგზაურები კლასიკური, კოხი, აიხვალდი და სხვანი, რომლებმაც კავკასიაში XIX ს-ის პირველ ნახევარში იმოგზაურეს, ოსების რწმენა-წარმოდგენებში წარმართობის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტების ურთიერთგავლენას ხედავდნენ.

ოსთა წარმართული პანთეონის მნიშვნელოვანი ღვთაებები იყო: „ხიცაუ“ (პატრონი) – მთავარი ღვთაება;<sup>2</sup> „ვასთირჯი“ – მეომართა, მგზავრთა, ავადმყოფთა და უქონელთა მფარველი, „ვაჩილა“ – გვალვის, ქუხილის და ომის ღვთაება; „ფალვარა“ (საქონლის ღვთაება), „ბინათი ხიცაუ“ (ადგილის პატრონი), „თუთირი“ (მგლების ღვთაება).

აღსანიშნავია, ასევე ღვთაებები „საუბარაგი“ – ქურდობის და ღამის თავგადასავალთა მძიებლების ღვთაება; „ფარნიჯი“ – ყოველთა მკვლელთა მფარველი და ა. შ. ისტორიკოსი ვ. ითონიშვილი „ფარნიჯის“ კულტს სკვითურ-სარმატულ-ალანურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებს. მისი აზრით, ოსური „მგლის (თუთირის) ლაშქრობები“, რომლითაც შენუხებულები იყო ქართველი მოსახლეობა, „ფარნიჯისა“ და „საუბარაგის“ კულტების არსებობით იყო კურთხეული და იდეურად ნახალისებული; ამ ლაშქრობების დროს ხშირი იყო ძარცვა, ადამიანების გატაცება და შემდეგ მონებად გაყიდვა.<sup>3</sup> საინტერესოა, რომ ოსთა შორის ყველაზე დისკრიმინირებული ე. წ. „მონების“, „ყურმოჭრილი ყმების“ ფენის სახელწოდება იყო – „გურზიაკი“. ვ. ითონიშვილის აზრით, „გურზიაკი“ უნდა ყოფილიყო ნაწარმოები სიტყვისაგან „гуйрдиаг“ („გუირდზიაგ“), რაც ოსურად ქართველს ნიშნავს. ითონიშვილის ვარაუდით, „გურზიაკის“ ფენის შემადგენლობა, ძირითადად, ოსური „თუთირის“ ლაშქრობის დროს მოტაცებული ქართველებისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი.<sup>4</sup>

<sup>1</sup> თოთაძე, *ოსები საქართველოში*, გვ. 19.

<sup>2</sup> Миллер, *Осетинские этюды*, II, გვ. 239.

<sup>3</sup> ითონიშვილი, *ოსიანობა*, გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 241.

ქრისტიანობის გავლენით ხშირი იყო ოსების წარმართული ღვთაებების ქრისტიანულ წმინდანებთან მისადაგება. მეცნიერები „ვასთირჯის“ ქრისტიან მონამესთან წმ. გიორგისთან აიგივებენ. თეთრ სამოსში და თეთრ ცხენზე ამხედრებულ ვასთირჯის (წმ. გიორგის) შავი მხედრის – „საუბარაგის“ ანტიპოდად და მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ, ხოლო საუბარაგის ორეულად კი წმ. თუთირის (მგლებს მეთუფეს) განიხილავენ.<sup>1</sup>

ქრისტიანიზებულ ღვთაებებს წარმოადგენდნენ ასევე: „უაცილა“ – წმინდა ილია, „უაც-ტოტური“ – წმინდა თეოდორე ტირონის, „უაც-ნიკოლა“ – წმინდა ნიკოლოზი და სხვა.<sup>2</sup> ოსების წარმართულ პანთეონში „ხიცაუ“ – უზენაესი, ერთარსი ღვთაების არსებობაც ქრისტიანობასთან ანალოგიადაა შეფასებული.<sup>3</sup>

ისტორიულად ქართველების როლი ოსების გაქრისტიანების საქმეში მნიშვნელოვანია. ქართული სახელმწიფოს მმართველები მუდმივად ცდილობდნენ ჩრდილოეთით მოსაზღვრე კავკასიის თემებში, მათ შორის, ოსებშიც ქრისტიანობის გავრცელებას. ამიტომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინოლოგია, ოსურში ქართულის გავლენით დამკვიდრდა: „მარხო“ – მარხვა, „სანიბა“ – სამება, „ჩირისტი“ – ქრისტე, „დეკანოზი“ – დეკანოზი, „თარანჯელოს“ – მთავარანგელოზი, „კუირი“ – კვირა და ა. შ. „ძუარი“ – სალოცავი, ყველა ოსურ სოფელში იყო, რომლის სახელწოდებაც უკავშირდება „ჯვარს“.<sup>4</sup> გაქრისტიანებული ოსების რწმენა-წარმოდგენებში მაინც ძლიერი იყო რელიგიური სინკრეტიზმი, წარმართული და მითოლოგიური კულტების ზეგავლენა: მზისა და მთვარის კულტი, ვარსკვლავთა თაყვანისცემის ტრადიცია, მუხის კულტი, ჭეჭა-ქუხილის, ელვის, მიწის, წყლის, მცენარეების თაყვანისცემა.<sup>5</sup>

XVII-XVIII ს-ებში ოსმალეთის მიერ ისლამის გავრცელებამ შეასუსტა კავკასიელ მთიელებზე, მათ შორის, ოსებზე ქართველების კულტურული და რელიგიური ზეგავლენა. თუმცა ამავე პერიოდში მიმდინარეობს ჩრდილოეთიდან ოსების შიდა ქართლის მიწებზე მიგრირება.

**XIX ს-ის დასაწყისში შიდა ქართლის მთიანეთში ქართულ-ოსური განმათავისუფლებელი ბრძოლა.** შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიები ოდითგანვე ქართველი ფეოდალების: მაჩაბლების, ამილახვრების, ფალა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 237; Абаев, *Историко-Этимологический словарь осетинского языка*, т. 3, გვ. 44. Дзидзоев, *Известное и неизвестное в этнографии и мифологии осетин*.

<sup>2</sup> თოფჩიშვილი, *კავკასიის ეთნოლოგია*, გვ. 223; კვაშილავა, *ეთნოკულტურული ეტიუდები*, გვ. 241-259, 254, 274.

<sup>3</sup> Миллер, *Осетинские этюды*, ч. II, გვ. 239.

<sup>4</sup> კვაშილავა, *ეთნოკულტურული ეტიუდები*, გვ. 156.

<sup>5</sup> Миллер, *Осетинские этюды*, ч. II, გვ. 239.



ვანდიშვილების და ქსნის ერისთავების სამფლობელოებს წარმოადგენდა. ამ ტერიტორიების ნაწილი უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის საკუთრება იყო და უფლისწულებს ეძლეოდათ, ნაწილს კი საპატრიარქო ფლობდა. ქართველ მეფეთა სამფლობელოდ ითვლებოდა კავკასიის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული დვალეთი.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის (1801 წელს) შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ სამეფო ოჯახის წევრები რუსეთში გაასახლა, მათი კუთვნილი მიწები ხაზინას გადასცა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ხაზინას გადაეცა საეკლესიო მიწებიც. ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ამ რეგიონში რუსეთმა ზოგიერთი ადგილობრივი ფეოდალი – მაჩაბლები და ქსნის ერისთავები გაიერთგულა. მათი მხარდაჭერით ხელისუფლებამ შიდა ქართლში დასაყრდენი გაიჩინა და ისინი ქართველ მეფეთა (ბაგრატიონთა) სამეფო სახლს დაუპირისპირა.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებამ განმათავისუფლებელი ბრძოლა გამოიწვია. XIX ს-ის 30-იან წლებამდე ანტირუსულ გამოსვლებში ხშირი იყო ქართველებისა და კავკასიელი მთიელების ურთიერთმხარდაჭერის შემთხვევები. ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლების ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად შიდა ქართლის ოსი მოსახლეობაც მხარს უჭერდა. ამით ისინი ქართლ-კახეთის სამეფოს ერთგულებასა და ქართველ მეფეთა ქვეშევრდომობას ადასტურებდნენ.<sup>1</sup>

ოსების გამოსვლები რუსების წინააღმდეგ 1802 წლიდან დაიწყო, როდესაც შიდა ქართლის მთიანეთში დასახლებული ოსები ქართველი უფლისწულების იულონ, ფარნაოზ და ლეონ იულონის ძე ბაგრატიონების მხარდასაჭერად დაესხნენ რუსების ჯარს. ლიახვისა და ფცის ხეობებში ოსების მღელვარება სიმონოვიჩის ექსპედიციამ ჩააცხრო.<sup>2</sup>

1804 წელს ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს ქართველ მთიელებს (მთიულები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები) და თრუსოს ხეობის ოსებს 300 კაციანი რაზმით ჩრდილოეთ კავკასიიდან თავაჯერელი ოსების წინამძღოლი ახმეტ დუდაროვიც (დუდარუკი) შეუერთდა. ქართველ უფლისწულს, ფარნაოზ ბატონიშვილს, ქურთათელმა (ოსური თემი ჩრდილოეთ კავკასიაში) ოსებმაც დაუჭირეს მხარი. აჯანყებულებმა შეძლეს სამხრეთ კავკასიაში შემოსასვლელის – „დარიალის კარის“ ჩაკეტვა, ჩრდილოეთ კავკასიიდან

<sup>1</sup> Ткавашвили, *Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века*, გვ. 253; ქოქრაშვილი, *შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე)*, გვ. 72.

<sup>2</sup> *Акты*, I, გვ. 58; თოგოშვილი, *ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლებში*, გვ. 6.

როკის უღელტეხილით შემოსული რუსული პოლკი კი ჯავასა და როკს შორის მოიმწყვდიეს და დაატყვევეს. თუმცა, ერევნის წარუმატებელი ლაშქრობიდან დაბრუნებული მთავარმმართველი ციციანოვი პირადად ჩაერთო აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში და სასტიკად გაუსწორდა მათ.<sup>1</sup>

1807 წელს ქართველი და ოსი მოსახლეობის ერთობლივი ანტირუსული გამოსვლა მოხდა ჯერ დიდი ლიახვის, შემდეგ ქსნისა და ლეხურას ხეობებში.<sup>2</sup> 1810-1811 წლებში სამაჩაბლოს ოსები ლეონ ბაგრატიონის მეთაურობით აჯანყდნენ, მის მხარდასაჭერად 2000 ოსი გამოსულა. პოლკოვნიკ სტალის ხელმძღვანელობით, რუსულმა ჯარმა იერიში მიიტანა ჯავისა და ლომსიანთხევის მიმართულებით, აჯანყება ჩაახშო, დაარბია მოსახლეობა და გადაწვა 20 სოფელი. უკუქცეული უფლისწული ლეონ იულონის ძე ახალციხის გზაზე ლეკებმა მოკლეს.<sup>3</sup> ოსების დიდმა ნაწილმა კახეთის აჯანყების (1812-1813 წწ.) დროს მხარი დაუჭირა, ასევე, უფლისწულ ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონს, რომელიც რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა და კავკასიონზე გადმოსასვლელების გადაკეტვას ცდილობდა.<sup>4</sup>

რუსეთის ხელისუფლებამ შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების დამორჩილება მთავარმმართველ პასკევიჩის დროს შეძლო, როდესაც 1830 წელს, გენერალ რენენკამპფის ხელმძღვანელობით, სპეციალური სამხედრო ექსპედიცია ჩატარდა.<sup>5</sup> შიდა ქართლის ოსების კავშირი ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მიუთითებდა, რომ ისინი თავს ქართული სახელმწიფოს ორგანულ ნაწილად თვლიდნენ.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლება შეეცადა ოსების მიმართ პოლიტიკა შეეცვალა და რუსულ-ოსური ურთიერთობების მონესრიგების ახალი მეთოდები და ხერხები ეხმარა, დაპირისპირებული ანტირუსული ძალისგან ისინი თავის მოკავშირედ ექცია. ხელისუფლება შიდა ქართლის ოსებში პრორუსული განწყობის ჩანერგვის პოლიტიკას დაადგა: მათ დაუწესდათ სხვადასხვა შეღავათები, შეუმცირდათ ან გაუუქმდათ სახელმწიფო გადასახადები და ა. შ.<sup>6</sup> მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს რუსეთის ხელისუფლებამ

<sup>1</sup> *Акты*, II, გვ. 307-308, 326, 335; ქოქრაშვილი, *ანტირუსული გამოსვლები საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში*, გვ. 3-4; ტოგონიძე, *ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804)*, გვ. 100-102.

<sup>2</sup> თოგოშვილი, *ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლებში*, გვ. 9.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>4</sup> *Акты*, V, გვ. 63; Kokrashvili, *Anti-Russian Demonstrations in Georgia in the First Half of the XIX Century*, გვ. 5-9.

<sup>5</sup> *Акты*, VII, გვ. 361-365; Ткавашвили, *Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века*, გვ. 253.

<sup>6</sup> ქოქრაშვილი, *შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე)*, გვ. 72.

დააკმაყოფილა ოსების მრავალწლიანი სასამართლო დავა (1837-1852) შიდა ქართლის ქართველი თავადების მაჩაბლების წინააღმდეგ. გარკვეული კომპენსაციისა და გადასახადის სანაცვლოდ, მაჩაბლებს ჩამოერთვათ მათ კუთვნილ მამულებში დასახლებულ ოსებზე საბატონო უფლებები.<sup>1</sup> ვორონცოვისე პროექტით, შიდა ქართლის სახაზინო მიწებზე დასახლებულ ოსებს ათიათასობით დესეტინა მიწა გადაეცათ უფასოდ.<sup>2</sup> რუსეთის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა, რათა ამ რეგიონში მისთვის სასურველი და ხელსაყრელი პოლიტიკური, ადმინისტრაციული, დემოგრაფიული სურათი შეექმნა.

ამგვარი პოლიტიკის შედეგი ქართულ-ოსური ურთიერთობების რღვევა, მათ შორის დაპირისპირების გაღვივება და გაუცხოება, შიდა ქართლში დასახლებულ ოსებში სეპარატისტული განწყობის დამკვიდრება იყო.<sup>3</sup>

**საეკლესიო-ადმინისტრაციული სტრუქტურა შიდა ქართლის მთიანეთში.** რელიგიურად ცვალებადი და სინკრეტული ეთნიკური ჯგუფების დასახლება ქვეყნის ტერიტორიაზე მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მათ მოქცევას და მართვას. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში გამოქვეყნებული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის (1788-1811) წერილი გენერალ კნორინგისადმი ასახავს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის პირველ წლებში, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, მის ავტოკეფალურ სტატუსს, საეკლესიო სტრუქტურას. კათოლიკოს-პატრიარქი აღმოსავლეთ საქართველოში სულ 13 ეპარქიას ასახელებს. აქედან ქართლში ჩამოთვლის 8 ეპარქიას: სამთავროს, თბილისის, რუისის, წილკნის, მანგლისის, ურბნისის, სამთავისის, ნიქოზის.<sup>4</sup>

წილკნის ეპისკოპოსის იოანეს წერილიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-სადმი (1800, 1 მარტი) ჩანს, რომ წილკნის საეპისკოპოსოს უფლებამოსილება ვრცელდებოდა კავკასიის მთების არაქრისტიან, წარმართ მოსახლეობაზეც: სამხრეთ კალთის ხეობებზე, სადაც ცხოვრობდნენ ქართველი მთიელები – მთიულები, გუდამაყრელები, ჭართლელები, ხანდოელები, მოხვეეები, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიაში – თრუსოსა და ზახას (დვალეთის ერთ-ერთი ხეობა) ხეობებზე. წყაროდან ვიგებთ, რომ კავკასიელ მთიელთა, მათ შორის ოსების, გაქრისტიანებას დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798), რომელიც ამ მიზნით ყოველწლიურად ხაზინიდან თანხებს გამოყოფდა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ჭუმბურიძე, შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში, გვ. 82-83.

<sup>2</sup> სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?, გვ. 93.

<sup>3</sup> ქოქრაშვილი, შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე), გვ. 73.

<sup>4</sup> *Акты*, I, გვ. 530.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 531-534.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცული მასალების მიხედვით, შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილი, მდ. დიდი ლიახვიდან რეხულომდე (ლახურა), უშუალოდ საპატრიარქოს განკარგულებაში ყოფილა. საპატრიარქო აქ ფლობდა 60 სოფელს, სადაც ორი სათავადო და 24 აზნაურთა გვარი შედიოდა. შიდა ქართლის მთიანეთის ხეობები და სოფლები, ძირითადად, ნიქოზის, წილკნის, რუისისა და ურბნისის ეპისკოპოსებს ექვემდებარებოდა.<sup>1</sup>

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ შეიცვალა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ტრადიციული ფორმები. რუსი მოხელეები ხშირად ერეოდნენ საეკლესიო მართვის პროცესში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიუთითებდნენ საეპისკოპოსო კათედრების შემცირებისა და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მორჩილებისკენ. 1803 წელს წილკნის ეპისკოპოსის იოანეს (ქარუმიძე) გარდაცვალებისთანავე, მისი კათედრა გაერთიანდა ჯერ სამთავისის, შემდეგ კი ნიქოზის ეპარქიასთან. წილკნელ-სამთავნელ-ნიქოზელ ეპისკოპოს გერვასის (მაჭავარიანი) იურისდიქცია კავკასიის მთიელებზეც გავრცელდა, რომელმაც კავკასიის მთიანეთში რელიგიურ-მისიონერული მოღვაწეობით გაითქვა სახელი.

1811 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისა და საეგზარქოსოს დაარსების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის რესტრუქტურისა და აქტიურად წარიმართა. აღმოსავლეთ საქართველოში ცამეტი ეპარქიის ნაცვლად შეიქმნა ორი – მცხეთა-ქართლისა და ალავერდ-კახეთის ეპარქია.

1814 წელს, დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის მიხედვით, გაუქმდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობაც, ხოლო 1815 წელს გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. ცვლილებები შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო-ადმინისტრაციულ სტრუქტურას, – აქამდე არსებული ორი ეპარქიის მაგივრად დაარსდა სამი: ქართლის, სიღნაღის და ოსეთის. ეს უკანასკნელი საგანგებოდ გამოყვეს შიდა ქართლის მთიანეთში დასახლებული ოსებისთვის. 1818 წელს, თეოფილაქტე რუსანოვის პროექტით, აღმოსავლეთ საქართველოში ეპარქიების რაოდენობა შეამცირეს – შეიქმნა ერთი ქართლ-კახეთის ანუ საქართველოს ეპარქია, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი დაარსდა – იმერეთის, სამეგრელოს და გურიის ეპარქიები.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს საეგზარქოსოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული საზღვრები რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამისიონერო ინტერესების შესაბამისად იცვლებოდა.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 531; *Акты*, IV, გვ. 165.

<sup>2</sup> *История Грузинской Иерархии*, გვ. 22; Е. К., *Краткий очерк истории грузинской церкви и Экзархата за XIX столетие*, გვ. 53-54; 56; ქოქრაშვილი, *რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი)*, გვ. 40.

**რუსეთის სამისიონერო პოლიტიკის მიზანი კავკასიასა და საქართველოში.** რელიგიურ ფაქტორს რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის მობერებულად იყენებდა მეზობელი ეთნოსებისა თუ ქვეყნების ქვეშევრდომობაში მოსაქცევად. აღსანიშნავია, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიაში დამკვიდრების პოლიტიკა, სამხრეთით საზღვრების გაფართოება, მეზობელი ხალხების დამორჩილება და რუსიფიკაცია მოითხოვდა სამისიონერო საქმის გააქტიურებას. „ინოროდცების“ გასაქრისტიანებლად მისიები იგზავნებოდა. „ერთმორწმუნეობა“, მართლმადიდებლობაზე მოქცევა იყო ის იდეოლოგიური ბერკეტი, რომელსაც უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ ხალხის რუსული პოლიტიკური ორიენტაცია და კურსი.<sup>1</sup>

XVIII ს-ში დაიწყო რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიური ათვისება. აქტუალური გახდა ოსების გაქრისტიანება და ამ გზით მათი პრორუსული ორიენტაციის ფორმირება. 1745-1792 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ დაარსებული „ოსეთის სასულიერო კომისია“, ცენტრით მოზდოკში. სამისიონერო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის მიზანი ამ რეგიონში ოსების გაქრისტიანება იყო, მიუთითებდა, რომ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად და დასაყრდენად სწორედ ეს ხალხი შეირჩა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმპერიის მიერ კავკასიის კოლონიური ათვისების მიმართულება ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთისკენ დაიგეგმა. თუმცა ამ ორგანიზაციის სამისიონერო მოღვაწეობა იმ ეტაპზე წარუმატებლად ჩაითვალა და „კომისია“ საუკუნის ბოლოს გაუქმდა.<sup>2</sup> სამაგიეროდ, რუსეთმა პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია. რუსეთ-ოსმალეთის საზავო პირობების თანახმად, 1774 წელს რუსეთის შემადგენლობაში ყაზარდოსთან ერთად შევიდნენ ჩრდილოეთ კავკასიელი ოსების – ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის თემები. 1781 წელს მათ დიგორის ოსური თემიც შეუერთდა.<sup>3</sup>

**ქართლის მთიანეთში რუსული საეკლესიო პოლიტიკა და ტოპონიმური ლექსიკის ცვლილებები.** რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის (1801) შემდეგ, საქართველოს ოსი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების აღსანიშნავად რუსი სახელმწიფო მოხელეების მიერ მკვიდრდება ტერმინი – „ოსეთი“. 1802 წელს გენერალმა კარლ კნორინგმა რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ პატაკში, შიდა ქართლის მთიან რა-

<sup>1</sup> Kokrashvili, *The Russian Empire's Religious Policy in Georgia (The First Half of the 19<sup>th</sup> Century)*, გვ. 63-64.

<sup>2</sup> ქოქრაშვილი, *შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე)*, გვ. 74.

<sup>3</sup> ითონიშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ – ცენტრალურ საქართველოში, გვ. 15; თოთაძე, *ოსები საქართველოში*, გვ. 42-44.



იონებს დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, სადაც ოსი მოსახლეობა ქარბობდა – „ოსეთი“ უწოდა. შემდგომში რუსი მოხელეები ამ ტერმინს იყენებენ უკვე მდინარეების – ქსნის, მეჯუდის, ლეხურის და ფცის ზემო წელში ოსებით დასახლებული ტერიტორიების მიმართ. პარალელურად, XIX ს-ის 30-იანი წლების რუსული დოკუმენტები შიდა ქართლის მთიანეთს შემდეგი ტერმინებითაც იხსენიებენ: საქართველოს ოსეთი, ქართლის ოსეთი, საქართველოს ოსები, ჩრდილოეთ ქართლის ოსეთი, შიდა ქართლის ოსები, საქართველოს კუთვნილი ოსები და ა. შ.<sup>1</sup>

შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ ტერმინის – „ოსეთის“ დამკვიდრებას განსაკუთრებულად რუსეთის საეკლესიო-რელიგიურმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი.

ქართლ-კახეთის დაპყრობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთმა კავკასიის მთიელებში ქრისტიანული სარწმუნოების შეტანა საქართველოდან სცადა. დოსითეოს ფიცხელაურის მიერ შედგენილი საქართველოს ეკლესიის რესტრუქტურისა და პროექტი, რომელსაც 1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მოაწერა ხელი, სხვა საკითხებთან ერთად „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენასაც ითვალისწინებდა. აღნიშნულმა სამისიონერო ორგანიზაციამ, 1815 წლის 15 სექტემბერს სინოდის განკარგულებით, მოღვაწეობა განაახლა. ამჯერად, მისი ცენტრი თბილისი გახდა.<sup>2</sup> შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის მიერ კავკასიის რელიგიური ექსპანსიის მიმართულება, რადიკალურად შეიცვალა – სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთისკენ. ხელისუფლებამ ოსებისა და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა გაქრისტიანების პროცესი, ამჯერად, საქართველოდან დაიწყო.

პრაქტიკულად, რუსეთი კავკასიას ორი მიმართულებით უტევდა: ჩრდილოეთიდან, ძირითადად, ჯარით, საზღვრების სამხრეთისკენ გადაადგილებით, ტერიტორიების დაკავებით. სამხრეთიდან კი რელიგიური მქადაგებლობით, რუსიფიკაციის რბილი მეთოდით.

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობა გულისხმობდა: მთიელთა შორის ქრისტიანობის საქადაგებლად მისიების გაგზავნას, ეკლესიების მშენებლობას, სკოლების გახსნას, ადგილობრივ ენებზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგმნას. მისიის ფუნქციონირებისთვის თავდაპირველად სახელმწიფომ გამოყო 14.750 მანეთი, კაზაკთა ასეული და 30 გამცვილებელი.

<sup>1</sup> სონლულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, გვ. 86; Джоджуа, *Историография Цхинвальского региона (Южная Осетия)*, გვ. 107-108.

<sup>2</sup> *Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг.*, გვ. 27; წვერავა, *საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში*, გვ. 54.



„კომისიას“ სათავეში ჩაუდგა მთავარეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური და დაექვემდებარა უშუალოდ რუსეთის უწმინდეს სინოდს.<sup>1</sup>

სამისიონერო ორგანიზაციის ფუნქციაში შედიოდა თავდაპირველად შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ხოლო შემდეგ კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე დასახლებული ოსებისა და მთიელების გაქრისტიანება. საწყის ეტაპზე, ხელისუფლებამ გამოიყენა კავკასიის მთიელთა შორის ქართველთა სამისიონერო გამოცდილება და ქართულ-კავკასიური ურთიერთობები. მიზანშეწონილად ჩაითვალა კავკასიის მთიელების გაქრისტიანება ქართველი სასულიერო პირების დახმარებით: ჩატარდა შიდა ქართლის მთიანეთის მოსანათლი და მოუნათლავი მოსახლეობის აღწერა, დაიგეგმა თითოეულ ხეობაში არსებული ძველი ეკლესიების აღდგენა ან ახლის აგება.<sup>2</sup> ქართლ-კახეთის სამეფო კარზე აღზრდილი ოსი სწავლულის იოანე იაღლუზისძის (1775-1830) მიერ, ქართული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა ოსური ანბანი, ოსურად ითარგმნა სასულიერო ლიტერატურა.

თუმცა, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან გამოიკვეთა „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობაში, ქართველი სასულიერო პირების ჩანაცვლების ტენდენცია ოსი და რუსი ეროვნების სამღვდელოებით და მისიონერებით. შესაბამისად, XIX ს-ის მეორე ნახევარში ოსური დამწერლობა რუსული ანბანის მიხედვით იქმნება.<sup>3</sup>

„ოსეთის სასულიერო კომისიის“ დაარსების პარალელურად, 1814-1818 წლებში შიდა ქართლის მთიანეთში შეიქმნა საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ოსეთის ეპარქია“ ეწოდა.<sup>4</sup> მას სათავეში ჩაუყენეს მთავარეპისკოპოსი დოსითეოსი (ფიცხელაური), რომელიც ამავე დროს „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხელმძღვანელად იყო დანიშნული. „ოსეთის ეპარქიის“ დაარსებით მოინიშნა ტერიტორია, სადაც უნდა ემოქმედა „ოსეთის სასულიერო კომისიას“. ახლად აღდგენილმა „კომისიამ“ სწორედ ამ ეპარქიიდან დაიწყო ოსების გაქრისტიანება. ტერმინი – „ოსეთი“ შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიების აღსანიშნად, უკვე ოფიციალური ორგანიზაციის („ოსეთის სასულიერო კომისია“) სახელწოდებაში, ასევე, საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებაში გაჩნდა. „ოსეთის სასულიერო კომისია“ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე მოქმედებდა.

<sup>1</sup> *История Грузинской Иерархии*, გვ. 69-70.

<sup>2</sup> ქოქრაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ.), გვ. 448-462.

<sup>3</sup> ქოქრაშვილი, შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე), გვ. 74-75.

<sup>4</sup> *История Грузинской Иерархии*, გვ. 24; Е. К., *Краткий очерк истории грузинской церкви и Эжархата за XIX столетие*, გვ. 53-54, 56.

„ოსეთის სასულიერო კომისიას“ თავისი მოღვაწეობა, ცხადია, შიდა ქართლის მთიანეთში ახლად შექმნილი „ოსეთის ეპარქიიდან“ უნდა დაეწყოს. კონკრეტულად რომელ სოფლებსა და ხეობებში უნდა ემოქმედა საწყის ეტაპზე ამ ორგანიზაციას, ვფიქრობ, კარგად ჩანს არქიმანდრიტ ნიკიფორეს ზემოხსენებული 1817-1818 წწ. ანგარიშიდან საქართველოს ეგზარქოსისადმი. ეს უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტერიტორია, სადაც არქიმანდრიტი გაგზავნეს შიდა ქართლის მთიანეთის ოსებით დასახლებული ხეობებისა და სოფლების აღსაწერად. ხეობები, რომლებიც მან აღწერა მოიცავდა მდინარეების ლიხვის, ქსნის, ლეხურას სათავეებს, ასევე დვალეთს, თრუსოს, არაგვის ხეობის მთიანეთის ტერიტორიას, კერძოდ: გერის, ზავდის, ჯომაგის, ნარის, ყორნისის, ჯავის, სხლების, ქეშელთის, როკის, თრუსოს, ლუდას, მნას, ჯაისხევის, გუდამაყრის, კუდაროს, არაგვის ხეობებისა და მათ მიმდებარე სოფლებსა და თემებს.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ოსი მოსახლეობის მთიანი რეგიონიდან სამხრეთით ჩამოსახლებასთან ერთად, თანდათან ფართოვდებოდა ის არეალი, რომლის ფარგლებშიც ამ ორგანიზაციას უნდა ემოქმედა.<sup>2</sup>

ამგვარად, XIX ს-ის 10-20-იანი წლებიდან, რუსეთის საეკლესიო-ადმინისტრაციული და რელიგიური პოლიტიკის მეშვეობით, საქართველოს ონომასტიკურ ლექსიკაში თითქოს შეფარულად, მაგრამ ეფექტურად შემოდის, ფიქსირდება და მკვიდრდება ტერმინი – „ოსეთი“. საეკლესიო-ადმინისტრაციულმა და სამისიონერო პოლიტიკამ განაპირობა ახალი წარმოსახვითი საზღვრებისა და სივრცის ფორმირება. მოგვიანებით, ამ სივრცესთან ხელოვნურად მორგებულმა ტოპონიმურმა ტერმინოლოგიამ პოლიტიკური ყდერადობა შეიძინა; ის ოფიციალურად გაფორმდა და დაკანონდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნით.

XIX ს-ის 30-იან წლებში კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის მთავარმმართველი ბარონი როზენი (1831-1837) აღნიშნავდა: „რუკაზე ერთი შეხედვაც ადასტურებს, რომ ეს მიწა მრავალი თვალსაზრისით იმსახურებს ჩვენი ხელისუფლების ყურადღებას. ჩვენი მტკიცე ბატონობა ოსეთში თამამად გაჭრის კავკასიონის ქედს ორ ნაწილად, მაშინ როცა ახლა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა კვეთს მას ნახევრად დაპყრობილ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ხალხებს შორის“.<sup>3</sup> ეს განცხადება მოწმობს,

<sup>1</sup> ქოქრაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ.), გვ. 455-460.

<sup>2</sup> ქოქრაშვილი, შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე), გვ. 15-16.

<sup>3</sup> ლომინაძე, ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი“, გვ. 4; თოთაძე, ოსები საქართველოში, გვ. 38.

რომ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში, მის ორივე კალთაზე დასახლებული ოსების ერთიანი ადმინისტრაციული ერთობის ფორმირება რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი გახდა.<sup>1</sup>

საეკლესიო პოლიტიკას, სამისიონერო ორგანიზაციის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ დახმარებით, ამ მიმართულებით პირველი კვალი უნდა გაველო. შეემზადებინა ტერიტორიული სივრცე და მოსახლეობა ადმინისტრაციული ცვლილებებისთვის, რასაც მოჰყვებოდა უკვე პოლიტიკური ნაბიჯები.

მაღე ამ გეგმის განხორციელება დაიწყო. რუსეთის სამხედრო მინისტრის რეკომენდაციით, 1840 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიაში აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისთვის საგანგებოდ შეიქმნა: თუმ-ფშავ-ხევსურეთისა და ოსეთის ოკრუგები.

თავდაპირველად, ოსეთის ოკრუგი მოიცავდა დიდი ლიახვისა და თერგის სათავეების ტერიტორიებს. მაღე ცხადი გახდა, რომ ოკრუგში ხელოვნურად გაერთიანებული, ერთმანეთისგან სრულიად მოწყვეტილი მაღალმთიანი ხეობები მართვის პრობლემებს ქმნიდა. 1842 წელს მთავარმმართველ გოლოვინის რეორგანიზაციით, ოსეთის ოკრუგი ორად გაიყო და შეიქმნა: ოსეთის ოკრუგი და მთის ოკრუგი. ამ უკანასკნელში შევიდა საქართველოს სამხედრო გზის მიმდებარე ტერიტორია.<sup>2</sup> 1843 წელს „ოსეთის ოკრუგში“ გაერთიანდა – ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთის ტერიტორიის ნაწილი), ხოლო მთის ოკრუგში კი – ქსნის, მთიულეთისა და ხევის უბნები. 1847 წელს გამოცემული კავკასიის გენერალური რუკის მიხედვით, „ოსეთის ოკრუგი“ მოიცავდა მცირე ლიახვის სათავეებს (ისტორიულ მაღრან-დვალეთს), ჯავის მხარესა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ნარ-მამისონის ქვაბულს.<sup>3</sup>

ამგვარად, XIX ს-ის 40-იან წლებიდან სახელწოდება „ოსეთი“ უკვე შიდა ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დასახელებაში აისახა. საქართველოში ოსებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიას ოფიციალურად „ოსეთი“ უწოდეს, ამით ის გამიჯნეს ქართული სამყაროსგან.

ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისით, რუსეთის ხელისუფლებამ ტოპონიმი „ოსეთი“ ოფიციალურად პირველად 1843 წელს შემოიტანა, როდესაც ქართლის მთიანეთში „ოსეთის ოკრუგი“ შეიქმნა.<sup>4</sup> თუმცა რეალურად ირკვევა, რომ ტერმინი „ოსეთი“ საეკლესიო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებაში დაახლოებით სამი ათეული წლით

<sup>1</sup> ჭეიშვილი, „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“, როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად, გვ. 230.

<sup>2</sup> *Акты*, IX, გვ. 749-750.

<sup>3</sup> ლეიკიშვილი, როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“, გვ. 266.

<sup>4</sup> გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, გვ. 58.

ადრე გაჩნდა, როდესაც 1814-1818 წლებში შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე დაარსდა „ოსეთის ეპარქია“.<sup>1</sup>

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიების მიმართ ტერმინი – „ოსეთი“ ოფიციალურად პირველად საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დასახელებაში გაჟღერდა. ამ ტერმინოლოგიის დამკვიდრებას რუსეთის საეკლესიო-რელიგიურმა და სამისიონერო პოლიტიკამ შეუშაბა საფუძველი, ხოლო შემდეგ ის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რუკაზეც გაჩნდა.

პოლიტიკური გეოგრაფიის ამგვარი ცვლილების შედეგი მძიმე აღმოჩნდა. 1859 წელს თბილისის გუბერნიის „ოსეთის ოკრუგს“ ნარის, ხოლო ქუთაისის გუბერნიას მამისონის უბნები ჩამოაშორეს და მიუერთეს ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგს“, რომელიც კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთაზე შეიქმნა. შემდგომში ნარის უბანი თერგის ოლქს გადაეცა, 1924 წელს კი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შევიდა. ამგვარად, საქართველომ ისტორიული დვალეთის ტერიტორია დაკარგა. ყოფილი „ოსეთის ოკრუგის“ სხვა ტერიტორიები კი გორის მაზრაში გააერთიანეს უბნების სახით.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, XIX ს-ის 40-50-იან წლებში კავკასიონის ორივე კალთაზე რუსეთის ხელისუფლებამ თითქმის იდენტური დასახელების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები დააარსა – „ოსეთის ოკრუგი“ (სამხრეთ კავკასია, ტფილისის გუბერნია) და „ოსეთის სამხედრო ოკრუგი“ (ჩრდილოეთ კავკასია).

აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულების დასახელებების მიხედვით კარგად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიაში – „ოსეთის ოკრუგში“, რომელიც ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა, სამოქალაქო მმართველობის ფორმა დამყარებული ანუ ეს რეგიონი უკვე დამორჩილებულია და ის შესაძლოა მთელ იმპერიაში მოქმედი სამოქალაქო მმართველობის სისტემის მიხედვით იმართოს. ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ოკრუგის დასახელება კი გვიჩვენებს, რომ აქ სამხედრო-სახალხო მმართველობის ფორმა მოქმედებს. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთი ჯერ მყარად ვერ გრძნობს თავს. თუმცა თითქმის მსგავს დასახელებებში ნათლად იკითხება ამ ორი ტერიტორიის გაერთიანების, ერთიან სივრცედ აღქმის, მოაზრებისა და ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბების სურვილი.

<sup>1</sup> ქოქრაშვილი, შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე), გვ. 76.

<sup>2</sup> გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, გვ. 58; ჭეიშვილი, „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“, როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად, გვ. 231.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ისტორიკოს გ. ჭეიშვილის მიერ, ახსნილია, რომ მათ ერთიან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სივრცედ ფორმირებას წინააღმდეგობას უქმნიდა გეოგრაფიული ფაქტორი, კავკასიონის მთავარი ქედის სახით. თუმცა ამავე ფაქტორმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ახალი ონომასტიკური წყვილის „სამხრეთ ოსეთისა“ და „ჩრდილოეთ ოსეთის“ წარმოშობას.<sup>1</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის – „სამხრეთ ოსეთი“ – ფორმირებაში, ამჯერადაც, რუსეთის მიერ დაარსებული და კავკასიაში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციის როლი იკვეთება.

შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირველად ახსენეს 1830 წელს რუსულენოვან გაზეთში „ტიფლისკი ვედომოსტი“ („Тифлисские ведомости“, 1830, № 72-86).<sup>2</sup> წერილების სერიაში, რომელიც მოიცავს 7 სტატიას, კორესპონდენტმა (ავტორი მითითებული არ არის) ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაასახელა კავკასიონის სამხრეთ კალთაზე ოსებით დასახლებული, კერძოდ, გორის მაზრის – ჯავის, ქეშელთის, მალრანდვალეთის თემების ტერიტორიის აღსანიშნავად.

ოფიციალურად კი ტერმინი – „სამხრეთ ოსეთი“ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან სამისიონერო ორგანიზაციის – „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ანგარიშებში სისტემატურად გვხვდება. ისტორიკოს ს. ლეკიშვილის კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიების მიმართ ტერმინის „სამხრეთ ოსეთი“ ოფიციალურად დამკვიდრების ინიციატორი სწორედ ეს სამისიონერო ორგანიზაცია იყო.<sup>3</sup>

მკვლევარმა იმის საილუსტრაციოდ, თუ როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, გააანალიზა სოლიდური მასალა, XIX ს-ის წყაროები, გამოქვეყნებული დოკუმენტები, პერიოდული პრესა, მოხელეთა და ორგანიზაციების ანგარიშები. ირკვევა, რომ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ აღნიშნული პერიოდის ოფიციალურ დოკუმენტურ წყაროებში 21-ჯერ დაფიქსირდა, აქედან უკლებლივ ყველა შემთხვევა უკავშირდება სწორედ „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ და მის ანგარიშებს, რომლებიც ყოველწლიურად საჯაროდ ქვეყნდებოდა.<sup>4</sup> აღნიშნული ტოპონიმის – „სამხრეთ ოსეთი“ – გირაჟირება ამ ფორმით ხდებოდა შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ.

„კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ დაარსდა 1860 წელს, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ გაუქმების

<sup>1</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>2</sup> ითონიშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ – ცენტრალურ საქართველოში, გვ. 39; ლეკიშვილი, როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“, გვ. 261.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 272.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 259.

შემდეგ, რომელმაც ამ პერიოდისთვის თავისი ფუნქცია შეასრულა და ახალ-მა პოლიტიკურმა რეალობამ სამისიონერო მოღვაწეობის გაფართოება მოითხოვა.

XIX ს-ში რუსეთის იმპერიაში „ინოროდცების“ გარუსების ორი მოდელი არსებობდა. პირველი პირდაპირ უკავშირდება სახალხო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს: უხეში მეთოდებით სკოლისა და მოსახლეობის ტოტალურ რუსიფიკაციას, რუსული სკოლის მეშვეობით ადამიანების გონებისა და აზროვნების შეცვლას, მშობლიური ენის აღმოფხვრასა და რუსული ენის გაძლიერებას.<sup>1</sup>

მეორე მოდელი მისიონერთა გამოცდილებით შემუშავდა და ძირითადად, სასულიერო სასწავლებლებსა და სამრევლო სკოლებში დაინერგა. ის გულისხმობდა რუსიფიკაციის პროცესის რელიგიიდან დაწყებას, „ინოროდცების“ გარუსებას და ასიმილაციას არა უხეში მეთოდით, არამედ შეპარვით, ამ შემთხვევაში, მართლმადიდებლობის დახმარებით. დაწყებით სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა არა იმდენად რუსული ენის შესწავლას, არამედ არარუს მოსახლეობაში რუსული მსოფლმხედველობის, მენტალობის, ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულებების დანერგვას, რისთვისაც მშობლიურ ენას იყენებდნენ.<sup>2</sup>

XIX ს-ის 60-იან წლებამდე ამ მოდელით საქართველოში მუშაობდა „ოსეთის სასულიერო კომისიის“, შემდეგ კი „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ დაარსებული სკოლები, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან კი საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლები. ოსურ სამრევლოებში ამ მეთოდის გამოყენებამ, ერთი მხრივ, განაპირობა ოსების რუსიფიკაცია, პრორუსული ორიენტაციის გაძლიერება, მეორე მხრივ კი, ხელი შეუწყო ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუცხოებას, ქართული კულტურული რეალობისგან ოსების დაშორებას.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიაში სამისიონერო საქმის გააქტიურებამ რუსეთის იმპერიისთვის სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა, რაც დაკავშირებული იყო კავკასიის ომების დამამთავრებელ ეტაპთან. იარაღით დაპყრობილი კავკასიელი მთიელების დამორჩილების, მათი რუსიფიკაციის პროცესში ქრისტიანულ რელიგიას მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი უნდა შეესრულებინა. კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკი (1856-1862), რომლის ინიციატივითაც შეიქმნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ასაბუთებდა მისი დაარსების აუცილებლობას და აღნიშნავდა: „მართლმადიდებლური სარწმუნოება რუსე-

<sup>1</sup> ქოქრაშვილი, *სასულიერო განათლების სისტემის ისტორიიდან*, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 116-117.



თის უმთავრეს სახალხო ძალას წარმოადგენს... საჭიროა რომ ყოველმა რუსმა თავისი სამშობლოს სადიდებლად ამაგი დასდოს და წვლილი შეიტანოს მართლმადიდებლობის გავრცელების საქმეში. ჩვენ გვჭირდება საერთო ძალისხმევა. რასაც ვერ გააკეთებს ერთი რუსი, იმას შეძლებს მთელი რუსეთი“.<sup>1</sup>

სამისიონერო-რელიგიური ორგანიზაციის მეშვეობით ტერმინის – „სამხრეთ ოსეთი“ – შემოტანამ, საფუძველი შეუმზადა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ლექსიკაში ტოპონიმური ნყვილის – „ჩრდილოეთ ოსეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ დამკვიდრებას, რომელიც XX ს-ში საბჭოთა ხელისუფლებამ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცვლილებებით გაამყარა. საქართველოს ისტორიულ რეგიონში – შიდა ქართლში – მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული ტოპონიმური ლექსიკა, XX ს-ის დასაწყისში ოკუპირებულ და გასაბჭოებულ საქართველოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ტრანსფორმირდა, როგორც „საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ (1922).

## დასკვნა

ამრიგად, რუსეთის საეკლესიო-სამისიონერო და რელიგიურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიაში რუსეთის იმპერიისთვის სასურველი პოლიტიკური რეალობისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების ფორმირებაში. რუსეთის იმპერიამ, გავლენის გაძლიერებისა და ახალი საზღვრების ფორმირებისთვის, წარმატებით გამოიყენა რელიგიური ფაქტორი, როგორც ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვების „არაძალადობრივი“ ინსტრუმენტი.

საქართველოს, კერძოდ, შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ ტერმინების – „ოსეთი“, „ოსეთის ეპარქია“, „ოსეთის ოკრუგი“, „სამხრეთ ოსეთი“ – დამკვიდრებაში ჩანს რუსეთის საეკლესიო-რელიგიური პოლიტიკის როლი. თავდაპირველად ეს ტერმინოლოგია გაჟღერდა საეკლესიო-ადმინისტრაციული და სამისიონერო ორგანიზაციების მეშვეობით, რაც მოგვიანებით პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების შექმნით გამყარდა.

საქართველოს ონომასტიკაში ამ ლექსიკის შემოტანა იყო ეთნოპოლიტიკური და ტოპონიმური შეტევა. ცარისტული რუსეთის პოლიტიკით, ჯერ კიდევ, XIX ს-ში მომზადდა საფუძველი საქართველოში ოსების ტერიტორიული პრეტენზიებისთვის, რომლის შედეგებმა ეთნოკონფლიქტების სახით თანამედროვე პერიოდშიც იჩინა თავი. ამჟამად, საქართველოს ისტორიული რეგიონის – შიდა ქართლის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (ცხინვალის

<sup>1</sup> Е. К., *Краткий очерк истории грузинской церкви и Экзархата за XIX столетие*, გვ. 109.

რეგიონი/ყოფილი საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის ზონაა და საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენს.

## **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

**ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგ ზარქოსობის დროს** – ბუბულაშვილი ე., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგ ზარქოსობის დროს, თბილისი, 2022.

**გაგოშიძე, ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში** – გაგოშიძე გ., ქართული წარწერები თრუსოსა და მნის ხეობაში, „თრუსო: ისტორიული და ეთნოკულტურული პრობლემები“, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2021, გვ. 129-141.

**გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა** – გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, თბილისი, 1997.

**ზაქარაია, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის** – ზაქარაია პ., შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, „ოსთა საკითხი“, კრებული შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 125-155.

**თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლებში** – თოგოშვილი გ., ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლებში, თბილისი, 1969.

**თოთაძე, ოსები საქართველოში** – თოთაძე ა., ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008.

**თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები** – თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997.

**თოფჩიშვილი, კავკასიის ეთნოლოგია** – თოფჩიშვილი რ., კავკასიის ეთნოლოგია, თბილისი, 2012.

**ითონიშვილი, ოსიანობა** – ითონიშვილი ვ., ოსიანობა, „ოსთა საკითხი“, კრებული შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 228-257.

**ითონიშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ – ცენტრალურ საქართველოში** – ითონიშვილი ვ., „სამხრეთ ოსეთი“ – ცენტრალურ საქართველოში, „ოსთა საკითხი“, კრებული შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 5-44.

კვაშილავა, ეთნოკულტურული ეტიუდები – კვაშილავა ი., ეთნოკულტურული ეტიუდები, თბილისი, 2018.

ლეკიშვილი, როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ – ლეკიშვილი ს., როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“, „ოსთა საკითხი“, კრებულის შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 258-275.

ლომინაძე, ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი“ – ლომინაძე რ., ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი“, გაზ. „განათლება“, 30 ოქტომბერი, 1991, გვ. 5.

ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა – ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, „ოსთა საკითხი“, კრებულის შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 126-156.

პავლიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945) – პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ. 1, თბილისი, 2008.

სონლულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! – სონლულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009.

ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804) – ტოგონიძე ვ., ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804), თბილისი, 1951.

ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი) – ქოქრაშვილი ხ., რუსეთის რელიგიური პოლიტიკა საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო., „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, თბილისი, 2008, გვ. 39-55.

ქოქრაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ.) – ქოქრაშვილი ხ., „ოსეთის სასულიერო კომისიის“ არქიმანდრიტი ნიკიფორე შიდა ქართლში ოსების განსახლების შესახებ (1817-1818 წწ.), აშოს, 2010, N1 (7), გვ. 448-462.

ქოქრაშვილი, სასულიერო განათლების სისტემის ისტორიიდან – ქოქრაშვილი ხ., სასულიერო განათლების სისტემის ისტორიიდან XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, აშოს, 2014, N2 (15), გვ. 105-121.

ქოქრაშვილი, შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე) – ქოქრაშვილი ხ., შიდა ქართლის მთიანეთში რუსეთის პოლიტიკის ისტორიისთვის (XIX საუკუნე), აშოს, 2016, N1 (18), გვ. 63-81.

ქოქრაშვილი, ანტირუსული გამოსვლები საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში – ქოქრაშვილი ხ., ანტირუსული გამოსვლები საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში, „რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო“, ვებგვერდის მისამართი: <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-2801.pdf> (გადამოწმების თარიღი: 2024, 30 მაისი).

წვერავა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში – წვერავა ვ., საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003.

ჭეიშვილი, „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“, როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად – ჭეიშვილი გ., „ოსეთიდან“ „სამხრეთ ოსეთამდე“, როგორ იცვლებოდა ეთნიკური გეოგრაფია პოლიტიკურ გეოგრაფიად, პაპა, XIV, თბილისი, 2011, გვ. 218-233.

ჭუმბურიძე, შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში – ჭუმბურიძე დ., შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში, აშშ, 2013, N1 (12), გვ. 73-90.

ხარაძე, შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ – ხარაძე კ., შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, „ოსთა საკითხი“, კრებულის შემდგენლები და რედაქტორები: ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 63-82.

Kokrashvili, *Anti-Russian Demonstrations in Georgia in the First Half of the XIX Century* – Kokrashvili Kh., *Anti-Russian Demonstrations in Georgia in the First Half of the XIX Century*, „The Expansion of Russia in the Caucasus and Georgia“, 2020. ვებგვერდის მისამართი: <https://gfsis.org.ge/files/library/pdf/English-2801.pdf> (გადამოწმების თარიღი: 2024, 30 მაისი).

Kokrashvili, *The Russian Empire's Religious Policy in Georgia (The First Half of the 19<sup>th</sup> Century)* – Kokrashvili Kh., *The Russian Empire's Religious Policy in Georgia (The First Half of the 19<sup>th</sup> Century)*, „Certain Aspects of Georgian-Russian Relations in Modern Historiography“, D. Muskhelishvili (Editor), New York, 2014, გვ. 63-81.

Абаев, *Историко-Этимологический словарь осетинского языка* – Абаев В., *Историко-Этимологический словарь осетинского языка*, т. 3, Ленинград, 1979.

*Акты, I* – АКАК, под ред. А. Берже, т. I, Тифлис, 1866.

*Акты, II* – АКАК, под ред. А. Берже, т. II, Тифлис, 1868.

*Акты, IV* – АКАК, под ред. А. Берже, т. IV, Тифлис, 1870.

*Акты, V* – АКАК, под ред. А. Берже, т. V, Тифлис, 1873.

*Акты, VII* – АКАК, под ред. А. Берже, т. VII, Тифлис, 1878.

*Акты, IX* – АКАК, под ред. А. Берже, т. IX, Тифлис, 1884.

Джоджуа, *Историография Цхинвальского региона (Южная Осетия)* – Джоджуа Т., *Историография Цхинвальского региона (Южная Осетия)*, გვ. 107-108. ვებგვერდის მისამართი: [https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no18/5\\_dzodzua.pdf](https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no18/5_dzodzua.pdf) (გადამონმების თარიღი: 2024, 30 მაისი).

Дзидзоев, *Известное и неизвестное в этнографии и мифологии осетин* – Дзидзоев В., *Известное и неизвестное в этнографии и мифологии осетин. Что общего и отличительного Уастырджы-Уасгерги и святого Георгия?*, „Дарьял“, 2012, № 3. ვებგვერდის მისამართი: [https://www.darial-online.ru/material/2012\\_3-dzidzoev/](https://www.darial-online.ru/material/2012_3-dzidzoev/) (გადამონმების თარიღი: 2024, 30 მაისი)

Е. К., *Краткий очерк истории грузинской церкви и Экзархата за XIX столетие* – Е. К., *Краткий очерк истории грузинской церкви и Экзархата за XIX столетие*, Тифлис, 1901.

*История Грузинской Иерархии* – *История Грузинской Иерархии*, с присовокуплением обращения в христианство Осетии и других Горских народов по 1-е января 1825 года, Москва, 1826.

Миллер, *Осетинские этюды, II* – Миллер В., *Осетинские этюды*, ч. II, Москва, 1882.

Ткавашвили, *Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века* – Ткавашвили М., *Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века*, „Некоторые вопросы истории осетин Шиды Картли“, Д. Мухелишвили (главный редактор), Тбилиси, 2010, გვ. 219-255.

*Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг.* – *Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе за 1860-1910 гг.*, Тифлис, 1910.

**Russian Ecclesiastical Policy in Georgia and the Ethnopolitical  
Context of Georgian-Ossetian Relations in the 19<sup>th</sup> Century  
(A Case Study of Shida Kartli Highlands)**

Summary

From the beginning of the 19<sup>th</sup> century, the intensive expansion and colonial policy implemented by Russia in Georgia created a special situation in the mountainous region of Shida Kartli, a historical-geographical region of eastern Georgia, which became an area of Georgian-Ossetian relations as a result of migrations.

The political and demographic situation in the region enhanced Georgian-Ossetian confrontation and alienation. Church, missionary and religious policy played an important role in forming the political reality and Georgian-Ossetian relations desirable for the empire.

The research aims to show the ethnopolitical context of the ecclesiastical rule of the Russian Empire in Georgia in the first half of the 19<sup>th</sup> century in the case of the mountainous part of Shida Kartli; to evaluate the influence of Russia's religious policy, missionary Organizations and ecclesiastical-administrative system on the formation of Georgian-Ossetian relations; to show how the ethnic terminology gained political connotation and the role that Russian church policy played in this respect.

At the beginning of the 19<sup>th</sup> century, the Georgian national liberation movement and the anti-Russian struggle for regaining state independence were also supported by the Ossetian population of Shida Kartli; this meant that they approved of vassalage and loyalty to the Georgian state. From the 1820s-30s, Russian authorities started changing their policy towards the Ossetians in this region: they tried to turn the confronted anti-Russian forces into allies. Russia's religious and ecclesiastical-administrative policy carried out in the highlands of Shida Kartli provided for the enhancement of the Ossetian unity on the territory of Georgia, the formation of new borders, changing of toponymic lexis and igniting Georgian-Ossetian confrontation.

The establishment of the „Eparchy of Ossetia“ (1814-1818) – an ecclesiastical-administrative unit – in the highlands of Shida Kartli, under which a missionary Organization „Ossetian Ecclesiastical Commission“ started operating, encouraged creation of new imaginary borders.

In 1843, the creation of an administrative-political unit – „Ossetian Okrug“ – actually legitimized new borders and established the toponym „Ossetia“ on the territory



of Georgia. Implementation of such policy in the border region led to the loss of the territory of Dvaleti, a historical province of Georgia: in 1859, „Ossetian Okrug“ was deprived of the district of Nari (Dvaleti) and, at first, annexed it to the „Military Okrug of Ossetia“, created in the North Caucasus, and then to the „Terek Oblast“; later, the Soviet authority united it with „North Ossetian Autonomous Soviet Socialist Republic“ (1924).

The term „South Ossetia“ was first applied concerning the territories of Shida Kartli that were inhabited by Ossetians in 1830 by the newspaper „Tiflisskie Vedomosti“ (Tiflis Gazette); however, in the 1860s of the 19<sup>th</sup> century formally it was first mentioned in the reports of a missionary Organization the „Society for Restoration of Orthodox Christianity in the Caucasus“, which was founded after the abolishment of „Ossetian Ecclesiastical Commission“. This laid the grounds for establishing a toponymic pair – „North Ossetia“ and „South Ossetia“.

Thus, one can identify the role of Russia’s church and religious policy in establishing the terms „Ossetia“, „Eparchy of Ossetia“, „Ossetian Okrug“, and „South Ossetia“ with respect to the territories of Georgia, namely those of Shida Kartli. Initially, this terminology was established through ecclesiastical-administrative and missionary policy, which was later consolidated employing political-administrative Reorganization. In order to enhance its influence and form new borders, the Russian Empire successfully incorporated the religious factor as a ‘non-violent’ instrument of gaining power and influence.

The toponymic lexicon of Shida Kartli Highland areas established during the Tsar’s Russia – „Ossetia“, „Eparchy of Ossetia“, „Ossetian Okrug“, and „South Ossetia“ – was transformed in the new political reality in occupied and Sovietized Georgia at the beginning of the 20<sup>th</sup> century as „South Ossetian Autonomous Oblast of the Georgian SSR“ (1922).

The introduction of these terms in Georgian onomastics was an ethnopolitical and toponymic attack. The policy of Tsarist Russia laid the groundwork for the territorial claims of Ossetians in Georgia as early as the 19<sup>th</sup> century, with consequences that later manifested as ethno-conflicts in modern times. Presently, a certain part of Shida Kartli (Tskhinvali region/former South Ossetian Autonomous Oblast of Georgian Soviet Socialist Republic) is the zone of ethnic conflict and is beyond the control of the Georgian authorities.

### კრესონი, ტაშისკარი და დმანისი: ცხენოსანთა შოკური შეტევა ქმედებაში

1187 წლის 1 მაისს ნაზარეთის მახლობლად, კრესონის წყაროებთან 130-მა ჯვაროსანმა რაინდმა მცირერიცხოვანი ქვეითების თანხლებით თავგანწირული იერიში მიიტანა მათზე 15-ჯერ აღმატებულ მონინალმდეგეზე. თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, მუსლიმებმა მაინც დაამარცხეს ისინი. სამოცდაათიოდე წლის შემდეგ, 1260 წლის დეკემბერში ტაშისკარის მიდამოებში სარგის ჯაყელის წინამბრძოლმა მათზე ოთხჯერ მეტ მონღოლს შეუტია. შედარებით უკეთესი თანაფარდობის პირობებში ჩატარებული ბრძოლა წარმატებით დამთავრდა. შედეგით გულმოცემულმა ქართველებმა შემდეგი იერიში უკვე მონინალმდეგის ძირითად ძალებზე მიიტანეს, მაგრამ, პირველი წარმატების შემდეგ, მაინც დამარცხდნენ. სამი საუკუნის შემდგომ, 1583 წელს დელი სვიმონის მცირე რაზმმა 30-ჯერ მეტ მტერს თავისი მეფის მეტსახელის შესაფერი გახელებით შეუტია. ოსმალები ბენჯზე გადარჩნენ დამარცხებასა და სირცხვილს.

ყველა ამ საბრძოლო ეპიზოდს აერთიანებს შემტევი მხარის მიერ საკუთარი მცირერიცხოვნების აბსოლუტური უგულვებლყოფა და მონინალმდეგის მრავალრიცხოვნების არად ჩაგდება, იერიშის თავდაპირველი წარმატება და საბოლოო მარცხი. მაინც, რისი იმედი ჰქონდათ მცირერიცხოვან ჯვაროსან რაინდებსა თუ ქართველ მოყმეებს, იყო კი ეს თავიდანვე განწირული ტაქტიკური სვლა, რომელსაც წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორივე მხარის ტაქტიკას უნდა გადავხედოთ და ბრძოლის სტილის თავისებურებები გავითვალისწინოთ.

საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ევროპელი და ქართველი მებრძოლი ფლობდა ისეთ მძლავრ ტაქტიკურ იარაღს, როგორც იყო წაგრძელებული შუბით<sup>1</sup> განხორციელებული ცხენოსანთა შოკური დარტყმა. მძიმე ცხენოსანთა ასეთი შეტევის დროს მჭიდროდ დაწყობილი შუბგამართული რაზმები მონინალმდეგის საბრძოლო რიგებს ეჯახება, არღვევს მათ და შლის მტრის

<sup>1</sup> ამ დროს ცხენოსანს მკლავქვეშ შუბის ბოლო ჰქონდა უძრავად ამოღებული და, შედეგად, წინ „წაგრძელებული“ შუბი, მხედარი და ცხენი ერთად განაპირობებდა უძლიერესი დარტყმის ძალას (DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 12). ასეთი დარტყმის დროს ადამიანისა და ცხენის ენერჯია შუბის წვერზეა კონცენტრირებული (France, *Technology and Success of the First Crusade*, გვ. 166). ბრძოლის ეს წესი XII საუკუნის შუახანებში ბატონდება ბრძოლის ველზე და ასე რჩება შუა საუკუნეების ბოლომდე (DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 14).

წყობას. ეს შეტევა ისეთი შემზარავი სანახავი იყო, რომ ხშირად მონინალ-მდეგე შეჯახებამდე გარბოდა ბრძოლის ველიდან.<sup>1</sup> ცხენოსანთა შოკური შეტევა შუა საუკუნეების არმიის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო.<sup>2</sup> როდესაც XIII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი (1226-83) წერს, რომ სირიისა და რუმის ძლევამოსილი მმართველები უფრო ხოცდნენ და გაურბოდნენ „ბრძოლაში ქართველთა მძვინვარებას“,<sup>3</sup> ეს „მძვინვარება“ სწორედ ბრძოლის სტილით იყო განპირობებული და ასოცირდებოდა შუბგამართულ მომქროლავ მხედართან, რომლის იერიში მართლაც რომ საზარელი იყო. წაგრძელებული შუბით შოკური შეტევა ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე: ასეთივე „მძვინვარე“ და „შეუჩერებელი“ ჩანდა ჯვაროსანთა შეტევა.<sup>4</sup>

გასაკვირი არ არის, რომ არმიები, რომელთა არსენალშიც ასეთი მძლავრი იარაღი იყო, არ ერიდებოდნენ ველზე ბრძოლას მრავალრიცხოვან მონინალმდეგესთანაც. ჯვაროსნული ომების დროს ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მცირერიცხოვანი ქრისტიანები თავს არ აფარებდნენ სიმაგრეს და კონტრშეტევით პასუხობდნენ მუსლიმთა იერიშს.<sup>5</sup> ასეთი შემთხვევები მრავლადაა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაშიც.<sup>6</sup>

მუსლიმური არმიები, რომელთა ბრძოლის წესი მომთაბარული ომის პრინციპებს ემყარებოდა, ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის სანინალმდეგოდ მომთაბარულ ხერხსვე მიმართავდნენ: რაინდთა პირველი დარტყმის თავიდან ასარიდებლად იფანტებოდნენ, ისრის სროლით უკან იხევდნენ და თუ მონინალმდეგე შეცდომას დაუშვებდა და ანგარიშშიუცემლად დაედევნებოდა, უკან უბრუნდებოდნენ დევნის პროცესში წყობადაშლილსა და დაღლილ მონინალმდეგეს, რომლის დამარცხებაც უკვე ადვილი იყო.

ახლა დავუბრუნდეთ ზემოთმოყვანილ საბრძოლო ეპიზოდებს და განვიხილოთ ისინი წარმოდგენილი ტაქტიკური მოცემულობების ფონზე.

<sup>1</sup> White, *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*, გვ. 1-38; DeVries, *Medieval Military Technology*, გვ. 12.

<sup>2</sup> Smail, *Crusading Warfare*, გვ. 113-115; Marshall, *Warfare in the Latin East*, გვ. 158; მისივე, *The Use of the Charge*, გვ. 222.

<sup>3</sup> Ata Malik Juvaini, *Genghis Khan*, გვ. 449.

<sup>4</sup> Anna Komnene, *The Alexiad*, გვ. 378.

<sup>5</sup> Marshall, *Warfare in the Latin East*, გვ. 236.

<sup>6</sup> Tsurtssumia, *Medieval Georgian Poliorcetica*, გვ. 197-199.

## კრესონის ბრძოლა

1187 წლის 1 მაისს კრესონის წყაროებთან 130-მა ჯვაროსანმა რაინდმა და რამდენიმე ასეულმა ქვეითმა თვითმკვლევლობასთან გათანაბრებული ბრძოლა გაუმართა მრავალრიცხოვან მონინააღმდეგეს. ამ დროისათვის იერუსალიმის სამეფოს მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ჯვაროსნებს უხდებოდათ დაპირისპირება სირიის, მესოპოტამიისა და ეგვიპტის გაერთიანებულ მუსლიმურ ერთეულთან, რომელსაც სათავეში სალაჰ ად-დინი ედგა. მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ბალდუინ V-ის გარდაცვალების (1186) შემდეგ სამეფოში დინასტიური კრიზისი გამწვავდა და ტრიპოლის გრაფის რაიმონდ III-ის მომხრეები არ ცნობდნენ მეფედ გი დე ლუზინიანს. ამ ვითარებაში სამეფოში შემოჭრილ მუსლიმებს წინ აღუდგა სასწრაფოდ შეყრილი ჯვაროსანთა მცირე რაზმი. მათ რიგებში იყო 80 ტამპლიერი რაინდი ორდენის მაგისტრის ჟერარ დე რიდფორის მეთაურობით, 10 ჰოსპიტალიერი მაგისტრ როჟე დე მულენთან ერთად, კიდევ 40 რაინდი ნაზარეთიდან<sup>1</sup> და 300 თუ 400 ქვეითი ჯარისკაცი.<sup>2</sup> მუსლიმთა რიცხვი, რომელთაც სალაჰ ად-დინის ერთ-ერთი საუკეთესო სარდალი, ედესის ამირა მუზაფარ ად-დინ გოკბორი მეთაურობდა, 7 ათასს აღწევდა.<sup>3</sup>

მრავალრიცხოვანი მონინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელად, ქრისტიანები იერიშზე გადავიდნენ. რაინდთა პირველი შოკური შეტევა წარმატებით წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ რიცხოვნობა უპირატესობამ თავისი გაიტანა: ქრისტიანები სასტიკად დამარცხდნენ, როჟე დე მულენი მოკლეს, მძიმედ დაჭრილმა ჟერარ დე რიდფორმა სამიოდე მხლებელთან ერთად ძლივს გააღწია ბრძოლის ველიდან.<sup>4</sup> მემატინეს ცნობით, „თურქები

<sup>1</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32.

<sup>2</sup> *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 118-119.

<sup>3</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *Chronicle of the Third Crusade*, გვ. 25; *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 112-113. ურბან III-ის (1185-87) წერილში, რომელიც კრესონის ბრძოლას აღწერს, 110 რაინდი და 6 ათასი მუსლიმია დასახელებული (*The Conquest of Jerusalem and the Third Crusade*, გვ. 156). დ. ნიკოლი უაღრესად გადაჭარბებულად მიიჩნევს ქრისტიანული წყაროების ამ ცნობებს მუსლიმთა ოდენობის შესახებ (Nicolle, *Hattin*, გვ. 57). ამავე დროს, ბრძოლის მიმდინარეობა და ქრისტიანთა სრული განადგურება მუსლიმთა სერიოზულ რიცხოვნობაზე უპირატესობაზე მიუთითებს.

<sup>4</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Salāh al-Dīn*, გვ. 120-123; William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*, გვ. 256. როჯერ ჰოუდენის მიხედვით, ბრძოლის ველზე დაეცა 60 ტამპლიერი, ჰოსპიტალიერთა მაგისტრსა და მის თანმხლებ ძმებთან ერთად (Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi*, გვ. 10).

ვერ უძლებდნენ რაინდთა შეტევას“ და ჯვაროსნები საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დამარცხდნენ, როდესაც ყველა მხრიდან ალყაშემორტყმულებს, მათი შემზარავი იერიშის გახორციელების შესაძლებლობა წაერთვათ.<sup>1</sup> დ. ნიკოლი აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ, ჯვაროსანთა მიერ განხორციელებული შეტევა შეფასებულია როგორც „დამღუპველი თავდაჯერებულობა“, თუმცა მუსლიმური ქრონიკების მიხედვით, ამ იერიშს ცოტა დააკლდა წარმატებამდე.<sup>2</sup> დამახასიათებელია, რომ მუსლიმებმა ასეთ მცირერიცხოვან მტერთანაც კი აარიდეს პირისპირ ბრძოლას და ჩვეულებრივ ხერხით, გაქცევითა და უკან შემობრუნებით უპასუხეს ჯვაროსანთა მრისხანე იერიშს.

*Libellus de expugnatione Terrae Sanctae per Saladinum*-ის („მცირე წიგნი სალადინის მიერ წმინდა მიწის დაპყრობის შესახებ“) ანონიმი ავტორი დამარცხების მიზეზად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მუსლიმებმა მოჩვენებითი უკანდახევით გააცალკევეს მხედრები ქვეითებისაგან და ცალ-ცალკე მოაქციეს ისინი ალყაში.<sup>3</sup> მაგრამ რ. სმელილი მართებულად მიუთითებს, რომ ქვეითები და ცხენოსნები ბუნებრივად შორდებიან ერთმანეთს წარმატებული შეტევის დროსაც, როდესაც ფეხოსანი უკან რჩება, ცხენოსანი კი იერიშში მიდის და რომ მხოლოდ დაცალკეება არ არის საკმარისი მიზეზი დამარცხების ასახსნელად. როგორც ჩანს, შეტევა მეტად არახელსაყრელ პირობებში ჩატარდა და მისი დროც არ იყო სწორად შერჩეული.<sup>4</sup>

მრავალი ქრონიკა მოგვითხრობს ტამპლიერ ჟაკ დე მაის გამირობაზე,<sup>5</sup> რომელიც თანამებრძოლთა დაღუპვის შემდეგაც ბოლომდე ებრძოდა მუსლიმებს, მისი ვაჟკაცობით გაცელებული მტრის მოწყალე შეთავაზებაზე უარი თქვა, არ დანებდა და გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე.<sup>6</sup> კრესონთან მცირერიცხოვან ქრისტიან რაინდთა თავგანწირვა ლეგენდად იქცა, ისინი

<sup>1</sup> *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 120-121.

<sup>2</sup> Nicolle, *Hattin*, გვ. 57.

<sup>3</sup> *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 118-119.

<sup>4</sup> Smail, *Crusading Warfare*, გვ. 197.

<sup>5</sup> ზოგიერთ წყაროში ჟაკ დე მაი მოიხსენიება, როგორც ტამპლიერთა მარშალი (*The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 126-127). მიუხედავად ამისა, 1187 წელს ურბან III-ისა და ჰატინთან დამარცხების შემდეგ წმინდა მიწის ბარონების მიერ შედგენილი წერილებიდან ეჭვიმუტანლად ჩანს, რომ იმხანად ტამპლიერთა მარშალი რობერტ ფრეისნელი იყო, ჟაკ დე მაი კი ორდენის რიგით ძმად ირიცხებოდა (Burgdorf, *The Central Convent of Hospitallers and Templars*, გვ. 576-577).

<sup>6</sup> *The Old French Continuation of William of Tyre*, გვ. 32; *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn*, გვ. 126-129. როგორც მემატინან წერს, „ეს არ იყო დასანანი, არამედ საუცხოო სიკვდილი, როცა კაცმა მახვილით აიგო დიდებული გვირგვინი მის გარშემო დახოცილებით. სიკვდილი ტკბილია, როდესაც გამარჯვებული წევს მისი მარჯვენით მოკლულ ურჯულოებს შორის“ (*Chronicle of the Third Crusade*, გვ. 26).

მარტვილებად შერაცხეს და მათ მაგალითს ხშირად იყენებდნენ ჯვაროსანთა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად.<sup>1</sup>

### ტაშისკარის ბრძოლა

მეორე ეპიზოდი უკვე ქართველთა წარსულიდანაა და მოხდა 1260 წელს, როდესაც მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით VII სამცხეში გადავიდა. ილხან ჰულაგუს მიერ აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნილ 20 ათასიან მონღოლურ ლაშქარს არღუნ ნოინი ედგა სათავეში. მას შეუერთდა ქართველ დიდებულთა ნაწილი (ივანე შანშეს ძე მხარგრძელი, გრიგოლ სურამელი, კახა თორელი, და სხვ.) თავისი რაზმებით. მონღოლებს დაუპირისპირდა სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი-ციხისჯვარელი, რომელიც ქართველთა 8 ათასიან ლაშქარს მეთაურობდა. სურამიდან წამოსული არღუნი შინდარასთან დაბანაკდა, ხოლო მონღოლთა 6 ათას კაციანმა ავანგარდმა ტაშისკარს უწია. მათ უცაბედად გადაეყარა ქართველთა 1.500 კაციანი წინამბრძოლი, რომელმაც გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მტერი: „იყო ყინელი და ზამთარი, ვითარ წესი არს თუესა დეკემბრისასა. და განვიდეს სივინროისაგან წინა მავალნი, იხილნეს რაზმი თათართა, და წინა-განენყუნეს ქართველნიცა. და მყის ზედა-მიეტევენეს მესხნი, და პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყდნეს მრავალნი სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს მესხნი, რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუენნეს რაზმსა შინა არღუნისსა შინდარას გორისასა, და სდევენეს და მოსწყდნეს პირითა მახკლისათა, რამეთუ მჴედართმთავარი სარგის და სპა მეფისა ვერღარა მოილოდინეს ამისთჳს, რომელ თათართა რაზმი მახლობელად მდგომარე იყო. და ესრეთ ძლევითა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მოეგებნეს სარგისს და ლაშქართა...“<sup>2</sup>

ამ ეპიზოდს აღწერს კირაკოს განძაკელიც, რომლის მონათხრობი ძირითადად ემთხვევა ჟამთააღმწერლისას, განსხვავება მხოლოდ რიცხვებშია: კირაკოსის მიხედვით ქართველები 400 კაცს მოითვლიდნენ, ჟამთააღმწერელი კი 1.500-ს ასახელებს. სომეხი მემატიანის თანახმად, „მოულოდნელად გამოჩნდა ქართველ მხედართა რაზმი და დიდი სიმამაცე გამოიჩინა: არღუნის ჯარიდან მრავალი დაეცა, ლერწამის მსგავსად, რომელსაც ცეცხლი მოედება, თავად [ქართველები] კი უვნებლად შეიქცნენ. მათი რიცხვი ოთხასს

<sup>1</sup> Tyerman, *The Crusades*, გვ. 1-4.

<sup>2</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 123; ჟამთააღმწერელი, „*ასწლოვანი მატიანე*“, გვ. 584-585.



აღწევდა. შეშინდა არღუნი და ძველებურად თამამად ველარ გააგრძელა [და-  
ვით მეფის] ძებნა“.<sup>1</sup> კირაკოს განძაკელი მხატვრულად გადმოგვცემს მონ-  
ლოლთა უსუსურობას ქართველ მხედართა იერიშის წინაშე და ცეცხლმო-  
დებულ ლერწამს ადარებს მათ. ორივე ავტორი აღწერს იერიშს, რომელსაც  
მოყვა ერთი დაკვრით მონლოლთა დამარცხება, მათი რიგების გარღვევა და  
მუსრვა, შემდეგ კი ქართველთა უკან შექცევა. ცხადია, რომ ორივე მემატი-  
ანე ტიპურ შოკურ შეტევას აღწერს. ჩანს, ქართველებმა მონინაალმდევე  
ისეთ ადგილას მოიხელთეს, სადაც მას გაშლა და მომთაბარული ტაქტიკის  
გამოყენება არ შეეძლო და დიდი ზიანიც მიაყენეს.

გამარჯვებით გათამამებულმა ქართველებმა შეცდომა დაუშვეს და  
არღუნს ველზე შეუტიეს, სადაც მას სრული ტაქტიკური თავისუფლება  
ჰქონდა და შეეძლო მონლოლთა არსენალში მყოფი ყველა ხერხის გამოყენე-  
ბა. ბრძოლა ლოგიკურად დასრულდა, მრავალრიცხოვანმა მონინაალმდევემ,  
რომელსაც მხარს ქართველ ფეოდალთა რაზმებიც უმაგრებდნენ,<sup>2</sup> თავისი  
საყვარელი უკანდახვეისა და მონინაალმდევის შეტყუების გამოყენებით და-  
ამარცხა სარგისის ლაშქარი. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაშიც ქართველთა  
პირველი შეტევა მძლავრი და წარმატებული იყო: „ვითარ დაეახლნეს ურ-  
თიერთას, ზედა-მიეტევნეს მესხნი განლალებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი  
უპირველეს ყოველთასა მიუჭდა რაზმსა და უმწნესი მათი, ჩინ-ბაადური, ჰო-  
როლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა. და იქმნა ძლიერი ომი, და მრავალ-  
ნი მოისრვოდეს არღუნის სპისაგან და სივლტოლად მიდრკეს. პირველსავე  
მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩუეულება თათართა  
ლტოლვა და გარეუკუნქცევა, ანაზდად გარეუკუნ-იქცეს. მაშინ სულმოკ-  
ლექმნულნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და  
მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისრვოდეს“.<sup>3</sup> მოვლენების რეკონსტრუქ-  
ცია სირთულეს არ წარმოადგენს, სტეპის ბინადართა ტრადიციული ტაქტი-  
კის მიხედვით, მონლოლებმა მოჩვენებითი უკანდახვევა გაითამაშეს, შემდეგ  
წყობა-დაშლილ, უწესრიგოდ დადევნებულ ქართველებს შემოუტრიალდნენ  
და ადვილად დაამარცხეს ისინი.

თუკი პირველ ბრძოლაში ქართველებმა თავიანთი საუკეთესო იარაღი  
– ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა შესაფერის პირობებში გამოიყენეს და  
რიცხვმრავალი მტერიც დაამარცხეს, მეორე, ცუდად დაგეგმილ ბრძოლაში  
თავდაპირველი წარმატება გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და  
ისინი თავად გაეხნენ მონინაალმდევის ხაფანგში.

<sup>1</sup> Киракос Гандзакецци, *История Армении*, გვ. 234.

<sup>2</sup> ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, გვ. 124; ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მა-  
ტიანე“, გვ. 585.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 124; იქვე, გვ. 585.

## დმანისის ბრძოლა

შემდგომ ეპიზოდზე შარაფ-ხან ბითლისი მოგვითხრობს, XVI საუკუნის სპარსულენოვანი ისტორიკოსი, რომელიც ირანის შაჰებსა და ოსმალეთის სულთნებს მსახურებდა და კარგად იცნობდა ორივე სახელმწიფოს შინაურ საქმეებს. 1578-90 წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ომში წარუმატებლობამ აიძულა სეფიანები გაეთავისუფლებინათ სვიმონ I, რომელმაც დაუცხრომელი ბრძოლით ქართლის უმთავრესი ნაწილი დაიბრუნა და მჭიდრო რკალში მოაქცია თბილისის ოსმალური გარნიზონი. თბილისის მომარაგება ოსმალებს მუდმივ თავის ტკივილად ექცათ. ფარსადან გორგიჯანიძე გვიამბობს, რომ სვიმონ მეფე „ქალაქისა და გორის ციხიდამ კაცს აღარ გამოუშვებდა, გზები შეუკრა. თუ არ დიდის ლაშქრით ნუზალისა და საჭმლისათვის კაცი ციხით ვერ გამოვიდოდა და საცა ურუმს ნახევდიან, მოჰკლევდიან“.<sup>1</sup> მდგომარეობას არც დიდი და მრავალრიცხოვანი ალაღის გაგზავნა ცვლიდა: 1582 წელს სვიმონ მეფემ მუხრანთან დიარბაქრის ბეგლარბეგი მოჰამედ-ფაშა დაამარცხა, მრავალი ჯარისკაცი დაუხოცა და თბილისის მოსამარაგებლად გამიზნული 40 საპალნე ოქრო და 2 ათასი საპალნე სხვა საქონელი წაართვა.<sup>2</sup>

1583 წელს ოსმალეთის სულთანმა მურად III-მ (1574-95) აღმოსავლეთში სარდლად ფერჰად-ფაშა დანიშნა. ფერჰადმა სირიის ბეგლარბეგი ჰასან-ფაშა ქურთისტანისა და რუმელიის ამირებთან ერთად გაგზავნა თბილისის ოსმალური გარნიზონის მოსამარაგებლად საჭურველითა და სანოვაგით, რაც, შარაფ-ხან ბითლისის მოწმობით, „იმ ხანებში მეტად საძნელო საქმე იყო“.<sup>3</sup>

თბილისისაკენ მიმავალ ოსმალთა ალაღს თავს ქართველები დაესხნენ, რომელთაც თან მცირეოდენი ყიზილბაშებიც ახლდათ. ეს ამბავი მოპირდაპირე ბანაკში მყოფი თვითმხილველის მიერ არის აღწერილი, რაც მას კიდევ უფრო მეტ ღირსებას ანიჭებს, როგორც ქართველთა ტაქტიკური სიძლიერის პირუთვნელ მოწმობას. მოვუსმინოთ შარაფ-ხანს: „ამ სიტყვების ავტორი ამ ლაშქრობაში თავად მონაწილეობდა. დმანისის (ტუმანისის) ხეობაში ქართველი ურწმუნოები და რამდენიმე ყიზილბაში ამირა ისლამის ჯარს ჩაუსაფრდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლევამოსილ ლაშქარში 15 ათას მხედარზე მეტი იყო, ხოლო ურჯულთა რიცხვი 500-საც არ აღწევდა, დასაწყის-

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, გვ. 220; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 279.

<sup>2</sup> Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, გვ. 241.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 245.

ში ისლამის ლაშქარი დამარცხდა. მაგრამ ბოლოს, ჰასან-ფაშას სიმტკიცის წყალობით, რომელიც მცირერიცხოვან მეომრებთან ერთად მტკიცედ იდგა ურჯულოებით გარემოცული, ისლამის ლაშქარმა მშვიდობით დააღწია თავი დაღუპვის მორევს“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, შარაფ-ხან ბითლისი პატიოსნად მოგვითხრობს 1583 წელს დმანისთან მომხდარი ბრძოლის შესახებ, სადაც ხუთასიოდე ქართველი 15 ათას ოსმალოს უტევს, რომლებიც ძლივს გადარჩებიან დამარცხებას. სახეზეა კრესონის წყაროებთან ბრძოლის ანალოგი: იგივე მძვინვარება, აგრესიულობა და მეტოქის მრავალრიცხოვნების არად ჩაგდება. ასეთი ეფექტი მხოლოდ ცხენოსანთა შოკურ შეტევას შეეძლო ჰქონოდა.<sup>2</sup> ალბათ, ოსმალთა რიცხოვნებაში გარკვეული კორექტივია შესატანი: გასათვალისწინებელია, რომ მათი ალალი თბილისს მიემართებოდა, ყველა მათგანი მეზობლი ვერ იქნებოდა და ბევრი დამხმარე და მესაპალნეც ეყოლებოდათ. ისიც გასაგებია, რომ ქართველთა დარტყმა გზაზე განვლილი ალალის ერთ უბანზე იქნებოდა კონცენტრირებული. ყველაფერი ამის მიუხედავად, თავად ის ფაქტი, რომ მცირერიცხოვანმა რაზმმა მასზე ბევრად მრავალრიცხოვან ჯარზე თავდასხმა გაბედა და კინალამ წარმატებასაც მიაღწია, ერთმნიშვნელოვნად მოწმობს იმას, რომ ქართველები გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას ხელჩართულ ბრძოლაში და უნარიანი ხელმძღვანელის მეთაურობით ტაქტიკური საოცრებებიც შეეძლოთ მოეხდინათ.

ყოველთვის და ყველა მონინაალმდეგესთან, ქართველ მეზობლს ახასიათებდა ინდივიდუალური თავდაჯერებულობა და თავისი ტაქტიკის უპირატესობის ღრმა რწმენა.<sup>3</sup> ამ უპირატესობის შეგრძნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობლის ფსიქოლოგიისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქართული სამეფო-სამთავროები დაღმავლობის გზაზე იდგნენ. უმძიმეს ვითარებაშიც კი, როდესაც მონინაალმდეგის რიცხოზრვი თუ ტექ-

<sup>1</sup> იქვე. შდრ. ტაბატაძე, *შერეფ-ხან ბითლისის ცნობები*, გვ. 185-186.

<sup>2</sup> ამ შეტევაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად სვიმონ მეფის მიერ 1599 წელს ოსმალებთან გამართული ნახიდურის ბრძოლა გამოგვადგება. ქართველი მებრძოლები ასე აღწერს სვიმონ I-ის იერიშს ოსმალებზე: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძელებულნი ცხენჭენებით მიეტივნეს ანაზდეულ, ვითაც ჩქაფის წვიმა სეტყვის ღვარნი მთისგან. გაპეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს შიგა ყველამ... ურუმნი გაკვირვებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდენ, გასცილდიან სხვაზედ და თითოს ქართველს ოთხი თუ ხუთი ურუმი ცხენიდან გარდმოეგდო...“ (ფარსადან გორგიჯანიძე, *„ისტორია“*, გვ. 223; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 283).

<sup>3</sup> გავისხენოთ გიორგი სააკაძის „ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებნო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, *„ისტორია“*, გვ. 234; ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, გვ. 297).

ნოლოგიური უპირატესობა აშკარა იყო და დღის წესრიგში ქართული სახელმწიფოებრიობის ბედი იდგა, ქართველ სარდლებს ყოველთვის შეეძლოთ დაყრდნობოდნენ თავიანთ მებრძოლთა საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულ ტაქტიკურ ჩვევებსა და საბრძოლო თვისებებს.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მათიანე** – ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მათიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბილისი, 1987.

**ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მათიანე“** – ჟამთააღმწერელი, *„ასწლოვანი მათიანე“*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, *ქართლის ცხოვრება*, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2008.

**ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები** – ტაბატაძე კ., *შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ*, პაპა, II, 1962, გვ. 159-188.

**ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია** – ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, სმ, II, 1925.

**ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ცხოვრება** – ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ცხოვრება*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბილისი, 2022.

**Anna Komnene, The Alexiad** – Anna Komnene, *The Alexiad*, trans. E. R. A. Sewter, revised by P. Frankopan, London, 2009.

**Ata Malik Juvaini, Genghis Khan** – Ata Malik Juvaini, *Genghis Khan: The History of the World Conqueror*, trans. and ed. J. A. Boyle, Seattle, 1997.

**Burgtorf, The Central Convent of Hospitallers and Templars** – Burgtorf J., *The Central Convent of Hospitallers and Templars: History, Organization, and Personnel (1099/1120–1310)*, Leiden, 2008.

**The Conquest of Jerusalem and the Third Crusade** – *The Conquest of Jerusalem and the Third Crusade: Sources in Translation*, by P. W. Edbury, Aldershot, 1998.

**The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn** – *The Conquest of the Holy Land by Ṣalāḥ al-Dīn: A Critical Edition and Translation of the Anonymous Libellus de expugnatione Terrae Sanctae per Saladinum*, by K. Brewer and J. H. Kane, London, 2019.

**Chronicle of the Third Crusade** – *Chronicle of the Third Crusade: A Translation of the Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi*, by H. J. Nicholson, Aldershot, 1997.

**DeVries, Medieval Military Technology** – DeVries K., *Medieval Military Technology*, Peterborough, 1992.

- France, *Technology and Success of the First Crusade*** – France J., *Technology and Success of the First Crusade*, in “War and Society in the Eastern Mediterranean, 7<sup>th</sup>-15<sup>th</sup> Centuries”, ed. Y. Lev, Leiden, 1996, 33. 163-176.
- Marshall, *The Use of the Charge*** – Marshall Ch., *The Use of the Charge in Battles in the Latin East, 1192-1291*, “Historical Research”, 65, 1992, 33. 221-226.
- Marshall, *Warfare in the Latin East*** – Marshall Ch., *Warfare in the Latin East, 1192-1291*, Cambridge, 1992.
- Nicolle, *Hattin*** – Nicolle D., *Hattin, 1187: Saladin’s Greatest Victory*, Oxford, 1993.
- The Old French Continuation of William of Tyre*** – *The Old French Continuation of William of Tyre, 1184-97*, in “The Conquest of Jerusalem and the Third Crusade: Sources in Translation”, by P. W. Edbury, Aldershot, 1998.
- Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi*** – Roger of Howden, *Gesta Regis Henrici Secundi benedicti abbatis*, ed. by W. Stubbs, vol. 2, London, 1867.
- Smail, *Crusading Warfare*** – Smail R. C., *Crusading Warfare, 1097-1193*, 2<sup>nd</sup> ed., Cambridge, 1995.
- Tsurtsumia, *Medieval Georgian Poliorcetica*** – Tsurtsumia M., *Medieval Georgian Poliorcetica*, “Historia i Świat”, 4, 2015, 33. 175-204.
- Tyerman, *The Crusades*** – Tyerman Ch., *The Crusades*, New York, 2007.
- White, *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*** – White L., *Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry*, ԳՕԳԾԹ: ԹՈՆՕՅԳ, *Medieval Technology and Social Change*, London, 1962, 33. 1-38.
- William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*** – William of Newburgh, *Historia Rerum Anglicarum*, ed. by R. Howlett, vol. 1, London, 1884.
- Киракос Гандзакечи, *История Армении*** – Киракос Гандзакечи, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, Москва, 1976.
- Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*** – Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, т. 2, Москва, 1976.

**Cresson, Tashisk'ari and Dmanisi:  
the Effectiveness of Mounted Shock Combat**

Summary

The present paper discusses the effectiveness of mounted shock combat through the analysis of three battles. On May 1, 1187, near Nazareth, at the springs of Cresson, 130 crusader knights, accompanied by a small number of infantry, launched a fierce attack against an adversary 15 times their size. Despite their initial success, they were eventually defeated by the Muslims. In December 1260, Sargis Jaq'eli's vanguard attacked a force of Mongols four times larger than their own in the vicinity of Tashisk'ari, resulting in a victorious outcome. Subsequently, the Georgians attacked the main body of the opponent, but after the initial success, they were defeated. Three centuries later, in 1583, a small detachment of Georgians launched a furious attack against an enemy force 30 times larger. The Ottomans barely survived the defeat.

All of these battles share common characteristics: an absolute disregard for the attackers' numerical minority, initial success in the attack, and ultimate defeat. Did the attacking side have any chance of success, or was it a doomed tactical move from the outset? To answer this question, we must examine the tactics employed by both sides. Medieval European and Georgian warriors possessed a powerful tactical weapon known as mounted shock combat, executed with a couched lance. This type of attack was so formidable that often the opponent fled the battlefield before the actual battle commenced. The mounted shock combat was the most powerful weapon of the medieval army. Therefore, it is not surprising that armies proficient in this tactic did not shy away from engaging numerically superior opponents.



## გიორგი ვახტანგაშვილი

### „ცხენის დაკურთხების“ რიტუალი ხევსურეთში (ეთნოგრაფიული ლიტერატურისა და საარქივო ვიზუალური მასალის ანალიზის მიხედვით)

წარმოდგენილ სტატიაში შემოთავაზებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის ე. წ. ცხენის დაკურთხების ანალიზი. საანალიზო მასალად გამოყენებულია როგორც ამ თემაზე შექმნილი ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურა, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული ქართლის 1947 წლის ექსპედიციის ტექსტური და ვიზუალური მასალები. სტატიის მთავარი მიზანი ცხენის დაკურთხების რიტუალის ისტორიული და ეთნოგრაფიული კონტექსტის აღდგენაა, რაც მიიღწევა კონკრეტული რიტუალის შესახებ არსებული სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო მონაცემის შედარებითი ანალიზის გზით. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ვიზუალური მასალის ანალიზის თანამედროვე მეთოდოლოგიაზე.

ხევსურეთში მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული კომპლექსური რიტუალების შესახებ ინფორმაციას რამდენიმე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული წყაროდან ვიღებთ. ამ რიტუალთაგან ერთ-ერთი „მიცვალებულის ცხენის დაკურთხება“, რომელიც ძირითადად ზაფხულის პერიოდში (ერიდებოდნენ დოღის გამართვას მარხვისა და ზამთრის პერიოდებში) გარდაცვლილი მამაკაცის (იშვიათ შემთხვევაში – ქალის) საპატივსაცემოდ გამართული დოღის ნაწილს შეადგენდა.

ს. მაკალათიას მიხედვით, ამ დღეს სადოღე სუფრის დადგმასთან ერთად, იმლებოდა მიცვალებულის ტალავარიც. დოღში მონაწილეებს (რომლებსაც წილის ყრისა და გარდაცვლილთან ნათესაური კავშირების მიხედვით ირჩევდნენ) სადოღე სუფრას ზოგჯერ მიცვალებულის სამი ნათესავის: დედისძმის, მამიდისა და ცოლეთურის სოფლებში უშლიდნენ. მნიშვნელოვანი იყო, რომ მიცვალებულის სულის ცხენს დოღში პირველი ადგილი დაეკავებოდა.

ბინა. დოლის დანყებამდე ხუცი მიცვალებულის ტაბლას აკურთხებდა და მხედრებს მოუწოდებდა მიცვალებული რომ „საკრულავად“ არ გაეხადათ, ჭენებით მისულიყვნენ ჯერ დედისძმის, შემდეგ დის და ბოლოს ცოლეურის ტაბლაზე და უკან ისე გამობრუნებულიყვნენ, რომ არავის გამოლაპარაკებოდნენ. ამის შემდეგ სულის ცხენზე მჯდომ მხედარს მათრახი გადაეცემოდა, მისი წინამძღოლობით მხედრები მოტირალ ქალებს სამჯერ შემოუვლიდნენ და აღნიშნული სოფლისკენ გაემართებოდნენ.<sup>1</sup>

სულის ცხენი ფიგურირებდა მიცვალებულის წლისთავზეც (წელთავეება). ამ დროს ხმით მოტირალი ქალები ჭირისუფლის ტალავარს გამოიტანდნენ და სამჯერ დაიტირებდნენ. ტალავართან სამგზავროდ შეკაზმული სულის ცხენი იდგა, რომელიც, ს. მაკალათიას მიხედვით, მიცვალებულის ცოლს ეჭირა. ტალავარზე დატირებას სულის ხუცის მიერ გაშლილი ტაბლისთვის ლუდის კურთხევა და მიცვალებულისადმი შესანდობრის სმა მოწყვებოდა. მნიშვნელოვანი იყო, რომ მიცვალებულის ტალავარი იმავე დღეს აელოთ და მასზე დალაგებულ სამკაულებთან ერთად, დედის ძმებისთვის მიეცათ. პირიქით ხევსურეთში ტალავრის ამგვარი „ა ბ ე რ ტ ყ ვ ი ს“ დროს სამი კვერი და ყველი უნდა ყოფილიყო – ადგილობრივი რწმენით, მიცვალებულს ისინი საიქიოში დაბინავებამდე საგზლად სჭირდებოდა. რაც შეეხება სულის ცხენს – მას დედის ძმას ანდა ბიძაშვილს, უკანასკნელ პერიოდში კი ცოლეურს, დისწულეებს ანდა ძმობილსაც ჩუქნიდნენ. მთავარი პირობა მისი კარგი მოვლა იყო – ის ხომ საიქიოში მიცვალებულს უნდა ემსახუროს. მასთან იყო დაკავშირებული ტაბუირების სისტემაც – ქალს ამ ცხენზე ეკრძალებოდა დაჯდომა. დაკურთხებული ცხენისთვის ტვირთის აკიდებაც აკრძალული იყო. მისი გაყიდვა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლებოდა, ისიც ნახევარ ფასად.<sup>2</sup>

„ს უ ლ ი ს ც ხ ე ნ ო ბ ა ს“ განსაკუთრებული ყურადღება ნ. ხიზანიშვილმაც დაუთმო. მისი აზრით, ხევსურთა საიქიო შეხედულებანი დიდწილად სწორედ ამ ჩვეულების მიხედვით დგინდება. ხევსურული წარმოდგენით, ვაჟკაცის განუყოფელი ატრიბუტი სწორედ ცხენი იყო, რომელიც მას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საიქიოს გზაზე სჭირდებოდა. სულის ცხენზე ამხედრებული მამაკაცი საიქიოსკენ სხვა გამგზავრებულებს ეგებებოდა და სააქაო ამბებს ეკითხებოდა. ნ. ხიზანიშვილის წყაროდან ვიგებთ მიცვალებულის დამარხვის დროს სულის ცხენის ხურჯინის აღკაზმულობას: ტიკით არაყი და ქადები. უშუალოდ მიცვალებული შორს წამსვლელი მგზავრივითაა შეიარაღებული – ზედ ულაგებენ ხმალს, ხანჯალსა და თოფს. შეკაზმუ-

<sup>1</sup> მაკალათია, *ხევსურეთი*, გვ. 203-204.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 205-206.

ლი ცხენი სასაფლაომდე მიცვალებულის ცოლს მიჰყავდა, რომელსაც ევალებოდა ცხენისთვის სამჯერ მათრახის დაკვრა და ხმამაღლა თქმა:

„შენამც გეხმარებისა, შენიმც საფერხე იქნებისა, ტალავარიმც შენიმც სახმარი იქნებისა, ძალითამც ნურავინ გამოგეკიდებისაო“.

თუკი მიცვალებულს ცხენი არ ჰყავდა, მისი ცოლი ანდა რომელიმე ახლო ნათესავი სიზმრად ნახავდა მიცვალებულს, რომელიც სულეთში ცხენის უქონლობას ჩივის. ნ. ხიზანიშვილისავე ნაშრომში ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ სულის ცხენის სათანადოდ მოპყრობა ამ სამყაროში პირდაპირ განაპირობებდა მიცვალებულის სულის მდგომარეობას იმ სამყაროში.<sup>1</sup>

დ. გიორგაძე ცხენის დაკურთხების/შენიღვის რიტუალს საერთო ქართულ მოვლენად მიიჩნევდა, თუმცაღა, მისი აზრით, ამ რიტუალის ყველაზე ადრეული ფორმები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო შემონახული. ამ ფორმებს შორის შეიძლება დასახელდეს მიცვალებულის თავთან მისი კუთვნილი ნივთებისა და სანოვავის, ხორბლიანი ჯამის, წყლიანი და არყიანი ჭურჭლის დადგმა, საფლავში „საგზლის“ გატანება და სანთლების ნათება. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, მიცვალებულის სულის, როგორც ადამიანის ორეულის და ამ სულის მატერიალიზაციის ფორმების რწმენის ერთგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა.<sup>2</sup>

სულის ცხენის განსაკუთრებულ ფუნქციას ამ ნყაროში წარმოდგენილი მასალაც გვიდასტურებს. ავტორის მიხედვით, დაკურთხებისთვის აუცილებლად საუკეთესო ცხენს ირჩევდნენ, რომელიც საკმაოდ ძვირად – ხუთ ანდა ექვს ძროხად ფასობდა. ნაკლები შეძლების მქონე ადამიანები თავისი მიცვალებულისთვის ნახევარ ფასად ნაყიდ ცხენსაც აკურთხებდნენ, თუმცა, ოჯახის ცხენის „ს ხ ვ ი ს ა დ და კ უ რ თ ხ ე ბ ა“ ადგილობრივი მეტაფიზიკური რწმენა-წარმოდგენების გამო მაინც საფრთხილო იყო – ადგილობრივებს სწამდათ, რომ მიცვალებულს საიქიოში მხოლოდ მის სახელზე დაკურთხებული ცხენი უნდა ემსახუროს, სხვისთვის შენიღული კი უკვე სხვა მიცვალებულის საკუთრება ხდებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ რიტუალს – ცხენის დაკურთხება/დაყენება უშუალოდ დასაფლავების, იშვიათად კი რომელიმე ხარჯის დროს ხდებოდა. ამ დროისთვის ცხენს სათანადოდ მოუვლიდნენ: გაბანდნენ, ქალები ფაფარს დაუნნავდნენ, კისრის სიგრძეზე ფარჩის „ს ა ფ ა რ ე ს“ გაუკეთებდნენ, დაამაგრებდნენ უამრავ მძივ-ლილს, ბოლოზე კი აბრეშუმის „ფ ე ს ვ ს“ შემოაკრავდნენ. მკერდზე მძივისაგან მოქარგული „ყელსადებიც“ კეთდებოდა. ძუას დაწნავდნენ და ბოლოში ფერად ნაჭრებს შეაბამდნენ. ბოლოს ცხენს

<sup>1</sup> ხიზანიშვილი, *ეთნოგრაფიული ნაწერები*, გვ. 76-77.

<sup>2</sup> გიორგაძე, *გლოვის წესები საქართველოში*, გვ. 11.

შეკაზმავდნენ, დაადებდნენ უნაგირს, რომლის ტახტაზეც ანთებული სანთელი იკვრებოდა და მათრახი მაგრდებოდა. უნაგირზე გადაკიდებულ ხურჯინში „მკვდრის საგზალი“ – პურეული და არაყი უხვად ეწყო. ცხენზე მიცვალებულის ტანისამოსი, იარაღი და ნაბადიც უნდა გადაეკიდათ, შემდეგ მას დასაფლავების დღეს მიცვალებულის თავთან აყენებდნენ. ცხენის აღვირის მის ცოლს, დედას ან დას უნდა დაეჭირა, ასეთების არყოლის შემთხვევაში, საქმეს მიცვალებულის რომელიმე ახლობელი ან მოგვარე ითავებდა. ცხენის დაკურთხება უფროსს და სულის ხუცობის მცოდნეს ევალებოდა, მას ერთი ხელი ცხენის აღვირისთვის უნდა ჩაეკიდა, მეორე ხელში ყანწს იჭერდა და ამბობდა:

„შენი სახმარის არის ეს შაკაზმული ცხენი, შენი საფერხე იყოს, სადაც დაგჭირდეს გამაიყენე და აჯირითე, უცხენომცნუ იქნები, ეს უნაგირი, ხურჯინ-საგზალი შენამც გეხმარების“.

დაკრძალვის რიტუალი ამის შემდეგ ლუდის ან არყის ცხენის ფაფარსა და უნაგირზე დასხმას ითვალისწინებდა. ამის შემდეგ აიღებდა მათრახს და სამჯერ მსუბუქად დაარტყამდა ცხენს სიტყვებით: „შენიმე სახმარას, შენამც გეხმარების, სწორეც სამცნუ ჩამორჩებიო“. თუ ახალგაზრდა მიცვალებულს უშვილო ცოლი დარჩებოდა, სამჯერ ცოლსაც მათრახს „დააღირებდა“ სიტყვებით: „ეს შენი ცოლი საიქიოსაც შენ ცოლი იქნების“. ბოლოს ცხენს სამჯერ შემოატარებდნენ მიცვალებულის გარშემო, თუმცა სასაფლაოზე მისი ნაყვანა არ იცოდნენ.<sup>1 2</sup>

აღ. ოჩიაურს სულის ცხენის შესახებ იდენტური მასალა აქვს ჩანერილი როშკასა და უკანხადუს თემებშიც:

„ცხენს მაიყვანენ მკვდრის ზედდებას: გალბანენ, გასწმედენად, აჭმევენ თივა-ქერსად. გაალამაზებენ. მემრ ქალები დაუნვნენ ფაფარს ბევრ ადგილას, გააკერებენ ფაფარზედ საფაფრეს. საფაფრე გაკეთებული ას ფარჩისაგან ცხენის კისრის სიგრძეი, ზედ დაკრული აქვ მძივ ღილებიდ ბოლოზე აბრაშუნის ფევესვი აქვ გამასხმული. ამას ფაფარზედ გააკვრენ: ან ერთს, ან ორ-სამს. ქორორიც დანწული უნდა ხჰონოდას ცხენსად და იქაც მძივით გაკეთებულ საშუბლურ ექნების დაკრული. ერთს მძივიანს ყელსადებს გაუკეთებენად დახკიდებენ მკერდზე, ძუა დანწული აქვად ბოლოში ნაჭრის ბანრები აქვ შაბმული. მკვდარს რო გაამზადებენ დასამარხავად, ცხენსაც შახკაზმებდეს, გაუკრებდეს ძუასაცად მაიყვანდეს მკვდარსთან, საბლით ხელზე შაბმედეს ცხენს, ხურჯინს გადახკიდებდეს, ხურჩინჩი სასმელს ჩასდგამდეს. ამ დროს თუ ხქონდ, საგძალს ჩასდებდესად მკვდრის ტალავარსად იარაღსაც ახკიდებდეს...“<sup>3</sup>

<sup>1</sup> გიორგაძე, გლოვის წესები საქართველოში, გვ. 11-12.

<sup>2</sup> ბალიაური, მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, გვ. 29.

<sup>3</sup> ოჩიაური, მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენ ხადუს თემებში, გვ. 77.

დაკურთხებული ცხენი დაკრძალვის გარდა წლისთავის რიტუალის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენდა. ამ დღეს მოწყობილ დოღში სავალდებულო იყო მისი მონაწილეობა. დ. გიორგაძის ცნობა ამ მხრივ, სრულ თანხვედრაში მოდის მაკალათიას ზემოხსენებულ ეთნოგრაფიულ მასალასთან, თუმცა, ამ შემთხვევაში ავტორი გვთავაზობს ამ რიტუალის ქართულ და კავკასიურ ვარიაციებსაც და ფართო თეორიული მსჯელობის შემდეგ ასკვნის, რომ ამგვარი რიტუალის წარმოშობა მიცვალებულისათვის ცხენის მსხვერპლად შეწირვის რიტუალიდან უნდა იღებდეს სათავეს.<sup>1</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებულ დატვირთვას არა მხოლოდ სულის ცხენი, არამედ მეცხოველეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი ატრიბუტები – ქერი, მარილი, თივის ზვინი, რძე და რძის ნაწარმიც კი იღებდა. მ. ბალიაურისა და ს. მაკალათიას ცნობით, „დაკურთხებული“ ცხენის გამოკვებამდე ჭირისუფალი ქერის მიმართაც ამბობდა შენდობას:

„სადაც შენ ხარ, შენიმც სახმარი ას, შენს ცხენსამც აჭმევ. ცხენ უქე-როობითამც ნუ დაგალონებსა-დ მგებრთაში იქნებისა თუ ცხენთაში უკენამც ნუ ჩამარჩები ამხანაგებს“.

ცხენის მარილზე იტყოდნენ: „ესე მარილიმც შენ გეხმარების, რადაც გინდ იმაადამც გამაიყენებ – ცხენისად გინდ თუ სხვისად რაისად“. შემოდგომით თივის ზვინებად დადგმისას, ჭირისუფალი გამორჩეულ ზვინს მიცვალებულის სახელზე ააგებდა და იტყოდა:

„სადაც შენ ხარ, შენამც ხმარობ ეემ თივას ცხენის საჭმელად. შენს ცხენს დასჭირდებისა, თუ სტუმარ ვინ მაგივ იმის ცხენს დასჭირდებისა. შენამც გეხმარების, შენამც გერგების, უთიოობაიმც ნუ შეგანუხებს“.

მნიშვნელოვანი იყო, რომ უთქმელი არც თივა და არც მარილი მიღმიერ სამყაროში მიცვალებულს ვერ დაეხმარებოდა, ამიტომაც საჭირო ხდებოდა ყველაფრის სახელდება. იმავეს თქმა შეიძლება რძეზეც – მისი დაღვრის დროს, ჭირისუფალი მიცვალებულის სახელს დაადებდა და თუკი მიცვალებულს წყლული ჰქონდა, იტყოდა:

„ანაბრივ თხოულობს, ანაბრივ სჭირდება ზისცვარი პირის გასალობად და კარაქი წყრულის მოსაპოხლად“. სხვა შემთხვევებში იტყოდნენ „სხვისთვის სჭირდებაო“ – „სახლის მამყოლ იქნების ვინ, სად და ჩვენ არ ვიცითო“.<sup>2</sup>

როგორც მიმოვიხილეთ, აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნული რიტუალის ირგვლივ ეთნოგრაფიული ცნობები მრავლად მოიპოვება. აქვე შეგვიძლია მოვიხილოთ საარქივო მასალაც: 1947 წლის ექსპედიციის (ამ ექსპედი-

<sup>1</sup> გიორგაძე, გლოვის წესები საქართველოში, გვ. 14-18.

<sup>2</sup> ბალიაური, მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, გვ. 57.

ციას მოგვიანებით დავუბრუნდებით) ერთ-ერთი მონაწილის – თ. ოჩიაურის ეთნოგრაფიული ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ სოფელ ახმაჯში, ოძისსა და ერედაში, ადგილობრივების ცნობით, ოსებს მიცვალებულის ცხენთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი რიტუალური პრაქტიკა ჰქონიათ:

„ოსებმა იცოდნენ: ცხენს მიიყვანდნენ იმის საფლავზე. როცა გაასვენებდნენ დაუყენებდნენ, ღვინოს დაასხამდნენ. ნაწუნები კუბოში უნდა ჩასულიყო. ქერს დაუყრიდნენ. რომელ საკლავსაც დაკლავდნენ იმის ტყავზე. სამარის კარზე რო მიიტანდნენ, მაშინ მიჰყავდათ. ვინც კაი მოკეთე იყო, კაი ახალგაზრდა ბიჭი იყო ის არბენინებდა და იმას დარჩებოდა ცხენი. საფლავზე გადაახტუნებდნენ, გადმოახტუნებდნენ და გააჭენებდნენ. გადააფარებდნენ შავსა, ბანტებს შააბამდნენ, ყურებზე, თავზე“.

„ოსებმა იციან, როცა მოკვდება ახალგაზრდა ბიჭი, ცხენი ჰყავს, იმ ცხენს შეკაზმავენ და შავ მატერიას გადააკრავენ უნაგირზე და საფლავის გარშემო შემოატარებენ სამჯერ და ვინც იმას უყვარდა ბიჭი, ამხანაგი ან ნათესავი ან ძმა – იმას აჩუქებდნენ“.

„ოსებში ვინც კაი მდიდარი, დაფასებული ვაშკაცი იყო, იმის ცხენს შეკაზმავდნენ და იმის საფლავზე უნდა გადაეხტომებინათ. ვინც მოკვდებოდა – იმ ცხენს იმის სასახლოდ იტყოდნენ“.<sup>1</sup>

გარდა ამ მასალებისა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის ფოტო მასალაც, რომლის წყალობითაც გაცილებით უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას ვიგებთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრებისა თუ რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

საწყის ეტაპზე ამ ვიზუალური მასალის შესახებ არ გვქონდა საკმარისი ინფორმაცია – საჭირო იყო დაგვეზუსტებინა ფოტოგრაფის ვინაობა, ექსპედიციის ზუსტი თარიღი და ა. შ. ანალიზისთვის წარმოდგენილი ფოტო მასალა დაცულია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივის ექსპედიციების ფონდში *ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის მასალებში*. საქალაქებში დაცული ფოტოების უკანა გვერდებზე ფანქრით შესრულებული წარწერების მიხედვით ვიგებთ, რომ ფოტოები გადაღებულია 1947 წელს. ექსპედიციის ფონდში შემავალი ფოტოების უკანა გვერდების ნაწილი ინფორმაციულია – მათზე დატანილია ტოპონიმები, ანთროპონიმები და უმეტეს შემთხვევაში თარიღებიც კი (მაგ. *ხევსურეთი, დიდჯვარი, ათენგენობა – 23. 7. 47 – ფოტო 43; ლაშარობა ს. ბიჩნიგურთ-კარი, დუშეთის რ., ქართლის პირველი (1947) ეთნ. ექსპედიცია – ფოტო 68; ხევსურეთი, ახიელა ჯაჭელი, საზარე, ხელოსანი ხიჩილა ოჩიაური 26. 7. 47 – ფოტო 54*).

<sup>1</sup> იეა, თ. ო. 62, ფურცელი 1.



ექსპედიციების ფონდში წარმოდგენილი ფოტო მასალის რაობის დადგენისას გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო 1947 წელს ხევსურეთში ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალების დამუშავება. აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ ფოტო მასალა გადაღებული იყო ქართლის 1947 წლის ექსპედიციაში, რომელიც ისტორიული და ეთნოლოგიური არქივის ვერა ბარდაველიძის პირად ფონდშია დაცული.<sup>1</sup> ამ მასალებიდან ვიგებთ, რომ ექსპედიცია (რომელიც ქართლის 1947 წლის პირველი ექსპედიციის სახელითაცაა ცნობილი), ქართლის გარდა ხევსურეთის რამდენიმე სოფელსაც მოიცავდა.

ამგვარი მნიშვნელოვანი ექსპედიციის შესახებ ცნობა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისთვისაც. 1947 წლის ივლისის ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან ვიგებთ, რომ ექსპედიცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად მოაწყო და მას გიორგი ჩიტაია ხელმძღვანელობდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ სხვა ქართველი ეთნოლოგებიც (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ლ. ბოჭორიშვილი, ა. რობაქიძე, ნ. რეხვიაშვილი და სხვა მეცნიერები, ასპირანტებთან, არქიტექტორებთან და მხატვრებთან ერთად). ექსპედიციის ძირითად ამოცანად წარმოდგენილია ქართლის მოსახლეობის:

„შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილებების შესწავლა, რომელთა ცალკეული ელემენტების შემუშავება ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი დაძაბული ძიების გზით და გადადიოდა თაობიდან თაობაში. მატერიალური ყოფის ეს ელემენტები პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად ხშირად თაყვანისცემისა და სინმინდის ობიექტები ხდებოდნენ.

ექსპედიცია ქართლში შეისწავლის დასახლების ტიპს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობას, ჩაცმულობას, გადასაყვან-გადასაზიდ საშუალებებს, მეურნეობის ფორმებსა და შრომის იარაღებს, სოციალური და სულიერი კულტურის საკითხებს და გაარკვევს ქართლის ბუნებრივ-ისტორიულ არეებს“.<sup>2</sup>

ექსპედიციის შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას ვერა ბარდაველიძის პირადი ფონდიდან ვიგებთ. ქართველი მეცნიერის ფონდში დაცული ანგარიშის მიხედვით, 1947 წლის 20 ივლისს ქართლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ხევსურეთში მომუშავეთა 6 კაციანი ჯგუფი გამოეყო, მათ შორის იყვნენ უმცროსი მეცნიერ-მუშაკები თინათინ ოჩიაური, აკაკი კაცაძე, ასპირანტი მიხეილ გეგეშიძე და მხატვარი ნინო ბრაილაშვილი. ექსპედიციამ

<sup>1</sup> იეა, ვ. ბ. 176-180.

<sup>2</sup> ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქართლში, გვ. 4.

21-დან 29 ივლისამდე იმუშავა ხევსურეთის სამ ხეობაში: ლიქოკში, წყალსიქითა თემში და არხოტში. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, ექსპედიციის მიზანს, სხვა დანარჩენთან ერთად, ხევსურული საგვარეულო სალოცავების, ჯვარის ყმობის ინსტიტუტისა და ავსულთა სამყაროს ირგვლივ ეთნოგრაფიული მასალის დაზუსტება და დამატებითი ცნობების მოგროვება წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ამავე ანგარიშის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ სტატიაში წარმოდგენილი ფოტო მასალების ავტორის ვინაობაც – ანგარიშის ბოლოს ვკითხულობთ, რომ ექსპედიციის დროს ნინო ბრაილაშვილმა 29 ჩანახატი შეასრულა, ასევე გადაღებულ იქნა 180 ფოტო სურათი, რომლებზეც ასახულია: ხატის ნაგებობათა კომპლექსები, დღეობათათვის სამზადისი, დღეობა ათენგენა, სამეურნეო იარაღები და ა. შ.<sup>2</sup> აკაკი კაცაძე კი კინო და ფოტო გადაღებებს აწარმოებდა.<sup>3</sup>

ამდენად, გვაქვს საკმარისი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ექსპედიციების ფონდში დაცული ფოტომასალის<sup>4</sup> ავტორი სწორედ აკაკი კაცაძეა.

ყურადღება დავუთმოთ მეთოდოლოგიის საკითხსაც. საარქივო მასალის დამუშავების პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცული ტექსტუალური მასალა მეორადი ანალიზის მეთოდით დამუშავდა. რაც შეეხება ვიზუალურ მასალას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა ვიზუალური ანალიზისათვის საჭირო კონცეპტუალური ჩარჩო. ამ უკანასკნელის მეთოდოლოგიური პრინციპები და მეთოდები სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ცალკე აღნიშვნას საჭიროებს.

ამ თემაზე შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული ისტორიული ფოტომასალის ანალიზის პროცესში მკვლევრის მთავარი მიზანი – წარმოადგინოს ფირზე აღბეჭდილი რეალობის მეტ-ნაკლებად ზუსტი ახსნა, რაც აუცილებლად მოითხოვს ვიზუალური მეთოდებით მოპოვებული მონაცემების სხვა მეთოდებით მიღებულ მონაცემებთან შედარებას, რათა მეთოდოლოგიური ტრიანგულაციის შედეგად შესაძლებელი გახდეს მასალის სიღრმისეულად ინტერპრეტაცია.<sup>5</sup>

გამართული ვიზუალური ანალიზის მიღწევა წარმოუდგენელია იმ სოციო-კულტურული კონტექსტის გაგების გარეშე, რომელშიც ეს მასალა არის შექმნილი,<sup>6</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ვიზუალური მონა-

<sup>1</sup> იეა, ვ. ბ. 176, ფ. 1.

<sup>2</sup> იეა, ვ. ბ. 176, ფ. 11.

<sup>3</sup> იეა, ვ. ბ. 177, ფ. 1.

<sup>4</sup> იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა.

<sup>5</sup> წულაძე, *კვლევის თვისებრივი მეთოდები*, გვ. 329.

<sup>6</sup> Pauwels, *An Integrated Conceptual Framework for Visual Social Research*, გვ. 6.

ცემების საფუძვლიანად აღწერა, მეორე მხრივ, ფოტოსურათებს მიღმა არსებული რეალობის ინტერპრეტაცია, უფრო ზუსტად კი ვიზუალური მონაცემების შექმნის, მოხმარებისა და მათზე რეაგირების პროცესი შესაბამისი სოციოკულტურული გარემოს გათვალისწინებით.<sup>1</sup>

ფოტოებში აღბეჭდილი რეალობის სრული კონტექსტის რეპრეზენტაციასთან ერთად, ვიზუალური მონაცემების ანალიზის ერთ-ერთ მეთოდად სემიოტიკური – ნიშანთა სისტემების ანალიზის მეთოდიც გამოიყენება, რომლის მთავარი პრინციპის მიხედვითაც, ვიზუალური ხატები უნდა წავიკითხოთ, როგორც ტექსტები.<sup>2</sup> ტომას სიბოკმა ნიშნებისა და რეპრეზენტაციების წარმოება, გამოყენება და მათი მიმოცვლა ადამიანის ინტელექტუალური და სოციალური ცხოვრების მთავარ ნაწილად წარმოადგინა.<sup>3</sup> მანვე შემოგვთავაზა 6 ტიპის ნიშანი – სიმპტომი, სიგნალი, გაზიარებული სიგნალები, ასევე ხატები ინდექსები და სიმბოლოები. აქედან ხატები აღსანიშნის მიბაძვისა და რეალობის ზუსტი სიმულაციის გზით იქმნება. ნიშან-ხატებად, ავტორისავე შენიშვნით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფოტოები – ისინი ხომ აღსანიშნის ვიზუალურ რეპროდუქციას გვთავაზობენ. ინდექსები კონკრეტული ფენომენის არსებობას გვიჩვენებენ დროსა და სივრცეში – ისინი ხატებისგან განსხვავებით არ გამოირჩევიან აღსანიშნთან მსგავსებით, არამედ მათ კონკრეტულ ადგილას მდებარეობაზე მიგვითითებენ. რაც შეეხება სიმბოლოებს – ისინი რეალობას თავისებური, კონვენციური გზით წარმოგვიჩვენენ, ამდენად ნებისმიერი აღმნიშვნელი – ობიექტი, ბგერა თუ ფიგურა შეიძლება სიმბოლური ნიშანი იყოს (მაგ., ჯვარი, როგორც ქრისტიანობის სიმბოლო).<sup>4</sup> ტ. სიბოკის ეს სამი ტიპის ნიშანი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ვიზუალური ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლის სხვა მეთოდებთან კომბინაციითაც, სოციალური რეალობის სურათის შედარებით ზუსტი გადმოცემა გახდება შესაძლებელი.

არქივის ექსპედიციების ფონდში წარმოდგენილი ფოტომასალებიდან თავისი შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მე-6, მე-7, მე-11, მე-14, მე-17 და მე-20 ფოტოებმა.<sup>5</sup>

სამწუხაროდ, ფოტოების უკანა გვერდზე ფანქრით მიწერილი მცირე ინფორმაციის გარდა, ექსპედიციების ანგარიშებში ვერ ვხვდებით ფოტოე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>2</sup> ნულაძე, *კვლევის თვისებრივი მეთოდები*, გვ. 332-333.

<sup>3</sup> Sebeok, *An Introduction to Semiotics*, გვ. 8.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 10-11.

<sup>5</sup> სტატიაში გამოყენებული ნუმერაცია შეესაბამება ისტორიული და ეთნოლოგიური ინსტიტუტის არქივის საარქივო შიფრს.

ბის გადაღების ზუსტ თარიღს, ანდა მათზე აღბეჭდილი მასალის აღწერას. მიუხედავად ამისა, ფოტოებზე პირველადი დაკვირვებიდანაც ცხადი ხდება, რომ მათზე დაკრძალვასთან დაკავშირებული ნეს-ჩვეულებებია ასახული. ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ამ ფონდში დაცული მე-20 ფოტო, რომლის უკანა გვერდზეც ვხვდებით ფანქრით შესრულებულ წარწერას: „ცხენის დაკურთხება“. ფოტოზე ვხედავთ დატვირთულ ცხენს, რომლის გარშემოც მამაკაცები და ქალები არიან შეკრებილნი. ცხენი აღვირით შუა ხნის ასაკს მიღწეულ ქალს უკავია, მის გვერდით კი დგას მამაკაცი სასმისით ხელში. თუკი ამ ფაქტსა და აქ განხილულ ეთნოგრაფიულ მასალას შევაჯერებთ ცხადი ხდება, რომ ქალი გარდაცვლილის ნათესავი (შესაძლოა – დედა), ხოლო მამაკაცი სულის ხუცობის მცოდნე ადგილობრივი უნდა იყოს.

ცხენის გარშემო შეკრებილი ადამიანების დიდი ნაწილიც ცხენს უყურობს. ამ პროცესის ამსახველია მე-17 ფოტოსურათიც, რომელზეც ცხენის წინ წრიულად ჩამუხლულ ქალების ჯგუფს ვხედავთ. მათ მიერ შეკრული წრის ცენტრში რამდენიმე ნივთია თავმოყრილი, მათ შორის თავმოხდილი შუშის ბოთლები და სხვადასხვა ნივთი. გვაქვს საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ბოთლებში არაყი ასხია, რომლის ნაწილიც წესით ხუცმა ცხენს ტანზე გადაავლო მიცვალებულის სულისადმი წარმოთქმული ლოცვის დროს. ცხენი ამ კადრში თავდახრილია, თითქოს მის წინ დალაგებულ ნივთებს ყნოსავს, მაგრამ წინა ფოტოსგან განსხვავებით, აქ ყურადღების ცენტრში მაინც ამ პროცესში მონაწილე ადამიანები არიან – წინა ფოტოსგან განსხვავებით აქ ვხედავთ, რომ პროცესში კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი იღებს მონაწილეობას. ცენტრში მოთავსებული ნივთების გარშემო ჩამუხლულ ქალებთან ერთად ჩანან ფეხზე მდგარი სხვა ქალები და მამაკაცებიც. ყველა მათგანის სახეზე იგრძნობა სევდა, უმეტესობას ხელები გადაჯვარედინებული აქვს. ფეხზე მდგარი მამაკაცების ნაწილი თითქოს ერთმანეთში საუბრობენ, დანარჩენები კი (განსაკუთრებით ჩამუხლული ქალები) მათ წინ თავმოყრილ ნივთებს შესცქერავენ.

როგორც ჩანს, ფოტოგრაფმა გარკვეული (შეიძლება ვივარაუდოთ – ეთიკური) მიზეზის გამო აქ შეკრებილ ჭირისუფალთან დასვენებული მიცვალებულის ანდა სრული რიტუალის გადაღება ვერ მოახერხა (შესაძლოა ფოტო მასალამ ჩვენამდე სრული სახით ვერც მოაღწია). ამის მიუხედავად, თუკი პაუელსის მტკიცებას გავითვალისწინებთ და ვიზუალური ანალიზისას სამეცნიერო ნაშრომებით გამყარებულ ფაქტობრივ მასალას დავეყრდნობით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქ შეკრებილი მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობა გარდაცვლილის ნათესავები და მეგობრები უნდა იყვნენ, რომლებსაც მიცვალებულის ნივთების ნაწილი ერგებათ. ამავე პრო-

ცესს შეგვიძლია ცხენის დაკურთხებასთან დაკავშირებული ის შელოცვები დაუფკავშიროთ, რომელთა შესახებაც უკვე ვისაუბრეთ.

განსაკუთრებული დრამატიზმით გამოირჩევა აქ წარმოდგენილი პირველი ოთხი ფოტო. მე-6 ფოტოზე, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად დაზიანებული იყო, ახლო კადრიდან ვხედავთ რამდენიმე ჩამუხლულ მგლოვიარეს, მათ უკან კი ფეხზე მდგარი ადამიანების არასრული გამოსახულებებია. ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ქალი (გარდაცვლილის ახლო ნათესავი) თავსაბურავით. ქალს ხელში ხევსურული ხანჯალი უკავია. გარდაცვლილის ახლო ნათესავი, სავარაუდოდ, წარმოთქვამს სამგლოვიარო სიტყვას. მის გარშემო ჩამუხლული სხვა ქალების სახეებიც ღრმა მწუხარებითაა მოცული, მათი დიდი ნაწილი ტირის ანდა სინანულისგან თავდახრილია.

მე-7, მე-11 და მე-14 ფოტოები განსაკუთრებული დინამიზმით გამოირჩევა. პირველ რიგში აქ ვხედავთ ყველა იმ ნივთს, რომელთა გარშემოც ამდენი ადამიანია შეკრებული – მე-14 ფოტოდან ვიგებთ, რომ მინაზე გაფენილია სქელი გადასაფარებელი, რომლის მეორე ფენასაც ტანისამოსი (ტალავარი) ქმნის. ამ უკანასკნელზე დალაგებულია სათოფე მასრები, სხვადასხვა ზომისა და მოკაზმულობის სატევრები, ასევე ჩონგური, მამაკაცის ქუდი და ტყავის ქამრები. ერთი სიტყვით ყველა ის მნიშვნელოვანი ატრიბუტი, რომელიც გარდაცვლილი ხევსური მამაკაცის ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენდა.

სამივე ფოტოზე ვხედავთ ამ ნივთებზე პირქვედამხობილ მგლოვიარე ქალებს – თითოეული მათგანი ხელით ეხება მათ წინ გაშლილი ნივთებიდან რომელიმეს. რამდენიმე ქალს ამ ნივთებზე სახეც კი აქვს მიდებული. ბუნებრივია, რომ გარდაცვლილ მამაკაცთან დაკავშირებულ ნებისმიერ ნივთს ყველა განსაკუთრებულად ეპყრობა. წინა ფოტოების მსგავსად აქაც, ყველა იმ ქალის სახე, რომელიც კადრში მეტ-ნაკლებად ჩანს, მგლოვიარეა.

გარდა იმისა, რომ ფოტოებზე წარმოდგენილი ადამიანები თუ საგნები, სიბოკის ზემოხსენებული კლასიფიკაციის მიხედვით, წარმოადგენენ როგორც ნიშან-ხატებს, ასევე სიმბოლოებსა და ინდექსებსაც – პირველ რიგში, თითოეული მათგანი სოცო-კულტურულ სპეციფიკას გადმოგვცემს – აქ აღბეჭდილ ადამიანთა ჩაცმულობა და მატერიალური სხვადასხვა კულტურის თავისებურებანი გვიქმნის მკაფიო წარმოდგენას ფოტოს გადაღების დროისა და სივრცის შესახებ. გარდა ამისა, თითოეულ ფოტოზე წარმოდგენილი კომპოზიცია სიმბოლოებითაა დატვირთული: ცხენი, მასზე გადაკიდებული ხურჯინი, მინაზე გაშლილ ტალავარზე დალაგებული საბრძოლო იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სასმისი და ა. შ. წარმოგვიდგენენ



ხევსური მამაკაცის ერთგვარ ატრიბუტებს (შეიძლება ითქვას მედიუმებს). ისინი მათი მფლობელის არარსებობის პირობებშიც კი საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდიან მის შესახებ (რომ აღარაფერი ითქვას ცხენზე, რომელიც, როგორც აღინიშნა, არათუ მისი გარდაცვლილი პატრონის მთავარი ატრიბუტია, არამედ ადგილობრივთა რწმენის მიხედვით, ამქვეყნიური და მიღმიერი სამყაროების მთავარ მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს).

აღსანიშნავია, რომ სტატიისთვის გაანალიზებული ვიზუალური მასალა მჭიდრო კორელაციაში მოდის ზემოთ განხილულ სამეცნიერო ლიტერატურასთან. პირველ რიგში, როგორც ვნახეთ, ფოტოებზე გამოსახული მატერიალური ობიექტები ემთხვევა ს. მაკალათიას მიერ შემოთავაზებულ აღწერილობას – ფოტოებზე კარგად ჩანს როგორც მიცვალებულის ტალავარი და მასზე გაფენილი ხევსურთა ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები, ასევე მიცვალებულის ახლო ნათესავები, ხუცი და მოტირალი ქალები. იგივე შეიძლება ითქვას ნ. ხიზანიშვილის მასალებზეც. ამ მხრივ, დამატებით აღნიშნავს საჭიროებს მეცნიერის მიერ შემოთავაზებული რიტუალისათვის დამახასიათებელი ლოცვებისა და შესანდობრის ტექსტის აღწერის მნიშვნელობაც, რისი წყალობითაც შესაძლებელი ხდება ფოტოებზე აღბეჭდილი უტყვი ფიგურების „ამეტყველება“ და პროცესის მეტნაკლებად სრული კონტექსტის აღდგენა. რაც შეეხება დალი გიორგაძის წყაროს, ბუნებრივია ვიზუალური მასალით, წარმოუდგენელია შესაძლებელი გახდეს ამ რიტუალის საერთო ქართული წარმომავლობის, ანდა მისი, როგორც ხევსურთა კოსმოლოგიური და მეტაფიზიკური სისტემების რეპრეზენტაციის დამტიცება, თუმცაღა ფაქტია ამ მონაკვეთიდანაც მკაფიოდ ჩანს სულის ცხენის მნიშვნელობა ხევსურთა ტრადიციულ ყოფასა და სულიერ კულტურაში. ამ ფაქტს ადასტურებს ალექსი და თინათნ ოჩიაურების ეთნოგრაფიული მასალებიც, რომელთა მიხედვითაც, სულის ცხენი თავის განსაკუთრებულ სოციალურ და მეტაფიზიკურ დატვირთვას მთელი ცხოვრების განმავლობაში ინარჩუნებდა, რა დროსაც ხევსურები ტაბუაციის განსაკუთრებულ სისტემასა და ცხენთან მოპყრობის მკაცრად განერილ წესებს იცავდნენ. თინათნ ოჩიაურის საარქივო მასალებიდან კი დამატებით ვიგებთ, რომ მსგავსი რიტუალური პრაქტიკა ხევსურების გარდა საქართველოში მცხოვრებ ოს მოსახლეობაშიც არსებობდა.

სტატიის დასასრულს საჭიროა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაკრძალვასთან დაკავშირებული „ც ხ ე ნ ი ს და კ უ რ თ ხ ე ბ ი ს“ რიტუალის გააზრებისა და მეტ-ნაკლებად სრული ანალიზისათვის, საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა, რაც კვლევის პროცესში სხვადასხვა სახის (ამ შემთხვევაში წერილობითი და ვიზუალური) მასალის გათვალის-



წინებას გულისხმობს. საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული ლიტერატურისა და საარქივო ფოტოების გაანალიზებით, ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა საქართველოს კონკრეტულ ეთნოგრაფიულ ჯგუფში კონკრეტულ რიტუალთან დაკავშირებული ჰოლისტური სურათი. წერილობითი ტექსტების მოხმობით, შესაძლებელი გახდა საკითხის კონტექსტუალური ჩარჩოს შემოთავაზება, რაც სტატიაში გამყარებულია სხვადასხვა ავტორის მიერ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული დაკვირვებებითა და ანალიზით. რაც შეეხება ვიზუალურ მასალას, ჩვენი გადმოსახედიდან მნიშვნელოვანი იყო ვიზუალური ანალიზის დროს თანამედროვე მეთოდოლოგიისა და მულტიმედია-ციფრული მიდგომის გამოყენება, რისი საშუალებითაც ვიზუალურ დოკუმენტებს შეუძლიათ ტექსტურ წყაროებში არსებული ვაკუუმის ამოვსება კონკრეტული რიტუალის ხელშესახები და ემოციური ასპექტების აღგებვით. სხვა სიტყვებით – სოციო-კულტურული რეალობის იმ პრიზმით წარმოდგენა, რომელიც წერილობით დონეზე ვერ გადმოიცემა (მიუხედავად ეთნოგრაფიული ნაშრომებისათვის დამახასიათებელი სიღრმისა) და რისი მიღწევაც მხოლოდ მეთოდოლოგიური ტრიანგულაციითაა შესაძლებელი, რომლის დროსაც სამეცნიერო ლიტერატურა საკითხის კონტექსტუალიზაციის, ეთნოგრაფიული ჩანაწერები რიტუალის სიღრმისეული დეტალების აღწერის, ხოლო ფოტო მასალა უშუალოდ ვიზუალური მტკიცებულებების წარმოდგენის საშუალებას ქმნის. როგორც სტატიიდან გამოჩნდა, ცხენის დაკურთხება, როგორც დაკრძალვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი რიტუალი საკუთარ თავში აერთიანებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ამ შემთხვევაში ხევსურეთის) ყოფისათვის დამახასიათებელ მატერიალურ თუ სულიერ კულტურას, ნორმებს, რწმენა-წარმოდგენების სისტემებსა თუ ზოგად მსოფლმხედველობრივ ასპექტებს, რომელთა მრავალმხრივი შესწავლაც მნიშვნელოვანია ტრადიციული ყოფის სრულფასოვანი გაანალიზებისათვის.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**იეა, ვ. ბ. 176** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 176.

**იეა, ვ. ბ. 177** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 177.

**იეა, ვ. ბ. 178** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 178.

**იეა, ვ. ბ. 179** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 179.

**იეა, ვ. ბ. 180** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, ვერა ბარდაველიძის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 180.

**იეა, თ. ო. 62** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი, თინათინ ოჩიაურის პირადი საარქივო ფონდი, საქალაქში 62.

**იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა** – თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიული და ეთნოლოგიური არქივის ექსპედიციების ფონდი, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა.

**ბალიაური მ., მაკალათია ს., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში** – ბალიაური მ., მაკალათია ს., *მიცვალებულის კულტი არხოტის თემში*, მსპ, III, 1940, გვ. 1-61.

**გიორგაძე დ., გლოვის წესები საქართველოში** – გიორგაძე დ., *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)*, თბილისი, 1987.

**ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქართლში** – ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქართლში, გაზეთი „კომუნისტი“, 13 ივლისი, 1947, № 139, გვ. 4.

**მაკალათია ს., ხევსურეთი** – მაკალათია ს., *ხევსურეთი*, თბილისი, 1984.

**ოჩიაური ალ., მიცვალებულის კულტი რომკასა და უკენ ხადუს თემებში** – ოჩიაური ალ., *მიცვალებულის კულტი რომკასა და უკენ ხადუს თემებში*, მსპ, III, 1940, გვ. 71-78.

**წულაძე ლ., კვლევის თვისებრივი მეთოდები** – წულაძე ლ., სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბილისი, 2020.

**სიზანიშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები** – სიზანიშვილი ნ. (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, მსპ, II, 1940.

**Pauwels L., *An Integrated Conceptual Framework for Visual Social Research*** – Pauwels L., *An Integrated Conceptual Framework for Visual Social Research*, ნიგნიდან: Margolis E., Pauwels L. (რედაქტორები), *The SAGE Handbook of Visual Research Methods*, London, 2011, გვ. 3-24.

**Sebeok Th., *An Introduction to Semiotics*** – Sebeok Th. A., *Signs, An Introduction to Semiotics* (II გამოცემა), Toronto, 2001.

**Horse Consecration Ritual in Khevsureti  
(According to the Analysis of Ethnographic  
Literature and Archival Visual Material)**

In this article I explore the “Horse Consecration” ritual, a significant funeral custom once prevalent in various regions of Georgia, with a focus on Khevsureti, a mountainous area in eastern Georgia. This ritual involves locals mourning over the horse and personal belongings of deceased individuals particularly, young males. Through this practice, we gain profound insights into the metaphysical worldviews, material culture, and customs of the vernacular mountainous community.

Adopting a holistic approach, my analysis extends beyond ethnographic literature to include archival written and visual materials. These materials are kept in the archive of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Georgia. A pivotal component of this study is the examination of black-and-white photographs from a 1947 ethnographic expedition. The photographs here vividly capture the key elements of the ritual – mourners, the horse belonged to the deceased person, and his or her personal belongings. Due to the lack of information about these photographs, we do not know the exact data about where and when they were taken, that’s why additional information and fieldwork reports about the 1947 ethnographic expedition were also analyzed.

We also argue that a holistic approach requires special attention to methodology, in this case – modern methods of visual analysis. Employing methodologies from Pauwels’ “An Integrated Conceptual Framework for Visual Social Research” and Sebeok’s “An Introduction to Semiotics”, we interpret these historical images within their broader cultural and historical contexts. According to Sebeok, symbols in general (and in these images in particular) conventionally represent societal realities, indicating that the deceased’s horse, clothing, swords, and other items symbolize not only the individual but also the local cultural ethos posthumously.

Ultimately, this article highlights the “Horse Consecration” ritual as a window into the intricate fabric of Khevsureti’s cultural heritage, illustrating how material objects and mourning practices intertwine to reflect deeper vernacular societal values and belief systems.



იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 6.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N6.



იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 7.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N7.





იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 11.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N11.



იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 14.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N14.





იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 17.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N17.



იეა, ხევსურეთის 1947 წლის ექსპედიციის ფოტომასალა, ფოტო 20.  
ნარწერა უკანა გვერდზე: „ცხენის დაკურთხება“.  
Archive of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,  
Photo material of the 1947 expedition of Khevsureti, Photo N20,  
With the inscription: “Horse Consecration”.

**„კერძი“ – ნათესავის საკრალური  
მნიშვნელობისათვის**

ქართველთა ეთნოკულტურულ ფასეულობებს შორის, ხელოვნური დანათესავების არაერთი ფორმა, მაგ., მამამძუძეობა, ძმადნაფიცობა, ამანათობა, კერძმოკეთეობა იქცევა ყურადღებას. ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ხელოვნური ნათესაობის ფორმებს ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის, ნ. მაჩაბლის გ. ვანილიძის, ვალ. ითონიშვილის, ნ. ჯავახაძის, ს. რეხვიაშვილის... თანამედროვე, თუ შემდგომ (ნ. ჯალაბაძის, ლ. ჯანიაშვილის, თ. ქამუშაძის და ა. შ.) მეცნიერთა არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, რაც ამ ხალხთა უძველეს კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებზე მიუთითებს. ამჯერად კერძმოკეთეობა წარმოადგენს კვლევის მიზანს, რომელიც მთის ტერიტორიული თემის ყოფა-ცხოვრების წიაღში იშვა. უცხო პიროვნების მიღების, დაახლოებისა და დანათესავების ჩვეულება, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (რაჭა, სვანეთი) კავკასიელებთან (ჩრდილოეთ თუ ცენტრალური კავკასიის) ინტენსიურ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს მოჰყვა, რომლებიც გვიან შუა საუკუნეების შემდეგ გახშირდა. კავკასიელებთან მეზობლობა, თანაცხოვრება, საერთო მტრებსა და ბუნებრივ პირობებთან გამკლავება, ერთობლივი ინტერესები ერთიან კავკასიურ სივრცეში ზოგად კულტურულ ფენომენს ქმნიდა. მაშინ როცა მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ცივილიზაციის სტერეოტიპულმა ამბივალენტურმა მდინარებამ წაშალა ტრადიცია და ინდივიდუალიზმი, კავკასიაში ძალაში რჩებოდა, ანუ შენახული იყო პატრიარქალური ყოფის არაერთი არქაული წესი და ტრადიცია. ეს ყველაფერი კულტურის, ცივილიზაციის ენაა და მსოფლიო საზოგადოებაც მასთან შესახვედრად უნდა ისწრაფოდეს.<sup>1</sup> დღესდღეობით, უტრადიციო კულტურისაკენ სწრაფვა მეტად პოპულარული ხდება, რაც ძველი და უძველესი ტრადიციების დავინყების ფასადაც გვინევს, მაგ., საქართველოსა და კავკასიაში შემონახულია განვითარების უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები და მათ გვერდით წარმოდგენილია მაღალი კულტურული მიღწევები, აგრეთვე ისტორიული პროცესების რთული მოვლენები, ფაქტები.<sup>2</sup> ასეთ ტრადიციასთან გვაქვს საქმე კერძ-მოკეთეობის შემთხვევაში. სამიოდე წლის უკან, ზემო რაჭის სოფლებში კავკასი-

<sup>1</sup> პაიჭაძე, *კავკასია ინტერკულტურულ სივრცეში, როგორც მითომოდერნისტული პარადიგმა*, გვ. 11.

<sup>2</sup> გეგეშიძე, *პროფესორ ვერა ბარდაველიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა*, გვ. 13.

ის ეთნოლოგიის განყოფილების მივლინებისას, ადგილობრივებმა კავკასიელებთან დანათესავების ფორმად კერძობა, კერძ-მოკეთეობა დაგვისახელეს, ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის დასტურად. როგორც გვიამბეს, რაჭველებისთვის სიახლოვის გამო, კავკასიონის გადაღმა გადასვლა და მგზავრობა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ქუთაისში, შესაბამისად, საჭირო სურსათ-სანოვავით უზრუნველყოფას ამ გზით უფრო ახერხებდნენ. ასე იყო სვანეთშიც, თეთნულდის აღმოსავლეთით, ადიშის მყინვარით ბალყარეთიდან (მალყარიდან) იყო გადმოსასვლელი. დილით ამდგარი მამაკაცი ცელის ნკეპლის, ტარის გასაკეთებლად გადადიოდა მალყარში, ცელს გააკეთებინებდა მჭედელს და იმავე დღეს ბრუნდებოდა შინ.<sup>1</sup> ამ საკითხზე ს. რეხვიაშვილის მონოგრაფიას დავესესხები, კერძოდ, საუღელტეხილო ბილიკებით (მაგ.: მამისონის, კარაგომის, კირტიშოს და სხვა) ზემო რაჭიდან მგზავრს შეეძლო ერთ დღეში გადასულიყო ჩრდ. კავკასიაში და უკანაც დაბრუნებულიყო.<sup>2</sup> ცნობილია, რომ ამ უღელტეხილების საშუალებით ენეოდნენ ურთიერთავდასხმას და რბევა-ანოკებას, მაგრამ ამ გზაზე წარმოიშვა კერძ-მოკეთეობის ტრადიცია, რომელიც ვერც რწმენის სხვაობამ შეარყია. სვანეთში, თავის დროზე, ყოველ საღმრთო სუფრაზე ერთ-ერთი სადღეგრძელო ასე ითქმოდა: „ყველა ჩვენ კერძმუკეთეებს (სვანურად კავკასიელ მეგობარს კერძმუკეთეს უწოდებდნენ) გაუმარჯოს მთის იქით და მთის აქეთო“. უფრო მეტიც, სვანი ქალები მგზავრობისას, ან ლაშქრობისას მათაც ლოცავდნენ, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შესთხოვდნენ ღმერთს.<sup>3</sup> მოყვასისადმი ასეთი უანგარო სიყვარული შეიძლება ქრისტიანული რწმენის ფენომენით აიხსნას, თუმცა ეს უფრო ზოგად კავკასიური ტრადიციული კულტურის მონაპოვარს წარმოადგენს; როგორც ირკვევა, ზემო რაჭასა და ზემო სვანეთში არ არსებობდა ისეთი ოჯახი, რომ მოსაზღვრე ყარაჩაელ, ბალყარელ, დიგორელ, თუ დვალეთელ მთიელთა შორის, ვისთანაც ხშირი მიმოსვლა და საქმიანობა უხდებოდათ, კერძი (ახალი მეგობარი) არ ჰყოლოდეთ. ოსები ასეთ მეგობარს და საპატიო სტუმარს „ლიმანს“, ხოლო ყარაჩაელები და ბალყარელები – „ყონალს“ ან „ეჩეკს“ (ძუძუთ ძმას) უწოდებდნენ.<sup>4</sup> აღნიშნული ტერმინები არაფრით ჩამოუვარდება „კერძმოკეთეს“, პირიქით ისინი ერთიმეორეს ავსებენ, ისევე როგორც განგებამ კავკასიის ხალხებს ღმერთისკენ მიმავალი სხვადასხვა გზა დაუსახა, მაგრამ ის ბილიკებიც დაუტოვა კავკასიონის ქედზე

<sup>1</sup> ავალიანი, *ადიშის ოთხთავი*, გვ. 4.

<sup>2</sup> რეხვიაშვილი, *ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან*, გვ. 16.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>4</sup> ბალაშვილი, *ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები*, გვ. 12.

რომ გადადიოდა და ერთი ხალხის სულიერი, თუ მატერიალური კულტურის მონაპოვარი მეორესთან მიჰქონდა.<sup>1</sup> ხელოვნური დანათესავების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის: ათალიკობა, გაშვილება ფრიად მიღებული ჩვეულება იყო აფხაზებში, ოსებში, ჩერქეზებში, ადიღელებში, რომელთა შორის ასევე გავრცელებული იყო მეკობრეობა და თარეშების ინდუსტრია. რას შეიძლება გამოესყიდა ის, „რაც მტრობას დაუნგრევია?“ თურმე დედის რძის ღვთაებრივ ძალას, რომელმაც დაქსაქსული და მტრულად განწყობილი სისხლით არამონათესავე არათუ მოქიშპე ცალკეული პიროვნებები ან ოჯახები, არამედ მთელი საგვარეულოები, თემები და ხალხები შეაკავშირა, გააერთიანა, კიდევაც დაამოყვრა-დაამეგობრა.<sup>2</sup> ზემოაღნიშნულ ხელოვნურ შენათესავებას სოციალურად დანიშნულებული კატეგორია მისდევდა, ხოლო კერძ-მოკეთეობას – უბრალო ხალხი. ქართველი და კავკასიელი მთიელები ნათესაურ კავშირს განამტკიცებდნენ ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობის, დაძმობილების, ნათლიაობის, გაჭირვებაში დახმარების, მიცვალებულის დატირების და გლოვის ნესების საშუალებით, რითაც კერძობა საფუძვლიანად განსხვავდება „ყონალობის“ ჩვეულებისაგან.<sup>3</sup> ამავე დროს, დაკერძებას ღრმა ეკონომიკური საფუძველი გააჩნდა. ინტენსიურ მისვლა-მოსვლას თან ხელოსნობა და ქარბი პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა ერთვოდა.

„კერძი“ მნიშვნელობით თითქოს უფრო აღმატებულია, ვინაიდან არა მხოლოდ ნათესავს ნიშნავს, არამედ ახლობელ ნათესავს, თვისტომს, ვინაიდან მეგრულ ლექსიკაში „უკერზე“ განიმარტება როგორც უთვისტომო.<sup>4</sup> „კერზი“, ამავე დროს, „კერძს“, „წილს“ ნიშნავს, „ჩქიმ კერზის მითინს ვემეფჩა“ – ჩემ წილს არავის არ მივცემ. როგორც უკვე აღინიშნა კერძი არის ახლობელი, მოკეთე, მომხრე. „თექ არძა სქანი კერზი იყაფუ“ – იქ ყველა შენი ახლობელი იქნება. ერთი სიტყვით, „კერზ-მოჯგირე“ ახლობელი ნათესავია,<sup>5</sup> ე. ი. კერძ-მოკეთე კეთილისმყოფელი, არა კეთილისმსურველი მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით – კეთილისმოქმედი, რომელიც შეიძლება იყოს ახლობელი ნათესავი. რაც შეეხება ნათესავს, ის „ახლობელი წინაპრების ერთი შთამომავალია მეორისათვის; ნათესაობა – საერთო წარმოშობით გამონვეული სიახლოვე მსგავსება“.<sup>6</sup> საქმე იმაშია, რომ ნათესავი ფართო მნიშვნელობის ამსახველი ცნებაა. დღევანდელი მნიშვნელობის გარდა, იგი აღნიშნავს: 1. თაობას, მოდგმას, ჩამომავლობას. მაგ., „ყოველი ნათესავი აბ-

<sup>1</sup> ჩლაიძე, *ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი*, გვ. 5.

<sup>2</sup> რეხვიაშვილი, *სხვისშვილობა მთის რაჭაში*, გვ. 141.

<sup>3</sup> რეხვიაშვილი, *კერძობა-მოკეთეობა რაჭაში*, გვ. 10.

<sup>4</sup> ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გვ. 611.

<sup>5</sup> ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, გვ. 117.

<sup>6</sup> *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, გვ. 350.



რაჰამისითგან ვიდრე დავითისამდე ნათესავი ათოთხმეტ; და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ...“ (მ. 1,17); 2. აგრეთვე ხალხს, ერს. სახელდობრ, „იქადაგოს სახარებაჲ ესე... სანამებელად ყოველთა ნათესავთა ზედა“ (მ. 24, 14); 3. ტომს – „განსჯიდეთ ათორმეტთა ნათესავთა ისრაელისათა“ (მ. 19, 28); 4. ნათესავი ნიშნავს გვარსაც – „იყო იგი სახლისაგან და ნათესავისა დავითისა“ (ლ. 2, 4).<sup>1</sup>

გვარი ნათესაობის თითქოს უფრო ვიწრო მნიშვნელობაზე მიანიშნებს, თუმცა „ნათესავით ქართველისთვის“ გვარს აქვს საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ. საკვლევი საკითხისთვის საინტერესო ტერმინი – კერძი გვართან კავშირში შეგვხვდა, კერძოდ, ველში ახალციხის სოფლებიდან გადმოსახლებულებს შეკითხვაზე – რას გადმოხვედით, სად გაგვექეციტო, პასუხად თავი ასე უმართლებიათ – რა ვქნათ ბატონო, ყველა კაცს თავის გვარის მიკერძვა (მიმხრობა) უნდაო.<sup>2</sup>

„კერძ“ ხევსურულ ლექსიკონში ამავე მნიშვნელობით გვხვდება. სახელდობრ, „გულის მაკერძება“, „ეკერძების იუდის კერძი“, „მეეკერძების“, „ნილ-კერძი“, „ხკერძებს“ – „უმარჯვებს“, „შეახვედრებს“... „მეეხკერძების“ – „ერგება“, „შეხვდება“. „მაკერძება“ – მისი ერთ-ერთი განმარტებაა, „შეხვედრებული“, „შემთხვეული“, „ნარგუნები“. „გაძლება გინდა ნაბადო, ჭექა-ქუხილსა ცისასა, აეგრევე, კარგო ვაჟკაცო, მაკერძებულსა ხთისასა“.<sup>3</sup> ამდენად, „კერზი“ არის „ღვიძლი“, „მკვიდრი“. „კერზმოკეთე“ მეგრ. – „კერზმოჯგირე“, „ღვიძლი“, ძალიან ახლო ნათესავია; მოკეთე, ნათესავ-მოკეთენი. ე. ი. „უკერძუნას“ ენათესავება.<sup>4</sup> მოკეთენი – ცოლის/ქმრის, ასევე, ნათლია-ნათლიმამის მხარეები არიან ერთმანეთისათვის.<sup>5</sup>

ნიშანდობლივია, რომ კერძო ძველი ქართული ენის მნიშვნელობით მხარეს ეწოდება. მაგ., „კერძოთა სპანიისათა მიმავალი“ – სპანიის მხარეს, სპანიისაკენ მიმავალი; „ნარვიდეს კერძოთა პონტოხსათა“;<sup>6</sup> „კერძო“ – „ნანილი“, „მხარე“; „კერძო“ – „ზოგი“, „ნახევარი“, „მხარე“, „ხვედრი“, აგრეთვე, „მიერ კერძო“ – „იმ მხარეს“, „გალმა“; „ერთკერძ“ – „ერთი მხარე“, „ცალკე“ და ა. შ.<sup>7</sup>

წმიდა წერილში, როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვა „კერძო“ ზმნიზედა, არსებითი სახელი, მრავალგზის გვხვდება და „მხარეს“ აღნიშ-

<sup>1</sup> იმნაიშვილი, *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*, გვ. 421.

<sup>2</sup> ასლანიშვილი-ბავრელი, *წერილები „ოსმალოს საქართველოზე“*, გვ. 72.

<sup>3</sup> ჭინჭარაული, *ხევსურული ლექსიკონი*, გვ. 473, 535, 577.

<sup>4</sup> ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გვ. 357.

<sup>5</sup> ზედგინიძე, *ჯავახური ლექსიკონი*, გვ. 370.

<sup>6</sup> შანიძე, *გიორგი მთაწმინდელის ენა, იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით*, გვ. 108.

<sup>7</sup> აბულაძე, *ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, გვ. 196-197.

ნავს. მაგ., შედარებით ცნობილ ფრაზაში „ხოლო თავადმან ჰრქუა ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და ჯელ-ენიფოს ბოროტის სიტყუად ჩემდა, რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერს არს, იგი ჩუენ კერძო არს“ (მარკ. 9, 39-40). ასევე, „გცეს თუ ვინმე მარჯუენესა ყურიმალსა, მიუპყარ მას ერთ კერძო-ცა (მეორე მხარე)“ (მ. 5, 39).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში კერძი „ენოდების ნაწილს, რასამე, გინა ნახევრად სათქმელსა, გინა მხარესა. კერძი – წილი თუ არშივი იგივე ხვედრი“.<sup>1</sup>

წმიდა ნერილის მსგავსად, „ქართლის ცხოვრებაში“ კერძო პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს მხარეს; ვისიმე მხარეზე მყოფს, მომხრეს; ასევე, საკუთრებას, კუთვნილს, სახელდობრ: „ინყეს ლიტანიობად: ერთკენ მეფემან და კათალიკოსმან და ყოველმან სამღვდელმან კრებულმან ... და ერთ-კერძო სომეხნი და მწარგრძელნი ზაქარია და ივანე... დავითის კერძო იყვენენ“, ე. ი. დავითისკენ იყვენენ;<sup>2</sup> „ხოლო ალექსანდრე შემოიყარა თვსნი კერძნი კახნი (ანუ მომხრე კახელების) და წარვიდა მათ ზედა“;<sup>3</sup> „თამარის კერძთა ლაშქართა ამცნო გულ-უყოვნელ ქმნა შებმისა და დევნა-ყოფისა“<sup>4</sup> (თამარის, კუთვნილი – ასე განმარტავენ ლექსიკონის შემდგენლები); ნიშანდობლივია შემდეგი ფრაზაც: „ორთავე კერძთა გუართაგან სახელმწიფო“ (ორივე მხრით – მამითაც და დედითაც).<sup>5</sup>

ჯუანშერის ცნობით, „ხოლო ვახტანგ უკუეთუ მარჯუენით-კერძო იბრძოდის, მარცხენით-კერძო ძრწოდინ“.<sup>6</sup>

გარდა ამისა, ზემო კერძო, ქვემო კერძონი (ზედა, ქვედა მხარენი), ცალის კერძი//ერთ კერძო (ერთი მხრით, მეორე მხრით) და მისთანა ქართლის ცხოვრებაში არაერთგზის გვხვდება. მთავარი ის არის, რომ კერძი მომხრეს, კერძობა – მიმხრობას ნიშნავს. „მას შემდგომად ინყეს ვითარცა წესი არს კახთა, კერძობა ერთმან მეორისა და მტერობა ურთიერთთა და არა განიხილვიდნენ რისხვასა“.<sup>7</sup>

ასევე, მთავარია იმის ხაზგასმაც, რომ რაჭველი მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილოკავკასიელ მეგობარს უწოდებდა კერძს, მხოლოდ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოიხსენებდა კერძად... კერძმოკეთება სიკვდილის შემდეგაც არ წყდებოდა, შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემო-

<sup>1</sup> ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, გვ. 368.

<sup>2</sup> *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*, გვ. 86.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 52; იხ. ლექსიკონი 569.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 46; იხ. ლექსიკონი 570.

<sup>5</sup> *ახალი ქართლის ცხოვრება*, მესამე ტექსტი, გვ. 515.

<sup>6</sup> *ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*, გვ. 156.

<sup>7</sup> *ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 614.



და.<sup>1</sup> ზემოთ ნახსენები სვანების სავედრებელი, „ყველა ჩვენს კერძმუკეთებს გაუმარჯოს მთას იქითა და მთას აქეთო“, მიუკერძოებლად ახლო ნათესავებად მოიაზრებს ქართველებსა და არაქართველებს, მაგრამ კავკასიელებს, გაკავკასიელებულებს.

კავკასიის ხალხებში საპატიო გავლენა ჰქონდა კერძმოკეთის და ყონალის სიტყვას. ისინი ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდნენ მთიელების დაახლოება-დაკერძების საქმეში. დაკერძება, კერძმოკეთეობა უხვ სუფრასთან ფიცით მტკიცდებოდა. არცით სავსე ჭიქაში ვერცხლის ფულს ჩააგდებდნენ და კერძმოკეთეობას შეჰფიცავდნენ ერთმანეთს. ქართველი ყონალი კერძის დედის, მისი დედობილის (ოჯახში უფროსი დედაკაცი) ძუძუსთავს კბილით შეეხებოდა, რის შემდეგაც დედა მას მიმართავდა – „ან, ამას იქით შენ ხარ, ჩემი შვილის ემჩეკი (ძუძუთ ძმა), შენი მტერი ჩვენი მტერი...“<sup>2</sup> კავკასიურ გარემოში მოხვედრილი ეთნოსები, არა მარტო ეგუებოდნენ იმ ზოგადკავკასიურ კულტურას, არამედ იგუებდნენ კიდევაც და თავისებურებებით ამდიდრებდნენ. ერთი შეხედვით თითქოს მარტივი რიტუალები, ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებიდან და საერთო იდეებიდან მომდინარეობს. ვინ არ იცის, რომ აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა მსოფლმხედველობათა იდეოლოგიური ზეგავლენა, სადაც ქართული კულტურის ძლიერი პლასტი იკვეთება. რაჭველი მასპინძლის მოარული თქმა – „ერთი ფესვიდან მოვდივართ“, მშვიდობიანი კავკასიის მთავარი ღირებულებების (ურთიერთპატივისცემის, ოჯახის სინმინდის, სამშობლოს თავისუფლების, პასუხისმგებლობის და სხვა) შენარჩუნებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა. კულტურულ-ყოფით ტრანსფორმაციას, ცხადია, ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული პოლიტიკური მოტივი ჰქონდა, მაგრამ სარწმუნოება მუდამ რჩებოდა საზოგადოებრივი აზრის მამოძრავებელ ძალად. ამ ცოცხალი რწმენის დასტურს წარმოადგენს ის ტრადიციები, რომლებიც ეთნიკური კულტურის დამცველისა და ეროვნული თვითშეგნების სრულყოფის ფუნქციას ასრულებენ. სიტყვის, პირობის და მით უმეტეს, ფიცის გაუტეხელობა კავკასიელთა ეთნიკური კულტურის დაუნერგელ კანონს წარმოადგენდა. ამისათვის თითოეულ წვრილმანს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მკაცრად იცავდნენ. მაგ., ყოველდღიურ ურთიერთობაშიც კერძმოკეთეები ერთმანეთისადმი განსაკუთრებულ სიფაქიზეს იჩენდნენ. გასაგები მიზეზების გამო, სახალხო დღესასწაულებზე მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ, მაგრამ „ჭირი და ლხინი ერთი გვქონდა, ვინაიდან ერთი ფესვიდან მოვდი-

<sup>1</sup> რეხვიაშვილი, *ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან*, გვ. 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 33.

ვართ. ქრისტიან ოსებში ნათელ-მრონობაც ხშირი გვექონდა და ურთიერთ-ქორწინებაც სანიმუშო წესების დაცვით აგერ XX ს-ის 90-იან წლებამდე მოგვეყვა. სხვა აკრძალვებთან ერთად, კერძებს შორის ქორწინება დაუშვებელი იყო“. ისიც აღიარა ზოგიერთმა ზემო რაჭველმა, ახლაც რომ გადავიდეთ კარგად დაგვხვდებიან, ერთმანეთის ენა კარგად გვესმისო.<sup>1</sup>

საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ძველად მთის იქიდან საქართველოში თვით მეპატრონეს გადმოჰყავდა პირუტყვი გასაყიდად და ქართველ მეგობარს უტოვებდა. იმდენად ენდობოდა, რომ ფასსაც არ ეუბნებოდა, სჯეროდა მისი და მშვიდად ელოდა საზღაურს. ბალყარელებს და სვანებს შორის ასეთ დროს წესი იყო, სტუმარს სვანისთვის კვიცი ან მოზვერი ერჩეუბინა. სტუმრად სულ სამი დღე დარჩებოდა. პირუტყვს ძმადნაფიცს დაუტოვებდა, ფასს არ ეტყოდა, ეს მეგობრებს შორის სირცხვილად ითვლებოდა. ყველაფერი მამაკაცის სირცხვილ-ნამუსზე იყო მიხედობილი.<sup>2</sup>

ამრიგად, კავკასიელები საარსებო ინტერესებით იყვნენ გადაჯაჭვულნი, მაგრამ საერთო კავკასიური სულისკვეთება ურთიერთ, ძმურ თანამშრომლობას ემყარებოდა, რომელსაც ნაწილობრივ ბიბლიური აზროვნება ასაზრდოებდა.

საკრალური აზროვნება შინაგანი თავისუფლების, აზროვნების სინმინდის, რწმენის თავისუფლების, სიმტკიცის, ერთგულების შენახვას გულსხმობს, რაც თან სდევდა სისხლიერად არამონათესავე ადამიანთა ურთიერთდაახლოებას. ფიცი, დედის რძე და მასთან დაკავშირებული ადათწესები იყო ის, რაც მათ ანათესავებდა. რძე უთანაბრდებოდა სისხლს და აღემატებოდა კიდევაც, რადგან მას ნათესაობა სულიერ რანგში აჰყავდა. ბავშვობაში აფხაზეთში, წმ. გიორგის განთქმულ სალოცავში შევსწრებივარ მავედრებელ დედებს, რომლებიც მკერდგადახსნილი ლოცულობდნენ, ან შეურაცხმყოფელს შეაჩვენებდნენ – დედაშვილობის მადლით დაიცავი ჩემი შვილებიო. ამავე მადლით, სამაგიერო გადაუხადე ამა და ამ ოჯახს ჩვენი უსამართლოდ გამწარებისთვისო.

მთის რაჭული კერძობის ჩვეულება, რომლის თითქმის ყველა ძირითადი ნიუანსი ს. რეხვიაშვილს აქვს შესწავლილი, ასკვნიდა, რომ ის ყველა ხალხთა ჩვეულებისაგან თავისი ორიგინალობითა და სპეციფიკური ნიშნებით განირჩეოდა. ჩრდილო კავკასიელ მთიელებში ათალიკობა ჩვეულების ზოგადი სახელია, ხოლო დასავლეთ საქართველოში მას „გაშვილებას“, „სხვისშვილობას“ უწოდებენ. ოდესღაც, აღნიშნულ ქართულ-კავკასიურ

<sup>1</sup> კვაშილავა, *საველე დღიური*, გვ. 5.

<sup>2</sup> რეხვიაშვილი, *ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან*, გვ. 85-89.

ჩვეულებას საერთო სახელი, შესაძლებელია, კერძობა რქმეოდა.<sup>1</sup> იმაზე წმინდათაწმინდა საკრალური რა უნდა იყოს, როცა არამონათესავე ადამიანს, რომელიც თორმეტი წლის ასაკამდე კერძის ოჯახში იზრდებოდა, საკუთარი შვილებისაგან არ არჩევდნენ. ძუძუს მოზიარე ძმობილი ან დობილი ოჯახის შვილად ითვლებოდა ლაზებში. ძმობილ-დობილს შორის ქორწინება სასტიკად იკრძალებოდა;<sup>2</sup> ასე იყო სამეგრელო-აფხაზეთში. ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ ომის შემდგომ, აფხაზეთშიც კი, აღნიშნულ ტრადიციას მნიშვნელობა არ დაუკარგავს, რისი მოწმეც თავად ვყოფილვარ.

ხელოვნური დანათესავების რიგ საშუალებებს შორის, ვალ. ითონიშვილი ხევში „სამამისძმო“ ურთიერთობას, რაც ხატობა-დღეობათა ერთად შესრულების აუცილებლობას და ერთი ხატის ყმობას გულისხმობდა, „ეჯიფ-ხელისმამკიდობის“, „ნათლიობის“, „ძმად გაფიცვის“, „დაძმობილების“ წრეში აქცევდა. ამანათობა ხომ ხელოვნური შენათესავების პრინციპზე ეწყობოდა.<sup>3</sup>

დასასრულ, საჭიროა კიდევ ერთხელ დავიმონმო ამ ჩვეულების საკრალურობის დამადასტურებელი ნიუანსები. კერძოდ, ის, რომ წინასწარი შეთანხმების შემდეგ, რაჭის სოფლიდან მამაკაცების ქარავანს მთას იქით კერძებთან (ძველ წყაროებში კერძი მხარეს, მომხრეს, ღვიძლს, თვისტომს ნიშნავს – ი. კ.) აღსაზრდელად რამდენიმე ბავშვი ერთდროულად მიჰყავდა. ნაყვანის წინ ბავშვს შუბლზე ნახშირით ჯვარს დაუსვამდნენ, თეთრ მიტკალში გაახვევდნენ, საგზლად თხის რძეს გააყოლებდნენ, გუდაში ჩასვამდნენ, მამაკაცს მხრებზე აჰკიდებდნენ და გზას დაულოცავდნენ. დამხვდურნი ოჯახში წვეულებას იხდიდნენ, რომლის მთავარ ნაწილს ჩვილის დალოცვა წარმოადგენდა. კერძი აღსაზრდელად მიბარებულ ბავშვს შუბლზე და ტუჩებზე რამდენჯერმე თაფლის წმინდა სანთელს შეახებდა, ყელზე წინასწარ გამზადებულ ამულეტს შეაბამდა და დალოცავდა: „ღმერთო და ჩვენო გამჩენო, ჩვენო სიცოცხლის დამცველო, შენ გვაძლევ პურს, მამაცობას და გამბედაობას, გვიფარავ მტრის ტყვიისაგან და მახვილისაგან, დაგვეხმარე გაჭირვებაში, გაგვიზარდე ეს ყმანვილი, დაიფარე მოსისხლე მტრისაგან, მიეც ძალა, რომ მის იარაღზე გვენახოს შენი და ჩვენი მოშურნის სისხლი. გვაშორე შურისძიების დროს შენი ნების საწინააღმდეგო ცოდვის ჩადენისაგან“.<sup>4</sup>

ნათქვამია, ჩვეულებები ზეციდან გვეწყალობება; ხელოვნური შენათესავების წარმოშობისა და დანიშნულების საზოგადოებრივ, ეთნოფსიქოლოგიურ, თუ ეთნოკულტურულ პარალელებს მკვლევარი არ მოაკლდება. ნაშ-

<sup>1</sup> რეხვიაშვილი, *სხვისშვილობა მთის რაჭაში*, გვ. 142.

<sup>2</sup> ვანილიძე, *ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან*, გვ. 119.

<sup>3</sup> ითონიშვილი, *ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან*, გვ. 24.

<sup>4</sup> რეხვიაშვილი, *სხვისშვილობა მთის რაჭაში*, გვ. 134.

რომში ნათესაობის მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა წარმოვადგინე ძველი წერილობითი ძეგლებისა და სხვადასხვა მონაცემების შეჯერებით, იმ მოტივაციით, რომ კერძ-მოკეთეობის სანიმუშო ტრადიციას სოციალური კვლევის სფეროში, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ავალიანი, ადიშის ოთხთავი** – ავალიანი მ., *ადიშის ოთხთავი*, გაზ. „ახალი სვანეთი“, 1982, 23 სექტემბერი, გვ. 3-4.

**აბულაძე, ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** – აბულაძე ი., *ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, თბილისი, 1973.

**ასლანიშვილი-ბავრელი, წერილები „ოსმალოს საქართველოზე“** – ასლანიშვილი-ბავრელი ს., *წერილები „ოსმალოს საქართველოზე“*, თბილისი, 2008.

**ბალაშვილი, ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები** – ბალაშვილი ს., *ასე ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები*, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, 26 მაისი, გვ. 2-3.

**ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა** – ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.

**გეგეშიძე, პროფესორ ვერა ბარდაველიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა** – გეგეშიძე მ., *პროფესორ ვერა ბარდაველიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა*, მსპ, XVI-XVII, თბილისი, 1972, გვ. 5-21.

**ვანილიში, ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან** – ვანილიში გ., *ლაზთა საოჯახო ყოფის ისტორიიდან*, სდსჰპ, VII, თბილისი, 1979, გვ. 116-120.

**ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი** – ზედგინიძე გ., *ჯავახური ლექსიკონი*, თბილისი, 2014.

**კვაშილავა, საველე დღიური** – კვაშილავა ი., *საველე დღიური*, ზემო რაჭა, თბილისი, 2021.

**ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან** – ითონიშვილი ვალ., *ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან*, თბილისი, 1960.

**იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი** – იმნაიშვილი ი., *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1986.

**პაიჭაძე, კავკასია ინტერკულტურულ სივრცეში, როგორც მითომოდერნისტული პარადიგმა** – პაიჭაძე ი., *კავკასია ინტერკულტურულ სივრცეში, როგორც მითომოდერნისტული პარადიგმა*, სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია დინამიკურად ცვალებად დროში“, თბილისი, 2012, გვ. 11-13.

**რეზვიაშვილი, ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან** – რეზვიაშვილი ს., ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბილისი, 1977.

**რეზვიაშვილი, ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან** – რეზვიაშვილი ს., ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1980.

**რეზვიაშვილი, სხვისშვილობა მთის რაჭაში** – რეზვიაშვილი ს., სხვისშვილობა მთის რაჭაში, ჟურნალი „ცისკარი“, 1973, N1, გვ.133-142.

**რეზვიაშვილი, კერძობა-მოკეთეობა რაჭაში** – რეზვიაშვილი ს., კერძობა-მოკეთეობა რაჭაში, სამეცნიერო სესია მიძენილი პროფ. ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი, 1972, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1972, გვ. 10-13.

**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი** – ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 1-114.

**ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი** – ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 477-539.

**ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა** – ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 139-244.

**ორბელიანი, ლექსიკონი ქართული** – ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ნ. 1, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვეთვა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1993.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986.

**ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი** – ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 2002.

**ქობალია, მეგრული ლექსიკონი** – ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

**შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით** – შანიძე აკ., გიორგი მთაწმინდელის ენა, იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბილისი, 1946.

**ჩლაიძე, ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი** – ჩლაიძე ლ., ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი, თბილისი, 2001.

**ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი** – ჭინჭარაული ალ., ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

## „K’erdzi“ – On the Sacral Meaning of Kinship

### Summary

The notion of kinship has a broad meaning, encompassing the key events of human relationships. The article analyzes one of the forms of artificial kinship,– “k’erdzi”, “dak’erdzeba” (Fosterage), which arose in relations with North Caucasians in the mountains of Western Georgia (Rach’a-Lechkhum-Svaneti) and, despite political transformations, has not completely lost its significance. This is a pan-Caucasian phenomenon of artificial kinships, such as kunakship, amanatship and the like. K’erdzi, often found in the Bible (New Testament books), basically means “side”, “other side”, “right or left side”, “behind the side”, etc. It is significant that the traditional understanding of “K’erdzi” in Georgian coincides with its sacral meaning, which confirms the biblical thinking of the Georgian people.

“K’erdzo” in old Georgian written sources means “side” and also “being on someone’s side”, or “a supporter”. Additionally, it signifies ownership and belonging. This meaning has been preserved in both the vocabulary and the spoken language of Georgians. Therefore, the Svan prayer, “Let all K’erdzis on both sides of the Caucasus be blessed”, perceives both Northern and Southern Caucasians as supporters without distinction. The sacredness of becoming K’erdzi as a national tradition is confirmed by ethnographic field material.



## სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ეთნო-კულტურული და ისტორიული კონტექსტი

1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს ცაკ-ის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით (N2), საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.<sup>1</sup> ეს რეგიონი ისტორიულად ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცესთან (ძირითადად შიდა ქართლის დაბლობთან) მჭიდროდ იყო მიბმული; ოსებით დასახლებული სოფლები მდინარეთა ხეობებით და მიუვალი მთებით ერთმანეთისგან იზოლირებული; მცხოვრებლები ეკონომიკურად დანარჩენ საქართველოზე – ორიენტირებული; მოსახლეობა ეთნოკულტურული (ეთნიკური, რელიგიური, სამეურნეო და ა. შ.) თვალსაზრისით – არაერთგვაროვანი. მანამდე სამხრეთ კავკასიაში რაიმე ტიპის ოსური პოლიტიკური გაერთიანების ისტორიული გამოცდილება არ არსებობდა, წყაროებში მინიშნებაც კი არ გვხვდება ამგვარი წარმონაქმნის შესახებ.<sup>2</sup> ლოგიკურად ჩნდება კითხვა, ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან იძულების გარეშე, რამდენად იყო შესაძლებელი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულად ფორმირება?! მით უფრო, რომ ამ მხრივ ბევრად უკეთეს პირობებში მყოფმა, კავკასიის წყალგამყოფ თხემს მიღმა მცხოვრებმა ოსებმაც კი ვერ შეძლეს შეექმნათ ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც სათანადო მმართველობის ორგანოები, ერთიანი ეკონომიკა და კულტურა ექნებოდა.<sup>3</sup> მომთაბარეთა მუდმივი თარეშის, ინტენსიური ომიანობისა და მუდმივი ეთნიკური ქაოსის პირობებში მდგრადი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობ ნაწილშიც კი ვერ შეიქმნა.<sup>4</sup>

ბოლო ხანებში რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გახშირდა მცდელობა, სამხრეთ ოსეთის კვაზისახელმწიფოს აღიარებას ისტორიული ახსნა მოეძებნოს, თუმცა ისტორიული რეალობის ტენდენციური ინტერპრეტაციის წარმოუდგენელი მასშტაბის მიუხედავად, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ქვემოთ ყსოაო – ლ. ჯ.) ტერიტორიაზე ავტონომიური პოლიტიკური სისტემის დადასტურება ვერ შეძლეს. ხსენებულის გამო,

<sup>1</sup> Джанелидзе, *Как создавалась*, გვ. 382.

<sup>2</sup> გვასალია, *შიდა ქართლი და ოსური პრობლემა*, გვ. 89-103; თოფჩიშვილი, „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“, გვ. 38.

<sup>3</sup> Тменов, *Несколько страниц из этнической истории осетин*, გვ. 114-133.

<sup>4</sup> თოფჩიშვილი, *გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა*, გვ. 126.

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს ტერმინი „ოსთა მთური საზოგადოებების ფედერაცია“ (ლოკალური საზოგადოებების მითიური გაერთიანება, რომელთაც საერთო თავდაცვის სისტემა ჰქონდა – ლ. ჯ.).

რუსული ინტერნეტენციკლოპედიის ვერსიით შიდა ქართლის მთიანეთში უკვე „ადრე შუა საუკუნეებში მიმდინარეობდა მთის ადგილობრივი ოსური საზოგადოებების ფედერაციად ფორმირების პროცესი. მათი ვერსიით სამხრეთ ოსეთის ტერიტორია მდინარე დიდი ლიახვის და მისი შენაკადების Y-ს ფორმის დაბლობით იყოფოდა 5 ისტორიულ ოლქად ან საზოგადოებად: ჩრდილო-დასავლეთი – კუდარგომი, ჩრდილო-აღმოსავლეთი – ურსთუალთა (‘თეთრი თუალები’), ცენტრალური – ძუაგომი (დაბლა დვალეთი), სამხრეთ-დასავლეთი – ყორნისი, სამხრეთ აღმოსავლეთი – ჩისანგომი. თითოეული ოლქი შედგებოდა რამდენიმე შედარებით მცირე საზოგადოებისაგან. მათი კოლექტიური თავდაცვის სისტემა ემყარებოდა ერთმანეთთან ვიზუალურად დაკავშირებული კოშკების გამოყენებას“. <sup>1</sup> ამგვარი მცდელობის მიუხედავად, ეჭვგარეშეა, რომ არ არსებობდა ამ ტერიტორიის ერთიანი სახელწოდებაც. მართალია, წყაროებში გვხვდება ოსებით დასახლებული ადგილების ოსეთად სახელდების ტრადიცია, მაგრამ XIX ს-მდე ამ სახელწოდებასთან კავშირში ტერმინი „სამხრეთი“ ან „ჩრდილოეთი“ არ დასტურდება. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსი მოხელეები თავიანთ ანგარიშებში (1812-1837 წწ.) – მდ. ლიახვის მთიან რეგიონებს, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, უწოდებდნენ: ქართულ ოსეთს (Грузинская Осетия), ქართლის ოსეთს (Карталинская Осетия) ან უბრალოდ „ოსეთს“ (Осетия). მოგვიანებით (1830, 1867, 1885 წწ.) გაჩნდა ოპოზიციური წყვილი: სამხრეთ ოსეთი – ჩრდილოეთ ოსეთი (Южная Осетия – Северная Осетия). XIX ს-ის 40-იან წლებში საქართველოს ადმინისტრაციულ დარაიონებაში ერთხანს არსებობდა ოსეთის რაიონიც (Осетинский округ). <sup>2</sup>

ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ წარმოშობაზე ყურადღება გაამახვილა ს. ლეკიშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ XIX საუკუნის დასაწყისამდე ამგვარი სიტყვათშეთანხმება არცერთ დოკუმენტში არ გვხვდება. 1800-1864 წწ. 398 საარქივო დოკუმენტიდან – მხოლოდ ორში; 1864-1900 წლებში კი ეს ტერმინი უკვე 19 დოკუმენტშია დაფიქსირებული. ამასთანავე, იგი სულ რამდენჯერმე გამოიყენეს XIX საუკუნის პერიოდულ პრესაშიც. <sup>3</sup> ცხადია, იმპერიის პოლიტიკური ცენტრისათვის რუსეთის შემადგენლობაში შესული საქართველო მის რიგით პროვინციად აღიქმებოდა. ერთიან იმპერიაში

<sup>1</sup> Южная Осетия, Республика Южная Осетия.

<sup>2</sup> Итонишвили, Южная Осетия – в центральной Грузии?!, გვ. 124.

<sup>3</sup> Лекишвили, Когда возник термин “Южная Осетия”, გვ. 229-248.

მცხოვრები და კავკასიის მთავარი ქედით გამიჯნული ხალხის გეოგრაფიული მიმართულებების (კავკასიონის ჩრდილოეთის და კავკასიონის სამხრეთის) მოხსენიება კი ჩინოვნიკებისაგან ლოგიკური იყო. თავად სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოსებით დასახლებული კავკასიის სამხრეთი ფერდობი ძირითადად ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილს წარმოადგენდა. 1830 წლის 23 ივლისით დათარიღებულ წერილში გენერალი პასკევიჩი გრაფ ჩერნიშევს წერს, რომ კავკასიელი მთიელების დასაშოშმინებლად საჭიროა ორი სამხედრო ექსპედიცია: ერთი კავკასიის მთის სამხრეთით, ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში (ხაზგასმა ჩემია – ლ. ჯ.) მცხოვრები ოსების დასამორჩილებლად; მეორე კი თავაურელების, ჯარიახელების, ქისტების და ღალღაების წინააღმდეგ.<sup>1</sup> ამრიგად, გეოგრაფიული ცნებების ოფიციალურ ადმინისტრაციულ დაყოფაში შეტანა და საქართველოს რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა საბჭოთა პერიოდში, რუსული იმპერიული მიდგომის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ადმინისტრაციული მოწყობის რუსულ ყაიდაზე გადაყვანა გეოგრაფიული, ეკონომიკური, ეთნოკულტურული და ა. შ. ფაქტორების გამო საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რის გამოც XIX-XX სს-ში ამ რეგიონში დარაიონება არაერთხელ შეიცვალა. XIX საუკუნის 40-იან წლებში (1840 წლის 10 აპრილს) თბილისის, გორისა და თელავის მაზრებში კავკასიის სამხრეთ ფერდზე მცხოვრები მთიელებით დასახლებულ ტერიტორიებზე შეიქმნა ორი – ოსეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქი, რომლებიც საქართველო-იმერეთის გუბერნატორს დაუქვემდებარეს. სამოქალაქო და სამართლებრივი თვალსაზრისით კი ეს ოლქები იმავე მაზრებში დატოვეს. უნდა აღინიშნოს, რომ „ოსეთის ოლქში“, რომელსაც მმართველობა მთიულეთის სოფ. ქვეშეთში ჰყავდა, მრავლად ცხოვრობდნენ ქართველები (მოხევეები, მთიულები).<sup>2</sup> ამგვარი სქემით მართვა მოუხერხებელი აღმოჩნდა. მაგ., მოუსვენარი ოსებით დასახლებული, გორის მაზრის სოფლები გაუვალი მთიანი ქედებით იყო მოშორებული სოფ. ქვეშეთს. მალე გადაწყდა ადმინისტრაციული დაყოფა შეეცვალათ და 1843 წლის თებერვლიდან მთის ოლქში მთიულეთისა და ხევის გარდა შევიდა ძირითადად ქართველებით დასახლებული ქსნის ხეობა (Жсанский участок). ოსეთის ოლქი დაჰყვეს სამ მონაკვეთად (ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის) და თუშ-ფშავ-ხევსურეთთან, მთიულეთთან და ხევთან ერთად ადმინისტრაციულად მთის

<sup>1</sup> *Отношение гр. Паскевича к гр. Чернышеву*, გვ. 353-354.

<sup>2</sup> *Отношение ген. Нейгардта к м. с. Позену*, გვ. 750; *Гвасалиа, Шида Карთლი и осетинская проблема*, გვ. 66.

ოლქის ხელმძღვანელს დაუქვემდებარეს.<sup>1</sup> ცხადია, ამგვარ ცვლილებებს მეფის რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის უფრო ეფექტურად მართვისათვის ანხორციელებდა და სულ არ გეგმავდა აქ ოსური პოლიტიკური ერთეულის შექმნას, თუმცა სწორედ ეს პრეცედენტი იქცა ოსთა მომავალი პრეტენზიების ნანამძღვრად და საბოლოოდ ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადანყვიტა სეპარატიზმი ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს დასასუსტებლად გამოეყენებინა და ყველანაირად უჭერდა მხარს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეთნიკური დაპირისპირების გააქტიურებას.

ოსური სეპარატიზმის პირველ ნაბიჯებად 1918-1920 წწ. აჯანყებები შეიძლება ჩავთვალოთ. ამ დროს შიდა ქართლში ოსების სამი აჯანყება მოხდა და ყველა მათგანში აშკარად იგრძნობოდა საბჭოთა რუსეთის ხელი. ბოლშევიკური ხელისუფლება აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფინანსურად და შეიარაღებული ძალითაც ეხმარებოდა. „ოსური პრობლემის“ აღმოსაფხვრელად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას აჯანყებულთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება მოუხდა.<sup>2</sup> რეგიონის სოფლები დაიცალა, ოსთა ნაწილი საქართველოს სხვა კუთხეებში – ნაწილი კი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა „მოძმე“ ოსებმა გახიზნულებში ნადავლის წყარო დაინახეს, რის გამოც, ისინი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ადგილობრივი ბანდები სისტემატურად ძარცვავდნენ და აყაჩაღებდნენ ლტოლვილებს.<sup>3</sup>

საბჭოთა რუსეთი ცდილობდა 1918-20 წწ. შიდა ქართლში განვითარებულ მოვლენებში წინა პლანზე კლასობრივი ანტაგონიზმი წამოეწია და კონფლიქტი საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. პროპაგანდამ ეპოქის დილემა, ბოლშევიკური (კომუნისტური) თუ ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) მომავლის არჩევა, ოსი და ქართველი ხალხის დაპირისპირებების იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადა, რაც გასული საუკუნის მოვლენების განსხვავებულად ინტერპრეტირების საშუალებას დღემდე იძლევა. მკვლევართა ნაწილი კვლავაც გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური დოგმების გავლენაშია, მიიჩნევენ, რომ სსრკ და კომუნისტური წყობა პროგრესული მოვლენა იყო, ამიტომ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ ყველა მებრძოლს გამართლებას უძებნის; მეორე ნაწილი აღიარებს, რომ კომუნისტურმა წყობამ შეაფერხა საზოგადოების ნორმალური განვითარების პროცესი და საბოლოოდ განაპირობა საბჭოთა სახელმწიფოს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 750.

<sup>2</sup> გუნცაძე, 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში, გვ. 55-56.

<sup>3</sup> ციტირებულია სტატიიდან: გუნცაძე, 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში, გვ. 56.

ჩამორჩენა. კომუნისტური დროშის ქვეშ მებრძოლთა დადებითი შეფასების ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს მ. ბლიევის დებულება, რომ „სამხრეთ ოსეთ-მა თავიდანვე მიიღო ბოლშევიკების იდეა საბჭოთა წყობილების მშენებლობის შესახებ, რადგან ეს იდეა სრულად პასუხობდა ოსი გლეხობის ინტერესს თავი დაეღწია ყაჩაღური ქართული ფეოდალიზმისაგან“.<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება ძალიან პოპულარულია რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ საკითხის შესახებ, გამოქვეყნებულია დიდი მოცულობის საარქივო და ფაქტოლოგიური მასალა, მონაცემები გაანალიზებულია სპეციალურ ლიტერატურაში.<sup>2</sup>

ცხადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის აჯანყებებს საბჭოთა ისტორიოგრაფია კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებად ნათლავდა და მიაჩნდა, რომ მათ საბოლოო მიზანს სოციალისტური წყობილების დამყარება (როგორც წესი, საბჭოთა რუსეთთან შეერთების გზით) წარმოადგენდა. ამდენად, ეს მოვლენები კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში არ შეიძლებოდა ნეგატიურად შეფასებულიყო, რაც აპრიორი გამორიცხავდა ობიექტური დასკვნების მიღებას. ამასთანავე, ფრთხილობდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ობიექტურ ანალიზს, მათში მონაწილე ეთნიკური ჯგუფების განაწყენება და დაპირისპირების ინსპირაცია არ გამოეწვია. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებშიც კი ძირითადი ყურადღება ექცეოდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინებას და აჯანყებულთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების დაგმობას. რა თქმა უნდა, ამგვარი შეფასებები სავსებით გაზიარებული იყო რუსულენოვან (რუსი და ოსი ავტორების) ნაშრომებშიც.<sup>3</sup>

ზემოხსენებულის მიუხედავად, არავინ უარყოფდა საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებულ როლს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისათვის პირობების მომზადებაში. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი იყო გეოგრაფიული,

<sup>1</sup> Блиев, *Южная Осетия в Коллизиях Российско-Грузинских отношениях*, გვ. 339.

<sup>2</sup> თოიძე, *როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი*, გვ. 12-46; *ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან*, გვ. 16-50; მენტეშაშვილი, *ოსური სეპარატიზმი*, გვ. 276-279; *ცხინვალი 1920*; გუნცაძე, *1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში*, გვ. 40-58; გუნცაძე, *ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი*, გვ. 203-210; გუნცაძე, *ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიისათვის*, გვ. 115-122; Блиев, *Южная Осетия в Коллизиях Российско-Грузинских отношениях*; Шнилерман, *Войны памяти*, გვ. 462-503; Тедеева, *Образование юго-осетинской автономной области*, გვ. 156-159 და ა. შ.

<sup>3</sup> თოიძე, *როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი*, გვ. 10; გუნცაძე, *ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი*, გვ. 205.



ეთნიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინება. ჯერ კიდევ 1918 წ. იანვარში ოსების „ეროვნულმა საბჭომ“ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა ოსური ერობის (ავტონომიის – ლ. ჯ.) პროექტი. პროექტით ავტონომიის საზღვრებში, შიდა ქართლის ნაწილის გარდა, ექცეოდა ოსებით დასახლებული რაჭის, გორისა და დუშეთის მთიანი ზოლი. აქვე გამოთქმული იყო სურვილი, რომ ერობის ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებებში გამოყენებული ყოფილიყო ოსური ენა, რათა „ოსური საზოგადოება გვაროვნულ-პატრიარქალური წყობიდან და ჩვეულებითი სამართლის არქაული ნორმებიდან სწრაფად და უმტკივნეულოდ გადასულიყო ახალი ეპოქის კულტურულ მონაპოვრებზე“.<sup>1</sup>

ავტონომიური ოლქის მუდმივი მხარდაჭერისათვის აუცილებელი იყო, კავკასიის მაღალი ქედით გამიჯნული, რუსეთის მიმართულებით მაღალი გამტარობის გზის გაჭრა. აღსანიშნავია, რომ კავკასიის მთაგრეხილზე ახალი გასასვლელის გაკეთება რუსეთის სტრატეგიულ მიზნებსაც შეესაბამებოდა. მათ ჯერ კიდევ 1838 წელს შეადგინეს როკზე რკინიგზის გაყვანის გეგმა და მშენებლობაც დაიწყეს, თუმცა რთული რელიეფის გამო მაშინ პროექტის დასრულება ვერ მოხერხდა და ყურადღება მამისონზე გადაიტანეს. გადანყდა საურმო გზა სწორედ იქ გაეჭრათ.<sup>2</sup>

1918 წელს აჯანყებულმა ოსებმა ჩრდილოეთიდან შიდა ქართლში ცოცხალი სამხედრო ძალისა და ტექნიკის შემოსაყვანად უფრო ეფექტურად როკის მიმართულება მიიჩნიეს და გზის გაცხოველებული მშენებლობა დაიწყეს. ეს საკმაოდ რთული საქმე იყო, რადგან ულელტეხილი ზღვის დონიდან 2995 მ. სიმაღლეზე მდებარეობს, მაგრამ აჯანყებულებს კარგად ესმოდათ ამ გზის მნიშვნელობა და თავს არ ზოგავდნენ. ყოველდღიურად აქ 500 მუშა საქმიანობდა. როგორც გაზეთი «Кавказское слово» წერდა, გზის მშენებლობის მთავარი მდგენელი პოლიტიკური იყო. მისი გაყვანა ნიშნავდა, რომ „სამხრეთ ოსეთი ნამდვილად მოსწყდა საქართველოს“, ხოლო რუსეთს საქართველოსაკენ ახალი კარი ეხსნება, რიმლის გასაღებიც ოსებს ექნებათ.<sup>3</sup> მართალია, გზის მშენებლობა იმ ხანებშიც შეჩერდა, მაგრამ 1930-იან წლებში გაჩნდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩრდილო ოსეთთან როკის გვირაბით დაკავშირების იდეა.<sup>4</sup> საბოლოოდ, 1980-იან წლებში, ეს იდეა, საქართველოს სსრ ხელმძღვანელობის გარკვეული წინააღმდეგობის მიუ-

<sup>1</sup> ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 16-17.

<sup>2</sup> Харадзе, Для чего или для кого была построена Цхинвали-Алагирская перевалочная, გვ. 291-294.

<sup>3</sup> Блиев, Южная Осетия в Коллизиях Российско-Грузинских отношениях, გვ. 349-350.

<sup>4</sup> რეზიაშვილი, როკის გვირაბი კავკასიონის სისხლიანი ქრილობა; Рокский перевал.



ხედავად, განხორციელდა.<sup>1</sup> გვირაბს, ძირითადად, გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ეკონომიკური თვალსაზრისით არც თუ ისე ეფექტურია. ეს თავიდანვე კარგად იყო ცნობილი. 1988 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახმშენის საგანგებო კომისიამ დაადგინა, რომ როკის უღელტეხილზე ზამთრობით მოძრაობა თითქმის 5 თვით წყდება. თოვლის ზვავების პერიოდში გზის განმენდა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მართალია, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გადაწყდა დამატებით, მასშტაბური მშენებლობა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ ეს მიმართულება მაინც ვერ გაატარებდა მთლიან ტვირთნაკადებს. ამიტომ კომისიამ საჭიროდ ჩათვალა ახალი საუღელტეხილო გვირაბის დაპროექტება და მშენებლობა საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელსაც როკთან შედარებით ბევრად უკეთესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები გააჩნდა.<sup>2</sup>

როკის გვირაბი, რომ სამხედრო მიზნით იყო გაკეთებული, ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომაც დაადასტურა. ომის დროს, 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე, როდესაც რუსეთმა, დაახლოებით, 40 ათასი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა გადმოისროლა საქართველოში, მათი დიდი ნაწილი სწორედ როკის გვირაბის გავლით შემოვიდა ყსოაო-ში.<sup>3</sup>

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსება, ასევე აუცილებელს ხდიდა მისთვის მონიშნული ტერიტორიის ერთიანი საგზაო ინფრასტრუქტურით გაერთიანებას, რაც მანამდე არსებული საკომუნიკაციო სისტემის ძირფესვიანად შეცვლას გულისხმობდა. ადმინისტრაციული ერთეულის გამართულად ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა, თუ მისი გზათა სისტემა ვერ უზრუნველყოფდა დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან და ადმინისტრაციულ ცენტრთან კავშირურთიერთობას. ტრადიციულად რეგიონის დასახლებათა საკომუნიკაციო ვექტორი მიმართული იყო ხეობების გასწვრივ მთიდან ბარისაკენ – ქართული საქალაქო ცენტრებისაკენ. ახალი რეალობა კი მოითხოვდა ამ ხეობების ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც რთული რელიეფის გათვალისწინებით თითქმის გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენდა.

ისტორიულად ქართული სახელმწიფო, ეთნოსოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გავლენით შედუღებული, სისტემაა, სადაც მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაყოფებს თავის მხრივ ქვედანაყოფები გააჩნია, რომლებიც ხეობების მიხედვით მიკრო და მაკრო-რეგიონებად იყოფიან. ხეობების//ხეგების სისტემა ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ისინი ხევის სოფლების ერთობლიობას წარმო-

<sup>1</sup> ალადაშვილი, „შავი ხვრელი“.

<sup>2</sup> ნამალაშვილი, როგორ გაიჭრა ომის გზა როკის უღელტეხილზე.

<sup>3</sup> რეხვიამვილი, როკის გვირაბი კავკასიონის სისხლიანი ქრილობა.

ადგენდნენ და ერთიან ეკონომიკურ კომპლექსებს და სოციალურ ერთეულებს ქმნიდნენ.<sup>1</sup> ამასთანავე, ერთი ხეობის მკვიდრთ ლანდშაფტიდან გამომდინარე ერთმანეთთან ბევრად უფრო ინტენსიური სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ, ვიდრე სხვა ხეობებთან. ვახუშტი ბაგრატიონის დაკვირვებით თითოეულ ხეობას აქვს საკუთარი „დაბლობი“ და „მთა“. საქართველოს დარაიონებაში სწორედ ლანდშაფტმა, ბუნებრივ-ვერტიკალურმა ზონალობამ და სამეურნეო-ისტორიულმა ფაქტორებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მაგალითად, ქსნის ხეობას გ. ჩიტაია, სამეურნეო თვალსაზრისით პირობითად სამ ზონად ყოფს: ბარის – ახალგორამდე, მთის ძირის – ლარგვისამდე და მთის ზოლის – ლარგვისის ზემოთ.<sup>2</sup> ანალოგიური ვითარება იყო სხვა ხეობებშიც.

თავდაპირველად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიად განისაზღვრა ოსებით დასახლებული ადგილები, რომლებიც ერთმანეთისაგან სრულიად დაუკავშირებელ ხეობებში მდებარეობდნენ. ესენი იყვნენ: რაჭაში – კუდარო, მდინარე ჯეჯორას ხეობა; იმერეთში – ყვირილის ხეობის ზემო წელი; ხევში – თრუსო, თერგის სათავე; თეთრი არაგვის სათავეში – ლუდა;<sup>3</sup> შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, ფრონეების ხეობა, მეჯუდას ხეობა, ლეხურას ხეობა. ხეობების სამეურნეო-ეკონომიკური კომუნიკაცია მიმართული იყო, მდინარეთა დინების გასწვრივ, მთიდან მთისწინეთისა და ბარისაკენ. ეს ხეობები ერთმანეთისაგან მთებით იყვნენ გამოყოფილი და სხვადასხვა ქართულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულში (საერისთავოში) შედიოდნენ. ამ მიზეზების გამო ოსი მოსახლეობა, რომელსაც ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი მეზობელ ხეობასთან, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლომდებარე ქართულ საქალაქო ცენტრებთან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით საბჭოთა მთავრობამ მოახდინა რეგიონის ტრადიციული სისტემიდან სრული ამოგლეჯა და ეთნოსოციალური ვითარების რადიკალური ტრანსფორმაცია.<sup>4</sup> მართალია ხელისუფლება ცდილობდა ოლქის დაარსებას უმტკივნეულოდ ჩაეველო და ამისათვის გარკვეულ ღონისძიებებსაც ატარებდა, მაგრამ ლანდშაფტური რეალიების, ეთნიკური ვითარების, ტრადიციული საკომუნიკაციო და სამეურნეო-ეკონომიკური სისტემის იგნორირებით განხორციელებული ცვლილებები იმთავითვე შეიცავდა მრავალასპექტიანი

<sup>1</sup> ჩიტაია, *ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ*, გვ. 90; მუსხელიშვილი, *საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული*, გვ. 89; ჩიქოვანი, *საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების სტრუქტურა*, გვ. 11-12.

<sup>2</sup> ჩიტაია, *ქსნური მთის გუთანი*, გვ. 486.

<sup>3</sup> თრუსოსა და ლუდას შეყვანა ყსაო-ში ვერ მოხერხდა.

<sup>4</sup> ჯანიაშვილი, *ეკონომიკური ექსპანსია*, გვ. 179.

კონფლიქტის საშიშროებას. ეს ტექნიკურადაც ძალზე რთული იყო და ნაწილობრივ გადაჭრას თითქმის საუკუნე დასჭირდა. მაგალითად, ახალგორის ავტომაგისტრალით დაკავშირება ცხინვალთან მხოლოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოხერხდა.

ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის შემოფარგვლას ართულებდა ისიც, რომ ოსურ დასახლებებს (რაჭა, ზემო იმერეთი, ხევი) ავტონომიური ოლქის დედაქალაქად შერჩეულ ცხინვალთან გეოგრაფიული თვალსაზრისით კავშირი არ ჰქონდათ.<sup>1</sup> 1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები,<sup>2</sup> რაც ხსენებული ვითარების გამო ძალიან გაჭირდა. მაგ., ჩასავალის (რაჭაში) თემი ძირითადად ქალაქ ონთან იყო ინტეგრირებული, მაშინ როცა შიდა ქართლის ოსურ დასახლებებთან და ადმინისტრაციულ ცენტრთან (ცხინვალთან) ურთიერთობა სიშორისა და გაუვალი გზის გამო ძნელი იყო; ცხინვალთან 150 ვერსი ამორებდა საქართველოს სამხედრო გზით დუშეთთან მიბმულ თრუსოს, კობისა და ლუდას ოსურ მოსახლეობას; მსგავს მდგომარეობაში იყვნენ ზემო იმერეთში მცხოვრები ოსებიც. როგორც ითქვა, ამ დასახლებებს შორის სამეურნეო კავშირი ფაქტობრივად არ არსებობდა. ის კი არა, შიდა ქართლის მეზობელ ხეობებში მდებარე ოსებით დასახლებულ პუნქტებსაც არ ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა ერთმანეთთან, რადგან ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო ხეობის შიგნით, მთიდან ბარისაკენ გადაადგილება, ვიდრე მეზობელი ხეობებისაკენ მთიანი რელიეფის კვეთა.

ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილების საგნად იქცა ავტონომიური ოლქის დედაქალაქის საკითხი. მონიშნულ ტერიტორიაზე სხვა შესაფერი დასახლებული პუნქტი არ არსებობდა. ამიტომ ადმინისტრაციულ ცენტრად შეარჩიეს ცხინვალი. ეს ქალაქი დიდი ლიახვის ხეობაში, ყსოაო-ს განაპირად, მდებარეობს, იქ სადაც ოსთა ინფილტრაციის შედეგად შექმნილი პოლიკულტურული (ქართულ-ოსური) სივრცე ძირითადად ქართულში გადადის. ცხინვალი არც დემოგრაფიული თვალსაზრისით შეეფერებოდა ეროვნული ნიშნით შექმნილ ავტონომიას. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, XVII საუკუნის დასაწყისში „აქ ნიქოზის ჩრდილოთ დიდი ლიახვის კიდებედ, არს მცირე ქალაქი ქრცხინვალი, კეთილ ჰაეროვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“.<sup>3</sup> აქ ოსები საერთოდ არ იყვნენ 1886

<sup>1</sup> Тедеева, *Образование юго-осетинской автономной области*, გვ. 158.

<sup>2</sup> Тоидзе, *Образование Осетинской автономии в Грузии*, გვ. 237.

<sup>3</sup> ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, გვ. 370.

წლის საოჯახო სიების მიხედვითაც, ხოლო 1922 წლისათვის – კანტიკუნტად ცხოვრობდნენ.<sup>1</sup>

საბჭოთა ფუნქციონერები ფორმალურად აცხადებდნენ, რომ ავტონომიის საზღვრების დადგენისას იხელმძღვანელებდნენ ადმინისტრაციული მმართველობის ეფექტურობით, მოსახლეობის ეკონომიკური და ნაციონალურ-კულტურული ორიენტაციით, რეალურად კი დაგეგმეს შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიც შეიყვანდნენ ქართველებით დასახლებულ ბევრ სოფელს, ცენტრი კი იქნებოდა ქართული ქალაქი ცხინვალი.<sup>2</sup>

ხელისუფლების გეგმამ ქართულ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ცხინვალის რეგიონში. აქაურ სოფლებში: დიცში, ერგნეთში, დვანში, ავნევეში, თამარაშენში, ნულში, ქორდში, მელვრეკისში, ერედვეში, ტირძნისში, ბრონლეთში, სვერში, ქემერტში, მონასტერში, ზემო ნიქოზში, ქვემო ნიქოზში, ზემო ხვითში, ქვემო ხვითში და ა. შ. გაიმართა კრებები, რომელთა დადგენილებებშიც მკაფიოდ ჩანს მოსახლეობის პროტესტი ქ. ცხინვალის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადებისა და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთისათვის გადაცემის შესახებ. ცხინვალის რაიონის 45 სოფლიდან გაგზავნილმა წარმომადგენლობამ ღიად განაცხადა, რომ მიაჩნიათ: „ოსეთის ასეთი მოთხოვნილება მიზანშეუწონლად და უკანონოდ, რაც გამოიწვევს ჩვენი ერის პოლიტიკურად და ზნეჩვეულებრივ დაჩაგვრა-დამონებას. ... ვინაიდან ქ. ცხინვალი და მისი რაიონი არის ფართედ დასახლებული ქართველებით, რომელთა რიცხვიც მინიმალურად უდრის ხუთი ათასს მეკომურსა და გარდა ამისა ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდევ, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარშემორტყმულ ქართველებით დასახლებულ სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ“. 1921 წლის 5 დეკემბერს გამართული ხსენებული თავყრილობა კულაკურ მენშევიკური ელემენტებისაგან შემდგარ კრებად გამოცხადდა და შეიქმნა ყალბი დოკუმენტი თითქოს სოფ. აჩაბეთში მოსახლეობამ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსებასა და მის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალის გამოცხადებას ერთხმად დაუჭირა მხარი.<sup>3</sup>

მოსახლეობისათვის ოსურ ავტონომიურ წარმონაქმნში ცხოვრების პერსპექტივა სავსებით მიუღებელი იყო როგორც ეთნოკულტურული, ისე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით და წინააღმდეგობას უწევდა

<sup>1</sup> თოთაძე, *ოსები ქართულ მიწა-წყალზე*, გვ. 215-216.

<sup>2</sup> Тоидзе, *Образование Осетинской автономии в Грузии*, გვ. 232-242; Тедеева, *Образование юго-осетинской автономной области*, გვ. 157-158.

<sup>3</sup> ხუციშვილი, *შიდა ქართლი*, გვ. 7.

ოსების ნაწილიც. კერძოდ, 1922 წლის მარტით დათარიღებული ერთი დოკუმენტით 8 ოსური სოფლის მოსახლეობა ითხოვს, რომ არ გამოჰყონ ისინი ქართველებისაგან და დატოვონ ქვემო ქალის უწყებაში.<sup>1</sup>

საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა ნაწილობრივ გაეთვალისწინებინა მოსახლეობის ამგვარი განწყობა, მზარდი უკმაყოფილება რეგიონში და ახლადშექმნილ ავტონომიურ ერთეულს 1922 წლის 20 აპრილს მიანიჭეს არა რესპუბლიკის, არამედ ოლქის სტატუსი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ხოლო ცხინვალი გამოცხადდა მის დროებით (ვიდრე მოსახლეობის უკმაყოფილება არ ჩაცხრებოდა) ცენტრად.<sup>2</sup>

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აღმოჩნდა ბევრი სოფელი, რომლებიც მეტწილად (50%-ზე მეტი) ქართველებით იყო დასახლებული. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ლ. თოიძემ გამოაქვეყნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეყვანილი ამ სოფლების სია: 1. თამარაშენის საზოგადოება (12 ქართული სოფელი): ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, პატარა ძარნემი, დიდი ძარნემი, საბანმინდა, ქემერტი, ხეთი, დგვრისი, ქურთა, კეხვი, სვერი; 2. ცხინვალის საზოგადოება: ქ. ცხინვალი, სოფ. გუჯაბაური; 3. წუნარის საზოგადოება: სოფ. ნული; დირბის საზოგადოება: სოფ. დველეთი; ავლევის საზოგადოება (11 სოფელი): ხუნდის უბანი, შინდარა, თიღვა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუნისი, ნაბაკევი, ჯავრისი, ბზისხევი; მერეთის საზოგადოება (6 სოფელი): სნეკევი, ქსუისი, კულბითი, ჭარები, დისევი; ორტევის საზოგადოება: სოფ. ვანათი; ბელოთის საზოგადოება (7 სოფელი): აწრისხევი, საცხენეთი, ხაშურა, ხალურიანთ ხევი, ბელოთი, ზემო აზნევი, ქვემო აზნევი. სულ ავტონომიურ ოლქს გადაეცა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი. ამ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდა დაახლოებით 20.000 ქართველი და 1.100 ოსი.<sup>3</sup>

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ იყო ზუსტად შემოფარგლული ოლქის ტერიტორია, რაც აძნელებდა აქ შეყვანილი დასახლებული პუნქტების სარგებლობაში არსებული სავარგულეების ზუსტად შემოფარგვლას და გასული საუკუნის 20-იან წლებში ამის გამო მასიური ხასიათი მიიღო მინების მიტაცებამ. საარქივო მასალაში მრავლად გვხვდება ამ ტიპის მონაცემები. ადმინისტრაციულ უხერხულობას ქმნიდა ისიც, რომ ზოგჯერ ქართულ რაიონებში (ხაშურში, დუშეთში და ა. შ.) მდებარე ოსური სოფლები მიკუთვნებული იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურად შეკონინებული სტრუქტურის გაუმართავობა მალევე გახდა ნათელი, იგი მოსახლეობას

<sup>1</sup> Тоидзе, *Образование Осетинской автономии в Грузии*, გვ. 249.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 246.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 258-259.



უამრავ პრობლემას უქმნიდა.<sup>1</sup> საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა დადგენილება ახლადშექმნილ ავტონომიურ ოლქში არსებული ეთნიკური ვითარებისა და განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ:

**I. ახალგორის სექტორი** – მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით და გეოგრაფიული მდებარეობით ნაკლებად ბმავია ავტონომიურ ოლქთან. მისი ოთხი საზოგადოების (ყორნისი, ახალგორი, მონასტერი და პავლიანთკარი) ძირითადი ნაწილი განლაგებული იყო ქსნის ხეობაში. მოსახლეობის 56 % (8180) ქართველია; 4% (506) – სომეხი და 40% (5844) – ოსი. ამ რაიონის პირველი ზონა ესაზღვრებოდა ლეხურის ხეობას (ჩრდილო-დასავლეთი მთიანი ზოლი და სამხრეთ-დასავლეთი ზოლი სოფ. ბეჟანეთის და გიორგაშენის ირგვლივ); მეორე ზონა მოიცავდა ქსნის ხეობის დანარჩენ ნაწილს დუშეთთან ახლოს, სადაც ძირითადად ქართული მოსახლეობა და რამდენიმე ოსური სოფელი იყო. დოკუმენტში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასურველი იყო ზონა შეერთებოდა დუშეთის რაიონს (წინათ ეს სოფლები დუშეთის მაზრაში შედიოდნენ) რომელთანაც დაკავშირებული იყო როგორც ეთნოგრაფიულად, ისე ეკონომიკურად და საკომუნიკაციო ქსელით. აქედან დუშეთამდე 13 კილომეტრია, ხოლო ცხინვალამდე – 33 კილომეტრი, თანაც გამიჯნულია რამდენიმე მთაგრეხილით და ხეობით. აქაურ მოსახლეობას ცხინვალთან კომუნიკაცია მხოლოდ გორის გავლით შეეძლო.

აქვეა სოფლების სია, რომელიც უნდა გადასცემოდა დუშეთის რაიონს: ახალგორი, ახმაჯი, ბაზყანთ-კარი, ზემო-ბოლი, ქვემო-ბოლი, გეხავი, ერედა, იკოთი, ლამისხევი, მორბედანთ-კარი, ყანჩავეთი, ყანჩაანთ-კარი, ძეგლეთი, ალევი ქვემო, ალევი ზემო, გუდანვერი, გეზავრეთი, გრუა, კორინთა, ნახიდი, ქურთა, წირქოლი, ხერკელანი, აბრამიანი, ახალდაბა, ახლაური, გავაზი, დაბაკნეთი, დადიანეთი, დორიანი, ელოიანი, ზოდეხი, იფნევი, ლევანიანი, მარტიანი, მაჭარაანი, მახიარეთი, მენყერი, მოჩალეთი, მუნჯუხი, მონასტერი, საქორეთი, საძეგური, სოხტა, უკანუბანი, ქველდაბა, შველეთი, ჩიტიანი, ცხავატი, ჩორჩოხი, ხარბალი, გარუეთი, ხუციანი, თინიკაანთ-კარი, კენკაანთ-კარი, ლოთიანთ-კარი, მოდელაანთ-კარი, ლავლიანთ-კარი, ქარელთ-კარი, წინთაური, ხოზოეთი, დელკანი, კიტრუეთი, ნაგომევი, სარბიელი, ხოფა, ჯვარისუბანი, ახოთხევი, ბოსელთა, მამულაანთ-კარი, გდუ, ჭანდარი, ციხია, წინუბნი.

**II. ოქონას სექტორი** – სასაზღვრო ხაზი მოიცავს შემდეგ სოფლებს: 1. ზემო ოქონა, 2. ქვემო ოქონა, 3. სუნისი, 4. ნაბაკევი, 5. თიღვა, 6. ნედელეთი, 7. ახალშენი, 8. შიდარეთი, 9. ბზისხევი, 10. დავილეთი, 11. ავნევი, 12. ნული, 13. გიორგინმინდა, 14. ქალეთი, 15. ხუნდისუბანი, 16. ლალანი, 17. ტყისუბანი, 18. წნელისი, 19. გვირგვინა, 20. დიდმუხა.

<sup>1</sup> უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 3082.



ზემომოტანილ ოც სოფელში 1926 წლის აღწერით მოსახლეობის 71% (3593) ქართველია, 29% (1447) – ოსი. პირველ ცამეტში ქართული მოსახლეობაა, შემდეგ სამში – შერეული (ქართულ-ოსური). ქართული სოფლებით გარემოცულ ბოლო ოთხ სოფელში კი ოსები ცხოვრობენ.

კომისიის დადგენილებით რადგან ოქონის სექტორი წარმოადგენს ქართლის ველის უშუალო გაგრძელებას, ჩამოთვლილი 20 სოფლიდან 3 (ავნევი, დიდმუხა და ნული) უნდა მიუერთდეს გორის რაიონს, დარჩენილი 17 კი – ხაშურის რაიონს. ოქონიდან ხაშურამდე 25 კმ-ია, ავნევიდან გორამდე – 29 კმ. თანაც აქაური გზები საკმაოდ მოხერხებულია.

**III. დიდი და პატარა ლიახვის სექტორი** – აქაც საკმაოდ კომპაქტური ქართული მოსახლეობაა, თუმცა დიდი ლიახვის სექტორის გამოყოფაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან დიდი ლიახვის ქართული სოფლები განლაგებულია ცხინვალის ზონაში, მისგან ჩრდილოეთით, ამიტომ მათი სხვა რაიონებისთვის გადაცემა დაარღვევდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება, პატარა ლიახვის სოფლებს, ეს სოფლები ეთნოგრაფიულად დაკავშირებული არიან გორის რაიონთან და შეიძლება გამოეყონ სამხრეთ ოსეთს ცხინვალის ზონისათვის ხელის შეუხებლად. პატარა ლიახვის ხეობიდან შეიძლება შემდეგი 11 სოფლის გამოყოფა: 1. ერედვი (ბერულა და მამისაანთ უბანი), 2. კულბითი, 3. დისევი, 4. ქსუისი, 5. ჩარები, 6. ვანავი, 7. საცხენეთი, 8. ხაშური, 9. ბოლეთი, 10. სარაბუკი, 11. დმენისი. ჩამოთვლილი 11 სოფლიდან პირველი ცხრა ქართული სოფელია, ბოლო ორი ოსური დასახლება კი ქართული სოფლების გარემოცვაში მდებარეობს. 1926 წლის აღწერით აქ ასეთი ეთნიკური ვითარებაა: ქართველი – 76% (3292), ოსი – 24% (999). მართალია პატარა ლიახვის ეს სოფლები ცხინვალთან ახლოსაა, მაგრამ ეთნოგრაფიულად დაკავშირებულია გორის რაიონთან, შეიძლება შეუერთდეს ამ უკანასკნელს.

**IV. სხვა ცვლილებები** – 1. სოფ. არცრევი (ღრომის სოფსაბჭო), 276 სული ქართველით დასახლებული. მდებარეობს გორის რაიონის მოსაზღვრედ და უნდა შეუერთდეს მას; 2-3. სოფლები ქარზმანი და სინაგური: ცხოვრობს 377 ადამიანი, აქედან 353 ქართველია. მდებარეობენ ყვირილის ხეობაში, ჭიათურის რაიონის საზღვარზე და უნდა შეუერთდეს მას. ეს სოფლები, რომლებიც სურამის ქედის იქეთ მდებარეობენ ადრე შედიოდნენ შორაპნის მაზრაში. ეთნოგრაფიული და საგზაო თვალსაზრისით უნდა შევიდნენ ჭიათურაში რადგან ცხინვალისკენ გზაც კი არა აქვთ; 4. პატარა სოფ. ღურშევი შედგება სულ 48 სულისაგან (ოსები), მდებარეობს მამისონის უღელტეხილთან, კურორტ შოვის მახლობლად, უნდა შეუერთდეს ონის რაიონს. ეს სოფელი მთლიანადაა მოწყვეტილი სამხრეთ ოსეთს მთაგრეხილით და ცხინვალ-

თან არავითარი კავშირი არ გააჩნია. ცხინვალში აქედან შეიძლება მოხვდეთ მხოლოდ შემოვლითი გზით ონიდან.<sup>1</sup>

ტიპური ვითარება იყო ონის რ-ნის სოფ კვაჭაში. ეს სოფელი მთაგრეხილით იყო მოწყვეტილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, დიდი მანძილი ამორებდა ადმინისტრაციულ ცენტრს და ეკონომიკური თვალსაზრისით მთლიანად ონის რაიონზე იყო დამოკიდებული.<sup>2</sup>

როგორც ითქვა, ხშირად ძნელი იყო სავარგულების კანონიერი მფლობელის განსაზღვრა. 1931 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ დეკრეტი (სამხრეთ ოსეთის დაარსების შესახებ – ლ. ჯ.) სამხრეთ ოსეთსა და მის ირგვლივ მდებარე რაიონებს შორის სადაო საზღვრების მოგვარების თაობაზე არ შეიცავდა ნათელ მინიშნებებს პუნქტების გამიჯვნაზე, ხშირად ხდებოდა მისი დებულებების თვითნებური განმარტება, და სამხრეთ ოსეთის მხრიდან მიწის ნაკვეთების ძალმომრეობით ხელში ჩაგდება.<sup>3</sup>

1931 წელს საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ დაადგინა, რომ რაჭაში, შოვის მიმდებარე სოფ. ღურშევი (ოს. ყადისარი) რომელიც ჯავის რაიონს მიაწერეს, რადგან დასახლებული იყო ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული 6 ოსური ოჯახით, ფლობდა 1667 ჰა. მიწას, თუმცა პრეტენზიას აცხადებდა კიდევ 1821 – ჰა-ზე, რომლითაც ონის რ-ნის სოფ. გლოლის გლეხების (111 კომლი) სარგებლობდნენ. ასევე, ოსები მოითხოვდნენ საძოვრებსა და ჭალებს (2184 ჰა.), რომლითაც ყოველთვის ონის რაიონის გლეხები სარგებლობდნენ და, კომისიის აზრით, კვლავ ხსენებულ რაიონში უნდა დარჩენილიყო. ონის რაიონს ახლად შექმნილ ავტონომიასთან ჰქონდა სხვა სადავო მიწებიც.<sup>4</sup>

როგორც ითქვა, ყსოაო-ს ეთნიკურ შემადგენლობაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ქართველებს. განსაკუთრებულ უხერხულობას ქმნიდა ის, რომ ქართველები ადმინისტრაციულ ცენტრ ცხინვალში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ამიტომ გადანყდა ქალაქში ოსი მოსახლეობის ჩასახლებას ხელი შეწყობოდა. საბჭოთა „კორენიზაციის“ პოლიტიკის შედეგად ქალაქი მეტწილად გარშემო მდებარე სოფლებიდან მიგრირებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობით დასახლდა.

საბჭოთა დემოგრაფიული პოლიტიკის და ურბანისტული პროცესების ხასიათი კარგად ჩანს საველე ეთნოგრაფიულ მასალაში. ნეროვანში ჩასახლებულ დევნილებს კარგად ახსოვთ ქსნის ხეობის ზემო სოფლების ოსები-საგან ათვისებისა და შემდეგ დაცლის პროცესი.

<sup>1</sup> უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 3082, ფ. 99-102.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 5.

<sup>3</sup> უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 1979, ფ. 3.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 5.

„ახალგორის რაიონი ყოველთვის იყო ტოლერანტული, სადაც ყველას დიდი სტუმართმოყვარეობით ლეზულობდნენ. ოსები სულ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. ახალგორის ზევით მთელი ქსნის ხეობა, ლომისის სალოცავამდე მთლიანად ქართული იყო. სულ ორიოდე ოსური ოჯახი იქნებოდა, თუმცა ოსის რძლები კი ჰყავდათ ხოლმე. XVIII საუკუნეში ყელის ტბიდან ლომისის სალოცავამდე გაჩნდა ოსური სოფლები: ზემო ბაგი, ქვემო ბაგი, გორგა, ჩიგოიანი, ნავისხევი. ეს მცირე მოსახლეობიანი სოფლები იყო. ჟამურიც კი ქართული იყო, რაზეც მისი სახელიც მიგვითითებს. მე ვფიქრობ ეს სოფლები ქართველებისაგან ლეკიანობის დროს ცარიელდებოდა. ოსები ალბათ შეკრული იყვნენ ლეკებთან და ნასოფლარებს იკავებდნენ. ჩამოსახლებული ოსები გაუმეზობლდნენ ქართველებს. სოფლების უმეტესობაში მათი სახელწოდების მსგავსი გვარები ცხოვრობდნენ (რამდენიმე ასეთი პუნქტი, დღემდეა შემორჩენილი – ჩიტიანში ცხოვრობენ ჩიტიშვილები, ბალაანში – ბალაშვილები, პავლიანში – პავლიაშვილები და ა. შ. – ლ. ჯ.). „იმდენად კარგი დამოკიდებულება გვქონდა ჩამოსახლებულ ოსებთან, რომ ხშირი იყო გათხოვება-გამოთხოვება.. არ არსებობდა დღეობა, რომ ჩვენი ხალხი არ დაეპატიჟებინათ. ავიდოდნენ, გამოხდიდნენ ლუდს, არაყს, დაკლავდნენ ხარს და ხომ არ გგონია რაიმე ჩხუბი მოხდებოდა?! მერე ქართველები გადმოიპატიჟებდნენ ოსებს და ცხოვრობდნენ მეგობრულად. 70-იან წლებში ოსურ ზონაში, ჟამურს რომ ვეძახით, 2-3 მეტრიანი თოვლი მოვიდა, ადამიანები ჩაიკეტნენ, ერთმანეთში გვირაბებით დადიოდნენ. პირველადი დახმარების ნივთები ვერტმფრენებით მიანოდეს. ხალხი ისე დაშინდა, რომ იქედან გადასახლდა, და ეს ადგილი გაუკაცრიელდა“.<sup>1</sup>

„20-იან წლებში სულ 20 ოსური ოჯახი ცხოვრობდა ახალგორში. პოლიტიკა იყო ასეთი, რაიკომის მდივანი თუ ქართველი იყო, აღმასკომის თავმჯდომარე ოსი უნდა ყოფილიყო. ისე ხდებოდა, რომ ჩვენი ბედოვლათი რაიკომის მდივნები ვერაფერს აწყობდნენ, ხოლო ცხინვალიდან დავალება ჰქონდათ, რომ ოსები, ახალგორში ჩამოესახლებინათ. ეს ოსები მწყემსები იყვნენ, აძლევდნენ ბინებს, მაგრამ მათ ნაკლებად აინტერესებდათ ქალაქი, თუმცა შვილებს აგზავნიდნენ საცხოვრებლად. მე 1980 წელს მივიღე ბინა ახალგორში. ჩვენს კორპუსში 12 ოსური ოჯახი ჩამოსახლეს. ადრე ახმაჯში (სოფელია – ლ. ჯ.) არც ერთი ოსური ოჯახი არ იყო. 50-იან წლებში თანდათან დაიწყეს ჩამოსვლა და ახლა ნახევარი სოფელი ოსებია“.<sup>2</sup>

ბუნებრივია ვერ გამოვრიცხავთ საკუთარი საცხოვრებლიდან აყრილი დევნილების ტენდენციურ დამოკიდებულებას ყსოაო-ში მიმდინარე ეთნო-

<sup>1</sup> ჯანიაშვილი, *საველე მასალა*.

<sup>2</sup> ჯანიაშვილი, *საველე მასალა*.

დემოგრაფიულ პროცესებზე საუბრისას, მაგრამ მოტანილი მასალა საკმაოდ ობიექტურად ასახავს ზოგად ტენდენციას, რაც სათანადო მონაცემებით დასტურდება.<sup>1</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, რომლის ფორმირებაც იმთავითვე ორმაგ სტანდარტებზე იყო დაფუძნებული. ერთის მხრივ, მთავრობისგან დეკლარირებული იყო, რომ ხელმძღვანელობდნენ ადმინისტრაციული მმართველობის ეფექტურობის, მოსახლეობის ეკონომიკური და ნაციონალურ-კულტურული ორიენტაციის პრინციპებით. სინამდვილეში კი ავტონომიის დაფუძნება ემსახურებოდა საბჭოთა იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და ნაკლებად იყო გათვალისწინებული ისტორიული, ეთნოკულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორები.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 1979** – უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 1979, სამხრეთ ოსეთსა და მის იგვლივ მდებარე რაიონებს შორის სადაო საზღვრების მოგვარების თაობაზე 23/03/1931–28/08/1931.

**უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 3082** – უიცა, ფ. 284, ანან. 1, საქ. 3082, ადმინისტრაციული დაყოფა.

**ალადაშვილი, „შავი ხვრელი** – ალადაშვილი ი., „შავი ხვრელი“ საქართველოს კოსიგინთან საქმის ჩანაწერით გაუთხარეს, გაზ. „კვირის პალიტრა“, 07 ივნისი, 2010, <https://kvispalitra.ge/article/3804-rokis-gvirabis-saidumloebani/> (ინტერნეტვერსია შემონმებულია: 6.07.2024).

**ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა** – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973.

**გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა** – გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრ. „ოსთა საკითხი“, რედ. ა. ბაქრაძე და ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 89-103.

**გუნცაძე, 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში** – გუნცაძე მ., 1920 წლის აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ძე, XV-XVI, 2013/2014, გვ. 40-58.

**გუნცაძე, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიისათვის** – გუნცაძე მ., ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიისათვის საქართველოს პირველი

<sup>1</sup> თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე, გვ. 218-224.

რესპუბლიკის პერიოდში, კონფ. „ქართულ-ოსური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ქრილში“, მასალები, თბილისი, 2015, გვ. 115-122.

**გუნცაძე, ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის** – გუნცაძე მ., ისტორიოგრაფია როგორც საბჭოთა პოლიტიკის იდეოლოგიური მექანიზმი 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების მაგალითზე, „მრავალთავი – ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, 25, 2017, გვ. 203-210.

**თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი** – თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთი, თბილისი, 1991.

**თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე** – თოთაძე ა., ოსები ქართულ მიწა-წყალზე, კრ. „ოსთა საკითხი“, თბილისი, 1996, გვ. 208-227.

**თოფჩიშვილი, „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“** – თოფჩიშვილი რ., „ოსური ეთნოგრაფიული ენციკლოპედია“ ქართულ-ოსური ურთიერთობის კონტექსტში, თბილისი, 2016.

**თოფჩიშვილი, გეოგრაფიული გარემო** – თოფჩიშვილი რ., გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა, თბილისი, 2018.

**მენტეშაშვილი, ოსური სეპარატიზმი 1918-20 წლებში** – მენტეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-20 წლებში, კრ. „ოსთა საკითხი“, თბილისი, 1996, გვ. 298-319.

**მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის** – მუსხელიშვილი დ., საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიკაციები, თბილისი, 2014.

**ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან** – ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, სამხრეთ ოსეთის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა, თბილისი, 1991.

**რეხვიაშვილი, როკის გვირაბი** – რეხვიაშვილი ჯ., როკის გვირაბი კავკასიონის სისხლიანი ჭრილობა, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30750844.html> (ინტერნეტვერსია შემოწმებულია: 06. 07. 2024).

**წამალაშვილი, როგორ გაიჭრა ომის გზა როკის უღელტეხილზე** – წამალაშვილი ე., როგორ გაიჭრა ომის გზა როკის უღელტეხილზე, <https://lessonsgeo.wordpress.com/1990/01/01/> (ინტერნეტვერსია შემოწმებულია: 20.08.2024).

**ჩიტაია, ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ** – ჩიტაია გ., ზოგადი ცნობები ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ, წიგნში: მისივე, შრომები, ტ. IV, თბილისი, 2001, გვ. 86-96.

**ჩიტაია, ქსნური მთის გუთანნი** – ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანნი, ენიმპის მ(ა)მბპ, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 479-508.



**ჩიქოვანი, საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების სტრუქტურა** – ჩიქოვანი გ., საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის დასახლების სტრუქტურა და სახალხო საკრებულოს ადგილი მასში, თბილისი, 2015.

**ცხინვალი 1920** – ცხინვალი 1920, <https://www.youtube.com/watch?v=Xu8stfJftn4> (ინტერნეტვერსია შემოწმებულია: 12. 11. 2023).

**ხუციშვილი, შიდა ქართლი** – ხუციშვილი ნ., შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა, საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 20 იანვარი, 1990, გვ. 7.

3. ანტეფიქსი N3 (ტაბ. I-3). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: მოტეხილი აქვს ფრონტონში მოცემული რელიეფი, კრამიტის მარჯვენა ფეხი და კრამიტის დიდი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 9,5 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 14,4 სმ., ვარდულის სიგანე – 7,5 სმ., სიმაღლე – 7,8 სმ.

4. ანტეფიქსი N4 (ტაბ. I-4). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: მცირედ მოტეხილი აქვს ფრონტონის წვერი, ვარდულის ორი ფურცელი, კრამიტის „ფეხები“ და კრამიტის დიდი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 9,4 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 15 სმ., ვარდულის სიგანე – 7,5 სმ., სიმაღლე – 7,8 სმ.

5. ანტეფიქსი N5 (ტაბ. I-5). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ფარის ქვედა ნაწილი დახეთქილია, მოტეხილი აქვს ფრონტონი რელიეფით და ვარდულის ზედა კიდე, კრამიტის „ფეხები“ და კრამიტის დიდი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 8,6 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 12,6 სმ., ვარდულის სიგანე – 7,5 სმ., სიმაღლე – 7,8 სმ.

6. ანტეფიქსი N6 (ტაბ. I-6). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ფარი დახეთქილია. მოტეხილი აქვს ქვედა ნაწილი, ცხოველიდან შემორჩენილია მხოლოდ კუდი და თავი.

ზომები: სიგანე – 8,6 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 13 სმ., ვარდულის სიგანე – 7,5 სმ., სიმაღლე – 7,8 სმ.

7. ანტეფიქსი N7 (ტაბ. I-7). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ჩამოტეხილია ქვედა ნაწილი – ცხოველის გამოსახულება და ვარდულის ფრაგმენტი. არ შემორჩა კრამიტი.

ზომები: სიგანე – 8,2 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 10,6 სმ., ვარდულის სიგანე – 7,4 სმ., სიმაღლე – 7,8 სმ.

8. ანტეფიქსი N8 (ტაბ. I-8). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ფარიდან შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი – ცხოველის გამოსახულება და ვარდულის რკალის ფრაგმენტი. მოტეხილია მარჯვენა ფეხი და კრამიტის დიდი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 8,6 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 6 სმ.

9. ანტეფიქსი N9 (ტაბ. I-9). N1 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ფარიდან შემორჩენილია მხოლოდ ქვედა ნაწილი – ცხოველის გამოსახულება და ვარდულის მცირე ფრაგმენტი. მოტეხილია კრამიტი.

ზომები: სიგანე – 9 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 10,5 სმ.

10. ანტეფიქსის ფრაგმენტი N10 (ტაბ. I-10). ზემოაღწერილი ანტეფიქსების ანალოგი.

შემორჩენილია მხოლოდ ფრონტონის რელიეფის და ვარდულის ნაწილი.

11. ანტეფიქსის ფრაგმენტი N11 (ტაბ. I-11). ზემოაღწერილი ანტეფიქსების ანალოგი.

შემორჩენილია მხოლოდ ფრონტონის რელიეფი და ვარდულის ფრაგმენტი.

12. ანტეფიქსის ფრაგმენტი N12 (ტაბ. I-12). ზემოაღწერილი ანტეფიქსების ანალოგი.

შემორჩენილია მხოლოდ მარცხენა ქვედა კიდე ცხოველის ტანის უკანა ნაწილი ორივე ფეხით.

აღნიშნული 12 ანტეფიქსი ერთდროულადაა დამზადებული ერთი შტამპით. ამაზე მეტყველებს ყველა ანტეფიქსზე ვარდულის ერთნაირი ზომები და ცხოველის ერთნაირი პროპორციები. ხელოსანს ანტეფიქსების ერთ ნაწილზე მეტად დაუჭერია შტამპი ნედლ ფარზე, ამიტომ გამოსახულება უფრო მკვეთრი და რელიეფურია, ხოლო ანტეფიქსის კიდეში მკვეთრი ნაწიბურია გაჩენილი.

13. ანტეფიქსი N13 (ტაბ. I-13, II-29). წარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ კიდე. დამზადებულია ქვიშისა და ცარცის მინარევია მსხვილ-მარცვლოვანი თიხით. გამომწვარია მოვარდისფრო-მონითალოდ. კეცი გადატეხილი ნითელი აქვს. ფარი სიმაღლეში აზიდული გვერდებამოხერხილი სამკუთხედის ფორმისაა. ზედაპირზე შტამპით დატანილია მხედრის რელიეფი: ცხენზე გადამჯდარი მეომარი წელს ზემოთ ფასშია მოცემული, წელს ქვემოთ კი მარცხენა გვერდზე. მარჯვენა ხელით სადავე უჭირავს, მარცხენაში – შუბის მსგავსი იარაღი. სახის წაგრძელებულ ოვალზე წარბები და ცხვირი გადაბმულადაა წარმოდგენილი, რაც მხედრის სიმკაცრეს უსვამს ხაზს. ცხვირს ქვემოთ სუსტი ჰორიზონტალური ხაზით პირია მოცემული, უფრო მკვეთრი ნახევარწრით კი ნიკაპი და წვერი. ტანზე წვივამდე დაშვებული და წელს ქვემოთ დრავირებული კაბა აცვია. წელზე ფართო სარტყელი აქვს შემორტყმული. ცხენი მარცხენა პროფილშია გამოსახული, მოკლე ტანი, აზიდული ფეხები, დაცქვეტილი ყურები და დაბლა დაშვებული გრძელი კუდი აქვს. მარცხენა წინა ფეხი ოდნავ აწეული აქვს მოძრაობის ნიშნად. შეკაზმული და უნაგირდადგმულია. მხედარი ლილვით შედგენილ ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც ფარის ფორმას იმეორებს. გვერდითა ლილვებზე მხედრის თავის არეში არასიმეტრიული განლაგებით ორ-ორი პატარა შტრიხია მართობულად დასმული.

დაცულობა: ატკეცილია ფარის წვერის ნაწილი, ფარი შუაზეა გადატეხილი და რესტავრირებულია, გადანატეხის კიდეებში ნაკლულია. ჩამოტეხილი აქვს კრამიტის მარცხენა „ფეხი“ და კრამიტის უდიდესი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 9,6 სმ., სიმაღლე – 15,8 სმ., ჩარჩოს სიგანე გავასთან – 7,1 სმ., მხედრის სიმაღლე თავიდან კაბის ქობამდე – 8,5 სმ.

14. ანტეფიქსი N14 (ტაბ. I-14). N13 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ანტეფიქსი სამ ნაწილადაა გატეხილი და რესტავრირებული, გადატეხის ადგილებში მცირე ნაწილები ჩამოტეხილი აქვს, ზედაპირი დამსკდარია, კრამიტიდან მხოლოდ მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

ზომები: სიგანე – 9,6 სმ., სიმაღლე – 16 სმ., ჩარჩოს სიგანე გავასთან – 7,1 სმ., მხედრის სიმაღლე თავიდან კაბის ქობამდე – 8,6 სმ.

15. ანტეფიქსი N15 (ტაბ. I-15). N13 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ანტეფიქსს ჩამოტეხილი აქვს მარცხენა ზედა კიდე და წვეტი, ასევე კრამიტის ფეხები და კრამიტის უდიდესი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 9,3 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 15 სმ., ჩარჩოს სიგანე გავასთან – 7,1 სმ., მხედრის სიმაღლე თავიდან კაბის ქობამდე – 8,6 სმ.



16. ანტეფიქსი N16 (ტაბ. I-16). N13 ანტეფიქსის ანალოგი.

დაცულობა: ანტეფიქსს ჩამოტეხილი აქვს ზედა ნაწილი მხედრის თავის ჩათვლით, ასევე კრამიტის ფეხები და კრამიტის უდიდესი ნაწილი.

ზომები: სიგანე – 9,6 სმ., შემორჩენილი სიმაღლე – 12 სმ., ჩარჩოს სიგანე გავასთან – 7,1 სმ.

N13-16 ანტეფიქსების გამოსახულებების ზომებში და დეტალებში თანხვედრა ცხადად უჩვენებს, რომ ისინი ერთი შტამპითაა გაკეთებული, ამავე დროს, აღწერილი ანტეფიქსები კეცის მიხედვით, თანადროულია N1-12 ანტეფიქსებისა და იგივე ხელოსნის მიერაა დამზადებული. მათ ჯგუფს მიეკუთვნება N17 ანტეფიქსის ფრაგმენტიც.

17. ანტეფიქსის ფრაგმენტი N17 (ტაბ. I-17). კრამიტის დამზადების ტექნოლოგია იგივეა რაც N1-16 ანტეფიქსების შემთხვევაში. შემორჩენილია მხოლოდ ფარის ქვედა მარცხენა კიდე. ფარზე შტამპით დატანილი ყოფილა ცხოველი, რომლის მხოლოდ წინა ფეხები და მკერდის ნაწილია შემორჩენილი. ცხოველის ფეხები სამად გაყოფილი ჩლიქით სრულდება. მოცემულია მოძრაობაში: მარცხენა ფეხი წინ წადგმულია.

18. ანტეფიქსი N18 (ტაბ. I-18, II-31). წარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ კიდეს. დამზადებულია ქვიშის მინარევიანი მსხვილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია მოყავისფროდ. კეცი გადანატეხში შავია. ფარი გვერდებგამობერილი სამკუთხედის ფორმისაა. ზედაპირზე ყალიბით დატანილი მხედრის რელიეფია მოცემული. ადამიანის ფიგურა ფასშია მოცემული, მხარგაშლილი და ქვემოთ დაშვებული ხელებით. მარჯვენა ხელით გრძელი ალვირი და ბუნიკზე აღმართული ჯვარი უჭირავს. ჯვარი კიდეებშესქელებულია. ცხენი პროფილში მარცხნივაა მოცემული გრძელი კუდით და კისრით. ზურგზე უნაგირი ადგას, რომელზეც მამაკაცია გადამჯდარი. გამოსახულება სქემატურია და დაბალრელიეფური. ფარის კიდეები გადანმენდილია, რის გამოც შტამპის დადებით მიღებული რკალი ნაშლილია. ანტეფიქსს, წინა კრამიტებისგან განსხვავებით, არ აქვს კრამიტის ფეხი, რომლითაც ის ბრტყელ კრამიტებს ეყრდნობოდა.

დაცულობა: მცირედ ატკეცილია მარჯვენა ზედა კიდე, მოტეხილი აქვს ღარიანი კრამიტი.

ზომები: სიგანე – 10,3 სმ., სიმაღლე – 12,3 სმ.

19. ანტიფიქსი N19 (ტაბ. II-19, II-30). ნარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ კიდე. დამზადებულია ქვიშის მინარევიანი მსხვილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია ყავისფრად. ფარი ხუთკუთხედიანია. ზედაპირზე შტამპით დატანილია მამაკაცის ფრონტალური გამოსახულება წელს ზემოთ, ჯვრით ხელში. მამაკაცის წარბ-ცხვირი ერთიანია, თვალები მკვეთრი პუნსონითაა გადმოცემული. ტუჩის ქრილი არ იკითხება. ძნელია გარჩევა უწვერულია თუ წვეროსანი. მოკლე თმა შუბლის ზემოდან პარალელური ვერტიკალური ზოლებითაა ნარმოდგენილი. დამშვენებულია ნიმბით. მხარ-მკლავის ზონის დრაპირება და მხრისა და მკლავის ზედა ნაწილის შემსხვილება თითქოს ბექთარით შემოსილობაზე მიუთითებს. იდაყვში მოხრილ მარცხენაში სფერულთავიანი კვერთხი უჭირავს, განვდილ მარჯვენაში კი – სანინამძღვრო ჯვარი. ეს უკანასკნელი თანაბარმკლავიანია, გაფართოებული და ბურთულეებით დასრულებული კიდეებით. ჯვრის ბუნის შუა ნაწილში სფეროა ჩართული. ჯვრის თავზე ასომთავრული ორი გრაფემაა: „ქ“ და „ე“, ხოლო ადამიანის თავზე – „შ“, რომლის ზემოთ გრძელი სწორი ხაზით თითქოს ქარაგმაა მოცემული.<sup>1</sup> გრაფემები ძალიან სქემატური და ფრაგმენტულია. ფარს კიდეზე თხელი, თუმცა, მკვეთრი ლილვის მოჩარჩოება აქვს. ანაბეჭდის მიხედვით, შტამპზე გამოსახულება ორდონიანი ყოფილა – უფრო ღრმაა ადამიანის ტანი და სახე, უფრო დაბალი რელიეფით – დანარჩენი ნაწილი.

დაცულობა: მცირედაა ჩამოტეხილი მარჯვენა დახრილი წახნაგი, ხოლო დანარჩენი წახნაგები ატკეცილია. არ შემორჩა კრამიტის ფეხები და კრამიტი.

ზომები: სიგანე – 11 სმ., სიმაღლე – 12 სმ.

20. ანტიფიქსი N20 (ტაბ. II-20). N19 ანტიფიქსის ანალოგი. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ოსტატს გამოსახულების მისაღებად შტამპი არაზუსტად და არათანაბარი დაჭერით დაუდვია ფარზე, შესაბამისად, წმინდანის ფიგურას ოდნავ წაჭრილი აქვს სიმაღლე, ხოლო ზედა ნაწილი, სადაც წარწერაა, უფრო მკრთალია.

დაცულობა: ფარის მარჯვენა მხარეს ზედაპირი ამოტეხილია, ასევე ჩამოტეხილია მარცხენა კიდე და ატკეცილია ამავე მხარეს კიდეები. აკლია წვეტიც. არ აქვს შემორჩენილი კრამიტის ფეხი და კრამიტი.

ზომები: სიგანე – 11.2 სმ., სიმაღლე – 10.2 სმ.

21. ანტიფიქსი N21 (ტაბ. II-21). N19 ანტიფიქსის ანალოგი.

დაცულობა: შემორჩენილია მხოლოდ ფარის ნაწილი, მარჯვენა მხარე

<sup>1</sup> ანტიფიქსებზე გრაფემების ამოკითხვა ეკუთვნის პალეოგრაფ ნიკოლოზ ჟღენტს.

ჩამოტეხილი აქვს, რის გამოც წმინდანის სახის ნახევარი და მარცხენა მხარი არ შემორჩა. ასევე ატკეცილია ზედაპირი.

ზომები: შემორჩენილი სიგანე – 9 სმ., სიმაღლე – 10.5 სმ.

N19-21 ანტიფიქსები ერთი შტამპითაა დამზადებული. ასევე ერთნაირია მასალა და გამოწვის ხარისხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ერთი ხელოსნის ნაწარმაა.

22. ანტიფიქსი N22 (ტაბ. II-22). წარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ ბოლოს. დამზადებულია ქვიშანარევი მსხვილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია ყავისფრად. ფარი წარმოადგენს ნახევარსფეროს, კიდეზე შემოვლებული სადა ჩარჩოთი. ფარზე გამოსახული ყოფილა ტოლმკლავება, კიდეებგაფართოვებული ჯვარი. თითქოს მის მარჯვენა და მარცხენა მხარეს კიდისკენ ვერტიკალური ხაზები იკითხება. ფარის მარცხენა კიდეში ჯვრის მკლავებს შორის მოცემულია ასომთავრული ასო „მ“. გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია და აქერცლილი, რის გამოც, ჯვრის დეტალების გარკვევა არ ხერხდება.

დაცულობა: ფარის ზედა კიდეში პატარა ნაწილი ატეხილია. გამოსახულება გადახეხილია. არ შემორჩა კრამიტის ნაწილი.

ზომა: სიგანე – 10.4 სმ., სიმაღლე – 7,5 სმ.

23. ანტიფიქსი N23 (ტაბ. II-23). წარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ დაბოლოებას. დამზადებულია ქვიშანარევი მსხვილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია მოყავისფროდ. ფარი სიმაღლეში აზიდული სამკუთხედი, ოდნავ წინ გადმონეული წვერით. ზედაპირზე სველ თიხაზე იარაღის გატარებით ბადისებრი ნაჭდევია გაკეთებული.

დაცულობა: მოტეხილია წვერი და ქვედა მარჯვენა ნაწილი. არ შემორჩა კრამიტი.

ზომები: სიგანე – 8.5 სმ., სიმაღლე – 11 სმ.

24. ანტიფიქსი N24 (ტაბ. II-24). წარმოადგენს ღარიანი კრამიტის აკეცილ დაბოლოებას. დამზადებულია ქვიშანარევი მსხვილმარცვლოვანი თიხით. გამომწვარია მოყავისფროდ. ფარი სიმაღლეში აზიდული სამკუთხედი, ოდნავ წინ გადმონეული წვერით. ზედაპირი სადაა. როგორც ჩანს, შტამპის დასადებად გადაუსწორებიათ, მაგრამ შემდეგ აღარ დაუტანიათ (ან გამოუმრათ, ან სხვა მიზეზით).

დაცულობა: ანტიფიქს მხოლოდ წვერის ნაწილი აკლია. არ შემორჩა კრამიტიც.

ზომები: სიგანე – 10 სმ., სიმაღლე – 13 სმ.

უკანტოლოში ეკლესიასთან აღმოჩენილი ანტიფიქსები კეცის მიხედვით სამად ჯგუფდება: 1. წმინდანის და ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები (N19-22), 2. მხედრის სქემატურგამოსახულებიანი ანტიფიქსი (N18) და 3. ყველა დანარჩენი ანტიფიქსი (N1-17, 23-24).

ფარის ფორმის მიხედვით ასე იყოფა: 1. სქემატურგამოსახულებიანი მხედრის რელიეფიანი ანტიფიქსი (N18), 2. წმინდანის გამოსახულებიანი ანტიფიქსები (N19-21), 3. ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსი (N22), 4. ყველა დანარჩენი გამოსახულების მქონე ანტიფიქსები (N1-17, 23-24).

მათგან პირველი ფორმის ანტიფიქსები აღმოჩენილია ჩითახევის<sup>1</sup> (იგივე მწვანე მონასტრის), ფოთოლეთის,<sup>2</sup> ოთას აგარის, გველდესის ნათლისმცემლის, აწყურის,<sup>3</sup> გელათის ეკლესიებთან. მათგან გელათის გარდა, რომელიც XII საუკუნეს განეკუთვნება,<sup>4</sup> ყველა IX-X საუკუნეებით თარიღდება. მეორე ფორმის (ხუთკუთხა) ანტიფიქსები აღმოჩენილია ნოქალაქევის,<sup>5</sup> ნაჯახოვოს,<sup>6</sup> მსიგხუას,<sup>7</sup> ბაგრატის,<sup>8</sup> შიომღვიმის, პარხლის ეკლესიებთან და გარდა ნოქალაქევისა, რომლებიც პ. ზაქარაიას V-VI საუკუნეებით აქვს დათარიღებული, ყველა IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. უკანტოლოში მესამე ფორმის ანტიფიქსის მსგავსი ფარები დადასტურებულია ახიზის, ურბნისის და ბაგრატის ტაძრის ანტიფიქსებზე. ამათგან ახიზის და ურბნისის ანტიფიქსები V-VI სს. მიჯნით თარიღდება,<sup>10</sup> ხოლო ბაგრატის ტაძრის ანტიფიქსები მისი მშენებლობის პერიოდს – X ს. ბოლოს განეკუთვნება.<sup>11</sup> მეოთხე

<sup>1</sup> გოგოლაძე, *თორის ხეობის ეპიგრაფიკული კოორპუსი*, გვ. 25-27.

<sup>2</sup> ხომტარია, *კვირიკენმინდის მდებარეობის საკითხისათვის*, გვ. 70-82.

<sup>3</sup> ლიჩელი, რჩეულიშვილი, *სამცხე – ძველი მელვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით*, გვ. 526-546.

<sup>4</sup> ინფორმაცია მოგვანოდა არქეოლოგმა როლანდ ისაკაძემ, რომელიც ხელმძღვანელობდა გელათში განხორციელებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს.

<sup>5</sup> ზაქარაია, კაპანაძე, *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი*, გვ. 91-92.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 257-260.

<sup>7</sup> სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, გვ. 257-259.

<sup>8</sup> ლანჩავა, *ქუთაისის არქეოლოგია*, გვ. 244-245. აღნიშნული ანტიფიქსი ავტორს VII-VIII სს. აქვს დათარიღებული, თუმცა, რიგი გარემოებების გამო (პალეოგრაფიული ნიშნები, ანტიფიქსის ფორმები, რელიეფები) იგი IX-X სს. ადრეული ვერაფრით იქნება.

<sup>9</sup> ზაქარაია, კაპანაძე, *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი*, გვ. 91-92.

<sup>10</sup> მშვილდაძე, დიღმელაშვილი, *წილკნისა და ახიზის რელიეფების სიმბოლოების შესწავლის საკითხისათვის*, გვ. 109-117; ჯავახიშვილი, *ღლონტი, ურბნისი*, გვ. 3.

<sup>11</sup> სილოგავა, *ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან*, გვ. 55-85.

ფორმის ანტიფიქსები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანია, აღმოჩენილია დვალთის კოპალას ეკლესიის რეაბილიტაციისას და არქეოლოგიური კონტექსტისა და ტაძრის თარიღის გათვალისწინებით IX-X სს. უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება გამოსახულებას, ამ ნიშნით უკანტოლოშის ანტიფიქსები 7 ჯგუფად ერთიანდება: 1. ვარდულისა და კატისებრთა ოჯახის ცხოველიანი (12 ცალი – N1-12), 2. მხედრის გამოსახულებიანი (5 ცალი – N13-16,18), 3. წმინდანის გამოსახულებიანი (3 ცალი – N19-21), 4. ცხოველის გამოსახულებიანი (1 ფრაგმენტი – N17), 5. ტომკლავა ჯვრის გამოსახულებიანი (1 ცალი – N22), 6. ბადისებრი ქდეებით შემკული (1 ცალი – N23) და 7. სადა ფარიანი (1 ცალი – N24). თუმცა, გამოსახულების შესრულების ხარისხით და სტილით მხედრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები კიდევ ორ ჯგუფად იყოფა: მაღალი რელიეფით და უფრო რეალისტურგამოსახულებიანი (4 ცალი – N13-16) და სქემატური და დაბალრელიეფურგამოსახულებიანი (1 ცალი – N18).

უკანტოლოშის ანტიფიქსებიდან ერთ ჯგუფს ქმნის მხედრის გამოსახულებიანი, რომელთაგან ერთზე მოწამე მამაკაცია მოცემული ჯვრით ხელში, ხოლო დანარჩენზე წვეროსანი მეომარი.

მხედრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები დღეისთვის სულ შვიდი ცალია საქართველოში ცნობილი: ზედა მესხეთის,<sup>1</sup> ქუნცას (X ს.),<sup>2</sup> ოთას აგარის და წიფორის ეკლესიებიდან,<sup>3</sup> ორი ახალციხის მუზეუმიდან<sup>4</sup> და ერთის ფოტოც გამოქვეყნებული აქვს პ. ზაქარაიას ურბნისისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში.<sup>5</sup> მათგან, ქუნცას ეკლესიის ანტიფიქსზე დიოკლეტიანე იმპერატორზე გამარჯვებული წმინდა გიორგია მოცემული ჯვრით ხელში,<sup>6</sup> ზედა მესხეთის ან-

<sup>1</sup> ბერძენიშვილი, ნმ. *გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიფიქსი ზედა მესხეთიდან*, გვ. 27-36.

<sup>2</sup> ჯღამაია, *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში*, გვ. 49-50; სილოგავა, *ანტიფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან*, გვ. 116.

<sup>3</sup> ოთას აგარის ეკლესია მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ოთაში და თარიღდება X ს. რაც შეეხება წიფორის ნმ. გიორგის ეკლესიას, იგი კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. გუდელისთან დგას. ორივე ეკლესიაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი ანტიფიქსები შეუსწავლელია.

<sup>4</sup> *სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი*, გვ. 77.

<sup>5</sup> ზაქარაია, *ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება*, გვ. 68, სურ. 42. სამნუხაროდ, ის პ. ზაქარაიას მხოლოდ ფოტოზე უნახავს, რომელიც მისთვის გადაუცია გ. ჩუბინაშვილს და რომელიც გ. ჩუბინაშვილისავე თქმით ინახებოდა კავკასიის მუზეუმში. თუმცა, პ. ზაქარაიას მისთვის ვერ მიუგნია. საიდან იყო ეს ანტიფიქსი, უცნობია.

<sup>6</sup> სილოგავა, *ანტიფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან*, გვ. 116.

ტეფიქსზე გველემპაპის განმგმირავი წმინდა მეომარი,<sup>1</sup> ახალციხის მუზეუმში დაცულ ერთ ანტიფიქსზე წმინდა მეომარი ჯვრით ხელში, ამავე მუზეუმში დაცულ მეორე ანტიფიქსსა და ოთას აგარის ეკლესიის ანტიფიქსზე – მხედარი შუბისებრი იარაღით ხელში, ნიფორის ნიმუშზე – ხმალშერცემული მხედარი, ხოლო პ. ზაქარაიას მიერ გამოქვეყნებულ ანტიფიქსზე თითქოს უიარალოდაა წარმოდგენილი მხედარი. ამ ანტიფიქსებიდან ზედა მესხეთის ანტიფიქსი IX ს. ბოლო – X ს. დასაწყისით აქვს დათარიღებული დ. ბერძენიშვილს, ქუნცას ანტიფიქსს ვ. სილოგავა წარწერის მიხედვით X ს. ათარიღებს, ახალციხის მუზეუმის ექსპონატები VIII-IX საუკუნეებით არის ექსპოზიციაზე დათარიღებული, ხოლო დანარჩენი სამი ანტიფიქსი შეუსწავლელია.

ჩამოთვლილ ნიმუშებს უკანტოლოშის ანტიფიქსებზე მოცემული მხედრები ზედმინვენით არ იმეორებს, თუმცა, სტილისტური ნიშნებით ისინი მსგავსია. განსაკუთრებით ეს ითქმის უკანტოლოშის მონამე მხედრის სქემატურგამოსახულებიან ანტიფიქსსა და ოთას აგარისა და ახალციხის მუზეუმის ექსპონატებზე.

ზემოთ ჩამოთვლილი მხედრის გამოსახულებიანი ანტიფიქსებიდან დაზუსტებით ცნობილია, რომ ქუნცის ანტიფიქსზე წმინდა გიორგია მოცემული. დანარჩენებზე კი გამოსახულებათა სქემატურობის გამო იმის განსაზღვრა, რომელი წმინდანი მეომარია გამოსახული ანტიფიქსზე, ძნელია.

ქართულ ხელოვნებაში ძირითადად ოთხი მეომარი წმინდანის გამოსახულებებია გავრცელებული: წმ. გიორგი, წმ. დემეტრე სტრატელატი, წმ. თევდორე და წმ. ევსტათი პლაკიდა. ამათგან, უკანასკნელის გამოსახულებები, რომლებიც ქართულ ხელოვნებაში ერთგვარად ქართლის გაქრისტიანების ამბავს (მირიანის ნადირობა) დაუკავშირდა და უკვე ადრეული შუა საუკუნეებიდან გვხვდება ქართულ რელიეფებზე, ყოველთვის გამოისახებოდა ირმებზე მონადირე ცხენზე ამხედრებული მშვილდოსნის სახით (ნათლისმცემლის სტელა [VI ს.]; ატენის სიონი [VII ს.]; მარტვილის ტაძრის ფრიზი [VII ს.]; ნებელდის კანკელი [VII-VIII სს.]).<sup>2</sup>

წმ. დემეტრე სტრატელატის გამოსახულებების გამორჩენა XI საუკუნიდან ექვთიმე მთაწმინდელის მიერ (1055-1128 წწ.) წმ. დიმიტრის წამებისა

<sup>1</sup> ანტიფიქსი გამოქვეყნებული აქვს დ. ბერძენიშვილს, რომელიც გამოსახულებაში წმინდა გიორგის ხედავს. ანტიფიქსის ზედა ნაწილი მოტეხილია, რის გამოც უცნობია მხედრის მახასიათებლების დიდი ნაწილი (ბერძენიშვილი, *წმ. გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიფიქსი ზედა მესხეთიდან*, გვ. 27-36). არაა გამორიცხული, რომ ანტიფიქსზე არა წმინდა გიორგი, არამედ წმინდა თევდორე ყოფილიყო გამოსახული, რომელსაც ქართულ ხელოვნებაში სწორედ გველემპაპის განმგმირავად წარმოსახავდნენ.

<sup>2</sup> დიდებულები, „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, გვ. 197-206.



და სასწაულების პირველი ქართული თარგმანების პარალელურად იწყება. პირველივე ეტაპზე ქართულ ხელოვნებაში წმინდანის რამდენიმე იკონოგრაფიული ტიპი მკვიდრდება: ჭაბუკი მონამე და ქვეითი მეომარი. ორივე შემთხვევაში ის უწვევრული ყმანვილის სახით გამოისახებოდა ფრონტალურად, მალა აზიდული ნარბებით, მოკლე „ქუდისებრი“ ვარცხნილობით ან გრძელი, კეფამდე ჩამოშლილი, ყურებს უკან გადაწეული ხვეული თმით, გრძელმკლავიანი ქიტონით, ტაბლიონითა და გრძელი, კისერთან ფიბულით შეკრული ჰიმატიონით, ცალ ხელში ჯვრით და მკერდზე მიყრდნობილი და მაყურებლისკენ ხელისგულით შებრუნებული მეორე ხელით.<sup>1</sup>

წმინდა თევდორე ტირონის გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში VII საუკუნიდან ჩნდება (მარტვილის ეკლესია, ნებელდის კანკელი). როგორც წესი, ის წმინდა გიორგისთან ერთად წყვილედ კომპოზიციაში გამოისახებოდა ცხენზე ამხედრებული, თუმცა, არის ცალკე მისი გამოსახვის შემთხვევაც (გველდესის კანკელზე, სადაც ის ფეხოსანია მარტო წარმოდგენილი). X ს. ქართულ ხელოვნებაში ხდება წმინდა თევდორე ტირონისა და ამ პერიოდის ბიზანტიურ სამყაროში გამოჩენილი წმინდა თევდორე სტრატილაცის გამოსახულებათა შერწყმა, რომლის სახე ყოველთვის ერთი ტიპით გამოიციემოდა: ხვეული ხშირი თმებითა და წვერით, მოგრძო სახით და კეხიანი ცხვირით. რელიეფებში ის ძირითადად წმინდა გიორგისთან ერთადაა მოცემული ცხენზე ამხედრებული გველშაპის მლახვრელი ანდა ფეხზე მდგომი ასევე გველშაპის მლახვრელი.<sup>2</sup>

რაც შეეხება წმ. გიორგის გამოსახულებებს, რომლებიც ყველაზე პოპულარული გახლდათ ქართულ ხელოვნებაში, ის ადრეული შუა საუკუნეებიდან ჩნდება როგორც გველშაპის მლახვრელი მხედარი (ალეგის სტელა [VI ს. მეორე ნახ.];<sup>3</sup> ბრდაძორის დიდი და პატარა სტელეები [VI-VII სს.];<sup>4</sup> მარტვილის ტაძრის ფრიზი [VII ს.];<sup>5</sup> ნებელდის კანკელი [VII-VIII სს.]<sup>6</sup>). VII საუკუნეში საქართველოში ჩნდება და VIII საუკუნიდან აქტიურად ვრცელდება, X საუკუნეში კი დომინანტი ხდება დიოკლეტიანეს მლახვრელი წმინდა გიორგის გამოსახულება (მარტვილის ტაძრის ფრიზი, ნებელდის კანკელი, ჯოისუბნის წმ. გიორგის

<sup>1</sup> ბულია, ციციშვილი, ჯოჯუა, წმინდა დიმიტრი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, გვ. 135-136, 140-142.

<sup>2</sup> გედევანიშვილი (და სხვა), წმინდა მეომართა კულტი და მისი გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში, გვ. 59-61.

<sup>3</sup> ალეგის სტელაზე მხედრის თავთან მოცემულია განმარტებითი წარწერაც – „ესე არს წმინდა გიორგი“ (იხ.: გაგომიძე, ხოჟორნის გუმბათიანი ეკლესიის კედლებში ჩამოშენებული ადრეული შუა საუკუნეების ქვასვეტები, გვ. 70-71).

<sup>4</sup> ჯავახიშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელეები, გვ. 33-34, ტაბ. XXII, XXV.

<sup>5</sup> დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, გვ. 26-28.

<sup>6</sup> Шмерлинг, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*, გვ. 62-69.

ეკლესია, ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია...). სწორედ ეს იკონოგრაფიული სახეა ყველაზე ამოცნობადი წმ. გიორგის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, რადგან წმინდანის ფეხებთან დამარცხებული გვირგვინოსნის გამოსახულება საქართველოში მხოლოდ წმ. გიორგის იკონოგრაფიისთვის არის დამახასიათებელი.<sup>1</sup> X საუკუნიდან ქართულ ხელოვნებაში გამოჩენას იწყებს, თუმცა, ფართო გავრცელებას ვერ პოვებს, ქვეითი წმინდა გიორგის გამოსახულება, შუბითა და ფართით (ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი, ჩუკულის და მრავალძალის ხატები, ზნაკვის და ვანის მარმარილოს რელიეფები...)<sup>2</sup>

თუ გავითვალისწინებთ მხედრის გამოსახულებიანი ანტიფიქსების თარიღს, მათზე წარმოდგენილ მეომარ წმინდანში წმ. ევსტათი პლაკიდას მოაზრება შეუძლებელია, რადგან, როგორც აღინიშნა, იგი მუდამ მონადირის სახით გამოისახებოდა. ქრონოლოგიურად შეუთავსებელი გამოდის წმ. დემეტრე სტრატილატის დანახვაც. რაც შეეხება წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, რიგი სახასიათო დეტალების უქონლობის გამო, ვფიქრობთ, ზუსტად განსაზღვრა თუ რომელი მათგანი უნდა იყოს გამოსახული ანტიფიქსებზე, რთულია. თუმცა, შუბოსანი მხედრის შემთხვევაში, ერთი დეტალი მაინც იქცევს ყურადღებას – მხედრის ნვერი. ნვეროსნად კი, როგორც აღინიშნა, წმ. თევდორე გამოისახებოდა.

უანალოგოა უკანტოლოშის ანტიფიქსებზე მოცემული მამაკაცის წელსზემოთა ფრონტალური გამოსახულება მარჯვენა ხელში ჯვრით, ხოლო მარცხენაში კვერთხით (№19-21). მისი ნიშნით და რომაული ტანისამოსით წარმოდგენა, მიანიშნებს, რომ ანტიფიქსზე რომელიღაც წმინდანი მამაკაცია მოცემული. თუმცა, უფრო დაკონკრეტება და ვინაობის განსაზღვრა არ ხერხდება. სამწუხაროდ, ამის საშუალებას არ იძლევა ანტიფიქსებზე მოცემული ასომთავრული ასოებიც: „ქ“ „ე“ და „შ“, რომლებიც უნდა გადმოსცემდნენ ტრაფარეტულ „ქრისტე შეინყალე“-ს.

ასევე უანალოგოა ანტიფიქსების ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი კატისებრთა ოჯახის (ლომი?), რვაფურცელა ვარდულისა და ჯვრის გამოსახულებით. მათ ზუსტი მსგავსება არ ეძებნებათ არც კომპოზიციის მიხედვით და არც ვარდულის მიხედვით.<sup>3</sup> ამ კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უკავია რვაფურცელა ვარდულს, რომელიც ჯვრისა და ვარდულის შერ-

<sup>1</sup> დადიანი, *წმინდა მხედრების იკონოგრაფია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფში (VI-VIII სს.)*, გვ. 316-337.

<sup>2</sup> დადიანი, *წმინდა გიორგის სახე რაჭის ქვის ქანდაკებაში*, გვ. 43-49; დადიანი, *კვაჭა-ტაძე, ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება*, სურ. 477-478.

<sup>3</sup> ცხოველთა გამოსახულებებიდან ქართულ ანტიფიქსებზე აქამდე მხოლოდ ირმის და მისი ოჯახისნაირთა (ახიზის [V-VI სს.], ქვაცხელას [V-VI სს.], ფოთოლეთის [IX ს.], დვალთას [X ს.]) და აქლემის (ანყური [VIII-IX სს.]) გამოსახულების დატანის ფაქტი იყო ცნობილი.

წყმას წარმოადგენს. ვარდულების გამოსახულებები ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ადრეული შუა საუკუნეებიდან გვხვდება. ისინი ფურცელთა რაოდენობით ყოველთვის განსხვავებულია და ოთხიდან თორმეტამდე მერყეობს. უკანტოლოშის ვარდულის ყველაზე ახლო პარალელები გვხვდება ბიეთის (IX ს.) და სოხთას (X ს.) ეკლესიებზე, კუსირეთის ეკლესიის IX-X სს. კანკელის ფილაზე.<sup>1</sup> ისინი ატარებდნენ მზის, შესაბამისად – ქრისტეს სიმბოლურ დატვირთვას. რაც შეეხება ჯვრისა და ვარდულის სინთეზურ გამოსახულებას, ერთადერთი სინთეზური კომბინაცია, რომელზეც როგორც ჯვრის, ისე ვარდულის ხაზგასმაა მოცემული, გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ბოლნურ მედალიონებზე, და ისიც მხოლოდ ოთხფურცელა ვარდულისა და ჯვრის შერწყმული სახით.

რაც შეეხება ცხოველის გამოსახულებას, რომელიც ძალიან გავს ძულომის ფიგურას, ისიც ერთ-ერთი გავრცელებულია ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. ჩართულია როგორც ნადირობის სცენებში (წოფი, ბოლნისის სიონი, ქასაგინა, ვალეს ღვთისმშობელი, ხახული, ოშკი, ბაგრატიის ტაძარი, ხცისი...), ისე ბიბლიურ სიუჟეტებში (დანეელ წინასწარმეტყველი ლომების ხაროში [თელოვანის ჯვარპატიოსანი, ბზის, ბურნაშეთის, აზავრეთის, ბავრის, ტაბანყურის ეკლესიები... ]), აგრეთვე წარმოადგენილია ცალკე რელიეფებად (უბისა, ქსნის არმაზი, კლდისუბანი, ქასაგინა, ფიას წმ. გიორგი, კაცხი, ხახული, პარხალი, ზემო ნიქოზი, სვეტიცხოველი, სავანე, ფიტარეთი, ნულრულაშენი, თევდორწმინდანი...). ვარდულთან ერთად მის გამოსახულებას ვხვდებით განთიადის სტელაზე (VI ს.), სადაც სტელის კაპიტელის ერთ ნახნაგზე ლომია მოცემული, ხოლო მის ქვემოთ სვეტის მთელ სიმაღლეზე ვარდულთა წნულია ამოკვეთილი. ქრისტიანულ სიმბოლიკაში ლომის ერთ-ერთი მნიშვნელობა ქრისტეს სახება იყო. სწორედ ამ სიმბოლოს გადმოცემა უნდა იყოს განთიადის სტელაზეც.<sup>2</sup> უკანტოლოშის ანტიფიქსებზე ლომისა და ჯვრიანი ვარდულის ერთად გამოსახვა, ვფიქრობთ, იგივე სიმბოლიკის გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს.

თუ აღნიშნული გამოსახულების მქონე და წმინდანის ფრონტალურ გამოსახულებიანი ანტიფიქსები უნიკალურია, სამაგიეროდ ფართოდ გავრცელებული თემაა ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები და ადრეული შუა საუკუნეებიდან განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით ყველა ეპოქის ნიმუშებზე გვხვდება. უკანტოლოშის N22 ანტიფიქსზე გამოსახული ჯვარი, რომელიც თითქმის იმეორებს წმინდანის ფრონტალურ გამოსახულებიან ან-

<sup>1</sup> Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 32, 35, 91.

<sup>2</sup> დილმელაშვილი, *ლომის სიმბოლოს განსაზღვრისათვის განთიადის სტელაზე*, გვ. 178-187.

ტეფიქსზე მოცემულ ჯვრებს (N19-21), ემსგავსება ახიზის და ურბნისის V-VI სს. ანტიეფიქსებზე მოცემულ ჯვრებს. ჩალარული და კიდებგაგანიერებული ჯვრები გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების რელიეფებადაც (აკავანების, აიაზმის, მცხეთის ჯვრის ტაძრები, პანტიანის, სამწვერისის, სათხის სტელე-ბი). მსგავსი ჯვრები ჩნდება IX-X სს. ზემო სნეკვის წმ. გიორგის და ერედვის წმ. გიორგის ეკლესიების, ნადარბაზევის, ქასაგინას, პარხლის რელიეფებზეც.

რაც შეეხება უკანტოლოშის ანტიეფიქსებს შორის კიდევ ორ ნიმუშს, რომელთაგან ერთს სადა ფარი აქვს, ხოლო მეორეს ბადისებრი სილუეტი ამკობს, ვფიქრობთ, ისინი ხელოსნის შეცდომის შედეგი უნდა იყოს: ამ ანტიეფიქსების ფარი დანარჩენებთან შედარებით მცირე ზომისაა, რაც არ იძლეოდა მათზე უკვე მზა შტამპებით გამოსახულების დატანის შესაძლებლობას. შესაბამისად, ხელოსანმა ერთი „ორიგინალურად“ შეამკო, ხოლო მეორე სადად დატოვა. თუ გავითვალისწინებთ ამ ორი ანტიეფიქსის ფარის მოყვანილობას, ვფიქრობთ, ისინი იმავე ხელოსნებს უნდა დაუკავშიროთ, რომლებმაც N1-17 ანტიეფიქსები დაამზადეს. თუმცა, აქ კიდევ ერთი დეტალია საინტერესო: როგორც აღინიშნა, მოცემული ანტიეფიქსების კეცი და გამონვის ხარისხი მცირედ განსხვავდება N1-17 ნიმუშებისგან, რაც აშკარად მიუთითებს მათ ცალკე დამზადებაზე.

ამდენად, უკანტოლოშის ანტიეფიქსები, ტიპოლოგიის მიხედვით და მათი ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, სხვადასხვა ხელოსნის ნახელავს, მაგრამ ერთი პერიოდის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს. გამოსახულებათა ხასიათის და ფორმის მიხედვით, ისინი გარდამავალი ხანის ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, მათი დათარიღებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ტაძრის თარიღების გათვალისწინებაც.

უკანტოლოშის წმ. მარინეს ეკლესია ორნავიანი ეკლესიაა (ამ ტიპის ხუროთმოძღვრული ნაგებობების შესახებ დამკვიდრებული ტერმინოლოგიით – ორეკლესიანი ნაგებობა) დასავლეთის გარშემოსავლელით. ნაგებია რუხი ფერის ფლეთილი კვადრებით დუღაბზე, კუთხეებში უფრო დიდი ზომის და შედარებით თლილი კვადრებია გამოყენებული, მიუხედავად ამისა, კედლებზე, როგორც ფასადზე, ისე ინტერიერში, წყობის ჰორიზონტალობა დაცულია. ეკლესიასთან მისასვლელი ჩრდილოეთიდანაა (სამხრეთის მხარეს კლდოვანი მასივი აკრავს), ამიტომაც შესასვლელიც ამ მხრიდან აქვს. ამ ფაქტორმა განაპირობა ისიც, რომ ტაძრის ძირითადი ნავი სამხრეთისაა, ხოლო მეორე ნავი ჩრდილოეთიდან აკრავს. მთავარ დარბაზს ნახევარწრიული აფსიდა აქვს, რომელიც ამჟამად ისეა მორღვეული, რომ აღარ ირკვევა არც სარკმლის ფორმა და არც ნიშების არსებობის საკითხი. ღრმა ნახევარ-

წრიული საკურთხეველი ფართო მხრებითაა დარბაზისგან გამოყოფილი და ერთი საფეხურით ამაღლებული. როგორც აღინიშნა, მთავარ ნავში ერთადერთი შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი. დარბაზის კედლებს, რომლებიც დაუნანვერებელია, ჩამოსაჯდომი საფეხური შემოუყვება. სხვა დეტალები ამ ეტაპზე ტაძრის დაზიანების გამო არ ირკვევა.

ტაძრის ჩრდილოეთის ნავი განმნდითი სამუშაოების დროს გამოვლინდა.<sup>1</sup> ის თითქმის ზეძირკვლის დონეზეა დარღვეული, რის გამოც, მთელ რიგ დეტალებზე მსჯელობა მხოლოდ ანალოგებით შეიძლება. ცნობილია მხოლოდ, რომ უაფსიდაოა, ნავში შესასვლელი ტაძრის მთავარი ნავის კარის პირდაპირ იყო გაჭრილი, მასზე ოდნავ უფრო ფართოდ და რომ ნავი დასავლეთით მთლიანად იყო გახსნილი და უკავშირდებოდა დასავლეთის გარშემოსავლელს.

დასავლეთის გარშემოსავლელი ტაძრის ყველაზე უკეთ შემორჩენილი ნაწილია. მასში მოხვედრა შეიძლებოდა როგორც ჩრდილოეთის ნავიდან, ისე გარშემოსავლელის დასავლეთის კედელში დატანებული კარით. გარშემოსავლელი სხმული კამარითაა დასრულებული. მოგვიანებით სამლოცველოდ გადაკეთებისას მის აღმოსავლეთ კედელში სარკმელი გაუჭრიათ, შესასვლელი კარი ამოუშენებიათ და ჩრდილოეთის კედელში შესასვლელი ღიობი გაუკეთებიათ. ღიობის თავზე გადებულია მონიტალო ფერის ორნამენტირებული ქვა, რომელზეც დადებულია ბაზალტის ქვაში ნაკვეთი სარკმლის თავსართი მსხვილი, ბოლოებგადაკეცილი ნარბის რელიეფური გამოსახულებით.

ტაძრის თარიღთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის ძველ ნაეკლესიარზე XIII-XIV სს. უნდა იყოს აგებული.<sup>2</sup> თუმცა, განმნდითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი მახასიათებლებით, ასევე არქიტექტურული დეტალებით ტაძრის მშენებლობა ადრეა სავარაუდებელი. პირველი ეს არის მშენებლობის ტიპი: კუთხეებში შედარებით თლილი დიდი ზომის კვადრების და კედლის დანარჩენ ნაწილში ფლეთილი უფრო წვრილი ქვის სწორხაზოვანი რიგების გამოყენება ჯავახეთის VIII-X სს. ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი (აზავრეთი [IX-X სს. მიჯნა], მურჯახეთი [X ს. დასაწყისი], ყართა [X ს.], ალანდა [VIII ს.], გუნდი [IX ს.], დუმეილა [IX ს.], შალოშეთი [X ს. დასაწყისი], ქუნცა [IX-X სს. მიჯნა], აგარების წმ. გიორგის ეკლესია [IX-X სს.] და სხვ.).<sup>3</sup> ტაძრის დათარიღების განმსაზღვრელი მეორე დეტალი გახლავთ სარკმლის თავსართი, რომელიც გადაკეთების შემდეგ დასავლეთის გარშემოსავლელის კარის თავზე ჩაუდგამთ. მსგავსი ბრტყელი, რელიეფური და

<sup>1</sup> თუმცა, ტაძრის არქიტექტურიდან გამომდინარე, მისი არსებობის შესახებ ადრევე იყო ცნობილი მეცნიერებისთვის (იხ.: *ჯავახეთი*, გვ.137).

<sup>2</sup> *ჯავახეთი*, გვ.137.

<sup>3</sup> *ჯავახეთი*, გვ. 44, 73-77, 103-104, 127-129, 131-133, 135-137.



კიდებგადაკეცილი წარბები სწორედ X ს. ტაძრებისთვისაა მახასიათებელი (სათხის კვირაცხოველი [X ს.], ოშკი [X ს.], ხორენია [X ს.], ყართა [X ს.], ხოსპიო [X ს.], სალამო [X ს.], აზავრეთი [IX-X სს. მიჯნა], ბურნაშეთი [X ს.], ტაბანყური [X ს.], ფიას წმ. გიორგის ეკლესია [X ს.], ბზის წმ. გიორგი [X ს.], ზირბითის ღვთისმშობელი [X ს.], ვალეს ღვთისმშობელი [X ს.]). ასეთივე წარბებით სარკმლებისა და კართა გაფორმება გრძელდება XI საუკუნეშიც, თუმცა, თუ წინა პერიოდის წარბები ძირითადად სადაა, ამ პერიოდში ისინი თითქმის უკლებლად ორნამენტირებულია<sup>1</sup> (სავანის წმ. გიორგის ეკლესიის [XI ს.], ქორეთის [XI ს.], კრიხის [X-XI სს. მიჯნა], ნიკორწმინდის [1010-1014 წწ.], ხცისის [1002 წ.], სამთავროს სარკმლის [XI ს.] და შიპიაკის ნათლისმცემლის ეკლესიის კარის [1014-1022 წწ.] თავსართები). უკანტოლოშის ეკლესიის სარკმლის წარბი X ს. წარბების ანალოგია.

ვფიქრობთ, ტაძარიც ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს.

რომ დავუბრუნდეთ უკანტოლოშის ეკლესიის განმედიას გამოვლენილ ანტიფიქსებს, როგორც მათი განხილვისას აღვნიშნეთ, ისინი სხვადასხვა ყალიბითა და სხვადასხვა ხელოსნის მიერ, თუმცა, ერთი და იმავე დროსაა დამზადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ანტიფიქსები ტაძრის მშენებლობა/განახლების სხვადასხვა ეტაპზე კი არა, ერთდროულად იყო ჩართული სახურავში. მათი აღმოჩენის ადგილის მიხედვით, აღნიშნული 24 ანტიფიქსი სამხრეთის და დასავლეთის ფასადების მხარეს ასრულებდნენ სახურავის ღარიანი კრამიტის წყობას. თუ გავითვალისწინებთ ერთის მხრივ იმას, რომ ტაძრის სამხრეთის ფასადი გორის ფერდისკენაა შექცეული და ის არაძირითად ფასადს წარმოადგენს, ხოლო, მეორეს მხრივ, იმას, რომ დასავლეთ პერიმეტრზე აღმოჩენილი ანტიფიქსები ყველა ლოგიკით დასავლეთის გარშემოსავლელის გადახურვაში იყო ჩართული, გამოდის, რომ ანტიფიქსები აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ტაძრის მთავარი ნავის სახურავის ჩრდილოეთ ქანობზეც და ჩრდილოეთის ნავის გადახურვაზეც. სამწუხაროდ, ტაძრის ჩრდილოეთი პერიმეტრისა და ჩრდილოეთი ნავის ტერიტორიის განმედიითი სამუშაოებისას არც ერთი ფრაგმენტი არ აღმოჩენილა, თუმცა, ამ მხარეს თითქმის არ დაფიქსირდა არც არქიტექტურული დეტალები და არც სამშენებლო კერამიკის სხვა ფრაგმენტები, რაც ამ ფერდის დამრეცობის გამო პერიოდული ჩარეცხვით უნდა ავხსნათ.

<sup>1</sup> წარბების ორნამენტული გაფორმება გვხვდება X საუკუნეშიც, თუმცა, მასიურ ხასიათს იღებს შემდგომი საუკუნიდან (მაგ. ერედვის წმ. გიორგის და ბერისაყდრის ეკლესიები, ხეთის მამანწმინდა, ნადარბაზევი, ქასაგინა). იხ.: Меписашвили, Цинцадзе, *Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли*, გვ. 45-46, 49, 55, 66, 80.



გარდა ანტიფიქსებისა, ნანგრევ ფენაში დაფიქსირდა ბრტყელი და ლარიანი კრამიტების ფრაგმენტებიც. ლარიანი კრამიტები ზომაში ერთნაირია, თუმცა, განსხვავდება როგორც კეციით, ისე გამონვის დონით და დეტალებით. ერთი ნაწილი უფრო მკვრივი კეცის მქონეა და გამომწვარია უფრო ღიაფრად. მათ ზურგზე დაბალი ნიბო და გარდიგარდმო დაძერწილი ქედი აქვთ. მეორე ნაწილს უფრო ფოროვანი კეცი აქვს და ნითლადაა გამომწვარი. მათ სადა ტანი და გამოყოფილი ცხვირი აქვთ. რაც შეეხება ბრტყელ კრამიტებს, ისინი თითქმის ერთნაირია: მკვრივი კეცი, მოწითალოდ გამომწვარი, დაბალი და ოდნავ აკეცილი გვერდი. ფრაგმენტების ნაწილს აკეცილი გვერდი ბოლოში შემოკეცილი აქვთ და ამ შემოკეცვის შედეგად შექმნილ შუბლზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებებია მოცემული (ტაბ. II-25-27). ერთ ნაწილზე დატანილია მკლავებგამსხვილებული ტოლმკლავა ჯვარი, ხოლო მეორე ნაწილზე – კვარცხლბეკზე აღმართული ასევე ტოლმკლავა ჯვარი, რომლის კიდეები განზე განეული და ჩადრეკილია. ცალსახაა, რომ ასეთი დაბოლოების მქონე ბრტყელი კრამიტები ქანობის ბოლოში თავსდება, რომელზეც იწყობოდა ანტიფიქსიანი კრამიტები. მსგავსი ვითარება გვხვდება ხახულისა და იშხნის გადახურვაში, იმ განსხვავებით, რომ ბრტყელ კრამიტებს ჯვრის გამოსახულებები არ აქვთ. ერთიანობაში ეს ჯვრიანი ბრტყელი კრამიტები და ანტიფიქსები, ქმნიდა უკანტოლოშის ეკლესიის ფასადის დამაგვირგვინებელ დეკორს: ჯვრების მწკრივისა და სხვადასხვა თემატიკის გამოსახულებებისგან შედგენილს.

ამდენად, უკანტოლოშის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის განმედი-სას გამოვლენილი ანტიფიქსები, რომელთა ნაწილს ანალოგები არ ეძებნება, ტაძრის მშენებლობის თანადროულად (X ს.) უნდა მივიჩნიოთ. ისინი ოსტატთა ჯგუფის მიერ იყო დამზადებული და ჯვრის რელიეფიანი გამოსახულებების მქონე ბრტყელ კრამიტებთან ერთად ტაძრის გადახურვის გააზრებულ დეკორს ქმნიდა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

**ბერძენიშვილი, წმ. გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიფიქსი ზედა მესხეთიდან** – ბერძენიშვილი დ., *წმ გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიფიქსი ზედა მესხეთიდან*, ნაწილი ნაწილი, ქსპპ, III, 2011, გვ. 27-37.  
**ბულია, ციციშვილი, ჯოჯუა, წმინდა დიმიტრი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში** – ბულია მ., ციციშვილი ნ., ჯოჯუა თ., *წმინდა დიმიტრი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში*, თბილისი, 2023.  
**გაგოშიძე, ხოყორნის გუმბათიანი ეკლესიის კედლებში ჩაშენებული ადრეული შუა საუკუნეების ქვასვეტები** – გაგოშიძე გ., *ხოყორნის გუმბათი-*

ანი ეკლესიის კედლებში ჩაშენებული ადრეული შუა საუკუნეების ქვასვეტები, ნარკვევები, სსსმ, 5, 1999, გვ. 60-71.

**გედევანიშვილი (და სხვა), წმინდა მეომართა კულტი და მისი გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში** – გედევანიშვილი ე., მამასახლისი ი., ალექსიძე ნ., მამასახლისი ქ., დადიანი თ., *წმინდა მეომართა კულტი და მისი გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში*, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის 2020 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2020, გვ. 59-61.

**გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი** – გოგოლაძე თ., *თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო*, თბილისი, 2019.

**დადიანი, წმინდა მხედრების იკონოგრაფია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფში** – დადიანი თ., *წმინდა მხედრების იკონოგრაფია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფში (VI-VIII სს)*, სს, 12, 2008, გვ. 316-337.

**დადიანი, წმინდა გიორგის სახე რაჭის ქვის ქანდაკებაში** – დადიანი თ., *წმინდა გიორგის სახე რაჭის ქვის ქანდაკებაში (მრავალძალისა და ზნაკვის ეკლესიათა რელიეფები)*, ჟურნ. „AKADEMIA“, №4, 2015, გვ. 43-49.

**დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება** – დადიანი თ., კვაჭატაძე ე., ხუნდაძე თ., *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება*, თბილისი, 2017.

**დიდებულიძე, „წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში** – დიდებულიძე მ., *„წმ. ევსტათეს ხილვა“ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში*, ლხ, №2, 1990, გვ. 197-206.

**დიღმელაშვილი, ლომის სიმბოლოს განსაზღვრისათვის განთიადის სტელაზე** – დიღმელაშვილი ქ., *ლომის სიმბოლოს განსაზღვრისათვის განთიადის სტელაზე*, „ჩვენი სულიერების ბალავარი“, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2012, გვ. 178-187.

**ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება** – ზაქარაია პ., *ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება*, თბილისი, 1965.

**ზაქარაია, კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი** – ზაქარაია პ., კაპანაძე თ., *ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება*, თბილისი, 1991.

**ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია** – ლანჩავა ო., *ქუთაისის არქეოლოგია*, ქუთაისი, 2015.

**ლიჩელი, რჩეულიშვილი, სამცხე – ძველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით** – ლიჩელი ვ., რჩეულიშვილი გ., *სამცხე – ძველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით*, ბაქო-თბილისი-ჯეი-

ჰანი, სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, 2010, გვ. 522-542.

**მშვილდაძე, დიღმელაშვილი, ნილკნისა და ახიზის რელიეფების სიმბოლოების შესწავლის საკითხისათვის** – მშვილდაძე მ., დიღმელაშვილი ქ., ნილკნისა და ახიზის რელიეფების სიმბოლოების შესწავლის საკითხისათვის, ამირანნი, კსსკსნიმ, XX, 2008, გვ. 109-117.

**სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი** – სამცხე-ჯავახეთის მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ გამოცემული გზამკვლევი, თბილისი, 2012.

**სილოგავა, დასავლეთ საქართველოს წარწერები** – სილოგავა ვ., დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, თბილისი, 1980.

**სილოგავა, ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან** – სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან, ძმმ, 4, 1994, გვ. 55-85.

**სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა** – სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბილისი, 2006.

**სილოგავა, ანტეფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან** – სილოგავა ვ., ანტეფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან, გულანნი, სჯსუ, 4, 2008, გვ. 114-123.

**ხოშტარია, კვირიკენმინდის მდებარეობის საკითხისათვის** – ხოშტარია დ., კვირიკენმინდის მდებარეობის საკითხისათვის, მაცნე, იაქს, 1985, №1, გვ. 70-82.

**ჯავახეთი** – ჯავახეთი – ისტორიულ-ხელომოდღვრული გზამკვლევი, რედ. დ. თუმანიშვილი, თბილისი, 2000.

**ჯავახიშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები** – ჯავახიშვილი გ., ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები, თბილისი, 1998.

**ჯავახიშვილი, ლლონტი, ურბნისი** – ჯავახიშვილი ა., ლლონტი ლ., ურბნისი, I, თბილისი, 1962.

**ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში** – ჯღამაია ჯ., სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბილისი, 1980.

**Меписашвили, Цинцадзе, Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли** – Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части – исторической провинции Грузии – Шида Картли, Тбилиси, 1975.

**Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии** – Шмерлинг Р., Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тбилиси, 1962.

## **Antefixes from the Ukantoloshi Church**


### Summary

The 24 antefixes were unearthed in 2022-2023 during the cleaning work of the St. Marine Ukantoloshi Church located in the village of Toloshi in the municipality of Aspindza. This is the second time that antefixes of such a number have been discovered on the archaeological site in Georgia.

Ukantoloshi antefixes are the folded part of the channel tiles, which were placed at the bottom of the roof and symbolically and stylistically completed the facades. The reliefs are engraved on them: on thirteen antefixes, there is a composition featuring a lion, a rosette, and a cross, which may symbolize Christ. On three antefixes a holy man is presented frontally with a cross in his hand; on five antefixes, we see a holy horseman; on one antefix there is a cross, on another, a mesh ornament, and one antefix lacks representation. Unfortunately, it is impossible to precisely define who is represented as the horseman or holy man. However, according to some iconographic signs, they might represent Saint George and Saint Theodore. The first two antefixes with images do not have analogues.

The Ukantoloshi antefixes, with their distinct shapes, structures, content, and relief styles, must have been crafted by different artisans, yet during the same era and in the same location. They must have been made in 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries, but for their dating it is necessary to consider the date of the temple.

The Ukantoloshi Church is a single-nave building with two annexes on the north and west, built concurrently with the main structure. With stylistic signs and multiple existing parallels, the church might have been erected in the 10<sup>th</sup> century. In the Late Middle Ages, after the temple was deconstructed, the surviving Western annex was converted into a chapel. Antefixes have been uncovered on the western and southern perimeters of the temple, indicating that the northern side, the temple's main facade, must have had similar decorations. The antefixes found on the perimeter were not incorporated into the roof at different times, but were installed simultaneously, creating a symbolically thought-out decoration of the temple facades.











1




2



3



4



5

### **ტაბულების აღწერილობა:**

ტაბ. I: 1-17 – უკანტოლოშის ეკლესიასთან აღმოჩენილი ანტიფიქსები (ფოტოების ავტორი: ქეთევან დიღმელაშვილი).

ტაბ. II: 18-24 – უკანტოლოშის ეკლესიასთან აღმოჩენილი ანტიფიქსები; 25-27 – უკანტოლოშის ეკლესიასთან აღმოჩენილი ჯვრის გამოსახულებიანი კრამიტები; 28-31 – ანტიფიქსების გრაფიკული ჩანახატები (ფოტოების და გრაფიკის ავტორი: ქეთევან დიღმელაშვილი).

ტაბ. III: 1-4 – უკანტოლოშის ეკლესია (ავტორი: გელა ჯვარიძე); 5 – უკანტოლოშის ეკლესიის გეგმა (ავტორი: გელა ჯვარიძე).

### **Description of Tables:**

Tab. I: 1-17 – Antifixes found near the Ukantoloshi Church (photos by Ketevan Digmelashvili).

Tab. II: 18-24 – Antifixes found near the Ukantoloshi church; 25-27 – Tiles with relief of a cross found near the Ukantoloshi Church; 28-31 – Graphics of antefixes (photos and graphics by Ketevan Digmelashvili).

Tab. III: 1-4 – Ukantoloshi Church; 5 – Plan of the Ukantoloshi Church (photos and plan by Gela Jvaridze).

## ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურღულია, ნიკოლოზ დიასამიძე, ნინო ხუციშვილი

### ეგრისის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობის ისტორიიდან VI-VIII საუკუნეებში ნოქალაქევეში გამოვლენილი ტანსაცმლის აქსესუარების (ქამრის ბალთები, აბზინდები, საკიდები და შესაკრავები) მიხედვით

სტატიაში მოცემული კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით  
[გრანტის ნომერი FR-22-117]

ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1973 წლიდან ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ქამრის ბალთები, აბზინდები, საკიდები და შესაკრავები, რომლებიც ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, გალავნების შიდა ტერიტორიაზეა გამოვლენილი (მხოლოდ ერთი, N7 შესაკრავი საინვ. N12-974:6802, აღმოჩნდა აღმოსავლეთ გალავნების გარეთ 30 მეტრში. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა ნივთი ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობებიდან, კულტურული ფენებიდან და სამარხებიდანაა (სურ. 1). ცხრა ნივთი ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების კოლექციების, აკადემიკოს პარმენ ზაქარაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ფონდში. მხოლოდ ერთი – ორმოცი სებასტიელი მონამის სახელობის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში დაფიქსირებულ სამარხში აღმოჩენილი ბალთა დაცულია პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში.

ქვემოთ მოცემულია თოთოეული ამ ნივთის დეტალური აღწერა. ნივთები დანომრილია პირობითად. იქვე მითითებული აქვს საფონდო ნომერი, აღმოჩენის წელი და ადგილი. ყველა ნივთისთვის შესწავლილი და წარმოდგენილია ქართული და უცხოური ანალოგიური მასალა, მათი წარმომავლობა და ქრონოლოგია, რომელიც განსაზღვრულია, როგორც სტრატეგრაფიული მონაცემებით და ლაბორატორიული კვლევებით, ისე პარალელური მასალის თარიღების მოშველიებით.

**N1. 12-974:31** – აბზინდა, 2X1.5 სმ-ზე (სურ. 2). აბზინდას შუაში რგოლი აქვს, რომელიც თავდაპირველად კვადრატული შეიძლება ყოფილიყო. ეს ნივ-

თი წარმოადგენს ქამრის სამშვენისს. ნივთი აღმოჩნდა ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1973 წელს სამეფო აბანოს თბილი აბაზანის იატაკის დონეზე. მასთან ერთად აღმოჩნდა მეორე აბზინდაც, რომელსაც T-ს ფორმის მხარი აქვს.

მსგავსი აბზინდები ერთიანდება „ჰერალდიკური ტიპის“ აბზინდაბალთების ჯგუფში და ნ. აფხაზავას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით ხვდება III ტიპში B-სებრ ბალთებში. „მათ ახასიათებს ნახევარწრიული ‘ჰერალდიკური ფარაკი’, რომელსაც განივი ძელაკისებრი თავებურთულა ნაწილი ასრულებს“.<sup>1</sup> მათი გავრცელების ხანა VI-VII სს-ია. ისინი აღმოჩენილია როგორც სამთავროს სამაროვანზე, ასევე ალევის 23-ე სამარხში, ამ სტილის ჩამოყალიბებისა და გავრცელების ცენტრად მიიჩნევა ყირიმი, ან დუნაისპირეთი.<sup>2</sup> (სურ. 3).

**N2. 12-974:159; 7206** – ბალთები, ბრინჯაოსი, ერთნილადი (სურ. 4-5). ერთი ოვალური ფორმისაა, ხოლო მეორე მრგვალი. ორივე ცალი ბოლოებგახსნილია, ენა შემოხვეულია და ჩარჩოდან გადმოდის. ზომები: 2.5X2 სმ-ზე; 2.8X2.5 სმ-ზე. ორივე მათგანი აღმოჩენილია ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ. ერთი (159) – 1974 წელს ნაყარ ფენაში, ხოლო მეორე (7206) – 2019 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთ ჭიშკრის მიმდებარედ, თხრილში, VI-VII საუკუნეების ფენაში (130).

ბალთები მასიური შესქელებული წინა ჩარჩოთი და ხორთუმისებური ჩამკეტი ენით, განსხვავდებიან ბალთებისგან, რომლებიც IV საუკუნეში იყო გავრცელებული. ძირითადი განსხვავება გამოიხატება ჩამკეტი ენაში, რომელიც წინაა გამოწეული ჩარჩოდან. ასეთი ბალთები გასაოცრად სტანდარტულია, იდენტურია ერთმანეთისა, თავის გავრცელების მთელს არეალზე, მდინარე ვოლგადან რეინის ჩათვლით და ახ. წ. VI-VII საუკუნეებში გვხვდება.<sup>3</sup> ანალოგიურ ბალთებს ნ. აფხაზავა ოვალურჩარჩოიანი აბზინდების I ვარიანტში განიხილავს, აღმოჩენილია სამთავროს N687 ქვასამარხში და ახ. წ. VI-VII თარიღდება.<sup>4</sup> (სურ. 6-7).

**N3. 12-974:3647** – ბალთა, სპილენძისა და რკინის შენადნობი. ოვალური ფორმის. ორნილადი. ენა და ჩამკეტი მექანიზმი დაკარგულია (სურ. 8). ზომები: 3.5X2 სმ-ზე. ბალთა გამოვლინდა 1990 წელს ნაქალაქარის XXIX უბანზე, გვირაბის ჩრდილოეთით არსებული IV-VI საუკუნეების წყალსაცავის ტერიტორიაზე.

<sup>1</sup> აფხაზავა, *ქვემო ალევია*, გვ. 51.

<sup>2</sup> მისივე, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 94, ტაბ. XIII 2; Плетнева, *Ранние болгары на Волге*, გვ. 177, სურ. 61.3.

<sup>3</sup> Амброз, *Восточноевропейские и среднеазиатские стены*, გვ. 16. სურ. 60.28.

<sup>4</sup> აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 54, ტაბ. XXXIV.1.

გერმანელი მეცნიერის მ. შულცე-დორლამის ნაშრომის “Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge im Römisch-Germanischen Zentralmuseum” II ტომში მსგავსი ტიპის ბალთა გაერთიანებულია E30 ტიპის ბალთებში. ეს ფორმა, როგორც ჩანს, გავრცელებულია, როგორც ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში, ასევე მცირე აზიის მთელ ტერიტორიაზე, კუნძულ სამოსზე, ეგვიპტეში, ყირიმში, კავკასიაში, ჩრდ. იტალიაში, ჩრდ. ფრიგიულ კართაგენში და ჩრდ. ესპანურ პროვინცია სევადაში. ბალთების დათარიღებაში უდიდეს როლს ასრულებს, კუნძულ სამოსზე, სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი ცალი ბალთა, იმპერატორ მავრიკ ტიბერიუსის (583-601) მონეტასთან ერთად, ასევე სამარხში აღმოჩნდა ჰერაკლე კეისრის სამი მონეტა, რომელთა ემისიაც 611-614 წლებში ხდებოდა. შესაბამისად, ბალთების გავრცელების ხანად VII საუკუნის პირველი ნახევარი უნდა მივიჩნიოთ.<sup>1</sup> (სურ. 9).

**N4. 12-974:3905** – ბალთა, ბრინჯაოსი. ბრტყელგანივკვეთიანი, წრეზე შესქელებით, ენის სამაგრი წვრილი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული (სურ. 10). ზედაპირზე დატანილია წრიული ნაჭდევისგან შესრულებული ორნამენტი. ზომები: 3.5X2.5 მ-ზე. ბალთა აღმოჩენილია 2001 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთ ჭიშკრის მიმდებარედ, შიდა მხრიდან გაჭრილ A თხრილში, VI საუკუნის გალავნის ნგრევის ფენაში.

მ. შულცე-დორლამის ნაშრომის პირველი ტომის მიხედვით მსგავსი ტიპის ბალთები ერთიანდებიან ე. წ. გულის ფორმის ბალთების რიგის A8 ტიპში. გავრცელების თარიღად იგი მიიჩნევენ VI საუკუნეს. ავტორი აღნიშნული ტიპის ბალთების წარმომავლობას მცირე აზიას უკავშირებს, ხოლო ჩვენი ბალთის ზუსტი პარალელი აღმოჩენილია გოლემანოვო კალეში, ბულგარეთში, იუსტინიანე I-ის მიერ აშენებულ ციხესიმაგრეში, რომელიც გვიან VI ს-ში უკვე მიტოვებული იყო.<sup>2</sup> (სურ. 11).

**N5. 12-974:4192** ბალთა, ორწილადი, ენა დაკარგული აქვს (სურ. 12). ზომები: 2,2X2,2 სმ. ტყავზე დასამაგრებელი ნაწილი მართკუთხა ჩარჩოა, ხოლო ფარაკი ნახევარწრიულია, შვერილით ბოლოვდება, და „შეისრული თაღის“ ფორმას იძენს, რომლის შუაში ენის ჩამოსადები ღარია დატოვებული. ბალთა აღმოჩნდა 2003 წელს ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ორმოცი სებასტიელი მონამის სახელობის ეკლესიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 მეტრში გაჭრილ B თხრილში, ადრე შუა საუკუნეებით დათარიღებულ სამაროვანზე, ერთად დამარხული მამაკაცის და ქალის სამარხის ნაყარ ფენაში

<sup>1</sup> Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil II, გვ. 92-98, სურ. 303-304.

<sup>2</sup> მისივე, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil I, გვ. 17-18.



(322).<sup>1</sup> კიდევ ერთი მსგავსი ბალთა მოგვიანებით, 2014 წელს აღმოჩნდა ორმოცი სებასტიელი მონამის სახელობის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში გათხრილ სამარხში. ბალთა მამაკაცის ჩონჩხს მარცხენა მენჯის არეში ედო.<sup>2</sup> ეს ბალთაც ორწილადაა, თუმცა მართკუთხა ჩარჩო შედარებით განიერია, ხოლო ნახევარწრიული ფარაკი ორკაპა, რქისებური შვერილით ბოლოვდება (სურ. 13). B თხრილში აღმოჩენილი ბალთისგან (12-974:4192) განსხვავებით, ამ ბალთას შემორჩენილი აქვს რკინის ენა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ბალთა პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში ინახება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორმოცი სებასტიელი მონამის სახელობის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში გათხრილ სამარხში დაფიქსირებული ჩონჩხიდან აღებული ძვლის ნიმუში დათარიღდა რადიოკარბონული მეთოდით და მისი თარიღი განისაზღვრა 900-1030 წლებით.<sup>3</sup> ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა გლაზგოს უნივერსიტეტის, შოტლანდიური უნივერსიტეტების გარემოს კვლევის ცენტრში (Scottish Universities Environmental Research Centre [SUERC]).

ეს ბალთები განეკუთვნება ე. წ. ჰერალდიკური ტიპის აბზინდა-ბალთებს. ამ სახის ბალთებში გამოიყოფა რამდენიმე ტიპი ქვეტიპებით. ეს უნდა იყოს მომრგვალებულ-ფარაკიანი ორწილადი აბზინდა-ბალთა ოთხკუთხა სათასმე ჩარჩოთი. ამ ტიპის ბალთების ანალოგები საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. მსგავსი ბალთები აღმოჩენილია ნეკრესის ნაქალაქარზე, ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს კრიპტაში და ისინი იქ დაკრძალული ბერების სამოსის აქსესუარებადაა მიჩნეული (სურ. 14). კრიპტის ფუნქციონირების ქრონოლოგიად გამოთხრელები და ავტორები VI-IX საუკუნეებს მოიაზრებენ.<sup>4</sup> ნოქალაქევის ამ ტიპის ბალთების მცირე მსგავსება შესაძლოა ვიპოვოთ სამთავროში გამოვლენილ ბალთებთან, რომლებიც ავარული სიძველეების ანალოგიურია და VII ს-ით თარიღდება.<sup>5</sup> ნოქალაქევიური ბალთა უფრო ახლოსაა აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში, ვოლგისპირეთში, ადრეული ბულგარელების სამაროვანზე, გამოვლენილ აბზინდა-ბალთებთან, რომლებიც თარიღდება VIII ს-ის ბოლოდან X ს-მდე.<sup>6</sup>

<sup>1</sup> Everill (et al.), AGEN Trench B Results, გვ. 47.

<sup>2</sup> ლომიტაშვილი, ლორთქიფანიძე, მურღულია, ახალი მონაცემები ნოქალაქევის ორმოცმონამეთა ეკლესიის შესახებ, გვ. 146, სურ. 15.

<sup>3</sup> Everill (et al.), *The recent contribution of scientific techniques*, გვ. 6, ცხრილი 4.

<sup>4</sup> ბახტაძე (და სხვა), *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები*, გვ. 41-42, სქოლიო 69, ტაბ. I. 4,7.

<sup>5</sup> აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 46-48, ტაბ. XXVIII-2; XXXII-6,7.

<sup>6</sup> Кызласов, *Древнехакасская культура чаатас*, გვ. 48, სურ. 28,37; Плетнева, *Ранние болгары на Волге*, გვ. 77-80, სურ. 52.65,67.



**N6. 12-974:4251** მასიური ბალთა, ზომები: 2,7X2,9 სმ. ბრტყელი, ბრტყელ კიდეზე მთელ სიგრძეზე შემორჩენილი აქვს ანჯამის კვალი, რომლითაც ის ბალთის ფარაკს უკავშირდებოდა. მეორე მხარე მცირედ მომრგვალებულია. ბალთას შემორჩენილი აქვს ჭვირული ორნამენტის ნაშთები (წრიული და ოვალური ღარები), თუმცა ორნამენტი ძლიერ არის დაზიანებული და მოტივი ან საერთო კომპოზიცია არ იკითხება (სურ. 15). ბალთას უკანა მხრიდან მირჩილული აქვს ორი ოთხკუთხა შვერილი სამაგრი, რომლებიც გახვრეტილია. ბალთა აღმოჩნდა 2004 წელს A თხრილში, სავარაუდოდ, VI საუკუნის გალავნის მშენებლობასთან დაკავშირებულ ფენაში – სამშენებლო მოედანზე.<sup>1</sup>

ნ. აფხაზავას მიხედვით ბალთების ეს ტიპი გაერთიანებულია ბიზანტიური აბზინდა-ბალთების ჯგუფში. ნოქალაქევის ბალთის ანალოგი ანყურშია შემთხვევით აღმოჩენილი (სურ. 16). მათი ფარაკი დაფანჯრულია „მძიმეებისა და სამკუთხედების ფორმის სახეებით. თავზე შვერილი ორი სამაგრი აქვს, მსგავსი ბალთები აღმოჩენილია იტალიაში, კონსტანტინოპოლში, ყირიმში. ბალთების თარიღი VII საუკუნეს მოიცავს“.<sup>2</sup>

მსგავსი ტიპის ბრინჯაოს ბალთა აღმოჩენილია ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში, გელენჯიკში, ნიკოფსიის ციხესიმაგრე დუზუ-კალეში. ბალთა და ნივთები რომლებიც ნიკოფსიაში (დუზუ-კალეში) ერთ-ერთ ქვის აკლდამა-სამარხში აღმოჩნდა „განკუთვნილი უნდა იყოს ქრისტიანული კულტისთვის“ და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.<sup>3</sup> (სურ. 17).

**N7. 12-974:6802** – შესაკრავი ბრინჯაოსი, 3 სმ. სიგრძის. ბურთულიანი დაბოლოებებით. ერთი მხარე უფრო მეტად დანვრილებულია, ალბათ ხმარებისგან. შესაკრავი აღმოჩნდა 2016 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნების გარეთ 30 მეტრში მდებარე E თხრილში, არეულ ფენაში (სურ. 18).

ამ ნივთის ანალოგების განხილვისას ვხვდებით ორ მოსაზრებას. პირველი – შესაკრავი, ხოლო მეორე – ქამარზე დასამაგრებელი, რაიმე მსუბუქის, მაგ. ქისის ჩამოსაკიდად.<sup>4</sup> ჩვენ ვიზიარებთ ო. ტყეშელაშვილისა და ნ. აფხაზავას მოსაზრებას, რომ ეს ნივთი სავარაუდოდ ტანსაცმლის შესაკრავი უნდა იყოს: იგი წარმოადგენს ე. წ. განივძელაკიან ან ორბურთულიან შესაკრავს: შუა ნაწილით იგი ტანსაცმელზე დაკერდებოდა და განივი მხარით ჩამოეცმებოდა კილოს.<sup>5</sup> ამ ნივთების გავრცელების ხანა VII საუკუნეა.

<sup>1</sup> Everill (et al.), *AGEN Trench A Results*, გვ. 30.

<sup>2</sup> აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 57 ტაბ. XXXIII.16.

<sup>3</sup> Гавритухин, Пьянков, *Раннесредневековые древности побережья*, გვ. 199, ტაბ. 77.24.

<sup>4</sup> Могильников, *Сибирские древности*, გვ. 36, სურ. 19.31.

<sup>5</sup> ტყეშელაშვილი, *ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები*, გვ. 178.

მსგავსი ნივთები აღმოჩენილია სამთავროს ქვს. N 623, ქვს. N468, ქვს. N292 და სხვა.<sup>1</sup> (სურ. 19-20).

**N8. 12-974:6993** – ბალთა, ბრინჯაოსი (სურ. 21), შეიძლება გავაერთიანოთ „ნილბისებრი“ ბალთების ჯგუფში, I ტიპის, I ქვეტიპი, C ვარიანტი, მას ფორმის მიხედვით ნ. აფხაზავა „თევზისებურს“ უწოდებს.<sup>2</sup> ისინი ორნილად ბალთებად იწოდებიან და VII საუკუნით თარიღდებიან. ზომები: 2X1.5 სმ-ზე. ბალთა აღმოჩნდა 2018 წელს ნაქალაქარის აღმოსავლეთ ჭიშკრის მიმდებარედ, G თხრილში, VII-VIII საუკუნეების ფენაში (104).

ბალთის ანალოგიები აღმოჩენილია სამთავროზე, ქვს. N623 (46წ.). შეიძლება ეს ბალთები გავაერთიანოთ ორნილად ბალთებში. აღმოჩენილია უზუნ კოლზე, სუუკ-სუში და სხვა.<sup>3</sup> (სურ. 22).

ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი ბალთების, აბზინდებისა და საკიდების დამზადებისა და ზოგადად, გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. მოიცავს ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიას (მცირე აზია, ანატოლია და ა. შ.), ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთს, ჩრდილოეთ კავკასიას, ევრაზიის სტეპებს, დუნაისა და ვოლგისპირეთს. როგორ და რა გზით მოხვდნენ ტანსაცმლის იმპორტული აქსესუარები ნოქალაქევიში? ჩვენ ვუშვებთ ორ ვარიანტს: ერთი ის, რომ ეგრისში, მათ შორის მის მთავარ ქალაქ არქეოპოლისში, მდგარ ბიზანტიურ ჯარში სხვადასხვა მოდგმის ხალხი მსახურობდა. ამ მხრივ, საკმაოდ საინტერესო ცნობებია შემონახული წერილობით წყაროებში. ცნობილია, რომ ბიზანტიურ ჯარში სამხრეთ კავკასიელებთან – იბერებთან, ლაზებთან, ჭანებთან და სომხებთან ერთად, მსახურობდნენ სირიელები, თრაკიელები, სლავები, გერმანელები (გუთები, ერულები და ა. შ.), თურქული წარმოშობის ჯარისკაცები. გარდა ამისა, ბიზანტიელებს დაქირავებული ჰყავდათ სხვადასხვა წარმოშობის მეომრები. მაგალითად, ეგრისში 542-565 წლებში მიმდინარე ომის დროს, ბიზანტიელების მხარეს იბრძოდნენ საბირები და ისინი მონაწილეობდნენ არქეოპოლისთან გამართულ საბრძოლო მოქმედებებში.<sup>4</sup> ამასთან, ისიც ცნობილი ამბავია, რომ ეგრისში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს ბიზანტიელთა ჯარების მეთაურებიც კი სხვადასხვა წარმოშობის იყვნენ. ასე მაგალითად, დაგისტე გუთი იყო, ულიგანგე – ერული, ბესა, ბაბა, მარტინე და ბუზე – თრაკიელები. ასევე ბარბაროსებად მოიხსენიებს აგათია სქოლასტიკოსი ლაზიკის ომის ორ სამხედრო მონაწილეს – დაბრაგეზს და უსიგარდს. მათ გარდა, ბიზანტიელი მწერლები

<sup>1</sup> აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, გვ. 52, ტაბ. XXXII.70-72.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50, ტაბ. XXVII.19, ტაბ. XXXII.43.

<sup>4</sup> აგათია სქოლასტიკოსი, *ქრონოგრაფია*, გვ. 90-95.

ლაზიკაში მებრძოლ კიდევ არაერთ სამხედრო მეთაურს ასახელებენ, რომლებიც სხვადასხვა წარმომავლობის არიან.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, შესაძლოა სტატი-  
აში განხილული ტანსაცმლის აქსესუარების ნაწილი, ნოქალაქევეში სწორედ  
მათთან ურთიერთობის შედეგად გავრცელდა.

ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანს, რომ ამ მასალის ანა-  
ლოგიების საკმაო ნაწილი გავრცელებული იყო ევრაზიის სტეპებში მცხოვ-  
რებ ხალხში (ძირითადად თურქულენოვან მოსახლეობაში), რაც მათთან  
ეგრისის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაზე მეტყველებს. რა  
ფაქტორებმა გამოიწვია ამ ხალხთან ეგრისელების კონტაქტი? ამის მიზეზი  
გახდა, VI საუკუნის შუა ხანებში შექმნილი უზარმაზარი იმპერია, სახაკანო,  
რომელიც ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრებმა თურქულენოვან-  
მა თიურკუტებმა შექმნეს. ეს სახელმწიფო ალტაიდან ყირიმამდე გადაიჭი-  
მა. იმპერიის შემქმნელად აშინას გვარი ითვლება. აშინას გვარის ბელადმა  
ბუმინმა შეძლო მეზობელი ტომების გაერთიანების დამარცხება, რომელიც  
ისტორიაში ჟუჟანების სახელითაა ცნობილი. ამ დამარცხებული გაერთი-  
ანების ნარჩენები ჯერ შავი ზღვისპირეთისკენ და შემდეგ კარპატების გავ-  
ლით დუნაისკენ დაიძრნენ, სადაც სახელმწიფო შექმნეს და აქ მათ ავარების  
სახელით იცნობენ. ბუმინის მემკვიდრემ, ისტემი-იაბლუმ ალტაიდან არალის  
ზღვამდე დაიმორჩილა შუა აზიის ჩრდილოეთში მცხოვრები თურქულენო-  
ვანი ხალხი და 558 წელს დაიძრა დასავლეთისკენ: ჯერ მიაღწია მდ. იტილს  
(ვოლგას), აქედან კი ჩრდილოეთ კავკასიას.<sup>2</sup> 561 წელს ისტემი-იაბლუმ შუა  
აზიაში მცხოვრები ეფტალიტების სახელმწიფო ოთხ წელიწადში გაანად-  
გურა და აბრეშუმით მდიდარი რეგიონი, სოგდიანა, ხელში ჩაიგდო. სახაკა-  
ნოს მმართველების დღის წესრიგში დადგა, ამ აბრეშუმის ევროპაში გატა-  
ნის საკითხი, რის შედეგადაც დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოელოდნენ.  
აბრეშუმის სავაჭრო გზის ძირითადი მაგისტრალი ჩრდილოეთი ჩინეთიდან  
შუა აზიისა და ირანის გავლით ბიზანტიისკენ მიემართებოდა. ამ ვაჭრობაში  
ჩართული იყო სოგდიანაც. თიურქუტებმა გადაწყვიტეს სოგდიანაში წარ-  
მოებული აბრეშუმის ბიზანტიაში (ევროპაში) გატანა. რადგან აბრეშუმის  
გზის მაგისტრალის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, ეფტალიტების წინა-  
აღმდეგ ბრძოლაში მათი მოკავშირე სასანური ირანის ხელში იყო, ხაკანმა  
შაჰს, ხოსრო I ანუშირვანს (531-579) მიმართა. მაგრამ ირანს არ აწყობდა ბი-  
ზანტიაში დიდი რაოდენობის აბრეშუმის შეტანა. ბიზანტია დანარჩენ ევრო-  
პასთან ვაჭრობაში შუამავალი იყო და ამით მდიდრდებოდა – შესაბამისად,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 29-30, 45, 47, 54, 103, 158; პროკოპი კესარიელი, *De bello persico*, გვ. 45, 89, 109, 115-116; მისივე, *De bello gothico*, გვ. 155-156, 183.

<sup>2</sup> Ахматнуров, *Распад Тюркского каганата*, გვ. 49-50; Гумилёв, *Древние Тюрки*, გვ. 33-36.

სასანიანების მუდმივი მოწინააღმდეგე ბიზანტიის ჯარის გაძლიერება ხდებოდა. ამიტომ ირანის შაჰმა თიურქუთების ელჩი უარით გაისტუმრა უკან. ამის შემდეგ ხაკანმა გადაწყვიტა პირდაპირი კავშირი გაეხსნა ბიზანტიასთან. ელჩად გაგზავნეს სოგდიანელი ვაჭარი მანიაქი, რომელმაც აბრეშუმის გარკვეული რაოდენობა გაიყოლია თან. ეს ელჩობა ჩრდილოეთ კავკასიის და ეგრისის გავლით იუსტინე II-თან (565-578) ჩავიდა. ამის შემდეგ ამ მარშრუტით რამდენიმე ელჩობამ და სავაჭრო ქარავანმა ისარგებლა.<sup>1</sup>

575 წლის შემდეგ თიურქუტებსა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა დროებით გაფუჭდა და მათ შორის ომიც კი გაიმართა, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში დასრულდა. ამის შემდეგ თიურქუთების სახელმწიფოში შიდა არეულობა დაიწყო, შედეგად VII საუკუნის დასაწყისში იმპერია ორად, დასავლეთ და აღმოსავლეთ სახაკანოებად გაიყო. ამის შემდეგ, დასავლეთის სახაკანოსა და ბიზანტიას შორის განახლდა კონტაქტები, რაც, შემდგომში კვლავ მოკავშირეობაში გადაიზარდა. დასავლეთის სახაკანოს მმართველის დავალებით, ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში მცხოვრები ხაზარები აქტიურად მონაწილეობდნენ ირან-ბიზანტიის ომში. 627 წელს მათ ბიზანტიის კეისარ ჰერაკლესთან ერთად თბილისს ალყა შემოარტყეს, ხოლო 628 წელს ეს ქალაქი აიღეს კიდევ.<sup>2</sup> ამ საომარი ოპერაციების დროს ქართლისკენ მიმავალი ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი ეგრისზე გადიოდა და აქ ხაზარების ელჩების და სამხედრო წარმომადგენლების გამოჩენა ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა. იმავე საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი არაბებმა დაიკავეს. ბიზანტია და 651 წელს ცალკე ჩამოყალიბებული ხაზართა სახაკანო<sup>3</sup> ამ პერიოდშიც კვლავ მოკავშირეები იყვნენ და ერთობლივი ძალებით დაუპირისპირდნენ არაბთა სახალიფოს. შესაბამისად, VII-VIII საუკუნეებშიც მოსალოდნელი იყო ბიზანტიის შემადგენლობაში მყოფ ეგრისში ხაზარი ელჩების, ვაჭრების თუ სამხედრო პირების გამოჩენა. ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ ჯერ თიურქუტთა, შემდეგ კი ხაზართა სახაკანოებთან ეგრისის მჭიდრო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობის გამო, ამ ნივთების, თურქული ტომებისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლის აქსესუარების ნოქალაქევი აღმოჩენა ლოგიკურია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცხადია, ამ ნივთების ნოქალაქევი მოხვედრა, ეგრისის სამეფოს ინტენსიურ კულტურულ, სავაჭრო-ეკო-

<sup>1</sup> ამ საკითხზე უფრო დანვრილებით იხ.: გოილაძე, *აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო*, გვ. 15-36; ლორთქიფანიძე, *მურღულია, სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში*, გვ. 95-111; ავდალიანი, *საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები*, გვ. 51-60.

<sup>2</sup> ბოგვერაძე, *ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა*, გვ. 280-283; ალასანია, *ქართველები და ისლამადელი თურქები*, გვ. 87-104.

<sup>3</sup> Артамонов, *История Хазар*, გვ. 239-241.

ნომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს, როგორც ბიზანტი-ასთან, ისე მისგან ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფოებთან და ხალხებთან.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

### გამოცემული წყაროები:

**აგათია სქოლასტიკოსი, ქრონოგრაფია** – აგათია სქოლასტიკოსი, *ქრონოგრაფია*, „გეორგიკა“, III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936, გვ. 23-187.

**პროკოპი კესარიელი, De bello persico** – პროკოპი კესარიელი, *De bello persico*, „გეორგიკა“, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 43-117.

**პროკოპი კესარიელი, De bello gothico** – პროკოპი კესარიელი, *De bello gothico*, „გეორგიკა“, II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1965, გვ. 118-212.

### სამეცნიერო ლიტერატურა:

**ავდალიანი, საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები** – ავდალიანი ე., *საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.)*, თბილისი, 2019.

**ალასანია, ქართველები და ისლამამდელი თურქები** – ალასანია გ., *ქართველები და ისლამამდელი თურქები*, თბილისი, 2008.

**აფხაზავა, ადრეული შუა საუკუნეების** – აფხაზავა ნ., *ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა*, თბილისი, 1979.

**აფხაზავა, ქვემო ალევი** – აფხაზავა ნ., *ქვემო ალევი ადრეული შუა საუკუნეებში*, თბილისი, 1988.

**ბახტაძე (და სხვა), ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები** – ბახტაძე ნ., მამიაშვილი ვ., გაბეხაძე ბ., ჩხვიმიანი ჯ., *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები*, თბილისი, 2020.

**გოილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო** – გოილაძე ვ., *აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო*, თბილისი, 1997.

**ლომიტაშვილი, ლორთქიფანიძე, მურღულია, ახალი მონაცემები ნოქალაქევის ორმოცმონამეთა ეკლესიის შესახებ** – ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., *ახალი მონაცემები ნოქალაქევის ორმოცმონამეთა ეკლესიის შესახებ*, სმმმ, VIII (53-B), 2018, გვ. 139-157.

**ლორთქიფანიძე, მურღულია, სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში** – ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., *სვანეთი ბიზან-*



ტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში, სეშმ V (50-B), 2014.

**ბოგვერაძე, ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა** – ბოგვერაძე ა., *ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა*, სიწ, ტ. II (საქართველო IV-X საუკუნეებში), ტომის რედაქტორი შ. მესხია, თბილისი, 1973, გვ. 268-283.

**ტყეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები** – ტყეშელაშვილი ო., *ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ. წ. IV-VIII სს.)*, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1955.

**Everill (et al.), *AGEN Trench A Results*** – Everill P., Armour N., Lomitashvili D., Murgulia N., Grant K., Neil B., Slater A., *AGEN Trench A Results 2001-2010*, In Everill P. (ed.) “Nokalakevi • Tsikhegoji • Archaeopolis. Archaeological excavations 2001–2010. Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi”, რედ. P. Everill, BAR International series 2612, Oxford, England, 2014a., გვ. 25-42.

**Everill (et al.), *AGEN Trench B Results*** – Everill P., Lomitashvili D., Tvaradze A., Neil B., James L., Russel C., *AGEN Trench B Results: 2002-2010: “Nokalakevi • Tsikhegoji • Archaeopolis. Archaeological excavations 2001–2010. Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi”*, რედ. P. Everill, BAR International series 2612, Oxford, England, 2014b., გვ. 43-54.

**Everill (et al.), *The recent contribution of scientific techniques*** – Everill P., Murgulia N., Lomitashvili D., Colvin I., Lortkipanidze B., Schwenninger J. L., Cook G., *The recent contribution of scientific techniques to the study of Nokalakevi in Samegrelo, Georgia*, ANATSt, 71, 2021, გვ. 1-18.

**Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*** – Schulze-Dörrlamm M., *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge im Römisch-Germanischen Zentralmuseum*, Teil I. Kataloge Vor- und Frühgeschichtlicher Altertümer, Band 30, 2, Mainz, 2009a.

**Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*** – Schulze-Dörrlamm M., *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge im Römisch-Germanischen Zentralmuseum*, Teil II. Kataloge Vor- und Frühgeschichtlicher Altertümer, Band 30, 2, Mainz, 2009b.

**Артамонов, *История Хазар*** – Артамонов М. И., *История Хазар*, Санкт-Петербург, 2001.

**Амброз, *Восточноевропейские и среднеазиатские степи*** – Амброз А. К., *Восточноевропейские и среднеазиатские степи V – первой половины VI в.*,



“Степи Евразии в эпоху средневековья. АРХЕОЛОГИЯ СССР”, 1981, 33. 10-23.

**Ахматнуров, *Распад Тюркского каганата*** – Ахматнуров С., *Распад Тюркского каганата. VI-VIII вв.*, Москва, 2015.

**Гавритухин, Пьянков, *Раннесредневековые древности побережья*** – Гавритухин И. О., Пьянков А. В., *Раннесредневековые древности побережья (V-IX вв)*, “Крым, Северо-Восточное Причерноморье и Закавказье в эпоху Средневековья (IV–XIII вв.)”, 1999. Макарова Т. И., Плетнева С. А., Москва, 2003, 33. 186-200.

**Гумилёв, *Древние Тюрки*** – Гумилёв Л., *Древние Тюрки*, Москва, 1993.

**Кызласов, *Древнехакасская культура чаатас*** – Кызласов Л. Р., *Древнехакасская культура чаатас VI-IX вв.*, “Степи Евразии в эпоху средневековья. АРХЕОЛОГИЯ СССР”, 1981, 33. 46-52.

**Могильников, *Сибирские древности*** – Могильников В. А., *Сибирские древности VI-X вв.*, “Степи Евразии в эпоху средневековья. АРХЕОЛОГИЯ СССР”, 1981, 33. 29-43.

**Плетнева, *Степи Евразии в эпоху средневековья*** – Плетнева С. А. (1981), *Степи Евразии в эпоху средневековья. АРХЕОЛОГИЯ СССР*, Москва, 1981а.

**Плетнева, *Ранние болгары на Волге*** – Плетнева С. А., *Ранние болгары на Волге*, “Степи Евразии в эпоху средневековья. АРХЕОЛОГИЯ СССР”, 1981, 33. 77-80.

**Besik Lortkipanidze, Nikoloz Murgulia,  
Nikoloz Diasamidze, Nino Khutsishvili**

**From the History of the Political and Trade Interrelation of Egrisi in the  
6<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cc. AD, according to the Clothing Accessories (Belt Buckles, Clasps  
and Pins), discovered in Nokalakevi**

Summary

This work was supported by Shota Rustaveli  
National Science Foundation of Georgia  
(SRNSFG) [grant number FR-22-117]

Since 1973, the Nokalakevi archaeological expedition has discovered various types of buckles, clasps and pins dating back to the Early Middle Ages. Most of them were found on the lower terrace of the site, inside the fortification and only one artifact (N12-974:6802) outside of the east walls in the 30 meter. Most of the artifacts were unearthed from buildings, cultural layers and burials dated back to the Early Middle Ages. Nine of them are preserved at the Georgian National Museum, S. Janashia Georgian State Museum's Middle Ages collection, at the Academic Parmen Zaqaraia West Georgia's storage room.

Only one artifact was unearthed in the burial located in the South annex of The Forty Martyrs Church. The artifact is preserved at the Parmen Zakaraia Nokalakevi Architectural-Archaeological Museum-Reserve.

In this article, we present comprehensive research. Every artifact is described and has a registration number, year and location of discovery. Every artifact has its local and international analogy, their chronology and origin are determined by stratigraphic data and laboratory research, additionally, dates are received by comparative chronology from other artifacts.

The production and distribution area of the buckles and other materials found in the Nokalakevi settlement are extensive and cover the territory of the Byzantine Empire (Asia Minor, Anatolia etc.) north Black Sea, north Caucasus, Eurasian Steppes, Danube and Volga region. It is fascinating how these artifacts appeared in Nokalakevi. We discuss two versions: in the Kingdom of Egrisi and particularly in the capital, the Byzantine army was settled and diverse types of people served in the army. Written sources provide interesting information about the ethnic composition of the Byzantine army. It is well known that the Byzantine army included not only Southern Caucasians


– Iberian, Laz, Zans and Armenians, but also Syrians, Thracians, Slavs, Germans (such as Guts, Heruli, etc.), and soldiers of Turkish origin. It appears that the analogues of these artifacts were widespread among the people who lived in the Eurasian Steppe (mostly Turkish-speaking population), which expresses the political and economic relationship between the Egrisi kingdom and the Eurasian Steppe.



1



2



3



4



5




6



7



8



9



10



11



12




13




14



15




16




17



18




19



20



21



22

43



## ილუსტრაციები:

1. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის აეროფოტო. გამოვლენილი აბზინდა-ბალთებისა და საკიდების აღმოჩენის ადგილები. (ავტორი: ივანე ყენია).
2. N1 აბზინდა (12-974:31) (ავტორების ფოტო).
3. N1 აბზინდის ანალოგი სოფელ ჩმიდან (ჩრდილოეთ ოსეთი). წყარო: Плетнева, *Ранние болгары на Волге*, სურ. 61.3.
- 4-5. N2 ბალთები (12-974:159; 7206) (ავტორების ფოტო).
- 6-7. N2 ბალთების ანალოგები ჩრდილოეთ კავკასიიდან (6) და სამთავროდან (7). წყარო: აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. XXXIV.1.
8. N3 ბალთა (12-974:3647) (ავტორების ფოტო).
9. N3 ბალთის ანალოგი დასავლეთ ანატოლიიდან (ბიზანტიის იმპერია). წყარო: Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil II, სურ. 303-304.
10. N4 ბალთა (12-974:3905) (ავტორების ფოტო).
11. N4 ბალთის ანალოგი მცირე აზიიდან. წყარო: Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil I, სურ. 10.
12. N5 ბალთა (12-974:4192) B თხრილიდან (ავტორების ფოტო).
13. N5 ბალთა ორმოცმონამეთა ეკლესიიდან (ავტორების ფოტო).
14. N5 ბალთის მსგავსი ბალთები ნეკრესიდან. წყარო: ბახტაძე (და სხვა), *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული ტაძრები*, ტაბ. I.4,7.
15. N6 მასიური ბალთა (12-974:4251) (ავტორების ფოტო).
- 16-17. N6. მასიური ბალთის მსგავსი ბალთები აწყურიდან (16) (წყარო: აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. XXXIII.16) და ნიკოფსიიდან (დუზუკალედან) (17) (წყარო: Гавритухин, Пьянков, *Раннесредневековые древности побережья*, ტაბ. 77.24).
18. N7 საკიდი-შესაკრავი (12-974:6802) (ავტორების ფოტო).
- 19-20. N7 საკიდი-შესაკრავის ანალოგები სამთავროდან (19) (წყარო: აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. XXXII.70-72) და ყუდირლედან (ალტაი) (20) (წყარო: Могильников, *Сибирские древности*, სურ. 19.31).
21. N8 ბალთა (12-974:6993) (ავტორების ფოტო).
22. N8 ბალთის ანალოგი სამთავროდან. წყარო: აფხაზავა, *ადრეული შუა საუკუნეების*, ტაბ. XXXII.43.



## Illustrations:

1. The aerial image of the lower terrace of the Nokalakevi site. The location of the discovered buckles, clasps and pins. Image by Ivane Kenia.
2. N1 clasp (12-974:31). Image by authors.
3. The analogue of the N1 clasp from the village of Chmi (North Ossetia). Source: Плетнева, *Ранние болгары на Волге*, Fig. 61.3.
- 4-5. N2 buckles (12-974:159; 7206). Image by authors.
- 6-7. The analogues of the N2 buckles from the North Caucasus (6) and Samtavro, east Georgia (7). Source: Apkhazava N., *Material Culture of the Early Medieval East Georgia*, Tbilisi, 1979 (in Georgian), Fig. XXXIV.1.
8. N3 buckle (12-974:3647). Image by authors.
9. The analogue of the N3 buckle from the west Anatolia (Byzantine Empire). Source: Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil II, Pic. 303-304.
10. N4 buckle (12-974:3905). Image by authors.
11. The analogue of the N4 buckle from the Asia Minor. Source: Schulze-Dörrlamm, *Byzantinische Gürtelschnallen und Gürtelbeschläge*, Teil I, Fig. 10.
12. N5 buckle (12-974:4192) from the trench B. Image by authors.
13. N5 buckle from the Forty Martyrs' church. Image by authors.
14. The analogues of the N5 buckles from Nekresi (east Georgia). Source: Bakhtadze N., Mamiashvili V., Gabekhadze B., Chkhvimiani J., *The Early Christian Churches of the Ancient City of Nekresi*, Tbilisi, 2020 (in Georgian), Fig. I.4,7.
15. N6 massive buckle (12-974:4251). Image by authors.
- 16-17. The analogues of the N6 buckle from Atskuri (16) (east Georgia) (Source: Apkhazava, *Material Culture*, Fig. XXXIII.16) and Nicopsis, Duzu-cale (17) (Source: Гавритухин, Пьянков, *Раннесредневековые древности побережья*, Fig. 77.24).
18. N7 pin (12-974:6802). Image by authors.
- 19-20. The analogues of the N7 pin from Samtavro (19) (east Georgia) (Source: Apkhazava, *Material Culture*, Fig. XXXII.70-72) and Kudirge (20), Altai (Source: Могильников, *Сибирские древности*, Fig. 19.31).
21. N8 buckle (12-974:6993). Image by authors.
22. The analogue of the N8 buckle from Samtavro (east Georgia). Source: Apkhazava, *Material Culture*, Fig. XXXII.43.

# ბიძინა მურვანიძე, დავით მინდორაშვილი, გიორგი გოგოჭური, მარიამ ელოშვილი

## ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ქვემო ქართლში

ქვემო ქართლი, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, მდიდარია ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით. ამ რეგიონის მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ყველაზე ნათლად აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოხატა – „ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა, ... ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მონინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“.<sup>1</sup>

ქვემო ქართლი ის ტერიტორიაა, სადაც გვხვდება კაცობრიობის წარმოშობა-განვითარების ყველა პერიოდის შესაბამისი არქეოლოგიური ძეგლები ქვის ხანიდან დაწყებული გვიანდელი შუა საუკუნეების ჩათვლით. ამ ძეგლების დიდი ნაწილი მკვლევართა მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე მტკვრის მარჯვენა ნაპირის ზოლზე სოფ. ილმაზლოდან ვიდრე წითელ ხიდამდე (მარნეულის მუნიციპალიტეტი), არქეოლოგიური ობიექტები ნაკლებად ან თითქმის არ იყო გამოვლენილი.

უკანასკნელ წლებში, ახალმშენებლობებთან დაკავშირებით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მტკვრის დინების ამ მონაკვეთში არსებული არქეოლოგიური ობიექტების გამოსავლენად. 2011 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. გ. გოგოჭური) სოფ. ილმაზლოსთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებულ მაღალ ბორცვზე მიაკვლია და ნაწილობრივ გათხარა ნამოსახლარი, რომელსაც რამდენიმე ჰექტარი უკავია. ნამოსახლარზე დაფიქსირდა რამდენიმე კულტურული ფენა – ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების, რკინის ფართო ათვისების ხანის, ანტიკური და გვიანანტიკური ხანის, ადრეული შუა საუკუნეების.<sup>2</sup>

2020 წელს ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. მურვანიძე) აღნიშნულ ძეგლზე მცირე ხნით იმუშავა და გამოავლინა სხვადასხვა პერიოდის კულ-

<sup>1</sup> ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის*, გვ. 365.

<sup>2</sup> გოგოჭური, *ანტიკური ხანის მასალები*, გვ. 107-141; გოგოჭური, კალანდაძე, *მნიშვნელოვანი აღმოჩენები*, გვ. 18-66; გოგოჭური, ბერძენიშვილი, *ტახის/ლორის კულტი*, გვ. 10-37.

ტურული ფენები, სამარხები<sup>1</sup> და სხვ. ამავე ექსპედიციამ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით, ილმაზლოდან ვიდრე წითელ ხიდამდე მიაკვლია წინანტიკური, ანტიკური და შუა საუკუნეების რამდენიმე საყურადღებო ძეგლს.<sup>2</sup>

გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტებს შორის თავისი მასშტაბებით გამოირჩეოდა მტკვრისა და ალგეთის შესართავიდან სამხრეთით, ორი კმ-ის დაშორებით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის 33 მეტრი სიმაღლის ფლატის პირას შემორჩენილი ალიზის დიდი ბლოკებით ნაგები კედლები და კრამიცურილები, რომლებიც ფლატის ქრილში დაახლოებით 40 მეტრ სიგრძეზე ჩანდა<sup>3</sup> (ტაბ. I<sub>1-3</sub>).

სოფ. მეორე ქესალოში მცხოვრებ ელშან მუსტაფაევის ცნობით, ფლატის პირას იდგა ორნამენტიანი ქვა, რომელიც მტკვარში გადაუგდიათ. საკმაოდ დაზიანებული არქიტექტურული დეტალი მართლაც ჩანდა მტკვრის ერთ-ერთ ტოტში (ტაბ. II<sub>1</sub>).<sup>4</sup> მანვე ექსპედიციას გადმოსცა ქვის ორნამენტიანი ნიმუშები, რომლებიც მტკვარში გადაგდებული არქიტექტურული დეტალის ფრაგმენტები იყო (ტაბ. II<sub>2,4</sub>). ქვის ნატეხებზე შემორჩენილი ორნამენტი ნააგავდა ქვემო ქართლის ადრეული ქრისტიანული ხანის არქიტექტურული დეტალებისათვის და სტელებისათვის დამახასიათებელ ორნამენტებს.<sup>5</sup>

ცხადი გახდა, რომ სოფ. მეორე ქესალოს სიახლოვეს არსებული არქეოლოგიური ობიექტის სახით, საქმე გვექონდა მნიშვნელოვან ძეგლთან, რომლის მოზრდილი ნაწილი დროთა განმავლობაში მდინარეში ჩაქცეულა. ამ ზოლში მტკვრის მარჯვენა ნაპირი ინტენსიურ მცენარეულ საფარს მოკლებულია და რელიეფი გამოფიტვისა და დენუდაციურ-ეროზიული პროცესების ძლიერ ზემოქმედებას განიცდის.<sup>6</sup> სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია მდინარის ნაპირების ჩამოშლა და ძეგლის მოზრდილი ნაწილის

<sup>1</sup> მურვანიძე, გოგოჭური, მინდორაშვილი, *ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული*, გვ. 50-65.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 50-65; მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, *არქეოლოგიური ძიებანი*, გვ. 203-227; მურვანიძე, მინდორაშვილი, გოგოჭური, *მეტალურგიის ახალი კერა*, გვ. 242-250.

2020 წელს ბ. გელაშვილის კერძო არქეოლოგიური კომპანიის – „არქეოლოგიის განვითარების ფონდი“-ს მიერ ილმაზლოზე ჩატარდა გათხრები, რომლის დროსაც ძეგლზე მხოლოდ სამარხებსა და კერამიკულ ნატეხებს მიაკვლიეს. გათხრებისას ვერც მრავალფენიანი ძეგლის სტრატეგრაფიული სურათი იქნა დადგენილი.

<sup>3</sup> გეოგრაფიული კოორდინატები: E504573. N4580259; E504578. N4580260; E504576. N4580239; E504581. N4580240. სიმაღლე ზდ – 308 მ.

<sup>4</sup> 2023 წელს არქიტექტურული დეტალი მდინარიდან ამოვიღეთ და გადავიტანეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არმაზის არქეოლოგიურ ბაზაზე.

<sup>5</sup> მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, *არქეოლოგიური ძიებანი*, გვ. 209.

<sup>6</sup> ზუხბაია, *მტკვარი*, გვ. 30-31.

განადგურება. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც შეუქცევადად მიმდინარეობს (ტაბ. I<sub>1-3</sub>).

წინამდებარე სტატიის ავტორთა მიერ 2022 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილ იქნა პროექტი – „ქვემო ქართლი – იბერიის სამხრეთი კარიბჭე ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში“.<sup>1</sup> პროექტის ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა მეორე ქესალოს სიახლოვეს მდებარე არქეოლოგიური ობიექტის გამოკვლევა, რასაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი მასალა უნდა მოეცა ქვემო ქართლის შუა საუკუნეების ისტორიის სხვადასხვა პრობლემის შესასწავლად. პროექტის ფარგლებში ობიექტის გათხრებისთვის განსაზღვრული მცირე ბიუჯეტით მისი სრული გამოკვლევა ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ გათხრები პირველ რიგში შეეხო ფლატისპირა ტერიტორიას, რომელსაც უახლოეს მომავალში განადგურება ელოდა.

ძეგლზე პირველი თხრილი (15,70X4,30 მ.) გაკეთდა იმ ადგილას, სადაც ფლატის ქრილში კარგად ჩანდა ალიზის დიდრონი ბლოკები და კრამიტყრილები (ტაბ. III<sub>1</sub>). თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან მიწის ზედაპირიდან 20-25 სმ. სიღრმეზე, გამოვლინდა ბრტყელი და ღარიანი კრამიტეების ყრილი – ჩაქცეული სახურავი (1,10X2,10 მ.) (ტაბ. VII<sub>1</sub>). კრამიტყრილიდან ჩრდილოეთით, იმავე სიღრმეზე გაიწმინდა სწორკუთხა მოხაზულობის (1,80X3 მ.) მეორე კრამიტყრილი (ტაბ. VII<sub>1</sub>). თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში უკვე 1,25 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა რიგით მესამე კრამიტყრილი (ტაბ. VII<sub>1</sub>).<sup>2</sup>

პირველი კრამიტყრილის ქვეშ გამოვლინდა ალიზის ბლოკებით ნაშენი მასიური კედლის ფრაგმენტი, რომლის ხილული სიგრძე 4 მეტრამდეა, სიგანე კი – 1,50 მეტრს აღწევს (ტაბ. III<sub>2</sub>, VII<sub>1</sub>).

მეორე კრამიტყრილის ქვეშ აღმოჩნდა ნახშირის ნაშთები და ნახანძრალი ბათქაშის ნატეხები ლერწმის ღეროების ანაბეჭდებით (ტაბ. VIII<sub>4</sub>). გაირკვა, რომ კრამიტის სახურავით დაფარული ყოფილა ალიზის ბლოკებით ნაშენ ორ პარალელურ კედელს შორის არსებული 1,20 მეტრი სიგანის დერეფანი, რომელსაც თიხით მოლესილი იატაკი ჰქონია (ტაბ. IV<sub>1</sub>, VII<sub>1</sub>).

პირველი დერეფნის ჩრდილოეთი კედელი მეორე დერეფნის სამხრეთი კედელია, რომლის ნაწილი ფლატეში ჩაქცეულა (ტაბ. IV<sub>2</sub>, VII<sub>1</sub>). ნაწილობრივაა შემორჩენილი მეორე დერეფნის ჩრდილოეთი კედელიც. რაც შეეხება მის დასავლეთ კედელს, იგი სრულად ფიქსირდება (სიგრძე – 6,25 მ.) (ტაბ. V<sub>1</sub>, VII<sub>1</sub>).

<sup>1</sup> ძეგლის გადასარჩენად საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოში ჩვენ მიერ 2022 წელს წარდგენილი პროექტი სამწუხაროდ არ დაფინანსდა.

<sup>2</sup> წინასწარულ ანგარიშებში დერეფანს ნაგებობად მოვიხსენიებდით, თუმცა იმის გამო, რომ ნაგებობის იატაკზე არ აღმოჩენილა არც ერთი არტეფაქტი, იგი სავარაუდოდ უფრო დერეფანია ვიდრე ნაგებობა.

კედლების სისქე 1,50 მეტრია. მესამე კრამიტყრილი თავის დროზე დერეფნის სახურავი ყოფილა (ტაბ. V<sub>1</sub>, VII<sub>1</sub>). დერეფანს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში 1,30 მეტრი სიგანის შესასვლელი ჰქონია (ტაბ. V<sub>2</sub>). დერეფნის მოზრდილი ნაწილი არ შემორჩენილა და მისი გეგმარების სრულად წარმოდგენა ჭირს. კრამიტყრილის ალაგების შემდეგ, შენობაში ხანძრის კვალი დაფიქსირდა. აქ მრავლად აღმოჩნდა ნახშირი და თიხის შელესილობის ფრაგმენტები. ძლიერი ხანძრის გამო დამსკდარი იყო თიხით მოლესილი იატაკი (ტაბ. VII<sub>2</sub>). დანახშირებული ძელები (დიამეტრი – 15-20 სმ.) ყველა კედლის გასწვრივ აღმოჩნდა (ტაბ. VII<sub>2</sub>). ჩანს, კრამიტის სახურავი ტრადიციულად ხის ძელებზე ყოფილა დაყრდნობილი. გადახურვის კონსტრუქციაში გამოუყენებიათ ხის ტოტები და ჩალის ღეროები, რომლებიც თიხით შეუღესავთ. ამგვარი გადახურვა აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე გვხვდება. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ძალისას ნაქალაქარი.<sup>1</sup>

თხრილში გამოვლენილი დერეფნების იატაკზე კრამიტებისა და ბათქაშის ფრაგმენტების გარდა არ აღმოჩენილა არც ერთი სხვა არტეფაქტი, რაც მოსალოდნელიც იყო. ყველა კედელი ალიზის დიდი ბლოკებითაა ნაშენი. ბლოკები ორი ზომისაა – 40X40X12 სმ. და 40X20X12 სმ. ისინი ერთმანეთთან ტალახის 1-2 სმ. სისქის ფენითაა დაკავშირებული.

ალიზის არქიტექტურა უცხო არაა აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისთვის. უფრო მეტიც, ქვით მდიდარ ადგილებშიც კი ხშირად ალიზის შენობებია გავრცელებული.<sup>2</sup> ალიზის არქიტექტურაა დამახასიათებელი ისეთი ძეგლებისთვის, როგორცაა ზემოთ უკვე ნახსენები ძალისა.<sup>3</sup> ალიზითაა ნაგები ურბნისის შენობების გარკვეული ნაწილი.<sup>4</sup> ხუნანს „ქართლის ცხოვრება“ მტვერის ციხედაც მოიხსენიებს.<sup>5</sup> „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი კი მას „ალიზით ნაგებ ციხეს“ უწოდებს,<sup>6</sup> რაც ქალაქის არქიტექტურაში ალიზის ნაგებობათა უპირატესობაზე მიუთითებს.<sup>7</sup> გვიანანტიკური ხანის ალიზის სასახლეა გამოვლენილი მეორე ქესალოს სიახლოვეს, სოფ. ილმაზლოსთან მდებარე მრავალფენიან ძეგლზე<sup>8</sup> და სხვ.

მეორე ქესალოს ალიზით ნაგები კომპლექსის გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა ბრტყელი და ლარიანი კრამიტები, რომლებიც ადრეულ შუა საუკუ-

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, *ნაქალაქარი ძალისა*, გვ. 246.

<sup>2</sup> ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, გვ. 106.

<sup>3</sup> ნარიმანიშვილი, *ნაქალაქარი ძალისა*, იქვე.

<sup>4</sup> ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, იქვე.

<sup>5</sup> *ცხოვრება მეფეთა*, გვ. 8<sub>13</sub>, 12<sub>2</sub>, 18<sub>1</sub>.

<sup>6</sup> *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, გვ. 11.

<sup>7</sup> ჭილაშვილი, *ქალაქები*, გვ. 50.

<sup>8</sup> გოგოჭური, *მნიშვნელოვანი აღმოჩენები*, გვ. 21.

ნეებში გავრცელებული კრამიტების ფორმა-მოყვანილობას იმეორებს (მცხეთა, უჯარმა, ჭერემი და სხვ.). ბრტყელი კრამიტები სხვადასხვა ზომისაა.<sup>1</sup> მათი დიდი ნაწილი სადაა (ტაბ. VIII<sub>1,2</sub>). ბრტყელი კრამიტების მცირე ნაწილს კიდევზე ნაჭდევი ორნამენტი შემოუყვება (ტაბ. VIII<sub>2</sub>). ნაჭდევი ორნამენტით შემკული კრამიტები სხვა ძეგლებზეც გვხვდება. ამგვარი კრამიტები მიკვლეულია სოფ. არაგვისპირთან (დუშეთის მუნიციპალიტეტი) გათხრილ III-IV სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარზე.<sup>2</sup> ზოგიერთ კრამიტზე შემორჩენილია თხის თუ ცხვრის ჩლიქების, ძაღლის თათების, ქათმის ბრტყალების ანაბეჭდები, რომლებიც ნედლი კრამიტების გაშრობისას მათზე ცხოველების გადარბენის დროს ჩნდებოდა. კრამიტები ამგვარი ანაბეჭდებით არაერთია აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე (რუსთავი, ურბნისი და სხვ.).<sup>3</sup> ღარიან კრამიტებს ვიწრო ბოლოში დაძვნილი აქვს შვერილი (საბჯენი), რომელთა დანიშნულებას კრამიტების ჩამოცურებისგან დაცვა წარმოადგენდა (ტაბ. VIII<sub>3</sub>).<sup>4</sup>

ფლატის პირას გაკეთებულ მეორე თხრილში (5X5 მ.) გამოვლინდა ძლიერ ხანძარში მოხვედრილი ალიზის ბლოკები და თიხატკეპნილი დონე (ტაბ. VI). ბლოკების ზომა აქაც იგივეა, რაც პირველ თხრილში გამოვლენილი ბლოკებისა – 40X40X12 სმ. კომპლექსის ამ ნაწილშიც ხანძარი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თიხატკეპნილი გაშავებული და დახეთქილია. ალიზის ბლოკების ნაწილი კი წიდადაა ქცეული. აქ აღმოჩნდა სქელკეციანი ჭურჭლის (დერგის?) ორიოდე პატარა ნატეხი, რომელთაც ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის იერი აქვს (ტაბ. VIII<sub>7</sub>). პირველი თხრილისგან განსხვავებით, მეორე თხრილში ორი-სამი მცირე ფრაგმენტის გარდა, კრამიტები არ გამოვლენილა.

როგორც აღინიშნა, ფლატის პირას თავის დროზე მდგარა დიდი ზომის არქიტექტურული დეტალი, რომელიც მტკვარში გადაუგდიათ (ტაბ. II<sub>1</sub>, IX<sub>1</sub>). ამ ადგილას გაკეთდა მესამე თხრილი, რომელშიც, წინა ორი თხრილის

<sup>1</sup> ბრტყელი კრამიტების მთელი ნიმუშების ზომები: 1. სიგრძე 36 სმ., ვიწრო თავის სიგანე 27 სმ., ფართო ბოლოს სიგანე – 30 სმ., გვერდის სიმაღლე 7 სმ., კეცის სისქე 1,5 სმ.; 2. სიგრძე 38 სმ., ვიწრო თავის სიგანე 29 სმ., ფართო ბოლოს სიგანე 35 სმ., გვერდის სიმაღლე 6 სმ., კეცის სისქე 2 სმ.; 3. სიგრძე 38 სმ., ვიწრო თავის სიგანე 30 სმ., ფართო ბოლოს სიგანე 36 სმ., გვერდის სიმაღლე 6,5 სმ., კეცის სისქე 2 სმ.

ზოგიერთი ბრტყელი კრამიტის სიგრძეა: 35, 39, 40 სმ., გვერდების სიმაღლე – 5-7 სმ.

<sup>2</sup> მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის დუშეთის (მილახვრიაანთ კარის) ბაზაზე.

<sup>3</sup> სინაურიძე, *აღმოსავლეთ საქართველოს*, გვ. 72.

<sup>4</sup> ღარიანი კრამიტების სრული სიგრძის დადგენა ვერ მოხერხდა. მათი არასრული სიგრძე 30 სმ-ს აღწევს. განიერი ბოლოს სიგანე 20-22 სმ-ია, კეცის სისქე 1-2 სმ., შვერილების (საბჯენების) სიმაღლე 4-7 სმ. (ტაბ. VIII<sub>3</sub>).



მსგავსად, აღმოჩნდა ნახანძრალი თიხატკეპნილი დონე და ქვის მცირე ორნამენტული ნატეხები. მათგან ზოგიერთი დიდი არქიტექტურული დეტალის ნაწილია<sup>1</sup> (ტაბ. IX<sub>2-5</sub>). თხრილში ასევე გამოვლინდა ორნამენტული ფრაგმენტები, რომელთაც დიდ არქიტექტურულ დეტალს ვერ დავუკავშირებთ (ტაბ. IX<sub>6-7</sub>). როგორც არქიტექტურულ დეტალზე, ისე მცირე ზომის ორნამენტულ ფრაგმენტებზე შეინიშნება ხანძრის კვალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვის არტეფაქტები ალიზით ნაგებ კომპლექსთან ერთად განადგურებულა.

არქიტექტურული დეტალის დეკორი ახლო დგას ქვემო ქართლის ადრეულ სტელებზე გამოსახულ ორნამენტებთან. ამ მხრივ განსაკუთრებული სიახლოვე შეინიშნება ბოლნისის სიონის სანათლავის კაპიტელების (V ს.), აგრეთვე VI ს-ის კაზრეთის სტელის მცენარეულ დეკორთან.<sup>2</sup> ორნამენტული არქიტექტურული დეტალები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი კრამიტის ფორმები, იმაზე მეტყველებს, რომ კომპლექსი ადრეული შუა საუკუნეების ძეგლია, რომელიც V-VI სს-ში უკვე ფუნქციონირებდა.

ჯერჯერობით, არქეოლოგიური ობიექტის მცირე ფართობია გათხრილი და ძნელია რაიმე ითქვას მისი ფუნქციის შესახებ. ერთი უდავოა – კვლევის საწყის ეტაპზეც კი კომპლექსი იმდენად მასშტაბურად<sup>3</sup> და მონუმენტურად გამოიყურება, იმდენი მატერიალური სახსრები და ადამიანური რესურსები ჩანს მის მშენებლობაზე დახარჯული, რომ იგი უთუოდ მნიშვნელოვანი ძეგლია.

კომპლექსის ფუნქციის განსაზღვრისათვის საყურადღებოა აქ აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი და მცირე ზომის ორნამენტული ფრაგმენტები, რომელთაგან ზოგიერთი, სავარაუდოდ, სტელის ნატეხი შეიძლება იყოს. ფიქრობენ, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში სტელების მომრავლება დაკავშირებული უნდა იყოს აზნაურთა სოციალურ და კულტურულ აქტივობასთან, მათი პრესტიჟის ზრდასთან.<sup>4</sup> წარჩინებულნი სტელებს აღმართავდნენ არა მხოლოდ როგორც საკულტო ძეგლებს, არამედ როგორც ფეოდა-

<sup>1</sup> არქიტექტურული დეტალი თავდაპირველად სტელის ბაზად იქნა მიჩნეული. იხ. მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, *არქეოლოგიური ძიებანი*, გვ. 208. შემდგომმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ არტეფაქტი საკმაოდ დაზიანებულია და მისი უყოყმანოდ აღქმა სტელის ბაზად, კომპლექსის სრულ გათხრამდე და სხვა დამატებითი მასალის მოძიებამდე, არ იქნებოდა მართებული. ამდენად, არტეფაქტს ჯერჯერობით არქიტექტურულ დეტალად მოვიხსენიებთ (ტაბ. II, IX<sub>1</sub>).

<sup>2</sup> Чубинашвили, *Болниси*, გვ. 166, ნახ. 100, ტაბ. III-IV. კაზრეთის სტელა (სსმ-555) – ექსპონირებულია ბოლნისის მუზეუმში. პარალელური მასალები მოიძია და გაგვაცნო ხელოვნებათმცოდნე გ. გაგოშიძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

<sup>3</sup> საცდელი თხრილების საშუალებით გაირკვა, რომ ფლატის პირიდან ნაგებობათა ნაშთები დასავლეთის მიმართულებით სულ მცირე 30-35 მეტრ სიგრძეზე ვრცელდება (ტაბ. VI<sub>1,2,3</sub>). ხანძრის კვალი ამ თხრილებშიც დადასტურდა.

<sup>4</sup> მაჩაბელი, *ღავათის ქვასვეტის ადგილი*, გვ. 83; მუსხელიშვილი, *საქართველო*, გვ. 471.

ლურ იერარქიაში მათი დამკვიდრების ნიშანს. ამ თვალსაზრისით სტელების მნიშვნელობა სცილდება საკულტო სფეროს და ფართო სოციალურ ჟღერადობას იძენს.<sup>1</sup>

ქვის ორნამენტული ფრაგმენტები, განათხარი ნაგებობების მასიური კედლები, კრამიტყრილების ფართობები, შესაძლოა იმის საბუთი იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს რომელიმე წარჩინებული აზნაურის თუ ერისთავის რეზიდენციასთან – სასახლესთან.<sup>2</sup> რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ წინასწარული ვარაუდია, რომელმაც შესაძლოა შემდგომში კორექტირება განიცადოს.

კომპლექსზე საუბრისას, ბუნებრივია, დგება მისი იდენტიფიკაციის საკითხი. რეგიონში ძველი ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი ნაშლილია და ძნელია გარკვევა, რა ერქვა ადგილს, სადაც კომპლექსია განლაგებული. ამ მხრივ არც წერილობითი წყაროები ან რუკები იძლევა ხელმოსაჭიდ მასალას.<sup>3</sup> ერთი ცხადია – ქვემო ქართლის ტოპონიმის თუ სხვა საკითხების შესწავლისას მკვლევრები უკვე გვერდს ვერ აუვლიან აღწერილ კომპლექსს, რომლის შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება.

განათხარი მასალის მიხედვით, ცხადია, რომ კომპლექსი ადრეულ შუა საუკუნეებში ფუნქციონირებდა და იგი მტრის მიერ გაჩენილი ხანძრით განადგურებულა. როდის შეწყვიტა კომპლექსმა არსებობა? პირველი თხროლის სამხრეთ კიდეში 0,90-0,95 მეტრ სიღრმეზე, ალიზის კედელში გამოვლინდა სამარხი (N1), რომელიც მნიშვნელოვანი გამოდგა კომპლექსის განადგურების სავარაუდო თარიღის დასადგენად. ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე დამხრობილ ორმოში დაუკრძალავთ მოზარდი, ზურგზე გაშოტილი, თავით ჩრდილოეთით (ტაბ. VIII<sub>გ</sub>). ორმოსამარხს ზემოდან ეფარა ხის ფიცარი. მიცვალებულის ყელის არეში 11 მძივი აღმოჩნდა. მათგან ერთი ელიფსოიდური ფორმის მწვანე მინის ინკრუსტირებული მძივია (ტაბ. VIII<sub>გ</sub>). მინის სხვადასხვა ფორმის ინკრუსტირებული მძივები დიდი ოდენობით გვხვდება ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში. შემდგომში მათი რიცხვი საგრძნობლად

<sup>1</sup> მაჩაბელი, *დავათის ქვასვეტის ადგილი*, იქვე.

<sup>2</sup> ჩვენ მიერ ნაწილობრივ გათხრილი კომპლექსი ეულად არ მდგარა. მისგან დასავლეთით, 100-ოდე მ-ის დაშორებით არის ჩრდილო-სამხრეთი მიმართულების მქონე 200-ოდე მეტრი სიგრძის შემალლება, სადაც ზედაპირულად იკრიფება ისეთივე ფორმა-მოყვანილობის კრამიტები, როგორც კომპლექსის გათხრებისას ჩნდებოდა. აქვე გამოვლინდა კირქვის დამუშავებული ნატეხები. ჩანს, შემალლებაზე არსებობდა იმავე პერიოდის ნაგებობები, რომლებიც ფლატის პირზეა გამოვლენილი. ცხადია, აქ საქმე უნდა გვექონდეს მოზარდილ დასახლებასთან.

<sup>3</sup> 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქციით დაბეჭდილი რუკის მიხედვით, თანამედროვე სოფ. მეორე ქესალოს ადგილას მითითებულია სოფ. გულთაფა. თუმცა, რა თქმა უნდა, არც ეს ტოპონიმია ძველი.

მცირდება, თუმცა ერთეულების სახით განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზეც (რუსთავი, დმანისი, უჯარმა, სიონი და სხვ.) იჩენს თავს.<sup>1</sup>

მძივებიდან სამი ნიჟარაა (ტაბ. VIII<sub>10</sub>). ნიჟარები, როგორც მძივ-სამკაული ფართოდ იყო გავრცელებული ადრეულ შუა საუკუნეებში. მოგვიანო ხანის ძეგლებზე ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგ., ნიჟარები აღმოჩენილია რუსთავის XII-XIII სს-ის სამაროვანზე.<sup>2</sup>

ფირუზისფრად მოჭიქული ფაიანსის შვიდი მძივიდან გამოირჩევა მრგვალ-ბრტყელი ორნახვრეტოანი მძივი (ტაბ. VIII<sub>11</sub>). მისი ანალოგები ცნობილია რუსთავის XII-XIII სს-ის სამაროვნიდან.<sup>3</sup>

ოთხი მოჭიქული მძივი შემკულია ბურცობებით ან ურთიერთგადამკვეთი ამოღარული ხაზებით (ტაბ. VIII<sub>12</sub>). ორი მძივი მომრგვალებული ფორმისაა და ვერტიკალური ღარები დაუყვება (ტაბ. VIII<sub>13</sub>). ფაიანსის მოჭიქული მძივები საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე ხშირად ჩნდება. არსებული მოსაზრებით, ჩვენში ფაიანსის სამკაულის გავრცელება XII-XIII სს-ს უკავშირდება.<sup>4</sup>

ფაიანსის ფირუზისფრად მოჭიქული მძივების მსგავსი ნიმუშები გამოვლენილია: დმანისში,<sup>5</sup> სიონისა და რუსთავის XII-XIII სს-ის სამაროვნებზე,<sup>6</sup> გავაზის სამაროვანზე,<sup>7</sup> ბოლნისში, გუდარეხში და სამხრეთ კავკასიის არაერთ ძეგლზე.<sup>8</sup> რუსთავის სამაროვნის მასალების მიხედვით, კარგად ჩანს, რომ ჩვენში ამ სახის მძივების ფართოდ გავრცელების ხანა XII-XIII სს-ია.<sup>9</sup>

ამრიგად, მძივები კარგად ათარიღებს სამარხს XII-XIII სს-ით. რადგან სამარხი ალიზის დანგრეულ კედელშია ჩაშვებული, უეჭველია, XII-XIII სს-ში და, სავარაუდოდ, უფრო ადრე – XI ს-შიც ალიზის ბლოკებით ნაგები დიდი კომპლექსი უკვე გადამწვარ-დანგრეული იყო და მის ტერიტორიას სამაროვნად იყენებდნენ.

საფიქრებელია, რომ მეორე ქესალოს კომპლექსისა და მის სიახლოვეს სოფ. ილმაზლოსთან არსებული მოზრდილი დასახლების განადგურება ერ-

<sup>1</sup> რამიშვილი, *სიონი*, გვ. 106-107; დოლაბერიძე, *XI-XIII სს. საქართველოს*, გვ. 49-50; პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 139.

<sup>2</sup> ლომთათიძე, *რუსთავში წარმოებულნი*, გვ. 194.

<sup>3</sup> ჭილაშვილი, *ქალაქი რუსთავი*, ტაბ. XXXIV.

<sup>4</sup> აფაქიძე და სხვა, *საქართველოს არქეოლოგია*, გვ. 368; ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 68.

<sup>5</sup> კოპალიანი, *დმანისის ნაქალაქარი*, ტაბ. LXXXIX<sub>2,3,9,10,11</sub>.

<sup>6</sup> რამიშვილი, *სიონი*, გვ. 107; ლომთათიძე, *რუსთავში წარმოებულნი*, გვ. 194; ჭილაშვილი, *ქალაქი რუსთავი*, ტაბ. XXIV<sub>1</sub>; პაჭიკაშვილი, *ძველი რუსთავი*, გვ. 139.

<sup>7</sup> ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 52.

<sup>8</sup> დოლაბერიძე, *XI-XIII სს. საქართველოს*, გვ. 63-64.

<sup>9</sup> ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 68.

თი და იგივე მოვლენებს უკავშირდება. ილმაზლოს ნასახლარის არქეოლოგიური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ თუ ძეგლზე საკმაო რაოდენობით გვხვდება IX-X სს-ის მოჭიქული კერამიკის ნიმუშები, XI-XIII სს-ით დათარიღებული მოჭიქული კერამიკა იქ საერთოდ არ ჩანს.<sup>1</sup> ილმაზლოს IX-X სს-ის ნაგებობებშიც ხანძრის კვალი ფიქსირდება. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ილმაზლოს ნამოსახლარი XI ს-ში უკვე აღარ ფუნქციონირებდა.

ილმაზლოს და, სავარაუდოდ, მეორე ქესალოს კომპლექსის განადგურება IX-X სს-ში არაბთა შემოსევებს უნდა უკავშირდებოდეს. იმ პერიოდში არაბთა ლაშქრობები ძირითადად გამონვეული იყო თბილისის ამირების სახალიფოსგან განდგომის მცდელობით. საინტერესოა, რომ 852-854 წლებში ბულა თურქის, 914 წელს კი აბულ-კასიმის ლაშქრობის მარშრუტები მტკვრის მარჯვენა ნაპირის აყოლებით გადიოდა.<sup>2</sup> ორივე ძეგლი – ილმაზლოს ნამოსახლარიცა და მეორე ქესალოს კომპლექსიც სწორედ ამ გზაზე მდებარეობს. ამ ეტაპზე ძნელია განისაზღვროს კომპლექსების ფუნქციონირების შეწყვეტა კონკრეტულად 852-854 წლებში მოხდა თუ 914 წელს, მაგრამ დიდი ალბათობით ორივე ძეგლის განადგურება არაბთა შემოსევებს უნდა უკავშირდებოდეს.

ამრიგად, გათხრების წინასწარული შედეგებით, მეორე ქესალოს სიახლოვეს არსებული V-VI სს-ის კომპლექსი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც შესაძლოა ქვემო ქართლის დანიშნულებული მოხელის (აზნაურის, ერისთავის) რეზიდენცია იყო. ძეგლის შესახებ უფრო დანვრილებით მსჯელობა ჯერჯერობით ჭირს. კომპლექსის შემდგომი არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლის შუა საუკუნეების ისტორიას უთუოდ შემატებს ახალ საინტერესო მასალას. ამასთან, ძეგლი შეუქცევად ნგრევას განიცდის, ამდენად მისი შესწავლა გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.

<sup>1</sup> ილმაზლოს ნასახლარის მასალის კვლევამ, რომელიც ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ნასახლარი X ს-ში უნდა განადგურებულიყო.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის, გვ. 11-12.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

**აფაქიძე და სხვა, საქართველოს არქეოლოგია** – აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ოთ., ხომტარია ნ., საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

**ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბილისი, 1964.

**გოგოჭური, ანტიკური ხანის მასალები** – გოგოჭური გ., ანტიკური ხანის მასალები მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, „იბერია-კოლხეთი“, N15, თბილისი, 2019, გვ. 107-141.

**გოგოჭური, ბერძენიშვილი, ტახის/ლორის კულტი** – გოგოჭური გ., ბერძენიშვილი ირ., ტახის/ლორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში, სმმმ, ტ. V (50-ბ), 2014, გვ. 10-37.

**გოგოჭური, კალანდაძე, მნიშვნელოვანი აღმოჩენები** – გოგოჭური გ., კალანდაძე ნ., მნიშვნელოვანი აღმოჩენები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სმმმ, ტ. IV (49-ბ), 2013, გვ. 18-66.

**დოლაბერიძე, XI-XIII სს. საქართველოს** – დოლაბერიძე რ., XI-XIII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, 1985.

**ზუხბაია, მტკვარი** – ზუხბაია ვ., მტკვარი – საქართველოს დედამდინარე, თბილისი, 1984.

**კოპალიანი, დმანისის ნაქალაქარი** – კოპალიანი ჯ., დმანისის ნაქალაქარი, თბილისი, 2017.

**ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული** – ლომთათიძე გ., რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსპი, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 171-210.

**მაჩაბელი, დავათის ქვასვეტის ადგილი** – მაჩაბელი კ., დავათის ქვასვეტის ადგილი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში, მაცნე, იმხს, 1991, N1, გვ. 67-85.

**მუსხელიშვილი, საქართველო** – მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი, 2003.

**მურვანიძე, გოგოჭური, მინდორაშვილი, ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული** – მურვანიძე ბ., გოგოჭური გ., მინდორაშვილი დ., ქვემო ქართლში 2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში, „2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“, თბილისი, 2021, გვ. 50-65.

**მურვანიძე, მინდორაშვილი, გოგოჭური, მეტალურგიის ახალი კერა** – მურვანიძე ბ., მინდორაშვილი დ., გოგოჭური გ., მეტალურგიის ახალი კერა

*ქვემო ქართლში*, „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“, 2, 2021, გვ. 242-250.

**მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, არქეოლოგიური ძიებანი** – მინდორაშვილი დ., მურვანიძე ბ., გოგოჭური გ., *არქეოლოგიური ძიებანი მარნეულის მუნიციპალიტეტში (წინასწარული შედეგები)*, „კავკასიის არქეოლოგიის საკითხები“, თბილისი, 2021, გვ. 203-227.

**ნარიმანიშვილი, ნაქალაქარი ძალისა** – ნარიმანიშვილი გ., *ნაქალაქარი ძალისა (მასალები საქართველო-ირანის ურთიერთობისთვის ახ. წ. III-IV საუკუნეებში)*, „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“, 3, 2022, გვ. 241-267.

**პაჭიკაშვილი, ძველი რუსთავი** – პაჭიკაშვილი ნ., *ძველი რუსთავი*, თბილისი, 2014.

**რამიშვილი, სიონი** – რამიშვილი რ., *სიონი. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები*, 1, თბილისი, 1970.

**საქართველოს ისტორიის** – საქართველოს ისტორიის ატლასი, მეორე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, მთავარი რედაქტორი: დ. მუსხელიშვილი, თბილისი, 2016.

**სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს** – სინაურიძე მ., *აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა*, მსმპი, ტ. I, თბილისი, 1966, გვ. 39-90.

**ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი** – ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1953.

**ცხოვრება მეფეთა** – ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

**ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი** – ჭილაშვილი ლ., *ქალაქი რუსთავი*, თბილისი, 1958.

**ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი** – ჭილაშვილი ლ., *ნაქალაქარი ურბნისი*, თბილისი, 1964.

**ჭილაშვილი, ქალაქები** – ჭილაშვილი ლ., *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, ტ. I, თბილისი, 1968.

**ჭილაშვილი, ძველი გავაზი** – ჭილაშვილი ლ., *ძველი გავაზი*, თბილისი, 1975.

**Чубинашвили, Болниси** – Чубинашвили Г., *Болниси*, Тбилиси, 1940.



**Bidzina Murvanidze, David Mindorashvili,  
Giorgi Gogochuri, Mariam Eloshvili**

**New Archaeological Discoveries  
in Kvemo Kartli**

Summary

In connection with new construction in 2020, the expedition of the National Museum of Georgia (led by B. Murvanidze) traced the remains of buildings constructed from large mud bricks and a mound of roof tiles on the right bank of the Kura River, two kilometers south of the confluence with the Algeti River, near the present village of Meore Kesalo (Tab. I<sub>1-3</sub>). At this location, an ornamental stone was once present (Tab. II<sub>1</sub>), and ornamental stone details were subsequently discovered (Tab. II<sub>2-4</sub>).

In 2023, the expedition of the National Museum of Georgia carried out small-scale excavations at the site. These excavations revealed a substantial mud brick complex with walls 1.50 meters wide. Numerous flat and grooved tiles were uncovered (Tabs. III-VII). Although only a small portion of the site has been excavated to date, preliminary findings suggest that the complex was a sizable building featuring multiple rooms, corridors, exits, and a courtyard.

The expedition recovered a decorative architectural detail from the river (Tabs. II<sub>1</sub>, IX<sub>1</sub>). During excavations at the site where the aforementioned stone once stood, additional decorative details were discovered (Tab. IX<sub>2-7</sub>). The complex appears to have been destroyed by a severe fire, as evidenced by fire damage on the walls, floors, plaster, and stone architectural details.

The tiles uncovered during the excavations closely resemble those from Late Antiquity and the Early Middle Ages (3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> centuries) of Eastern Georgia. The decorative elements of the architectural stone details are comparable to the decoration of the capitals (Bolnisi Sioni, 5<sup>th</sup> century) and steles (Kazreti Stele, 6<sup>th</sup> century) of the early Christian churches of Kvemo Kartli. These parallels suggest that the complex was already in use during the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries.

Determining the precise purpose of the building remains challenging. However, given its large and monumental scale and the significant material and human resources invested in its construction, it is undoubtedly an important site. It is likely that the complex served as the residence or palace of a noble or *eristavi*, though this remains a preliminary assumption subject to further research.

A child's burial was found within the mud brick wall of the complex (Tab. VIII<sub>8</sub>). The deceased was interred with a bead that, based on parallel materials, dates to the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries (Tab. VIII<sub>9-13</sub>). This indicates that in the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries, and possibly even earlier, in the 11<sup>th</sup> century, the site was burnt and destroyed and repurposed as a burial ground.

The destruction of the complex near Meore Kesalo is likely linked to the Arab invasions of the 9<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries. During this period, Arab campaigns were largely driven by the defection of Tbilisi emirs from the Caliphate. Notably, in 852-854 and 914, Arab campaigns towards Kartli traversed the right bank of the Kura River, the same area where the complex is located.


I




1



2





3



360

II







1



2



IV



1



2




V




1



2




VII




3-1:50

1



3-1:50

2



3-1:50









3




3-1:50

4


VIII




IX




0 10 20 30



2




3




0 1 2

4



5



6

7



## ტაბულების აღწერილობა:

**ტაბ. I.** 1-2. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქარაფი. ქრილში მოჩანს ნაგებობათა ნაშთები. 3. იგივე (ნახაზები და მასალის ჩანახატები ეკუთვნის ე. სახვადეს).

**ტაბ. II.** 1. ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურული დეტალი. 2-4. არქიტექტურული დეტალის ორნამენტული ფრაგმენტები.

**ტაბ. III.** 1. პირველი თხრილი (ხედი სამხრეთიდან). 2. თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლენილი ალიზის კედელი (ხედი დასავლეთიდან).

**ტაბ. IV.** 1. პირველი თხრილი. კრამიტყრილის ქვეშ გამოვლენილი დერეფანი (ხედი დასავლეთიდან). 2. დერეფნის ჩრდილოეთი კედელი (ხედი დასავლეთიდან).

**ტაბ. V.** 1. პირველი თხრილი. მეორე დერეფნის კრამიტყრილი (ხედი სამხრეთიდან). 2. დერეფნის შესასვლელი და სახურავის საყრდენი დამწვარი ძელები (ხედი დასავლეთიდან).

**ტაბ. VI.** თხრილების განლაგების გეგმა.

**ტაბ. VII.** 1-2. პირველი თხრილის გეგმა და ქრილი კრამიტყრილების ალაგებამდე. 3-4. პირველი თხრილი კრამიტყრილების ალაგების შემდეგ. მარცხნივ – სამარხის გეგმა და ქრილი.

**ტაბ. VIII.** 1-2. ბრტყელი კრამიტები. 3. ღარიანი კრამიტი. 4. ბათქაშის ფრაგმენტები. 5-6. ალიზის ბლოკები. 7. თიხის ჭურჭლის ნატეხები. 8. სამარხი. 9-13. სამარხში გამოვლენილი მძივები.

**ტაბ. IX.** 1-5. არქიტექტურული დეტალი და მისი ფრაგმენტები. 6-7. სტელის ფრაგმენტები.

## Description of Tables:

**Table I.** 1-2. Cliff on the right bank of the Kura River showing the remains of buildings. 3. The same cliff (drawings and sketches by E. Sakhvadze).

**Table II.** 1. Detail of early medieval architecture. 2-4. Decorative fragments of architectural details.

**Table III.** 1. First trench (view from the south). 2. Mud wall exposed in the southern part of the trench (view from the west).

**Table IV.** 1. First trench: Corridor revealed under the tiles (view from the west). 2. Northern wall of the corridor (view from the west).

**Tab. V.** 1. First trench: Roof tiles of the second corridor (view from the south). 2. Corridor entrance and burnt pillars supporting the roof (view from the west).



**Tab. VI.** Trench layout plan.

**Tab. VII.** 1-2. First trench: Plan and cut before removing the tiles. 3-4. First trench after removing the tiles. Plan and section of the tomb on the left.

**Tab. VIII.** 1-2. Flat tiles. 3. Grooved tile. 4. Plaster fragments. 5-6. Mudbrick blocks. 7. Shards of pottery. 8. Tomb. 9-13. Beads discovered in the tomb.

**Tab. IX.** 1-5. Architectural details and their fragments. 6-7. Stele fragments.

## ბახსენება – MEMORY

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ცხოვრებიდან ნაადრევად წავიდნენ დარგის გამორჩეული სპეციალისტები გიორგი ქავთარაძე და ზურაბ ბრაგვაძე, რომლებმაც „ქრონოსის“ დაარსების დღიდან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჟურნალის განვითარებაში. სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მათი გარდაცვალების გამო.

ნანა ბახსოლიანი

### გიორგი ქავთარაძის გახსენება

ქართულ საისტორიო მეცნიერებას თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალოსანი (2015) და ერეკლე მეორის სამეფო ორდენის კავალერი გიორგი ქავთარაძე დააკლდა. ის დაიბადა თბილისში 1945 წ. 29 იანვარს, მათემატიკოსის ლეონ ქავთარაძისა და მხატვრის ნესტან ლეონიძის ოჯახში. 1962 წ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიულ განყოფილებაზე.

გიორგი ქავთარაძემ, როგორც ნიჭიერმა, შრომისმოყვარე, ყოველმხრივ მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ პროფესორთა ყურადღება მიიპყრო და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1971-72 წწ. იმავე კათედრაზე, პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა – კითხულობდა სპეცკურსს „წინა აზიის არქეოლოგია“, რაც საქართველოში აღნიშნული კურსის ჩამოყალიბების პირველი ცდა იყო. მრავალმხრივია მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო, კერძოდ, კავკასიის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემთა შუქზე, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ადრეული ლითონების ხანის



არქეოლოგიურ კულტურათა პერიოდიზაცია-ქრონოლოგია, კავკასიისა და ანატოლიის მოსახლეობის განსახლებისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები, ძველი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, ანატოლიისა და ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფია, გეოპოლიტიკა, ამიერკავკასიისა და ანატოლიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემატიკა, გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა წინა და ადრე ისტორიული საზოგადოებების ფუნქციონირებაში.

ბატონი გიორგის ძირითადი კვლევა-ძიებანი საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიის დადგენის მიმართულებით წარიმართა, რაც 1981 წელს, საკანდიდატო დისერტაციის წარმატებული დაცვით დაგვირგვინდა. იმავე წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე“ გიორგი ქავთარაძის მიერ სკრუპულოზურად იქნა შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების რადიონახშირბადული (14 C) მეთოდით დათარიღების ისტორია (არიზონის უნივერსიტეტის თუსონის, კალიფორნიის უნივერსიტეტის ლა ჯოლას და პენსილვანიის უნივერსიტეტის ფილადელფიის ლაბორატორიები), რომელიც ფხიანი ფიჭვის დენდროქრონოლოგიური მეთოდის საშუალებით დადგენილი ასაკის ნიმუშების რადიონახშირბადულ<sup>1</sup> დათარიღებას, ასევე, ცენტრალურ ევროპაში, მდინარეების მაინის, რაინის, დუნაის და მათი შენაკადების კალაპოტების ჰოლოცენურ ხრეშში აღმოჩენილ მუხის მორების დენდროქრონოლოგიური შკალის დამუშავებას ეფუძნება. რ. ქლარქის მიერ შედგენილი საკალიბრაციო მრუდის გამოყენებით ბატონი გიორგის მიერ მიღებული შესწორებული 14 C თარიღებისა და რელატიური ქრონოლოგიის მონაცემების საფუძველზე გახდა შესაძლებელი საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგიური შკალის დაძველება 1000-2000 წლით, რაც ეთანხმება ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორიული წყაროების მონაცემებით შემუშავებულ ქრონოლოგიებს.

ბატონი გიორგის თვალსაწიერში დომინანტური ადგილი ყოველთვის ანატოლიასა და კავკასიას ეკავა. ამ ტერიტორიებზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ მკვლევარს ყურადღება ქართველური ტომების განსახლებისა და წარმომავლობის საკითხებისადმი მიაქცევინა. მალევე, 1985 წელს, სკრუპულოზური კვლევების შემცველი მონოგრაფიით, „ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის“, წარდგა ქართული საისტორიო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ამ გამოცემით მკითხველი ეზიარება ბატონი გიორგის მეცნიერულ კვლევა-ძიებათა შედეგებს, ავტორის ორიგინალურ ხედვას, კონცეფციებსა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბების დინამიკას.

<sup>1</sup> რადიონახშირბადული თარიღები აღნიშნავენ მცენარის ბიოლოგიური სიკვდილის ასაკს.

ეგეოსური და კავკასიური სამყაროს ურთიერთობის კვლევას მან ახალი სტიმული მისცა – ნეოლითელი ანატოლიელების მონათესავეებად მიჩნეული, მინოსური კრეტის მოსახლეობის ეთნიკურ იდენტიფიცირებას, კრეტის ა-ხა-ზოვანი ტექსტების ქართველურ ენათა მონაცემების შეპირისპირების საფუძველზე ზოგიერთი მინოსური სიტყვის ეტიმოლოგიზაციას შეეცადა. გაამყარა ვარაუდი სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ნაწილის ბერძნების მიერ პელასგთა ნაშიერებად მიჩნევის შესახებ. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური, ანატოლიურ ტოპონიმებში ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობამ, ხეთური, ასურული ეპიგრაფიკული ძეგლების, ბერძნული, ქართული, სომხური და ბიზანტიური წერილობითი წყაროების ურთიერთშეპირისპირებამ ბატონი გიორგი იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოლი და მთელ გაყოლებაზე გადაჭიმული ჯანიკის, გირესუნის, გიუმუშხანეს, ზიგანის, ტრაზონის, ლაზისტანის მთების ფერდობები და აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდინარეების ჭოროხის, მტკვრის, ყარასუს და არეზს შუა მოქცეული მოსხური მთების შემადგენელი ჭოროხის, არსიანის, შავშეთის, სოლანლულის, კოპის, აკდალის, კარგაპაზარის, ჩახირბაბის, ალაპიუეკბერის ქედები – ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და დიდი მესხეთის უმეტესი ნაწილის მომცველი, ძველთაგანვე ქართველური წარმომავლობის ტომთა გავრცელების მხარეებია.

საქართველოს სიყვარულით აღვსილმა მეცნიერმა, ბევრი ნაფიქრალის შედეგად კიდევ ერთი, სიღრმისეული კვლევა-ძიებებით განმტკიცებული, სამშობლოს წარსულსა და მომავალზე არნ. ტოინბისეული „გამონწვევისა და პასუხის“ საფუძველზე მონოგრაფია „საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები“ 2006 წელს შემოგვთავაზა. ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეს ის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოცენებულ დაიანნი/დიაუხის უკავშირებს, აანალიზებს მიზეზებს და ასკვნის, რომ ასურული და ურარტული წერილობითი წყაროები და კულტურული ნაშთები სავსებით მოწმობენ მის სიდიდესა და განვითარების მაღალ დონეს, გამოვლენილს მრავალრიცხოვანი ქალაქებით, ციხე-სიმაგრეებით, ციკლოპური ნაგებობებით, მეურნეობის დანიანურებული სახეობებითა და მეტალურგიით. რეგიონის რესურსების დაცვის საჭიროებას ჯერ ასურელთა, ხოლო შემდეგ ურარტელთა ძალმომრეობისაგან და ეკონომიკურ უპირატესობათა საკუთარი მიზნებისათვის გამოყენების მისწრაფებას უნდა განეპირობებინა რკინით მდიდარი დაიანნი/დიაუხის ქვეყნის წარმოქმნა და ძვ. წ. XII-VIII სს. მანძილზე ხუთსაუკუნოვანი არსებობა, რომ ქვეყანა ხასიათდებოდა „საბელადო“ ტიპის პოლიტიკური სტრუქტურით და წარმოადგენდა წინასახელმწიფოებრივი საფეხურიდან სახელმწიფოზე გარდამავალ წარმონაქმნს. იმავე ტოინბისეული თეორიის ფარგლებში აანალიზებს, რომ დიაუხის საპირისპირო, ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე, ჭოროხის აუზში ყალიბდებოდა დიაუხის

მეტოქე და მემკვიდრე ქვეყანა, ურარტული წყაროების კულხა, ურარტუს ახალი მეტოქე ჩრდილოეთის სატრანზიტო გზებისათვის ბრძოლაში.

კლასიკური ხანის ახალი სახელმწიფოების იბერიის, კოლხეთ-ეგრის-ლაზიკის და ალბანეთის პოლიტიკურ ისტორიას კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით, დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლის თვალსაზრისით განიხილავს და აანალიზებს, რომ კავკასიის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, მის ბედს განსაზღვრავდა, ყოფილიყო მაღალგანვითარებული განაპირა ნახევარმთვარის (ევრაზიული პერიფერიის) ფორპოსტი განვითარების შედარებით დაბალი ხარისხის მქონე შუაგული ქვეყნის (ცენტრალური ევრაზიის) წინააღმდეგ. იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი და თავიანთი მოკავშირეების პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. ამით ხსნის ბატონი გიორგი იმ გარემოებას, რომ ქართულ ქვეყნებს ასცდა ის კატაკლიზმები, რომელიც რომის იმპერიის დამხობას მოჰყვა (ხალხთა გადასახლება, გოთობა...) და რომელმაც ძლიერ უცვალა სახე კავკასიონის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას.

ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერება კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლებასთან მიმართებაში მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი არსებობის მანძილზე. ბატონი გიორგი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის ამ ფუნქციის არსებობით უნდა იყოს გამონვეული ის გარემოება, რომ საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ სახელმწიფოს მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება სპეციალისტთა მიერ უწყვეტადაა მიჩნეული, კლასიკური ხანიდან დაწყებული XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე.

ბატონი გიორგის ნააზრევთან შეხებამ კვლავაც აღტაცება მომგვარა – კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემებს ორიგინალური ხედვითა და ხელნერით დაჯილდოებული გამორჩეული მკვლევარი ჰყავდა. მისი ნაფიქრალი დღეს არსებულ გამონვევებსა და პერსპექტივებზე ისევ და ისევ აქტუალურია, აკი „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი გამომჩინებელი აღმწერელისა საუკუნოდ“.

მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართულ ისტორიოგრაფიულ მეცნიერებაში, თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანისა, შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის.

თიბათვე 2024 წელი

ზურაბ ბრაგვაძის ხსოვნას

ისტორიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ დავითის ძე ბრაგვაძე დაიბადა 1961 წლის 17 ივლისს.

ზურაბ ბრაგვაძემ 1985 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერ-



სის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1986 წელს მუშაობა დაიწყო შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, 1992-2004 წლებში ნამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. 1993-1994 წლებში ზურაბ ბრაგვაძე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანის თანამდებობაზეა. 1994 წელს ზურაბ ბრაგვაძე ამავე მუზეუმის წინა ქრისტიანული ხელოვნებისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე ინიშნება, რომელსაც 2004 წლამდე იკავებს. 2004-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერე-

ბის, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტია. 2012-2013 წლებში ის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეა, 2013-2015 წლებში კი სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის მოვალეობას ასრულებს.

ზურაბ ბრაგვაძე 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო.

ზურაბ ბრაგვაძე ორი სახელმძღვანელო, ასორმოცდაათი სტატიის და ცხრა მონოგრაფიის ავტორია. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმების თუ კონფერენციების მუშაობაში, არაერთი საგრანტო პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელი იყო.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ზურაბ ბრაგვაძე პედაგოგიურ საქმიანობასაც წარმატებით უძღვებოდა. 1992-2003 წლებში ის ეკონომიკური



ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი იყო, 1999-2005 წლებში აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონვეული ლექტორია, 2010 წელს კი საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მონვეული ლექტორია. 2011 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

ზურაბ ბრავგაძეს საქართველოს ძველი ისტორიის მრავალი საკითხი აინტერესებდა და ანტიკური ხანის იბერია-ქართლის ისტორიის კვლევას არაერთი სტატია მიუძღვნა. თუმცა, მის მოღვაწეობაში უდიდესი ადგილი არქეოლოგიას ეკავა. ის სტუდენტობის დროიდანვე მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ სამუშაოებში. პირველი შეხება მინაში ჩამარხულ უძველეს ისტორიასთან მარტყოფის ველზე ყორღანების გათხრებისას სტუდენტური პრაქტიკის დროს მიიღო. მას შემდეგ მან არაერთი ექსპედიციის (საირხე, ჭიათურა, ყვირილის ხეობა, თერჯოლა, თრიალეთი, მცხეთა, თელავი, ხვამლი) მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. სხვადასხვა დროს კი თვითონ ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ კოლხეთის, თერჯოლის, ზესტაფონის, სვერის ციხის, ტაბახმელის არქეოლოგიურ ექსპედიციებს. 2019-2021 წლებში ითხვისის ნაქალაქარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია. 2022 წელს კი სათავეში ჩაუდგა საჩხერის არქეოლოგიურ ექსპედიციას და ფუნდამენტური კვლევისთვის შესაბამისი პროექტიც ჰქონდა. თუმცა, დიდი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზურაბ ბრავგაძემ პირველად ქართული არქეოლოგიის ისტორიაში საბრძოლო მოქმედების ადგილის არქეოლოგიური კვლევა განახორციელა და ეს სამუშაოები 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ველზე მიმდინარეობდა. ეს სამუშაო მას განსაკუთრებით ეამაყებოდა. სამწუხაროდ მან მხოლოდ ორი მცირე სტატიის (1. „ტაბახმელის 4 სანგარზე 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში“, 2. „პირველი რესპუბლიკის ბრძოლები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. ტაბახმელის მეოთხე სანგარის არქეოლოგიური კვლევა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921 ახალი ეპოქის დასაწყისი“) გამოქვეყნება მოასწრო სიცოცხლეში. კიდევ ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

ზურაბ ბრავგაძის უდროოდ გარდაცვალება ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის დიდი დანაკლისია.

ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, ღირსეული პიროვნება და შესანიშნავი არქეოლოგი.

## შემოკლებათა განმარტება

### Abbreviations

ამ	აფხაზეთის მოამბე
ამირანი, კსსკსნიმ	ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე
აშის ბულანი, სჯსუ	ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები გულანი, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ენიმკის მოამბე	აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე
იჯიიმ	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი
კააკ ლს მაცნე, იაიხს	კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული ლიტერატურა და ხელოვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია
მაცნე, იიხს	საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია
მაცნე, სმასმპო	მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო
მსა მსკი	მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
მსმკი	მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის
ნარკვევები, სხსმ	ნარკვევები, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
პძ	პალეოგრაფიული ძიებანი

სდსყკ	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა
სეიეპშ	საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები
სეიმ, შრომები	ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, შრომები
სემმ	საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე
სენამ	საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები
სიგპ	საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული
სიიშ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები
სიპპა	საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა
სინ	საქართველოს ისტორიის ნარკვევები
სკ	საისტორიო კრებული
სმ	საისტორიო მოამბე
სმამ	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სმბ	საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები
სმეაშ	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი
სს	საქართველოს სიძველენი
სსმამ	საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები
ქისკ	ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი
ქლწკ	ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი
ქსის	ქართული სამართლის ისტორიის საკითხები
ქსე	ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ქწ	ქართული წყაროთმცოდნეობა
ქხ	ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები
ქმ	ძეგლის მეგობარი
წელიწდეული, ქსბჟ	წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყურნალი

AG	Ars Georgica
AJ	Archaeological Journal
AJPA	American Journal of Physical Anthropology
AMIT	Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan
ANATSt	Anatolian Studies, Published by Cambridge University Press on behalf of the British Institute at Ankara
AoF	Altorientalische Forschungen
AW	Antike Welt
EURANT	Eurasia Antiqua
FSI	Forensic Science International
IA	Iranica Antiqua
IM	Istanbuler Mitteilungen
INT J OSTEOARCHAEOLOG	International Journal of Osteoarchaeology
JAOS	Journal of the American Oriental Society
JAS	Journal of Archaeological Science
JFS	Journal of Forensic Sciences
ZA	Zeitschrift für Assyriologie
ZVS	Zeitschrift für vergleichende Sprachforschung
АКАК	Акты Собранные Кавказской Археографической Комиссией
САНГ ССР	Сообщения Академии Наук Грузинской ССР
ЭСБЕ	Энциклопедический Словарь, Брокгаузъ и Ефронъ

ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესი  
Guideline for Transliteration

ა	a	უ	u
ბ	b	ფ	p
გ	g	ქ	k
დ	d	ღ	gh
ე	e	ყ	q'
ვ	v	შ	sh
ზ	z	ჩ	ch
თ	t	ც	ts
ი	i	ძ	dz
კ	k'	წ	ts'
ლ	l	ჭ	ch'
მ	m	ხ	kh
ნ	n	ჯ	j
ო	o	ჰ	h
პ	p'		
ჟ	zh		
რ	r		
ს	s		
ტ	t'		

იხ.: <https://www.transliteration.com/transliteration/en/georgian/national/>

## ავტორთა შესახებ List of Authors

ბახსოლიანი ნანა

Bakhsoliani Nana

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [nana.bakhsoliani@tsu.ge](mailto:nana.bakhsoliani@tsu.ge)

ბერტოლდი ფრანჩესკა

Bertoldi Francesca

კა' ფოსკარის უნივერსიტეტი,  
ვენეცია, იტალია  
Università Ca' Foscari, Venezia, Italy  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [francescabertoldi@unive.it](mailto:francescabertoldi@unive.it)

ბითაძე ლიანა

Bitadze Liana

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [liana.bitadze@tsu.ge](mailto:liana.bitadze@tsu.ge)

გაგოშიძე გიორგი

Gagoshidze Giorgi

საქართველოს უნივერსიტეტი,  
თამაზ ბერაძის სახელობის  
ქართველოლოგიის ინსტიტუტი  
The University of Georgia,  
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [g\\_gagoshidze@yahoo.com](mailto:g_gagoshidze@yahoo.com)



გაგოშიძე დავით  
Gagoshidze David  
საქართველოს უნივერსიტეტი,  
თამაზ ბერაძის სახელობის  
ქართველოლოგიის ინსტიტუტი  
The University of Georgia,  
Tamaz Beradze Institute of  
Georgian Studies  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [d.gagoshidze@ug.edu.ge](mailto:d.gagoshidze@ug.edu.ge)

გაგოშიძე იულონ  
Gagoshidze Iulon  
საქართველოს უნივერსიტეტი,  
თამაზ ბერაძის სახელობის  
ქართველოლოგიის ინსტიტუტი  
The University of Georgia,  
Tamaz Beradze Institute of  
Georgian Studies  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [iulongagoshidze@yahoo.com](mailto:iulongagoshidze@yahoo.com)

გოგოჭური გიორგი  
Gogochuri Giorgi  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის  
არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი  
Georgian National Museum,  
Otar Lordkipanidze Institute  
of Archaeological Research  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [giorgigogochuri@yahoo.com](mailto:giorgigogochuri@yahoo.com)

დიასამიძე ნიკოლოზ  
Diasamidze Nikoloz  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
Independent researcher  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [diasamidzeniko@yahoo.com](mailto:diasamidzeniko@yahoo.com)

დიღმელაშვილი ქეთევან  
Digmelashvili Ketevan  
საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო  
National Agency for Cultural  
Heritage Preservation Georgia  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [ketisha80@gmail.com](mailto:ketisha80@gmail.com)

ელოშვილი მარიამ  
Eloshvili Mariam  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ilia State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [mariam.eloshvili2@iliauni.edu.ge](mailto:mariam.eloshvili2@iliauni.edu.ge)

ვაშაკიძე ვალერიან  
Vashakidze Valerian  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [valerian.vashakidze@tsu.ge](mailto:valerian.vashakidze@tsu.ge)

ვახტანგაშვილი გიორგი  
Vakhtangashvili Giorgi  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [giorgi.vakhtangashvili435@hum.tsu.edu.ge](mailto:giorgi.vakhtangashvili435@hum.tsu.edu.ge)

თავართქილაძე ნინო

Tavartkiladze Nino

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [ninotavartkiladze3@gmail.com](mailto:ninotavartkiladze3@gmail.com)

თვარაძე ალექსანდრე

Tvaradze Aleksandre

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [aleksandre.tvradze@tsu.ge](mailto:aleksandre.tvradze@tsu.ge)

კამერიერე რობერტო

Cameriere Roberto

მოლიზეს უნივერსიტეტი, იტალია  
University of Molise, Italy

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [roberto.cameriere@unimol.it](mailto:roberto.cameriere@unimol.it)

კატალინი ლეონარდო

Catalini Leonardo

მოლიზეს უნივერსიტეტი, იტალია  
University of Molise, Italy

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [leonardo.catalini1994@gmail.com](mailto:leonardo.catalini1994@gmail.com)

კვაშილავა ირმა

Kvashilava Irma

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [irma.kvashilava@tsu.ge](mailto:irma.kvashilava@tsu.ge)

ლალიაშვილი შორენა

Laliashvili Shorena

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [shorena.laliashvili@tsu.ge](mailto:shorena.laliashvili@tsu.ge)

ლალიაშვილი გიორგი

Laghiashvili Giorgi

საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო  
National Agency for Cultural Heritage  
Preservation of Georgia  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [lagiashviligiorgi007@gmail.com](mailto:lagiashviligiorgi007@gmail.com)

ლორთქიფანიძე ბესიკ

Lortkipanidze Besik

საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
ისტორიის და ეთნოლოგიის  
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი,  
Georgian National Museum, The Institute  
for Studies of History and Ethnology  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [beso.lort@gmail.com](mailto:beso.lort@gmail.com)

მაღაყმაძე როინ  
Malakmadze Roin  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის  
ინსტიტუტი  
Niko Berdzenishvili Institute  
of Batumi Shota Rustaveli State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [roin.malakmadze@bsu.edu.ge](mailto:roin.malakmadze@bsu.edu.ge)  
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>

მინდორაშვილი დავით  
Mindorashvili Davit  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის  
არქეოლოგიური კვლევების  
ინსტიტუტი  
Georgian National Museum,  
Otar Lordkipanidze Institute  
of Archaeological Research  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [datomindorashvili@yahoo.com](mailto:datomindorashvili@yahoo.com)

მურვანიძე ბიძინა  
Murvanidze Bidzina  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის  
არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი  
Georgian National Museum,  
Otar Lordkipanidze Institute  
of Archaeological Research  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [murvanidzebidzo@gmail.com](mailto:murvanidzebidzo@gmail.com)

მურგულია ნიკოლოზ  
Murgulia Nikoloz  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
ისტორიის და ეთნოლოგიის სამეცნიერო  
კვლევითი ინსტიტუტი  
Georgian National Museum, The Institute  
for Studies of History and Ethnology  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [nikomurgulia@yahoo.com](mailto:nikomurgulia@yahoo.com)

მწყერაძე გიორგი  
Mtskeradze Giorgi  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [giorgi.mtskeradze@gmail.com](mailto:giorgi.mtskeradze@gmail.com)

ნარიმანიშვილი გოდერძი  
Narimanishvili Goderdzi  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [goderdzi\\_narimanishvili@yahoo.com](mailto:goderdzi_narimanishvili@yahoo.com)

პიანო დენიზე  
Piano Denise  
მარკეს პოლიტექნიკური  
უნივერსიტეტი, იტალია  
Polytechnic University of Marche, Italy  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [denise\\_piano@hotmail.it](mailto:denise_piano@hotmail.it)

რასია პიერა ალეგრა  
Rasia Piera Allegra  
კა' ფოსკარის უნივერსიტეტი,  
ვენეცია, იტალია  
Università Ca' Foscari,  
Venezia, Italy  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [allegra.rasia@unive.it](mailto:allegra.rasia@unive.it)

როვა ელენა  
Rova Elena  
კა' ფოსკარის უნივერსიტეტი,  
ვენეცია, იტალია  
Università Ca' Foscari,  
Venezia, Italy  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [erova@unive.it](mailto:erova@unive.it)



ტატიშვილი ირინე

Tatishvili Irine

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi

State University

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [irine.tatishvili@tsu.ge](mailto:irine.tatishvili@tsu.ge)

ფაბრი პიერ ფრანჩესკო

Fabbri Pier Francesco

ფლორენციის პრეისტორიის მუზეუმი  
და ინსტიტუტი, ფლორენცია, იტალია  
Florentine Museum and Institute of Prehistory,  
Florence, Italy

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [pierfrancesco.fabbri@museoflorentinopreistoria.it](mailto:pierfrancesco.fabbri@museoflorentinopreistoria.it)  
<https://orcid.org/0000-0003-3633-0178>

ფალავა ირაკლი

Paghava Irakli

კავკასიის უნივერსიტეტი  
Caucasus University

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [meseft@gmail.com](mailto:meseft@gmail.com)

ქარჩავა თეა

Karchava Tea

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi

State University

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [tea.karchava@tsu.ge](mailto:tea.karchava@tsu.ge)

ქოქრაშვილი ხათუნა

Kokrashvili Khatuna

საქართველოს უნივერსიტეტი,  
თამაზ ბერაძის სახელობის  
ქართველოლოგიის ინსტიტუტი  
The University of Georgia,  
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [kh.kokrashvili@ug.edu.ge](mailto:kh.kokrashvili@ug.edu.ge)  
ORCID ID: 0009-0001-3876-2591

ნურნუმია მამუკა  
Tsurtsunia Mamuka  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
Independent researcher  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [Mamuka@mkhedari.ge](mailto:Mamuka@mkhedari.ge)

ხუციშვილი ნინო  
Khutsishvili Nino  
დამოუკიდებელი მკვლევარი  
Independent researcher  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [nino.khutsishvili.16@iliauni.edu.ge](mailto:nino.khutsishvili.16@iliauni.edu.ge)

ჯანიაშვილი ლავრენტი  
Janiashvili Lavrenti  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი  
Ivane Javakhishvili Institute of  
History and Ethnology of  
Ivane Javakhishvili Tbilisi  
State University  
ელექტრონული ფოსტის მისამართი /  
Email address: [jlavrenti@yahoo.com](mailto:jlavrenti@yahoo.com)

დამკაბადონებელი  
ნანა დუმბაძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ՅԱՄԵԼԻՆ

5



9772667947004